

ქიულ ვერნი

თხუთმეტი წლის კაპიტანი

თარგმნა

ი. კოტეტიშვილი და ლ. ჭეიშვილი

ნაწილი პირველი

თავი I

შხუნა-ბრიგი¹ "პილიგრიმი"

1873 წლის 2 თებერვალს შხუნა-ბრიგი "პილიგრიმი" გრინვისის მერიდიანიდან სამხრეთ განედის 43°57' და დასავლეთ გრძედის 65°19'-ზე იმყოფებოდა.

ეს ოთხასტონიანი ხომალდი ჯეიმს ვ. უელდონს, გემების მდიდარ კალიფორნიელ მეპატრონეს ეკუთვნოდა. ხომალდს უკვე მრავალი წელი იყო, კაპიტან ჰული მეთაურობდა. ახლა "პილიტრიმი" სან-ფრანცისკოში აღეჭურვათ და სამხრეთის ზღვებისაკენ გაეგზავნათ ვეშაპებზე სანადიროდ.

ჯეიმს ვ. უელდონი ყოველწლიურად გზავნიდა ფლოტილიას როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთ ზღვებში. მისი გემების ერთი ნაწილი ბერინგის სრუტის გაღმა მიემართებოდა, ხოლო მეორე ტასმანიასა და ჰორნის კონცხს გაივლიდა და ატლანტის ოკეანეში გადიოდა. "პილიგრიმი" სამხრეთის ფლოტილიის ყველაზე პატარა, მაგრამ მკვიდრად ნაგები, შესანიშნავად აღჭურვილი, სწრაფმავალი გემი იყო. თუმცა მცირერიცხოვანი ეკიპაჟი ჰყავდა, მაინც თამამად შედიოდა სამხრეთ ნახევარსფეროს გაუვალ ყინულებში. კაპიტანი ჰული შესანიშნავად ახერხებდა ყინულების ხაფანგიდან თავის დამკვრენას. ეს ყინულები დამსკდარი და თბილი წყლით გადარეცხილი მომცრო აისბერგებია, რომელთა მეტი წილი სწრაფად დნება ატლანტის და წყნარ ოკეანეებში. ისინი ზაფხულობით დინებებს ჩამოაქვს ახალ ზელანდიასა და კეთილი იმედის კონცხთან.

კაპიტან ჰულს, შესანიშნავ მეზღვაურსა და ფლოტილიის ერთ-ერთ საუკეთესო მებარჯეს, ხუთი გამოცდილი და ერთი ახალბედა მეზღვაური ჰყავდა.

¹ შხუნა-ბრიგი სავაჭრო ან სამხედრო ფლოტის ორ-სამანძიანი იალქნიანი ხომალდია.

ვეშაპზე სანადიროდ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის, ხალხი საჭიროა პატარა ნავებზეც და ნანადირევის გადასამუშავებლადაც. მაგრამ, მიხუედავად ამისა, ჯეიმს უელდონი, სხვა გემთმფლობელების მსგავსად, უფრო ხელსაყრელად თვლიდა, რომ ფრანცისკოში მხოლოდ ხომალდის მართვისათვის საჭირო მეზღვაურები დაეჭირავენ. ახალ ზელანდიაში მებარჯის, დეზერებისა და სხვადასხვა ეროვნების მეზღვაურების პოვნა ძნელი არის. ისინი კარგი მეთევზეებიც არიან და შემთხვევასაც ეძებენ, რომ სეზონურად იმუშაონ. სეზონის დამთავრებისთანავე მეზღვაურებს ანგარიშს უსწორებენ და ნაპირზე გადმოსხამენ ხოლმე. შემდეგ კი, მომავალ წლამდე, ისინი მოთმინებით ელიან ვეშაპმჭერ ხომალდებს.

მეზღვაურების სეზონურად დაბინავება გემების მფლობელისათვის უფრო სარფიანია, რადგან ეკიპაჟის შესანახი ხარჯების ეკონომია შემოსავალს ზრდის. "პილიგრიმის" პატრონიც ასე მოიქცა.

შხუნა-ბრიგს, მართალია, ნადირობა უკვე დაემთავრებინა ანტრაქტიდის პოლარული წრის საზღვარზე, მაგრამ კასრები ჯერ კიდევ ვერ გაეცსო ვეშაპის ქონით და დამუშავებული და დასამუშავებელი ვეშაპის უღვაშებიც ცოტა ჰქონდა. იმ დროს ვეშაპების უმოწყალო ხოცვის გამო, თითქოს ამოწყვეტილი იყო. გადაშენდა ჩრდილოეთ ოკეანის გრენლანდიური ვეშაპიც.

მეთევზეები იძულებულნი იყვნენ, გიგანტურ ძუძუმწოვრებზე, სრულად ვემაპებზე ენადირათ, რაც ძალზე სახიფათო იყო.

კაპიტანმა ჰულმა გადაწყვიტა, მომავალში უფრო ჩრდილო განედებისაკენ გადაენაცვლებინა და, თუ საჭირო გახდებოდა, კლარასა და ადელის მიწებამდეც კი მისულიყო. ამ მიწების აღმოჩენა გამოჩენილ მოგზაურს, ფრანგ დიუმონ დ'იურვილს ეკუთვნის, თუმცა ამერიკელ უილკსს ეს სადავოდ მიაჩნია.

ერთი სიტყვით, რაკი ეს სეზონი მაინცდამაინც უხვი არ შეიქმნა "პილიგრიმისათვის", იანვრის დასაწყისში, როცა სამხრეთ ნახევარსფეროში ჯერ კიდევ შუა ზაფხულია და ვემაპზე ნადირობაც შეიძლება, კაპიტანმა ჰულმა მიატოვა სანადირო ადგილები და გაემართა ახალი ზელანდიის ჩრდილო-დასავლეთი კონცხისაკენ, რომელსაც თხუთმეტ იანვარს მიაღწია კიდევ. იქ, ვაიტემატში - ხაურაკის უბეში მდებარე ოკლენდის ნავსადგურში, თავიდან მოიცილა საეჭვო და უქნარა ეკიპაჟი და ერთი სეზონით დაქირავებული მეთევზეები ნაპირზე გადასხა.

გემის ძირითადი ეკიპაჟი უკმაყოფილო იყო. სულ ცოტა ორასი კასრი დარჩათ ცარიელი. ასე ცუდად მათ არასოდეს უნადირიათ.

კაპიტანი ჰული გულნაკლული იყო იმ სახელგანთქმული მონადირის მსგავსად, პირველად რომ ბრუნდება შინ ხელმოცარული. თავმოყვარეობაშელახულს ვერ ეპატიებინა იმ მუქთახორებისათვის, რომელთა თავაშვებულობამ ნადირობა ჩაუშალა. ოკლენდში ჰულმა ახალი ეკიპაჟის აყვანაც კი სცადა, მაგრამ ამაშიც ხელი მოეცარა - ნავსადგურში არც ერთი თავისუფალი მეზღვაური არ აღმოჩნდა. შემდეგ ტვირთის შევსება მოინდომა და, ესეც რომვერ მოახერხა, მტკიცედ გადაწყვიტა, ოკლენდი დაეტოვებინა. ჰულს მგზავრების წყევანა შესთავაზეს, რაზედაც უარი არ უთქვამს.

"პილიგრიმის" მფლობელის მეუღლე მისის უელდონი, მისი ხუთი წლის ვაჟი ჯეკი და მისის უელდონის ნათესავი, "კუზენ" ბენედიქტს რომ ეძახდნენ, ამ დროს ოკლენდში იმყოფებოდნენ. ჯეიმს ვ. უელდონი, სავაჭრო საქმეების გამო ზოგჯერ ახალ ზელანდიაში ჩადიოდა ხოლმე. სამივენი მან ჩამოიყვანა აქ და უკანვე, სან-ფრანცისკოში, წაყვანას უპირებდა, რომ სწორედ გამგზავრების წინ, პატარა ჯეკი ავად გახდა. ჯეიმს ვ. უელდონს ამერიკაში გადაუდებელი საქმეების გამო მათი ოკლენდში დატოვება მოუხდა.

განშორებიდან სამი თვე იყო გასული. საწყალ მისის უელდონს ეს დრო უსასრულოდ გრძელი ეჩვენა. როცა პატარა ჯეკი გამოჯანმრთელდა, მისის უელდონი გასამგზავრებლად სამზადისს შეუდგა. სწორე ამ დროს "პილიგრიმიც" მოადგა ოკლენდის პორტს.

მაშინ ოკლენდსა და კალიფორნიას შორის პირდაპირი მიმოსვლა არ იყო. მისის უელდონი სან-ფრანცისკოში დასაბრუნებლად ჯერ ავსტრალიაში უნდა წასულიყო. აქ, მელბურნში, ტრანსოკეანურ კომპანია "ოქროს ხანის" გემში ჩამჯდარიყო და პანამაში მისულიყო პაპეიტის გავლით. პანამაში კი მისის უელდონს პანამასა და კალიფორნიას შორის რეგულარულად მოსიარულე ამერიკული გემისათვის უნდა მოეცადა. ეს საკამოდ შეაგვიანებდა მას და თანაც არც გემიდან გემზე გადასვლა იყო ადვილი ბავშვიანი ქალისათვის.

"პილიგრიმის" მოსვლისთანავე მისის უელდონმა სთხოვა კაპიტან ჰულს, წაეყვანა ისინი სან-ფრანცისკოში. მას თან ახლდა კუზენი ბენედიქტი და მოხუცი ზანგი გადია ნანი. ნანის გაზრდილი იყო თვით მისის უელდონიც. მართალია, სამი ათასი ლიეს გავლა იალქნიანი ხომალდით გაუჭირდებოდათ, მაგრამ კაპიტან ჰულის გემი მეტად საიმედო იყო, და თანა ეკვატორის ორივე მარეზე შესანიშნავი ამინდი იდგა. კაპიტანი ჰული დათანხმდა და თავისი კაიუტაც დაუთმო, რომ მისის უელდონისათვის რაც შეიძლება შეემსუბუქებინა ორმოც-ორმოცდაათდღიანი მოგზაურობა.

მისის უელდონს ასეთი მგზავრობა ხელს აძლევდა. ცოტათი ის აწუხებდა, რომ გემი ჯერ ჩილეს ნავსადგურში, ვალპარაისოში, უნდა შესულიყო გადმოსატვირთად, რასაც საკმაო დრო მოუწოდებოდა. უელდონის მეუღლე ოცდაათი წლისა, ჯანმრთელი, უშიშარი, შორეულსა და მძიმე მოგზაურობებში გამოწრთობილი ქალი იყო და არც გემით მოგზაურობის დროს მოსალოდნელ ფათერაკები აშინებდა.

მისის უელდონი კრგად იცნობდა კაპიტან ჰულს. მის მეუღლეს, ჯეიმს ვ. უელდონს, შესანიშნავ მეზღვაურად მიაჩნდა იგი. "პილიგრამი" ამერიკის ფლოტილიის საუკეთესო გემი იყო, ამიტომ ქალმა უყოყმანოდ გამოიყენა ეს შემთხვევა და კაპიტან ჰულის ხომალდით გაგზავრება გადაწყვიტა.

კუზენი ბენედიქტიც, რაღა თქმა უნდა, მას უნდა წაჰყოლოდა. ეს ბენედიქტი ორმოცდაათიოდე წლის კაცი იყო. ასაკის მიუხედავად, მას სხლიდან მარტო ვერ გაუშვებდით. შეხედავდით თუ არა ამ გამხდარ, აწოწილ, თმაგაბუებულ, დიდთავა ოქროსსათვალთან არსებას, მაშინვე მიხვდებოდით, რომ მეცნიერი იყო. უწყინარი და კეთილი კუზენი ბენედიქტი დიდ ბავშვსა ჰგავდა და, ალბათ, სიკვდილამდე ბავშვად დარჩებოდა.

"კუზენი ბენედიქტი" - ასე ეძახდნენ მას შინაურებიცა და გარეშენიც - მართლაც, ისეთი კეთილი იყო, გეგონება, ყველას ბიძაშვილად დაბადებულაო. ამ კაცს საკუთარი ხელ-ფეხიც კი აწუხებდა. არ იცოდა, სად წაეღო. საოცრად უმწეოსა და უსუსურს დაუხმარებლად სულ უბრალო რამის გაკეთებაც არ შეეძლო. ახირება არ იცოდა. დამყოლსა და თვინიერს საჭმელიც კი არ მოაგონებოდა, თუ არ მიუტანდნენ. იგი თითქოს მცენარეთა სამყაროს ეკუთვნოდა და ფოთოლგაცვენილ უნაყოფო ხეს ჰგავდა, რომელსაც კეთილი გული აქვს, მაგრამ არავის შეფარება ან გამოკვება არ ძალუძს. ასეთი გახლდათ კუზენი ბენედიქტი, რომელიც სიამოვნებით ჩადგებოდა ხალხის სამსახურში, თუკი, როგორც ბატონი პრუდომი იტყოდა, იგი ამას შეძლებდა. კუზენი ბენედიქტი უყვარდათ და ეცოდებოდათ თავისი უნიათობის გამოც. მისის უელდონს იგი შვილად, პატარ ჯეკის უფროს ძმად მიაჩნდა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბენედიქტი არ იყო ზარმაცი და მცონარა. პირიქით, ძალზე ბევრს შრომობდა. იგი მთლიანად შთაენთქა ბუნებისმეტყველებას, რომელიც მისი ერთადერთი გატაცება იყო. ბენედიქტი არავის არ უშლიდა ხელს არც იფიქროთ! მაგრამ როგორღაც ახერხებდა ყველას შეწუხებას ყველას შეწუხებას, შევიწროებას და, ამასთან, თვითონაც შებოჭილად გრძნობდა თავს.

თქმა იმისა, რომ კუზენი ბენედიქტი ბუნებისმეტყველი იყო, სწორი არ იქნებოდა! ბუნებისმეტყველაბაში შედის ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია და გეოლოგია. კუზენი ბენედიქტი არ იყო არც ბოტანიკოსი, არც მინერალოგი, არც გეოლოგი.

მაშ, ზოოლოგი იყო?

შეეძლო აღედგინა გადაშენებული ცხოველის გარეგნული სახე? იქნებ ხერხელმიანთა, მოლუსკთა, ფეხსახსრიანთა ან სხივიანთა შესწავლას მიუძღვნა თავისი სიცოცხლე? თანამედროვე მეცნიერები ხომ ცხოველთა მთელ სამყაროს ამ ოთხ ტიპად ყოფენ.

იქნებ ეს კირკიტა სწავლული სხვადასხვა კლასებს, რაზმებს, ოჯახებს, ქვეოჯახებს, სახეებსა და სახესხვაობებს სწავლობდა?

არა!

იქნებ ხერხემლიანების: ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლებისა და თევზების შესწავლამ გაიტაცა ოდესღაც კუზენი ბენედიქტი?

არასოდეს!

იქნებ მოლუსკებს აძლევდა იგი უპირატესობას? თავფეხიანებმა და ხავსცხოველებმა ხომ არ გაუხსნეს გული და გადაუშალეს კუზენ ბენედიქტს თავისი საიდუმლოებანი?

არა და არა!

ნეტა ეკალაკანიანების, მედუზების, პოლიპების, ანთოზოების, ღრუბლებისა და ინფუზორების გამო ხომ არ წვავდა ნავთს ბატონი მეცნიერი შუალამემდე ლამპაში?

უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც სხივიანები შეადგენდნენ მისი გატაცების საგანს. და რადგან ზოოლოგიაში ფეხსახსრიანების გარდა აღარაფერი რჩება, თქმა არ უნდა, ცხოველთა ეს ტიპი იყო კუზენ ბენედიქტის ერთადერთი გატაცება!

დიახ! მაგრამ საჭიროა დაზუსტება:

ფეხსახსრიანებში ექვსი კლასია: მწერები, მრავალფეხიანები, ობობასნაირნი, კიბოსებრნი, ულვაშფეხიანები, რგოლოვანი ჭიები. მაგრამ კუზენი ბენედიქტი, გულახდილად რომ ვთქვათ, ერთმანეთისაგან ვერ არჩედა ჭიაყელასა და სამედიცინო წურბელას, ქვატეხიასა და ზღვის რკოს, სახლის ობობასა და ცრუმორიელს, კრევეტსა და ბაყაყს, ყურბელასა და სკოლოპენდრს.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო კუზენი ბენედიქტი?

ის მხოლოდ და მხოლოდ ენტომოლოგი იყო. არც მეტი, არც ნაკლები!

ენტომოლოგია არის ბუნებისმეტყველების დარგი და შეისწავლის ყველა ასოსახსრიანს. მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს ტერმინი უფრო ვიწრო მნიშვნელობითაც იხმარება, კერძოდ, მწერების შესწავლის მნიშვნელობით, ანუ "ყველა ფეხსახსრიანი ცხოველისა, რომლის სხეული შედგება მჭიდროდ განლაგებული რგოლებისაგან. ისინი ქმნიან სამ განსხვავებულ სეგმენტს, რომლებსაც სამი წყვილი ფეხი აქვთ და ამიტომ ექვსფეხიანებიც ეწოდებათ". რადგან კუზენი ბენედიქტი მხოლოდ ამ კლასის ფეხსახსრიანებს სწავლობდა, იგი მხოლოდ ენტომოლოგად თუ ჩაითვლებოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ მწერლის კლასში შედის ათი რაზმი: სწორფრთიანები¹, ბადეფრთიანები², სიფრიფანაფრთიანები³, ქერცლოვანფრთიანები⁴, ნახევრად ხეშემფრთიანები⁵, ხეშემფრთიანები⁶, ორფრთიანები⁷, მარაოსფრთიანები⁸, პარაზიტები⁹ და უმდაბლესი მწერები¹⁰.

ზოგიერთ რაზმში, მაგალითად, ხეშემფრთიანების ოცდაათი ათასი სახეა, ორფრთიანებში კი - სამოცი ათასი. ასე რომ, შესასწავლი ობიექტი უთვალავია და ერთი კაცისათვის საქმე თავზე საყრელადაა.

კუზენმა ბენედიქტმა მთელი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ენტომოლოგიას მიუძღვნა: მთელ დროს ამ მეცნიერბას ახმარდა, ძილშიც კი მუდამ "ექვსფეხიანები" ესიზმრებოდა. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ტანსაცმელის სახელოებსა და საყელოში, ქუდის პირ-სარჩულზე და ქურთუკის ნაკეცებში კუზენ ბენედიქტს მუდამ ჩარჭობილი ჰქონდა ქინძისთავეები. "სამეცნიერო" გასეირნებიდან დაბრუნებისას, მის უცნაურ ქუდზე მირჭობილი იყო ათასნაირი მწერები და უფრო ბუნებისმეტყველის ყუთსა ჰგავდა, ვიდრე ქუდს.

კუზენ ბენედიქტზე სრული წარმოდგენა არ გვექნება, თუ იმასაც არ დავუმატებთ, რომ ახალ ზელანდიაში იგი უელდონებს მხოლოდ ენტომოლოგიური მიზნით გაჰყვა. გაამდიდრა კიდევ თავისი კოლექცია რამდენიმე იშვიათი ნიმუშით და ახლა ძალზე ჩქარობდა სან-ფრანცისკოში დაბრუნებას, რომ ეს ძვირფასი მწერები თავ-თავის ადგილზე მოეთავსებინა საკუთარ მუზეუმში. რადგან მისის უელდონი და მისი შვილი "პილიგრიმით" ბრუნდებოდნენ, ბუნებრივია, კუზენი ბენედიქტიც მათ უნდა ხლებოდა. მისის უელდონს გასაჭირში კუზენ ბენედიქტის იმედი არ ჰქონდა. კიდევ კარგი, შესანიშნავი ამინდი იდგა, მგზავრობას კარგი პირი უჩანდა და გემის კაპიტანი სანდო კაცი იყო.

სანამ "პილიგრიმი" ვაიტემატში, ოკლენდის პორტში იდგა, მისის უელდონის სასწრაფოდ მოემზადა, არ უნდოდა შხუნა-ბრიგის გასვლა მის გამო შეყვინებულიყო. მან ოკლენდელი მოსამსახურეები დაითხოვა და 22 იანვარს თავისი ვაჟის - ჯეკის, კუზენი ბენედიქტისა და მოხუცი ზანგი გადიის, ნანის თანხლებით "პილიგრიმზე" გადაბარგდა. კუზენ ბენედიქტს სპეციალური თუნუქის ყუთით მიჰქონდა თავისი იშვიათი მწერების კოლექცია. აქ, სხვათა შორის, იყო რამდენიმე ახალი ნიმუში ხოჭო სტაფილინისა, რომელიც მტაცებელ ხეშემფრთიანთა ოჯახს ეკუთვნის. თვალეები მათ თავზე, ზემოდან აქვთ განლაგებული. აქამდე ეგონათ, რომ იგი მხოლოდ ახალ კალედონიაში იყო გავრცელებული. კუზენ ბენედიქტს შესთავაზეს ერთი ჯიშის შხამიანი ობობა, მათრების მიერ "კატიპოდ" წოდებული, რომლის ნაკბენი ხშირად სასიკვდილოა, მაგრამ, რადგან ობობა საკუთრივ მწერების რაზმს არ მიეკუთვნება და ობობასნაირთა წარმომადგენელია, კუზენ ბენედიქტისათვის არავითარი ფასი არა ჰქონდა. მან ზიზღით თქვა უარი ობობაზე და კოლექციის უძვირფასეს ეგზემპლარად

1 აბანოს ჭიები, კუტკალიები, ჭრიჭინასებნი და სხვ.

2 ლომჭიანჭველები, ნემსიყლაპიები.

3 ფუტკრები, კრაზანები, ჭიანჭველები.

- 4 პეპლები და სხვ.
- 5 ჭრიჭინობელები, ბალღინჯოები და სხვ.
- 6 მასის ხოჭოები, ბრინჯაოლები და სხვ.
- 7 კოლოები, ქინქლები, ბუზები.
- 8 მარაოსფრთიანები, ანუ სტილოპსები.
- 9 ტილები და სხვ.
- 10 ქერცლოვანები და სხვ.

ახალზელანდიური ხოჭო სტაფილინი მიიჩნია. რაღა თქმა უნდა, კუზენმა ბენედიქტმა დიდ თანხად დააზღვია თავისი ტვირთი. მას ეს კოლექცია ბევრად

უფრო ძვირად უღირდა, ვიდრე "პილიგრიმის" ტრიუმში ჩატვირთული ვეშაპის ქონითა და ულვაშებით სავსე კასრები.

როცა მისის უელდონი და მისი თანამგზავრები გემზე ავიდნენ, მათთან მივიდა კაპიტანი ჰული და გამოუცხადა:

- მისის უელდონ! რადგან "პილიგრიმით" მგზავრობა გადაწყვიტეთ, ცხადია, პასუხისმგებლობასაც კისრულობთ.

- რატომ მეუბნებით ამას, ბატონო ჰული? - ჰკითხა ქალმა.

- იმიტომ, რომ "პილიგრიმი" ვერ შეედრება სამგზავრო ხომალდებს და, რაც მთავარია, თქვენს წყვანაზე არავითარი განკარგულება არ მიმიღია თქვენი მეუღლისაგან!

- თქვენ გგონიათ, ჩემი მეუღლე რომ აქ იყოს, "პილიგრიმით" არ გაგვამგზავრებდა?

- ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენი მეუღლე ამაზე თავს არ შეიკავებდა ისევე, როგორც მე! "პილიგრიმი" კარგი გემია, მიუხედავად თევზჭერის კაპმანიის სავალალო შედეგებისა, მე სავსებით ვენდობი მას. ეს მხოლოდ იმიტომ მოგახსენეთ, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა მეკისრებოდეს და თანაც შეგახსენეთ, რომ გემზე ჩვეული კომფორტი არ გექნებათ.

- თუ საქმე მხოლოდ კომფორტია, მე ეს არ მაშინებს, - უპასუხა მისის უელდონმა, - მე იმ ჭირვეულ მგზავრებს არ ვგავარ, მუდმ კაიუტის სივიწროვესა და საჭმელის სიმცირეზე რომ წუწუნებენ.

მისის უელდონი ერთხანს პატარა ჯეკს მიაჩერდა, შემდეგ კი წარმოთქვა:

- გზას გავუდგეთ, ბატონო ჰული!

კაპიტნის ბრძანებით ლუზა ამოსწიეს, იალქნები აღმართეს და "პილიგრიმმა" გეზი ამერიკისაკენ აიღო. სამიოდე დღის შემდეგ აღმოსავლეთის ძლიერი ქარით შეფერხებული შხუნა-ბრიგი იძულებული გახდა, მიმართულება შეეცვალა, რათა ქარის საწინააღმდეგოდ ევლო.

ამგვარად, 2 თებერვალს კაპიტანი ჰული ჯერ კიდევ გაცილებით ჩრდილოეთით იმყოფებოდა, ვიდრე უნდოდა. იგი ძალაუნებურად მიემართებოდა ისეთი გზით, თითქოს ჰორნის კონცხის შემოვლას აპირებს და არა ამერიკის კონტინენტისაკენ უმოკლესი გზით გამგზავრებასო.

თავი II

დიკ სენდი

ზღვა მშვიდი იყო და დაგვიანება რომ არა, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

მისის უელდონი შეძებლისდაგვარად მოხერხებულად მოეწყო "პილიგრიმზე". ვერც გემის ცხივრზე და ვერც კიჩოზე ისეც ჯიხურს ან კაიუტას ვერ ნახავდით, სადაც ქალის დაბინავება შეიძლებოდა. ამიტომ მისის უელდონი კაპიტან ჰულის ოთახით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ქალმა უარი თქვა ამ კაუტის დაკავებაზე და კაპიტან ჰულს ბევრი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა, რომ იგი დაეთანხმებინა. ამ პატარა ოთახში დაბინავდნენ მისის უელდონი თავისი ბიჭუნათი და მოხუცი ნანი. ისინი აქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კაპიტანთან და კუზენ ბენედიქტთან ერთად, რომელსაც გემის წინა ნაწილში რაღაც ოთახის მსგავსი სათავსო მიუჩინეს.

"პილიგრიმის" მეთაური კი კაპიტნის მოადგილისათვის განკუთვნილ ოთახში გადასახლდა. შუნა-ბრიგს კაპიტნის მოადგილე არა ჰყავდა, რადგან გემის მეპატრონე ზედმეტ ხარჯს ერიდებოდა.

"პილიგრიმის" ეკიპაჟი გამოცდილი და ღონიერი მეზღვაურისაგან შედგებოდა. ისინი მეოთხე წელი იყო ერთად თევზაობდნენ და უკვე კარგად შეწყობოდნენ ერთიმეორეს. მეზღვაურები ადრეც იცნობდნენ ერთმანეთს, ყველანი კალიფორნიის სანაპიროს მკვიდრნი იყვნენ. ეს მამაცი ადამიანი გემის მფლობელისადმი სიყვარულითა და პატივისცემით მეტად თავაზიანად ეპყრობოდნენ მისის უელდონს.

მეზღვაურებს დიდი მოგების იმედი ჰქონდათ და ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ ნაოსნობის წარმატებით. ისინი თავდაუზოგავად შრომობდნენ, რადგან ამით საერთო საქმეც წინ მიდიოდა და თვითონაც მოგებიდან წილს იღებდნენ. ამჯერად კი მათ ვერავითარი სარფა ვერ ნახეს და აღშფოთებული ლანძღავდნენ "ახალხელანდიელ არამზადებს".

გემზე მხოლოდ ერთი კაცი არ იყო ამერიკელი. იგი პორტუგალიელი იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად იცოდა ინგლისური. სახელად ნეგორო ერქვა. გემზე მზარეულის მოვალეობას ასრულებდა. "პილიგრიმის" მზარეული ოკლენდში გაიქცა და მის ნაცვლად უმუშევარი ნეგორო აიყვანეს. ნეგორო ცუდად არ უძღვებოდა თავის საქმეს, მაგრამ სიტყვამუნწი და გულჩახვეული კაცი გამოდგა. ეტყობა, კაპიტან ჰულს მახვილი თვალი ჰქონდა და არ შემეცდარა, ნეგორო რომ დაიქირავა - გემზე ყოფნის განმავლობაში მზარეულს ერთი საყვედურიც არ დაუმსახურებია. მიუხედავად ამისა, კაპიტანი მაინც ნანობდა, რომ ვერ მოიცილა და კარგად ვერ გამოიძია ნეგოროს წარსული. მზარეულის გარეგნობა, უფრო კი გამოხედვა, ექვს ბადებდა. ესეც არ იყოს, სასურველია, ახალი წევრის წარსული ბურუსით არ იყოს მოცული, მით უმეტეს, როცა ეკიპაჟი მცირერიცხოვანია.

ნეგორო ორმოც წელს მიტანული იქნებოდა. ეს ნერვიული, შავგვრემანი, მხედაკრული კაცი ღონიერი ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ხმელ-ხმელი იყო და ვერც სიმაღლით დაიკვეხნიდა. ჰქონდა თუ არა რაიმე განათლება? თუ კანტიკუნტად ნასროლი შენიშვნების მიხედვით ვისმჯელებთ, ეტყობა, ჰქონდა. ნეგორო არასოდეს არ ლაპარაკობდა წარსულზე, სიტყვა არ დასცდებოდა თავის ოჯახზე. ძნელი იყო იმის გამოცნობა, თუ რა გადახდომოდა თავს, ანდა როგორი იქნებოდა მისი მომავალი. იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ვალპარაისოში უნდოდა ჩასვლა.

ნეგორო, მართლაც, უცნაური და თავისებური კაცი იყო. აშკარად ეტყობოდა, მეზღვაურად არ ემუშავა, რადგან ბევრი ისეთი რამის უმეცარი ჩანდა, რაც გემის მზარეულმა უნდა იცოდეს - იგი ხომ ცხოვრების მეტ წილს ზღვაში ატარებს! სამაგიეროდ, ნეგოროზე არ მოქმედებდა არც სიგრძივი და არც განივი რყევა, რასაც გემის მზარეულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნეგორო გემბანზე თითქმის არასოდეს ჩნდებოდა. სულ თავის ციციქნა სამზარეულოში ტრიალებდა თუჯის ქურასთან. ქურს მთელი სამზარეულო ეჭირა. დადამდებოდა თუ არა, ნეგორო ქურას ჩააქრობდა, გემის ცხვირზე მოთავსებულ პატარა ოთახში შეძვრებოდა, ლოგინში ჩაწვებოდა და მაშინვე იძინებდა.

ჩვენ უკვე მოვახსენეთ, რომ "პილიგრიმის" ეკიპაჟი ხუთი გამოცდილი და ერთი ახალბედა მეზღვაურისაგან შედგებოდა. არავინ იცოდა, ვისი შვილი იყო ეს ხუთმეტი წლის ახალბედა. მშობლებს დაბადებისთანავე მიუტოვებიათ იგი და უმწეო არსება ლმობიერ ადამიანებს შეუვრდომებიათ და გაუზრდიათ.

დიკ სენდი - ასე ერქვა მას - წარმოშობით ნიუ-იორკის შტატიდან, შესაძლოა, თვით ნიუ-იორკიდანაც იყო.

სახელი დიკი - შემოკლებული რიჩარდიდან - პატარა, უპატრონო ბიჭს იმ გულმოწყალე გამვლელის პატივსაცემად შეარქვეს, რომელმაც ბიჭუნა იპოვა და ბავშვთა თავშესაფერში მიიყვანა, ხოლო გვარი სენდი¹ იმ ადგილის სამახსოვროდ მისცეს, სადაც იპოვეს, ე.ი. სენდი-ჰუკის ქვიშიან ნახევარკუნძულზე, რომელიც ნიუ-იორკის ნავსადგურის ყელში, მდინარე ჰუდონის შესართავთან მდებარეობს.

დიკ სენდი საშუალო ტანის (მომავალში მეტს, ალბათ, აღარც გაიზრდებოდა), ძლიერი აღნაგობის, ჩასხმული ახალგაზრდა გახლდათ. მის ანგლოსაქსურ წარმოშობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა: შავგვრემანი იყო და ცისფერი ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა. მეზღვაურობამ იგი საკმარისად გამოაწრთო და ახლა, ალბათ, ადვილად გაუმკლავდებოდა ცხოვრების სიძნელეებს. ჭკვიან, ენერგიულ ბიჭს სახეზე ეტყობოდა, რომ თამამი კი არა, მამაცი იყო. ხშირად მოჰყავთ ვირგილიუსის დაუმთავრებელი ლექსიდან ეს სამი სიტყვა: Audaces fortuna juvat (თამამებს ბედი სწყალობს), მაგრამ შეცდომით ახდენენ მის ციტირებას. პოეტმა სთქვა: Audentes fortuna juvat (მამაცებს ბედი სწყალობს). ბედი თითქმის ყოველთვის უღიმის მამაცებს და არა თამამებს. თამამი შეიძლება დაუფიქრებლად მოქმედებდეს, მამაცი კი ჯერ ფიქრობს, ხოლო შემდეგ მოქმედებს - ამაშია განსხვავება.

დიკ სენდი სწორედ მამაცი იყო. თხუთმეტი წლისას უკვე შეეძლო გადაწყვეტილების გამოტანაც და მისი შესრულებაც. კაცს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მისი ცოცხალი და ამასთან დინჯი სახე. თავის ტოლ ბიჭებს სულ არა ჰგავდა - მათზე ბევრად უფრო სიტყვამუნწი და თავშეკავებული იყო.

დიკ სენდი ბავშობიდანვე ჩახვდა თავის უნუგეშო მდგომარეობას. ამიტომაც გადაწყვიტა, სხვის დაუხმარებლად დამდგარიყო ფეხზე და შეძლო კიდევ. ახლა იგი უკვე დასრულებული კაცი იყო, მისი თანატოლები კი ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკს ვერ გასცილებოდნენ. ყოველგვარ საქმეს სწრაფად, მარჯვედ და საზრიანად აკეთებდა. დიკ სენდის მსგავს ადამიანებზე ამბობენ ხოლმე, "ხელიდან ყველაფერი გამოუდითო". როგორც უკვე ვთქვით, პატარა ბიჭუნას კეთილმა ადამიანებმა უპატრონეს. ჯერ ამერიკის ერთ-ერთ ბავშვთა სახლში მოათავსეს, სადაც ასეთი უთვისტომო ბავშვისათვის ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ოთხი წლის დიკმა წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლა დაიწყო ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთ ისეთ სკოლაში, რომელსაც გულუხვი ქველმოქმედები თავიანთი ხარჯით ინახავდნენ ხოლმე.

დაბადებიდან თანდაყოლილმა ზღვისადმი ლტოლვამ რვა წლის დიკ სენდი იუნგად მიიყვანა გემზე, რომელიც სამხრეთის ზღვებში ნაოსნობდა. აქ მან მეზღვაურობა ისწავლა. ამ რთულ ხელობას დიკ სენდი გემის ოფიცერთა ხელმძღვანელობით დაეუფლა. ეს ოფიცრები დაინტერესდნენ პატარა ბიჭუნათი. იუნგა დროზე უნდა გახდეს უმცროსი მეზღვაური და შემდეგ, ცხადია უკეთესი მერიმისის იმედიც იქონიოს.

ბავშვი იმთავითვე ჩაწვდა ცხოვრების კანონს, შეისისხლორცა ბიბლიის მცნება - "ოფლითა პირისა შენისათა შეჭამდე პურსა შენსა", მცნება, რომელიც კაცობრიობისათვის ცხოვრების წესად იქცა. ასეთი ბავშვები დიდი საქმისათვის არიან

1 "სენდ" ინგლისურად ქვიშას ნიშნავს.

მოწოდებულნი და დადგება დრო, როცა მათ ნებისყოფასთან ერთად ძალაც აღმოაჩნდებათ ხოლმე ამ საქმეთა შესასრულებლად.

კაპიტანმა ჰულმა მაშინ მიაქცია ყურადღება დიკ სენდს, როცა ბიჭი იუნგად მუშაობდა გემზე. ეს უშიშარი მეზღვაური დაუმეგობრდა მამაც იუნგას და ცოტა მოგვიანებით მისი ამბავი ჯეიმს უელდონს მოუთხრო. გემის მფლობელი ძალზე დაინტერესდა უპატრონო ბიჭუნათი, მიაღებინა განათლება სან-ფრანცისკოში და აზიარა კათოლიკურ სარწმუნოებას, რომლის მიმდევარიც იყო მთელი მისი ოჯახი.

დიკ სენდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა გეოგრაფიისა და მოგზაურობებისადმი და ერთი სული ჰქონდა, როდის შეისწავლიდა მათემატიკის იმ ნაწილს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ნავიგაციასთან. თეორიულ განათლებასთან ერთად დიკ სენდი პრაქტიკულადაც იწრთობოდა. იგი უმცროს მეზღვაურად მოწყო "პილიგრიმზე", ვინაიდან ნამდვილმა მეზღვაურმა კარგად უნდა იცოდეს როგორც ვეშაპებზე ნადირობის, ასევე შორეული ნაოსნობის წესები. ეს იყო შესანიშნავი წრთობა იმ მოულოდნელობათა გადასალახავად, რომლითაც აღსავსეა მეზღვაურის ცოვრება. ამასთან დიკ სენდი თავისი კეთილისმყოფელის, ჯეიმს

უელდონის გემზე იმყოფებოდა, გემს კი მისი მფარველი, კაპიტანუ ჰული, მართავდა. ასე რომ, იგი შესანიშნავ პირობებში მოხვდა.

დიკი უსაზღვროდ ერთგული იყო უელდონების ოჯახისა. ამ ერთგულეაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამას ფაქტები უკეთ დაგიდასტურებენ მომავალში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაუხარდა ახალგაზრდა მეზღვაურს, როცა გაიგო, რომ მისი უელდონი "პილიგრიმი" იმგზავრებდა. ეს ქალი ხომ რამდენიმე წლის განმავლობაში დედობას უწევდა უპატრონო ბიჭს, ხოლო ჯეკი - უმცროს ძმად მიაჩნდა, თუმცა დიკ სენდმა ძალიან კარგად იცოდა, რა უფსკრულიც ჰყოფდა მას მდიდარი გაემთმფლობელის შვილისაგან. დიკ სენდის მფარველებმა დაინახეს, რომ მათი სიკეთის თესლს ნოყიერი ნიადაგი დახვდა. უთვისტომო ბიჭს გული მადლიერების გრძნობით ჰქონდა სავსე და, თუკი საჭირო იქნებოდა, უყოყმანოდ შესწირავდა სიცოცხლეს იმათ, ვინც განათლება მისცა და ღვთის სიყვარული შთაუწერა. ერთი სიტყვით, თხუთმეტი წლის ასაკში დიკ სენდი ოცდაათი წლის კაცივით იქცეოდა და აზროვნებდა.

მისი უელდონმა იცოდა დიკ სენდის ფასი. იგი უყოყმანოდ ანდობდა მას პატარა ჯეკს. დიკს ბავშვი ძალიან უყვარდა. ბავშვიც გრძნობდა "უფროსი ძმის" სიყვარულს და გვერდიდან არა სცილდებოდა.

როდესაც ზღვა მშვიდია, აფთრები გაშლილი და მანევრები არაა საჭირო, მეზღვაურებს ბევრი თავისუფალი დრო აქვთ.

დიკი და ჯეკი თითქმის სულ ერთად იყვნენ. ახალგაზრდა მეზღვაური ყოველ ღონეს ხმარობდა ბავშვის გასართობად. მისი უელდონი მშვიდად ადევნებდა თვალს ჯეკს, რომელიც დიკ სენდთან ერთად ხან ვანტებზე მიძვრებოდა, ხან კი გროტ ანძის წვერზე აბობლდებოდა, მერე ბრამ-ანძის კადონებზე გადავიდოდა და შურდულივით ეშვებოდა ხოლმე ძირს, გემბანზე.

დიკ სენდი ნიადაგ თან ახლდა ჯეკს, ხან წინ მიუძროდა, ხან უკან მისდევდა, რომ ხელი შეეშველებინა ან დაეჭირა, თუკი ხუთი წლის ბიჭუნას ღონე უმტყუნებდა და სუსტი მკლავები დაეღლებოდა. ასეთი გართობა ჯეკისათვის სასარგებლო იყო, რადგან იგი დაესუსტებინა გადატანილ ავადმყოფობას და ახლა ძალზე ფერმიხდილი ჩანდა. "პილიგრიმი" გემბანზე ამ ყოველდღიურმა ვარჯიშმა და ზღვის სუფთა ჰაერმა ბიჭუნას მალე დაუბრუნა ფერი.

ასე მიდიოდა დღეები შხუნა-ბრიგზე და ცოტა სწრაფად რომ ევლოთ, მგზავრები და გემის ეკიპაჟი უფრო კმაყოფილნი იქნებოდნენ.

აღმოსავლეთის ქარი არ ცხრებოდა და კაპიტანი ჰული წუხდა, მან ვერასგზით ვერ მოახერხა სწორი კურსის დაჭერა. თხის რქის ტროპიკთან უქარო ამინდები იცის და კაპიტანს ეშინოდა, რომ კიდევ უფრო შეფერხდებოდნენ. გარდა ამისა, ისიც საფიქრებელი იყო, რომ ეკვატორული დინება დასავლეთისკენ გადახრიდა გემის კურსს.

კაპიტანი ძალზე წუხდა, რომ მისი უელდონს აგვიანებდა, თუმცა ეს მისი ბრალი არ იყო. ხშირად უფიქრია - ამერიკისაკენ მიმავალი საოკეანო გემი რომ შემხვდეს, ქალს იმაზე გადავსვამო. სამწუხაროდ, "პილიგრიმი" უკვე საკმაოდ მაღალ განედებში იმყოფებოდა და პანამისაკენ მიმავალი გემის შეხვედრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მაშინ ხომ არც ისე ხშირად დადიოდა გემები ავსტრალიასა და ამერიკას შორის. რაღა გაეწყობოდა, უნდა დამორჩილებოდნენ ღვთის ნებას. თითქოს ეს ერთფეროვანი მოგზაურობა არაფერს არ უნდა შეეცვალა, მაგრამ ორ თებერვალს, მოთხრობის დასაწყისში აღნიშნულ გრძედს და განედზე მოულოდნელი ამბავი მოხდა.

იმ დღეს ნათელი დილა გათენდა. ცხრა საათზე დიკ სენდი და ჯეკი ბრამ-ანძის კადონზე აცოცდნენ. აქედან მთელი ხომალდი და ოკეანის დიდი ნაწილი ხელისგულივით მოჩანდა. უკან გროტ-ანძა, ზედ მიმაგრებული დახრილი გროტით ჰორიზონტს ფარავდა. მათ წინ ბუმპრიტი კლივერით და სტაქსელით სამ გაშლილ ფრთას მოგაგონებდათ. ბიჭების ფეხქვეშ ფოკი ამობურცულიყო, ხოლო ზევით, ფოკმარსელი ნიავის ოდნავ დაქროლვაზეც კი ირხეოდა. შხუნა-ბრიგი მარჯვნივ დახრილი მიცურავდა და ქარს საკმაოდ კარგად უმკლავდებოდა. დიკ სენდი

ჯეს უხსნიდა, კარგად დატვირთული და გაწონასწორებული ხომალდი უფრო მეტადაც რომ გადაიხაროს, მაინც არ გადაყირავდებაო.

უცხად პატარა ბიჭმა სიტყვა გააწყვეტინა:

- იქ რა მოჩანს?

- რიმე შეამჩნიე, ჯეკ? - ჰკითხა დიკ სენდმა და მთელი ტანით აიძარტა ქანდარაზე.

- ჰო, აგერ იქ! - პატარა ჯეკმა მიუთითა ზღვის ერთ წერტილზე, რომელიც კლივერსა და სტაქსელს შორის მოჩანდა.

დიკ სენდი დააკვირდა იმ წერტილს და შეჰყვირა:

- მარცხნივ, წინ, ქარისაკენ! დამსხვრეულ გემს ვხედავ!

თავი III

დაღუპული გემი

დიკ სენდის ყვრილიმა გემის მთელი ეკიპაჟი ფეხზე დააყენა. მეზღვაურები გემბანზე აცვივდნენ. კაპიტანმა ჰულმაც დატოვა თავისი კაიუტა და გემის ქიმისაკენ გაეშურა. მისის უელდონი, ნანი და გულგრილი კუზენი ბენედიქტიც კი მარჯვენა ბორტის მოაჯირზე გადაყუდებულიყვნენ და დაკვირვებით იცქირებოდნენ იქითკენ, სადაც ახალგაზრდა მეზღვაურმა გემის ნამსხვრევები შეამჩნია.

მხოლოდ ნეგორო დარჩა თავის სამზარეულოსი, მარტო ის არ დაინტერესებულა დაღუპული გემის ამბით. ყველა გაფაციცებით შესცქეროდა საგანს, რომელიც მათგან სამი მილის დაშორებით ირწეოდა ტალღებზე.

- ნეტა რა უნდა იყოს? - იკითხა ერთ-ერთმა მეზღვაურმა.

- მიტოვებული ტივი იქნება! - უპასუხა მეორემ.

- იქნებ ამ ტივზე ხალხიც არის? საცოდავები! - სთქვა მისის უელდონმა.

- ახლავე გავიგებთ, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - მაგრამ ტივი არ უნდა იყოს, უფრო ამოყირავებულ გემსა ჰგავს.

- ნეტავს, ზღვის რაიმე ცხოველი ხომ არ არის, რომელიმე დიდი ზომის ძუძუმწოვარი? - თქვა კუზენ ბენედიქტმა.

- არა მგონია, - უპასუხა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- როგორ ფიქრობ, რა უნდა იყოს, დიკ? - იკითხა მისის უელდონმა.

- ამოყირავებული გემი უნდა იყოს, როგორც კაპიტანმა ჰულმა თქვა, მისის უელდონ. თითქოს ძირსაც ვხედავ, მზეზე ბრწყინავს.

- ჰო... სწორია... - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა და მესაჭეს მიუბრუნდა: - ბოლტონ, საჭე ისე მიაბრუნე ქარისაკენ, რომ მივუახლოვდეთ!

- არის! - მიუგო მესაჭემ.

- მე მაინც იმას ვფიქრობ, რაც უკვე მოგახსენეთ, - წარმოთქვა კუზენმა ბენედიქტმა, - ნამდვილად ცხოველია.

- მაშინ სპილენძის ვეშაპი იქნება, რადგან თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ ბრჭყვიალებს მზეზე, - დასცინა კაპიტანმა ჰულმა.

- ასეა თუ ისე, კუზენ ბენედიქტ, - დაუმატა მისის უელდონმა, - ერთი რამ ცხადია, ვეშაპი მკვდარია, რადგან იგი სულ არ ინძრევა.

- კუზინა უელდონ, - ჯიუტად განაგრო ბენედიქტმა, - განა არ მომხდარა, რომ გემი ზღვის ტალღებზე მძინარე ვეშაპს გადაჰკრია?

- მართალია, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - მაგრამ ამჯერად ჩვენს წინაშე ვეშაპი კი არა, გემია.

- ვნახოთ, - თქვა კუზენმა ბენედიქტმა, რომელიც არქტიკის ან ანტრაქტიდის ზღვების ყველა ძუძუმწოვარს სიამოვნებით გაცვლიდა ერთ-ერთ იშვიათი სახეობის მწერში.

- მიდი, ბოლტონ, მიდი, - ისევ დაიყვირა კაპიტანმა ჰულმა, - ოღონდ გემის ნამსხვრევებს მთლად ზედ ნუ მიადგები, ერთი კაბელტოვით მიუახლოვდი, არ დავეჯახოთ და გვერდები არ მიუღწეოს ჩვენს "პილიგრიმს". ქარისაკენ მოაბრუნე, ბოლტონ!

ბოლტონმა საჭე ოდნავ მოაბრუნა და "პილიგრიმის" ქიმიც შებრუნდა.

შხუნა-ბრიგი ახლა ერთი მილითღა იყო დაშორებული გემიდან. ძვირფასი ტვირტის აღმოჩენის მოიმედე მეზღვაურები მას გაფაციცებით ათვალთვობდნენ. ცნობილია, რომ ტვირტის გადამრჩენთ მისი ღირებულების მესამედი ეკუთვნით და თუ ტვირტი გაფუჭებული არ იქნებოდა, "პილიგრიმის" ეკიპაჟი კარგ ნადავლს იგდებდა ხელთ. ეს კი მცირე ნუგეში მაინც იყო ხელმოცარული მეთევზეთათვის.

თხუთმეტ წუთში გემს და "პილიგრიმს" შორის ნახევარი მილიღა იყო დარჩენილი.

უცნობი საგანი, მართლაც, გემი აღმოჩნდა. გემის აყირავებული მარჯვენა გვერდი ისე დახრილიყო, რომ გემბანზე კაცი ფეხს ვერ მოიკიდებდა, ანძებიდან აღარაფერი გადარჩენილიყო, გემსართავიდან მხოლოდ გაგლეჯილი ტროსის ბოლოები და გაწყვეტილი ჯაჭვები კონწიალობდა.

მარჯვენა ბორტის ვერტიკალურ კედელზე, გემის სამაგრსა და შემონაკერს შორის დიდი ნაპრალი მოჩანდა.

- მეორე გემს დასჯახებია, - წამოიძახა დიკ სენდმა.

- ეჭვი არ არის, - დაუდასტურა კაპიტანმა ჰულმა, - საოცარია, მაშინვე რომ არ ჩაიძირა.

- თუ მართლაც ასეა, - შენიშნა მისის უელდონმა, - ალბათ, ეკიპაჟი იმ გემმა წაიყვანა.

- ჰო, შესაძლოა, - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - თუკი გემმა, რომელიც ამას დაეჯახა, თავისი გზა განაგრძო, მაშინ ამ გემის ეკიპაჟს საკუთარი კანჯოები დასჭირდებოდა თავის გადასარჩენად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე!

- ბატონო ჰულ! ნუთუ ეს შესაძლებელია! ეს საშინელი ბარბაროსობაა!

- დიახ, მისის უელდონ, დიახ, ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ხშირია! ამ გემის ეკიპაჟსაც, ჩემი აზრით, არავინ დახმარებია, რადგან აქ არც ერთი ნავი არ ჩანს. ეკიპაჟი შეეცდებოდა, მიეღწია მიწისათვის, მაგრამ ეჭვი არაა, ვერ შეძლებდა, რადგან ძალიან შორსა ვართ ამერიკის კონტინენტისა და ოკეანის კუნძულებიდან.

- შესაძლოა, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგოთ ამ კატასტროფის საიდუმლოება! თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეკიპაჟის რომელიმე წევრი დარჩა გემზე! - თქვა მისის უელდონმა.

- მისის უელდონ, ეს თითქმის შეუძლებელია, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - ისინი შეამჩნევდნენ ჩვენს მიახლოებას და რაიმე ნიშანს მოგვცემდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ მთლად ნუ დაგვარგავთ იმედს. ცოტა მოაბრუნე, ბოლტონ, მოაბრუნე! - ბრძანა კაპიტანმა ჰულმა და ხელითაც ანიშნა, აი, იქით უნდა წავიდეთო.

"პილიგრიმი" სამი კაბელტოვითღა იყო დაშორებული გემისაგან, რომ უკვე აშკრად დაინახეს, იგი მთელ ეკიპაჟს დაეტოვებინა.

უცებ დიკ სენდმა ხელით ანიშნა ყველას, გაჩუმებულიყვნენ.

- უსმინეთ! უსმინეთ! - შესძახა მან.

ყველა გაისუსა.

- თითქოს ყეფა მესმის! - შეჰყვირა დიკ სენდმა.

მართლაც, გემიდან ყრუდ მოისმოდა ძალის ყეფა. იგი თითქოს ჰერმეტიულად დაკეტილ კაიუტაში იყო დამწყვდეული. ყოველ შემთხვევაში, ძალს ვერ ხედავდნენ, რადგან გემბანი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

- ბატონო ჰულ. შეიძლება ადამიანი მართლაც არ არის გემზე, მაგრამ მაინც გადავსვათ ვინმე და ძალის გადავარჩინოთ, - თქვა მისის უელდონმა.

- გადავარჩინოთ! - წამოიძახა პატარა ჯეკმა, - გადავარჩინოთ! მე თვითონ ვაჭმევ, იგი შეგვიყვარებს.... დედიკო, წავალ, შაქრის ნატებს მოვუძებნი.

- გაჩუმდი, შვილო, - უთხრა ღიმილით მისის უელდონმა. - საცოდავი ცხოველი ალბათ შიმშილით კვდება და შენს შაქრის ნატებს უბრალო სალაფავი ურჩევნია.

- მასინ ჩემი წვნიანი მიეცით! - წამოიძახა პატარა ჯეკმა, - მე უიმისოდაც გავძლებ!
ყეფა უფრო და უფრო გარკვევით მოისმოდა.

სამიოდე ფუტილა ამორებდა გემებს, როდესაც მაჯრვენა ბორტზე გამოჩნდა ბადეზე წინა
თათებით ჩაბლაუჭებული ვეება ძალლი, რომელიც გააფთრებით ყეფდა.

- ჰოვიკ! - მიუბრუნდა კაპიტანი "პილიგრიმის" ბოცმანს, - გემი დრეიფზე დააყენეთ და
უბრზანეთ, ზღვაში პატარა ნავი ჩაუშვან.

- გამაგრდი, ჩემო ცუგა, გამაგრდი! - უყვიროდა პატარა ჯეკი ცხოველს, ისიც თითქოს
ყეფით აძლევდა პასუხს.

"პილიგრიმის" აფრები ისე იყო აღმართული, რომ გემი თითქმის არ იძვროდა. იგი
ნახევარი კაბელტოვით იყო დაცილებული დამსხვრეული გემისაგან.

ჩაშვებისთანავე ნავში კაპიტანი ჰული, დიკ სენდი და ორი მეზღვაური ჩახტა.

ძალლი სულმოუთქმელად ყეფდა. იგი ცდილობდა ბორტის ბადეზე გაჩერებას, მაგრამ ფეხი
უსხლტებოდა, თავს ვერ იმაგრებდა და ისევ გემბანზე ეცემოდა. ეტყობოდა, იგი "პილიგრიმის"
მგზავრებს არ უყეფდა. იქნებ გემში გამოკეთილ მეზღვაურებს ან მგზავრებს უხმობდა?

"ნუთუ ვინმე გადარჩა ცოცხალი?" - გაიფიქრა მისის უელდონმა.

ნავის ნიჩბების რამდენიმე მოსმალა დარჩენოდა გემამდე მისასვლელად, რომ ძალმა ხმა
შეიცვალა. ახლა იგი საშინლად გაბრაზებული ჩანდა და დაბოხებული ხმით ყეფდა.

- რა დაემართა ამ ძალს? - იკითხა კაპიტანმა ჰულმა, როცა ნავმა უკნიდა შემოუარა გემს,
რომ გემბანის წყალში ჩაძირულ ნაწილს მისდგომოდა.

კაპიტან ჰულსა და გემზე მყოფთ არ შეუძინებიათ, რომ ძალლი სწორედ მაშინ გახელდა,
როცა ნეგორო თავის სამზარეულოდან გამოვიდა და გემბანისაკენ გაემართა.

ნუთუ ძალმა მზრეული იცნო? ეს შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ძალლის
დანახვისას ნეგოროს გაოცება არ დასტყობია, მხოლოდ ოდნავ შეეჭმუნა შუბლი და მაშინვე
სამზარეულოსაკენ გაბრუნდა.

ამასობაში ნავი მიუახლოვდა გემს, რომელზედაც ეწერა ერთადერთი სიტყვა "ვადეკი".
პორტის სახელწოდება გემზე არ ჩანდა, მაგრამ ფორმითა და ზოგიერთი ისეთი წვრილმანით,
რომელიც იშვიათად გამოეპარება დაკვირვებული მეზღვაურის თვალს, კაპიტანი ჰული მიხვდა,
რომ ამერიკული გემი უნდა ყოფილიყო. ამას მისი სახელწოდებაც ადასტურებდა. ამ
ხუთასტონიანი დიდი ბრიგისაგან კორპუსილა იყო დარჩენილი. "ვალდეკის" ცხვირზე მოჩანდა
საკმაოდ დიდი შემტვრეული ადგილი. ეტყობოდა, გემი სწორედ ამ ნაწილით დასჯახებოდა
რადაცას. გემის გადაბრუნებისას ეს ადგილი ხუთი-ექვსი ფუტით წყლის ზევით მოქცეულიყო
და გემიც ამიტომ არ ჩაძირულიყო.

კაპიტანმა ჰულმა გემი დაკვირვებით შეათვალიერა. არავინ ჩანდა. ძალმა ბორტის ბადე
მიატოვა და სულმოუთქმელი ყეფით ჩამოცურდა გემის ღია ცენტრალურ სათოფურამდე.

- ეს ძალლი მარტო არ უნდა იყოს გემზე, - შენიშნა დიკ სენდმა.

- აშკარაა! - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა.

ნავი გაუსწორდა სანახევროდ ჩაძირულ მარცხენა ბორტის ბადეს. "ვალდეკს" ზღვის
ოდნავი ლელვაც კი რამდენიმე წუთში ჩასძირავდა. გემბანი მთლად ცარიელი იყო. მხოლოდ
პიარტნერსიდან ორი ფუტის დაშორებით მოჩანდა გროტ-ანძისა და ფოკ ანძის გადატეხილი
ფუძეები. ეტყობოდა, ისინი დაჯახებისას გადაიმსხვრნენ და თან გადაიყოლეს ვანტი, იალქნები
და გემსართავი.

თვალსაწიერზე გემის ერთი ნაწილიც კი არ ჩანდა. ეტყობოდა, კატასტროფა რამდენიმე
დღის წინ მომხდარიყო.

- ვინმე კიდევ რომ გადარჩენილიყო კატასტროფის შემდეგ, შიმშილი ან წყურილი
მოუღებდა ბოლოს. სამზარეულო წყლითაა სავსე. გემზე, ალბათ, მხოლოდ გვამებია, - თქვა
კაპიტანმა ჰულმა.

- არა! - შეჰყვირა დიკ სენდმა. - იქ უთუოდ ცოცხლებიც არიან, თორემ ძალლი ასე
გამწარებული არ იქნებოდა.

ახალგაზრდა მეზღვაურის დამახეზაზე ძალი ჩახტა ზღვაში და დასუსტებულმა გაჭირვებით გასცურა ნავისაკენ. ნავში აყვანილსთანავე იგი ხარბად ეცა მტკნარი წყლით სავსე კოდს და ზედაც არ შეხედა პურის ნატებს, რომელიც დიკ სენდმა გაუწოდა.

- საწყალი ძალი, წყურვილით მომკვდარა, - თქვა დიკ სენდმა.

ნავი "ვალდეკთან" მისადგომად უფრო მოხერხებულ ადგილს ეძებდა და რამდენიმე საჟინით დასცილდა მას. ძალს კი ეგონა, მშველელეები გემზე ასვლას არ აპირებენო, სწვდა დიკ სენდის ქურთუკს და საცოდავი ყეფა და წკმუტუნი ატეხა.

ძალის საქციელი ისევ გასაგები იყო, როგორც ადამიანების ენა. ნავი მაშინვე მიცურდა მარცხენა ბორტის კრამბოლთან. ორმ მეზღვაურმა ნავი საიმედოდ დაამაგრა, ხოლო კაპიტანი ჰული და დიკ სენდი ძალთან ერთად გემბანზე ავიდნენ. მათ ძლივს მიაღწიეს ანძის ორ ნამსხვრევს შორის მოთავსებულ სათოფურამდე და ტრიუმში ჩავიდნენ.

ნახევრად წყლით სავსე ტრიუმში არავითარი საქონელი არ აღმოჩნდა. ბრიგის ბალასტი ქვიშა იყო, რომელიც მარცხნივ გადაყრილიყო და გემი აყვარავებინა. აქ არაფერი იყო გადასარჩენი.

- აქ არავინაა, - თქვა კაპიტანმა ჰულმა.

- არავინ! - დაუმოწმა ტრიუმიდან ახალგაზრდა მეზღვაურმა.

მაგრამ გემბანზე ძალი ყეფას არ წყვეტდა. თითქოს დაჟინებით თხოულობდა ადამიანების ყურადღებას.

- ავიდეთ! - თქვა კაპიტანმა ჰულმა.

ისინი ისევ ავიდნენ გემბანზე. ძალი ირგლივ უტრიალდა მათ და დაჟინებით ეწეოდა გემის ცხვირისაკენ.

ისინი გაჰყვნენ. იქ, კუბრიკში, იატაკზე, ადამიანთა გვამები ეყარა. ნაპრალიდან შემოჭრილი სინათლის შუქზე კაპიტანმა ჰულმა ხუთი ზანგის სხეული გაარჩია.

დიკ სენდმა, რომელიც დაკვირვებით ათვალიერებდა თითოეულ მათგანს, შეამჩნია, რომ უბედურები ჯერ კიდევ სუნთქავდნენ.

- გემზე! გემზე! - შეჰყვირა კაპიტანმა ჰულმა.

დაუმახეს ნავში მყოფ მეზღვაურებს. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენიმე წუთის შემდეგ ხუთივე ზანგი უკვე ნავში იყო. გონზე არ ერთი არ მოსულა და არც ერთს არ გაუგია, როგორ ცდილობდნენ მათ გადარჩენას. წამლის რამდენიმე წვეთსა და ცივ წყალს შეეძლო მათთვის სიცოცხლის დაბრუნება.

ნავმა მალე მიაღწია "პილიგრიმს", რადგან მათ შორის რაღა ნახევარი კაბელტოვი იყო, გროტ-ანძიდან დაშვებული ამწევი ანძებით ზანგები სათითაოდ აიყვანეს და გემბანზე დააწვინეს. ძალიც აქვე იყო.

- საცოდავები! - წამოიძახა მისის უელდონმა, როდესაც იმ უბედურთა გაშემებული სხეულები დაინახა.

- ცოცხლები არიან, მისის უელდონ! ჩვენ მათ გადავარჩენთ! დიახ, გადავარჩენთ! - თქვა დიკ სენდმა.

- რა მოუვიდათ? - იკითხა კუზენმა ბენედიქტმა.

- მოითმინეთ და როცა ლაპარაკს შეიძლებენ, თვითონვე მოგვიყვებიან, რაც მოუვიდათ, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - ჯერ რომიანი წყალი მიეცით! - შემდეგ მობრუნდა და დაიძახა:

- ნეგორო!

ამ სახელის გაგონებაზე ძალი აიჯაგრა, ბოროტად დაიღრინა და კბილები დაკრიჭა.

მზარეული არ ჩანდა.

- ნეგორო! - უფრო ხმამაღლა გაიმეორა კაპიტანმა ჰულმა.

ძალი ისევ გაანჩხლდა. გამოვიდა თუ არა ნეგორო სამზარეულოდან, ძალმა მაშინვე ისკუპა მისკენ და კინაღამ ყელში სწვდა. მზარეულმა იგი ცეცხლის საჩხრეკით მოიგერია. მეზღვაურებმა ძალი შეაკავეს.

- ამ ძალს სცნობთ? - შეეკითხა კაპიტანი ჰული მზარეულს.

- მე? - გაოცებით აღმოხდა ნეგოროს, - პირველად ვხედავ!
- საოცარია! - ჩაიბურტყუნა დიკ სენდმა.

თავი IV

გ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ნ ი

მონებით ვაჭრობა ჯერ კიდევ ძალზე გავრცელებულია მთელ ეკვატორულ აფრიკაში. თუმცა კონტინენტის ნაპირებთან ნაოსნობენ მოთვალთვალე ინგლისური და ფრანგული სამხედრო გემები, მონებით დატვირთულ ხომალდებს ანგოლიდან ან მოზამბიკიდან მაინც გაჰყავთ მონა-ზანგები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და თვით ცივილიზებულ სამყაროში.

ეს იცოდა, კაპიტანმა ჰოლმა.

მართალია, ოკეანის იმ ნაწილში, სადაც ახლა "პილიგრიმი" იდგა, იშვიათად ნახავდით მონებით მოვაჭრე გემებს, მაგრამ კაპიტანი ჰული მაინც დაეჭვდა: ეს ზანგები იმ მონების ნაწილი ხომ არ აირნ, რომელიც "ვალდეკს" უნდა გაეყიდა წყნარი ოკეანის რომელიმე კოლონიაშიო. თუნდაც ასე ყოფილიყო, კაპიტან ჰულს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად მიაჩნდა, რაკილა "პილიგრიმის" გემბანზე ფეხი დადგეს. კაპიტანი ჯერ თავს იკავებდა და ამაზე ზანგებს არაფერს ებუნებოდა. ზანგები დიდი მზრუნველობით და ყურადღებით ექცეოდნენ. მისის უელდონი მათ მცირეოდენ წყალსა და საჭმელს აძლევდა, რასაც ზანგები ამდენხანს მოკლეთუღნი იყვნენ.

მათ შორის ყველაზე უფრო ხნიერმა, ასე, სამოციოდე წლის ზანგმა, სხვებზე ადრე ამოიდგა ენა. იგი ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა.

- თქვენი გემი სხვა გემს დაეჯახა? - ჰკითხა კაპიტანმა ჰულმა.
- დიახ! - უპასუხა მოხუცმა ზანგმა, - ათი დღის წინ, ერთ ბნელ ღამეს, ჩვენი ხომალდი რომელიღაც გემს დაეჯახა. ჩვენ გვეძინა...
- რა მოუვიდა "ვალდეკის" ეკიპაჟს?
- არ ვიცით, როცა გემბანზე ავედით, იქ აღარავინ იყო.
- ვითომ ეკიპაჟმა მოასწრო გადასვლა იმ ხომალდზე, რომელიც "ვალდეკს" დაეჯახა? - შეეკითხა კაპიტანი ჰული.
- შესაძლებელია, მოასწრო!
- გემი თქვენს წასაყვანად აღარ მობრუნდა?
- არა.
- იქნებ ჩაიძირა?
- არა, არ ჩაძირულა, - უარის ნიშნად თავი გააქნია მოხუცმა ზანგმა. - კარგად ვხედავდით, როგორ გვმორდებოდა.

ნათქვამი სარწმუნო ჩანდა, რადგან მას ყველა გადარჩენილი ზანგი ადასტურებდა.

მართლაც, ხშირად ხდება ხოლმე ასე. ზოგი კაპიტანი კატასტროფის შემდეგ თვალს მიეფარება და სულ არ ენაღვლება უბედურებაში ჩავარდნილი ხალხი. არც კი ცდილობს, დეხმაროს მათ.

როცა ამას მეეტლე სჩადის და დაშავებულებს შარავზაზე ტოვებს, ეს, მართალია, გასაკიცხია, მაგრამ მის მსხვერპლს აუცილებლად დაეხმარება ვინმე. რა უნდა ეწოდოს მას, ვინც განწირულებს შუა ზღვაში ტოვებს! ეს წარმოუდგენელია, აღმაშფოთებელია, სამარცხვინო საქციელია!

კაპიტანმა ჰულმა იცოდა ასეთი უმსგავსო საქციელის რამდენიმე მაგალითი. ამიტომაც დაამშვიდა მისის უელდონი: საუბედუროდ, ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები იშვიათი არ არისო. შემდეგ ისევ ზანგს მიუბრუნდა:

- საიდან მოდიოდა "ვალდეკი"?
- მელბურნიდან.
- ესე იგი, მონები არა ხართ?

- არა, ბატონო! - გამოცოცხლდა ზანგი და მთელი ტანით აიმართა. - პენსილვანიის შტატიდან გახლავართ, ამერიკის თავისუფალი მოქალაქენი ვართ!

- ჩვენ მეგობრებო, - მიმართა კაპიტანმა ჰულმა, - ამერიკულ ხომალდ "პილიგრიმზე" თქვენს თავისუფლებას არავითარ საფრთხე არ ემუქრება!

მართლაც, 'ვალდეკიდან' გადმოყვანილი ხუთივე ზანგი პენსილვანიის შტატის მცხოვრები იყო. მათ შორის ყელაზე უფროსი ექვსი წლისა ყოფილა, როცა მონად გაუყდიათ, აფრიკიდან შეერთებულ შტატებში გადაყვანათ, სადაც მხოლოდ მონობის გაუქმების შემდეგ განთავისუფლებულა. დანარჩენი ოთხი კი, გაცილებით ახალგაზრდები, მონების შვილები იყვნენ, მაგრამ დაბადებამდე განთავისუფლდნენ - თავისუფალნი დაიბადნენ და არც ერთი მათგანი თეთრკანიანის საკუთრებას არ წარმოადგენდა. ამ ზანგებმა არც კი იცოდნენ ის ჟარგონი, რომელშიც არც არტიკლებია და არც პირიანი ზმნები და, რომელიც სამოქალაქო ომის შემდეგ თანდათან მოკვდა. ეს ზანგები თავისუფალნი იყვნენ ამერიკიდან წამოსვლისას და ახლაც თავისუფალნი ბრუნდებოდნენ უკან.

კაპიტანმა ჰულმა ზანგებისაგან შეიტყო, რომ ისინი მიექირავნენ ერთ ინგლისელს, რომელსაც დიდი პლანტაცია ჰქონოდა სამხრეთ ავსტრალიაში, მელბურნის მახლობლად.

ზანგებმა იქ სამ წელს იმუშავეს, კარგი მოგებაც ნახეს და როცა ხელშეკრულების ვადა დამთავრდა, ამერიკაში დაბრუნება გადაწყვიტეს. როგორც ყველამ, მათაც მგზავრობის ღირებულება გადაიხადეს, ჩასხდნენ "ვალდეკში" და ხუთ იანვარს მელბურნი დატოვეს. ჩვიდმეტი დღის მგზავრობის შემდეგ, ერთ უკუნ ღამეს, "ვალდეკს" დიდი ხომალდი დაეჯახა. ზანგებს ეძინათ. დაჯახებიდან რამდენიმე წამის შემდეგ ისინი გემბანზე აცვივდნენ. ხომალდის ანძები უკვე ზღვაში გადაცვნილიყო, "ვალდეკი" ცალ მხარეს გადაწოლილიყო, მაგრამ ჩაძირვით მაინც არ იძირებოდა, რადგან ტრიუმში წყალი ცოტა ჩასულიყო. "ვალდეკის" კაპიტანი და ეკიპაჟი უკვალოდ გამქრალიყო, ალბათ, ზოგი ზღვაში ჩაცვივდა, ზოგი მეორე გემის გემსართავს ჩაებლაუჭა. ის გემი კი დაჯახების და შემდეგ გაიქცა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ნახევრად ჩაძირულ გემზე ხუთი ზანგი დარჩა. მათ ელეთიდან ათას ორასი მილი აშორებდა. ყველაზე უფროსს ტომი ერქვა. ასაკის, ენერგიული ხასიათისა და ცხოვრების გამოცდილების გამო იგი თანამგზავრებს ხელმძღვანელად მიეჩნიათ. დანარჩენები ახალგაზრდანი იყვნენ, ასე, ოცდახუთიდან ოცდაათ წლამდე. ერთს, მოხუცი ტომის ვაჟს, ბათი ერქვა, სხვებს - ოსტინი, აქტონი და ჰერკულესი. ოთხივენი ღონიერი და კარგი აღნაგობისა გახლდათ. ცენტრალურ აფრიკაში მათ, ალბათ, კარგი ფასი ექნებოდათ. ზანგები დაღლილ-დაქანცულები და გაწვალებულნი ჩანდნენ, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ ძლიერი რასის შესანიშნავი წარმომადგენლები იყვნენ. ამას გარდა, მათ ჩრდილოეთ ამერიკის სკოლებში გამეფებული აღზრდა-განათლების კვალიც ეტყობოდათ.

ტომი და მისი თანამგზავრები კატასტროფის შემდეგ "ვალდეკზე" მარტონი დარჩნენ. მათ გემის არც შეკეთება შეეძლოთ, და არც დატოვება, რადგან ორივე ნავი დაჯახებისას დაიმსხვრა. ისინი რომელიმე შემთხვევით შემხვედრ ხომალდს უნდა დალოდებოდნენ. "ვალდეკი" "პილიგრიმს" გაცილებით დაბალ განედზე უნდა შეხვედროდა, მაგრამ გემის ეს ნარჩენი უნებლიეთ მიყვებოდა ზღვის დინებასა და ქარს. ამიტომაც წააწყდა მას "პილიგრიმი" მელბურნიდან ასე შორ მანძილზე. ამ ათ დღეს, კატასტროფიდან "პილიგრიმთან" შეხვედრამდე, ზანგები იმით იკვებებოდნენ, რაც კაიუტ-კომპანიის ბუფეტში აღმოაჩინეს. გემბანზე დამაგრებული ყველა წყლის ჭურჭელი დაჯახებისას დაიმსხვრა და უწყლობით საშინლად იტანჯებოდნენ. სპირტიან სასმელებამზე კი ხელი არ მიუწვდებოდათ, რადგან კამბუზი წყლით იყო სავსე.

სწორედ წინა დღით, ვიდრე "პილიგრიმი" მათ გადასარჩენად მივიდოდა, წყურვილით გაწამებულმა ტომმა და მისმა თანამგზავრებმა გონი დაკარგეს.

ტომმა ეს ყველაფერი რამდენიმე სიტყვით მოუთხრო კაპიტან ჰულს. მოხუცის ნაამბობი ექვს არ იწვევდა. მისი თანამგზავრებიც ამასვე ადასტურებდნენ.

ალბათ, ამასვე მოჰყვებოდა კიდევ ერთი გადარჩენილი ცოცხალი არსება, ლაპარაკი რომ სცოდნოდა. ეს იყო ძალი, რომელსაც ასე აბრაზებდა ნეგოროს დანახვა. ეს სიძულვილი მართლაც საოცარი და აუხსნელი რამ იყო.

დინგო - იმ ჯიშის მოდარაჯე ძალი იყო, რომელიც განსაკუთრებით ახალ ზელანდიაში¹ გვხვდება. მაგრამ "ვალდეკის" კაპიტანს დინგო ავსტრალიაში შეუძენია. ორი წლის წინ უპატრონო და შიმშილით ცოცხალ-მკვდარი დინგო, მან აფრიკის სანაპიროზე მდინარე კონგოს შესართავთან იპოვა.

"ვალდეკის" კაპიტანს მოეწონა მშვენიერი ცხოველი და გემზე აიყვანა. ძალი მიუკარებელი გამოდგა. იგი ძველი პატრონის დაკარგვით გამოწვეულ სევდას შეეპყრო, გეგონებოდათ, თავის პატრონს ძალი ძალით მოაშორესო. მისი მოძებნა ამ უდაბურ მხარში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

"ს". "ე" - ყელსაბამზე ამოკვეთილი მხოლოდ ეს ორი ასო აკავშირებდა ძალს წარსულთან.

დინგო საკმაოდ ზორბა და ძალი იყო. იგი პირენეის ძაღლებზე ბევრად დიდი ჩანდა. ეს ახალწოლანდიური მოდარაჯე ძაღლების შესანიშნავი მოდგმის წარმომადგენელი, უკანა თათებზე რომ დადებოდა და თავს გადასწევდა, სიმაღლით თითქმის ადამიანს უტოლდებოდა. მისი ცოცხალი ბუნების და ძლიერი კუნთების ხილვისას დარწმუნდებოდი, რომ იგი უშიშრად დაესმოდა თავს იაგუარებს ან პანტერებს და არც დათვთან შებმას გაექცეოდა.

დინგოს სქელი, მუქი წაბლისფერი ბეწვი მოსავდა, თავზე თეთრი ზოლები გასდევდა, კუდი კი ლომით ძლიერი და მოქნილი ჰქონდა. გაბრაზებისას ეს ცხოველი, ალბათ, ძალზე საშიში იქნებოდა და, რაღა თქმა უნდა, ნეგორო დიდად კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო ამ შეხვედრით, რომელიც ძალთა მოდგმის ამ ძლიერმა წარმომადგენელმა მოუწყო.

დინგო კაცთმოყვარე არ ჩანდა, მაგრამ არც ბრაზიანი ეთქმოდა. იგი უფრო ნაღვლიანი იყო. მოხუცმა ტომმა ჯერ კიდევ "ვალდეკზე" შეამჩნია, რომ ძალს ზანგები მაინცდამაინც არ ეპიტანავებოდა და გაურბოდა კიდევ მათ. შესაძლოა, _____

¹ ავსტრალიის ძველი სახელწოდება (რედაქ. შენიშვნა).

აფრიკის სანაპიროზე ხეტიალისას მას ცუდად ექცეოდნენ იქაური ზანგები. ტომი და მისი თანამგზავრები კი დინგოს ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ, მაგრამ ძალი მაინც არ ეკარეოდა მათ. იგი ზანგებს არც იმ ათი დღის განმავლობაში მიკარებია, კატასტროფაში მოყოლილებმა "ვალდეკზე" რომ გაატარეს. არავინ იცოდა, რას ჭამდა იგი. წყრუვით კი ისევე იტანჯებოდა, როგორც ზანგები.

ასეთები იყვნენ გარდაუვალ სიკვდილს გადარჩენილნი. "ვალდეკს" ზღვის პირველი ღელვა ჩაძირავდა და ოკეანის ფსკერზე მხოლოდ გვამებს ჩაიტანდა. კიდევ კარგი "პილიგრიმი" დროზე მოუსწრო. უქარო ამინდმა და პირქარმა, რამაც იგი შეაგვიანა, კაპიტან ჰულს კეთილშობილური საქმის ჩადენის საშუალება მისცა.

ახლა საჭირო იყო, რომ იტყვიან, მადლზე მარილის მოყრა, და ზანგების სამშობლოში მიყვანა, ზანგებისა, რომებმაც კატასტროფის დროს დაკარგეს სამი წლის მონაგარი. კაპიტან ჰულს სწორდ ასე ჰქონდა გადაწყვეტილი - ვალპარაიოსოში გადატვირთვის შემდეგ "პილიგრიმი" აჰყვებოდა ამერიკის ნაპირს კალიფორნიამდე, აქ მათ ჯეიმს ვ. უელდონი კარგად მიიღებდა (ამაში ზანგები გემთმფლობელის გულკეთილმა ცოლმა დაარწმუნა), მერე კი ყოველმხრივ მომარაგებულნი გამობრუნდებოდნენ პენსილვანიის შტატში.

მომავლის რწმენით გამხნეებულ ამ მამაც ადამიანებს მისის უელდონის და კაპიტან ჰულსისთვის მადლობის მეტი რაღა ეთქმოდათ. ისინი მართლაც ძალზე დავალებულად თვლიდნენ თავს და, თუმცა მხოლოდ ღარიბი ზანგები იყვნენ, მაინც იმედოვნებდნენ, რომ დაუდგებოდათ ერთგულებისა და მადლიერების დამტკიცების ჟამი.

თავი V

"ს. ვ"

"პილიგრიმი" გზას განაგრძობდა. კაპიტანი ჰული ცდილობდა, კურსი აღმოსავლეთისაკენ სჭეროდა. უქარო ამინდები იდგა და ამიტომ ალბათ ორი კვირით გვიან მივიდოდნენ ახალი ზელანდიიდან ვალპარაიოსოში. კაპიტან ჰულს ეს არაფრად მიაჩნდა. იგი სულ იმას წუხდა, ვაითუ ამ ხანგრძლივმა მგზავრობამ ძალიან დაღალღოს მისის უელდონიო. ქალი კი არავითარ უკმაყოფილებას არ გამოთქვამდა და მშვიდად იტანდა ყოველივეს.

ორ თებერვალს, საღამოს, "ვალდეკი" თვალს მიეფარა. კაპიტანმა ჰულმა გადაწყვიტა, შეძლებისდაგვარად კარგად მოეწყო ტომი და მისი თანამგზავრები. გემბანზე მოთავსებული "პილიგრიმის" ეკიპაჟის საცხოვრებელი, რომელსაც ჯიხურის ფორმა ჰქონდა, პატარა იყო. იგი ზანგებს ვერ დაიტევდა, ამიტომ ისინი გემის ქიმთან მოათავსეს. ზანგები განებივრებულები არ იყვნენ და არც აქ გაუჭირდებოდათ ყოფნა, მით უმეტეს, რომ თბილი და წყნარი ამინდი იდგა.

გემზე ცხოვრება, რომლის ერთფეროვნება დროებით დაარღვია ამ შემთხვევამ, ისევ თავისი გზით წავიდა.

ტომი, ოსტინი, ბათი, აქტეონი და ჰერკულესი გულით ცდილობდნენ, რიმეში გამოსადეგნი ყოფილიყვნენ, თუმცა, როცა ქარი ერთი მიმართულებით ქრის და აფრებიც დაყენებულია, გემზე საქმე თითქმის არაფერია. იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც საჭირო ხდებოდა გემის მობრუნება. მაშინ მოხუცი ზანგი და მისი თანამგზავრები დაუზარბლად ეხმარებოდნენ ეკიპაჟს და როდესაც ვეება ჰერკულესი ეწეოდა გემსართავს, დანარჩენებს შეედლოთ გულხელდაკრეფილნი მდგარიყვნენ. ეს ზანგი სიმაღლით ექვს ფუტზე მეტი იყო და მარტოს შეედლო ჯალამბარი შეეცავლა.

პატარა ჯეკს ძალიან მოსწონდა ჰერკულესი და როცა იგი ბიჭუნას ხელში თოჯინასავით აიტაცებდა ხოლმე, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

- ამიყვანე რა! - სთხოდა პატარა.
- ახლავე, მისტერ ჯეკ! - იყო პასუხი.
- ძალიან მძიმე ვარ?
- სულაც არა!
- მაშინ კიდევ უფრო მაღლა ამწიე!

ჰერკულესიც ფართო, გაშლილ ხელისგულზე დაიყენებდა ბავშვს და ჯამბაზივით დასეირნობდა გემზე. ჯეკს თავი გოლიათად მიაჩნდა და ძალიან უხაროდა.

დიკ სენდი და ჰერკულესი პატარა ჯეკის მეგობრები იყვნენ. მაგრამ მათ მესამე მეგობარიც შეემატა.

ეს იყო დინგო.

როგორც მოგახსენეთ, დინგო უკარება ჩანდა. ეტყობოდა, მას "ვალდეკის" საზოგადოება არ მოეწონა. აქ კი სულ სხვა იყო: ჯეკმა ადვილად შეძლო ძაღლის გულის მონადირება. დინგოს სიამოვნებას გვრიდა ბიჭუნასთან თამაში, ბიჭუნასაც უსაზღვროდ უხაროდა, რომ ძაღლი ასე მალე მიიჩვია. ჩანდა, დინგო იმ ძაღლების ჯიშისა იყო, რომელთაც განსაკუთრებით უყვართ ბავშვები. ჯეკს მეტისმეტად ხიბლავდა დინგოს ზურგზე მოქცევა და მისი ჭენება. რაღა თქმა უნდა, ასეთი ცხენი ჯობდა მუყაოსას, თუნდაც მას ბორბლები ჰქონოდა ფეხებზე მიმაგრებული. დინგო სიამოვნებით დაარბენინებდა გემზე ბიჭუნას, რომელიც მაინცდამაინც მძიმე არ იყო.

სამაგიეროდ, შაქრის მარაგი მცირდებოდა კამბუზში სწრაფად.

დინგო მალე მთელი ეკიპაჟის უსაყვარლეს არსებად იქცა. ძაღლს მხოლოდ ნეგორო გაურბოდა, რადგან დინგოს ძველებურად სძაგდა იგი.

ბიჭი არც თავის ძველ მეგობარს - დიკ სენდს ივიწყებდა და ისიც მთელ თავისუფალ დროს პატარა ჯეკთან ატარებდა. მისის უელდონი ძალზე კმაყოფილი იყო ამ მეგობრობით.

ერთხელ, ექვს თებერვალს, მისის უელდონმა კაპიტან ჰულს დიკ სენდზე ჩამოგდო საუბარი, კაპიტანმა შეაქო ახალგაზრდა მეზღვაური.

- ეს ბიჭი, - თქვა მან, - დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი მეზღვაური დადგება, ზღვას ძალიან კარგად გრძნობს და თეორიული ცოდნის დანაკლისს ამით ივსებს. ეს მით უფრო საოცარია თუკი მოვიგონებთ, რომ სულ მცირე ხანია, რაც ზღვაზე მოგზაურობს.

- გარდა ამისა, - დასძინა მისის უელდონმა, - იგი შესანიშნავი პიროვნებაა - კეთილსინდისიერი და თავისი ასაკისათვის განვითარებულიც, დიკ სენდს ერთხელაც არ დაუმსახურებია საყვედური.

- დიახ, შესანიშნავი ბიჭია დიკი, საყვარელი, - დაეთანხმა კაპიტანი ჰული, - ყველა აფასებს!

- ჩემს მეუღლეს განზრახული აქვს, სან-ფრანცისკოში დაბრუნების შემდეგ დიკს ჰიდროგრაფიის კურსი შეასწავლოს. მერე კი იგი ნამდვილად შეძლებს კაპიტნის დიპლომის მიღებას, - თქვა მისის უელდონმა.

- მისტერ უელდონი არ ცდება, მოვა დრო, დიკ სენდი არაერთ წარმატებას მოუტანს ამერიკის საზღვაო ფლოტს.

- საცოდავ ობოლს მძიმე ცხორება ჰქონდა, - შენიშნა მისის უელდონმა.

- არა უშავს. სამაგიეროდ, მისის უელდონ, იმ მძიმე წლებს უქმად არ ჩაუვლია. იგი დარწმუნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი შრომით შეიძლება კაცად იქცე. ახლა დიკი სწორ გზაზე დგას.

- დიახ, ეს დიდად საპასუხისმგებლო გზაა!

- უყურეთ, მისის უელდონ, - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - დიკი საჭესთან დგას და თვალს არ აშორებს ფოკს. სხვას არაფერს აქცევს ყურადღებას და ხომალდი ოდნავადაც არ ირყევა. დიკ სენდი გამოცდილ მესაჭეს ჰგავს. ვერც კი შეატყობ, რომ დამწყები მეზღვაურია. ჩენს ხელობას კაცი ბავშვობიდანვე უნდა დაეუფლოს. ვინც იუნგა არ ყოფილა, ვერც მეზღვაური გახდება, მით უფრო სავაჭრო ფლოტში. აქ ყველაფერი ისე უნდა შეითვისო, რომ სწრაფად გამოიტანო გადაწყვეტილება და მოხერხებულად მართო იალქნები.

- კარგი მეზღვაურები ხომ სამხედრო ფლოტშიაც გვხვდება, კაპიტანო ჰულ! - თქვა მისის უელდონმა.

- რასაკვირველია, - მიუგო კაპიტანმა ჰულმა, - კარგმა მეზღვაურებმა ბავშვობიდანვე დაიწყეს თავისი კარიერა. საკმარისია გავიხსენოთ ნელსონი და სხვები, რომლებმაც გემზე იუნგად დაიწყეს მუშაობა.

ამ დროს თავისი კაიუტიდან ამოლოლდა მუდამ ფიქრებში ჩაფლული კუზენი ბენედიქტი და გემბანზე ბოლთის ცემა დაიწყო. გულდასმით აკვირდებოდა ყველა ნაჩვრეტს, ხელებს აფათურებდა.

ქათმების გალიების ქვეს, თითს აყოლებდა ბორტის შედუღებულ ნაწილებს იქ, სადაც ფისი მოსცილებოდა.

- ხომ კარგად ხართ, კუზენ ბენედიქტ? - შეეკითხა მისის უელდონი.

- გმადლობთ... კუზინა უელდონ... კარგად ვარ, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის დავადგამ ფეხს მიწას.

- რას ეძებთ სკამის ქვეშ, ბატონო ბენედიქტ? - შეეკითხა კაპიტანი ჰული.

- მწერებს, ბატონო, მწერებს! - მიუგო უმაღ კუზენმა ბენედიქტმა, - რას უნდა ვეძებდე, თქვენი აზრით, მწრების გარდა?

- მწერებს? ჩემი აზრით, ზღვაზე თქვენს კოლექციას ვერ გაამდიდრებთ.

- რატომაც არა! სავსებით შესაძლებელია, გემზე ზოგიერთი ეგზემპლარი ვიპოვო...

- კუზენ ბენედიქტ! - მიმართა მისის უელდონმა, - კაპიტან ჰულის გემზე ისეთი სისუფთავეა, ნადირობიდან უქველად ხელცარიელი დაბრუნდებით.

კაპიტან ჰულს გაეცინა.

- მისის უელდონის ქება, რა თქმა უნდა, მეტისმეტია, - თქვა ჰულმა, - მაგრამ, ბატონო ბენედიქტ, კაიუტების ჩხრეკაში თქვენ მართლაც ტყუილად დაკარგავთ დროს.

- ეჰ, ეს მეც კარგად ვიცი! - დანანებით და მხრების ჩეჩვით თქვა კუზენმა ბენედიქტმა, - ბევრს ვეცადე, მაგრამ...

- იქნებ "პილიგრიმის" ტრიუმში იპოვოთ რამდენიმე ტარაკანა, - განაგრძო კაპიტანმა ჰულმა, - თუკი ისინი თქვენ გაინტერესებთ.

- ცხადია, მაინტერესებს ეს ორთოპტერები, რომლებსაც წყევლა-კრულვით იხსენიებენ ვირგილიუსის და ჰორაციუსის, - სწრაფად მოუგო კუზენმა ბენედიქტმა და წელში გასწორდა, - როგორ არ უნდა მაინტერესებდეს ამერიკული ტარაკანის ეს უახლესი მონათესავე მწერები, რომლებიც ცხოვრობენ...

- ანადგურებენ... - ჩაურთო კაპიტანმა ჰულმა.

- რომლებიც მეფობენ გემზე! - ამაყად უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა.

- რა მომხიბლავი სამეფოა!

- როგორ გეტყობათ, რომ ენტომოლოგი არა ხართ!

- ღმერთმა დამიფაროს!

- კუზენ ბენედიქტ! - ღიმილით მიმართა მისის უელდონმა, - ნუ ცდილობთ, ყველა თქვენს მეცნიერებას შეეწიროს.

- მე არაფერს არ ვცდილობ, კუზინა უელდონ, - უპასუხა დაუცხრომელმა ენტომოლოგმა, - გარდა ამისა, რომ ჩემი კოლექცია გავამდიდრო რამდენიმე იშვიათი ეგზემპლარით, რომელთათვისც ეს დიდი პატივი იქნება.

- კმაყოფილი ხართ ახალ ზელანდიაში ნაპოვნი მწერებით? - ჰკითხა მისის უელდონმა.

- ძალიან კმაყოფილი ვარ, კუზინა უელდონ. ბედნიერი ვარ, რომ ვიპოვე ხოჭო-სტაფილინი, რომელიც ჩემამდე ნაპოვნი იყო მხოლოდ ახალ კალედონიაში.

ამ დროს დინგო, რომელიც ჯეკთან თამაშობდა, ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდა კუზენ ბენედიქტს.

- გადი იქით! - დაუყვირა მან და ძაღლს ფეხი გაჰკრა.

- როგორ, ბატონო ბენედიქტ, ტარაკანები გიყვართ და ძაღლები გმულთ? - გაიკვირვა კაპიტანმა ჰულმა.

- თანაც ასეთი კარგი ძაღლი! - თქვა ჯეკმა და ძაღლს კისერზე პატარა ხელები შემოაჭდლო.

- მართალია, - მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, - მაგრამ ძალიან ნაწყენი ვარ! ამ სამაგელმა ცხოველმა არ გამიმართლა ის იმედები, რასაც მასთან შეხვედრაზე ვამყარებდი.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის უელდონმა, - ნუთუ გეგონათ, რომ მას დიპტერების ან ჰიგენოპტერების კლასში მოათავსებდით?

- არა! - სერიოზულად უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა, - მაგრამ, მისი ახალზელანდიური წარმოშობის მიუხედავად, განა დინგო აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე არ იპოვეს?

- სწორია, ტომს ეს არაერთხელ სმენია "ვლადეკის" კაპიტნისაგან, - დაუდასტურა მისის უელდონმა.

- ჰოდა, მეც მეგონა... იმედი მქონდა... ამ ძაღლს ისეთი მწერები ეყოლებოდა, რომლებიც მხოლოდ აფრიკის ფაუნისათვისაა დამახასიათებელი...

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის უელდონმა.

- და.... - დაუმატა კუზენმა ბენედიქტმა, - შესაძლოა მეპოვა რწყილის რამდენიმე ახალი სახეობა.

- გესმის, დინგო? - სთქვა კაპიტანმა ჰულმა. - გესმის, ჩემო კარგო? შენ ვერ აღასრულე შენი ვალი!

- გულმოდგინედ მოვუხილე ბეწვი და ერთი მწერიც ვერ ვიპოვე, - დაუფარავი წყენით დაუმატა ენტომოლოგმა.

- ვიმედოვნებ, თქვენ მას მაშინვე შეუბრალებლად მოსპობდით! - თქვა კაპიტანმა ჰულმა.

- ბატონო ჩემო, - ცივად უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა, - იცით თუ არა, რომ სერ ჯონ ფრანკლინი არასდროს არ კლავდა უმცირეს მწერსაც კი, თუნდაც ისეთს, როგორც ამერიკული კოლა. იგი ხომ გაცილებით მწარედ იკბინება, ვიდრე რწყილი და, ალბათ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ სერ ჯონ ფრანკლინი ნამდვილი მეზღვაური იყო.

- რასაკვირველია! - თავი დაუკრა კაპიტანმა ჰულმა.

- ერთხელ ფრანკლინი საშინლად დაკბინა მოსკიტმა, მაგრამ მან მხოლოდ სული შეუბერა მწერს და თქვენობით მიმართა:

"მიბრძანდით, ქვეყანა საკმაოდ დიდია, ორივე დავეტევიო!"

- აჰა! - მრავალმნიშვნელოვნად თქვა კაპიტანმა ჰულმა.

- დიახ, ბატონო!

- იცით, თუ არა, ბატონო ბენედიქტ, - მიუგო კაპიტანმა ჰულმა, - სერ ჯონ ფრანკლინზე გაცილებით ადრე იგივე სხვა რომ თქვა?

- სხვამ?!

- დიახ, და ეს სხვა ბიძია ტომი იყო!

- ენტომოლოგი? - გამოცოცხლდა კუზენი ბენედიქტი.

- არა! სტერნის ბიძია ტომი. ამ პატივცემულმა ბიძამ ზუსტად იმავე სიტყვებით, მაგრამ უკვე "შენობით" თავისუფლება მიანიჭა ერთ აზერს მოსკიტს: "წადი, შე საწყალო, ქვეყანა დიდია, ორივეს დაგვიტევეს!"

- ყოჩაღ, ბიძია ტომ! - შესძახა კუზენმა ბენედიქტმა - იგი უკვე მოკვდა?

- ვფიქრობ, კი! - სერიოზულად უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - რადგან იგი არასდროს არც ყოფილა!

ყველას გაეცინა ასეთი საუბრების თემა, თუკი მას კუზენი ბენედიქტი ესწრებოდა, ყოველთვის ენტომოლოგიური მეცნიერების რომელიმე საკითხი იყო. ამ საუბრებს სიცოცხლე შეჰქონდა მოსაწყენ, გაჭიანურებულ მგზავრობაში.

ზღვა ისევ მშვიდი იყო, ქარი არ იძვროდა და "პილიგრიმიც" ნელა მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ. კაპიტანსა და ეკიპაჟს კი გული ელეოდათ: უნდოდათ, რაც შეიძლებოდა მალე მიეღწიათ იმ ადგილებისათვის, სადაც მუდმივი ქარები ბატონობდა.

კუზენი ბენედიქტი ცდილობდა, გაეცნო ახაგაზრდა მეზღვაურისათვის ენტომოლოგიის საიდუმლოებანი, მაგრამ დიკ სენდი გაურბოდა მას და მეცნიერი იძულებული გახდა, მხოლოდ ზანგებით დაკმაყოფილებულიყო. ზანგებს კი მისი არაფერი გაეგებოდათ. ტომი, აქტონ, ბათი და ოსტინი სათოფეზე არ ეკარებოდნენ კუზენ ბენედიქტს. პროფესორს ხელთ შერჩა მხოლოს ჰერკულესი: ჰერკულესს, პროფესორის აზრით, თანდაყოლილი უნდა ჰქონოდა, პარაზიტები განესხვავებინა ბოლოფიწალა მწერებისაგან. გოლიათი ზანგი ტყავიჭამიების, ბზუილების, ტკაცუნების, რქიანი ხოჭოების, ხოჭო-მესაფლავეების, ცხვირგრზელების, ფუნდურების, ჭიამაიების, ქერქიწამიების, ლაჭებისა და მემარცვლიების სამყაროში ცხოვრობდა და გულმოდგინედ სწავლობდა კუზენ ბენედიქტის მთელ კოლექციას. უნდა გენახათ, როგორ აცახცახდებოდა ხოლმე კუზენი ბენედიქტი, როდესაც თავის გამომხმარ, პაწაწინა, ნაზ მწერებს ჰერკულესის მსხვილ, ღონიერ თითებში მოქცეულთ დაინახავდა. მაგრამ ის იობისეური მოთმინება, რომელსაც პროფესორის გაკვეთილებისადმი იჩენდა გოლიათი მოწაფე, გარკვეულ მსხვერპლად ღირდა.

კუზენი ბენედიქტი ამ საქმიანობაში იყო გართული. მისის უელდონი ცდილობდა, პატარა ჯეკი უსაქმოდ არ დარჩენილიყო და წერა-კითხვას ასწავლიდა, ანგარიშში კი მისი მეგობარი დიკ სენდი ავარჯიშებდა.

ხუთი წლის ბავშვი იმდენად პატარაა, რომ უმჯობესია თამაშით ვასწავლოთ რაიმე, ვიდრე თეორიულად.

ჯეკი კითხვას ანბანით კი არ სწავლობდა, არამედ მოძრავი ასოებით, რომლებიც წითელი ფერით ეწერა ხის კუბებზე. იგი ალაგებდა კუბებს, ერთობოდა მათი ჩამომწკრივებით, ზოგჯერ მისის უელდონი ადგენდა სიტყვას, შემდეგ აურევდა კუბებს და თხოვდა ჯეკს, ისევ აღედგინა იგი.

ბიჭუნას ძალიან მოსწონდა ეს. ყოველდღიურად რამდენიმე საათს ატარებდა თამაშში. კაიუტაში ან გემბანზე ყოფნისას აწყობდა და შლიდა თავის ანბანს.

ერთ დღეს ამას საოცარი რამ მოჰყვა. ეს მოხდა ცხრა თებერვლის დილას. გემბანზე წამოწოლილი ჯეკი სიტყვების შედგენით ერთობოდა, სიტყვები იქვე მყოფ ტომს უნდა

აღედგინა კუბების არევის შემდეგ. როგორც თამაშის წესი იყო, ტომი თვალეზე ხელს იფარებდა, რათა არ დაენახა, რას აკეთებდა პატარა ბიჭი.

კუბებზე გამოსახული ასოების რიცხვი ორმოცდაათს აღწევდა. ასოები ზოგი დიდი იყო, ზოგიც პატარა. გარდა ასოებისა, კუბებზე გამოსახული იყო ციფრებიც. გემბანზე გამწკრივებული კუბებიდან სიტყვების შესადგენად ჯეკი ხან ერთს იღებდა, ხან მეორეს. ეს კი იოლი საქმე როდი იყო!

დინგო იქვე იჯდა. მოულოდნელად ძალი გაქვავდა, თვალეები გაუშტერდა, მარჯვენა თათი ასწია და კუდის ძლიერი ქნევა დაიწყო, შემდეგ მივრდა ერთ-ერთ კუბს, დაავლო პირი და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დაიწყო, შემდეგ მივარდა ერთ-ერთ კუბს, დაავლო პირი და რამდენიმე ნებიჯის მოშორებით დადო.

ამ კუბზე მსხვილად ეწერა ასო "ს".

- დინგო, დინგო! - შეჰყვირა ბიჭუნა, რომელსაც შეეშინდა ძაღლმა კუბი არ გადაეცალაპოსო.

დინგომ ახლა მეორე კუბს დაავლო პირი და გვერდით მიუდო პირველს, მასზე გამოსახული იყო ასო "ვ". ჯეკმა ყვირილი მორთო, ყვირილზე მოირბინეს მისის უელდონმა, კაპიტანმა ჰულმა და ახალგაზრდა მეზღვაურმა. ჯემა მათ ყველაფერი უამბო. დინგო სცნობდა ასოებს, დინგო კითხულობდა! ჯეკმა ყველაფერი თავისი თვალთაგან ნახა!

დეკ სენდმა კუბების აღება და ჯეკისთვის დაბრუნება დააპირა, მაგრამ დინგომ შეუღრინა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა მაინც აიღო კუბები და თავის ადგილზე დააწყო. დინგო ისევ ეცა კუბებს, ისევ ის ორი ასო ამოირცია და ცალკე დადო, შემდეგ ზემოდან თათები დაალაგა, თითქოს მათი დაცვა გადაწყვიტა. სხვა ასოებს ზედაც არ უყურებდა.

- რა საოცარია! - თქვა მისის უელდონმა.

- მართლაც რომ საოცარია, - კაპიტანი ჰული ყურადღებით დააცქერდა ასოებს.

- ს. ვ. - წაიკითხა მისის უელდონმა.

- ს. ვ. , - გაიმეორა კაპიტანმა ჰულმა, - ეს ხომ სწორედ დინგოს ყელსაბამზე ამოკვეთილი ასოებია? - ჰული სწრაფად მიბრუნდა მოხუცი ზანგისაკენ.

- ტომ, თქვენ მგონი მითხარით, რომ ეს ძაღლი მხოლოდ ცოტა ხანს ეკუთვნოდა "ვალდეკის" კაპიტანს, არა?

- დიახ, ბატონო, - უპასუხა ტომმა, - დინგო გემზე მხოლოდ ორი წელს იყო.

- თქვენვე თქვით, რომ "ვალდეკის" კაპიტანმა იგი აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე იპოვა?

- დიახ, ბატონო, დაახლოებით მდინარე კონგოს შესართავთან, მე ეს ხშირად მსმენია სკუთარი ყურით.

- მაშასადამე, არავინ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ეს ძაღლი, ან აფრიკაში საიდან მოხვდა?

- არა, არავინ, ბატონო! ნაპოვნი ძაღლი მიგდებულ ბავშვზე უარესია. არავითარი საბუთი არა აქვს და არც რაიმეს თქმა შეუძლია.

კაპიტანი ჰული გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

- რამე ხომ არ გაგახსენდათ ამ ორი ასოს დანახვაზე, - შეეკითხა მისის უელდონი კაპიტან ჰულს, რომელიც ერთხანს ასე ჩაფიქრებული იდგა.

- დიახ, მისის უელდონ! გამახსენდა... უფრო სწორად, საოცარია დამთხვევაა.

- სახელდობრ, რა?

- შეიძლება ამ ორ ასოს. გარკვეული აზრი ჰქონდეს და გაგვაგებინოს, რა ბედი ეწია ერთ მამაც მოგზაურს...

- ამით რა გინდათ თქვით? - იკითხა მისის უელდონმა.

- ახლავე მოგახსენებთ, მისის უელდონ. 1871 წელს, ესე იგი ორი წლის წინ, პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით, ერთი ფრანგი მოგზაური გაემგზავრა აფრიკაში. მას განზრახული ჰქონდა, გადაესერა აფრიკა დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მოგზაურობა იწყებოდა მდ. კონგოს შესართავთან და უნდა დამთავრებულიყო დელგადოს კონცხის მახლობლად, მდინარე რუვეუმის შესართავთან, რომლის დინებას მოგზაური ქვევით უნდა ჩაჰყოლოდა. ეს იყო ფრანგი მოგზაური სამეუფელ ვერნონი.

- სამუელ ვერნონი?! - გაიმეორე მისის უელდონმა.

- დიახ, მისის უელდონ! როგორც ხედავთ, ამ მოგზაურის სახელი და გვარი იწყება სწორედ იმ ასოებით, რომლებიც დინგომ ამოირჩია და რომლებიც მის ყელსაბამზეა ამოკვეთილი.

- მართლაც ასეა! - თქვა მისის უელდონმა, - ნეტა რა შეემთხვა ამ მოგზაურს?

- იგი გაემგზავრა, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - და მასზე არავინ არაფერი იცის.

- არავითარი ცნობა არ მოსულა? - შეეკითხა ახალგაზრდა მეზღვაური.

- არავითარი!

- რა შეიძლება იფიქროს კაცმა? - შეეკითხა მისის უელდონი.

- მე ვფიქრობ, სამუელ ვერნონმა ვერ მიაღწია აღმოსავლეთ აფრიკას. იგი ან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაატყვევეს, ანდა გზაში დაიღუპა.

- ძაღლი?

- ეს ძაღლი, ალბათ მისი იყო. თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ ძაღლი პატრონზე უფრო ბედნიერი გამოდგა. მან შეძლო უკან დაბრუნება კონგოს შესართავისკენ, სადაც იგი "ვალდეკის" კაპიტანმა იპოვა.

- კი მაგრამ, ძაღლი ნამდვილად ახლდა ამ ფრანგ მოგზაურს, თუ თქვენ გგონიათ ასე?

- ცხადია, ამას მე ვფიქრობ, მისის უელდონ. - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა, - მგრამ ისიც ცხადია, რომ დინგომ იცის ეს ორი ასო - ს. ვ. - ფრანგი მოგზაურის ინიციალები. ძნელია იმის თქმა, თუ სად ისწავლა ძაღლმა ისინი. შეხედეთ, ის ჰკრავს თათს კუბებს, თითქოს მის წასაკითხად გვიხმობდეს.

ძაღლის საქციელის სხვაგვარი ახსნა არ შეიძლებოდა.

- ნუთუ კონგოს ნაპირები რომ დატოვა, სამუელ ვერნონი მარტო იყო? - იკითხა დიკ სენდმა.

- არ ვიცი! - მიუგო კაპიტანმა ჰულმა, - შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებლები ახლდნენ. გემბანზე ნეგრო გამოჩნდა. თავდაპირველად არავის შემუქნევია არც მისი იქ ყოფნა და არც ის უცნაური მზერა, რომელიც მან ძაღლს მიაპყრო, როცა ის ორი ასო დაინახა. მზარეულის გამოჩენაზე დინგო ისევ გახელდა.

ნეგრო მაშინვე გაბრუნდა უკან, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მაინც წასცდა მუქარა.

- აქ რაღაც საიდუმლოებაა! - ჩაილაპარაკა კაპიტანმა ჰულმა, რომელსაც არაფერი გამოპარვია.

- მართალია რა საოცარია, ძაღლი ასოებს რომ ცნობს! - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- სულაც არა, დედას ხშირად უამბუნია ჩემთვის ერთი ძაღლის ამბავი, რომელსაც წერაკითხვაც სცოდნია და დომინოს თამაშიც, როგორც ნამდვილ სკოლის მასწავლებელს! - თქვა პატარა ჯეკმა.

- ჩემო პატარა! - თქვა ღიმილით მისის უელდონმა. - მუნიტო (როგორც იმ ძაღლს ეძახდნენ) სრულიადაც არ იყო ისეთი სწავლული, შენ რომ გგონია. იგი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა იმ ასოებს, რომლებისგანაც სიტყვებს ადგენდა. მისმა პატრონმა, მარჯვე და გონიერმა ამერიკელმა, შეამჩნია, რომ მუნიტოს შესანიშნავი სმენა ჰქონდა. მან კიდევ უფრო განუვითარა იგი ძაღლს და საოცარი შედეგებიც მიიღო.

- როგორ მიაღწია ამას, მისის უელდონ? - იკითხა დიკ სენდმა, რომელიც ისევე დაინტერესდა ამ ამბავმა, როგორც პატარა ჯეკი.

- აი, როგორ, ჩემო მეგობარო. - როდესაც მუნიტოს საჯაროდ უნდა "ემუშავა", ასოები გაშლილი იყო მაგიდაზე. ძაღლი დადიოდა მაგიდაზე და უცდიდა სიტყვას, რომელიც ხმამაღლა უნდა ეთქვათ. პატრონს ეს სიტყვა აუცილებლად უნდა სცოდნოდა.

- თუ პატრონი არ იყო იქ? - იკითხა ახალბედამ.

- მაშინ ძაღლს არაფრის გაკეთებ არ შეეძლო, - მიუგო მისის უელდონმა, - და აი რატომ, ასოები დალაგებული იყო მაგიდაზე, ხოლო მუნიტო მათ გასწვრივ დააბიჯებდა, როდესაც იმ ასოსთან მივიდოდა, რომელიც წარმოითქმული სიტყვის შესადგენად იყო საჭირო, ძაღლი ჩერდებოდა. ჩერდებოდა იმიტომ, რომ ესმოდა კბილის საჩიჩქნის ხმა, რომელსაც ამერიკელი

ჯიბეში აჩხაკუნებდა. ეს იყო სიგნალი, მუნიტოც იღებდა ასოს და ალაგებდა საჭირო თანმიმდევრობით.

- ამაში იყო მთელი საიდუმლო? - შესძახა დიკ სენდმა.

- დიახ, ამაში! ეს ისევე მარტივია, როგორც ყველა სხვა ფოკუსი. ამერიკელის გარეშე მუნიტო აღარ იყო მუნიტო. თუ მართლა მოგზაური სამუელ ვერნონი იყო დინგოს პატრონი, საოცარი ისაა, რომ მისი პატრონი აქ არ არის და დინგო მაინც სცნობს ასოებს.

- ეს მართლაც განსაცვიფრებელია! - თქვა კაპიტანმა ჰულმა. - მაგრამ შეამჩნიეთ თუ არა, რომ დინგო სცნობს მხოლოდ იმ ორ ასოს და არა შერჩეულ სიტყვას. ძალღი, რომელიც მონასტრის კარებზე რეკავდა მათხოვრისათვის განკუთვნილი სადილის მისაღებად, ან მეორე ძალღი, რომელსაც დღეგამოშვებით უნდა ეტრიალებინა შამფური და არ აკეთებდა ამას, თუ მისი რიგი არ იყო, შესაძლოა, დინგოზე უფრო გონიერები იყვნენ, მაგრამ ფაქტი - ფაქტია. ანბანიდან დინგო ირჩევს მხოლოდ ორს: "ს" და "ვ"-ს, სხვა ასოებს კი ზედაც არ უყურებს. ცხადია, რაღაც მიზეზია, რომ მხოლოდ ამ ორ ასოზეა გამახვილებული მისი ყურადღება.

- ეჰ, კაპიტანო ჰულ, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - დინგოს რომ ლაპარაკი შეეძლოს, გვეტყოდან, რას ნიშნავს ეს ორი ასო, ან რატომ იღესავს კბილებს ჩვენს მზარეულზე!

- თანაც რა კბილებს! - გაიცინა კაპიტანმა ჰულმა და ძალღს მიაჩერდა.

სწორედ ამ დროს დინგომ დაამთქნარა და თავისი გრძელი, წვეტიანი კბილები გადმოყარა.

თავი VI

ვე შ ა პ ი

ეს უცნაური შემთხვევა ხშირად ჰქონდათ სალაპარაკო კაპიტან ჰულს, მისის უელდონსა და ახალგაზრდა მეზღვაურს. დიკ სენდი არ ენდობოდა ნეგოროს, თუმცა მზარეულის ქცევა არავითარ ეჭვს არ ბადებდა.

ეკიპაჟის სხვა წევრებიც ბევრს ბჭობდნენ ამაზე, მაგრამ ამ შემთხვევას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ - მათთვის დინგო იყო ძალღი, რომელიც კითხულობდა და წერდა უფრო უკეთ, ვიდრე გემზე მყოფი მეზღვაურები; და თუ არ ლაპარაკობდა, ალბათ იმიტომ, რომ საჭიროდ არ მიაჩნდა.

- ერთ მშვენიერ დღეს, - ხუმრობდა მესაჭე ბოტონი, - ეს ძალღი მოვა და გვეკითხავს, როგორი კურსით მიდის ხომალდი, ვესტ-ნორდი ქრის თუ ვესტ-ნორდ-ვესტი. ჩვენც იძულებული ვიქნებით, ვუპასუხოთ.

- ხომ არსებობენ მოლაპარაკე ფრინველები, - დაუდასტურა მეორე მეზღვაურმა, - კაჭკაჭები, თუთიყუშები! რატომ არ უნდა შეეძლოს ლაპარაკი ძალღს, თუკი სურვილი ექნება? პირით ლაპარაკი განა უფრო ადვილი არ არის, ვიდრე ნისკარტით?!

- რაღა თქმა უნდა! - უპასუხა ბოცმანმა ჰოვიკმა, - მაგრამ ჯერ ამის მნახველი კაცი არ მოიძებნება.

გესმის ეკიპაჟი, ალბათ, გაოცდებოდა, ერთი დანიელი მეცნიერის ძალღის ამბავი რომ გაეგოთ. ეს ძალღი მკაფიოდ წარმოთქვამდა ოცამდე სიტყვას. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ სიტყვებისა ძალღს არაფერი გაეგებოდა ისევე, როგორც თუთიყუშებს, ჯაფარებს ან კაჭკაჭებს. სიტყვები ცხოველთათვის სხვა არაფერია, თუ არა სიმღერის ან ყვირილის ნაირსახეობა.

ერთი სიტყვით, დინგო გმირად იქცა, თუმცა ამით სულაც არ გაყოყოჩებულა. კაპიტანმა ჰულმა რამდენჯერმე გაიმეორა ცდა - დაასოობდა ხის კუბებს დინგოს წინ და ძალღი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უშეცდომოდ ირჩევდა "ს" და "ვ" ასოებს, სხვები კი მის ყურადღებას არ იქცევდა. ეს ცდა კუზენი ბენედიქტის თვალწინაც გაიმეორეს, მაგრამ მას ინტერესი არ გამოუჩენია.

- არ უნდა ვიფიქროთ, - როგორც იქნა, ალაპარაკდა იგი ერთ მშვენიერ დღეს, - რომ მხოლოდ ძაღლები არიან ასე მოსაზრებულნი. სხვა ცხოველებშიც ვხვდებით ასეთ ქცევას და იგი ინსტიქტითაა გაპირობებული. ასეთია თაგვები, რომლებიც ჩაძირვის წინ ტოვებენ გემს, თახვები, რომლებიც გრძნობენ წყლის დონის მომატებას და იმაღლებენ ჯებირს. გაიხსენეთ ნიკომედის, სკანდერბერგისა და ოპიენის ცხენები. მათი მწუხარება იმედნად დიდი იყო, რომ დაიხოცნენ თავისი პატრონების სიკვდილის შემდეგ. ვირები, რომლებიც გამოირჩევიან მეხისერებით და ბევრი სხვა ცხოველი დიდებით მოსავენ ცხოველთა სამყაროს. ცნობილია, რომ არსებობენ გაწვრთნილი ჩიტები, რომლებიც უშეცდომოდ წერენ მასწავლებლის ნაკარნახევ სიტყვებს, თუთიყუშები, რომლებიც განედებისა და გრძნედების გამომთვლელ ბიუროზე უკეთ ითვლიან ოთახში მყოფთა რიცხვს! ხომ არსებობდა თუთიყუში, რომელიც თავს პატრონის, კარდინალის წინაშე, მთელ ლოცვანს უშეცდომოდ წარმოთქვამდა, და რომელიც ას ოქროდ იყიდეს. განა სიამაყის გრძნობით არ უნდა აღივსოს ენტომოლოგი, როცა უმდაბლესი მწერები უმაღლესი გონიერების ნიშნებს ავლენენ და შესანიშნავად ასაბუთებენ ანდაზას: "In minimis maximus Deus"¹. ჭიანჭველები ხომ თამამად შეიძლება შეეჯიბრონ დიდი ქალაქის მშენებლებს; წყლის ვერცხლისფერი ობებები მექანიკის კანონების ცოდნის გარეშე აკეთებენ ზარბუფებს; რწყილები მეეტლესავით მიაქროლებენ ეტლებს, ვარჯიშობენ ისევე კარგად, როგორც კარაბინირები; ზარბაზნიდანაც უკეთ ისვრიან, ვიდრე ვესტ-პოინტის დიპლომიანი არტილერიისტები! არა! დინგო სრულებითაც არ იმსახურებს ასეთ ქებას. თუ მართლაც ასე გაწაფულია ანბანის ცოდნაში, მაშინ იგი ახალზელანდიური მოდარაჯე ძაღლების ის სახეობა იქნება, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია ზოოლოგიური მეცნიერებისათვის: "canis alphabeticus"².

შურიანი ენტომოლოგის ასეთი მოსაზრებების მიუხედავად, გემის ეკიპაჟს დინგოზე შეხედულება არ შეუცვლია - ძაღლი მათ საოცრებად მიაჩნდათ.

მხოლოდ ნეგორო არ იზიარებდა ეკიპაჟის აღფრთოვანებას, თუმცა ძაღლს მეტად ჭკვიან ცხოველად თვლიდა. დინგო ყოველთვის საშინელ სიძულვილს ამჟღავნებდა მის მიმართ. ძაღლი ღონიერი რომ არ ყოფილყო და თან მთელი ეკიპაჟის თვალისჩინი, შეიძლებოდა იგი რაიმე უბედურებას გადაჰყროდა.

ნეგორო ახლა უფრო გაურბოდა დინგოს. დიკ სენდს არ გამოჰარვია, რომ იმ საოცარი შემთხვევის შემდეგ სიძულვილი ადამიანსა და ძაღლს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ეს მართლაც რომ გაუგებარი იყო.

ათ თებერვალს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელიც დამძლელ და ხანგრძლივ შტილებს (რომლეთა დროს "პილიგრიმი" თითქმის არ იძვროდა ადგილიდან) ენაცვლებოდა ხოლმე, საგრძნობლად შესუსტდა. კაპიტან ჰულს იმედი ჰქონდა, რომ ატმოსფერული დინებანი მიმართულებას შეიცვლიდნენ და ბოლოს და ბოლოს ხომალდი შეიძლებდა გაშლილი იალქნებით ცურვას. ოკლენდის პორტიდან გამოსვლის შემდეგ ცხრამეტი დღე იყო გასული. მაინცდამაინც არ იგვიანებდნენ. თუ ზურგქარიც ხელს შეუწყობდა, "პილიგრიმი" ადვილად მოახერხებდა დაკარგული დროის ანაზღაურებას. საჭირო იყო რამდენიმე დღეს შეეცადათ, რომ ქარს დასავლეთისაკენ ექნა პირი. წყნარი ოკეანის ამ უკაცრიელ ნაწილში არც ერთი გემი არ ჩანდა. ზღვაოსნებს ეს განედი მიეტოვებინათ.

ვეშაპზე მონადირენი, რომლებიც სამხრეთ ზღვებში იმყოფებოდნენ, ასე ნაადრევად არ აპირებდნენ ტროპიკების გადალახვას. ამიტომ სულ არ იყო მოსალოდნელი, რომ "პილიგრიმს", რომელმაც განსაკუთრებული პირობების გამო სეზონის დამთავრებამდე დატოვა სანადირო ადგილები, რომელიმე ხომალდი შეხვედროდა. რაც შეეხება ტრანსოკეანურ თბომავლებს, მათი გზა ასეთ მაღალ განედზე არ გადიოდა.

ზღვა უკაცრიელი იყო, მაგრამ მგზავრები მაინც აკვირდებოდნენ ჰორიზონტს. ზოგიერთისათვის ზღვა ძალზე ერთფეროვანი და მოსაწყენია, მაგრამ უსაზღვროდ საინტერესო და მრავალფეროვანია მათთვის, ვისაც კი მისი გაგება ძალუძს. ოკეანის, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ცვლილებები პოეზიას; იგი ასაზრდოებს ფანტაზიას. აი, ზღვის ბალახი; იგი ნელა ირწყვავს წყლის ზედაპირზე; წყალმცენარის ტოტი, რომლის ღერო მკრთალ ჭავლს ტოვებს

ტალღებზე; ფიცრის ნატეხი, რომლის გამოუცნობი ისტორია დასადგენია და მრავალი სხვა რამ. ასეთ გარემოში ადამიანის ფანტაზიას ფრთები ესხმება. წყლის ყოველი წვეთი შესაძლოა საიდუმლოდ ინახავდეს რაიმე კატასტროფის ამბავს. სწორედ რომ შესაშურია, ვისაც ოკეანის

1 უმცირესშიც უდიდესი ღმერთია. (ლათ.)

2 ნასწავლი ძალა (ლათ.)

საიდუმლოებათა წვდომა და ცის კაბადონამდე ამაღლება ძალუმს.

სიცოცხლე დულს წყალშიც და მის ზედაპირზეც. "პილიგრიმზე" მყოფთ შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ფრინველთა გუნდისათვის, რომლებიც თავს ესხმოდნენ პატარა თევზებს.

დიკ სენდმა რამდენიმე ფრთოსანი ჩამოაგდო და ყველას დაუმტკიცა, რომ ჯეიმს უელდონის ღირსეული მოწაფე შესანიშნავად ფლობდა თოფსაც და დამბაჩასაც.

აქ ნახავდით მთლად თეთრ ქარიშხალასაც და ფრთებზე ყავისფერ არშიამოყოლებულსაც; ზოგჯერ კამათელის გუნდებიც ჩამოიქროლებდნენ; ხანდახან გამოჩნდებოდა რამდენიმე პინგვინი, რომლებიც მიწაზე სასაცილოდ დაბაჯბაჯებდნენ, აქ კი, კაპიტან ჰულის თქმისა არ იყოს, მშვენივრად იყენებენ თავის ტაკვებს და უსწრაფეს თევზებსაც კი ეჯიბრებიან ცურვაში. ამიტომ არის, რომ მეზღვაურებს ზოგჯერ ისინი ბონიტებში ერევათ.

უფრო მაღლა, გიგანტური ალბატროსები ვეებერთელა ფრთების ტყლაშუნით სერავენ ზეცას, შემდეგ წყლის ზედაპირზე სხდებიან, ნისკარტს წყალში ყოფენ და საჭმელს ეძებენ (ფრთაგამილილი ალბატროსები ათ ფუტამდე აღწევენ).

ეს ყველაფერი მეტად ნაირფეროვანია და მოსაწყენად მხოლოდ ის მიიჩნევს, ვისაც არ ძალუმს ჩაწვდეს ბუნების მშვენიერებას.

ერთ დღეს, 10 თებერვალს, გემბანზე მოსეირნე მისის უელდონის ყურადღება უეცრად ზღვის ზედაპირის წითელმა ფერმა მიიქცია. წყალი სისხლით შეღებილი გეგონებოდათ. ეს ფერი ცის დასალიერამდე აღწევდა.

დიკ სენდი და ჯეკი იქვე იყვნენ.

- ხედავ, დიკ, - მიმართა მან ახალგაზრდა მეზღვაურს, - ნუთუ ოკეანის ამ საოცარ, მეწამულ ფერს ზღვის ბალახი ქმნის?

- არა, მისის უელდონ! - მიუგო დიკ სენდმა, - ამფერს ოკეანეს კიბოსნაირი ცხოველები აძლევენ, რომლებიც დიდ ძუძუმწოვართა საკვებია. მეთევზეები მათ "ვეშაპის სალაფავს" უწოდებენ.

- კიბოსნაირნი? - თქვა მისის უელდონმა, - ისინი ხომ ისე პაწაწინები არიან, რომ ზღვის მწრებიც კი შეიძლება ეწოდოს. წარმოგიდგენია, რა აღფრთოვანებით შეაგროვებდა მათ კუზენ ბენედიქტი?

- კუზენ ბენედიქტი! - დაუძახა მისის უელდონმა.

კუზენი ბენედიქტი კაპიტან ჰულთან ერთად კაიუტიდან გამოვიდა.

- კუზენ ბენედიქტი! - მიმართა მას მისის უელდონმა, - ხედავთ ამ უსასრულო წითელ ფერს?

- ეს ხომ ვეშაპის სალაფავია! - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - ბატონო ბენედიქტი, შესანიშნავი შემთხვევა გემლევათ კიბოსნაირთა ამ უცნაურ სახეობის შესასწავლად!

- სისულელეა! - აღმოხდა ენტომოლოგს.

- როგორ თუ სისულელეა! - გაიოცა კაპიტანმა ჰულმა, - თქვენ არა გაქვთ უფლება ასე გულგრილად შეხედოთ მათ. ისინი ხომ ასოსახსრიანთა ექვსი კლასიდან ერთ-ერთის წარმომადგენელი არიან და თუ არ ვცდები...

- სისულელეა! - გაიმეორა კუზენმა ბენედიქტმა თავის ქნევით.

- თქვენ ძალიან. გულგრილი ხართ. ენტომოლოგს ეს არ ეკადრება!

- ნუ გავიწყდებათ, კაპიტანო ჰულ, რომ მე ენტომოლოგი ვარ და მხოლოდ მწერებს ვსწავლობ, - მიუგო კუზენმა ბენედიქტმა.

- მართალია, - წარმოთქვა კაპიტანმა ჰულმა, - ეს კიბოსნაირნი თქვენ არ გაინტერესებთ, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, ვეშაპის კუჭი რომ გქონოდათ! რა ნადიმი მოგელოდათ! იცით, მისი

უელდონ! როცა ვემაპებზე მონადირენი კიბოსნაირთა ასეთ ქარავანს ვხვდებით, მაშინვე ვამზადებთ ბარჯებს, რადგან მსხვერპლი სადღაც სულ ახლოსაა.

- ვეებერთელა ვემაპები ამ ციციქნა ცხოველებით ძლებიან? - იკითხა ჯეკმა.

- ჩემო ბიჭუნა, - უპაუსხა კაპიტანმა ჰულმა, - განა პაწაწინა მარცვლებისაგან შემდგარი მანანის ბურღულის, პურისა და კარტოფილის ფქვილისაგან არ კეთდება გემრიელი საჭმელები? ასეთ მეწამულ წყალში ვემაპის სალაფავი მზადაა, ვემაპს ისლა დარჩენია, დაალოს თავისი უზარმაზარი ხახა და შიგ მოაქციოს მილიარდობით კიბოსნაირნი, შემდეგ მეთევზის ბადესავით გაშალოს სასაზე მოფენილი წვეტიანი ულვაშები და ერთიც არ გამოუშვას უკან. ამრიგად, კიბოსნაირთა მთელ მასას ვემაპი ისევა გადაუძახებს სტომაქში, როგორც შენ წვნიანს შეხვრიპავ ხოლმე სადილად.

- ხომ გესმის, ჯეკ! - ჩაურთო დიკ სენდმა, - ბატონი ვემაპი დროს არ კარგავს კიბოსნაირთა სათითაოდ გაფცქვნისათვის. შენ კი არ გგავს, იმდენხანს რომ უნდები კრევეტების გაფცქვნას.

- როცა ეს ვეება ღორმუცელა ცხოველი ამ საქმიანობაშია გართული, ძალიან ადვილია შეუმჩნევლად მიუახლოვდე და ბარჯი ესროლო, - თქვა კაპიტანმა ჰულმა.

სწორედ ამ დროს, თითქოს კაპიტან ჰულის სიტყვებს ადასტურებო, გაისმა ვახტზე მდგომი მეზღვაურის ხმა:

- ვემაპი, ვემაპია მარცხნივ!

კაპიტანი ჰული წელში გასწორდა.

- ვემაპი! - შესძახა მან და მონადირისათვის ჩვეული აღტყინებით შეპყრობილი "პილიგრიმის" ცხვირისაკენ გაეშურა. მას უკან გაჰყვნენ მისის უელდონი, ჯეკი, დიკ სენდი და კუზენი ბენედიქტიც კი.

მართლაც, გემიდან ოთხი მილის მოშორებით წყალი თუხთუხებდა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ მეწამულ წყალში გოლიათი ძუძუმწოვარი დაცურავდა. შეუძლებელი იყო, ვემაპებზე მონადირენი შემცდარიყვნენ. ძუძუმწოვართა რომელი სახეობის წარმომადგენელი იყო ეს ვემაპი, ამის დაბეჯითებით თქმა, სიშორის გამო, ჯერ შეუძლებელი იყო. იქნე სწორედ იმ ჯიშისა გამომდგარიყო, რომელსაც საგანგებოდ ეძებენ ჩრდილოეთის ზღვების ვემაპზე მონადირენი? ამ ვემაპებს ზურგის ფარფლი არა აქვთ და კანქვეშ ქონის სქელი ფენა ადევთ. მათი სიგრძე საშუალოდ სამოცი ფუტია, ზოგჯერ ოთხმოციც. ერთი ასეთი ურჩხულისაგან ას კასრამდე ქონს ადნობენ ხოლმე. ან იქნებ სრელა ვემაპი, რომელიც ბალენოპტერთა სახეობას ეკუთვნის. ამ სახელწოდების დაბოლოებას მაინც უნდა გამოეწვია ენტომოლოგში პატივისცემა. ასეთ ვემაპებს თეთრი ფარფლები ზურგის შუა ნაწილამდე გასდევს და წყვილი ფრთას მოგვაგონებს - თითქოს მფრინავი ვემაპიაო.

უფრო დიდი სრელა ვემაპი ხომ არ იყო, რომელსაც კუზიან სრელა ვემაპს უწოდებენ? მას ზურგის ფარფლი და ნამდვილი ვემაპის სიგრძე აქვს.

აღფრთოვანებული კაპიტანი ჰული და მთელი მისი ეკიპაჟი დაკვირვებით ათვალთვლებდნენ ცხოველს, მაგრამ გადაჭრით ჯერ არაფრის თქმა არ შეეძლოთ.

თუ სხვისი კედლის საათის დანახვისას მესაათეს მისი მომართვის დაუოკებელი სურვილი შეიპყრობს ხოლმე, რა დაემართება, - ვემაპზე მონადირეს ვემაპის დანახვისას? ამბობენ, დიდ მხეცებზე მონადირენი უფრო აღტყინებული მონადირენი არიან, ვიდრე ისინი, ვინც, ჩვეულებრივ, მცირე ნადირს ხოცავენ ხოლმეო. რაც უფრო დიდია ნადირი, მით უფრო მეტია აღტყინება! რა უნდა ემართებოდეთ ვემაპებსა და სპილოებზე მონადირეთ? თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ გულგატეხილი იყო "პილიგრიმის" ეკიპაჟი ნაკლული ტირთის გამო, მაშინ მათი სიხარული აღარ გაგვაკვირვებს.

თუმცა ასე შორ მანძილზე გარჩევა ძნელი იყო, კაპიტანი ჰული მაინც ცდილობდა გამოეცნო შუა ზღვაში მოცურავე ცხოველი. ვემაპზე გამოცდილი მონადირის თვალს არ გამოეპარებოდა მცირე წვრილმანიც კი. ზედაპირზე ამოვარდნილმა ორთქლის და წყლის ნაკადმა კაპიტანი ჰულის ყურადღება მიიქცია.

- ეს რომ ნამდვილი ვეშაპი იყოს, წყლის სვეტი უფრო მაღალი და წვრილი იქნებოდა და ხმაც ქვემეხების შორეულ გრიალის მსგავსი. ყური უგდე! ეს სულ სხვანაირი ხმაურია. შენ რას იტყვი, დიკ? - მიუბრუნდა იგი ახაგაზრდა მეზღვაურს.

- კაპიტანო! მე ვფიქრობ, ეს სრელა ვეშაპია, - უპაუსხა დიკ სენდმა. - შეხედეთ, რა ძლიერ წყლის ნაკადს უშვებს. თანაც მადრევანში წყალი უფრო მეტია, ვიდრე ორთქლი, - ეს სწორედ სრელა ვეშაპია იცის.

- მართალია, დიკ! - მიუგო კაპიტანმა ჰულმა. - ეს ცხოველი, წითელ წყალში რომ დაცურავს, ნამდვილად სრელა ვეშაპია.

- რა ლამაზია! - წამოიძახა პატარა ჯეკმა.

- ჰო, ჩემო ბიჭუნა! ეს ვეებრთელა მხეცი საუზმეს მიირთმევს და აზრადაც არ მოსდის, რომ მონადირენი გაფაციცებით უთვალთვალუბენ.

- ეს სრელა ვეშაპი საკმაოდ მოზრდილი ჩანს, - შენიშნა დიკ სენდმა.

- მისი სიგრძე, ალბათ, სამოცდაათი ფუტი მაინც იქნება, - თქვა კაპიტანმა ჰულმა, რომელიც უფრო და უფრო ღელავდა.

- შესანიშნავია! - დაუმატა ბოცმანმა, - ნახევარი დუჟინი ასეთი ზომის ვეშაპი სავსებით საკმარისია ჩვენნაირი გემის მთლიანად დასატვირთად.

- დიახ, სავსებით საკმარისი იქნებოდა! - კაპიტანი ჰული ბუმპრიტზე ავიდა, რომ უკეთ დაეთვალა იერებინა ვეშაპი.

- ჩვენ შეგვიძლია ამ ვეშაპით რამდენიმე საათში ავაგვოთ ჩვენი ცარიელი კასრების ნახევარი! - თქვა ბოცმანმა.

- დიახ! ... მართლაც... დიახ! - ჩურჩულებდა კაპიტანი ჰული.

- მაგრამ ასეთ უზარმაზარ ვეშაპთან შებმა ხომ სახიფათოა? - თქვე დიკ სენდმა.

- ძალიან, ძალიან სახიფათოა, - დაუმატა კაპიტანმა ჰულმა, - მათ უზარმაზარი კუდი აქვთ და მიახლოებისას საკმაო სიფრთხილეს საჭირო. ყველაზე დიდი ნავიც კი ვერ უძლებს ამ კუდის დარტყმას, თუმცა მოგება ისე დიდია, ხიფათში თავის ჩაგდებად ღირს.

- დიდი ვეშაპი დიდი ნადავლია! - თქვა ერთმა მეზღვაურმა.

- მომგებიანიცაა! - დაამატა მეორემ.

- დიდი ზარალი მოგვივა, მას უფრო ახლოდან რომ არ მივესალმით!

მამაცი მეზღვაურები აშკარად აღფრთოვანა ვეშაპის გამოჩენამ. თითქოს იგი ქონით სავსე კასრები იყო, რომელიც ხომალდის ახლო დაცურავდა და მეზღვაურებს ისლა დარჩენოდათ, ეს კასრები "პილიგრიმის" ტრიუმში ჩაემწკრივებინათ.

ზოგი მეზღვაური ფოკ-ანძის ვანტებზე აცოცდა და იქიდან მოუთმენელი შემახილები ისმოდა. კაპიტანი ჰული ნერვიულად იკვნიტდა ფრჩხილებს. ოკეანეში მოცურავე ვეშაპი ცხოველი მაგნიტივით იზიდავდა "პილიგრიმის" მთელ ეკიპაჟს.

- დედიკო, დედიკო! - შესძახა პატარა ჯეკმა, - მე მინდა მყავდეს ვეშაპი! მინდა ვნახო, როგორაა იგი მოწყობილი!

- ჩემო ბიჭუნა, შენ გიდნა, ახლოდან ნახო ვეშაპი? რატომაც არა! ჩემო მეგობრებო! - მიმართა კაპიტანმა ჰულმა ეკიპაჟს, - მართალია, მაშველი მეთევზეები არა გვყავს, მაგრამ... ჩვენ თვითონ...

- შევძლებთ! შევძლებთ! - ერთხმად შეჰყვირეს მეზღვაურებმა.

- მეზარჯის ხელობა ჩემთვის უცხო არ არის, - დაუმატა ჰულმა, - ვნახოთ, კიდევ შემიძლია თუ არა ბარჯის სროლა.

- ვაშა! ვაშა! - შესძახა ეკიპაჟმა.

თავი VII

მზადება

გიგანტური ძუძუმწოვარის დანახვით გამოწვეული აღფრთოვანება სავსებით ბუნებრივი იყო.

მეწამულ წყალში მოცურავე ვეშაპი უზარაზარი ჩანდა. მისი დაჭერა და ტვირთის შევსება ძალზე სასურველი იყო! ასეთ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა!

"სიფრთხილეს თავი არ სტკივასო!," - იფიქრა მისის უელდონმა და კაპიტან ჰულს ჰკითხა, ვეშაპზე ნადირობა რაიმე ხიფათს ხომ არ გიქადით ან ჩვენ საფრთხე ხომ არ გვემუქრებაო.

- არა, მისის უელდონ! - მიუგო კაპიტანმა ჰულმა, - ვეშაპებზე ერთადერთი ნავით ხშირად მინადირია და გამიმარჯვნია კიდეც. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, ჩვენ არავითარი საფრთხე არ მოგველის, რაღა თქმა უნდა, არც თქვენ!

მისის უელდონი დამშვიდდა.

კაპიტანმა ჰულმა სწრაფად აწონ-დაწონა ყველაფერი. მან კარგად იცოდა, რომ ასეთ ვეშაპთან შეხება ადვილი არ იყო და უნდოდა ყველაფერი წინასწარ გაეთვალისწინებინა.

ნადირობას ისიც აძნელებდა, რომ შხუნა-ბრიგის ეკიპაჟს მხოლოდ ერთადერთი ნაის გამოყენება შეეძლო. მართალია, მას ჰქონდა ბარაკასი, რომელიც დამაგრებული იყო გროტ-ანძისა და ფოკ-ანძის შუა, ჰქონდა აგრეთვე ვეშაპზე სანადირო სამი ნავი. ორი ეკიდა კარჭაპის კოჭებზე, ერთი - მარცხნივ, მეორე გემის მარჯვენა მხარეზე; მესამე მოთავსებული იყო კიჩოზე.

ჩვეულებრივ, ამ სამ ნავს ერთდროულად იყენებდნენ ვეშაპებზე სანადიროდ, მაგრამ სარწაო პერიოდში, ახალ ზელანდიაში ყოფნის, როგორც ვიცით, ქირობდნენ დამხმარე მეზღვაურებსაც.

ამჟამად "პილიგრიმზე" ხუთი მეზღვაური ჰყავდათ. ეს მხოლოდ ერთ ნავს ეყოფოდა. ტომმა და მისმა თანამგზავრებმა მაშინვე შესთავაზეს დახმარება, მაგრამ ზანგების გამოყენება არ შეიძლებოდა. ვეშაპზე იერიშისას ძაზე გამოცდილი მეზღვაურებია საჭირო. საჭის ოდნავ არაზუსტი მობრუნება, ნიჩბის ერთი უდროო მოსმაც კი საფრთხეს უქადის ნავს. კაპიტან ჰულს არც გემის ისე უპატრონოდ დატოვება უნოდა, მასზე ეკიპაჟის ერთი საიმედო წევრი მაინც რომ არ დარჩენილიყო. რადგან ვეშაპებზე სანადიროდ ღონიერი მეზღვაურები უნდა წაეყვანა, კაპიტანმა ჰულმა ხომალდის ხემძღვანელობა დიკ სენდს დააკისრა.

- დიკ! - მიმართა მან, - ჩემს აქ არყოფნაში გემზე შენ დარჩები, ვიმედოვნებ, ნადირობა ხანმოკლე იქნება!

- არის, კაპიტანო! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა.

დიკ სენდს, მართალია, ხიბლავდა ასეთ მიმზიდველ ნადირობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ნავის მომსახურებისათვის ვაჟკაცის ძალა და მკლავი უფრო საჭირო იყო, ვიდრე მისი; ისიც კარგად იცოდა, რომ გემზე მხოლოდ მას შეეძლო კაპიტან ჰულის შეცვლა, ამიტომ ხვედრს უსიტყვოდ დამორჩილდა.

სანადირო ნავზე ბოცმან ჰოვიკის ჩათვლით ხუთნი უნდა გადამსხდარიყვნენ. ეს "პილიგრიმის" მთელი ეკიპაჟი იყო.

ოთხ მეზღვაურს ადგილები უნდა დაეკავებინათ ნიჩბებთან, ხოლო ჰოვიკი მიუჯდებოდა კიჩოს ნიჩაბს, რომელიც ასეთ ნავებში საჭის მაგივრობას ეწევა ხოლმე. ჩვეულებრივი საჭე საკმაოდ სწრაფად ვერ აბრუნებს ნავს და თუ გვერდითი ნიჩბები მწყობრიდან გამოვლენ, სათანადოდ მომარჯვებულ უკანა ნიჩაბს შეუძლია ნავის დახსნა გამძვინვარებული ვეშაპის დარტყმისაგან.

კაპიტან ჰულს მეზარჯის პოსტი უნდა დაეკავებინა. მისივე თქმისა არ იყოს, მეზარჯედ ის არაერთხელ ყოფილა. ჰულს ჯერ ბარჯი უნდა ესროლა ვეშაპისათვის, თვალი ედევნებინა ბარჯის ბოლოზე დამაგრებული გრძელი ტროსის გაშლისათვის და როცა ვეშაპი ოკეანის ზედაპირზე გამოჩნდებოდა, შუბით სიცოცხლე მოესწრაფებინა ცხოველისათვის. ვეშაპებზე მონადირენი ზოგჯერ ცეცხლმსროლელი იარაღითაც სარგებლობდნენ. პატარა, სპეციალური ქვემეხი აქვთ დადგმული გემზე ან ნავის ცხვირზე, რომლითაც ისვრიან ბარჯს (მას ბოლოზე გრძელი ტვირთი აქვს ხოლმე დამაგრებული), ანდა სასკდომ ჭურვებს, რომლებიც ვეშაპის სხეულს ძლიერ აზიანებს.

"პილიგრიმზე" ასეთი ქვემეხი არ ჰქონდათ. ქვემეხის გამოყენება ძნელია, თანაც ძვირი ღირს და მეთევზეებს, რომლებიც ადვილად ვერ ეგუებიან რაიმე სიახლეს, უბრალო იარაღებით - შუბითა და ბარჯით ურჩევნიათ ბრძოლა. ამ იარაღებს ისინი ოსტატურად ფლობენ.

კაპიტანმა ჰულმაც ჩვეულებრივ, ცივი იარაღით გადაწყვიტა იერიშის მიტანა ვეშაპზე, რომელიც მისგან ხუთი მილით იყო დაშორებული.

ნადირობას ამინდიც ხელს უწყობდა. ზღვა მეტად წყნარი იყო, სუსტი ქარი ქროდა და "პილიგრიმი" სანამ მისი ეკიპაჟი შუაგულ ზღვაში ნადირობდა, შორს ვერ წავიდოდა.

ხომალდის მარჯვენა ფერდზე დამაგრებული ნავი სწრაფად ჩაუშვეს ზღვაში და ოთხმა მეზღვაურმა თავ-თავისი ადგილი დაიკავა. ჰოვიკმა მათ გადაუგდო ორი ბარჯი, ორი გრძელი და მახვილბოლოიანი შუბი, მოქნილი და გამძლე ტროსის ხუთი ხვეულა, რომელსაც ვეშაპზე მონადირენი "ზონარს" უწოდებენ. თითოეული მათგანის სიგრძე ექვსას ფუტამდე აღწევს ხოლმე. ამაზე ნაკლები არ შეიძლება, რადგან ხშირად ვეშაპი ისე ღრმად ჩადის, ეს ტროსებიც არ არის ხოლმე საკმარისი.

ეს მოწყობილობა გულმოდგინედ ჩაალაგეს ნავის ცხვირთან.

ჰოვიკი და ოთხი მეზღვაური ბრძანებასღა ელოდნენ, რომ ნავი აეხსნათ. ნავის ცხვირთან ერთადერთი თავისუფალი ადგილი დარჩა, რომელიც კაპიტან ჰულს უნდა დაეკავებინა.

ცხადია, სანამ გემს დატოვებდნენ, იგი დრეიფზე დააყენეს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ქანდრები ისე იყო დაყენებული, რომ იალქნები აწონასწოვებდნენ ერთმანეთს და შხუან-ბრიგი თითქმის უძრავად იდგა.

კაპიტანმა ჰულმა უკანასკნელად შეათვალიერა გემი და, როცა დარწმუნდა, გემსართავები დაჭიმული და იალქნები გამართული იყო, დამშვიდდა. გემზე იგი რამდენიმე საათით ტოვებდა ახალგაზრდა მეზღვაურს და უნდოდა, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, დიკს არავითარი მანევრირება არ ჩაეტარებინა.

გამგზავრებამდე კაპიტანმა რამდენიმე საბოლოო განკარგულება გასცა:

- დიკ, მარტო გტოვებ. ფხიზლად იყავი! თუ ვეშაპის გამოდევნება მოგვიხდა და გემის დაძვრა დაგვჭირდა, ტომი და მისი ამხანაგები მოგეხმარებიან. შენ ასწავლე და ისინი ყველაფერს მშვენივრად გაგიკეთებენ.

- დიახ, კაპიტანო, - უპასუხა მოხუცმა ტომმა, - მისტრ დიკს შეუძლია ჩვენი იმედი ჰქონდეს!

- ოღონდ გვიბრძანეთ! - წამოიძახა ბათმა, - ძალიან გვინდა, რაიმეში გამოგადგეთ!

- დასაჭიშია რამე? - იკითხა ჰერკულესმა და ფართე სახელოები აიკეცა.

- ჯერჯერობით არაფერი! - ღიმილით უპასუხა დიკ სენდმა.

- მე მზად ვარ! - თქვა გოლიათმა.

- დიკ! - განაგრძო კაპიტანმა ჰულმა, - ამინდი შესანიშნავია. ქარი ჩადგა. ეტყობა, ჯერჯერობით აღარც ამოვარდება, რაც არ უნდა მოხდეს, გემი არ დატოვო, ნავი ზღვაში არ ჩაუშვა!

- არის!

- თუ "პილიგრიმის" დახმარება აუცილებელი გახდა, მე ბარჯის ბოლოზე დამაგრებული ალმით განიშნებ.

- დამშვიდდით, კაპიტანო, ნავს წუთითაც არ მოვაცილებ თვალს!

- კარგი, ჩემო ბიჭო! - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - სიმამაცე და სიმშვიდე გმართებს. შენ ახლა კაპიტანის მოადგილე ხარ. შენს ასაკში არავის მიუღწევია ამისათვის. ღირსეულად ატარე ეს წოდება!

დიკ სენდი გაწითლდა, გაიღიმა და არაფერი უპასუხა. კაპიტანი ჰული მიუხვდა.

"რა სანდომიანი ბიჭია, - გაიფიქრა მან, - მორიდებული, სიკეთით შემკული".

ამ ბოლო განკარგულებებიდან ჩანდა, რომ კაპიტანი ჰული რამდენიმე საათითაც კი უხალისოდ ტოვებდა ხომალდს, თუმცა არავითარ საფრთხეს პირი არ უჩანდა. მონადირის ძლიერმა ინსტიქტმა და, განსაკუთრებით, ქონის მარაგის შევსების დაუოკებელმა სურვილმა გადააწყვეტინა მას სახიფათო ნადირობა, თან ვალპარიოსში ნაკისრი ვალდებულებების

განადებდაც უნდოდა. გასაოცრად წყნარი ზღვა ვეშაპზე ნადირობის სურვილს აძლიერებდა. არც კაპიტან ჰულს და არც "პილიგრიმის" ეკიპაჟს ამ ცდუნებიდან თავის დაღწევა არ შეეძლო. "ბოლოს და ბოლოს ეს ვეშაპზე ნადირობაც ხომ დამთავრდება", - გაიფიქრა კაპიტანმა ჰულმა და ამ ფიქრმა ყველა დანარჩენი დაჩრდილა. იგი ნავში ჩაშვებული კიბისაკენ გაემართა.

- გისურვებთ წარმატებას! - თქვა მისის უელდონმა.
- გმადლობთ, მისის უოლდონ!
- ძალიან არ ატკინოთ ვეშაპს, რა! - სთხოვა პატარა ჯეკმა.
- არა, ჩემო ბიჭუნა! - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა.
- ფრთხილად დაიჭირეთ!
- კარგი... ჩემო ჯეკ, ნუ გეშინია, ცივ ნიავს არ მივაკარებთ!
- ზოგჯერ ასეთი დიდი ძუძუმწოვრების ზურგზე მეტად საინტერესო მწერებს პოულობენ! -

თქვა კუზენმა ბენედიქტმა.

- რასაკვირველია, ბატონო ბენედიქტ, - გაეცინა კაპიტან ჰულს, - თქვენ შეგიძლიათ "ენტომოლოგიური ძიება" ჩაატაროთ, როდესაც ვეშაპს "პილიგრიმთან" მოვაცურებთ, - შემდეგ ტომს მიუბრუნდა: - ტომ, მე თქვენი და თქვენი თანამგზავრების იმედი მაქვს, რომ ვეშაპის გატყავებასა და გამოშიგვნაში დაგვეხმარებით.

- რასაც კი გვიბრძანებთ, ყველაფრისათვის მზად ვართ! - უპასუხა მოხუცმა ზანგმა.

- გმადლობთ! დიკ! ეს კეთილი ადამიანები მოგეხმარებიან ცარიელი კასრების გემბანზე ამოზიდვაში და საქმე წინ წაგდებული იქნება.

- გავაკეთებთ, კაპიტანო!

ვეშაპზე მონადირეებმა მოკლული ვეშაპი ბუქსირით უნდა მიათრიონ "პილიგრიმამდე" და მაგრად მიაბან გემის მარჯვენა გვერდზე. შემდეგ მეზღვაურები წვეტიანი ჩექმებით ზურგზე მოექცევიან ვეშაპს და თავიდან კუდამდე ზოლებად დაჭრიან. ეს ზოლები შემდეგ აიჭრება ერთ-ნახევარი ფუტის სისქე ფენებად, რომლებსაც კიდევ უფრო პატარა ნაწილებად აქუცმაცებენ, ყრიან კასრებში და გემის ტრიუმში ტვირთავენ. ნადირობის დამთავრების შემდეგ, გემი ცდილობს, რაც შეიძლება მალე მაიდგეს ნაპირს და იქ დაამთავროს დარჩენილი სამუშაოები. ეკიპაჟი ხმელეთზე ჩამოსვლისას ადნობს ქონს, რომელიც სითბოს გავლენით გამოყოფს მთელ თავის სასარგებლო ნაწილს, ე.ი. ზიპს¹.

კაპიტან ჰულს ქონის მთლიანად "გამოდნობა" უნდოდა ვალპარაისოში, ამასთან დასავლეთის ქარიც იყო მოსალოდნელი და კაპიტანი ფიქრობდა, ოც დღეში მაინც მაიდგებოდა ამერიკის ნაპირს. ამ ხნის განმავლობაში კი ნადავლი არ გაფუჭდებოდა.

გამგზავრების დროც მოვიდა. დრეიფზე დადგომამდე "პილიგრიმუ" ოდნავ მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ვეშაპი წყლისა და ორთქლის შადრევანს აფრქვევდა.

ვეშაპი ცურავდა კიბოსნაირებისაგან შეღებილ წითელ წყალში, დროდადრო ფართოდ აღებდა პირს და პაწაწინტელა ცხოველებს მილიარდობით გზავნიდან მუცელში. იგი არც კი ცდილობდა მიმალვას, ჩანდა, "მებრძოლ" ვეშაპთა სახეობისა იყო.

- კაპიტანმა ჰულმა გემბანის მოაჯირს გადააბიჯა და თოკის კიბით ნავის ცხვირთან ჩაეშვა.

მისის უელდონმა, ჯეკმა, კუზენმა ბენედიქტმა, ტომმა და მისმა თანამგზავრებმა ერთხელ კიდევ უსურვეს კაპიტანს წარმატება.

დინგოც კი უკანა თათებზე დამდგარიყო, თათებით პლანშირს დაყრდნობოდა და თითქოს ისიც ემშვიდობებოდა ეკიპაჟს.

შემდეგ ყველანი გემის ცხვირისაკენ გაემართნენ, რათა ამ საინტერესო ნადირობის არც ერთი დეტალი არ გამორჩენოდათ მხედველობიდან.

მეზღვაურებმა ოთხი ძლიერი ნიჩაბი მოუსვეს და ნავი თანდათან დასცილდა "პილიგრიმს".

- ფხიზლად იყავი, დიკ, ფხიზლად! - ერთხელ კიდევ დაუძახა კაპიტანმა ჰულმა ახალგაზრდა მეზღვაურს.

- ნუ გეფიქრებთ, კაპიტანო!

- არ დაგავიწყდეს, ცალი თვალი გემზე გეჭიროს, მეორე ნავზე, ჩემო ბიჭო!

- არის! - უპასუხა დიკ სენდმა და საჭერსთან დადგა.

ნავი რამდენიმე ასეული ფუტით დასცილდა გემს. კაპიტან ჰულის ხმა უკვე აღარ ისმოდა. იგი ნავის ცხვირთან იდგა და განკარგულებას ხელით ანიშნებდა.

პლანშირზე დაყრდნობილმა დინგომ უცბად შესაბრალისი ყმუილი მორთო. მისის უელდონი ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ მაინც შეკრთა.

- დინგო! ასე ამხნევებ შენ მეგობრებს? აბა, ცოცხლად და მხიარულად შეჰყეფე! - უთხრა მან. ძაღლმა ყმუილი შეწყვიტა, მისის უელდონს მიუახლოვდა და ხელები აულოკა.

- კუდს არ იქნევს! - წაიბუტბუტა ტომმა, - ცუდი ნიშანია! ცუდი ნიშანია!

1 გამოდნობისას ქონი კარგავს დაახლოებით თავისი წონის მესამედს (ავტორის შენიშვნა).

დინგოს უცბად ბეწვი ყალყზე დაუდგა და განრისხებულმა დაიღრინა.

მისის უელდონი მობრუნდა.

ნეგორო გემის წინაერდოსაკენ მოდიოდა. ალბათ, მასაც უნდოდა ნადირობისთვის თვალყური ედევნებინა.

განრისხებული დინგო ეცა მზარეულს. ნეგორომ ხელი სტაცა ბერკეტს და თავდასაცავად მოემზადა.

ძაღლი ცდილობდა, ყელში სწვდომოდა მას.

- აქეთ, დინგო, აქეთ! - შეჰყვირა დიკ სენდმა, რომელმაც ერთი წუთით დატოვა პოსტი და გემის ცხვირისაკენ გაიქცა. ძაღლის დამშვიდებას მისის უელდონიც ცდილობდა.

დინგო უფულოდ დაემორჩილა ბრძანებას და ყრუ ღრენით დიკისაკენ გაემართა.

ნეგოროს კრინტი არ დაუძრავს. მიტკლის ფერი დაედო, ბერკეტი დააგდო და თავისი კაიუტისაკენ გასწია.

- ჰერკულეს! - თქვა დიკ სენდმა, - ამ კაცისათვის თვალყურის დევნებას თქვენ გავალეზთ.

- კარგით! - უპასუხა ჰერკულესმა და ვეება მუშტები მუქარით შემართა.

მისის უელდონმა და დიკ სენდმა მზერა ისევ ნავზე გადაიტანეს, რომელიც თავისი ოთხი ნიჩბის წყალობით სწრაფად შორდებოდა გემს.

ძაღვი იგი უკვე პატარა წერტილივით მოჩანდა უკიდევანო ზღვაში.

თავი VIII

ვეშაპი

კაპიტანმა ჰულმა, რომელსაც ვეშაპებზე ნადირობისას დიდი გამოცდილება ჰქონდა, კარგად იცოდა, რომ ეს ძნელი საქმეა, ამიტომ წინასწარ გაითვალისწინა ყველა წვრილმანი.

მან ბრძანა, ვეშაპს ქრის მხრიდან მიახლოებოდნენ, რათა ცხოველს ხმაური არ გაეგონა. ჰოვიკმა ნავი იმ წითელი, საკმაოდ გრძელი მრუდის გასწვრივ წარმართა, რომლის იქით ვესაპი ცურავდა, ე.ი. თითქმის გარს უნდა შემოეფლოთ მისთვის. ჰოვიკი ძალზე მშვიდი და გონიერი მეზღვაური იყო. კაპიტანი ჰული მას სავსებით ენდობოდა და იმის შიში არა ჰქონდა, რომ ჰოვიკი დაიბნეოდა, ან რაიმე მერყეობას გამოიჩენდა.

- ყურადრებით იყავი, ჰოვიკ, - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - ვეშაპს მოულოდნელად უნდა დავესხათ თავს. მან მხოლოდ მაშინ უნდა შეგვაძინოს, როცა ბარჯის სასროლზე მივუახლოვდებით.

- არის! ამ მოწითალო წყლის რკალს მივყვები, რომ ყოველთვის ქარის მიმართულება მეჭიროს, - მიუგო ბოცმანმა.

- კარგი, - თქვა კაპიტანმა ჰულმა. - აბა, ბიჭებო, ნიჩბები ჩუმად მოვუსვათ.

ჭილობში საგულდაგულოდ შეხვეული ნიჩბები უხმაუროდ მოძრაობდნენ.

ნავმა, რომელსაც ბოცმანი ოსტატურად მართავდა, კიბოსნაირთა სქელ ფენას მიაღწია. მარჯვენა ბორტის ნიჩბები მწვანე და გამჭვირვალე წყალში იყო ჩაშვებული, მარცხენა ბორტის ნიჩბებიდან კი წურწურით ჩამოდიოდა სისხლისერი წვეთები.

- ღვინო და წყალი! - თქვა ერთ-ერთმა მეზღვაურმა.

- ჰო! - მიუგო კაპიტანმა ჰულმა, - მაგრამ წყალი, რომელიც არ ისმევა და ღვინო, რომელიც არ ათრობს. აბა, ბიჭებო! ბევრს ნულარ ვილაპარაკებთ, მაგრამ მოვუსვათ ნიჩბები.

ნავი ისე უხმაუროდ მიცურავდა წყლის ზედაპირზე, თითქოს ცხიმის სქელ ფენაზე მისრიალებსო.

ვეშაპი ადგილიდან არ იძვროდა. ეტყობოდა, ვერ ამჩნევდა ნავს, რომელიც მას გარს უვლიდა.

ნავი დიდი მანძილით დასცილდა "პილიგრიმს", გემი უკვე წერტილივით მოჩანდა. გასაოცარია, როგორ სწრაფად პატარავდებიან საგნები ზღვაში, თითქოს მათ დურბინდის მეორე მხრიდან უყურებდეთ. ეს ოპტიკური ილუზია ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ ამ უკიდევანო სივრცეში არც ერთი საგანი არ არის, რასთანაც შედარება შეიძლებოდა. ამიტომ "პილიგრიმიც" გაცილებით შორს მოჩანდა, ვიდრე სინამდვილესი იყო.

ნახევარი საათის შემდეგ ვეშაპი გემსა და ნავს შუა მოექცა. უკვე მიახლოების დრო იყო, შეიძლებოდა ბარჯი გვერდიდანაც ესროლათ, სანამ ვეშაპი რაიმეს შეამჩნევდა.

- ცოტა ნელა, ბიჭებო! - დაიჩურჩულა კაპიტანმა ჰულმა.

- მგონი, ჩვენმა თევზმა რაღაც იგრძნო! - თქვა ჰოვიკმა. - ახლა უფრო სხვაგვარად სუნთქვს, ვიდრე წელან.

- ჩუმად, ჩუმად! - გაიმეორა კაპიტანმა ჰულმა.

ხუთი წუთიც და ნავი ერთი კაბელტოვით¹ იყო დაშორებული ვეშაპისაგან. ბოცმანი კიჩოსთან იდგა და ისე მართავდა ნავს. ცდილობდა მარცხენა მხრიდან მიახლოებოდა ვეშაპს, ოღონდ ისე, რომ კუდიდან შორ მანძილზე ყოფილიყო. ამ შემზარავი კუდის ერთი დარტყმაც კი ნავს ნაფოტ-ნაფოტ აქცევდა.

ნავის ცხვირთან კაპიტანი ჰული იდგა, მას ხელთ შუბი ეპყრა, ფეხები განზე გაედგა, რომ წონასწორბა დაეცვა. იქვე, ბადიაში, იდო ბარჯზე დამყარებული ტროსი, რომლისთვისაც უნდა მიემაგრებინათ დანარჩენი ოთხი ხვეულა, თუ ვეშაპი ღრმად ჩაყვინთავდა. ეს ბარჯი უთუოდ მაგრად ჩაერჭობოდა წყლიდან ამოშვერილ სქელ ფენაში.

- მზადა ხართ, ბიჭებო? - წაიჩურჩულა კაპიტანმა ჰულმა.

- მზადა ვართ! - უპასუხა ჰოვიკმა და მაგრად მოუჭირა თავისი დიდი ხელები ნიჩაბს.

- მიუახლოვდი!

ბოცმანი დაემორჩილა ბრძანებას. ნავი ათ ფუტზე მიუახლოვდა ცხოველს.

ვეშაპი უძრავად იწვა, გეგონებოდათ, სძინავსო. მძინარე ვეშაპი ადვილად ჩასაგდება ხელში, ზოგჯერ პირველი დარტყმისთანავე სასიკვდილოდ დაჭრიან ხოლმე.

"საოცარია, სულ არ ინძრევა, - გაიფიქრა კაპიტანმა ჰულმა, - არ უნდა ეძინოს... რაღაც სხვა მიზეზია!"

ბოცმანსაც იმავე აზრმა გაუელვა. ფიქრის დრო არ იყო. სწრაფად და საზრიანად უნდა ემოქმედათ. კაპიტანმა ჰულმა რამდენჯერმე მოიქნია ბარჯი ჰაერში, მერე დაუმიზნა და მთელი ძალით სტყორცნა ვეშაპს ფერდში.

- უკან, უკან! - შეჰყვირა მან.

¹ კაბელტოვი - სპეციალურად საზღვაო საქმეში გამოყენებული ზომა, ას ოცი საყენი ე.ი. ორასი მეტრი (ავტორის შენიშვნა)

მეზღვაურებმა სწრაფად დაახვეინეს ნავს უკან, რათა ვეშაპის კუდის დარტყმა აეცდინათ.

- პატარა ვეშაპი! - გაისმა ბოცმანის ყვირილი.

ახლა კი ყველა მიხვდა, თუ რატომ იყო ამდენ ხანს ასე უძრავად ცხოველი. მართლაც, დაჭრილი ვეშაპი ცალ გვერდზე გადაბრუნდა და გამოჩნდა პატარა ვეშაპი, რომელსაც იგი ბუძუს აწოვებდა. კაპიტანმა ჰულმა იცოდა, რომ ეს ცხოველთან ბრძოლას გააძნელებდა. ცხადია,

დედა ვეშაპი თავგანწირულად დაიცავდა თავის "პატარას", თუკი ეს სიტყვა შეეფერებოდა ოცი ფუტის სიგრძის არსებას.

ვეშაპი პირდაპირ ნავს კი არ ეცა, რისიც მათ ეშინოდათ (ამიტომაც არ დასჭირდათ ჰარუნთან მიმაგრებული ტროსის გადაჭრა, რაც გაქცევისას ხდება ხოლმე), არამედ ჩაყვინთა, წრე შემოავლო წყალქვეშ, შემდეგ ვეშაპი, ძლიერი ნახტომით ზედაპირზე ამოვარდა და ელვის სისწრაფით გაცურა. შვილმაც მას მიბაძა.

სანამ ვეშაპი ჩაყვინთავდა, ფეხზე მდგომმა კაპიტანმა ჰულმა და ბოცმანმა კარგად გაარჩიეს და შეაფასეს კიდევ იგი. ეს იყო მფრინავ ვეშაპთა, ბალენოპეტრთა, უზარმაზარი წარმომადგენელი. მისი სიგრძე ოთხმოც ფუტს აღწევდა. მოყვითალო კანი დაფარული ჰქონდა უამრავი მუქი ყავისფერი ლაქით. ასეთი ნადავლის ხელიდან გაშვება არაფრით არ ეგებოდა, მითუმეტეს, რომ იერიში ასე წარმატებით დაიწყეს.

ბარჯის ტროსი გადაუჭრელი იყო. ნავი ბუქსირით გაჰყვა ვეშაპს. ნიჩბები მაღლა ჰქონდათ აწეული: საფრთხის მიუხედავად, ჰოვიკი მშვიდად მართავდა ნავს, რომლიც ისარივით მიჰქროდა ტალღებზე. კაპიტანი ჰული, რომელიც ნადავლს ერთი წუთით არ აცილებდა თვალს, განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

- კარგად დაუკვირდი, ჰოვიკ! კარგად დაუკვირდი!

თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ბოცმანი ერთი წუთითაც არ შეანელებდა ყურადღებას.

რადგან ნავს ვეშაპივით ჩქარი სვლა არ შეეძლო, ბარჯის ტროსი ისეთი სისწრაფით იშლებოდა, რომ საშიში იყო, ნავზე ხახუნისაგან ცეცხლი არ გაჩენილიყო. კაპიტანმა ჰულმა წყლით გაავსო ბადია, რომელშიც ტროსი იდო. ვეშაპს ფიქრადაც არ მოსდიოდა შეჩერება ან ცურის შენელება. ტროსის მეორე ხვეულა პირველს მიაბეს, მაგრამ ისიც სწრაფად გათავდა. ხუთი წუთის შემდეგ მესამე ხვეულაც მიაბეს - ისიც თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ვეშაპი შეუჩერებლივ მიცურავდა. ცხაი იყო, ბარჯს იგი საკმაოდ არ დაეზიანებინა. ტროსის დახრილობაზე აშკარად ეტყობოდა, რომ ცხოველი სულ უფრო და უფრო ღრმად ჩადიოდა წყალში.

- დასწყევლოს ეშმაკმა! - შეჰყვირა კაპიტანმა ჰულმა, - ეტყობა ეს მხეცი ჩვენს ხუთივე ხვეულას შთანთქავს.

- და საკმაოდ შორსაც გაგვათრევს "პილიგრიმიდან", - დაუმატა ბოცმანმა.

- ჰაერისთვის ხომ მაინც ამოვა წყლის ზედაპირზე! ჰაერი მას ადამიანივით სჭირდება, - უპასუხა კაპიტანმა ჰულმა.

- იგი სუნთქვას იკავებს, რომ უფრო შორს გაიქცეს, - გაიცინა ერთმა მეზღვაურმა.

ტროსი სწრაფად იშლებოდა. მალე საჭირო გახდა მესამე ხვეულისათვის მეოთხეც გადაებათ. ამან ცოტა არ იყოს შეაშფოთა მეზღვაურები.

- დასწყევლოს ღმერთმა! - ჩაიბუტბუტა კაპიტანმა ჰულმა, - ასეთი არაფერი მინახავს. ნამდვილი სტანაა!

ბოლოს მეხუთე ხვეულაც დასჭირდათ და იგი თითქმის ნახევრამდე იყო გაშლილი, ტროსი რომ მოეშვა.

- აა, ძალიან კარგი, - თქვა კაპიტანმა ჰულმა, - ტროსი მოეშვა! ვეშაპი დაიღალა!

"პილიგრიმი" ხუთი მილით იყო ნავისაგან დაშორებული. კაპიტანმა ბარჯის ბოლოზე დამაგრებული ალამი ასწია და გემს მოახლოების ნიშანი მისცა. კაპიტანმა შეამჩნია, რომ დიკ სენდმა ტომისა და მისი თანამგზავრების დახმარებით დაიწყო ქანდარების მოზრუნება, რათა ისინი ქარის მიმართულებით დაყენებინა. სუსტი ქარი ქროდა, იგი ხან ჩადგებოდა, ხან ისევ დაუბერავდა. ცხადი იყო, "პილიგრიმს" გაუჭირდებოდა ნავთან მოახლოება.

გერდში ბარჯგაჩრილი ვეშაპი ჰაერის ჩასასუნთქად წყლიდან ამოვიდა და ერთხანს შეჩერდა. ჩანდა ელოდა თავის პატარას, რომელიც წედან ჩამორჩა. კაპიტანმა ჰულმა ბრძანა, მძლავრად მოესვათ ნიჩბები და ვეშაპს მიახლოებოდნენ. ორი მეზღვაური გრძელი შუბებით შეიარაღდა. ჰოვიკი ნავს ოსტატურად მართავდა და იმისთვისაც მზად იყო, უკან წამოეყვანა, თუკი ვეშაპი მათ თავს დაესხმოდა.

- ყურადღება! - შეჰყვირა კაპიტანმა ჰულმა, - არც ერთი არ ააცდინოთ, კარგად დაუმიზნეთ, ბიჭებო! ჰოვიკ, მზად ხარ?

- მე კი ვარ მზად, მაგრამ, საოცარია, რატომ ჩაწყნარდა ეს მხეცი ასე? - მიუგო ბოცმანმა.

- მართალია, ჰოვიკ, ეს მეც მაეჭვებს!

- სიფრთხილე გვმართებს!

- კი, მაგრამ დროა ვეკვეთოთ!

კაპიტანი ჰული ნადირობის ჟინმა შეიპყრო. ნავი კიდევ უფრო მიუახლოვდა. პატარა ვეშაპი არ ჩანდა. დედა ვეშაპი კი ისე ტრიალებდა ერთ ადგილზე, თითქოს შვილს ეძებსო.

უცებ კული მოიქნია და ნავს ოდაათიოდე ფუტით დაშორდა.

ნუთუ კვლავ გაქცევას აპირებდა და ისევ გაგრძელებოდა ეს დაუსრულებელი დევნა?

- ფრთხილად! - შეჰყვირა კაპიტანმა ჰულმა, - ცხოველი თავდასასხმელად ემზადება! მოაბრუნე, ჰოვიკ, მოაბრუნე!

მართლაც, ვეშაპი ნავისკენ შემობრუნდა, მერე დაჰკრა თავისი უზარმაზარი ფარფლი წყალს და ნავს ეძგერა. ბოცმანმა, რომელიც ამ თავდასხმას მოელოდა, ნავი შეაბრუნა. ვეშაპმა ისე გასცურა ნავის გასწვრივ, რომ მას ოდნავადაც არ შეხებია.

კაპიტანმა ჰულმა და ორმა მეზღვაურმა კიდევ სამჯერ ძლიერად ჩასცეს შუბი ვეშაპს. ძალიან ცდილობდნენ, მისთვის რომელიმე სასიცოცხლო ორგანო დაეზიანებინათ. ვეშაპი შედგა. სისხლნარევი წყლის ორი სვეტი მალა აისროლა და ისევ ეძგერა ნავს.

შემზარავი სანახაობა იყო. მეზღვაურები ძალზე მამაცები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ასეთ შემთხვევაში არ დაბნეულიყვნენ.

ჰოვიკმა ისევ ოსტატურად აიცდინა ახალი იერიში. სამმა ახალმა დარტყმამ ახალი ჭრილობები მიაყენა ცხოველს. ნავის გვერდით ჩავლისას ვეშაპმა ძლიერად დაჰკრა წყალს თავისი უზარმაზარი კული და ისეთი ვეებერთელა ტალღა ააგორა, გეგონებოდათ, ზღვა უცებ ადღდაო.

ნავი კინალამ გადაყირავდა. წყალმა მას ზემოდან გადაუარა და ნახევრამდე აავსო.

- სათლი! სათლი! - დაიყვირა კაპიტანმა ჰულმა.

ორმა მეზღვაურმა ნიჩბებს თავი ანებეს და დაიწყეს წყლის ამოხაპვა, კაპიტანმა ჰულმა კი ტროსის გადაჭრა, რომელიც ამჟამად სრულიად აღარ იყო საჭირ.

ტკივილებისაგან გაშმაგებულ ცხოველს აზრადაც არ მოსდიოდა გაქცევა. იგი საერიშოდ მოიწევდა დ თანდათან შემზარავი ხდებოდა.

ვეშაპი მესამედაც მობრუნდა ნავისაკენ. ახლა ნავი წყლით იყო სავსე და ძველებურად მისი სწრაფად მობრუნდა არ შეეძლოთ, გაქცევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. როგორ აეცდინათ მოსალოდნელი დარტყმა?

რაც უნდა სწრაფად დაეხია ნავს უკან, ვეშაპს მაინც შეეძლო რამდენიმე ნახტომით დასწოდა, კაპიტანმა ეს კარგად იცოდა. ცხოველის მესამე იერიში ვერ აიცილეს, ვეშაპმა უზარმაზარი ზურგის ფარფლი ისეთი ძალით წამოსდო ნავს, რომ ჰოვიკი სკამიდან გადმოვარდა. საუბედუროდ, ნავის შერყევის გამო, სამივე სუბი მიზანს ასცდა.

- ჰოვიკ! ჰოვიკ! - შეჰყვირა კაპიტანმა ჰულმა, რომელიც ფეხზე იდგა, მაგრამ თავს ძლივს იმაგრებდა.

- აქა ვარ! - მიუგო ბოცმანმა და წამოდგა. მან შეამჩნია, რომ დაცემის დროს კიჩოს ნიჩაბი შუაზე გადამტყდარიყო.

- აირე სხვა ნიჩაბი! - უთხრა კაპიტანმა.

- არის! - უპასუხა ბოცმანმა.

უცერად, ნავის ქვეშ წყალი აქაფდა. გამოჩნდა პატარა ვეშაპი. დედა მაშინვე მისკენ გაემურა. ეს ბრძოლას უფრო ამწვავებდა. ვეშაპი მატ გაორკეცებული ძალით შეებმოდა.

კაპიტანმა ჰულმა "პილიგრიმისკენ" გაიხედა. გაშმაგებით დაიქნია ბარჯი, რომელის ბოლოზე ალამი იყო მიმაგრებული.

დიკ სენდმა ყველაფერი იღონა პირველი ნიშნის მიღებისთანვე და ახლა მეტი აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო. "პილიგრიმის" იალქნები კარგად იყო მიმართული და ქარი მათ უკვე ბერავდა. საუბედუროდ, შხუნა-ბრიგს ხრახნიანი ძრავი არ ჰქონდა, რომლითაც სვლის აჩქარება შეიძლებოდა.

ჩაეშვა ნავი ზღვაში და ზანგის დახმარებით კაპიტნის მისაშველებლად გაქცეულიყო? ეს დიდ დროს მოითხოვდა. თანაც ახალგაზრდა მეზღვაურს ნაბრძანები ჰქონდა, რაც უნდა მომხდარიყო, გემი არ დაეტოვებინა.

მან მაინც ჩაუშვა და ბუქსირით გაიყოლა ნავი, რომლითაც შეეძლო კაპიტანს და მის მგზავრებს ესარგებლათ, თუკი ეს საჭირო გახდებოდა.

ამ დროს ვეშაპი, რომელი სხეულით ფარავდა თავის პირმშოს, ხელახლა ეძგერა ნავს.

- ყურადღება, ჰოვიკ! - უკანასკნელად დაიყვირა კაპიტანმა ჰულმა.

მაგრამ ბოცმანი განიარაღებული იყო. გრძელი ბერკეტის ნაცვლად მას ხელთ მოკლე ნიჩაბი ეპყრა.

ჰოვიკმა ნავის შებრუნება სცადა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეზღვაურები მიხვდნენ, რომ ილუპებოდნენ, ფეხზე წამოცვივდნენ და შემზარავად შებღავლეს. ეს ხმა ალბათ "პილიგრიმზე" მყოფთა სმენასაც მისწვდა.

ურჩხულის კუდის უძლიერესმა დარტყმამ ნავი ჰაერში აისროლა და სამ ნაწილად გააპო. დამსხვრეული ნაწილები აქაფებულ ტალღებში ჩაცვივდა.

გემიდან დაინახეს, როგორ ეხმარებოდა კაპიტანი ჰული ბოცმანს, რომ ნავის ნამსხვრევს ჩასჭიდებოდა....

თუმცა მეზღვაურები მძიმედ იყვნენ დაჭრილნი, მაინც შეეძლოთ მოტივტივე ნამსხვრევებს ჩაბლაუჭებოდნენ და თავი შეემარებინათ. მაგრამ გაშმაგებული ვეშაპი მობრუნდა, ეცა მათ და აგონიის უკანასკნელ კრუნჩხვებში მყოფმა, საშინელი ძალით გამალებით დასცხო და დასცხო წყლის კუდი.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ზღვაზე მხოლოდ ვეებერთელა ტალღები და ცაში სვეტებად ავარდნილი შხეფები მოჩანდა. დიკ სენდი და ზანგები ნავში ჩასხდნენ და თხუთმეტ წუთში უკვე ბრძოლის ველზე იყვნენ, მაგრამ იქ ცოცხალი აღარავინ დახვდათ... სისხლით შეღებილ წყალში ნავის რამდენიმე ნამსხვრევიღა ტივტივებდა.

თავი IX

კაპიტანი სენდი

ამ შემადრწუნებელი კატასტროფის მხილველი "პილიგრიმის" მგზავრები გლოვისა და შიშის ზარმა მოიცვა. ისინი ფიქრობდნენ ხუთი მეზღვაურისა და კაპიტან ჰულის შემზარავ სიკვდილზე. ეს საშინელი ამბავი მათ თვალწინ დატრიალდა და თითქმის ვერაფერი იღონეს ადამიანთა გადასარჩენად. ისიც კი ვერ მოახერხეს, დროზე მიესწროთ ეკიპაჟისათვის და უბედურები გემზე აეყვანათ ან "პილიგრიმის" კორპუსით მაინც დაეცვათ ისინი ვეშაპის გააფთრებული დარტყმისაგან! კაპიტანი ჰული და მეზღვაურები სამუდამოდ ჩაიკარგნენ ზღვის სიღრმეში.

შხუნა-ბრიგი კატასტროფის ადგილს მიუახლოვდა. მისის უელდონი მუხლებზე დაეცა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

- ვილოცოთ! - წარმოსთქვა ღვთისმოსავმა ქალმა.

პატარა ჯეკმაც ტირილით ჩაიმუხლა დედის გვერდით. იგი ყველაფერს მიხვდა. დიკ სენდი, ნანი, ტომი და ზანგები თავდახრილნი იდგნენ. მისის უელდონი მხურვალედ შესთხოვდა ღმერთს, მოწყალეობა მოელო მათზე, ვისი სულიც ეს-ესაა მიიბარა. ყველა ჩურჩულით იმეორებდა მისის უელდონის ლოცვას.

შემდეგ ქალი თანამგზავრებს მიუბრუნდა:

- ახლა შევედროთ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ მოგვცეს ძალა და მხნეობა.

მათი მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. ყოვლისშემძლე ღმერთის დახმარებით დიდად სჭრიდებოდათ.

ამ უკიდევანო ოკეანეში ასეული მილით ხმელეთიდან დაშორებული, ქარებისა და დინებათა ანაზრად დარჩენილი გემი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას აღარც კაპიტანი ჰყავდა და აღარც ეკიპაჟი!

რა საბედისწრო გამოჩნდა ეს ვეშაპი? რა განგებამ უბიძგა კაპიტან ჰულს, რომელიც განსაკუთრებული გონიერებით გამოირჩეოდა, ტვირთის შესავსებად ასეთ რისკზე წასულიყო?

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ნავიდან ერთი მეზღვაური მაინც არ გადაერჩინათ. ეს მართლაც შემზარავი ბედისწერა იყო! "პილიგრიმიზე" აღარც ერთი მეზღვაური აღარ დარჩა! დარჩა თხუთმეტი წლის დიკ სენდი, ახალბედა მეზღვაური! იგი ახლა კაპიტანიც იყო, ბოცმანიც, მეზღვაურიც! მას მთელი ეკიპაჟის მაგივრობა უნდა გაეწია. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გემზე მისის უელდონი იმყოფებოდა თავისი პატარა ვაჟით. მართალია, მათ მიერ გადარჩენილი ზანგები, მამაცი და დაუზარელი ადამიანები, მზად იყვნენ, ყოველგვარი ბრძანება უსიტყვოდ შეესრულებინათ, მაგრამ ამ ზანგებს ხომ სრულიად არფერი გაეგებოდათ მეზღვაურობისა.

გულხელდაკრეფილი დიკ სენდი უძრავად იდგა. იგი მდუმარედ დაჰყურებდა იმ ადგილს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მისი მფარველი და მამასავით საყვარელი კაპიტანი ჰული ჩაიკარგა. დიკ სენდმა თვალი მოავლო სივრცეს, ეგებ რაიმე გემი გამოჩნდეს და შემწეობა და დახმარება ვთხოვო. ყველაზე მეტად მას მისის უელდონისა და პატარა ჯეკის ბედი აწუხებდა. უნდოდა ისინი საიმედო გემზე გადაესვა და ამ ორი ძვირფასი არსების სიცოცხლე გადაერჩინა. მათთვის დიკ სენდი სულსაც არ დაიშურებდა! თვითონ კი "პილიგრიმს" არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა. თავს არ დაზოგავდა, ყოველ ღონეს იხმარდა და გემს ნავსადგურში მიიყვანდა!

მაგრამ ოკეანე უკაცრიელი იყო! ირგვლივ არაფერი ჩანდა - იყო მხოლოდ წყალი და ცა! ახლგაზრდა მეზღვაურმა კარგად იცოდა, რომ "პილიგრიმი" შორს იყო როგორც სავაჭრო, ისე ვეშაპებზე მონადირე გემების გზიდან.

დიკ სენდმა თამამად გაუსწორა თვალი სინამდვილეს. მხურვალედ შესთხოვა ღმერთს მფარველობა და შემწეობა.

რა გადაწყვიტა?

გემბანზე ნეგორო გამოჩნდა. კატასტროფის შემდეგ იგი უცბად გაქრა და ვერავინ ვერ შეამჩნია, ეწყინა თუ გაუხარდა ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანს მოულოდნელად თავს დამტყდარი უბედურება. იგი გაუნძრევლად უყურებდა შემზარავ ბრძოლას, არ გამოჰპარვია არც ერთი წვრილმანი! მაგრამ სახეზე ერთი კუნთიც არ შერხევია, არ გაუმეორებია მისის უელდონის ლოცვის არც ერთი სიტყვა!

ნეგორო გემის ბოლოსაკენ გაემართა და დიკ სენდის შორიახლო გაჩერდა.

- ჩემთან ლაპარაკი გსურთ? - ჰკითხა დიკ სენდმა.

- მე მსურდა ლაპარაკი კაპიტან ჰულთან ან ბოცმან ჰოვიკთან, თუ კაპიტანი ჰული აქ არის! - ცივად მიუგო ნეგორომ.

- თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ორივენი დაიღუპნენ! - უყვირა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- მაშ ამაჟამად გემის კაპიტანი ვინაა? - კადნიერად იკითხა მან.

- მე! - მტკიცედ მიუგო დიკ სენდმა.

- თქვენ? - ნეგორომ მხრები აიჩეჩა, - თხუთმეტი წლის კაპიტანი?!

- დიახ, თხუთმეტი წლის კაპიტანი! - მიუგო სენდმა და მზარეულისაკენ წაიწია.

ნეგორომ უკან დაიხია.

- აქ მხოლოდ ერთი კაპიტანია, - თქვა მისის უელდონმა, - კაპიტანი სენდი! უნდა იცოდეთ, რომ მას ყველას დამორჩილება შეუძლია!...

ნეგორომ თავი დახარა, რაღაც წაიზურტყუნა გაურკვეველად და ირონიულად და თავის ადგილსამყოფელს დაუბრუნდა.

ამრიგად, დიკმა გადაწყვეტილება მიიღო.

ქარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მისი წყალობით შხუნა-ბრიგი მალე გასცდა "ვემაპთა სალაფავის" წითელ ზოლს.

დიკ სენდმა ჯერ იალქნები შეათვალიერა, შემდეგ გემბანს მოავლო თვალი და იგრძნო, რომ მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. ამიერიდან ყოველგვარი გასაჭირისათვის უნდა გაეძლო! დიკ სენდმა მგზავრებს მოავლო თვალი, მათი მზერაც კაპიტნისაკენ იყო მიპყრობილი, თვალეში სრული ნდობა ეხატებოდათ და კაპიტანმაც ორიოდ სიტყვით აგრძნობინა, ჩემი იმედი გქონდეთო.

მართალია, დიკ სენდს ტომისა და მისი მგზავრების დახმარებით შეეძლო აემართა ან შეეზრუნებინა იალქნეი, მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ გამოეთვალა გემის ადგილმდებარეობა ზღვაში.

ოთხი-ხუთი წლის შემდეგ დიკ სენდი საფუძვლიანად დაეუფლებოდა მეზღვაურის ძნელსა და მომნიბლველ ხელობას! შეისწავლიდა სექსტანტის გამოყენებას, რომელსაც ყოველდღე ხმარობდა კაპიტანი ჰული ვარსკვლავთა სიმაღლის გასაზომად! ქრონომეტრზე ამოიკითხავდა გრინვიჩის მერიდიანის საათს და გამოიანგარიშებდ გრძედს! მზე მისი ერთგული მრჩეველი იქნებოდა! მთვარე და პლანეტები ამცნობდნენ: "შენი გემი ოკეანის ამა და ამ პუნქტში იმყოფებაო!" ცის თაღი, რომელზედაც უზუსტესი საათის ისრებივით მოძრაობენ ვარსკვლავები, ამცნობდა დროსა და მანძილს! კაპიტანი ჰულის მსგავსად, ასტრონომიული დაკვირვებით ზუსტად დაადგენდა "პილიგრიმის" ადგილსამყოფელს, განვლილ და გასავლელ მანძილს!

ამჯერად კი გემის ადგილსამყოფელი შეეძლო მიახლოებით განესაზღვრა მხოლოდ ლაგისა და კომპასის საშუალებით და შეეტნა დრეიფით გამოწვეული შესწორებები.

დიკ სენდი არ შედრკა!

მისის უელდონი უსიტყვოდ მიხვდა, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ახალგაზრდა მეზღვაურის გულში.

- გამდლობთ, დიკ! - თქვა მან მტკიცე ხმით, - კაპიტანი ჰული აღარ არის! მთელი ეკიპაჟი მასთან ერთად დაიღუპა, გემის ბედი შენს ხელთაა! შენ შეგიძლია ჩვენი და "პილიგრიმის" ხსნა!

- დიახ, მისის უელდონ, დიახ! - მიუგო დიკ სენდმა, - ღვთის შემწეობით ყველაფერს ვიღონე!

- ტომი და მისი თანამგზავრები მამაცები არიან. შეგიძლია მათი იმედი გქონდეს.

- ვიცი! მე მათ მეზღვაურებად ვაქცევ და ერთად წავიყვანთ გემს. კარგ ამინდში ეს ძნელი არ იქნება! ხოლო ავდარში... არა უშავს, ავდარშიც ვიბრძოლებთ და ყველას გიხსნით - თქვენ, პატარა ჯეკს, ყველას! მე ვგრძნობ, რომ ამას შევძლებ! - შემდეგ დაუმატა: - ღვთის შემწეობით!

- დიკ, იცი ამჟამად სად იმყოფება "პილიგრიმი"? - ჰკითხა მისის უელდონმა.

- ამის გაგება ადვილია, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - გუშინ რუკაზე აღნიშნა კაპიტანმა ჰულმა ჩვენი ხომალდის ადგილსამყოფელი.

- შეგიძლია გემი საჭირო მიმართულებით წაიყვანო?

- დიახ, მე კურსს აღმოსავლეთისაკენ ავიღებ, დაახლოებით ამერიკის სანაპიროს იმ პუნქტისაკენ, რომელსაც ჩვენი გემი უნდა მიადგეს.

- დიკ! - განაგრძო მისის უელდონმა, - ამ საშინელი კატასტროფის გამო ჩვენ ვალპარაისოში აღარ გავივლით. ახლა ჩვენი მიზანია ამერიკის უახლოეს ნავსადგურს მივადწიოთ!

- რა თქმა უნდა, მისის უელდონ! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა. - შიში ნურაფრისა გექნებათ. ამერიკის კონტინენტი სამხრეთისაკენ ისე გრძლადაა გადაჭიმული, რომ შეუძლებელია ავცდეთ.

- სად მდებარეობს იგი? - იკითხა მისის უელდონმა.

- იქით, - მიუგო დიკ სენდმა და ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა.

- დიკ, ამჟამად უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვალპარაისოში მივალთ, თუ სხვაგან, ახლა მთავარია როგორმე ხმელეთამდე მივადწიოთ!

- ჩვენ ამას შევძლებთ, მისის უელდონ! საიმედო ადგილზე გადაგვამთ! - მტკიცედ მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - შეიძლება რომელიმე საკაბოტაჟო გემიც კი შეგხვდეს. ხედავთ, მისის უელდონ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი ძლიერდება! თუ ღმერთმა ქნა და არ ჩადგა, სწრაფად წავალთ წინ! ავუშვათ ყველა აფრა გროტიდან კლივერამდე!

დიკ სენდი ლაპარაკობდა მტკიცედ, ღრმა რწმენით, როგორც გემის სრული ბატონ-პატრონი, რომელიც ყველა წვრილმანშია გარკვეული. ის იყო საჭისათვის ხელის ჩავლებს, მგზავრების დამახეხასა და იალქნების საჭირო მიმართულებით დაყენებას აპირებდა, რომ მისის უელდონმა შეახსენა, უპირველეს ყოვლის, გემის ადგილმდებარეობის გამორკვევა საჭიროო. ეს მართლაც მთავარი იყო! დიკ სენდმა კაპიტნის ოთახიდან გამოიტანა რუკა, რომელზედაც აღნიშნულ იყო გემის გუშინდელი ადგილმდებარეობა. შხუნა-ბრიგი იმყოფებოდა სამხრეთ განედის 43°35' და დასავლეთ 164°43', რადგან ამ ოცდახუთი საათის განმავლობაში ხომალდი თითქმის არ დაძრულა ადგილიდან.

მისის უელდონი რუკისაკენ დაიხარა. იგი უყურებდა ყავისფერ ლაქას, რომელიც ხმელეთს აღნიშნავდა ამ უსასრულო ოკეანის მარჯვენა მხარეს. ეს ყო სამხრეთ ამერიკის სანაპირო, უზარმაზარი ზღუდე წყნარსა და ატლანტის ოკეანეებს შორის, ჰორნის კონცხიდან დაწყებული, კოლუმბიის ნაპირებით დამთავრებული. მისის უელდონის თვალწინ გადამლილ რუკაზე მთელი ოკეანე ეტეოდა და, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, "პილიგრიმის" მგზავრების სამშობლოში მიყვანა ადვილი იყო. ამას აუცილებლად იფიქრებს საზღვაო მასშტაბებს მიუჩვეველი ადამიანი. მართლაც, მისის უელდონს მოეჩვენა, რომ ხმელეთი აქვეა და ეს-ეს არის უნდა გამოჩნდეს, როგორც იგი ამ ქალაქზე ჩანდა. სინამდვილეში, "პილიგრიმი" რომ ზუსტი მასშტაბით გამოსახულიყო ამ თეთრ ქალაქზე, მიკროსკოპულ ინფუზორიაზე უფრო პატარა იქნებოდა! ეს მათემატიკური წერტილი ისე დაიკარგებოდა რუკაზე, როგორც "პილიგრიმი" იყო დაკარგული წყნარი ოკეანის უკიდევანო სივრცეში.

დიკ სენდმა შესანიშნავად იცოდა, თუ რა შორს იყო ხმელეთი. რომ ამ მანძილის გასაზომად ასეულობით მილიც კი არ კმაროდა. მიუხედავად ამისა, მისი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო. დაკისრებულმა უდიდესმა პასუხისმგებლობამ იგი ნამდვილ ვაჟკაცას აქცია.

მოქმედების ჟამი დადგა. პირქარი ჩადგა. იგი ჩრდილო-დასავლეთის ქარმა შეცვალა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. შავი ღრუბლებით დაფარული ც მოასწავებდა, რომ ქარი ერთხანს კიდევ იქროლებდა. აუცილებელი იყო ამ ხელსაყრელი პირობების გამოყენება.

დიკ სენდმა ტომსა და მის ამხანაგებს მიმართა:

- ჩემო მეგობრებო! ჩვენი ხომალდი უეკიპაჟოდ დარჩა. იგი თქვენს ანაზარაა. უთქვენოდ გემის მართვა შეუძლებელია. მართალია, მეზღვაურები არა ხართ, მაგრამ ძლიერი მკლავი გაქვთ. მოახმარეთ თქვენი ძალა "პილიგრიმს" და ჩვენ სამშვიდობოს გავალთ!

- კაპიტანო დიკ! მე და ჩემი თანამგზავრები თქვენი მეზღვაურები ვართ. ოღონდ გვიბრძანეთ და თავს არ დავზოგავთ!

- ძალიან კარგი, ტომ! - წამოიძახა გახარებულმა მისის უელდონმა.

- ძალიან კარგი! - გაიმეორა დიკ სენდმა, - დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყველა იალქანს არ გავშლი, რათა საფრთხეში არ ჩავიგდოთ თავი. ხომალდი ნაკლები სიჩქარით ივლის. ასე უფრო საიმედოა! მე გასწავლით, რა უნდა აკეთოს თითოეულმა თქვენგანმა! მე მესაჭეობას ვაპირებ! დროდადრო რამდენიმე საათის ძილი საკმარისი იქნება დასასვენებლად და ძალღონის მოსაკრებლად. ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთმა თქვენგანმა უნდა შემცვალოს. ტომ, მე გასწავლით კომპასის გამოყენებას. ეს ძნელი არაა და თუ გულისყურით იქნებით, გემის მართვასაც შეძლებთ!

- სიამოვნებით, როგორც თქვენ ინებებთ, კაპიტანო დიკ! - მიუგო მოხუცმა ზანგმა.

- კარგი! - უპასუხა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - დადექით ჩემს გვერდით და თუ დავიღლები, თქვენ შეგეძლებათ ჩემი შეცვლა რამდენიმე საათით.

- მე? - წამოიძახა პატარა ჯეკმა, - მე ვერ შევძლებ, ცოტათი მაინც დავეხმარო ჩემს მეგობარს?

- რა თქმა უნდა, ჩემო საყვარელო ბიჭუნა, - მიუგო მისის უელდონმა და გულში ჩაიკრა ჯეკი. - შენც გასწავლიან გემის მართვას და მწამს, როცა საჭესთან შენ დადგები, აუცილებლად ზურგქარი დაუბერავს.

- რა თქმა უნდა, დედა, რა თქმა უნდა, ასე იქნება! - ტაში შემოკრა პატარა ბიჭმა.

- დიახ, - ღიმილით თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - კარგ იუნგას გემისათვის ზურგქარი მოაქვს. ეს კარგად იციან ძველმა მეზღვაურებმა!

შემდეგ ტომსა და სხვა ზანგებს მიუბრუნდა:

- ჩემო მეგობრებო! თქვენ მხოლოდ იმას გააკეთებთ, რასაც გეტყვით! ასწიეთ გროტი!

- გვიბრძანეთ, მზადა ვართ, კაპიტანო სენდ! - მიუგო ტომმა.

თავი X

მომდევნო ოთხი დღე

"პილიგრიმის" კაპიტანი ყოველნაირად ცდილობდა, გემი სწრაფად წაეყვანა.

ცხადია, მგზავრებს ერთადერთი სურვილი ჰქონდათ: მიეღწიათ ვალპარაისოსსთვის თუ არა, ამერიკის სანაპიროს რომელიმე ნავსადგურისათვის მაინც. დიკ სენდი ცდილობდა, სცოდნოდა "პილიგრიმის" სიჩქარე და მიმართულება, რათა საშუალო სიჩქარე გამოეთვალა. როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ამისათვის საკმარისი იყო ყოველდღე აღენიშნა რუკაზე ლაგითა და კომპასით გამოანგარიშებული მანძილი.

გემზე იყო ხრახნიანი პატენტ-ლაგი, რომლის ისარი ციფერბლატზე ზუსტად აჩვენებდა გემის სიჩქარეს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამ ინსტრუმენტის გამოყენება ადვილი იყო და დიდი სამსახურის გაწევაც შეეძლო. ზანგები სრულიად თავისუფლად იყენებდნენ მას, მაგრამ ოკეანის დინებების გამო ჭირდა შეცდომების თავიდან აცილება. ამის გასათვალისწინებლად მარტო გამოთვლა არ კმაროდა - მხოლოდ ასტრონომიული დაკვირვებებით შეიძლებოდა სიჩქარის ზუსტად გამოანგარიშება, რაც ახალგაზრდა მეზღვაურმა ჯერ კიდევ არ იცოდა.

დიკ სენდი ერთხანს ფიქრობდა, "პილიგრიმი" ისევე ახალ ზელანდიაში დაებრუნებინა, - იგი უფრო ახლოს იყო. ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ზურგქარი ამოვარდა და დიკმა წასვლა ამერიკის მიმართულებით ამჯობინა.

მართლაც, ქარმა თითქმის ასოთხმოცი გრადუსით იცვალა მიმართულება. იგი ახლა ჩრდილო-დასავლეთიდან ქროდა და ეტყობოდა, კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაეშვათ.

დიკ სენდმა გადაწყვიტა, ხომალდი სრული ბაკშტაგით წაეყვანა. შხუნა-ბრიგის ფოკ-ანძაზე ოთხი სწორი აფრია დამაგრებული: ჯერ ფოკი, უფრო მაღლა, კენწეოზე - მარსელი, ბრამსელი ბრამსტენგზე და ბომ-ბრამსტენგზე. გროტ-ანძას კი სულ ორი ანძა აქვს - დახრილი გროტი და მის ზევით დამაგრებული ტოპსელი. ამ ორ ანძას შორის შტანგებზე, რომლებიც გროტ-ანძას წინიდან დამაგრებენ, შეიძლება სართულებად აღმართოთ დახრილი აფრია-სტაქსელების კიდევ სამი წყება; ბოლოს ბუმპრიტზე, დახრილ ანძაზე, კიდევ სამი კლივერს აღმართავენ ხოლმე: გარეთას, შიგნითას და ბომბ-კლივერს.

კლივერი, სტაქსელები, დახრილი გროტი და ტოფსელი ადვილად შეიძლება აღმართოს და ჩამოიხსნას ქანდარებზე აუსვლელად. აფრეის გაშლა ფოკ-ანძაზე კი მოითხოვს საზღვაო საქმესი დახელოვნებას. ამ აფრებით მანევრირებისათვის მეზღვაური ვანტებით უნდა ავიდეს ანძის წვერზე - ბრამსტენგზე ან ბომ-ბრამსტენგზე. ანძაზე ასვლა საჭიროა არა მხოლოდ აფრების გაშლისა ან ჩამოხსნის დროს, არამედ მაშინაც, როდესაც იალქნის ქარისაკენ მიშვერილი ფართობის შემცირება საჭირო - ყულფების რაოდენობის შემცირება, ან - როგორც მეზღვაურები იტყვიან ხოლმე - "ყულფების აღება"; ამისათვის მეზღვაურმა უნდა იცოდეს პერტებზე აცოცება (ესაა ქანდარიდან თავისუფლად ჩამოკიდებული თოკი), რათა ცალი ხელთი იმუშაოს, ხოლო მეორე თოკზე ჰქონდეს ჩაჭიდებული. ეს კი სახიფათოა, განსაკუთრებით გამოუცდელეებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ, სიგრძივ და განივ რყევაზე. რომელიც მით

უფრო ძლიერ იგრძნობა, რაც უფრო მაღლაა ანძაზე ასული მეზღვაური. ქარის ოდნავ დაბერვასაც კი შეუძლია მეზღვაურის ზღვაში გადაგდება. ეს მართლაც სახიფათო იყო ტომისა და მისი თანამგზავრებისათვის. კიდევ კარგი, ქარი ზომიერად ქროდა, ზღვა არ ღელავდა და გვერდითი და სიგრძივი რყევაც ძლიერი არ იყო.

როდესაც დიკ სენდმა კაპიტან ჰულის სიგნალზე გემი კატასტროფის ადგილისაკენ გაძრა, "პილიგრიმიზე" დაყენებული იყო მხოლოდ დახრილი გროტი, კლივერები, ფოკი და მარსელი.

ახლა საჭირო იყო გემის სრული ბაკშტაგით წაყვანა, რისთვისაც აუცილებელია ბრამსელის, ბომ-ბრამსელის, ტოპსელისა და სტაქსელების გაშლა. ზანგები მიეხმარნენ დიკს ამ საქმეში.

- ჩემო მეგობრებო, - მიმართა ახალგაზრდა მეზღვაურმა ზანგებს - შეასრულეთ ჩემი ბრძანებები და ყველაფერი რიგზე იქნება!

დიკ სენდი საჭესთან დარჩა.

- აბა! სწრაფად, ტომ. მოუშვით საიალქნე ბაგირი, - შეჰყვირა მან.

- მოვუშვა საიალქნე ბაგირი? - გაიმეორა ტომმა, რომელმაც ვერ გაიგო ეს გამოთქმა.

- დიახ, მოუშვით თოკი. თქვენც, ბათ... ასევე მოიქეცით! კარგია! ... მოსწიეთ... მოსწიეთ... ქვევით ჩამოსწიეთ!

- ასე? - იკითხა ბათმა.

- ჰო, ეგრე! ძალიან კარგია!... ახლა თქვენ, ჰერკულეს...ლონივრად, აქ მძლავრი ბიძგია საჭირო!

"ლონივრადო!" ამის თქმა ჰერკულესისათვის წინდაუხედაობა იყო. გოლიათმა ისეთი ძალით მოსწია, რომ კინაღამ ყველაფერი დალეწა.

- ეგრე ზლიერ არა, ჩემო კარგო! - დაუძახა დიკ სენდმა, რომელიც ღიმილს ვერ იკავებდა, - ეგრე თქვენ მთელ ანძებს დალეწავთ.

- მე მხოლოდ ოდნავ მოვწიე, - თქვა ჰერკულესმა.

- ჩვეულებრივ მოსწიეთ და საკმარისი იქნება! აბა, მოუშვით. მიაბით... მიაბით... ასე! კარგია! ... ორივემ ერთად! მოსწიეთ... მოსწიეთ ბრასი!

ფოკის ყველა იალქანი, რომლის მარცხენა მხარეს ბრასი შეასუსტეს, ნელა შემოტრიალდა. ქარმა იალქნები დაბერა და გემმა სვლას უმატა. დიკ სენდმა კლივერის საიალქნე ბაგირიც შეასუსტინა და ზანგები გემის კიჩოზე მიიხმო.

- აბა, თქვენ იცით, ჩემო მეგობრებო! ახლა გროტ-ანძას მივხედოთ. ოღონდ ჰერკულესს, ფრთხილად იყავით, არაფერი გაგლიჯოთ!

- ვეცდები, - მიუგო გიგანტმა, მტკიცე დაპირებისგან კი თავი შეიკავა.

ეს მეორე მანვერი მეზღვაურებს უფრო გაუადვილდათ. დახრილი გროტი საჭირო კუთხით დააყენეს. იგი ჰაერით აივსო და გემმა უფრო უმატა სვლას. დახრილი გროტის ზემოთ აღმართეს ტოპსელი. ამისთვის საკმარისი იყო, ბაგირები ჩამოეწიათ და დაემაგრებინათ.

პატარა ჯეკი შეუერთდა ჰერკულესსა და აქტეონს, რომლებიც ისეთი ძალით ეწეოდნენ ბაგირს, რომ გორდენი უცბად გასკდა და სამივენი გადაყირავდნენ. ჯეკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

- არა უშავს, - შესძახა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ორივე ბოლო გადააბით, და ცოტა უფრო ნელა მოსწიეთ.

ეს ყველაფერი დიკ სენდის თვალწინ ისე გაკეთდა, რომ საჭის მიტოვება არ დასჭირვებია. "პილიგრიმი" უფრო სწრაფად მიდიოდა აღმოსავლეთისაკენ. ახლა საჭირო იყო, ეს მიმართულება შეენარჩუნებინათ. ეს არც ისე მწელი იყო, რადგან ზურგქარი ქროდა და გემი მკვეთრად არ შემობრუნდებოდა.

- ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო მეგობრებო! - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - მოგზაურობის ბოლომდე თქვენგან მშვენიერი მეზღვაურები დადგება!

- შევეცდებით, კაპიტანო სენდ! - მიუგო ტომმა.

მისის უელდონმაც შეაქო ეს მამაცი ადამიანები. ქება, პატარა ჯეკმაც დაიმსხურა, რადგან იგი გულმოდგინედ შრომობდა.

- მე მგონი, ჯეკ, - ღიმილით თქვა ჰერკულესმა, - გორდენი შენ ჩამოგლიჯე! შენ ხომ ისეთი ღონიერი ხარ! უშენოდ ჩვენ აბა რას გავხდებოდით!

გახარებულმა პატარა ჯეკმა ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი თავის მეგობარ ჰერკულესს.

"პილიგრიმის" ყველა იალქანი ჯერ კიდევ არ იყო აღმართული, მაღალი იალქნების გამო გაშლა გემის სრული ბაკშტაგით სვლისთვის აუცილებელი იყო. ამიტომ დიკ სენდმა გადაწყვიტა ბრამსელის, ბომ-ბრამსელისა და სტაქსელების აღმართვაც. ეს გაცილებით ძნელი იყო. თუ სტაქსელების აღმართვა, დაჭიმვა და დამაგრება ქვევიდანაც შეიძლებოდა, ფოკ-ანძის ოთხკუთხა იალქნებისათვის აუცილებელი იყო ქანდარაზე აცოცება. დიკ სენდი თავისი გამოუცდელი ეკიპაჟის წევრების საფრთხეში ჩაგდებას მოერიდა და გადაწყვიტა ანძაზე თვითონ ამძვრალიყო. მან ტომს დაუძახა, საჭე გადასცა და აჩვენა, როგორ ემართა იგი. შემდეგ ჰერკულესი, ბათი, აქტონი და ოსტინი ერთად დააყენა, ზოგი ბრამსელთან, ზოგიც ბომ-ბრამსელთან, თვითონ კი ანძაზე აძვრა.

ფოკ-ანძის ვანტებზე ასვლა, ბრამესლამდე მიღწევა და ქანდარაზე გადასვლა დიკისათვის ძალზე იოლი იყო. სწორედ და მოქნილმა ჭაბუკმა ელვის სისწრაფით გადაირბინა ბრამ-ქანდარის პერტები, ძირს დაუშვა ბრამსელის მოსაჭიმი თოკის ბოლოები, შემდეგ ბომ-ბრამ ქანდარაზე გადავიდა და იქაც სწრაფად გახსნა აფრა. როცა ამ საქმეს მორჩა, ჩამოსრიალდა მარჯვე ბორტის ერთ-ერთ ფორდუნზე და პირდაპირ გემბანზე დაეშვა. აქ მისი მითითებით მეზღვაურებმა ორივე აფრა გაჭიმეს და მათი ბოლო კუთხეებს შოკტებით ქვედა ქანდარის ნოკებზე დაამაგრეს, საბოლოოდ კი გროტ-ანძასა და ფოკ-ანძას შორის სტაქსელები აღმართეს. ჰერკულესმა გემსართავი მთელი ძალით არ მოსწია და ამჯერად არაფერი არ დაუწყვეტია. "პილიგრიმს" ახლა ყველა აფრა გაეშალა და სწრაფად მიაპობდა ტალღებს. დიკ სენდს ლისელების აღმართვაც შეეძლო, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი საქმე იყო და, გარდა ამისა, უცებ ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო, მათი ჩამოხსნა ძალიან გაუჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა მეზღვაურმა გადაწყვიტა, უკვე აღმართული იალქნები ეკმარა.

საჭესთან ისევ დეკ სენდი დადგა, ქარი ძლიერდებოდა. ოდნავ მარჯვნივ დახრილი "პილიგრიმი" სწრაფად მისრიალებდა ზღვის ზედაპირზე და უკან ბრტყელ კვალს ტოვებდა, რაც მისი ძირის უნაკლო აგებულებაზე მეტყველებდა.

- ჩვენ ახლა სწორ გზას ვადგავართ, მისის უელდონ, - თქვა დიკ სენდმა, - მთავარია, დმერთმა შეგვიწყალოს და ზურქარი არ მოგვაკლოს!

მისის უელდონმა ხელი ჩამოართვა ახალგაზრდა მეზღვაურს და თავისი კაიუტისაკენ გაემართა დასასვენებლად. იგი საშინლად იყო მოქანცული, რადგან ამ ბოლო საათებში ბევრი რამ გადაიტანა. უნდოდა დაეძინა, მაგრამ რაღაც ძილ-ღიძილის მსგავს ბურანში წავიდა.

ახალი ეკიპაჟის საგუშაგოდ შხუნა-ბრიგის გემბანზე დარჩა, რათა მზად ყოფილიყვნენ დიკ სენდის ბრძანების შესასრულებლად. თუ საჭირო გახდებოდა, მათი იალქნები ქარის მიმართულებით უნდა შეებრუნებინათ, მაგრამ ჯერ ქარი თანაბარი ძალითა და ერთი მიმართულებით ქროდა, ამიტომ საქმეც არაფერი იყო.

სად იყო და რას აკეთებდა ამ დროს კუზენ ბენედიქტი?

კუზენი ბენედიქტი გამადიდებელი შუშით ხელში გულმოდგინედ სწავლობდა ასოსახსრიან მწერს, რომელიც მან გემზე იპოვა. ეს იყო მარტივი სწორფრთიანი, რომელსაც თავი წინა მკერის ქვეშ ჰქონდა. მწერი შემოსილი იყო ბრტყელი ზედაფრთებით და მუცელზე საკმაოდ გრძელი ფრთები ესხა. იგი მიეკუთვნებოდა ტარაკნების ოჯახს, ამერიკული ტარაკნების ერთ-ერთ სახეობას.

ეს უძვირფასესი განძი მან ნეგოროს სამზარეულოში ბორიალის დროს იპოვა და, რომ იტყვიან, სწორედ სულზე მიუსწრო, რადგან მზარეულს ის-ის იყო შეუბრალებლად უნდ გაესრისა. კუზენი ბენედიქტის საშინელი აღშფოთებას ნეგორო საკმაოდ ცივად შეხვდა.

იცოდა თუ არა კუზენმა ბენედიქტმა, რა უბედურება დატრიალდა გემზე მას შემდეგ, რაც კაპიტანმა ჰულმა და მისმა მეზავრებმა ვეშაპზე საბედისწერო ნადირობა გადაწყვიტეს? რაღა თქმა უნდა, იცოდა! იგი გემბანზე იყო, როდესაც "პილიგრიმი" ნავის ნამსხვრევებისაკენ

გაემართა. შხუნა-ბრიგის ეკიპაჟი მის თვალწინ დაიღუპა. თქმა იმისა, რომ კატასტროფამ არ დაამწუხრა, კუზენი ბენედიქტის გულქვა ადამიანად ჩათვლა იქნებოდა. იგი საშინელი სიბრაღულით განიმსჭვალა დაღუპულთა მიმართ და უსაზღვროდ შეწუხდა, როცა ნახა, თუ რა ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი მისი კუზინა. კუზენი ბენედიქტი მისის უელდონთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და ამით თითქოს უთხრა: "ნუ გეშინიათ, მე აქ ვარ! მე თქვენ დაგიფარავთ!"

შემდეგ იგი თავის კაიუტაში დაბრუნდა, რათა კარგად გაეაზრებინა ამ დამღუპველი შემთხვევის შედეგები და მოეფიქრებინა ის გადაწყვეტი ზომები, რომელთა მიღება აუცილებელი იყო!

სოწრედ ამ დროს იპოვა მან ზემოხსენებული ტარაკანი და, რადგან განზრახული ჰქონდა, ზოგიერთ ენტრომოლოგთა საწინააღმდეგოდ დაემტკიცებინა, რომ ფორასფეების სახეობის ტარაკანის ცხოვრების წესი ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი ტარაკანის ცხოვრების წესისაგან, გულმოდგინედ შუდგა მწერის შესწავლას. კუზენ ბენედიქტს სრულიად დაავიწყდა კაპიტანი ჰულიც და მისი ეკიპაჟიც. ენტრომოლოგი ისე გაიტაცა ნაპოვნმა და ისეთი აღფრთოვანებით შესცქეროდა მას, თითქოს ეს ოქოს ტარაკანი ყოფილყო და არა გულისამრევი მწერი

ცხოვრება გემზე ჩვეულებრივად წარიმართა, თუმცა თითოეული მგზავრი ჯერ კიდევ იმ მოულოდნელი, სამწუხარო და საზარელი კატასტროფის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა.

პირველ დღეს დიკ სენდი საშინლად მოიქანცა. იგი ყველაფერზე თვითონ ზრუნავდა, რათა უმნიშვნელო შემთხვევითობასაც კი მზად შეხვედროდა. ზანგები მის ყოველ ბრძანებას მორჩილად ასრულებდნენ. "პილიგრიმზე" სანიმუშო წესრიგი გამეფდა და ეტყობოდა, მომავალშიც ასე იქნებოდა.

აღარც ნეგოროს უცდია დიკ სენდის ავორიტეტის შელახვა, ჩანდა, მანაც უსიტყვოდ აღიარა ახალი კაპიტანი. ნეგორო ძველებურად იშვიათად გამოდიოდა გემბანზე, მუდამ თავის ვიწრო სამზარეულოში საქმიანობდა. დიკ სენდმა მაინც გადაწყვიტა, ურჩობის ან დისციპლინის პირველი დარღვევისთანავე ნეგორო დაეპატიმრებინა, ტრიუმში ჩაესვა და იქა ჰყოლოდა მთელი მგზავრობის განმავლობაში. საკმარისი იყო ჰერკულესისათვის ენიშნებინა, რომ იგი თვალის დახამხამებაში ქეჩოში წაავლებდა ხელს მზარეულს და ტრიუმისაკენ წააკონწიალებდა. ნანმა საჭმელების მომზადება იცოდა და ადვილად შეძლებდა მზარეულის შეცვლას. ნეგორო მიხვდა, რომ მას ფხიზლად ადევნებდნენ თვალს და რაიმე საბაბის მიეცემას ერიდებოდა.

საღამოთი ქარი გაძლიერდა, მაგრამ იალქნების დაშვება ჯერ საჭირო არ იყო. რკინის სალტეებიანი დიდი ანძები უფრო ძლიერ ქარსაც გაუმკლავდებოდნენ. ღამით გემის აფრებს ჩვეულებრივ ამცირებენ, უმთავრესად, მაღალ ილაქნებს, ბრამსელს, ბომ-ბრამსელსა და ტოპსელს დაუშვებენ ხოლმე. ეს საჭიროა მოულოდნელი გრიგალისაგან თავდასაცავად. ამიტნი კარგი ჩანდა. დიკ სენდმა გადაწყვიტა პირველი ღამე გემბანზე გაეტარებინა და თვითონ ედევნებინა თვალყური ყველაფრისათვის, ამიტომ გემის აფრბი არ შეამცირა (აფრების დაშვების სისწრაფეს შეანელებდა). როგორც ვთქვით, "პილიგრიმის" მიერ განვლილი გზის გამოანგარიშება გემზე მხოლოდ ლაგითა და კომპასით შეეძლო. პირველ დღეს ლაგს წყალში აგდებდნენ ხოლმე ყოველ ნახევარ საათში და ახალგაზრდა მეზღვაური მაჩვენებლებს ინიშნავდა.

ბუსოლი კი, რომელსაც კომპასსაც უწოდებენ, გემზე ორი ცალი ჰქონდათ. ერთი მოთავსებული იყო ნაკტოუზში, მესაჭის თვალწინ. მისი ციფერბლატი დღისით კარგად ჩანდა, ხოლო ღამით ორი გვერდითი ნათურით შუქდებოდა და მიმართულებას უჩვენებდა. მეორე კომპასი კი, ანუ გადაბრუნებული ბუსოლი, კაპიტან ჰულის ყოფილ კაიუტაში იყო დამაგრებული. კაპიტანს ოთახიდან გამოუსვლელად შეეძლო სცოდნოდა, მიდიოდა თუ არა გემი საჭირო მიმართულებით.

სერთოდ, არ არსებობს შორეული ნაოსნობაში მიმავალი გემი, რომ არ ჰქონოდა ორი კომპასი და ორი ქრონომეტრი მაინც. საჭიროა ამ ხელსაწყოების ერთმანეთთან შედარება და

მათი მაჩვენებლების შემოწმება. "პილიგრიმი" ამ მხრივ კარგად იყო აღჭურვილი და დიკ სენდმა უბრძანა ეკიპაჟს, დიდი სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ ესოდენ საჭირო ხელსაწყოებს.

საუბედუროდ, თორმეტ თებერვალს, ღამით, როდესაც საჭესთან ახალგაზრდა მეზღვაური იდგა, მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. კოჭში ჩარჭობილი, სპილენძის კავზე დამაგრებული კაიუტის კომპასი მოძვრა და ძირს ჩამოვარდა. ეს მხოლოდ მეორე დღეს შენიშნეს.

როგორ ამოძვრა კავი ხიდან? ამის ახსნა შეუძლებელი იყო. იქნებ კავი დაიჟანგა, ან განივმა და სიგრძივმა რყევამ ამოაგდო იგი ხის კოჭიდან? ზღვა ღამით მართლაც საკმაოდ ღელავდა. ასე იყო თუ ისე, კომპასი გატყდა და მისი შეკეთება შეუძლებელი იყო. დიკ სენდი ამ ამბავმა ძალზე შეაწუხა. ახლა გემზე ერთი კომპასიღა რჩებოდა, საჭესთან, და ახალგაზრდა მეზღვაურიც მარტო მის მაჩვენებლებს უნდა დაყრდნობოდა. იმ კომპასის გატეხაზე პასუხს არავინ აგებდა, მაგრამ ამას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, ამიტომ დიკ სენდმა ყველაფერი იღონა, რომ დარჩენილი ერთადერთი კომპასი ყოველგვარი საშიშროებისგან დაცვა. რომეს შემთხვევა არა, "პილიგრიმზე" ყველაფერი რიგზე იყო.

დიკ სენდის სიმშვიდემ მისის უელდონს კვლავ დაუბრუნა შინ მშვიდობით მისვლის რწმენა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს რწმენა არასოდეს დაუკარგავს. მორწმუნესა და ღვთისმოსავ კათოლიკეს, მუდამ ჰქონოდა ღვთის შემწეობის იმედი.

ღამით დიკ სენდი თვითონ მორიგეობდა საჭესთან, დღისით ხუთ-ექვს საათს იძინებდა და ეს მცირე დრო ჰყოფნიდა ძალღონის მოსაკრებად. დიკ სენდის ძილის დროს საჭესთან ტომი ან მისი ვაჟი ბათი მორიგეობდნენ. ისინი ზუსტად ასრულებდნენ ახალგაზრდა მეზღვაურის მითითებებს და თანდათან ეუფლებოდნენ მესაჭის რთულ ხელობას.

მისის უელდონი და ახალგაზრდა მეზღვაური ხშირად საუბრობდნენ. დიკ სენდი სიამოვნებით ისმენდა ამ ჭკვიანი და გაბედული ქალის რჩევას. იგი ყოველდღე უჩვენებდა რუკაზე მისის უელდონს განვლილ გზას, რომელსაც გემის სიჩქარისა და მიმართულების მიხედვით ანგარიშობდა.

- აი, ნახეთ, მისის უელდონ! - ხშირად იმეორებდა იგი, - ამ ზურგქარის დახმარებით ჩვენ მალე მივაღწევთ სამხრეთ ამერიკის ნაპირს. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მაგრამ როცა ჩვენ ხმელეთს მივადგებით, ალბათ, შორს არ ვიქნებით ვალპარაისოდან.

მისის უელდონს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გემს სწორი კურსი ჰქონდა აღებული, როსაც ჩრდილო-დასავლეთის ქარიც ხელს უწყობდა. მაგრამ ამერიკის ნაპირიდან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ! რამდენი ხიფათი მოელოდათ მათ ამ გზაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, ცისა და ზღვის მოსალოდნელ ცვლილებებზე.

ჯეკი კი, როგორც მისი ასაკის ბავშვს შეეფერებოდა, არაფერზე არა სწუხდა. იგი დინგოსთან თამაშობდა და უდარდელად დარბოდა გემბანზე. მან შეამჩნია, რომ მის მეგობარ დიკს სათამაშოდ აღარ ეცალა. დედამ აუხსნა, რომ დიკი ძალზე დატვირთული იყო საქმეებით. პატარა ჯეკმაც დაიჯერ და აღარ აცივდებოდა "კაპიტან სენდს".

ასე მიდიოდა ცხოვრება გემზე. ზანგები საზრიანად ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს და თანდათან იწაფებოდნენ ზღვაოსნობაში. ტომი ბოცმანი იყო. იგი ცვლას ახალგაზრდა მეზღვაურის დასვენების ჟამს ხელმძღვანელობდა. მასთან იყვნენ ბათი და ოსტინი. აქტეონი და ჰერკულესი დიკ სენდის მეთაურობით მეორე ცვლას შეადგენდნენ. როცა ერთი მართავდა გემს, დანარჩენი ორი იქვე გუშაგად იდგა. უკაცრიელი ოკეანის ამ მხარეში სხვა გემებთან შეჯახებისას საფრთხე არ იყო, მაგრამ ახალგაზრდა მეზღვაური ღამით მაინც დიდ სიფხიზლეს იჩენდა. მოითხოვდა, მთელ ღამეს მარჯვენა გვერდზე მწვანე და მარცხენაზე წითელი ნათურები ყოფილიყო ანთებული. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანური იყო. ღამ-ღამობით, როცა დიკ სენდი საჭესთან იდგა, ზოგჯერ საშინელ მოთენთილობას იგრძნობდა ხოლმე. მისი ხელი მაშინ ინსტიქტურად მართავდა საჭეს. ეს დაღლილობით იყო გამოწვეული. დიკ სენდი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ცამეტ თებერვალს, ღამით, საშინლად მოქანცული დიკ სენდი იძულებული გახდა რამდენიმე საათით დასასვენებლად წასულიყო. საჭესთან მოხუცი ტომი დადგა.

ცა სქელი ღრუბლებით იყო დაფარული. საღამოს აცივდა და ღრუბლებმა კიდევ უფრო დაბლა დაიწია. ირგვლივ ისეთი უკუნი სიბნელე იდგა, მაღალი იალქნების გარჩევაც კი შეუძლებელი იყო. ჰერკულესი და აქტეონი ვახტზე იდგნენ გემის წინაერდოზე. გემის ბოლოში სუსტად ანათებდა ნაკტოუზი, რომლის სინათლეს საჭის ლითონის ჩარჩო ირეკლავდა. გვერდითი ნათურების შუქი ტალღებს ეცემოდა. გემბანზე კი საშინელი უკუნეთი გამეფებულიყო.

დილის სამი საათისათვის მოხუც ტომს თითქოს ჩასთვლიდა. იგი ნაკტოუზის განათებულ წერტილს მიშტერებოდა, მაგრამ ვერც ვერაფერს ხედავდა, ვერ რაიმეს გრძნობდა. რომ გეჩქმიტათ, ალბათ, ვერც გაიგებდა.

ტომმა ვერ შეამჩნია, რომ გემბანზე ჩრდილმა გაიელვა.

ეს იყო ნეგორო. მზარეულმა ნაკტოუზის ქვეშ რაღაც მძიმე საგანი დადო. ერთი წუთით დააკვირდა კომპასის განათებულ ციფერბლატს და მიიმალა ისე, რომ არავის შეუმჩნევია. არ შეუმჩნევია ეს საგანი მეორე დღესაც არც დიკ სენდს, თორემ სწრაფად მოაშორებდა იქაურობას. ეს იყო რკინის ნაჭერი, რომელმაც კომპასის ჩვენება შეცვალა. დამაგნიტებული ისარი გადაიხარა. იმის ნაცვლად, რომ მაგნიტური პოლუსი ეჩვენებინა, რომელიც ჩრდ. პულუსისაგან ოდნავ განსხვავდება, იგი ჩრდილო-აღმოსავლეთს აჩვენებდა. ეს გადახრა ოთხ რუმბს უდრიდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მართლა კუთხის ნახევარს. ტომი იმწამსვე გამოერკვა ბურანიდან, შეხედა კომპასს ... შეამჩნია, რომ "პილიგრიმი" სწორი კურსით არ მიდიოდა, და მოატრიალა საჭე, რათა აღმოსავლეთისკენ ევლოთ... ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა.

ისრის გადახრის გამო, გემი ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

ზურგქარი ქროდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ "პილიგრიმი" სასურველი მიმართულებით მიდიოდა, სინამდვილეში კი ხომალდმა თავის გზას 45°-ით გადაუხვია.

თავი XI

ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი

მთელი კვირა, 14-დან 21 თებერვლამდე, გემზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდრა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი უფრო და უფრო მატულობდა და "პილიგრიმიც" სწრაფად მიქროდა წინ, დღაღამეში საშუალოდ ას სამოცი მილის სისწრაფით. ასეთი წყალწყვის გემს მეტს ვერც მოსთხოვდით.

დიკ სენდი ფიქრობდა, რომ შხუნა-ბრიგი უკვე ახლო იყო იმ ადგილებთან, სადაც სამგზავრო გემები დადიან და ერთ ნახევარსფეროს მეორესთან აკავშირებენ. ახალგაზრდა მეზღვაურს ასეთი გემის შეხვედრის იმედი ჰქონდა და უნდოდა ან თავისი მგზავრები გადაესვა მასზე, ან რამდენიმე დამხმარე მეზღვაური და შესაძლოა ოფიცერიც კი ეთხოვა. მაგრამ ირგვლივ არც ერთი გემი არ ჩანდა! ოკეანე უკაცრიელი იყო. ეს ცოტა არ იყოს უკვირდა დიკ სენდს. იგი სამჯერ მონაწილეობდა ავსტრალიის ზღვების სათევზაო-სარეწაო კოპანიებში და რამდენიმეჯერ გადასერა წყნარი ოკეანის ეს ნაწილი. იმ გრძელსა და განედზე, სადაც მისი გამოთვლით "პილიგრიმი" იმყოფებოდა, აუცილებლად უნდა გამოჩენილიყვნენ ინგლისის ან ამერიკის გემები, რომლებიც ჰორნის კონცხიდან ამოდიოდნენ და ეკვატორისაკენ მიემართებოდნენ, ანდა სამხრეთ ამერიკის ამ უკიდევანო პუნქტში ჩადიოდნენ. დიკ სენდმა არ იცოდა და ვერც წარმოიდგენდა, რომ "პილიგრიმი" გაცილებით უფრო მაღალ განედზე იმყოფებოდა ე.ი. გაცილებით უფრო სამხრეთით.

ეს ორი მიზეზით იყო გამოწვეული - ერთი დინებებით, რომელნიც აცდენენ გემს სწორი გზიდან და, რომელთა სიჩქარის გამოანგარიშება ახალგაზრდა მეზღვაურმა კარგად არ იცოდა, მეორე კი ბოროტმოქმედი ნეგოროს მიერ გაფუჭებული კომპასით, რომელიც მცდარად უჩვენებდა მიმართულებას. დიკ სენდს ამ კომპასის შემოწმება არ შეეძლო, რადგან მეორე კომპასი გატყდა. მას ეგონა, რომ ხომალდი აღმოსავლეთისაკენ მიცურავდა მაშინ, როდესაც იგი

სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. კომპანის სულ მის თვალწინ იყო. ლაგსაც რეგულარულად ისროდა ზღვაში. ეს ორი ხელსაწყო საშუალებას აძლევდა, გამოეანგარიშებინა განვლილი გზა, მაგრამ იყო კი ეს საკმარისი?

ახალგაზრდა მეზღვაური დროდადრო ამხნევებდა მისის უელდონს, რომელიც ზოგჯერ შემფოთდებოდა ხოლმე.

- ჩვენ აუცილებლად მივალწევთ ამერიკის ნაპირს, რომელი ადგილი იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ სულ ერთია... ჩვენ ნაპირს მივადგებით! - იმეორებდა დიკ სენდი.

- ამაში ეჭვიც არ მეპარება, დიკ!

- მე უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი, თქვენ რომ გემზე არ იყოფდ და მარტო ჩვენი თავი გვებროს, მაგრამ...

- კი მაგრამ მე, კუზენი ბენედიქტი, ჯეკი და ნანი რომ არ დავმსხდარიყავით, "პილიგრიმზე" და არც ტომი და მისი თანამგზავრები გყოლოდათ, მაშინ ხომ მხოლოდ ორნი დარჩებოდით - შენ და ნეგორო! რა უნდა გექნა შენ ასეთი უნდო და პირქუშ კაცთან? ჩემო ბიჭო, მაშინ რას იზამდი?

- პირველ რიგში იმაზე ვიზრუნებდი, რომ მას ჩემთვის რაიმე არ ევნო.

- გემს მარტო წაიყვანდი?

- დიახ... მარტო! ღვთის შემწეობით!...

დიკ სენდის მტკიცე ტონი მხნეობას მატებდა მისის უელდონს, მაგრამ საკმარისი იყო თავისი პატარა ჯეკისათვის თვალი შეევლო, რომ მაშინვე შიში იპყრობდა. ქალს არ უნდოდა გულჩვილობა გამოემჟღავნებინა, მაგრამ არც იმ სევდისა და წუხილის შეკავება შეეძლო, რომელიც მას გულს უსერავდა.

ახალგაზრდა მეზღვაურს ჰიდროგრაფიაში საკმაო ცოდნა არ ჰქონდა და არც ზღვაში გემის ზუსტი ადგილსამყოფელის გამოთვლა იცოდა, მაგრამ მეზღვაურის უტყუარი გუმანით შეეძლო ამინდის შეტყობა. ცა და ბარომეტრი ეხმარებოდა მას, ყოველგვარი სფართობისათვის მზად ყოფილიყო. კაპიტანმა ჰულმა, რომელიც კარგი მეტეოროლოგი იყო, ამ ხელსაწყოს გამოყენება ასწავლა. ბარომეტრის წინასწარმეტყველება კი მეტად სანდოა. აი, როგორ უნდა გამოვიყენოთ ბარომეტრის ჩვენება¹.

"1. როდესაც ხანგრძლივად დგას კარგი ამინდი და წნევა სწრაფად და განუწყვეტლივ ეცემა, აუცილებლად იწვიმებს. თუ კარგი ამინდი ძალზე ხანგრძლივია, ვერცხლისწყლის დაცემამ შეიძლება ორ-სამ დღეს გასტანოს. რაც _____

¹ ამოღებულია ვორპიერს "ილუსტრირებული ლექსიკონიდან" (ავტორის შენიშვნა)

უფრო მეტი დრო გავა ვერცხლისწყლის დაცემასა და წვიმის დაწყებას შორის, მით უფრო ხანგრძლივი იქნება წვიმიანი პერიოდი.

2. პირიქით, თუ ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ბარომეტრის სვეტი თანდათანობით მაღლა იწევს, აუცილებლად გამოიდარებს. ამასთან, თუ ბარომეტრის სვეტის აწევისას და პირველი მზიან დღეს შორის დიდი ხანი გავიდა, კარგი ამინდი დიდხანს გასტანს.

3. ორივე ზემოხსენებულ შემთხვევაში, თუ ამიღნი შეიცვალა ბარომეტრის სვეტის მოძრაობის დაწყებისთანავე, ეს ცვლილება მეტად ხანმოკლე იქნება.

4. თუ ბარომეტრის სვეტი ორი-სამი დღის განმავლობაში ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ზევით იწევს, ეს კარგ ამინდს მოასწავებს, თუნდაც გადაუღებელი წვიმდეს რამდენიმე დღის განმავლობაში. თუ კარგი ამინდის დასაგომისთანავე ბარომეტრი ისევ დაიწყებს დაცემას, მაშინ კარგი ამინდი მიცრე ხანს გასტანს.

5. გაზაფხულზე და შემოდგომით ბარომეტრის სწრაფი დაცემა ქარის მაუწყებელია. ზაფხულში დიდი სიციხის დროს იგი ჭექა-ქუხილს გვამცნობს, ზამთარში კი ხანგრძლივი ყინვების შემდეგ - ქარის შეცვლას, რომელსაც თან თოვლ-ჭყაპი და წვიმა ახლავს. ხანგრძლივი ყინვების დროს ვერცხლისწყლის სვეტის აწევა თოვლის წამოსვლას გვაუწყებს.

6. როცა ბარომეტრის სვეტი დროის მოკლე მონაკვეთში ხან მაღლა იწევს, ხან დაბლა, ეს როდი ნიშნავს დიდხანს მანძილზე კარგ ან ცუდ ამინდს. მხოლოდ ბარომეტრის სვეტის

თანდათანობითი და ნელი დაწევა ან აწევა მიგვანიშნებს ხანგრძლივ მყარ ამინდზე. მაშინ ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი.

7. შემოდგომის მიწურულს, ხანგრძლივი წვიმიანი და ქარიანი ამინდის შემდეგ ბარომეტრის სვეტის მაღლა აწევა, ჩრდილოეთის ქარის ამოვარდნას ან ყინვების დადგომას მოასწავებს".

ასეთია ის ზოგადი დასკვნეი, რომელთა გამოტნა შეიძლება ამ ძვირფასი ხელსაწყოს მაჩვენებლებიდან. ეს ძალიან კარგად იცოდა დიკ სენდმა და მრავალჯერ ჰქონდა შემოწმებული. ბარომეტრი ყოველთვის ეხმარებოდა, ხიფათს მზად დახვეროდა.

ოც თებერვალს ბარომეტრის სვეტმა რხევა დაიწყო. ამან ახალგაზრდა მეზღვაური ძალზე შეაშფოთა. იგი დღეში რამდენჯერმე ამოწმებდა სვეტს, რომელიც ნელა და განუწყვეტლივ იწევდა ქვევით. ეს წვიმის მანიშნებელი იყო. წვიმა კი იგვიანებდა. დიკ სენდმა დააკსვნა, რომ ცუდი ამინდი დიდხანს გასტანდა. წვიმა თუ არა, ქარი მაინც ამოვარდებოდა. მართლაც, ქარი ისე გაძლიერდა, რომ სეკუნდში სამოცი ფუტის სიჩქარეს აღწევდა, რაც 31 მილს უდრიდა საათში.¹

დიკ სენდს ზომები უნდა მიეღო ანძებისა და იალქნების დასაცავად. მან მოხსნა ბომბ-ბრამსელი, ტოპსელი და გარე კლივერი. ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, მოეხსნა ბრამსელი და მარსელისათვისაც ორი ყულფი მოეკლო. ეს ძალიან ძნელი იყო გამოუცდელი ეკიპაჟისათვის, მაგრამ ყოყმანი არ შეიძლებოდა. დიკ სენდი ბათისა და ოსტინის თანხლებით ფოკ-ანძის ტაკელაჟზე აძვრა და დიდი გაჭირვებით მოხსნა ბრამსელი. ამინდის შეცვლის საფრთხე რომ არა, ორივე ქანდარას ანძაზე დატოვებდა. მან წინასწარ განჰკვრიტა, რომ იძულებული გახდებოდა ჩამოეხსნა ან იქნებ მოეცილებინა კიდეც ეს ანძა. ამიტომ დიკ სენდმა ორივე ქანდარა გემბანზე დაუშვა. როცა ქარი მატულობს საჭიროა არა მხოლოდ იალქნების, არამედ ანძების _____

1. ე. ი. 57,5 კმ (ავტორის შენიშვნა)

შემცირებაც. ეს გემისათვის დიდი შეღავათია. იგი ზემოდან ნაკლებადაა დატვირთული და უკეთესად უძლებს სიგრძივ და განივ რყევას.

ამ საქმეს ორი საათი დასჭირდა. დიკ სენდმა და მისმა დამხმარებმა ახლა მარსელის შემცირება გადაწყვიტეს და ორი ყულფი ჩამოხსნეს. ორმაგი მარსელი აადვილებს საქმეს. "პილიგრიმს" იგი არ ჰქონდა და იძულებული გახდნენ ერბინათ პერტებზე, თავისკენ მოეჭიმათ ქარზე მოფრიალე აფრის ბოლო და თოკებით საიმედოდ დაემაგრებინათ. ეს დიდ დროს მოითხოვდა და მძიმე და სახიფათო საქმე იყო, მაგრამ დაპატარავებულმა მარსელმა ნაკლები წინააღმდეგობა გაუწია ქარს და შხუნა-ბრიგიც მნიშვნელოვნად განიტვირთა.

დიკ სენდი ბათთან და ოსტინთან ერთად ძირს ჩამოვიდა. "პილიგრიმი" მზად იყო გამკლავებოდა მოსალოდნელ საფრთხეს. მეზღვაურები ასეთ ამინდს "დიდ სიგრილეს" უწოდებენ.

მომდევნო სამ დღეს, 20, 21, და 22 თებერვალს, ქარს არც ძალა და არც მიმართულება არ შეუცვლია. მიუხედავად ამისა, ბარომეტრში ვერცხლისწყალი განუწყვეტლივ ეცემოდა. 22 თებერვალს იგი ოცდარვა და შვიდ მეათედ დუიმს ქვემოთ ჩამოვიდა¹ და ეტყობოდა, ზევით აღარ აიწევდა. ცა პირქუში და მოღუშული იყო. ისეთ სქელ ნისლს მოეცვა მთელი ოკეანე, რომ მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილის შემჩნევაც კი არ შეიძლებოდა. ძლიერი ქარი ქროდა. დიკ სენდს მღელვარება შეეპარა, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის წყალობით ახერხებდა, შეშფოთება დაეფარა და სხვებისათვის არაფერი შეემჩნევიინებინა. იგი ერთი წუთით არ ტოვებდა გემბანს, თითქოს სულ არ იძინებდა.

მეორე დღეს, 23 თებერვლი დილას, ქარმა იკლო, მაგრამ დიკ სენდი უნდობლად უყურებდა ამ ცვლილებას. იგი არც შემცდარა. ნაშუადღევს ქარი გაძლიერდა და ზღვაც უფრო პირქუში და მკაცრი გახდა.

ოთხ საათზე ნეოგორმ, რომელიც იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე, დატოვა თავისი სამზარეულო და გემბანზე ამოვიდა. დინგოს, ალბათ, რომელიმე კუთხეში ეძინა, თორემ აუცილებლად შეუღრენდა. ნეგორო ჩვეულებისამებრ დუმდა. იგი მთელი ნახევარ საათს

აკვირდებოდა ჰორიზონტს. გრძელი, მაღალი ტალღები მიჯრით მისდევდნენ ერთმანეთს. ტალღათა სიმაღლე აშკარად აღემატებოდა მათი გამომწვევი ქარის ძალას. ეტყობოდა, დასავლეთით, თანაც შესაძლოა არც ისე შორს, საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა და "პილიგრიმიც" ალბათ, მალე მოაღწევდა. ნეგორომ ჯერ აბობოქრებულ სივრცეს მოავლო თვალი, შემდეგ ზეცას ახედ და ცა შემადრწუნებელი იყო. ღრუბლები ზევით უფრო სწრაფად მოძრაობდნენ, ვიდრე ქვევით. სულ მალე ეს მძიმე ღრუბლებით უფრო დაიწვედნენ ძირს და ძლიერ ქარს ქარიშხლად ან გრიგალად აქცევდნენ.

ნეგოროს სახეზე ბოროტი ღიმილი აუთამაშდა. ისე გულგრილად უყურედა ყველაფერს, ან ამინდისა არაფერი გაეგებოდა, ან ძალზე გულადი იყო.

ეს თითქოს სიხარულს უფრო იწვევდა მასში, ვიდრე უსიამოვნებას. იგი ბუმპრიტზე აცოცდა და შედეგ ბომ-უტლეგარზე გადაძვრა, რათა უფრო შორეული სივრცისთვის შეეველო თვალი. იგი თითქოს რაღაც ნიშანს ეძებდა ჰორიზონტზე. ცოტა ხნის შემდეგ მშვიდად და უსიტყვოდ ჩამოცოცდა გემბანზე და თავის ადგილსამყოფელს დაუბრუნდა.

1 ინგლისური და ამერიკული ბარომეტრები დაყოფილია დუიმიბად და ხაზებად. ოცდარვა და შვიდი მეათედი დუიმი უდრის 728 მილიმეტრს (ავტორის შენიშვნა).

ზოგი ჭირი მარგებელიაო: ქარი, როგორც არ უნდა გაძლიერებულიყო, ჯერჯერობით გემის სვლის მიმართულებით ქროდა და "პილიგრიმიც" უფრო სწრაფად უახლოვდებოდა ამერიკის ნაპირს. თუ ქარიშხალი არ ამოვარდებოდა, მგზავრობას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. საფრთხე მხოლოდ გემის უცნობ ნაპირთან მიდგომისას იყო მოსალოდნელი. სწორედ ეს აწუხებდა დიკ სენდს. ნაპირი კიდევ რომ ნაცნობი იყოს, როგორ უნდა მიადგეს მას, თუ იქიდან ლოცმანი არ დაეხმარა? ან რა იღონოს, ცუდი ამინდის გამო სრულიად უცნობ ნაპირთან მიდგომა რომ მოუხდეს? ამაზე ჯერ წუხილი ნაადრევი იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ საჭირო გახდებოდა ამ საქმის მოგვარება! დიკ სენდი იმედოვნებდა, რომ ეს არ გაუჭირდებოდა!

შემდგომი ცამეტი დღის განმავლობაში, 24 თებერვლიდან 9 მარტამდე, ამინდი თითქმის არ შეცვლილა. ცა მრუმე ღრუბლებით იყო დაფარული. დროდადრო ქარი ოდნავ ჩადგებოდა, მაგრამ შემდეგ კვლავ ძლიერად იწყებდა ქროლვას. ორ-სამჯერ ბარომეტრის სვეტმაც აიწია, თუმცა მისი სწრაფი რხევა ხელშემწყობი ქარების ან უკეთესი ამინდის მანიშნებელი არ უნდა ყოფილიყო. მალე ბარომეტრის სვეტიც დაეცა და გამოამინდების ყოველგვარი იმედი ამოიწურა. რამდენჯერმე საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, რამაც დიკ სენდი ძალზე შეაშფოთა. ორ-სამჯერ სულ რაღაც ერთი კაბელტოვის მანძილზე ტალღას მეხი დაეცა. კოკისპურად წვიმდა. და "პილიგრიმის" გარშემო ისეთი სქელი ნისლი იწვა, საათობით საგუშაგოზე მდგომ დიკ სენდს არაფრის გარჩევა არ შეეძლო. გემი ალაღბედზე მიცურავდა. იგი საშინლად ირყეოდა. კიდევ კარგი, მისის უელდონი მშვენივრად იტანდა ამას, მაგრამ პატარა ჯეკი ძალიან იტანჯებოდა. დედა თავს ევლებოდა თავის ბიჭუნას. კუზენი ბენედიქტი მთელ დროს ამერიკული ტარაკანების შესწავლას ანდომებდა და ისე კარგად გრძნობდა თავს, გეგონებოდათ სან-ფრანცისკოში, საკუთარ კაბინეტში იმყოფებო.

ტომი და მისი თანამგზავრებიც გადაურჩნენ ზღვის ავადმყოფობას და ახალგაზრდა მეზღვაურის დავალებებს ერთგულად ასრულებდნენ. დიკ სენდი ხომ ყოველგვარ რყევას იყო შეჩვეული. "პილიგრიმი" საშინელ ამინდში განაგრძობდა გზას და შემცირებული იალქნებითაც სწრაფად მიაპობდა ტალღებს. დიკ სენდი ფიქრობდა, რომ იალქნების შემცირება კიდევ დასჭირდებოდა, მაგრამ შესაფერის დროს ელოდა, რომ ამის უხიფათოდ გაკეთება შესძლებოდა. მისი გამოანგარიშებით, ნაპირი უკვე შორს აღარ იყო. ჰორიზონტს ყველა ფხიზლად ადევნებდა თვალს, მაგრამ დიკ სენდი არავის ენდობოდა და მიწის გამოჩენას გაფაციცებით ელოდა. ნისლიან ამინდში, რა გინდა კარგი მხედველობისაც უნდა იყოს კაცი, თუ ჰორიზონტის დაკვირვებას შეჩვეული არაა, ნაპირის პირველ კონტურებს ვერ შეამჩნევს. ამიტომ დიკ სენდი ხშირად ადიოდა ანძაზე, რათა თვითონ დაკვირვებოდა ყველაფერს და უკეთ გაერჩია მიწა, მაგრამ ამერიკის ნაპირი არა და არ ჩანდა.

დიკ სენდი ძალზე გაოცებული იყო და მისის უელდონი ამას უნებლიეთ წაცდენილი სიტყვებით მიუხვდა. ეს მოხდა 9 მარტს. ახალგაზრდა მეზღვაური გემის. ცხვირთან იდგა და ზღვას და ცას აკვირებოდა. დროდადრო თვალს შეავლებდა ხოლმე "პილიგრიმის" ანძებსა და იალქნებს, რომლები ქარისაგან იზნიქებოდნენ.

- კიდევ არაფერი ჩანს, დიკ? - შეეკითხა მისის უელდონი, როცა დიკმა დურბინდი თვალებიდან მოიშორა.

- არაფერი, მისის უელდონ, არაფერი, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - თუმცა ძლიერმა ქარმა ღრუბლები გაფანტა და ჰორიზონტი კარგად გამოიკვეთა.

- შენ გგონია, დიკ, რომ ამერიკის ნაპირი შორს აღარ უნდ იყოს?

- სწორედ რომ შორს აღარ უნდა იყოს, მისის უელდონ, და მიკვირს, რომ ჩვენ მას ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ!

- გემი ხომ სულ სწორი კურსით მიდიოდა?

- დიახ, სულ სწორი კურსით მას შემდეგ, რაც ჩრდილო-დასავლეთის ქარმა დაჰბერა, - მიუგო დიკ სენდმა, - ე.ი. იმ ავბედით დღეს, როცა ჩვენი კაპიტანი და ეკიპაჟი დაგვარგეთ. ეს იყო 10 თებერვალს. ახლა 9 მარტია, მას შემდეგ 27 დღე გავიდა.

- კი მაგრამ, მაშინ რა მანძილი გვაშორებდა ნაპირს? - იკითხა მისის უელდონმა.

- დაახლოებით ოთხი ატას ხუთასი მილი. ყველაფერში შეიძლება ეჭვის შეტანა, გარდა ამ ციფრისა. შეილება მხოლოდ ოციოდე მილით ვცდებოდე, მეტი არა!

- რა სიჩქარით მიდიოდა გემი?

- რაც ქარმა იმატა, დაახლოებით ას ორმოცი მილის სიჩქარით დღე-ღამეში. სწორედ ამიტომ მიკვირს, რომ მიწა ჯერაც არა ჩანს! კიდევ უფრო გასაოცარია ის, რომ არც ერთი გემი არ შეგვხვებოდა.

- "პილიგრიმის" სიჩქარის განსაზღვრისას შეცდომა ხომ არ დაგიშვია? - შეეკითხა მისის უელდონი.

- არა, მისის უელდონ, შეუძლებელია ეს შემშლოდა. ლაგს წყალში ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ვაგდებდი და მის მაჩვენებელს ზუსტად ვიწერდი. გნებავთ, ახლავე ჩავუშვებთ ლაგი ზღვაში. ნახავთ, რომ საათში ათი მილის სიჩქარით მივდივართ. ეს დღე-ღამეში ორას მილზე მეტს შეადგენს.

დიკ სენდმა ტომს მოუხმო და სთხოვა, ლაგი ჩაეგდო. მოხუცი ზანგი ამ საქმეში უკვე გაწაფული იყო. მოიტანეს ტროსის ბოლოზე მაგრად მიბმული ლაგი და ზღვაში ისროლეს.

ოცდახუთი იარდიც არ გაევილოთ, რომ ტომს ცარიელი ტროსი შერჩა ხელში.

- ვაი, კაპიტანო! - შეჰყვირა მან.

- რა მოხდა, ტომ?

- ტროსი გაწყდა!

- გაწყდა?! - შეჰყვირა დიკ სენდმა. - ლაგი დაიკარგა?

მოხუც ტომს ტროსის ბოლოდა შერჩენოდა ხელში. ლაგი კი არ მოხსნოდა ტროსს, არამედ ტროსი იყო შუაში გაწყვეტილი. მაგრამ როგორ? ტროსი ხომ პირველხარისხოვანი ქერელისაგან იყო დაგრეხილი! იგი ასე ადვილად არ გაწყდებოდა, გადახეხილი რომ არ ყოფილიყო. ეს ასეც იყო! ამაშინ მაშინვე დარწმუნდა დიკ სენდი, როცა ტროსი ხელში აიღო და შეათვალიერა.

ნუთუ ხშირი ხმარებით გაიხეხა? ეკითხებოდა თავის თავს დეჭკვებული ახალგაზრდა მეზღვაური.

ასე იყო თუ ისე, ლაგი დაიკარგა. გემის სიჩქარის შესამოწმებლად არავითარი საშუალება აღარ არსებობდა. გემს მხოლოდ კომპასი შემორჩა, რომელიც მცდარ მიმართულებას უჩვენებდა, თუმცა დიკ სენდმა ამაზე არაფერი იცოდა.

დიკ სენდი საშინლად შეწუხდა. მისის უელდონმა შეკითხვებს თავი დაანება და გულდამძიმებული თავისი კაიუტისაკენ გაემართა.

"პილიგრიმის" სიჩქარის დადგენა და განვლილი გზის გამოანგარიშება შეუძლებელი გახდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ გემის სიჩქარე არ კლებულობდა.

მეორე დღეს, 10 მარტს, ბარომეტრის სვეტი დაეცა ოცდარვა მთელი და ორი მეათედი დუიმით.¹ ეს საათში 60 მილის სიჩქარის მქონე ძლიერ ქარს მოასწავებდა. _____

1 716 მილიმეტრი (ავტორის შენიშვნა)

საფრთხის თავიდან ასაცილებლად გემის იალქნების კიდევ უფრო შემცირება იყო საჭირო.

დიკ სენდმა გადაწყვიტა მარსელისა და ფოკის ჩამოშვება და დაბალი იალქნების მოჭიმვა, რათა ცურვა მხოლოდ ბომ-კლივერითა და ყულფებშემცირებული დახრილი გროტით გაეგრძელებინა. ამას დიდი დრო უნდოდა. დრო კი ცოტა იყო, რადგან ქარიშხალი საშინლად ბობოქრობდა. მან მოუხმო ტომსა და მის თანამგზავრებს. დიკ სენდი, ოსტინი, აქტეონი და ბათი ქანდარაზე ავიდნენ, ტომი საჭესთან დარჩა, ხოლო ჰერკულესი - გემბანზე, რომ შკოტი მოეშვა, როგორც კი უბრძანებნენ. დიდი წვალების შემდეგ მარსელი და ფოკი ჩამოშვეს. ამ მამაცი ადამიანების სიცოცხლე საფრთხეში იყო. გვერდით რყევა ისე არხევდა ანძებს, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა ზღვაში გადანაცვნილიყვნენ. შემდეგ მოაკლეს ყულფები დახრილ გროტს და ჩამოშვეს შიგნითა კლივერი. შხუნა-ბრიგზე ახლა გარდა ბომ-კლივერისა და შემცირებული დახრილი გროტისა, არც ერთი იალქანი აღარ იყო აღმართული.

იალქნების მეტისმეტი სიმცირის მიუხედავად, გემის სიჩქარე არ კლებულობდა. 12 მარტს ამინდი გაუარესდა. განთიადისას ბარომეტრი დაეცა ოცდაშვიდი და ცხრა მეათედი დუიმით¹. დიკ სენდი შეძრწუნდა. ეს უკვე ნამდვილ ქარიშხალს მოასწავებდა. "პილიგრიმს" დარჩენილი იალქნებიც უნდა დაეშვა. დიკ სენდმა ბრძანა, სასწრაფოდ მოეხსნათ დახრილი გროტი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ძლიერი გრიგალი ეძგერა გემს და იალქანი მოგლიჯა. ოსტინი, რომელიც ამ დროს ბრამ-ანძის ქანდარაზე იმყოფებოდა, მთელი ძალით ბრამ-სტენგას მიეხეთქა და სხეული დაეჟეჟა, მაგრამ გემბანზე ჩამოსვლა მაინც შეძლო.

დიკ სენდი საშინლად ღელავდა. მისი ვარაუდით სანაპიროს რიფები შორს აღარ იყო და ასეთი სისწრაფით მიმავალი გემი ყოველ წუთს შეიძლებოდა რიფებზე შეჯახებისას დამსხვრეულიყო. იგი გემის ცხვირისაკენ გაიქცა, მაგრამ მიწის სიახლოვის ნიშნები ვერ დაინახა, კვლავ საჭეს მიუბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გემბანზე ნეგორო ამოვიდა. უეცრად, თითქოს უნებურადო, ხელი ჰორიზონტის რომელიღაც წერტილისაკენ გაიშვირა, თითქოს ნისლში ამალღეული ნაპირი იცნო...

არაფერი უთქვამს, ბოროტად გაიღიმა და თავის სამზარეულოს დაუბრუნდა.

თავი XII

კ უ ნ ძ უ ლ ი

ქარიშხალი გრიგალად იქცა. იგი სამხრეთ-დასავლეთიდან ქროდა ოთხმოდაათი მილის სიჩქარით საათში². ეს მართლაც ნამდვილი გრიგალი იყო. მას რეიდზე მდგარი ყველა გემის ნაპირზე შეგდება შეეძლო. ასეთ გრიგალს ხმელეთზე ვერც ერთი მტკიცე ნაგებობაც კი ვერ უძლებს. სწორედ ასეთი გრიგალი იყო, 1825 წლის 23 ილვისს გვადალუპა რომ დაანგრია. მას მძიმე ქვემეხის ლაფეტიდან მოგლეჯაც კი შეუძლია, რაღა დაემართება გემს, რომლის საყრდენი მხოლოდ აბობოქრებული ზღვაა! გემს ასეთ დროს მოძრაობა თუ იხსნის! იგი კი არ ეწინააღმდეგება ქარს, პირიქით, აჰყვებ-დაჰყვება ხოლმე და, თუ კარგადაა აგებული, ზღვის უძლიერეს ტალღებსაც კი გაუმკლავდება. ახლაც ასე მოხდა. რამდენიმე წუთის წინ ქარმა

1 709 მილიმეტრი (ავტორის შენიშვნა)

2 დაახლოებით 166 კმ (შენიშვნა ავტორისაა).

დახრილი გროტი წაიღო და ბომ-კლევერიც ნაფლეთებად აქცი. დიკ სენდმა სტაქსელი, გამძლე ტილოს იალქანიც კი არ დააყენა, თუმცა იგი გემის მართვას გააადვილებდა.

"პილიგრიმი" უიალქნოდ მისრიალებდა. ქარი ისე აწვებოდა მის კორპუსს, ანძებსა და ტაკელაჟს და ისეთი სისწრაფით მიაქროლებდა, რომ ხომალდი ოდნავ ეხებოდა წყლის

ზედაპირს. გეგონებოდათ, ეს-ესაა წყლიდა ამოხტებაო. ქარიშხალი ვეება ტალღებს აგორებდა. სიგრძივი რყევა ამ დროს ძალზე საშიშია, საშიშია აგრეთვე ზღვის ძლიერი დარტყმის გემის ბოლოზე. ქარიშხალში მოყოლილი გემისათვის ეს ყველაზე დიდი საფრთხეა. წყლის ეს უზარმაზარი მთები უფრო სწრაფად მოძრაობდნენ, ვიდრე მზუნა-ბრივი და ხომალდი რომ არ აპყოლოდა ტალღას, დარტყმას ვერ გადაურჩებოდა.

რა უნდა ელონათ? გემს იალქნის პატარა ნაჭერიც კი არ გააჩნდა, რომ უფრო ჩქარა წასულიყვნენ. ერთადერთ იმედად საჭე დარჩათ, მაგრამ ხშირად ისიც ვერ ეხმარებოდათ. დიკ სენდმა თოკით მიიმაგრა თავი, რომ ტალღას ზღვაში არ გადაეგდო. იგი წუთითაც არ ტოვებდა საჭეს. იქვე იყვნენ ტომი და ბათი, ასევე თოკით მიბმულნი. ჰერკულესსა და აქტეონს ხელი ბიტენგზე ჩაეჭიდათ და გემის ცხივრზე ფხიზლობდნენ. ახალგაზრდა მეზღვაურის ბრძანებით მისის უელდონი, პატარა ჯეკი, კუზენი ბენედიქტი და ნანი თავისი კაიუტიდან არ გამოდიოდნენ. მისის უელდონს ერჩია, გემბანზე ამოსულიყო, მაგრამ დიკ სენდმა სასტიკად აუკრძალა, - აქ ყოფნა ძალზე სახიფათოაო.

ყველა სათოფური ჰერმეტულად დაკეტეს. საბედნიეროდ, გემი კარგად იყო დატვირთული და, მიუხედავად საშინელი რყევებისა, "პილიგრიმის" ტვირთი ოდნავადაც არ გადაადგილებულა. დიკ სენდს იმედი ჰქონდა, რომ მათი გემი ზღვის უზარმაზარი ტალღის დარტყმასაც გაუძლებდა.

კაპიტანს თითქმის სულ აღარ ეძინა. მისის უელდონს ეშინოდა, დიკ სენდი ავად არ გამხდარიყო და დაჟინებით მოითხოვდა, რამდენიმე საათით მაინც დაესვენა.

ეს ამბავი 13 მარტს, ღამით მოხდა, როცა დიკი ისვენებდა. ტომი და ბათი შტურვალთან მორიგეობდნენ. ნეგოროს გემის ამ ადგილებში იშვიათად ნახავდით. ახლა კი იგი მიუახლოვდა ზანგებს, გეგონებოდათ, მათთან სუბარბი უნდაო. ტომმა და მისმა ვაჟმა მას არც კი მიხედეს. უეცრად გემი მკვეთრად გადაიხარა გვერდზე. ნეგორო დაეცა და, ნაკტოუხს რომ არ ჩაბლაუჭებოდა, აუცილებლად ზღვაში გადავარდებოდა.

ტომს კომპასის დაზიანებისა შეეშინდა და შეჰყვირა. დიკ სენდს ეს ყვირილი ძილში ჩაესმა. იგი სასწრაფოდ ავარდა გემბანზე და გემის კიჩოსაკენ გაიქცა. ნეგორო წამომდარიყო. მას ხელში ნაკტოუხის ქვევიდან გამოღებული რკინის ნაჭერი ეკავა, რომელიც ყველასათვის შეუმჩნევლად ზღვაში ისროლა.

ნუთუ ნეგოროს უნდოდა, რომ კომპასის ისარს თავისი ნამდილი მიმართულეზა მიეღო? უთუოდ უნდოდა, რადგან სამხრეთ-დასავლეთის ქარი ამჟამად მის ფარულ მიზნებს ემსახურებოდა.

- რა მოხდა? - იკითხა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- ეს წყეული მზარეული კომპასზე დაეცა, - მიუგო ტომმა.

ამ სიტყვებით შეშფოთებული დიკ სენდი ნაკტოუხისაკენ დაიხრა... იგი უვნებელი იყო. ნათურებით გაშუქებული კომპასი ჩვეულებრივ ორ კონცენტრულ წრეს ეყრდნობოდა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა შვებით ამოისუნთქა. ერთადერთი კომპასის გატეხვა დიდი უბედურება იქნებოდა.

დიკ სენდს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო იმის შემჩნევა, რომ რკინის ნაჭრის მოცილების შემდეგ ისარი უკვე ზუსტად მიუთითებდა მაგნიტურ ჩრდილოეთზე.

ნეგოროს წაქცევა ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ დიკ სენდი გაოცდა; ნეტა ამ დროს მზარეულს აქ რა უნდოდაო.

- აქ რას აკეთებთ? - შეეკითხა იგი.

- რაც მინდა, იმას, - კადნიერად მიუგო ნეგორომ.

- რა სთქვით?! - შეჰყვირა დიკ სენდმა, რომელმაც სიბრაზე ვერ დაფარა.

- მე ვთქვი, რომ, - უპასუხა მზარეულმა, - არ არსებობს კანონი, რომელიც გემის კიჩოზე სეირნობას კრძალავდეს.

- მე ვაწესებ ამას! - მიუგო დიკ სენდმა, - მე თქვენ გიკრძალავთ გემის კიჩოზე სიარულს!

- ოჰო! - გაოცდა ნეგორომ, თავი ვერ შეიკავა და დიკ სენდისაკენ წაიწია.

ახალგაზრდა მეზღვაურმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და მზარეულს დაუმიზნა.

- ნეგორო, - თქვა მან, - ეს რევოლვერი ყოველთვის თან მაქვს და პირველი წინააღმდეგობისთანავე შუბლს გაგიხვრეტ!

ნეგორომ იგრძნო, რომ რაღაც სიმძიმემ იგი წელში მოკაკვა. ეს ჰერკულესის ხელი იყო, რომელიც გოლიათმა ზანგმა მზარეულს მხარზე დაადო.

- კაპიტანო, - თქვა ჰერკულესმა, - თუ გინდათ, ზღვასი გადავაგდებ ამ არამზადს და დიდად გავახარებ თევზებს. ისინი ხომ მაინცდამაინც საკვების ხარისხს არ დაგიდვენ.

- ჯერ ეს საჭირო არ არის, - მიუგო დიკ სენდმა.

ჰერკულესმა ხელი მოაცილა. ნეგორო წელში გასწორდა და, როცა გოლიათს ჩაუარა, კბილებში გამოსცრა: "წყეულო ზანგო, ამას ძვირად დაგისვამ!"

ქარმა მიმართულება იცვალა თითქოს 45°-ით. მაგრამ დიკ სენდის გასაოცრად ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია გემზე და მისთვის მიმართულება არ შეუცვლია. ქარისა და ზღვის ტალღები ახლა გვერდიდან ურტყამდნენ ხომალდს, რაც მეტად სხიფათო იყო. დიკ სენდი იძულებული გახდა, მიმართულება ოთხი რუმბით მაინც შეეცვალა, რათა გემი ქარიშხლის წინ მოქცეოდა. არასოდეს არ ყოფილა დიკ სენდი ისე ფხიზლად, როგორც ახლა. მისი გონება გამალებით მუშაობდა. ათასნაირი კითხვა უტრიალებდა თავში: რაიმე კავშირი ხომ არ იყო ნეგოროს დაცემასა და იმ პირველი კომპასის გატეხვას შორის? რას აკეთებდა მზარეული აქ? ნუთუ მას მეორე კომპასის გატეხვაც უნდოდა? კი მაგრამ, რატომ? ეს ყოველმხრივ აუხსნელი ჩანდა. ნეგოროსაც განა სხვასავით არ უნდა სდომოდა, რომ ხომალდი მალე მისდგომოდა ამერიკის ნაპირს?

დიკის და მისის უოლდონის საუბრისას გამოირკვა, რომ ქალი უნდობლად ეკიდებოდა მზარეულს, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს ხედავდა. გემზე სიფრთხილეს იჩენდნენ და ნეგოროს გამუდმებით ადევნებდნენ თვალყურს. ეტყობოდა, მზარეულმა ახალგაზრდა მეზღვაურის ბრძანებას ანგარიში გაუწია და გემის იმ ნაწილში აღარ გამოჩენილა. იქ მას არაფერი ესაქმებოდა. ესეც არ იყოს, იქ დინგოს ბინა მიუჩინეს. მზარეულს ხომ ძალიან ესინოდ ამ ძაღლისა!

მთელი კვირა ქარიშხალი არ შენელებულა. ბარომეტრის სვეტი კიდევ უფრო დაეცა. 14-დან 26 მარტამდე ერთხელაც არ ჩაწყნარდა ამინდი ისე, რომ ზოგიერთი იალქნის აღმართვა მაინც ყოფილიყო შესაძლებელი. "პილიგრიმი" დღელამეში თითქმის ორასი მილის სიჩქარით მიქროდა, მაგრამ მიწა არა და არ ჩანდა! ეს მაშინ, როცა ამერიკის კონტინენტი უზარმაზარ ზღუდედაა აღმართული წყნარსა და ატლანტის ოკეანეებს შორის და მისი სიგრძე ას ოც გრადუსზე მეტია!

რა მოხდა, - ეკითხებოდა გაოცებული დიკ სენდი თავის თავს, - ნუთუ შეცდა და ამ ხნის განმავლობაში მცდარი კურსით მიემართებოდა! არა! არ შეიძლება, რომ იგი შემცდარიყო! მზე, რომელიც ნისლში ოდნავ ჩანდა ყოველთვის, გემის წინ ამოდიოდა და მის უკან ჩადიოდა! მაშ სად გაქრა მიწა, ამერიკის ის ნაპირი, რომელსაც შესაძლოა მისი გემი მინარცხებოდა და დამსხვრეულიყო კიდევ?! სად იყო იგი, თუ არა აქ? სულერთია, იქნებოდა ეს კონტინენტის ჩრდილოეთი თუ სამხრეთი ნაწილი! ამ საშინელ ქარიშხალში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ "პილიგრიმი" ან ერთ ნაპირს უნდა მისდგომოდა, ან მეორეს! რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რა ხდება ამჟამად, რომ ნაპირი, რომელიც მათ გადარჩენას ან დაღუპვას უქადდა, არ იქნა და არ გამოჩნდა?!

დიკ სენდი თანდათან რწმუნდებოდა, რომ კომპასის ჩვენება არ იყო სწორი, ხოლო ამ ჩვენების შემოწმება, მეორე კომპასის უქონლობის გამო, არ შეეძლო. ალბათ, ეს იყო ერთადერთი მიზეზი მიწის გაქრობისა.

დიკ სენდი გამუდმებით ჩაჰკირკიტებდა რუკას, როცა კი საჭესთან არ მორიგებოდა. მაგრამ რუკა, რა თქმა უნდა, ნეგოროს მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას ვერ მიახვედრებდა.

26 მარტს, დილის რვა საათზე, მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

გემის ცხვირთან, საგულშაფოზე მდგომმა ჰერკულესმა შეჰყვირა:

- მიწა! მიწა!

დიკ სენდი გემის წინ ერდოსკენ გავარდა. ჰერკულესი ხომ გამოცდილი მეზღვაური იყო. ხომ არ შეცდა იგი?

- სად არის მიწა? - შეჰყვირა დიკ სენდმა.

- იქ! - უპასუხა ჰერკულესმა და მიუთითა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცის დასალიერზე. ცისა და ზღვის საშინელ ხმაურში ერთმანეთისა თითქმის არაფერი ესმოდათ.

- მიწა დაინახეთ?! - ჩაჰკითხა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- დიახ! - უპასუხა ჰერკულესმა და ხელი ისევ გემის მარცხენა მხარეს გაიშვირა.

ახალგაზრდა მეზღვაური დაჟინებით მიაშტერდა იმ მხარეს, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

ჰერკულესის ყვირილზე მისის უელდონმა პირობა დაარღვია და გემბანზე ამოვიდა.

- მისის! ... - შეჰყვირა დიკ სენდმა.

მისის უელდონს ხმა არ ამოუღია. მას იმედითა და სიხარულით აღსავსე მხერა ჰორიზონტისათვის მიეპყრო.

მაგრამ ვერც მისის უელდონმა და ვერც ახალგაზრდა მეზღვაურმა მიწა ვერ დაინახეს. იქნებ ჰერკულესი შეცდა? მაგრამ უცებ დიკ სენდმა შეჰყვირა:

- მიწა! მიწა!

ცის ტატნობზე გაცრიატებულ ნისლში რაღაც მწვერვალის მსგავსი გამოჩნდა. მეზღვაურს თვალი არ ატყუებდა!

- როგორც იქნა, - აღტაცებული იმეორებდა, - ბოლოს და ბოლოს გვეღირსა! - აღელვებული დიკ სენდი მოაჯირს ჩაეჭიდა.

მისის უელდონი, რომელსაც ჰერკულესი იმაგრებდა, თვალეზმოუმორებლივ უყურებდა მიწას, რომლის გამოჩენის იმედი თითქმის დაკარგული ჰქონდა.

ეს მაღალი მწვერვალი ათიოდე მილით იყო დაშორებული გემის მარცხენა მხრიდან. ღრუბლები შეთხელდა, შუქმა იმატა და მწვერვალი უფრო ცხადად გამოიკვეთა. ეს უთუოდ "პილიგრიმს" მისკენ გეზი აღება არ შეეძლო, მაგრამ იგი მიწას არავითარ შემთხვევაში არ ასცდებოდა. ამას სულ რამდენიმე საათილა დასჭირდებოდა. ახლა დილის რვა საათი იყო. "პილიგრიმი" შუადღისას უკვე მიადგებოდა ნაპირს. დიკ სენდმა ჰერკულესს ანიშნა და მან მისის უელდონი გემის კიჩოსაკენ გააცილა, რადგან ასეთი რყევის დროს გემბანზე მარტო გავლა შეუძლებელი იყო.

ახალგაზრდა მეზღვაური ცოტა ხანს კიდევ დარჩა წინაერდოზე, შემდეგ საჭეს დაუბრუნდა, სადაც მოხუცი ტომი იდგა.

მგზავრებმა, როგორც იყო, დაინახეს ასე სასურველი და ასე დაგვიანებით გამოჩენილი ნაპირი, მაგრამ მისი მათ უკვე ეშინოდათ. "პილიგრიმს" ქარიშხალი უკნიდან სცემდა, ხომალდი საიშნელი სისწრაფით მიქროდა, და ალბათ, მალე გაირიყებოდა კიდევ ნაპირზე. ამას კი ბევრი საშინელება და ხიფათი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

გავიდა ორი საათი. კონცხი გემის პირდაპირ მოჩანდა.

გემბანზე ნეგორო ამოვიდა, ყურადღებით დააკვირდა ნაპირს, თავი დაიქნია, თითქოს იცის საქმის ვითარებაო, ორიოდე სიტყვა წაიბურტყუნა გაუგებრად და ისევ ძირს ჩავიდა.

დიკ სენდი ცდილობდა, დაენახა ნაპირი, რომელიც კონცხის უკან უნდა გამოჩენილიყო.

გავიდა კიდევ ორი საათი. კონცხი ახლა გემის უკან იყო აღმართული, მაგრამ ნაპირი ჯერ მაინც არ ჩანდა. ამასობაში ცა გადაიწმინდა. ანდების მთების უზარმაზარი ჯაწვით გარშემორტყმული ნაპირი ოცი მილის სიშორეზე უნდა გამოჩენილიყო. დიკ სენდმა ჭოგრიტი აიღო, ნელა ამომძრავა და ჰორიზონტის აღმოსავლეთ მხარეს დააკვირდა. ნაპირის ნიშანწყალიც არ ჩანდა.

ნაშუადღევს ორ საათზე კი მიწის ყოველგვარი კვალი გაქრა. ჭოგრიტში ნაპირის ნასახიც აღარ იყო.

მოულოდნელად დიკ სენდს ყვირილი აღმოხდა, იგი მოწყდა გემბანს და კაიუტისაკენ გაეშურა, სადაც მისის უელდონი, პატარა ჯეკი, ნანი და კუზენი ბენედიქტი იყვნენ.

- კუნძული! ეს მხოლოდ კუნძული იყო! - თქვა დიკმა.
- კუნძული? კი, მაგრამ რომელი? - შეეკითხა მისის უელდონი.
- ამას რუკა გვეტყვის, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა.

იგი თავის კაიუტში გაიქცა და რუკა გამოიტანა.

- აი, მისის უელდონ! - თქვა მან. - მიწა, რომელიც ჩვენ შევამჩნიეთ, შეიძლება იყოს მხოლოდ ეს წერტილი წყნარ ოკეანეში! ეს ნამდვილად ალდგომის კუნძულია! ამ წყლებში სხვა კუნძული არ არის!

- ესე იგი, მიწა უკან მოვიტოვეთ? - იკითხა მისის უელდონმა.
- დიახ, ჩვენ მას ქარმა დაგვაცილა!

მისის უელდონი გაფაციცებით დააკვირდა რუკაზე ოდნავ შესამჩნევ წერტილს, რომელიც ალდგომის კუნძული იყო.

- რა მანძილითაა იგი დაშორებული ამერიკის ნაპირიდან?
- ოცდათხუთმეტი გრადუსით.
- ეს რამდენია?...
- დაახლოებით ორი ათასი მილი.

- გამოდის, რომ "პილიგრიმს" არც ერთი მილი არ გაუვლია. როგორ მოხდა, რომ ასე შორსა ვართ კონტინენტიდან?

- მისის უელდონ, - მიუგო დიკ სენდმა და შუბლზე ხელი მოისხვა, თითქოს აზრების მოკრება სურსო, - ვერაფერი გამოგია... ვერ ამიხსნია ეს საოცარი დაგვიანება! არა! არ შემძლია... ისღა უნდა ვიფიქრო, რომ კომპასის ჩვენება იყო მცდარი! ეს კუნძული კი სწორედ ალდგომის კუნძული იყო, რადგან ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგვაქროლებდა. ღვთის წყალობით, შევძელით ჩვენი ადგილმდებარეობის გამორკვევა. დიახ! ეს ალდგომის კუნძულია! იგი ორი ათასი მილითაა დაშორებული ნაპირიდან! ახლა ის მაინც ვიცით, სად გადმოგვტყორცნა ქარიშხალმა და თუ მან იკლო, გადავრჩებით და ამერიკის ნაპირს მივადგებით! ჩვენი გემი არც ისე უგზო-უკვალოდაა დარჩენილი წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეში!

ახალგაზრდა მეზღვაურის ეს რწმენა ყველას გადაედო. მისის უელდონი გამხიარულდა კიდევაც. ამ საცოდავებს ეგონათ, რომ მათ გასაჭირს ბოლო მოეღო, რომ "პილიგრими" ნავსადგურთან ახლოსაა და მხოლოდ ზღვის მოქცევასა საჭირო, რომ შიგ შევიდეს.

ალდგომის კუნძული, რომლის ნამდვილი სახელწოდებაა ვაი-ჰუ, 1686 წელს აღმოაჩინა დევიდმა. ეს კუნძული, რომელსაც კუკი და ლაპერუზი ეწვივნენ, მოთავსებულია სამხრეთის განედის 27° და აღმოსავლეთ გრძედის 112°-ზე. შხუნა-ბრიგის კურსიდან 15°-ით გადახრის მიზეზად ქარიშხალი მიიჩნიეს. იგი ხომ ჩრდილო-დასავლეთით ქროდა და გემის კიჩოს სცემდა.

ამრიგად, "პილიგრими" ჯერ კიდევ ორი ათასი მილით იყო დაშორებული ხმელეთს. თუ ქარი ასეთი ძალით იქროლებდა, ხომალდი ათ დღეში მიაღწევდა სამხრეთ ამერიკის რომელიმე ადგილს. ნუთუ ამინდი არ შეიცვლებოდა? ნუთუ ხმელეთის გამოჩენისას მაინც ვერ შეძლებდნენ იალქნების აღმართვას?

დიკ სენდს იმედი ჰქონდა, რომ გრიგალი, რომელიც ამდენი ხანია მძვინვარებს, ბოლოს და ბოლოს ჩადგებოდა. ალდგომის კუნძულის გამოჩენამ საშუალება მისცა დიკ სენდს, გემის ადგილმდებარეობა დაედგინა და განუმტკიცა იმის რწმენა, რომ ხომალდის უშიშარ ადგილზე მიყვანას შეძლებდა. კიდევ კარგი, რომ ღვთის წყალობით, ამ კუნძულს წააწყდნენ, ახლა ის მაინც იცოდა, თუ საით მიემართებოდა მისი ხომალდი. "პილიგრими" მკვიდრად ნაგები და შესანიშნავად აღჭურვილი გემი იყო. ამიტომ იგი ნაკლებად დააზიანა ქარიშხლის სამინელმა შემოტევებმა. მან მხოლოდ დახრილი გროტი და ბომ-კლივერი დაკარგა, მაგრამ მათი აღდგენა ადვილი იყო. ისე კი, წვეთი წყალიც არ შესულა გემის კორპუსსა და გემბანის მჭიდრო ნაწიბურებში. ტმბოებიც წესრიგში იყო. ამ მხრივ საშიშროება არ არსებობდა. საშიში მარტო ეს დაუსრულებელი გრიგალი იყო, რომლის ძალა არა და არ კლებულობდა. თუ დიკ სენდი გემზე სრული ბატონ-პატრონი იყო, გემს იქით მხოლოდ ღმერთი განაგებდა ქარსაც და ტალღებსაც.

დიკ სენდის ბრძანებით არც ქარი ჩადგებოდა, არც ცა გადაიწმინდებოდა და ზღვაც არ დაწყნარდებოდა.

თავი XIII

"მიწა და მიწა!"

იმედი, რომლითც ინსტიტუტურად აივსო დიკ სენდის გული, ნაწილობრივ მართლდებოდა.

მეორე დღეს, 27 მარტს, ვერცხლისწყლის სვეტმა აიწია. ეს რხევა არც უეცარი იყო და არც მნიშვნელოვანი. ვერცხლისწყალმა სულ რამდენიმე ხაზით მოიმატა, მაგრამ ეს გაუმჯობესება მყარი ჩანდა. ეტყობოდა ქარიშხალი კლებას იწყებდა. ზღვა ისევ საშინლად მძვინვარებდა, მაგრამ ქარმა აშკარად დაიწყო დაცხრომა და თანაც პირი დასავლეთისაკენ იბრუნა. იალქნების აღმართვაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა. ქარი ტილოს პატარა ნაჭერსაც კი არ გააჩერებდა, მაგრამ დიკ სენდი იმედოვნებდა, რომ მალე იგი ერთი სტაქსელის აღმართვას მაინც შეძლებდა.

ლამით ქარმა მართლაც შესამჩნევად იკლო, გემის რყევაც გაცილებით შემცირდა. ადრე კი გემი ისე ირყეოდა, გეგონებოდათ, ნაწილ-ნაწილ დაიშლებოდა.

მგზავრები თანდათან გამოჩნდნენ გემბანზე. ახლა იმის შიში აღარ იყო, რომ ტალღა მათ ზღვაში გადაყრიდა. მისის უელდონმა პირველმა დატოვა კაიუტა, სადაც სიფრთხილის გამო ჩაკეტა დიკ სენდმა ამ ხანგრძლივი ქარიშხლის დროს. ქალი მიუახლოვდა ახალგაზრდა მეზღვაურს.

დიკ სენდმა ზეადამიანური ნებისყოფით დასძლია საშინელი დაღლილობა. იგი გამხდარი, გაფითრებული, ქარისაგან შერუჯული და მეტისმეტად დასუსტებული იყო. უძილობა მის ასაკში ძნელი ასატანია, მაგრამ მისმა ვაჟკაცურმა ბუნებამ ყველაფერს სძლია! მოსალოდნელია, ყველაფერმა ამან შემდგომში იჩინოს თავი, მაგრამ ახლა დათმობა არ შეიძლებოდა, - შთააგონებდა იგი თავის თავს. მისის უელდონის აზრითაც, იგი ისე ყოჩაღად გამოიყურებოდა, როგორც არასდროს.

დიკ სენდს სიმამაცესთან ერთად რწმენაც ჰქონდა, რომელი უდიდეს ძალას აძლევს ხოლმე ადამიანს.

- დიკ, ჩემო კარგო ბიჭუნა, ჩემო კაპიტანო! - თქვა მისის უელდონმა და ახალგაზრდა მეზღვაურს ხელი გაუწოდა.

- ოჰ, მისის უელდონ! - მიმართა დიკ სენდმა ღიმილით, - თქვენ კაპიტანს არ ემორჩილებით და გემბანზე ამოდიხართ!

- არ დაგემორჩილე, - მიუგო მისის უელდონმა, - მაგრამ რაღაც წინათგრძნობით მივხვდი, რომ ქარიშხალი ჩადგა, ან საცაა ჩადგება.

- ქარი, მართლაც, ეს-ესაა ჩადგება, მისის უელდონ, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - თქვენ არ შემცდარხართ! გუშინდელს აქეთ ბარომეტრის სვეტი აღარ დაცემულა: ქარმა საგრძნობლად იკლო და, ვფიქრობ, მძიმე განსაცდელი განვლილია.

- ღმერთმა გისმინოს, დიკ! რამდენი რამ გადაიტანე, ჩემო ბიჭუნა! შენ ამას აკეთებდი, როგორც....

- მე ჩემს ვალს ვიხდინე, მისის უელდონ!

- ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც ხომ შეგიძლია ცოტა დაისვენო?

- დასვენება?! - შესძახა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - მე სულ არ მინდა დასვენება! მადლობა ღმერთს, მშვენივრად ვგრძნობ თავს და ბოლომდე ასე ვიქნები! რადგან კაპიტნად დამნიშნეთ, სანამ "პილიგრიმის" ყველა მგზავრი სამშვიდობოს არ იქნება, ამ პოსტზე დავრჩები!

- დიკ! - მიმართა მისის უელდონმა, - მე და ჩემი მეუღლე არასოდეს დავივიწყებთ შენს ამაგს.

- ყველაფერი ეს ღვთის შემწეობით მოხდა, - მიუგო დიკ სენდმა. - ყველაფერი!

- ჩემო ბიჭუნა, შენ ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინე! ღირსი ხარ, გემის მეთაური იყო და როგორ კი სწავლას დაასრულე, გახდები კიდევ იმ გემის კაპიტანი, რომელიც ჯეიმს ვ. უელდონის ოჯახის კუთვნილებაა!

- მე... მე.... - დიკს თვალეები ცრემლით აევსო.

- დიკ, - განაგრძო მისის უელდონმა, - აქამდე შენ იყავი ჩვენი შვილობილი, ახლა კი ჩვენი ნამდვილი შვილი ხარ, დედაშენისა და შენი პატარა ძმის, ჯეკის მხსნელი! ჩემო ძვირფასო დიკ, უნდა გაკოცო ჩემი და ჩემი მეუღლის მაგივრად!

მამაც ქალს გულჩვილობის გამოჩენა არ უნდოდა, მაგრამ ისეთი სათუთი გრძნობით იყო აღსავსე, რომ თავი ვეღარ შეიკავა. ძნელია დიკ სენდის განცდების აღწერა! იგი მზად იყო, სიცოცხლეც კი გაეწირა თავისი კეთილისმყოფელთათვის.

ამ საუბრის შემდეგ დიკ სენდი უფრო გამხნევდა. ოღონდ ქარი ჩამდგარიყო, ოღონდ იალქნები აღემართა! მაშინ ხომალდს რომელიმე ნავსადგურისაკენ წაიყვანდა და მგზავრებსაც იხსნიდა და ხომალდის ტვირთსაც.

29 მარტს ქარი შესუსტდა. დიკ სენდმა გადაწყვიტა, ფოკი და გროტი აღემართა. ამით "პილიგრიმის" სიჩქარე მოიმატებდა.

- მოდით, ტომ, მოდით, ჩემო მეგობრებო! - მიმართა მან ზანგებს, როცა განთიადისას გემბანზე ავიდა, - მოდით, დამეხმარეთ!

- მზადა ვართ, კაპიტანო სენდ! - მიუგო მოხუცმა ტომმა.

- მზადა ვარ! ამ ქარიშხლის დროს უსაქმურობისაგან ობი მომეკიდა! - თქვა ჰერკულესმა.

- შეუბერეშენი დიდი პირით იალქნებს, - თქვა პატარა ჯეკმა, - შეუბერე და უფრო სწრაფად წავალთ.

- ეს კარგი აზრია, ჯეკ! - გაიცინა დიკ სენდმა, - როცა ქარი ჩადგება, ჰერკულესი იალქნებს შეუბერავს.

- ოღონდ თქვენ მიბრძანეთ, - თქვა გოლიათმა და ლოყები ვეება საბერველივით გაბერა.

- მეგობრებო! - თქვა დიკ სენდმა, - იალქანი უნდა გამოვცვალოთ, რადგან მარსელი ქარიშხალმა დაგლიჯა. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ უამისობა არ იქნება!

- გამოვცვლით! - მიუგო აქტეონმა.

- მე ვერ მოგეხმარებით? - იკითხა პატარა ჯეკმა, რომელიც მუდამ მზად იყო, რაღაც გაეკეთებინა.

- კი, როგორ არა! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - შენ ბათს საჭის მართვაში მიეხმარები.

პატარა ჯეკმა დიდი პატივით მიიღო მესაჭის დამხმარის თანამდებობა.

- ახლა კი შევუდგეთ საქმეს, ოღონც ძალზე დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ზანგები იალქნების გაშლას შეუდგნენ. ეს საკმაოდ ძნელი საქმე გახლდათ. ჯერ დაგრაგნილი იალქნები უნდა გაეშალათ, შემდეგ კი ქანდარაზე დაემაგრებინათ ისინი. დიკ სენდი ისე საზრიანად ხელმძღვანელობდა ზანგებს და ისინი ისე მონდომებით მუშაობდნენ, რომ ერთი საათის შემდეგ ქანდარა აღმართული იყო და იალქნები გაშლილი.

ძლიერი ქარის მიხუედავად, ქარიშხლის დროს ჩამოხსნილი ფოკი, დახრილი გროტი და ერთი კლივერიც ადვილად აღმართეს და დილის ათი საათისათვის "პილიგრიმი" სწრაფად მისრიალებდა ზღვის ტალღებზე....

სიფრთხილის გამო დიკ სენდმა სხვა იალქნები აღარ გაშალა. ქარი თუ აღარ შესუსტდებოდა, ამ იალქნებით გემი დღეღამეში ორასი მილის სიჩქარით ივლიდა და ათ დღეში ამერიკის ნაპირს მიაღწევდნენ.

ახალგაზრდა მეზღვაური კმაყოფილი დაბრუნდა საჭესთან და მადლობა მოახსენა ბატონ ჯეკს, "პილიგრიმის" მესაჭის თანაშემწეს. გემის სასურველი სისწრაფით მიქროდა, იგი ტალღების ანაბარად როდი იყო. ამ სიხარულის განცდა იმას შეეძლო, ვისაც საზღვაო საქმის ოდნავ მიანც ესმოდა. მეორე დღეს ცა ისევ, ლეგა ღრუბლებით იყო დაფარული, მზის სხივები მაინც ატანდნენ მათ შორის და წყლის ზედაპირამდე აღწევდნენ. ზოგჯერ "პილიგრიმიც" ეხვეოდა მზის სხივებში და ეს საოცარი ცხოველმყოფელ ძალას მატებდა ყველას. შემდეგ მზე ისევ იმალებოდა შავი და სქელი ღრუბლების მიღმა, რომ მერე ისევ და ისევ გამოჩენილიყო და გამქრალიყო. ამინდი თანდათან უმჯობესდებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გემის სათავსოების გასანიაველად სათოფურებიც გააღეს. სუფთა ჰაერი შეიჭრა ტრიუმში, კუბრიგში, კაიუტ-კომპანიაში. შემდეგ როსტრებზე სველი იალქნები გაშალეს გასაშრობად. დაიწყეს გემბანის დასუფთავება. დიკ სენდს არ უნდოდა, "პილიგრიმი" ჭუჭყიანი შესულიყო ნავსადგურსი. ყოველდღე რამდენიმე საათი საკმარისი იყო გემის გასაწმენდად და არც ეკიპაჟი დაიღულებოდა.

ლაგი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ახალგაზრდა მეზღვაურს გემის ნაკვალევის მიხედვით დაახლოებით შეეძლო სიჩქარის გამოანგარიშება. დარწმუნებული იყო, მიწა შვიდ დღეში უნდა გამოჩენილიყო, ეს მოსაზრება მან მისის უელდონს გაუზიარა და რუკაზე ხომალდის სავარაუდო ადგილსამყოფელი უჩვენა.

- კეთილი, ჩემო კარგო, დიკ, მაგრამ რომელ პუნქტს მივადგებით? - იკითხა მისის უელდონმა.

- აი ამას, მისის უელდონ! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა. და სანაპროს იმ გრძელ ზოლზე მიუთითა, რომელიც პერუსა და ჩილის შორის გაჭიმულიყო, - უფრო ზუსტად ვერ გეტყვით. აი, აღდგომის კუნძული, რომელიც ჩვენ დასავლეთით მოვიტოვეთ. ქარის მიმართულება არ შეცვლილა, ამიტომ, ვფიქრობ, ხმელეთი აღმოსავლეთით უნდა გამოჩნდეს. ამ სანაპიროზე მრავალი ნავსადგურია, მაგრამ თუ რომელ მათგანს მივადგებით, ამის თქმა ძნელია.

- რომელიც უნდა იყოს, სულ ერთია, დიკ ეს ნავსადგური ჩვენი მგზავრობის ბედნიერი დასასრული იქნება!

- უეჭველად, მისის უელდონ! თქვენ შეგეძლებათ, მალე დაბრუნდეთ სან-ფრანცისკოში. წყნარი ოკეანის სანავიგაციო კომპანია შესანიშნავ მომსახურებას უწევს ამ სანაპიროს. მისი გემები სანაპიროს ყველა მნიშვნელოვან პუნქტში ნაოსნობენ და ძალიან გაგიადვილდებათ კალიფორნიაში გადასვლა.

- შენ "პილიგრიმის" სან-ფრანცისკოში მიყვანას არ ფიქრობ? - შეეკითხა მისის უელდონი.

- როცა თქვენ სხვა გემზე გადაგვამთ, ჩვენ, თუკი ოფიცერსა და ეკიპაჟს ვიშოვით, ვალპარაისოში წავალთ ტვირთის მისატანად, როგორც ამას კაპიტანი ჰული აპირებდა. შემდეგ კი დავბრუნდებით სან-ფრანცისკოში. ეს თქვენ ძალიან შეგავგიანებთ და, თუმცა განშორება ძალიან მიმძიმს, მაინც...

- კარგი, დიკ, - თქვა მისის უელდონმა, - მერე ვნახოთ, როგორ მოვიქცეთ. ერთი ეს მითხარი, შენ ამბობდი, მიწასთან მიახლოება საშიშიაო, არა?

- მართლაც საშიშია, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - რომელიმე გემის შეხვედრის იმედი მაქვს. ძალიან მიკვირს, რომ ამდენ ხანს არც ერთი მათგანი არ შეგვხვედრია. იგი ზუსტად გაგვაგებინებდა ადგილმდებარეობას და საკმაოდ გაგვიადვილდებოდა ხმელეთთან მიდგომა.

- განა ამ ადგილებში ლოცმანები არ არიან? - იკითხა მისის უელდონმა.

- უნდა იყვნენ, მაგრამ ხმელეთთან ახლოს, ამიტომ უნდა მივუახლოვდეთ ნაპირს.

- თუ ლოცმანს ვერ შევხვდით, მაშინ? - იკითხა მისის უელდონმა. მას უნდოდა სცოდნოდა, როგორ დაუხვდებოდა ყოველგვარ შემთხვევას ახალგაზრდა მეზღვაური.

- თუ კარგი ამინდი იქნა და ქარმაც ხელი შეგვიწყო, მაშინ მე ავყვები ნაპირს, სანამ მისადგომ ადგილს არ ვნახავ, მაგრამ თუ ქარი გაძლიერდა...

- მაშინ რას იზამ, დიკ?

- თუ "პილიგრიმი" მიიჭრა მიწასთან, ძალიან ძნელი იქნება მისი უკან, შუა ზღვაში, დაბრუნება! - მიუგო დიკ სენდმა.

- მაშინ რას იზამ? - გაუმეორა მისის უელდონმა.

- იძულებული ვიქნები, გემი ნაპირზე შევაგდო, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა და სახე მოედრუბლა, - მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს! ეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაგვჭირდეს, ამინდს კარგი პირი უჩანს და აუცილებლად შეგვხვდება გემი ან ლოცმანის კატერი. ღმერთმა ამის იმედი ნუ მოგვიშალოს! ჩვენ ხმელეთისაკენ მივემართებით და სულ მალე იგი კიდევ გამოჩნდება.

გემის ხმელეთზე შეგდება - უკიდურესი საშუალებაა. ყველაზე გულად მეზღვაურსაც კი ამის გაფიქრება ძრწოლას გვრის. დიკსაც ეს უკიდურეს საშუალებად მიაჩნდა და მხოლოდ მაშინ აპირებდა ამის გამოყენებას, როცა გამოსავალი აღარ იქნებოდა.

რამდენიმე დღეს ამინდი ისევ ირეოდა. ქროდა ძლიერი ქარი. ბარომეტრის სვეტის რხევა მიანიშნებდა, რომ ქარი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. ნუთუ ისევ აკეცილი იალქნებით ცურვა დაგვჭირდება, - შიშით ეკითხებოდა დიკ სენდი თავის თავს. ფოკი მან მაინც არ მოხსნა. ანძების გასამაგრებლად კი ბრძანა, ფორდუნები დაეჭიმათ. "პილიგრიმისათვის" ძალიან ძნელი იქნებოდა რანჭოუტის დკარგვა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მისი დაცვა იყო საჭირო.

ერთი-ორჯერ ბარომეტრის სვეტმა აიწია. ეტყობოდა, ქარი მიმართულებას შეიცვლიდა და აღმოსავლეთით დაიწყებდა ქროლვას.

დიკ სენდს ახალი სადარდებელი გაუჩნდა. როგორ მოიქცეს, ქარმა რომ საპირისპირო მიმართულებით დაუბეროს? მიქცევა-მოქცევას აჰყვეს? ეს კიდევ უფრო დააგვიანებს მათ და შესაძლოა ქარმა გემი ისევ შუა ოკეანეში გადაისროლოს.

კიდევ კარგი, ეს არ მოხდა. რამდენიმე დღეს ქარი მკვთრად იცვლიდა მიმართულებას: ხან ჩრდილოეთით ქროდა, ხან სამხრეთით, ბოლოს დასავლეთისაკენ იბრუნა პირი ქარი ძალზე ძლიერი იყო და საშინლად აწვებოდა რანჭოუტს.

გათენდა 5 აპრილი. გავიდა ორ თვეზე მეტი, რაც "პილიგრიმმა" ახალი ზელანდია დატოვა. პირველ ოც დღეს მის სვლას უფრო უქარო ამინდი ან პირიქით ანელებდა. შემდეგ ძალიან კარგი პირობები შეიქმნა. ხომალდი სწრაფად უახლოვდებოდა ხმელეთს. სიჩქარე განსაკუთრებით დიდი იყო ქარიშხლის დროს - არანაკლებ ორასი მილი დღე-ღამეში! მაშ, რატომ აქამდე არ მიაღწიეს ხმელეთს? სად გაქრა ნაპირი? დიკ სენდს ეს ვერაფრით აეხსნა. ერთ-ერთი ზანგი გამუდმებით იდგა ქანდარაზე. ხმელეთი კი არა და არ ჩანდა! ხშირად დიკ სენდიც ადიოდა ზევით, დურბინით ცდილობდა მთის რაიმე ნასახის აღმოჩენას, მაგრამ ამაოდ! ანდების მთაგრეხილი ძალიან მაღალია, შესაძლოა ნისლში რომელიმე მწვერვალს ჰქონოდა თავი ამოყოფილი. რამდენჯერმე ტომი და მისი მგზავრები შეცდნენ და ცის დასალიერზე შერჩენილი უცნაური მოყვანილობის ღრუბელი ხმელეთად მიიჩნიეს. ზოგჯერ ზანგები დაჟინებით ამტკიცებდნენ, ეს ნამდვილი ხმელეთიაო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონვე აღიარებდნენ, რომ შეცდნენ. ეს ვითომდა ხმელეთი ფორმას იცვლიდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ბოლოს სულ ქრებოდა. მაგრამ 6 აპრილს საექვო აღარაფერი იყო. დილის რვა საათზე დიკ სენდი ქანდარაზე ავიდა. მზის პირველმა სხივებმა ნისლი გაფანტა და ჰორიზონტი ნათლად გამოიკვეთა.

დიკ სენდს დიდი ხნის ნანატრი ყვირილი აღმოხდა.

- მიწა! მიწაა ჩვენს წინ!

ყვირილზე ყველა გემბანზე აცვივდა. აქ იყო ცნობისმოყვარე პატარა ჯეკი, მისის უელდონი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხმელეთზე გადასვლით დამშვიდდებოდა, ზანგები, რომლებსაც, როგორც იქნა, ეღირსებოდათ ამერიკის მიწაზე ფეხის დადმა, და წარმოიდგინეთ, კუზენი

ბენედიქტიც კი, რომელიც არასდროს არ კარგავდა ახალი მწერების მდიდარი კოლექციის შეკრების იმედს. მხოლოდ ნეგრო არ ჩანდა არსად.

მიწას ყველა ხედავდა, ოღონდ ზოგი მკაფიოდ, ზოგი კი ბუნდოვნად. ახალგაზრდა მეზღვაურს ზღვის სივრცეებზე დაკვირვებაში გაწაფული თვალი ჰქონდა და შეუძლებელი იყო, შემცდარიყო. ეს ერთი საათის შემდეგ აშკარა გახდა.

აღმოსავლეთით, ასე, ოთხიოდე მილის მანძილზე, მოჩანდა საკმაოდ დაბალი ხმელეთი. უფრო შორს ანდების მაღალი მთაგრეხილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სქელი ღრუბლები მის მწვერვალებს ფარავდა.

"პილიგრიმი" სწრაფად მიქროდა პირდაპირ მიწისაკენ, რომელიც ყოველ წუთს იზრდებოდა. ორი საათის შემდეგ გემი სამი მილითა იყო დაშორებული მიწისაგან. ჩრდილო-აღმოსავლეთით ხმელეთის ეს ნაწილი საკმაოდ მაღალი კონცხით თავდებოდა. კონცხის ძირში რაღაც ყურე მოჩანდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ხმელეთი წაგრძელებულ ნახევარკუნძულს ჩამოგავდა.

ნაპირს არც ისე მაღალი, ციცაბო კლდეები ჩასდევდა, რომელზეც ხეები მოჩანდა. ეტყობოდა, ანდების მაღალი მთაგრეხილი ამ კლდეების უკან იყო.

ნაპირზე არც დასახლებული ადგილი ჩანდა, არც ნავსადგური და არც მდინარის შესართავი, სადაც გემი ნავსაყუდელს იზოვიდა. "პილიგრიმი" პირდაპირ ამ ხმელეთისაკენ მიცურავდა. შემცირებული იალქნებისა და ხმელეთისაკენ მქროლავი ქარის გამო დიკ სენდს ხომალდის მიმართულების შეცვლა არ შეეძლო. მოჩანდა რიფების გრძელი ზოლი, რომელსაც აქაფებული თეთრი ტალღები შუაწელამდე ეხლეოდნენ. ეტყობოდა, აქ საშინელი ზღვის მოქცევა იყო.

დიკ სენდი ერთხანს კიდევ იდგა გემის ქიმზე, დაკვირვებით ათვალიერებდა მიწას, შემდეგ უსიტყვოდ დაბრუნდა კიჩოზე და საჭესთან დადგა.

ქარმა იმატა. შხუნა-ბრიგს ნაპირისაგან ერთი მილია აშორებდა. დიკ სენდმა პატარა ყურე შენიშნა და შიგ შესვლა გადაწყვიტა. ამისათვის რიფების მთელი ზღუდე უნდა გადაელახა. მათ შორის გავლა კი ადვილი არ იქნებოდა. მოქცევისას აშკარად ჩანდა, რომ წყალი ყველგან საკმაოდ თხელი იყო. დინგო გემბანზე დაბოდა. უცებ იგი გემის ცხივრისაკენ გაიქცა, ხმელეთს დააკვირდა და საცოდავი ყმუილი გააბა. გეგონებოდათ, ძალღმა ნაპირი იცნო და სევდიანი მოგონებები აეშალაო.

ცხადი იყო, ნეგრომ ეს გაიგონა, დაუძლეველმა სურვილმა გამოიყვანა იგი კაიუტიდან და, თუმცა ძალღის მეტისმეტად ეშინოდა, მაინც დაეყრდნო გემბანის მოაჯირს. მის იღბლად დინგო ხმელეთისაკენ იყო მიბრუნებული და ნეგრო არც შეუმჩნევია. ნეგრო უშიშრად შესცქეროდა აქაფებულ ტალღებს. მისის უელდონი დაკვირვებით შეჰყურებდა მას და მოეჩვენა, რომ მზარეულს ლოყები შეუფაკლდა და სახ შეეცვალა.

ქვეყნის ეს კუთხე, საითკენაც ქარი "პილიგრიმს" მიაქროლებდა, ნაცნობი ხომ არ იყო ნეგროსათვის?

დიკ სენდმა საჭე მოხუც ტომს გადასცა და უკანასკნელად შეხედა ყურეში შესასვლელს, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

- მისის უელდონ! ყოველგვარი ცდის მიუხედავად, "პილიგრიმის" მყუდრო თავშესაფარში შეყვანის აღარავითარი იმედი აღარ არის; ნახევარი საათიც აღარაა საჭირო იმისათვის, რომ "პილიგრიმი" რიფებზე აღმოჩნდეს! ისლა დამრჩენია, გემი ნაპირზე შევაგდო! იძულებული ვარ, გაწვირო ხომალდი თქვენს გადასარჩენად! სხვაგვარი არჩევანი არ არსებობს!

- ყველაფერი კი გააკეთე, რაც შენზე იყო დამოკიდებული? - იკითხა მისის უელდონმა.

- ყველაფერი! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა და მაშინვე გემის გარიყვისათვის საჭირო თადარიგს შეუდგა.

უპირველეს ყოვლისა, მისის უელდონს, ჯეკს, კუზენ ბენედიქტსა და ნანს ჩამოაცვეს მაშველი სარტყელი. თუმცა დიკ სენდი, ტომი და ზანგები კარგი მოცურავენი იყვნენ, ზომები მათაც მიიღეს.

ჰერკულესი მისის უელდონს უნდა მიხმარებოდა, ახალგაზრდა მეზღვაური პატარა ჯეკს, კუზენი ბენედიქტი, რომელიც ძალზე დამშვიდებული გამოჩნდა გეზანზე თავისი ენტომოლოგიური ყუთით, ახალგაზრდა მეზღვაურმა ბათსა და ოსტინს ჩააბარა. ნეგროს საოცრად მშვიდად იყო. ჩანდა, არავის დახმარებას არ საჭიროებდა. სიფრთხილისათვის დიკ სენდმა გეზანზე ათიოდე კასრი ვეშაპის ქონი ამოატანინა. ტალღებზე გადასხმული ქონი ზღვას ცოტახანს მაინც დააწყნარებდა და გემს რიფებს შორის გადასვლას გაუადვილებდა. დიკ სენდი ყოველგვარ ზომებს იღებდა ეკვიპაჟის გადასარჩენად.

ახალგაზრდა მეზღვაური საჭეს დაუბრუნდა.

"პილიგრიმი" ახლა ორი კაბელტოვით იყო დაშორებული ხმელეთიდან და თითქმის ეხებოდა რიფებს. ხომალდის მარჯენა გვერდს უკვე თეთრქაფმოდებული ტალღები ასკდებოდა: ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ გემის ხერხემალი წააწყდებოდა რომელიმე წყალქვეშა კლდის წვეტს.

მოულოდნელად წყალმა ფერი იცვალა. დიკ სენდი მიხვდა, რომ მის წინ რიფებს შორის გასასვლელი იყო. საჭირო იყო მასში უშიშრად გავლა, რათა გემი რაც შეიძლება ახლოს გარიყულიყო ნაპირთან. ახალგაზრდა მეზღვაურმა გაბედულად შემოატრიალა საჭე და გემი ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ გასასვლელში შეიყვანა. აქ ზღვა განსაკუთრებით ბოხოქრობდა და ტალღები თითქმის გემბანამდე აღწევდა.

ზანგები გემის ცხვირზე კასრებით იდგნენ და ახალგაზრდა მეზღვაურის ბრძანებას ელოდნენ.

- ქონი გადაღვარეთ, ქონი! - შეჰყვირა დიკ სენდმა.

ტალღებზე ნაკადად გადაღვრილმა ქონმა ზღვა თითქოს რაღაც ჯადოსნური ძალით ერთი წუთით დააწყნარა, რათა სულ მალე უფრო მეტად გამძვინვარებულიყო.

"პილიგრიმი" სრაფად გასრიალდა გაქონილ წყალზე და პირდაპირ ხმელეთისაკენ წავიდა. უცებ გემი ძლიერმა ბიძგმა შეარყია. უზარმაზარმა ტალღამ იგი ზევით შეისროლა და ძირს დაანარცხა. ანძები გემბანზე დაეხეთქა, მაგრამ არავინ დაუზიანებია.

"პილიგრიმის" კორპუსი გაიხვრიტა და გემში წყლის ძლიერი ნაკადი შეიჭრა. ნაპირი ნახევარი კაბელტოვით იყო დაშორებული და იქ გადასვლა წყლიდან ამომვერილ შავ ქვეზეც შეიძლებოდა.

ათი წუთის შემდეგ "პილიგრიმის" ყველა მგზავრი ხმელეთზე, კონცხის ძირში იყო.

თავი XIV

რა ვიღონოთ?

სამოცდაათოთხმეტდღიანი მგზავრობა, წყნარ, უქარო ამინდებთან და ქარიშხალთან ბრძოლა დამთავრდა! "პილიგრიმი" ნაპირზე გაირიყა!

მისის უელდონმა და მგზავრებმა ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ მიწაზე ფეხის დადგმა ეღირსათ. მგზავრები კონტინენტზე იყვნენ და არა პოლინეზიის რომელიმე ავბედით კუნძულზე, სადაც შეიძლებოდა ისინი ქარიშხალს გაერიყა. ამიერიდან სამშობლოში მათ დაბრუნებას არავითარი გარდაუვალი სიძნელე არ აღუდგებოდა წინ, რადგან სამხრეთ ამერიკის რომელიღაც პუნქტში იმყოფებოდნენ.

"პილიგრიმი" კი დაიღუპა. მისგან მხოლოდ ჩონჩხი დარჩილიყო, რომელსაც არავითარი ფასი აღარ ჰქონდა. სულ მალე ზღვის მოქცევა მას ნამსხვრევებად აქცევდა. შეუძლებელი იყო რაიმეს გადარჩენა. მართალია, დიკ სენდმა ვერ მოახერხა, გემთმფლობელისათვის უვნებელი ხომალდი ჩაებარებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი წყალობით ყველა მგზავრი და, რაც მთავარია, ჯეიმს უელდონის მეუღლე და შვილი გადარჩა, ყველანი რომელიღაც სტუმართმოყვარე ნაპირზე იმყოფებოდნენ.

ამერიკის სანაპიროს რომელ ნაწილში მოუვიდა შხუნა-ბრიგს მარცხი? იყო ეს პერუს სანაპირო, როგორც დიკ სენდს ეგონა? შესაძლოა! აღდგომის კუნძულის გამოჩენის შემდეგ

"პილიგრიმი" ეკვატორულმა დინებებმა და ქარებმა ჩრდილო-აღმოსავლეთით სამხრეთ განედის ორმოცდასამი გრადუსიდან თხუთმეტ გრადუსამდეც კი გადაისროლა.

აუცილებელი იყო, სასწრაფოდ გაერკვიათ, სად იმყოფებოდნენ. თუ ეს პერუს სანაპირო იყო, მაშინ აქ უამრავი ნავსადგური, პატარა ქალაქი, სოფელი უნდა ყოფილიყო და დასახლებულ პუნქტამდე მისვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ ეს მხარე უკაცრიელი ჩანდა. სანაპიროს ვიწრო ქვიშიან ზოლს უსწორმასწოროდ დაღარული შავი ფრიალო კლდე მიჰყვებოდა. კლდე დამსკდარი იყო. აქა-იქ დაბალი ფერდობები ჰქონდა და ადვილად შეიმღებოდა, კაცი თხემზე ასულიყო.

ჩრდილოეთით, კატასტროფიდან მეოთხედი მილის მანძილზე, კლდეს პირი გახსნოდა და პატარა მდინარეს, რომელიც შორიდან არ მოჩანდა, გამოსავალი ეპოვა. მდინარეზე გადმოხრილიყვნენ რიზოფორები - მანგოს ხის სახეობა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა თავისი ინდოელი მოგვარისაგან.

ფრიალო კლდის თხემი ხშირი, მწვანე ტყით იყო შემოსილი. ტყე შორეული მთის მწვერვალებამდე გადაჭიმულიყო. ბოტანიკოსი, ალბათ, აღტაცებული დარჩებოდა, ამდენი სხვადასხვა ჯიშის ხე რომ ენახა, მაგრამ კუზენი ბენედიქტი მხოლოდ და მხოლოდ ენტომოლოგი იყო.

აქ იყო მაღალი ბაობაბები, რომელთა ქერქი ეგვიპტურ სიენტს მოგაგონებდათ, თეთრი ფიჭვები, თამარინდები, განსაკუთრებული ჯიშის მცენარეები პილპილისებრთა ოჯახიდან და მრავალი სხვა სახის მცენარე, რომელსაც ამერიკელი თავისი ქვეყნის ჩრდილოეთში ვერ ნახავს. საკვირველი იყო, რომ აქ პალმების მრავალრიცხოვანი ოჯახის არც ერთი წარმომადგენელი არ ჩანდა. ეს ოჯახი ხომ ათასამდე სახეობას ითვლის და უხვადაა გავრცელებული მთელ დედამიწაზე. ნაპირის გასწვრივ დაფრინავდა მყვირალა ფრინველების გუნდი, რომლებიც მერცხლების გვარს მიეკუთვნებიან. მათ ტანზე მოლურჯო-შავი, ხოლო თავზე ბაცი ყავისფერი ბუმბული მოსავთ, დროდადრო აქა-იქ ყელტიტველა ნაცრისფერი კაკბებიც აფრინდებოდნენ ხოლმე.

ფრინველები გარეულებს არ გვანდნენ. მისის უელდონმა და დიკ სენდმა შეამჩნიეს, რომ ადამიანის მიახლოებისას ისინი არ ფრთხებოდნენ. ნუთუ მათ ადამიანის შიში არ ჰქონდათ? ნუთუ ეს ნაპირი ისე უკაცრიელი იყო, რომ ცეცხლმსროლელი იარაღის ხმა აქ ჯერ არ გაეგონათ? ნაპირთან "პატარა ვარხვის" სახეობის რამდენიმე ვარხვი სეირნობდა და გულმოდგინედ ივსებდნენ ქვედა ყბაზე ჩამოკიდებულ პარკს პატარა თევზებით.

"პილიგრიმის" თავზე რამდენიმე თოლია ავლებდა კამარას. თუ მწერების დიდ რაოდენობას არ მივიღებთ მხედველობაში, ამ სანაპიროს ერთადერთი ბინადარნი ფრინველები იყვნენ. ფრინველები და მწერები ხომ არ იტყოდნენ ამ ქვეყნის სახელს?! ეს მარტო ადგილობრივ მკვიდრთ ეცოდინებოდათ. მაგრამ არც ერთი მცხოვრები არ ჩანდა. არ ჩანდა არც სახლი, არც ქოხი, არც კარავი - არც ჩრილოეთით, პატარა მდინარის იქით, არც სამხრეთით, არც კლდის თავზე.

არავითარი ნიშანწყალი არ იყო იმისა, რომ ქვეყნის ამ ნაწილში ადამიანს ოდესმე ფეხი დაედგა!

დიკ სენდი განცვიფრებული იყო.

"სად უნდა ვიყოთ? - ეკითხებოდა იგი თავის თავს, - ირგვლივ არავინაა, რომ რაიმე ვკითხოთ".

ახლომახლო, მართლაც, არავინ იყო. ვინმე რომ გამოჩენილიყო, ამას დინგო მაინც იგრძნობდა და ყეფით აუწყებდა მათ.

მაღლი წინ და უკან გარბოდ-გამორბოდა, კუდი დაეშვა და ღრენით ყნოსავდა მიწას. ეს საკვირველი იყო. მაგრამ უფრო საოცარი ის იყო, რომ დინგო ადამიანის ან ცხოველის სიახლოვეს როდი გრძნობდა.

- დიკ, უყურე დინგოს! - თქვა მისის უელდონმა.

- საოცარია! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - თითქოს ვიღაცის კვალს დაეძებო.

- მართლაც, ძალიან საკვირველია! - წაიჩურჩულა მისის უელდონმა. უცებ გაახსენდა: - ნეგორო რას აკეთებს? - იკითხა მან.

- იმასვე, რასაც დინგო, - მიუგო დიკ სენდმა. - დადის წინ და უკან. აქ იგი თავისუფალია. მისი სამსახური დამთავრდა "პილიგრიმის" დაღუპვის შემდეგ. მე უფლება აღარ მაქვს, მას რაიმე ვუბრძანო.

მართლაც, ნეგორო ქვიშიან ნაპირზე დადიოდა, ბრუნდებოდა უკან, აკვირდებოდა მდინარეს, კლდეს, თითქოს ცნობდა ამ ადგილებს და რაღაცის გახსენება უნდოდა. ნუთუ მისთვის ეს მხარე ნაცნობი იყო? იგი, ალბათ, ამ კითხვაზე არ გიპასუხებდათ. ჯობდა, ამ გულჩათხრობილი და უჟმური კაცისათვის ყურადღება არ მიექციათ. დიკ სენდი უყურებდა, სანამ იგი მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა, ხოლო როცა კლდეს მოეფარა, ნეგოროზე ფიქრს თავი ანება.

მზარეულის დანახვაზე დინგომ ყეფა ატეხა, მაგრამ მაშინვე შეწყვიტა.

ახლა ყველაზე სასწრაფო და აუცილებელი საქმე ისეთი თავშესაფრის პოვნა იყო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჭამა და დასვენება. დრო არ ითმენდა. უნდა მოეფიქრებინათ, რა ექნათ, რა ეღონათ.

საკვებზე ზრუნვა არ დასჭირდებოდათ. ხომალდის საწყობში არსებული მარაგი ხელუხლებელი იყო. ზღვის მოქცევამ წყლიდან ამყარა მრავალი საგანი, რომელიც მიქცევის შემდეგ მოშიშვლებულ რიფებზე მიმოფანტულიყო. ტომმა და მისმა თანამგზავრებმა აკრიფეს რამდენიმე კასრი ორცობილა, გამხმარი ხორცი და კონსერვებით სავსე ყუთები. წყალს ვერ მოესწრო მათი გაფუჭება. ადამიანთა ეს პატარა ჯგუფი საკვებით უზრუნველყოფილი იყო, სანამ რომელიმე დასახლებულ პუნქტს ან სოფელს მიაღწევდა. ასეთი მარაგით შიში არაფერის უნდა ჰქონოდათ, ბუნებრივი საზრდოც რომ არ ყოფილიყო. საჭირო იყო, ეს სურსათი საიმედოდ ადგილზე შეენახათ. დიკ სენდმა წყალზეც იზრუნა. მან ჰერკულესი მდინარეზე გაგზავნა და გოლიათმა ზანგმა ზურგით მოიტანა ანკარა, ცივი სასმელი წყლით სავსე კასრი.

რიზოფორების გამხმარი ფესვები და ტოტები ბევრი იყო და ცეცხლის დანთებაც არ გამწვანდებოდა. მოხუც ტომს, რომელიც თავგამოდებული მწვეელი იყო, ჰერმეტულად დახურულ ყუთში მუდამ ჰქონდა აბედი, ქვიშიან ნაპირზე კი კვესის პოვნა ძნელი არ იყო. არ ჰქონდათ მხოლოდ თავშესაფარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დასვენება და, თუ საჭირო გახდებოდა, ღამის გათევაც. ბოლოს ასეთი "ოთახი" პატარა ჯგუფმა კდლის ძირში სირბილისას იპოვა. ეს იყო ტლღებით გამოთხრილი მღვიმე. ჯგუფის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. გახარებულმა დაუძახა დედას და დიდი ამბით აჩვენა თავისი აღმოჩენა.

- ყოჩაღ, ჩემო ჯგუფ! - თქვა მისის უელდონმა, - ჩვენ რომ რობინზონები ვყოფილიყავით და ამ ნაპირზე დიდი ხნით დასახლება გვეფიქრა, ამ გამოქვაბულს აუცილებლად შენს სხელს დავარქმევდით!

გამოქვაბულის სიგრძე და სიგანე სულ რაღაც ათ-თორმეტ ფუტს აღწევდა, მაგრამ პატარა ჯგუფისათვის ეს იყო ვეებერთელა მღვიმე. ასე იყო თუ ისე, იგი სავსებით დაიტევდა კატასტროფაში მოყოლილთ. მისის უელდონმა და ნანამ ისიც შენიშნეს, რომ მღვიმე საკმაოდ მშრალი იყო.

მოქცევის დროს ტალღები კდლის ძირსა და გამოქვაბულს ვერ მისწვდებოდნენ, რადგან ახალი მთვარე იყო. ასე რომ, შეიძლებოდა რამდენიმე საათით დაესვენათ.

ათი წუთის შემდეგ ყველანი წყალმცენარეებისაგან გაკეთებულ საფენებზე იწვნენ. ნეგორომაც კი გადაწყვიტა დასვენება და თავისი ულუფა საჭმელის მიღება. ეტყობოდა, მან გადაიფიქრა მართო შესვლა უღრან ტყეში, სადაც გზას მიიკვლევდა დაკლაკნილი მდინარე.

ნაშუადღევს პირველი საათი დადგა. მოგზაურებმა დაკონსერვებული ხორცი და ორცობილათი ისაუზმეს და ცივი წყალიც დააყოლეს. წყალში რომის რამდენიმე წვეთს უმატებდნენ (ბათმა გადაარჩინა პატარა რომიანი კასრი). მართალია, ნეგორო მათთან იყო, მაგრამ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საუბარში. რა ექნათ, რა ეღონათ, როგორ დაეღწიათ

თავი ამ მდგომარეობიდან - ეს იყო მათი საუბრის თემა. ნეგორო ჩუმად უსმენდა და ალბათ საჭირო დასკვნებიც გამოჰქონდა. დინგო თავისი ულუფა საჭმლის მიღების შემდეგ მღვიმეს დარაჯობდა. ერთგული ცხოველი განგაშს ატეხდა, რომლიმე ცოცხალი არსების სანაპიროზე გამოჩენისთანავე, ამიტომ მათ შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ.

მისის უელდონმა, რომელსაც კალათში ნახევრად მძინარე ჯეკი ეჯდა, პირველმა დაიწყო ლაპარაკი.

- დიკ, ჩემო მეგობარო, - თქვა მან, - ყველას მაგივრად მადლობას გიხდი ერთგულებისათვის, მაგრამ შენი მოვალეობისაგან ჯერ ვერ გაგათავისუფლებთ. შენ უნდა იყო ჩვენი მეგობარი ხმელეთზე. ისევე, როგორც იყავი ჩვენი კაპიტანი გემზე. ჩვენ სავსებით გენდობით შენ. თქვი, რა გავაკეთოთ?

მისის უელდონი, მოხუცი ნანი, ტომი და მისი თანამგზავრები ახალგაზრდა მეზღვაურს თვალს არ აშორებდნენ. ნეგოროც კი განსაკუთრებული ყურადღებით შეჰყურებდა მას. ჩანდა, იგი ძალზე დაინტერესებული იყო იმით, თუ რას იტყოდა დიკ სენდი.

დიკ სენდი რამდენიმე წუთს ჩაფიქრდა და შემდეგ წარმოთქვა:

- მისის უელდონ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, სადა ვართ. მე ვფიქრობ, ჩვენი გემი პერუს სანაპიროზე დაიღუპა. ქარებმა და დინებებმა, ალბათ, იგი ამ განედამდე აიყვანეს. შესაძლოა, ჩვენ ვიმყოფებით პერუს რომელიმე ნაკლებად დასახლებულ სამხრეთ პროვინციაში, რომელიც პამპასებს ესაზღვრება. მე ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. ნაპირიც საკმაოდ უკაცრიელი ჩანს. ეტყობა, დასახლებული პუნქტისაგან საკმაოდ შორს ვართ, რაც ძალზე სამწუხაროა.

- რა უნდა ვქნათ? - გაიმეორა მისის უელდონმა.

- ჩემი აზრით, - მიუგო დიკ სენდმა, - ჩვენი ადგილსამყოფელის გამორკვევამდე ეს მღვიმე არ უნდა დავტოვოთ. ხვალ დილას ორი ჩვენთაგანი დასაზვერად წავა. ისინი ძალიან არ უნდა დაშორდნენ ბანაკს. მათ უნდა მოძებნონ ადგილობრივი მცხოვრებნი, გაიგონ მათგან ყველაფერი და უკან დაბრუნდნენ. შეუძლებელია, ათი-თხუთმეტი მილის მანძილზე ვერავინ ნახონ.

- ნუთუ უნდა დავშორეთ ერთმანეთს! - წამოიძახა მისის უელდონმა.

- ეს აუცილებელია! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა. თუ ვერაფერი ვერ გავიგეთ, თუ ეს ადგილი მთლად უკაცრიელი იქნება, სხვა რამეს მოვიფიქრებთ.

- ვინ წავა დაზვერვაზე? - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იკითხა მისის უელდონმა.

- ეს უნდა გადავწყვიტოთ, - მიუგო დიკ სენდმა, - მე ვფიქრობ, მისის უელდონმა, ჯეკმა, ბატონმა ბენედიქტმა და ნანმა მღვიმე არ უნდა დატოვონ. ბათი, ჰერკულესი, აქტეონი და ოსტინიც თქვენთა დარჩებიან, მე და ტომი კი დაზვერვაზე წავალთ. ნეგოროც, ალბათ, აქ დარჩენას ირჩევს, - დაუმატა დიკ სენდმა და მას შეხედა.

- ალბათ, - მიუგო ნეგორომ, რომელსაც არ სურდა რაიმე მოვალეობა ეკისრა.

- ჩვენ გავიყოლებთ დინგოს, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - იგი დაზვერვის დროს გამოგვადგება.

თვისი სახელის გაგონებაზე დინგო მღვიმის შესასვლელთან გამოჩნდა და ისე შეჰყეფა, თითქოს დიკ სენდს თანხმობა განუცხადაო.

ახალგაზრდა მეზღვაურის ნათქვამზე მისის უელდონი ჩაფიქრდა. ჯგუფის გაყოფა მართლაც ცოტა სახიფათო იყო, რადგან "პილიგრიმის" დაღუპვის ამბავს ინდიელთა ტომები უთუოდ გაიგებდნენ, შესაძლოა გამოჩენილიყვნენ და მოგზაურები გაემარცვათ. ასეთ შემთხვევაში კი ყველას ერთად ყოფნა სჯობდა. ამას დაფიქრება სჭირდებოდა. ამ შეხედულების საპირისპიროდ დიკ სენდმა შენიშნა, რომ ინდიელები, პოლინეზიისა და აფრიკის ველურები ერთმანეთში არ უნდა ავრიოთო. ინდიელებისაგან არავითარი თავდასხმა არ არის მოსალოდნელი. წინასწარი დაზვერვის გარშე გამგზავრება კი, ისე, რომ არ ვიცოდეთ, რა მანძილით ვართ დაშორებული უახლოესი დასახლებული პუნქტიდან, დროისა და ენერჯის ფუჭი ხარჯვაა. გაყოფა, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, მაგრამ უფრო ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე ბრმად გამგზავრება უღრან ტყეში, რომელიც მთებამდეა გადაჭიმული.

- გარდა ამისა, - ღრმა რწმენით წარმოთქვა დიკ სენდმა, - ეს განშორება დიდხანს არ გასტანს. თუ ვერავითარი დასახლება ვერა ვნახეთ, ორი დღის შემდეგ მე და ტომი უკან დავბრუნდებით. ჩვენ, ალბათ, ოცი მილიც არ გვექნება გავლილი, რომ შვედლებმა განვსაზღვროთ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. შეიძლება გამოთვლა შემეშალა, რადგან ასტრონომიულ დაკვირებას არ ვაწარმოებდი, და ჩვენ ვიყოთ უფრო დაბალ ან უფრო მაღალ განედზე!

- ცხადია, შენ სწორი ხარ, ჩემო ბიჭუნა! - მიუგო სევდიანად მისის უელდონმა.

- თქვენ რაღა აზრისა ხართ ჩემს გეგმებზე, ბატონო ბენედიქტ? - ჰკითხა დიკ სენდმა.

- მე? - იკითხა კუზენმა ბენედიქტმა.

- დიახ, თქვენ! რა აზრისა ხართ?

- მე არავითარი აზრი არა მაქვს ამაზე, - უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა, - ყველაფერზე თანახმა ვარ და რასაც დავამადლებთ, ყველაფერს გავაკეთებთ. ერთი-ორი დღე აქ დარჩენა გინდათ? ეს მე ხელს მომცემს. ამ დროს ნაპირის ენტომოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის გამოვიყენებ.

- კარგი, ისე გააკეთე, როგორც თქვი, დიკ! - უთხრა მისის უელდონმა, - ჩვენ აქ დვრჩებით!

- გადაწყვეტილია, - თქვა კუზენმა ბენედიქტმა მშვიდად, - მე წავალ და ადგილობრივ მწყემსებს მოვინახულებ.

- ძალიან შორს არ წახვიდეთ, ბატონო ბენედიქტ, - უთხრა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ძალიან გთხოვთ!

- ნუ ღელავ, ჩემო ბიჭო!

- ეცადეთ, მოსკიტები არ მოგვისიოთ! - დაუმატა მოხუცმა ტომმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ენტომოლოგმა ზურგზე გადაიკიდა თავისი ძვირფასი თუნუქის ყუთი და მღვიმე დატოვა. მაშინვე წავიდა ნეგოროც. ამ კაცს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მხოლოდ თავის თავზე ეზრუნა. კუზენი ბენედიქტი კლდის ფერდობზე აფოფხდა, ხოლო ნეგორო მდინარისაკენ მიბრუნდა და ნელი ნაბიჯით მეორეჯერ აჰყვა მის დინებას. ჯეკს ეძინა. მისის უელდონმა იგი ნანს დაუტოვა და თვითონ ქვიშიან ნაპირზე ჩამოვიდა. დიკ სენდი და სხვებიც მას გაჰყვნენ. უნდოდან ენახათ, შეიძლებოდა თუ არა "პილიგრიმის" კორპუსთან მისვლა, სადაც ბევრი ისეთი რამ დარჩა, რაც ძალზე გამოადგებოდათ.

რიფები, რომლებზედაც შხუნა-ბრიგი დაიმსხვრა, გაშიშვლებულიყო და გემის ჩონჩხი მთლიანად გამოეჩინა. დიკ სენდი გაოცდა. წყნარი ოკეანის ამერიკის სანპიროზე ზღვის სეთი ძლიერი მიმოქცევა არ იცის, თუმცა ამის ახსნა შეიძლებოდა იმ ქართაც, რომელიც მძლავრდ უბერავდა ზღვის ნაპირზე.

"პილიგრიმის" დანახვამ შემადრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე. ამ გემზე გაატარეს მათ მრავალი დღე, ამდენი რამ განიცადეს. ხომალდი მოკლულ სულიერ არსებასავით გადაწოლილიყო ცალ გვერდზე! სანახევროდ დამსხვრეული, ანძებდალეწილი და იალქნებჩამოფხრეწილი გემის დანახვისას გული შეეკუმშათ!

აუცილებელი იყო გემზე ასვლა, სანამ ზღვა მას მთლად დაშლიდა.

დიკ სენდი და ზანგები გვერდზე ჩამოკიდებულ გემსართავს მოეჭიდნენ, გემბანზე აძვრნენ და ტრიუმში ჩავიდნენ. სანამ ტომს, ჰერკულესს, ბათსა და ოსტანს სურსათი გამოჰქონდათ, ახალგაზრდა მეზღვაური მთავარ საწყობში ჩავიდა. კიდევ კარგი, წყალს ჯერ ვერ შეედწია გემში, რადგან კატასტროფის შემდეგ მისი უკანა ნაწილი წყლიდან ამოშვერილი დარჩენილიყო. დიკ სენდმა აქ იპოვა ოთახი კარაბინი, Purdau და K°-ს ბრწყინვალე გამოშვება სავაზნეებში საგულდგულოდ ჩაწყობილი ასიოდე ვაზნით. პატარა ჯგუფისათვის ეს სავსებით საკმარისი იყო. ისინი თავისუფლად შეძლებდნენ ინდიელების მოგერიებას, თუკი ისინი ჯგუფს თავს დაესხმოდნენ. ახალგაზრდა მეზღვაურმა თან წამოიღო აგრეთვე ჯიბის ფარანი. რუკები კი, რომლებიც გემის ცხვირზე მოთავსებულ კაიუტაში ინახებოდა, წყალს ისე გაეფუჭებინა, რომ მათი გამოყენება აღარ შეიძლებოდა. საწყობში იყო აგრეთვე ვეშაპის გასატყავებელი და გამოსაშიგნი დიდი დანები. დიკ სენდმა ექვსი ცალი აირჩია ხმელეთზე გადასატანად. მას არც

პატარა ჯეკის სათამაშო თოფი დავიწყნია. სხვა საგნები ან აქეთ-იქით გაიფანტა ან გაფუჭდა. მგზავრობას რამდენიმე დღე მოუნდებოდა და ბევრი ტვირთის დაგროვება არც იყო სასურველი. საკვები და იარაღი ხომ ბლომად ჰქონდათ.

დიკ სენდმა შეასრულა მისის უელდონის დავალებაც - წამოეღო მთელი ფული, რაც გემზე იყო - იქ დაახლოებით ხუთასი დოლარი აღმოჩნდა. დაუჯერებელი იყო! მისის უელდონს გაცილებით მეტი თანხა ჰქონდა და ველარ იპოვა.

ნეგოროს გარდა ვინ მოიპარავდა კაპიტან ჰულისა და მისის უელდონის ფულს? ცხადია, ექვის მიტანა სხვაზე არ შეიძლებოდა. მაგრამ დიკ სენდი ერთი წუთით მაინც შეეყოყმანდა. მან იცოდა, რომ გულჩახვეული ნეგორო საშიში იყო, სხვისი უბედურება ყოველთვის ღიმილს გვრიდა. დიახ, იგი ბოროტი იყო, მაგრამ ნუთუ ბოროტმოქმედების ჩადენაც შეეძლო? დიკ სენდისათვის ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ სხვაზეც რომ არ შეეძლო ექვის მიტანა? არა! ზანგები მეტისმეტად პატიოსნები იყვნენ, ერთი წუთითაც არ დაუტოვებიათ მღვიმე, მაშინ, როდესაც ნეგორო მთელ დღეს ქვიშიან ნაპირზე დამრწოდა. მხოლოდ იგი შეიძლებდა ყოფლიყო დამნაშავე. დიკ სენდმა გადაწყვიტა, ნეგორო დაბრუნებისთანვე დაეკითხა და თუ საჭირო გახდებოდა, გაეჩხრიკა კიდეც, რადგან მას სინამდვილის გაგება უნდოდა.

მზე გადაიხარა. წელიწადის ამ დროს იგი ჯერ არც საკმაოდ თბილია და არც ნათელი, რადგან არაა ეკვატორს გადაცილებული. ბინდი სწრაფად შეცვალა უკუნმა სიბნელემ, რაც დიკს სენდის მოსაზრებას ადასტურებდა - "პილიგრიმის" კატასტროფა მოხდა თხის რქის ტროპიკსა და ეკვატორს შორის მდებარე რომელიღაც პუნქტში. მისის უელდონი, დიკ სენდი და ზანგები მღვიმეში დაბრუნდნენ, სადაც რამდენიმე საათს უნდა დაესვენათ.

- ღამით ქარბუქი იქნება, - თქვა ტომმა, როდესაც ჰორიზონტზე ჩამოწოლილი ღრუბლები დაინახა.

- ჰო, - მიუგო დიკ სენდმა, - ძლიერი ქარი ამოვარდება, მაგრამ ახლა ეს ჩვენთვის სულ ერთია! ჩვენი საწყალი "პილიგრიმი" დაიღუპა და ქარიშხალი ველარაფერს გვავენებს!

- აღსრულდეს ღვთის ნება! - თქვა მისის უელდონმა.

გადაწყდა, მღვიმის შესასვლელში ზანგებს მორიგეობით ეყარაულათ, ამასთან, დინგოს იმედიც ჰქონდათ. უეცრად მათ შეამჩნიეს, რომ კუზენი ბენედიქტი ჯერ კიდეც არ დაბრუნებულიყო. გოლიათმა იმოძენა ხმით დასკეკა, რომ ენტომოლოგი კისრისტეხით დაეშვა ფრიალო კლდიდან.

კუზენი ბენედიქტი გაცოფებული იყო. ტყეში ველარ აღმოაჩინა ვერც ერთი მწერი, რომელიც მის კოლექციაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა, მორიელები, სკოლოპენდრები და სხვა მრავალფეხიანები კი ბლომად იყო! მაგრამ კუზენ ბენედიქტს მათთან არა ესაქმებოდა რა!

- განა ღირდა ხუთი-ექვსი ათასი მილის გავლა, ქარიშხლისა და ამდენი უბედურების გადატანა, თუ ვერც ერთ ამერიკულ ექვსფეხას, ენტომოლოგიური მუზეუმის სიამაყეს, ვერ ვიპოვიდი? არა! ჩიტი ბრდღვნად არა ღირს! - თქვა მან.

მას ერთი წუთითაც აღარ უნდოდა ამ საზიზღარ ნაპირზე გაჩერება და კატეგორიულად მოითხოვდა, წავიდეთო. ეს დიდი ბავშვი მისის უელდონმა დააწყნარა, ანუგემა, ხვალ უკეთეს ფეხზე ადგეო, და ყველანი მღვიმეში შეიყუჩნენ დასაძინებლად. ჩამოხნელდა. უეცრად ტომმა შეამჩნია, რომ ნეგორო ჯერ არ დაბრუნებულიყო.

- სად უნდა იყოს? - იკითხა მისის უელდონმა.

- რაში გვენაღვლება, - მიუგო ბათმა.

- პირიქით, მე მირჩევნია, ეს კაცი ჩვენ თვალწინ ტრიალებდეს! - თქვა მისის უელდონმა.

- რა თქმა უნდა, მისის უელდონ! - მიუგო დიკ სენდმა, - მაგრამ თუ მან თავისი ნებით დაგვტოვა, რა უნდა ვიღონოთ, რომ დაბრუნდეს! იქნებ მას რაღაცის გამო ურჩევია გაგვირბოდეს?!

შემდე ცალკე გაიხმო მისის უელდონი და თავისი ექვები გაუზიარა. თურმე ქალიც იმავე აზრისა იყო და დიკ სენდის ნაამბობი სულაც არ გაჰკვირვებია.

- თუ ნეგორო დაბრუნდა, - თქვა მისის უელდონმა, - ეს ნიშნავს, რომ ნაქურდალი საიმედოდ გადამალა. ხოლო რაკი ჩვენ მისი მხილება არ შეგვიძლია, უმჯობესია არაფერი ვავრძობინოთ.

მისის უელდონი მართალი იყო. დიკ სენდი დაეთანხმა. ნეგოროს რამდენჯერმე დაუძახეს, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. იგი ან ძალიან შორს იყო, ან დაბრუნება არ უნდოდა. ზანგებს ამ კაცის მოშორება არ დანანებიათ, მაგრამ, მისის უელდონის თქმისა არ იყოს, იგი შორს მყოფი უფრო საშიში იყო! რითი უნდა აეხსნათ, რომ ნეგორო ამ უცხო მხარესი მარტოდმარტო წავიდა სადღაც? გზა ხომ არ დაეხნა? იქნებ ეძებდა კიდეც მღვიმეში მოსასვლელ ბილიკს ამ უკუნ ღამეში? მისის უელდონმა და დიკ სენდმა არ იცოდნენ, რა ეფიქრათ. ასე იყო თუ ისე, დასვენება აუცილებელი და საშური იყო.

ამ დროს ნაპირზე მყოფმა დინგომ ხმამაღლა დაიყეფა.

- რას ყეფს? - იკითხა მისის უელდონმა.

- ახლავე გავიგებ, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ნეგორო ხომ არ მოდის?

ჰერკულესი, ბათი, ოსტინი და დიკ სენდი მაშინვე გაემართნენ მდინარის შესართავისაკენ. მაგრამ ვერაფერი ნახეს, დინგოს ხმა კი აღარ ისმოდა. ისინი უკან მღვიმეში, დაბრუნდნენ. ყველანი დაწვნენ დასაძინებლად. ზანგებმა მღვიმის შესასვლელთან მორიგეობა გაინაწილეს. აფორიაქებულმა მისის უელდონმა კარგახანს ვერ დაიძინა. ამ ხმელეთმა მისი იმედები ვერ გაამართლა, სიმშვიდე და უშიშროება ვერ მოუტანა მათ.

თავი XV

ჰერისი

მეორე დილას, 7 აპირლს, საგუმზაგოზე მდგომმა ოსტინმა დაინახა, რომ დინგო ყეფით გაიქცა პატარა მდინარისაკენ. მისის უელდონმა, დიკ სენდი და ზანგები მაშინვე გამოცვივდნენ მღვიმიდან. აშკარა იყო, რაღაც მოხდა.

- დინგომ ნამდვილად ცოცხალი არსების გეში აიღო, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- ნეგორო არ იქნება, - შენიშნა ტომმა, - თორემ დინგო გაბრაზებით იყეფებოდა.

- მაშ, ნეგორო სად წავიდა? - იკითხა მისის უელდონმა და დიკ სენდს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. - არა, მე მაინც ნეგორო მგონია. სხვა ვინ უნდა იყოს?

- ახლავე შევიტყობთ, მისის უელდონ, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა. შემდეგ ბათს, ოსტინსა და ჰერკულესს მიუბრუნდა: - იარაღი აისხით, ჩემო მეგობრებო, და წავიდეთ!

ზანგებმა დანები აიღეს, თოფები დატანეს და ოთხივენი მდინარისაკენ გაემართნენ. მისის უელდონი, ტომი და აქტეონი მღვიმის შესასვლელთან დარჩნენ. მღვიმეში პატარა ჯეკი და ნანი იყვნენ.

მზე ამოვიდა, დასავლეთით ჰორიზონტამდე გადაჭიმული ზღვა მზის სხივებზე ალაპლაპდა. სანაპიროს კლდე კი ჯერ ისევ ჩრდილში იყო. დიკ სენდი და მისი მგზავრები მდინარის ნახევრადქვიშიან ნაპირს გაყვნენ, რომელიც მდინარის შესართავთან თავდებოდა.

შესართავთან კი დინგო იდგა და განუწყვეტლივ ყეფდა. უთუოდ ვიღაც დაინახა, მაგრამ ეს არ იყო ნეგორო, მისი დაუძინებელი მტერი. ვიღაც უცნობი დამრეცი კლდიდან დაეშვა, ფრთხილად წამოვიდა ნაპირისაკენ და ხელების ქნევით ძალის დაწყნარებას შეეცადა.

- ეს ნეგორო არაა! - თქვა ჰერკულესმა.

- მგონი სარფიანი გაცვლა გამოგვდის, - შენიშნა ბათმა.

- რა თქმა უნდა, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ეს, ნამდვილად, ვინმე ადგილობრივი მკვიდრია, რომელიც გზის სამეზღვლად წასვლას მაინც აგვაცდენს თავიდან. იმას მაინც გავიგებთ, სად ვიმყოფებით!

მოგზაურბმა თოფები მხარზე გაიწყვეს და სწრაფი ნაბიჯით გასწიეს უცნობისაკენ.

მათ დანახვაზე უცნობს სახეზე დიდი გაოცება აღებუქდა. ჩანდა, აქ არავითარ შეხვედრას არ მოელოდა. "პილიგრიმის" ნამსხვრევები უთუოდ არ დაუნახავს, თორემ ადამიანთა გამოჩენა

ნაპირზე აღარ გააკვირვებდა. ღამით ზღვის მოქცევამ მთლად დაამსხვრია გემის კორპუსი და დილით ზღვის ტალღებზე ფიცრის ნამტვრევებიდა ტივტივებდა. როცა უცნობმა დაინახა მისკენ მიმავალი შეიარაღებული ხალხი, უკან დაიხია. და სწრაფად ჩამოიღო თოფი: მისი შემფოთება გასაგები იყო.

ამ დროს დიკ სენდი რაღაც ნიშნებით მიესალმა. მანაც აშკარად გაიგო ეს ნიშანი, რადგან ცოტა ყოყმანის შემდეგ ჩვენი მოგზაურებისაკენ წამოვიდა: დიკ სენდს უკვე შეეძლო კარგად შეეთვალა იერებინა უცნობი.

იგი ორმოც წელს გადაცილებული ახოვან ვაჟკაცი გამოდგა. ჭაღარაშერთული თმა და წვერი ჰქონდა. ასეთი მზედაკრული კანი მხოლოდ მომთაბარეებს აქვთ, რადგან მთელ დღეებს სუფთა ჰაერზე - ტყეში ან ველზე ატარებენ ხოლმე. მოთრიმლული ტყავის ხალათი კამზოლის მაგივრობას უწევდა, თავზე განიერი ქუდი ეხურა, ხოლო ტყავის მაღალი ჩექმები მუხლამდე სწვდებოდა. მაღალ ქუსლებზე დამაგრებული დეხები ფეხის ყოველ გადადგმაზე ჟღარუნობდა.

დიკ სენდი მაშინვე მიხვდა, რომ იგი პამპასების მკვიდრი კი არა, ვიღაც უცხოელი ავანტურისტი იყო. ასეთი საეჭვო რეპუტაციის ხალხი ხშირად შეგხვდებით ამ შორეულ ადგილებში. უცნობის თავდაჭერა და წითური წვერი მის ანგლოსაქსურ წარმოშობაზე მიუთითებდა. ასეა თუ ისე, იგი არც ინდიელი იყო და არც ესპანელი. ეს მალე დადასტურდა. დიკ სენდის ინგლისურ მისალმებაზე მან სუფთა ინგლისურითვე გასცა პასუხი.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, - თქვა უცნობმა, მიუახლოვდა დიკ სენდს და ხელი ჩამოართვა. ზანგებს მხოლოდ თავი დაუკრა, სიტყვაც არ წარმოუთქვამს.

- ინგლისელი ხართ? - შეეკითხა იგი დიკ სენდს.

- ამერიკელი! - მიუგო მან.

- სამხრეთიდან?

- არა, ჩრდილოეთიდან!

ჩანდა ეს პასუხი უცნობს მოეწონა, რადგან ამჯერად უფრო მაგრად ჩამოართვა ხელი ახალგაზრდა მეზღვაურს, სწორედ რომ ამერიკულად.

- როგორ აღმოჩნდით ამ სანაპიროზე, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო? - ჰკითხა მან დიკ სენდს.

პასუხისათვის არც კი მოუცდია, ისე მოიშვლია ქუდი და მოწიწებით მიესალმა ვიღაცას. დიკ სენდმა მოიხედა. მისის უელდონი მღვიმიდან წამოსულიყო და ახლა უცნობის წინ იდგა. უცნობის შეკითხვას ქალმა გასცა პასუხი:

- მისტერ, - თქვა მან, - ჩვენ კატასტროფაში მოვყევით, ჩვენი გემი გუმინ რიფებზე დაიმსხვრა.

უცნობს სახეზე სიბრაღული აღებეჭდა. მიიხედ-მოიხედა, თითქოს კატასტროფის კვალს ეძებო.

- ჩვენი გემი დაიმსხვრა, - დაუმატა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - წუხანდელმა ზღვის მოქცევამ იგი ნაფოტებად აქცია.

- უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გინდა ვიცოდეთ, სადა ვართ, - თქვა მისის უელდონმა.

- თქვენ სამხრეთ ამერიკის სანაპიროზე იმყოფებით, - მიუგო უცნობმა, რომელიც გაოცებული დარჩა შეკითხვით, - ნუთუ არ იცით?

- დიახ, მისტერ, შეიძლება ქარიშხალმა აგვაცდინა სწორი კურსიდან. ზუსტად მითხარით, სად ვართ, პერუს სანაპიროზე? - ჰკითხა დიკ სენდმა.

- არა, ჩემო მეგობარ, არა! ცოტა უფრო სამხრეთით! თქვენი გემი ბოლივიის ნაპირზე მოხვდა.

- ოჰ! - აღმოხდა დიკ სენდს.

- თქვენ იმყოფებით ბოლივიის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ჩილეს ესაზღვრება.

- ეს რა მწვერვალია? - იკითხა დიკ სენდმა და ჩრილოეთით მიუთითა.

- არ ვიცი, - მიუგო უცნობმა, - ამ ნაპირზე პირველად ვარ, ქვეყანის შიდა ნაწილს კი კარგად ვიცნობ.

დიკ სენდი გაგონილმა ჩააფიქრა, თუმცა ძალზე არ გაკვირვებია, რადგან დინებებს შეეძლოთ შეცდომაში შეყვანათ. შეცდომა არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. აღდგომის კუნძულის გამოჩენის შემდეგ მას ეგონა, რომ კატასტროფა მოხდა ოცდამეშვიდე და ოცდამეათე პარალელებს შუა, მაგრამ იგი თურმე ოცდამეხუთე პარალელზე მომხდარა. მართლაც, შეიძლებოდა, "პილიგრიმს" ასე ცოტათი გადაეხვია კურსიდან.. უცნობის სიტყვები ეჭვს არ იწვევდა. ეს ნაპირი თუ მართლა ბოლივიის დაბლობია, მაშინ ასეთი უკაცრიელობაც ბუნებრივი იყო.

- მისტერ, - თქვა დიკ სენდმა, - თქვენი პასუხიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიმადან დიდი მანძილითა ვართ დაცილებულნი.

- ოჰ, ლიმა შორსაა... იქ, ჩრდილოეთით!

მისის უელდონი, რომელიც შემფოთებული იყო ნეგოროს გაქრობით, ყურადღებით და უნდობლად ათვალიერებდა უცნობს, მაგრამ მის ქცევასა და ლაპარაკში ვერაფერი საეჭვო ვერ შენიშნა.

- მისტერ, - თქვა ქალმა, - შეკითხვა კადნიერებაში არ ჩამომართვით... წარმოშობით პერუდან ხომ არა ხართ?

- მე ისეთივე ამერიკელი ვარ, როგორც თქვენ, მისის... - თქვა უცნობმა და შეჩერდა, სანამ ქალი თავის გვარს ეტყოდა.

- მისის უელდონი, - მიუგო ქალმა.

- ჩემი გვარია ჰერისი, დავიბადე სამხრეთ კაროლინაში, მაგრამ უკვე ოცი წელია, რაც ჩემი ქვეყანა დავტოვე და ბოლივიის პამპასებში დავსახლდი. თანამემამულეებთან შეხვედრა ძალზე მახარებს.

- მისტერ ჰერის, თქვენ აქაური მკვიდრი ხართ? - ჰკითხა მისის უელდონმა.

- არა, მისის უელდონ, მე ვცხოვრობ სამხრეთით, ჩილის საზღვართან, მაგრამ ამჟამად ჩრდილო აღმოსავლეთით მივემგზავრები, ატაკამაში.

- ატაკამის უდაბნოსთან ახლოს ვართ? - იკითხა დიკ სენდმა.

- დიახ, ჩემო მეგობარო, და ეს უდაბნო გადაჭიმულია იმ მთებამდე, რომლებიც ცისკიდურზე ჩანან.

- ატაკამის უდაბნო? - იკითხა დიკ სენდმა.

- დიახ, - მიუგო ჰერისმა, - ეს უდაბნო თითქოს სხვა ქვეყანაა, სამხრეთ ამერიკისაგან ძალიან განსხვავდება. იგი ამ კონტინენტის ყველაზე უფრო საოცარი და ნაკლებ ცნობილი მხარეა.

- თქვენ იქ მარტო მიდიხართ? - იკითხა მისის უელდონმა.

- ოჰ, ეს პირველი შემთხვევა არაა! - მიუგო ამერიკელმა. - აქედან ორას მილზე ჩემი ძმის ფერმა - ჰაციენდა სან-ფელიჩე. ახლა იქ მივდივარ ჩემი სავაჭრო საქმეების გამო. თუ გნებავთ, წამომყევით. იქ კარგად მიგიღებენ, ტრანსპორტსაც გიშოვნიან, რომ ქალაქ ატაკამაში ჩახვიდეთ. ჩემი ძმა სიამოვნებით დაგეხმარებათ.

ამერიკელი თითქოს ძალზე გულწრფელად ლაპარაკობდა.

- ეს ზანგები თქვენი მონებია? - ჰკითხა მან უცერად მისის უელდონს და ტომსა და მის ამხანაგებზე მიუთითა.

- შეერთებულ შტატებში აღარ არიან, - ცოცხლად მიუგო მისის უელდონმა. - ჩრდილოეთში დიდი ხანია, რაც მონობა გააუქმეს და სამხრეთმაც ჩრდილოეთს მიბაძა.

- ოჰ, მართალია, - მიუგო ჰერისმა, - სულ დამავიწყდა, რომ 1862 წლის ომმა ეს მნიშვნელოვანი საკითხი გადაჭრა. ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, - დაუმატა ჰარისმა ოდნავ ირონიულად, სწორედ ისე, როგორც სამხრეთ ამერიკელი ელაპარაკება ხოლმე ზანგებს, - მაგრამ როცა დავინახე, რომ ესენი თქვენ გემსახურებოდნენ, ვიფიქრე, რომ...

- ისინი არც ახლა და არც არასდროს არ გვემსახურებოდნენ, - ხაზგასმით მიუგო მისის უელდონმა.

- ჩვენ ბედნიერად ჩავთვლიდით თავს, რომ თქვენთვის გვემსახურა, მისის უელდონ, - თქვა მოხუცმა ტომმა, - მისტერ ჰერისის საყურადღებოდ კი მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არავის არ ვეკუთვნივ. მე მართალია, მონა ვიყავი და ჯერ ექვსი წელიც არ შემსრულებოდ, მონათვაჭრებმა აფრიკიდან ამერიკაში, რომ გამყიდეს, მაგრამ ჩემი შვილი ბათი თავისუფალი მამის შვილია, დანარჩენებიც ყველანი თავისუფალი მშობლების შვილები არიან.

- ისლა დამრჩენია, მოგილოცოთ, - მიუგო ჰერისმა (მისის უელდონს მისი სიტყვები არცთუ მაინცდამაინც გულწრფელი ეჩვენა). - ბოლივიის მიწაზე მონები არა გვყავს. ასე რომ, შიში ნურაფრისა გექნებათ. აქ შეგიძლიათ იმოგზაუროთ ისევე თავისუფლად, როგორც ახალი ინგლისის შტატებში.

ამ დროს მღვიმიდან თვალების ფშვნიტით გამოვიდა ნამძინარევი პატარა ჯეკი, მას უკან ნანი მოსდევდა. ბიჭუნა დედისაკენ გაქანდა. მისის უელდონმა ნაზად აკოცა შვილს.

- რა მშვენიერი ბიჭუნაა! - თქვა ამერიკელმა და მიუახლოვდა ჯეკს.

- ეს ჩემი ვაჟია, - მიუგო მისის უელდონმა.

- ოჰ, მისის უელდონ! თქვენ ალბათ ორმაგი ტანჯვა გადაიტანეთ, რადგან თქვენს ბიჭუნას ამდენი განსაცდელი მოელოდა.

- ღვთის წყალობით, ჯეკი ჯანმრთელი და უვნებელია, როგორც ყველანი ჩვენ, მისტერ ჰერის, - მიუგო მისის უელდონმა.

- შეიძლება ვაკოცო ბავშვს? - იკითხა ჰერისმა.

- როგორ არა, - მიუგო მისის უელდონმა.

მაგრამ პატარა ჯეკი დედას მიეხუტა, ეტყობოდა, "მისტერ ჰერისი" თვალში არ მოუვიდა.

- ოჰო! არ გინდა, რომ ვაკოცო? ჩემი ხომ არ გეშინია, ბიჭუნა? - თქვა ჰერისმა.

- მიუტევეთ, მისტერ, - სწრაფად მიუგო მისის უელდონმა, - იგი მორცხვობს.

- ჩვენ უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს, - მიუგო ჰერისმა, - როდესაც ჰაციენდაში მივალთ. იქ პატარა პონით გაერთობი. აი, ის პონი ეტყვის, რა კარგი ძიაცა ვარ!

ჰერისს "პატარა პონის" ხსენებამაც ვერ უშველა. ჯეკის გული ვერა და ვერ მოინადირა.

მისის უელდონი ცდილობდა, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი, რადგან არ უნდოდა იმ კაცისათვის ეწყენინებინა, რომელმაც ასე თავაზიანად გაუწოდა დახმარების ხელი.

ამ ხნის განმავლობაში დიკ სენდი ფიქრობდა ჰერისის მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე. ამ დახმარებამ, რომ იტყვიან, სულზე მიუსწროთ მათ.

ჰერისის თქმით, მათ ორასი მილი უნდა გაევიღოთ. გზა ხან ტყეში გადადიოდა, ხან შიშველ ველებზე. ეს ძალზე დამღლევი მოგზაურობა იქნებოდა, რადგან არავითარი ტრანსპორტი არ იყო. დიკ სენდმა თავისი მოსაზრება ჰერისს გაუზიარა.

- გზა, მართლაც, ცოტა გრძელია, - მიუგო ჰერისმა, - მაგრამ მე აქვე, ნაპირიდან ასიოდე ნაბიჯზე, ცხენი მყავს, რომელსაც მისის უელდონსა და მის ვაჟს დავუთმობ, ჩვენ კი ფეხით ვივლით. ორასი მილი ფერმამდე მაშინაა, თუ ჩვენ მდინარის ნაპირს გავყვებით, ხოლო თუ ტყით წავალთ, ოთხმოცი მილით ნაკლები მანძილის გავლა მოგიხდება. დღეში თუ ათ მილს გავივლით, მე ვფიქრობ, ჰაციენდაში შეუმჩნეველად მივალთ.

მისის უელდონმა მადლობა გადაუხადა ამერიკელს.

- მადლობა მერე იყოს, - მიუგო ჰერისმა, - მართალია, მე არასდროს არ მივლია ამ ტყით, მაგრამ გზის გაგნება არა მგონია, გამიჭირდეს, რადგან პამპასებში სიარულს მიჩვეული ვარ, უფრო ძნელი მოსაგვარებელია საკვების საკითხი. მე მხოლოდ ჩემთვის სამყოფი საგზალი მაქვს წამოღებული, რაც ჰაციენდაში მისვლამდე მეყოფა.

- მისტერ ჰერის, - მიუგო მისის უელდონმა, - ღვთის მადლით, საკვები ჩვენ ბლომად გვაქვს და მოხარული ვიქნებით, თქვენც გიწილაოდით.

- ძალიან კარგი, მისის უელდონ, მგონი ყველაფერი კარგად მოეწყო. ისლა დაგვრჩენია, გზას გავუდგეთ.

ჰერისმა გორაკისაკენ წასვლა დააპირა დატოვებული ცხენის მოსაყვანად, მაგრამ დიკ სენდმა შეაჩერა. ახალგაზრდა მეზღვაური დააფრთხო ნაპირის დატოვებამ და უღრან ტყეში

შესვლამ. მასში მეზღვაურის ინსტიქტმა გაიღვიძა: დიკ სენდს ერჩია ნაპირის გასწვრივ ევლოთ, მდინარის დინებას აჰყოლოდნენ ან ჩაჰყოლოდნენ.

- მისტერ ჰერის! - თქვა მან, - განა ატაკამის უდაბნოში ასოცი მილის გავლას არა ჯობს სანაპიროს გავყვით? განა უმჯობესი არაა სამხრეთით ან ჩრდილოეთით მდებარე უახლოეს ქალაქს მივადწიოთ?

- კი, ჩემო მეგობარო, - მიუგო ჰერისმა და შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა, - მართალია, ამ ნაპირს ცუდად ვიცნობ, მაგრამ უახლოესი ქალაქი სამას-ოთხას მილზე ახლოს არ უნდ იყოს.

- ეს ჩრდილოეთით, - მიუგო დიკ სენდმა, - მაგრამ სამხრეთით?

- სამხრეთით უნდა ჩავიდეთ ჩილემდე, ე.ი. გზა თითქმის იმდენივეა. არგენტინის პამპასების გადალახვას მე თქვენ ადვილას არ მოვინდომებდი. ძალიან კი ვწუხვარ, მაგრამ იქ მე ვერ გამოგყვებით.

- ჩილედან ჰერუში მიმავალი გემები ამ ნაპირთან არ გაივლიან? - იკითხა მისის უელდონმა.

- არა, - მიუგო ჰერისმა, - გემები შუა ზღვაში დადიან და თქვენ მათ იმიტომ ვერ შეხვდით.

- მართალია, - მიუგო მისის უელდონმა. - დიკ, გსურს კიდევ რაიმე ჰკითხო მისტერ ჰერისს?

- ერთი შეკითხვა მაქვს, მისის უელდონ, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, რომელსაც დათანხმება უძნელდებოდა, - მე მსურს ვკითხო მისტერ ჰერისს, როგორ ჰგონია, რომელ ნავსადგურში ვიშოვით გემს სან-ფრანცისკოში დასაბრუნებლად?

- ჩემო მეგობარო, არამზე პასუხის გაცემა არ შემიძლია, - მიუგო ამერიკელმა, - მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სან-ფელიჩეს ჰავენში თქვენ იშოვით ტრანსპორტს, რომ ქალაქ ატაკამაში ჩახვიდეთ, ხოლო იქიდან...

- მისტერ ჰერის, - თქვა მისის უელდონმა - არ გეგონოთ, რომ დიკ სენდს არ უნდა თქვენი დახმარების მიღება!

- არა, მისის უელდონ, სრულიადაც არა, - უპასუხა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - მე მხოლოდ იმას ვნანობ, ჩვენი გემი ცოტა უფრო ჩრდილოეთით ან უფრო სამხრეთით რომ არ დაიმსხვრა! მაშინ ხომ რომელიმე ნავსადგურთან აღმოვჩნდებოდით, უფრო ადვილად შევძლებდით სამშობლოში დაბრუნებას და მისტერ ჰერისის შეწუხებაც აღარ დაგვჭირდებოდა.

- ჩემი შეწუხება ნუ გერიდებათ, მისის უელდონ, - მიუგო ჰერისმა, - გიმეორებთ, მე ისე იშვიათად ვნახულობ თანამემამულეებს, რომ დიდად ნასიამოვნები დავრჩები, თუკი რითიმე შევძლებ თქვენს დახმარებას.

- ჩვენ თანხმა ვართ, მისტერ ჰერის, - უპასუხა მისის უელდონმა, - მაგრამ ცხენს არ გამოგართმევთ, მე მშვენივრად დავდივა...

- მე თქვენზე უკეთ, - მიუგო ჰერისმა და პატივისცემის ნიშნად თავი დახარა, - მიჩვეული ვარ შორეულ გზებზე სიარულს პამპასებში და არ დაგაგვიანებთ. მისის უელდონ, თქვენ და პატარა ჯეკი ცხენზე შესხდებით. შეიძლება გზაში ჰავენიდან მსახურებიც შეგხვდნენ და, თუ ცხენით იქნებიან, სიამოვნებით დაგვითმობენ.

დიკ სენდი ხედავდა, რომ მისის უელდონს არ სიამოვნებდა, როცა იგი ჰერისს წინააღმდეგობას უწევდა, ამიტომ ჰკითხა:

- მისტერ ჰერის! როდის გავემგზავრებით?

- დღესვე, ჩემო მეგობარო, - მიუგო ჰერისმა, - აპრილში წვიმები იცის. აუცილებელია, წვიმების დაწყებამდე სან-ფელიჩეს ჰავენიდან მივადწიოთ. ტყეზე მიმავალი გზა უმოკლესიგაა და უშიშარიც. მომთაბარე ინდიელები ტყეში იშვიათად შედიან. ისინი ამჯობინებენ, სანაპიროს გასწვრივ იყაჩაღონ.

- ტომ, ჩემო მეგობარო, - მიუბრუნდა დიკ სენდი ზანგებს, - ახლავე შევუდგეთ სამზადისს, ამოვარჩიოთ სანოვაგიდან, რაც უფრო სატარებლად ყველაზე იოლია, შევკრათ ფუთებად და გავინაწილოთ.

- მისტერ დიკ, - თქვა ჰერკულესმა, - თუ გინდათ მთელ ტვირთს მე წამოვიღებ!

- არა, ჩემო კარგო ჰერკულეს! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - უმჯობესია ტვირთი გავინაწილოთ.

- ჰერკულეს, გეტყობათ ძალიან ღონიერი ხართ, - თქვა ჰერისმა და ისე ათვალ- ჩაათვალა ზანგი, როგორც გასაყიდი საქონელი, - აფრიკის ბაზარზე კარგი ფასი გექნებათ!

- მე ის ფასი მქნება, რაც ვლირვარ, - სიცილით მიუგო ჰერკულესმა, - მყიდველებს ბევრი სირბილი დასჭირდებათ ჩემს დასაჭერად!

ყველაფერი გადაწყდა. ყველამ საქმეს მიჰყო ხელი. სანოვაგე იმდენი უნდა წაეღო, რამდენიც ამ პატარა რაზმს ეყოფოდა ჰაციენდასი მისვლამდე, ე. ი. ათი დღის განმავლობაში.

- სანამ გავემგზავრებოდეთ, მისტერ ჰერის, - თქვა მისის უელდონმა, - სანამ თქვენ სტუმართმოყვარულ მიპატიჟებას მივიღებდეთ, გთხოვთ დაგვეწვიოთ, სულით და გულით გთხოვთ!

- სიამოვნებით, მისის უელდონ! - მხიარულად მიუგო ჰერისმა.

- რამდენიმე წუთში საუზმე მზად იქნება.

- კარგით, მისის უელდონ, ამ რამდენიმე წუთს იმისთვის გამოვიყენებ, რომ ჩემს ცხენს მივხედავ, აქ მოვიყვან. მან უკვე ისაუზმა!

- შეიძლება მეც გამოვიყვან, მისტერ? - ჰკითხა დიკ სენდმა ამერიკელს.

- როგორც გსურთ, ჩემო მეგობარო, - მიუგო ჰერისმა, - წამოდით, მე თქვენ მდინარის ქვედა დინებას გიჩვენებთ.

ორივენი წავიდნენ.

ჰერკულესი ენტომოლოგის მოსამებნად გაგზავნეს, რომელსაც ეს ამბები თითქოს სულ არ ეხებოდა და თუმცა ვერაფერს ვერ პოულობდა, მაინც იშვიათი მწრების აღმოსაჩენად კლდეზე დაფოფხავდა.

როგორც იქნა, ჰერკულესმა მოიყვანა იგი. მისის უელდონმა უთხრა, - გამგზავრება გადაწყდა და ათ დღეს ტყე-ტყე უნდა ვიაროთო. კუზენმა ბენედიქტმა მიუგო, რომ მზადა ვარ მთელი ამერიკა გადავსერო, თუკი გზაში კოლექციონერობის ნებას მომცემნო.

ნანის დახმარებით მისის უელდონმა მსუყე საუზმე მოამზადა. აუცილებელი იყო, გამგზავრების წინ ყუათიანად დანაყრებულიყვნენ. ამ ხნის განმავლობაში ჰერისმა და დიკ სენდმა კლდეს შემოუარეს და გორაკზე ავიდნენ. ხესთან მიბმული ცხენი გახარებული ჭიხვინით მიეგება პატრონს.

ცხენი ღონიერი ჩანდა. რა ჯიშის იყო, დიკ სენდი ვერ მიხვდა. კისერი და გავა გრძელი ჰქონდა, მხრები დაქანებული, დრუნჩი არაბულ ცხენს მიუგავდა.

- ხომ ხედავთ, ჩემო მეგობარო, ღონიერი არსებაა, - თქვა ჰერისმა, - დარწმუნებული იყავით, გზაში არ გვიმტყუნებს.

ჰერისმა აუშვა ცხენი, აღვირში ხელი ჩაავლო და მთიდან ჩამოუძღვა. დიკ სენდმა სწრაფად მოავლო თვალი ტყეს, რომელიც მდინარის ორივე ნაპირზე ატეხილიყო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შეამჩნია.

დიკ სენდმა სრულიად მოულოდნელად ჰკითხა ამერიკელს;

- მისტერ ჰერის, წუხელ ვინმე პორტუგალიელი ხომ არ შეგხვედრიათ, სახელად ნეგორო?

- ნეგორო? - ისეთი კაცის სახით გაიმეორა შეკითხვა ჰერისმა, რომელსაც არ ესმის რას ეკითხებიან და რა უნდათ მისგან. - ვინ არის ეს ნეგორო?

- ჩვენი გემის მზარეული იყო, - უპასუხა დიკ სენდმა, - და თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა.

- იქნებ დაიხრჩო? - თქვა ჰერისმა.

- არა, არა! ჯერ კიდევ გუშინ საღამოს ჩვენთან იყო, მაგრამ ღამით გაიპარა. ალბათ მდინარეს აჰყვა. თქვენ იმ მხრიდან მოხვედით და იმიტომ შეგეკითხეთ, ხომ არ შეგხვედრიათ-მეთქი.

- მე არავინ შემხვედრია, - მიუგო ამერიკელმა, - მაგრამ თუ თქვენი მზარეული ტყეში შევიდა, შეიძლება გზა დაეგნა. იქნებ გზაში დავეწვიოთ.

- შესაძლებელია! - მიუგო დიკ სენდმა.

როცა დიკ სენდი და ჰერისი მღვიმესთან დაბრუნდნენ, საუზმე უკვე მზად იყო. გუშინდელი ვახშამივით იგი კონსერვებისა და ორცხოობილებისაგან შედგებოდა. ჰერისი საუზმეს მადიანად შეექცა.

- ვხედავ, - თქვა მან, - გზაში შიმშილით არ მოვკვდებით! მაგამ ამასვე ვერ ვიტყვი იმ საცოდავ პორტუგალიელზე, რომეზეც ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა ახლახან მიაშბო.

- აჰ! - შეაწყვეტინა მისის უელდონმა, - დიკ სენდმა უკვე გითხრათ, რომ ნეგორო გაქრა?

- დიახ, მისის უელდონ! - უპასუხა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - მინდოდა გამეგო, ხომ არ შეხვედრია მისტერ ჰერისი ნეგოროს.

- არა! - მიუგო ჰერისმა, - ამ დეზერტირზე ფიქრს თავი დავანებოთ და საქმეს მივხედოთ. მისის უელდონ! როცა კი მოისურვებთ შეგვიძლია გავემგზავროთ.

ყველამ თავ-თავისი ფუთა აიღო. მისის უელდონი ჰერკულესის დახმარებით ცხენზე შეჯდა. წინ პატარა ჯგუჯი დაისვა თავისი სათამაშო თოფითურთ. ჯგუჯს არც კი უფიქრია, მადლობა გადაეხადა იმ ადამიანისათვის, რომელმაც თავისი შესანიშნავი ცხენი დაუთმო, და ამაყად განაცხადა: "ამ ბატონის ცხენს მე თვითონ წავიყვანო!" ჯგუჯს ხელში აღვირი მისცეს და მან თავი რაზმის ნამდვილ მეთაურად წარმოიდგინა.

თავი XVI

დიკ სენდს გამოუცნობი შიში დაეუფლა, თუმცა ამის მიზეზი არ ჰქონდა. მდინარის გასწვრივ სამასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ უღრან ტყეში შევიდნენ. აქ მათ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ათ დღეს უნდა ევლოთ.

მისის უელდონი, პირიქით, ძალიან მშვიდად იყო. მას, დედასა და ქალს, ხომ უფრო მეტად უნდა ეგრძნო, თუკი რაიმე საფრთხე ელოდათ?!

მისის უელდონს ჯერ ის ამშვიდებდა, რომ პამპასების ამ რაიონში არც ადგილობრივი მცხოვრებლებისა და არც საშიში ცხოველთა თავდასხმა მოსალოდნელი არ იყო. გარდა ამისა, ისეთი მეგზურის თანხლებით, როგორც ჰერისი ჩანდა, შეუძლებელი იყო, ტყეში გზა აბნეოდათ.

ჩვენი მეგზავრები კვალში უდგნენ ერთმანეთს. ჯგუფს დიკ სენდი და ჰერისი მიუძღვოდნენ. ერთს გრძელულიანი თოფი ჰქონდა, მეორეს - კარაბინი; მათ თოფებითა და დანებით შეიარაღებული ბათი და ოსტინი მისდევდნენ, შემდეგ ცხენზე მსხდომი მისის უელდონ და პატარა ჯგუჯი, ხოლო მათ უკან - ნანი და ტომი. რაზმს სულ ბოლოს კარაბინით შეიარაღებული აქტეონი და ქამარში ცულგაჩრილი ჰერკულესი მოყვებოდნენ.

დინგო ხან წინ გარბოდა, ხან უკან ბრუნდებოდა, თითქოს ვიღაცის კვალს ეძებო.

"პილიგრიმის" დამსხვრევისა და ამ ნაპირზე მოხვედრის შემდეგ დინგო სულ გამოიცვალა: აგზნებული იყო და განუწყვეტლივ იღრინებოდა. ამ ყრუ ღრენაში უფრო შესაბრალო ჩივილი იგრძნობოდა, ვიდრე სიბრაზე. ამას ყველა ამჩნევდა მაგრამ ახსნა არავის შეეძლო.

კუზენი ბენედიქტიც დინგოს ჰგავდა. მისთვის, ალბათ, თოკი უნდა ჩაგებათ, რომ ჯგუფთან მხარდამხარ ევლო. ზურგზე მოგდებული თუნუქის ყუთით, ბადით ხელში, კიერზე ჩამოკიდებული ვეება ლუპით (რომელიც ხან ზურგზე მოექცეოდა ხოლმე) აღჭურვილი დაძვრებოდა მაღალ ბალახებში ორთოპტერების სამეზნელად. იგი არც სხვა რომელიმე მწერს დაიწუნებდა, ოღონდ მისი სახელი "პტერიტ" დაბოლოებულიყო!

კუზენ ბენედიქტს ყოველ წუთს საფრთხე ელოდა - ხომ შეიძლებოდა მისთვის შხამიან გველს ეკბინა!

შემფოთებულმა მისის უელდონმა არაერთხელ მოუხმო კუზენს, მაგრამ არაფერიმა გაქრა.

- კუზენ ბენედიქტი, - წარმოთქვა მოთმინებიდან გამოსულმა ქალმა, - გიბრძანებთ, რაზმს არ მოშორდეთ და უკანასკნელად გაფრთხილებთ, ჩემს სიტყვას ნუ გადახვალთ!

- მომითმინეთ, კუზინა, - მიუგო ჯიუტმა ენტომოლოგმა, - თუკი მწერს დავინახავ...

- თუკი მწერს დაინახავთ, - გააწყვეტინა მისის უელდონმა, - იგი თავის გზით უნდა გაუშვას! თორემ იძულებული ვიქნები, ყუთი ჩამოგართვათ!

- ყუთი ჩამომართვათ! - ისე შეჰყვირა კუზენმა ბენედიქტმა, თითქოს ვინმემ გულ-ღვიძლის ამოცლა დაუპირაო.

- დიახ, ყუთიც და ბადეც! - უღმობლად დაუმატა მისის უელდონმა.

- ჩემი ბადე. კუზინა? სათვალე? სათვალეც ხომ არა? ამას ვერ გაბედავთ! არა! ამას არ იზამთ...

- დიახ, სათვალეც! ეგ სულ დამავიწყდა! კარგია, მომაგონეთ! მე თქვენ სათვალესაც ჩამოგართმევთ. როცა ვერაფერს დაინახავთ, მაშინაც არ მოხვალთ გონს?

ამ მუქარამ კუზენი ბენედიქტი შეაშინა და ერთ ხანს რაზმს არ მოშორებია. მაგრამ სულ მალე ისევ აქეთ-იქით იწყო სირბილი. ჩანდა, ასე მოიქცეოდა იგი მაშინაც კი, მისთვის ყუთი, ბადე და თუნდაც სათვალე რომ ჩამოერთმიათ. რაღა უნდა ექნათ, იძულებულნი გახდნენ, კუზენი ბენედიქტი თავის ნებაზე მიეშვათ, ოღონდ ჰერკულესს დაავალეს, თვალყური ედევნებინა მისთვის. მასვე დაევალა, კუზენ ბენედიქტს ისე მოჰყრობოდა, როგორც ენტომოლოგი ექცეოდა მწერს, ე. ი. დროდადრო დაეჭირა და ისე ფრთხილად და სათუთად მოეყვანა, როგორც კუზენს მოჰყავდა ხოლმე ქერცლფრთიანთა უიშვიათესი წარმომადგენელი.

ამის შემდეგ კუზენ ბენედიქტს თავი მიაწებეს.

როგორც ვიცით, ეს პატარა რაზმი შეიარაღებული იყო და თუ საჭირო გახდებოდა, თავს კარგად დაიცავდა.

ჰერისი ირწმუნებოდა, რომ მომთაბარე ინდიელების თავდასხმის გარდა, არავითარი საშიშროება არ მოელოდათ. ჯერჯერობით ისინიც არსად ჩანდნენ. ყოველი შემთხვევისათვის წინასწარ ყველაფერი იღონეს, რომ ინდიელები ახლო არ მოეშვათ.

ულრან ტყეში შეჭრილი ბილიკები ბილიკებს არ ჰგავდა. ეს გზა ცხოველთა ნავალს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ადამიანისას. სიარული ჭირდა. ჰერისი არ შემცდარა, როცა თქვა, რაზმი საათში ხუთ-ექვს მილს თუ გაივლისო.

მშვენიერი ამინდი იდგა. თაკარა მზის სხივები შვეულად იღვრებოდა ტყეში. ტრიალ ადგილზე სიცხე აუტანელი იქნებოდა (ამაზე ჰერისმა მიაქცევინა მგზავრებს ყურადღება), ხეებით დაბურული ტყის თალი კი სულის შემხუთველი სიცხის ატანას უადვილებდა მგზავრებს.

ხეთა ჯიშებსი უმრავლესობა ყველასათვის უცნობი იყო. გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ხეები მაინცდამაინც მაღალი არ იყო. აქ ხარობდა "ბაუჰინია" ანუ "რკინის ხე", "მოლომპი" - პტეროკარპის მსგავსი გამძლე და მსუბუქი ხე, რომლისგანაც ნიჩბებს აკეთებენ და რომლის ღერო დიდი რაოდენობით შეიცავს ხის წებოს (გუმფისს). ცოტა მოშორებით იდგა თუთუბო. იგი საღებავ ნივთიერებას იძლევა. აქვე იყო აგრეთვე თორმეტი ფუტი დიამეტრის მქონე "გვაიაკეს ხე", მაგრამ იგი ხარისხით ჩვეულებრივ გვაიაკებს ჩამოუვარდება.

დიკ სენდი ამ ხეების სახელს ჰერისს ეკითხებოდა.

- ყოფილხართ თუ არა ოდესმე სამხრეთ ამერიკის სანაპიროზე? - ჰკითხა მას ჰერისმა, ვიდრე შეკითხვაზე უპასუხებდა.

- არასოდეს! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ჩემი მოგზაურობისას არასოდეს მქონია შემთხვევა, მენახა ეს სანაპირო. არც ისეთ ადამიანს შევხვედრივარ, ბოლივიას კარგად რომ იცნობდა.

- სამაგიეროდ თქვენ, ალბათ, კოლუმბია, ჩილეს ან პატაგონიის სანაპიროებს იცნობთ!

- არა, არც იქ ვყოფილვარ ოდესმე!

- ალბათ, მისის უელდონი ნამყოფია კონტინენტის ამ ნაწილში, - განაგრძო ჰერისმა, - ამერიკელ ქალებს მოგზაურობა არ აშინებთ და უეჭველია...

- არა, ბატონო ჰერის, - მიუგო მისის უელდონმა, - ჩემი მეუღლის კომერციული ინტერესები მხოლოდ ახალ ზელანდიას უკავშირდება, ამიტომ მეც სხვაგან არ ვყოფილვარ. არც ერთი ჩვენთაგანი არ იცნობს სამხრეთ ბოლივიის ამ მხარეს.

- ო, მისის უელდონ. თქვენ და თქვენი თანამგზავრები იხილავთ საოცარ ქვეყანას, რომლის ბუნება ძალზე განსხვავდება პერუს, ბრაზილიისა და არგენტინისაგან. მისი ფლორა და ფაუნა ბუნებისმეტყველსაც კი გააოცებს. ო... თქვენ შესანიშნავ ნაპირზე გამოირიყეთ.. თუკი შემთხვევითობას შეიძლება ვუმადლოდეთ...

- მე ღრმად მწამს, ბატონო ჰერის, რომ აქ შემთხვევამ კი არა, ღმერთმა მოგვიყვანა.

- ღმერთმა, დიახ, ღმერთმა - წარმოთქვა ჰერისმა იმ ადამიანის ტონით, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც განგება.

რადგან პატარა რამზის წევრთაგან ამ ქვეყანას არავინ იცნობდა, ჰერისი თავაზიანად უჩვენებდა მგზავრებს ყველაზე უცნაურ ხეებს და მათ სახელებსაც ეუბნებოდა.

სამწუხარო იყო, რომ კუზენ ბენედიქტი ენტომოლოგობასა და ბოტანიკოსობას ურთიერთს ვერ უთავსებდა, თორემ სახელგანთქმული მეცნიერი გახდებოდა - ამ ტყეში ათასნაირი ჯიშისა და ნაირ-ნაირი სიდიდის მცენარე ხარობდა - მათი აღმოჩენით კუზენი ბენედიქტი გადატრიალებას მოახდენდა ბოტანიკაში, თუმცაღა, როგორც ენტომოლოგს, ვერც ერთი საინტერესო მწერისათვის დღემდე ვერ მიეკვლია!

ამერიკის ტროპიკულ ტყეებში ამ ჯიშების არსებობაც კი არ გაეგონათ. ვაი, რომ კუზენმა ბენედიქტმა ბოტანიკა არ იცოდა და არც უყვარდა. პირიქით, ეჯავრებოდა კიდევ ყვავილები იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი ბედავდა, თავისი გვირგვინით დაეჭირა მწერი და შხამიანი წვენიტ მოეწამლა.

მგზავრებს გზადაგზა ჭაობებიც ხვდებოდა. მათ ფეხქვეშ მოწანწკარე პატარა რუები, ეტყობოდა, ჩვენი რაზმისათვის კარგად ნაცნობ პატარა მდინარეს ერთვოდა. ზოგიერთი ისე განიერი იყო, რომ მეორე ნაპირზე გადასასვლელად ვიწრო ადგილის ძებნა უხდებოდათ. მდინარის ნესტიან ნაპირებზე ატეხილიყო ხშირი ლერწამი, რომელსაც ჰერისმა პაპირუსი უწოდა.

როგორც კი ჭაობებს გასცდნენ, ტყე ისევ თაღად გადაემხო ვიწრო ბილიკებს.

ჰერისმა მისის უელდონსა და დიკ სენდს უზარმაზარი აბანოზის ხე უჩვენა. ასეთი შავი და გამძლე აბანოზის ხე მგზავრებს აქამდე არ ენახათ. მიუხედავად იმისა, რომ რაზმი ზღვიდან საკმაოდ შორს იყო, მანგოს ხეებიც მრავლად ხვდებოდათ. მათ ტოტებამდე ხავსი აპკვროდათ.

- ამ ხეს მშვენიერი ჩრდილი და გემრიელი ნაყოფი აქვს, ამიტომ ძვირფას ხედ ითვლება, - მოუთხრობდა ჰერისი მგზავრებს, - მაგრამ მათ გაშენებას ვერც ერთი ადგილობრივი მკვიდრი ვერ ბედავს. ხალხის რწმენით, "მანგოს ხის დამრგველს სიკვდილი ელის".

მგზავრობის პირველ დღეს, შუადღის შესვენების შემდეგ, რაზმი პატარა აღმართს შეუდგა. ეს იმ მთაგრეხილის ფერდობი როდი იყო, მდინარის ნაპირიდან რომ მოჩანდა! არა! ეს იყო დამრეცი პლატო, რომელიც დაბლობს მასთან აერთებდა.

ტყე აქ შეთხელდა. ახლა მხოლოდ აქა-იქ ჯგუფად შეყრილი ხეები ხვდებოდათ. ამან საგრძნობლად გაადვილა მოგზაურობა, მაგრამ მაღალი ბალახი ჯერ კიდევ ძალიან აფერხებდა წინსვლას. ჩვენს მოგზაურებს თავი აღმოსავლეთ ინდოეთის ჯუნგლებში ეგონათ.

მცენარეულობა აქ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე პატარა მდინარის შესართავთან, მაგრამ გაცილებით უხვი, ვიდრე ეს ახალი და ძველი ქვეყნის ზომიერ სარტყელშია ხოლმე. ბევრი იყო ინდიგოს ხე. ჰერისის თქმით, ეს პარკოსანი მცენარე კარგად ხარობს და სწრაფად მრავლდება.

საკმარისია მეურნემ სულ ცოტა ხნით მიატოვოს მინდორი და ეს პარაზიტი მაშინვე გაჩნდება. იგი ისევე არაფარად უღირთ აქაურებს, როგორც ევროპელებს ჭინჭარი და ნარშავი.

ტყეში არ ჩანდა კაუჩუკის ხე. ამერიკის ამ ნაწილში კი იგი ძალზე გავრცელებულია.

ისინი სხვადასხვა ოჯახიდან არიან და მრავლად ხარობენ სამხრეთ ამერიკის ტყეებში. მართლაც, საკვირველი იყო, რომ ჩვენს მგზავრებს არცერთი ასეთი ხე არ შეხვედრიათ.

დიკ სენდი კი თავის მეგობარს, ჯეკს შეჰპირდა, კაუჩუკის ხეს გაჩვენებო. ბიჭუნა ნაწყენი და გულნატკენი იყო. მას ასე ეგონა, კაუჩუკის ხეზე თოჯინები, ჯამბაზები და რეზინის ბურთები კონწიალობნო.

ჯეკმა ეს დედას შესჩილვა.

- ცოტა მოითმინე, ბიჭიკო! - მიუგო ჰერისმა, - ჰაციენდაში ასეთ ხეებს რამდენსაც გინდა, იმდენს ნახავ.

- ნამდვილი რეზინის ხეებია? - იკითხა პატარამ.

- სწორედ რომ ნამდვილი რეზინისაა. მანამდე კი აი, ეს ნაყოფი მიირთვი, წყურვილს მოგიკლავს.

ამ სიტყვებით ჰერისმა ხიდან რამდენიმე ატამივით წვნიანი ნაყოფი მოწყვიტა.

- ბატონო ჰერის, ხომ არ აწყენს ბავშვს? - ჰკითხა მისის უელდონმა.

- ნუ გეშინიათ, ეს მანგოს ხის ნაყოფია, შემოდლია ახლავე დაგარწმუნოთ... - მიუგო ამერიკელმა და ნაყოფი ქათქათა კბლებით ჩაკბიჩა.

ბიჭუნას თხოვნა აღარ დასჭირვებია. "მსხლები" ძალიან გემრიელიაო, განაცხადა და ჰერისს მიჰბაძა. ხეს მაშინვე სხვებიც შეესივნენ.

მანგოს ხის ნაყოფი საერთოდ სექტემბერში მწიფს, ამ ჯიშისა კი - მარტს და აპრილში, ამიტომ ჩვენს მგზავრებს სულზე მიუსწრო.

- ეს ძალიან გემრიელია, ძალიან, - იძახდა პირგამოტენილი პატარა ჯეკი, - მაგრამ მე ჩემი მეგობარი დიკ სენდი დამპირდა: თუ კარგად მოიქცევი, კაუჩუკის ხეს გიჩვენებო! მე კაუჩუკის ხე მინდა!

- კარგი, ჩემო ჯეკ, - მიუგო მისის უელდონმა, - მაგ ხესაც მალე ვნახავთ. ბატონმა ჰერისმა ხომ გითხრა!

- ჩემი მეგობარი მე კიდევ ერთ რაღაცას დამპირდა! - არ ცხრებოდა პატარა ჯეკი.

- კიდევ რას დაგპირდა შენი მეგობარი? - ღიმილით ჰკითხა ჰერისმა.

- ბუზ- ფრინველს, ბატონო!

- ეგეც იქნება ჩემო პატარავ, მაგრამ შორს... აქედან უფრო შორს, - უთხრა ჰერისმა.

ჯეკი, ეტყობა, კოლიბრს გულისხმობდა. ამ ქვეყანაში ხომ უამრავი კოლიბრი უნდა შეხვედროდათ!

ინდიელებმა, რომლებიც განსაცვიფრებლად წნავენ კოლიბრის ფრთებს, პოეტური სახელები შეარქვეს ფრთოსანთა ამ მშვენიერ წარმომადგენელს - "მზის სხივი", "მზის კულული", ინდიელთათვის იგი ყვავილთა მეფეა... მიწიერ ყვავილთა საალერსოდ ზეციდან დედამიწაზე მოვლენილი "ციური ყვავილი", "ფერადი ქვების კრებული", რომელიც ათასფრად ელვარებს დღის სინათლეზე.

კაცი იფიქრებდა, ინდიელთა წარმოსახვამ კოლიბრის ასორმოცდაათივე სახეობას მათი სიტურფის აღმნიშვნელი პოეტური სახელები დაუმკვიდრაო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრინველ-ბუზი ბოლივიის ტყეებში მრავლად ბუდობს, პატარა ჯეკი ჯერჯერობით მაინც ჰერისის დაპირებას უნდა დასჯერებოდა.

ამერიკელი ირწმუნებოდა, რაზმი ნაპირთან ჯერ კიდევ ახლოსაა, კოლიბრს კი არ უყვარს ოკეანისპირა უდაბური ადგილებიო. ისინი ადამიანებს არ უფრთხიან. ჰაციენდაში ყოველდღე ისმის მათი ყვირილი "ტერ-ტერ" და ფრთების ტყლაშუნი, რომელიც ძალიან ჰგავს ჯარას ტრიალის ხმასო.

- ო, როგორ მინდა, იქ ვიყო, - შეჰყვირა პატარა ჯეკმა.

სან-ფელიჩეს ჰაციენდაში რომ სწრაფად მისულიყვნენ, რაზმი გზაში არ უნდა შეჩერებულიყო. მისის უელდონი და მგზავრები დასასვენებლად ძალიან ცოტა დროს ხარჯავდნენ.

ტყე შეიცვალა. ხეებს შორის ფართო მდელოები გაჩნდა. მწვანე ბალახი ხალიჩებზე აქა-იქ ვარდისფერმა გრანიტმა და ცისფერმა ქვებმა დაიწყო ციმციმი. იგი ლილაქვას ჩამოჰგავდა. ბორცვებს სასაპარელი მოსდებოდა, რომელიც გაუვალ ხლართს ქმნიდა და სიარულს აძნელებდა. ამას ისევ ტყის ვიწრო ბილიკებით სიარული სჯობდა.

მზის ჩასვლამდე რაზმმა თითქმის რვა მილი გაიარა. არავინ დაღლილა და არც რაიმე ფათერაკი გადახდენიათ თავს. ეს მოგზაურობის პირველი დღე იყო და ცხადია, სიძნელეები ჯერ კიდევ წინ ედოთ.

გადაწყდა შესვენება. რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი ღამის გასათევად, აქ ბანაკს ვერ დასცემდნენ, ამიტომ პირდაპირ მიწაზე უნდა დაწოლილიყვნენ და ისე გაეთიათ ღამე. დარაჯად რაზმის წევრები გამოიყვანეს. ისინი ყოველ ორ საათში უნდა შეცვლილიყვნენ, ეშინოდათ, ადგილობრივი მკვიდრნი ან ნადირი არ დაგვესხასო. მოგზაურებმა უზარმაზარი მანგოს ხის ქვეშ შეისვენეს. ხის ვეება, დაბურული ტოტები ბუნებრივ ფანჩატურას მოგაგონებდათ და თუკი საჭირო გახდებოდა, მის ფოთლებქვეშ თავის შეფარებაც კი შეიძლებოდა.

პატარა რაზმის მოსვლისთანავე ხის კენწეროდან გამაყრუებელი ხმაური გაისმა. მანგოს ხის ტოტებზე ყბედი, ანჩხლი და მრისხანე თუთიყუშების მთელი გუნდი შემომსხდარიყო. ისინი თავს ესხმიან ხოლმე სხვა ფრინველებს და ძალზე განსხვავდებიან იმ თავიანთი ევროპული ნათესავებისაგან, რომლებიც გალიებში ჰყავთ გამომწყვდეული.

თუთიყუშებმა ისეთი ხმაური ატეხეს, რომ დიკ სენდმა იფიქრა: მოდი, თოფს ვესვრი და ან გაჩუმდებიან ან გაფრინდებიანო. მაგრამ ჰერისმა გადაწყვეტილება შეაცვლივინა: "ამ უკაცრიელ ადგილს თუ თოფის ხმით ყურადღებას არ მივიქცევთ, უმჯობესი იქნება. ჩუმად გავიაროთ და საფრთხეს თავიდან ავიცილებთ", - თქვა მან. ვახშამი სწრაფად გამოხადდა, რადგან საჭმელის ცეცხლზე კეთება არ იყო საჭირო - იგი ისევ კონსერვებისა და ორცხოობილებისაგან შედგებოდა. სასმელი წყალი იქვე მოჩხრიალე პატარა ნაკადულიდან ამოიღეს და რამდენიმე წვეთი რომი დაუმატეს. ვახშამს მანგოს ხის წვნიანი ნაყოფი დააყოლეს, რომლის მოწყვეტის თუთიყუშებმა გამყინავი ჩხავილი მორთეს.

ივანშემს და მწუხრიც ჩამოწვა. ჩრდილმა ნელ-ნელა აიწია, ხეების კენწეროებს ასცდა და ცის ნათელ თაღზე ფოთლების ულამაზესი ჩუქურთმებით ზეცა საოცნებოდ მოხატა.

ვარსკვლავები აციმციმდნენ და ბრჭყვიალა ყვავილებივით შემოსხდნენ ხეთა კენწეროებზე. ქარი ჩადგა. შეწყდა ხის ტოტების შრიალი. დადუმდნენ თუთიყუშებიც. ბუნება ღრმა ძილს ეძლეოდა და ყოველ ცოცხალ არსებას მოსასვენებლად უხმობდა. საძილედ გამზადება ძნელი არ იყო.

- კოცონი ხომ არ დაგვენთო? - ჰკითხა დიკ სენდმა ამერიკელს.

- რად გვინდა, - თქვა ჰერისმა, - კიდევ კარგი, აქ ცივი ღამეები არ იცის. ეს უზარმაზარი მანგოს ხეც სითბოს ინახავს. ასე რომ, ჩვენ სიცივისა და სინესტისა არ უნდა გვეშინოდეს. ისე კი კვლავ უნდა გირჩიოთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, რომ ჯობს ეს ტყე შეუმჩნეველად გავიაროთ - არც ცეცხლი, არც თოფის ხმა!

- მართალია, ინდიელების და ტყის მცხოვრებლების არ უნდა გვეშინოდეს, ბატონო ჰერის, მაგრამ მხეცები? მხეცებს ხომ მაინც დავაფრთხოვდით ცეცხლის ალით? - თქვა მისის უელდონმა.

- მისის უელდონ, თქვენ დიდად გაფიქრებთ აქაური მხეცი! მაგრამ მერწმუნეთ, მათ უფრო ეშინიათ ადამიანებთა შეხვედრისა, ვიდრე ადამიანებს მათი!

- ჩვენ ხომ ტყეში ვართ, - თქვა ჯეკმა, - ტყეში კი ყოველთვისაა მხეცები.

- ტყეც არის და ტყეც, ჩემო ბიჭუნა! - თქვა ჰერისმა სიცილით, - წარმოიდგინეთ დიდი პარკის შუაგული. ინდიელებს თამამად შეუძლიათ თავის ქვეყანაზე თქვან: ეს ამქვეყნიური სამოთხეაო.

- აქ გველები თუ არის? - იკითხა ჯეკმა.

- არა, ჩემო ჯეკ, - მიუგო მისის უელდონმა, - აქ გველები არ არის და შეგიძლია მშვიდად დაიძინო.

- ლომები?- ისევ იკითხა ბავშვმა.

- ლომის ნასახიც კი არ არის, ჩემო ბიჭუნა! - მიუგო ჰერისმა.

- არც ვეფხვები?

- დედათქვენს ჰკითხეთ. გაუგონია როდესმე, რომ ამ მხარეში ვეფხვები ყოფილიყო!

- არასოდეს! - მიუგო მისის უელდონმა.

კუზენმა ბენედიქტმა, რომელიც შემთხვევით შეესწრო მათ საუბარს, ჩაურთო:

- ამერიკაში ლომები და ვეფხვები არ არიან, მაგრამ ხომ არიან კუგუარები და იაგუარები?

- ბრაზიანები არიან? - იკითხა პატარა ჯეკმა.

- ოჰ! - მიუგო ჰერისმა, - ადგილობრივ მკვიდრთა ამ ცხოველთან მარტო შებმისაც კი არ ეშინიათ. ჩვენ ხომ ამდენნი ვართ და თანა შეიარაღებულნი! მარტო ჰერკულესს შეუძლია ცალი ხელით თითო იაგუარი დაახრჩოს, ისეთი ღონიერია იგი!

- ფხიზლად იყავი, ჰერკულეს! - თქვა პატარა ჯეკმა, - და თუ მხეცი ჩემს საკბენად მოვა...

- მშია და მე თვითონ ვუკბენ მას, - ჯეკ! - მიუგო ჰერკულესმა და საღი, ქათქათა კბილები გამოაჩინა.

- ჰერკულეს, თქვენ იყარაულებთ, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა, - და შემდეგ მე შეგენაცვლებით.

- არა, მისტერ დეკ, - მიუგო აქტიონმა. ჩვენ ოთხნი: ჰერკულესი, ბათი, ოსტინი და მე საკმარისნი ვართ. თქვენ ღამით უნდა დაისვენოთ.

- გმადლობთ, აქტიონ, - მიუგო დეკ სენდმა, - მაგრამ, მე ვფიქრობ მოვალე ვარ...

- არა! არა! მადლობა მოახსენე ამ კეთილ ადამიანებს და დათანხმდი, ჩემო ძვირფასო დიკ! - თქვა მისის უელდონმა.

- მეც ვიყარაულებ! - დაუმატა პატარა ჯეკმა, რომელსაც თვალები უკვე ელულეობდა.

- ჰო, ჩემო ჯეკ, ჰო, შენც იყარაულე! - მიუგო დედამ: არ უნდოდა ბავშვისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

- ჰო, მაგრამ, - დაუმატა პატარა ბიჭმა, - თუკი ტყეში არც ლომებია და არც ვეფხვები, მაშინ რა არის, მგლები?

- ოჰ! ეს მგლები სალაპარაკოდაც არ ღირს, - მიუგო ამერიკელმა. ისინი მგლეი არც კი არიან, რაღაც მელიებს გვანან, უფრო ტყის ძაღლებია, რომლებსაც "გუარებს" უწოდებენ.

- გუარები იკბინებიან? - იკითხა პატარა ჯეკმა.

- დინგო მათ სულმოუთქმელად გადაყლაპავს!

- სულ ერთია, - თქვა მთქნარებით ჯეკმა, - გუარები, რადგან მათ მგლებს ეძახიან, მგლებია! სიტყვის დასრულება ძლივს მოასწრო, რომ ჯეკს ძილმა თვალები მოსტაცა და მშვიდად ჩაეძინა მანგოს ხეზე მიყრდნობილ ნანის კალთაში. მისის უელდონმა აკოცა მძინარე ბავშვს, დაწვა მის გვერდით მიწაზე და დაღლილ-დაქანცულმა თვალები დახუჭა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერკულესმა კუზენი ბენედიქტი ძალად მოიყვანა. იგი პიროფორების დასაჭერად აპირებდა გაპარვას. პიროფორა ბუზია. ეს მწერი - "კოკიუიო" - მეტად გავრცელებულია სამხერთ ამერიკაში. ისინი ძლიერ მოლურჯო სინეთლეს გამოსცემენ ფრთის ძირში მოთავშებული ორი ლაქიდან. ამ ბუზებს კეკლუზი ქალები თმაში ისვამენ და ისინი ძვიფრასი თვლებივით ბრჭყვიალებენ.

კუზენმა ბენედიქტმა იფიქრა, პიროფორებს მაინც დავიჭერ ბლომადო, მაგრამ ჰერკულესმა არ დაანება და, მიუხედავად ენატომოლოგის ძლიერი წინააღმდეგობისა, ძალით მოიყვანა მეცნიერი ბანაკში. ჰერკულესმა ჯარისკაცივით სწრაფად და ზუსტად იცოდა დავალების შესრულება. ამან კი ენატომოლოგის ყუთში დამწყვდევას ბევრი მოკიაფე ბუზი გადაარჩინა.

მალე ყვლა, გარდა მორიგე გოლიათისა, ღრმა ძილში იყო.

თავი XVII

ასი მილი ათ დღეში

მოგზაურებს და მომთაბრეებს, რომლებიც ღამეს ტყეში, ღია ცის ქვეშ ათევენ, გათენებისას საკვირველი და უსიამოვნო ხმები აღვიძებთ ხოლმე.

რას არ მოისმენთ ამ უცნაურ კონცერტზე: კრიახს, ღრუტუნს, კაკანს, ჩხავილს, ყეფას, ხანდახან კი თითქოს "ლაპარაკსაც".

ესენი მაიმუნებია, რომლები აღფრთოვანებულნი ესალმებიან ნათელი დღის დადგომას. მაიმუნთა მრავალრიცხოვანი ოჯახის რომელ წარმომადგენელს არ შეხვდებით აქ: "მარიკინას", ჭრელ ცხვირ-პირიან "საგუნს", ნაცრისფერ "მონოს", რომლის ტყავს ინდიელები თოფის შალითად ხმარობენ; "საგუს", რომელსაც ყველა მაიმუნისაგან ბეწვის ორი გრძელი კონით გამოარჩევთ.

ამ ოთხხელა ცხოველთაგან ყველაზე ღირშესანიშნავია ღრიალა მაიმუნი. მას მოქნილი კუდი და ბელზებელის შესახედაობა აქვს.

მზე ამოიწვერება თუ არა, გუნდის უხუცესი წერვრი შთამაგონებელი და სევდიანი ხმით იწყებს ერთფეროვან გალობას. იგი გუნდის ლოტბარია. შემდეგ ახალგაზრდები მოძახილით იმეორებენ დილის საგალობელს. ამაზე ინდიელები იტყვიან ხოლმე, ღრიალა მაიმუნები "ლოცვანს კითხულობენო!"

ჩვეულებრივ, მაიმუნების ხმას შორიდანვე გაიგონებთ, რადგან მათ ენისქვეშ ძვალი უმსხვილდებათ და აპკი უჩნდებათ. აი სწორედ ეს აპკი გამოსცემს ხოლმე ამ ძლიერ ხმას.

რატომღაც იმ დილით მაიმუნების ხმა არ ისმოდა, ეტყობდა, არ "ლოცულობდნენ",.

ასე იყო თუ ისე, არც ღრიალა მაიმუნი, არც "საგუ" და არც ამ დიდი დაბურული ტყის სხვა რომელიმე ოთხხელა ბინადარი დილის ჩვეულ კონცერტს არ ატარებდა.

ალბათ, ინდიელები ამით მაინცდამაინც კმაყოფილნი არ იყვნენ. რაღა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ მათ საგუნდო სიმღერები ძალიან უყვართ, არამედ იმიტომ, რომ ინდიელები მაიმუნებზე ნადირობის ტრფიალნი არიან - მათი ხორცი, მითუმეტეს შებოლილი, ძალზე გემრიელია!

დიკ სენდმა და მისმა თანამგზავრებმა არ იცოდნენ ამ მაიმუნების ჩვეულება და არც უკვირდათ, რომ მათი ხმა არ ისმოდა.

მგზავრებმა თითქმის ერთდროულად გაიღვიძეს. ამ რამდენიმე საათის განმავლობაში რაზმის მყუდროება არაფერს დაურღვევია, ამიტომ რიგიანად დაისვენეს და საკმაო ძალაც მოიკრიბეს.

ყველაზე ადრე პატარა ჯეკმა ჭყიტა თვალები, გაიზმორა და ჰერკულესს მთქნარებით ჰკითხა, ღამით მგელი ხომ არ შემოგეჭამაო. ღამით ერთი მგელიც არ გამოჩენილა, ამიტომ ნასაუზმევი არ გახლავართო, - მიუგო ზანგმა.

დილის ლოცვის შემდეგ ნანი საუზმის სამზადისს შეუდგა. საუზმე ისეთივე იყო, როგორც წინა საღამოს ვახშამი. ტყის სუფთა ჰაერმა ყველას მოუმატა მადა და საჭმლის დაწუნება არავის უფიქრია: ყველანი გულიანად შეექცეოდნენ საუზმეს. საჭირო იყო ძალის მოკრება, რადგან გზას უნდა დადგომოდნენ.

კუზენმა ბენედიქტმა ალბათ მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ჭამა აუცილებელი იყო სიცოცხლისათვის! თუმცა მაინს განაცხადა, იმიტომ კი არ ჩამოვედი აქ, რომ გულხელდაკრეფილმა წინ და უკან ვისეირნოო, თუ ჰერკულესი კიდევ შემიმლის ხელს კოკიუიოს ან სხვა მანათობელი ბუხების დაჭერაში, ცუდად წაუვა საქმეო!

ამ მუქარას გოლიათი მაინცდამაინც არ შეუშინებია. მისის ველდონმა იგი ცალკე გაიხმო და უთხრა. ნება მიეცი ამ დიდ ბავშვს, ცოტა გაირბინ-გამოირბინოს, ოღონდ ისე, რომ თვალს არ მიეფაროს. მას მხოლოდ ეს ერთი სიამოვნება აქვს ამქვეყნად და ამასაც ნუ მოვაკლებთო.

დილის შვიდ საათზე პატარა რაზმი აღმოსავლეთისაკენ გაუდგა გზას. ისინი იმავე თანმიმდევრობით მიდიოდნენ, როგორც წინა დღეს.

გზა სულ ტყეზე გადიოდა. ამ მიწაზე სითბოსა და სინესტეს მცენარეები გაეცოცხლებინა და გაელაღებინა. ეს ვრცელი პლატო თითქმის ტროპიკულ განედს უერთდებოდა. ზაფხულის თვეებში მზე შვეულად უგზავნიდა თავის სხივებს დედამიწას. ნიადაგში სითბოს დიდი რაოდენობა გროვდებოდა, ხოლო უფრო ღრმად, მიწის ქვეშ, ყოველთვის ნესტიანი ფენები იყო. საუცხოო სანახავი იყო ეს უკიდევანო ტყე. ჰერისის თქმით, ისინი პამპასების რაიონში იმყოფებოდნენ. დიკ სენდმა ერთ გარემოებას მიაქცია ყურადღება, პამპასი "კვიშნას" ენაზე "ვაკეს" ნიშნავს. თუ მას მეხსიერება არ ღალატობდა, ასეთ ვაკეებში ნაკლებადაა წყალი, ხეები,

ქვეები. წვიმიანობის პერიოდში აქ ბევრი ნარშავი ხარობს, რომელიც გვალვის დროს ბუჩქნარებად და გაუვალ ბარდებად იქცევა ხოლმე. აქვე უნდა იყოს ჯუჯა ხეები და ეკლის ბუჩქები, ყოველივე ეს კი ასეთ ვაკეებს უნაყოფო და უკაცრიელ იერს სდებს.

მას შემდეგ, რაც ამერიკელის ხელმძღვანელობით პატარა რაზმმა სანაპირო დატოვა, ასეთი ველი არ შეხვედრიათ. ტყე თვალსაწიერამდე იყო გადაჭიმული და არსად ჩანდა ისეთი პამპასები, როგორც ახალგაზრდა მეზღვაურს წარმოედგინა. ატაკამის ზეგანი, როგორც ეს ჰერისმა თქვა, თავისებური მხარეა და ძალზე განსხვავდება სხვა მხარეებისაგან. დიკმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს ზანგი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი დიდი უდაბნოა და მოთავსებულია ანდეზსა და წყნარ ოკეანეს შორის. დიკ სენდმა ამის თაობაზე რამდენჯერმე ჰკითხა ამერიკელს და არც ის გაოცება დაუფარავს, რასაც ეს უცნაური "პამპასები" მასში იწვევდა. ჰერისმა მას ბოლივიის ამ ნაწილის ზუსტი და ღრმა ცოდნით ექვეები გაუფანტა.

- თქვენ არ ცდებით, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, - უთხრა მან დიკ სენდს, - ნამდვილი პამპასები სწორედ ისეთია, როგორც მოგზაურთა წიგნებშია აღწერილი, ე.ი. უნაყოფო ვაკე. მისი გავლა მეტად ძნელია. იგი ჩრდილო ამერიკის სავანებს ჰგავს, ოღონდ უფრო ჭაობიანია. ასეთია რიო-კოლორადოს პამპასები, ორონიკოსა და ვენესუელის "ლიანოსები". მართალი გითხრათ, აქაურობა მეც კი მათებს. მე პირველად ვარ ამ გზაზე. იგი პლატოს კვეთს და მოკლედ ჭრის მანძილს. თუმცა არასოდეს მინახავს ეს გზა, მაგრამ მაინც ვიცოდი, რომ ძალიან განსხვავდებოდა ნამდვილი პამპასებისაგან. ნამდვილი პამპასებს თქვენ ნახავდით არა დასავლეთის კორდილიერსა და ანდეზის ყველაზე მაღალ მწვერვალს შორის, არამედ მთებს გადაღმა, აღმოსავლეთით. იგი ატლანტის ოკეანემდე გადაჭიმული.

- განა ჩვენ ანდეზზე უნდა გადავიდეთ? - მკვირცხლად იკითხა დიკ სენდმა.

- არა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, - ღიმილით მიუგო ამერიკელმა, - მე ვთქვი: "თ ქ ვ ე ნ ა ხ ა ვ დ ი თ" და არა, "ნ ა ხ ა ვ თ". დამშვიდდით, ჩვენ ამ პლატოს არ გავცდებით. მისი ყველაზე მაღალი ნაწილი ათას ხუთას ფუტს არ აღემატება. კორდილიერების გადალახვა ჩვენი სატრანსპორტო საშუალებებით თავგანწირვა იქნება. ამას არასოდეს არ ჩავიდენ.

- გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ნაპირის გასწვრივ გვევლო, - შენიშნა დიკ სენდმა

- ო, ასჯერ უკეთესი, - დაეთანხმა ჰერისი, - მაგრამ ჰაიენდა სან-ფელიჩე ხომ კორდილიერების აქეთ არის, ამიტომ ჩვენი მოგზაურობისას რაიმე სიმძნელე არ მოგველის.

- ტყეში გზის დაბნევისა არ გეშინიათ? - იკითხა დიკ სენდმა. - თქვენ ხომ აქ პირველად ხართ.

- არა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, არა! - მიუგო ჰერისმა. - ეს ტყე უზარმაზარ ზღვას ჰგავს, უფრო სწორად, ზღვის ფსკერს, სადაც მეზღვაურიც კი ვერ გაზომავს ზღვის სიმაღლეს და ვერ გაარკვევს თავის ადგილსამყოფელს. ტყეებში სიარულს ნაჩვევი ვარ და გზის გაგნება შემძლია ხეების განლაგებით, ფოთლების მიმართულებით, ნიადაგის რელიეფითა და შედგენილობით და ბევრი ისეთი წვრილმანით, რასაც თქვენ ვერ შეძენევთ. დამშვიდდით. თქვენცა და თქვენს თანამგზავრებსაც იქ მიგიყვანთ, სადაც საჭიროა!

ეს ყველაფერი მეტად მტკიცედ და დამაჯერებლად იყო ნათქვამი. დიკ სენდი და ჰერისი რაზმს წინ მიუძღოდნენ და ამიტომ მათ საუბარში არავინ ერეოდა ხოლმე.

ჰერისს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ახალგაზრდა მეზღვაურის ყოველგვარი ეწვის გაფანტვა. დიკ სენდი ამჯობინებდა, არ გაემხილა თავისი ნაფიქრი.

8, 9, 10, 11 და 12 აპრილს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. რვა-ცხრა მილის გავლას თორმეტ საათს უნდებოდნენ. დანარჩენი დრო კვებისა და დასვენებისთვის სჭირდებოდათ. მგზავრები ცოტა დაიღალნენ, თორემ სხვა მხრივ თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობდნენ. ჯეკი ტყემ მოქანცა. ბავშვი არ იყო ამას შეჩვეული და ერთფეროვნად და მოსაწყენად ეჩვენებოდა. არც დანაპირი შეუსრულეს: რეზინის ჯამბაზები, ბუზ-ფრინველები არ ჩანდნენ. ულამაზესი თუთიყუშის ჩვენებასაც შეჰპირდნენ, მაგრამ რატომღაც არც ისინი იყვნენ ამ მდიდარ ტყეებში. მაინც სად გადაიკარგნენ მწვანე თუთიყუშები, მათი სამშობლო ხომ ეს ქვეყანაა? სად გაქრნენ ტიტველოყება გრძელი, ჭრელკუდა არაკონგები, რომელთა თათები

მიწას არასოდეს შეხებია; კამენდები, რომლებიც მხოლოდ ტროპიკულ ქვეყნებში ბინადრობენ ან ის პატარა, ათასნაირი ფერის ბუმბულით შემოსილი თუთიყუშები? სად გაქრნენ ეს ყბედი ფრინველები, რომლებზე ინდიელები ამბობენ, გადაშენებული ტომების ენაზე ლაპარაკობენო?

თუთიყუშებიდან ჯეკმა მხოლოდ წითელკუდიანი, ფერფლისფერი ჟაკოები ნახა. ისინი ხეებქემ ფუთფუთებდნენ. ეს ჟაკო ბიჭუნასთვის უცხო არ იყო. იგი ყველა ქვეყანაში გაჰყავთ. გაუთავებელი ყბედობით მათ ყველა გააყრუეს ორივე კონტინენტზე. თუთიყუშთა ოჯახებიდან ისინი ყველაზე იოლად სწავლობენ ლაპარაკს. ერთი სიტყვით, ჯეკი უკმაყოფილო იყო. რაღა თქმა უნდა, მით უფრო უკმაყოფილო დარჩებოდა კუზენი ბენედიქტი, რომელმაც აქეთ-იქით სირბილის უფლება მოიპოვა, მაგრამ მაინც ვერ ნახა ვერც ერთი მწერი, რომელიც დაიმსახურებდა მის კოლექციაში მოხვედრის პატივს. პიროფორებიც კი აღარსად ჩანდნენ. არ ანათებდნენ თავისი მუქლურჯი შუქით. ბუნება თითქოს დასცინოდა საცოდავ ენტომოლოგს. იგი საშინელ ხასიათზე იყო.

მომდევნო ოთხ დღეს მოგზაურობა ჩრდილო-აღმოსავლეთით ასეთსავე პირობებში გრძელდებოდა. 16 აპრილს მათ უკვე ოკეანის ნაპირიდან ასი მილი ჰქონდათ გავლილი.

თუ ჰერისს გზა არ დაებნა. ჰაციენდა სან-ფელიქემდე ოცი მილია იყო დარჩენილი. ესე იგი, ორმოცდარვა საათის შემდეგ პატარა რაზმს ექნებოდა საიმედო და კეთილმოწყობილი თავშესაფარი, სადაც ისინი ბოლოს და ბოლოს ადამიანურ დასვენებას მოახერხებდნენ.

მგზავრებმა პლატო თითქმის შუა წელზე გადასჭრეს, მაგრამ ამ უზარმაზარ ტყეში არც ერთი ადგილობრივი მკვიდრი და არც ერთი მომთაბარე არ შეხვედრიათ.

დიკ სენდს გულში ძალიან სწყინდა, რომ კატასტროფა არ მოხდა ცოტა უფრო ჩრდილოეთით ან სამხრეთით, სადაც ბევრი იყო ქალაქები, სოფლები, პლანტაციები და მისის უელდონსა და მის თანამგზარებს ამდენ ხანს ნაპოვნი ექნებოდათ თავშესაფარი.

ეს მხარე მხარე ადამიანებს მიეტოვებინათ. უკანასკნელ დღეებში თანდათან გამოჩნდნენ ცხოველები. ზოგჯერ გაბმული და საცოდავი ყმუილიც ესმოდად. ჰერისი ამბობდა, ეს ამ უზარმაზარ ტყეების მკვიდრი, დიდი და ზანტი ცოველი ზარმაცააო.

იმ დღეს შუადღისას, როცა დასასვენებლად დაბანაკდნენ, ჰაერში უცნაური სტვენა გაისმა. მისის უელდონი გააოცა და შეაშფოთა ამ სტვენამ.

- რა უნდა იყოს? - იკითხა მან და ფეხზე წამოხტა.
- გველი! - შეჰყვირა დიკ სენდმა, თოფს ხელი სტაცა და მისის უელდონს წინ აეფარა.

იმ ადგილს, სადაც მათ დაიბანაკეს, მაღალი ბალახი ერტყა და ადვილად შესაძლებელი იყო, შიგ რაიმე ქვეწარმავალი შემომძღვრალიყო. იქნებ ეს მახრჩობელა გველის "სუკურუს" რომელიმე სახეობა იყო? მათი სიგრძე ზოგჯერ ორმოც ფუტამდე აღწევს.

ზანგები დიკ სენდისაკენ გაქანდნენ, მაგრამ ჰერისმა დაამშვიდა ახალგაზრდა მეზღვაური და მისის უელდონი და განუმარტა, ეს სუკურუს სტვენა არ არისო. სუკურუს არ უსტვენს. შესაძლოა, ეს რომელიმე უვნებელი ოთხფეხა ცხოველია, როგორებიც ამ ტყეში მრავლად ბინადრობსო.

- დამშვიდდით და ეცადეთ, არ შეაშინოთ ეს ცხოველები, - თქვა მან.
- მაინც რა ცხოველებია? - იკითხა დიკ სენდმა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, უფრო მეტი შეეტყო და აუცილებლად ეკითხებოდა ხოლმე ამერიკელს. ისიც ხალისიანად პასუხობდა.
- ანტილოპებია, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, - მიუგო ჰერისმა.
- ო! როგორ მინდა მათი ნახვა! - წამოიძახა ჯეკმა.
- ეს ძალიან ძნელია, ჩემო ბიჭუნა, - უპასუხა ამერიკელმა, - ძალიან ძნელი.
- იქნებ მეცადა ამ სტვენია ანტილოპებთან მიახლოება? - იკითხა დიკ სენდმა.
- ტყუილად ეცდებით! ორიოდ ნაბიჯის გადადგმასაც ვერ მოასწრებთ, რომ მთელი ფარა გაიქცევა. ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯებით, - თქვა ამერიკელმა.

დიკ სენდი გამოუთქმელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მაღალ ბალახებში თოფიანად შესრილდა. მაშინვე ათი-თორმეტი პატარა, წვეტიანი რქით თავშემკული ქურციკი ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს. წითელი ბეწვი ცეცხლის ალივით გადაევლო მაღალ ბარდებს.

- ხომ გაგაფრთხილეთ, - თქვა ჰერისმა, როცა ახალგაზრდა მეზღვაური უკან დაბრუნდა. ანტილოპები თვალის დახამხამებაში გაქრნენ. დიკ სენდმა კარგად ვერც კი გაარჩია ისინი. იმავე დღეს გამოჩნდა რომელიღაც სხვა ცხოველების ჯგუფი. მათი დანახვა უკეთ მოახერხეს, მაგრამ ამ ცხოველების გულდაგულ დათვალიერება მაინც ვერ შეძლეს. ცხოველთა ამ ჯგუფის გამოჩენამ დიდი კამათი გამოიწვია ჰერისსა და დანარჩენ მგზავრებს შორის.

სალამოს რაზმმა მცირე ხნით მდელოსთან შეისვენა. უცებ ტყის ტევრიდან ასიოდე ნაბიჯზე სამი თუ ოთხი რაღაც დიდი ცხოველი გამოჩნდა და ელვის სისწრაფით გაქრა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა, ამერიკელის გაფრთხილების მიუხედავად, ერთ-ერთ ცხოველს დაუმიზნა და ესროლა, მაგრამ სროლის მომენტში ჰერისმა თოფს ხელი აუკრა და, თუმცა დიკ მარჯვე მსროლელი იყო, მიზანს მაინც ააცდინა.

- არ ისროლოთ! არ ისროლოთ! - შესძახა ამერიკელმა.

- ესენი ჟირაფები იყვნენ! - წამოიძახა დიკ სენდმა, რომელმაც ჰერისის შენიშვნა უპასუხოდ დატოვა.

- ჟირაფები! - შესძახა პატარა ჯეკმა და უნაგირზე წამოდგა. - მაჩვენეთ რა ჟირაფები!

- ჟირაფები? - იკითხა მისის უელდონმაც, - ხომ არაფერი შეგეშალა, ჩემო ძვირფასო დიკ, ამერიკაში ჟირაფს რა უნდა!

- მართლაც, - თქვა ჰერისმა, რომელიც საკმაოდ გაოცებული ჩანდა. - ამ ქვეყანაში ჟირაფები არ იცის!

- მაშ რა ცხოველი იყო? - იკითხა დიკ სენდმა.

- აღარ ვიცი, რა ვიფიქრო! - მიუგო ჰერისმა. - თვალმა ხომ არ მოგატყუათ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, სირაქლემები ხომ არ იყვნენ?

- სირაქლემები? - ერთხმად გაიმეორეს მისის უელდონმა და დიკ სენდმა და გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

- დიახ, სირაქლემები! - გაიმეორა ჰერისმა.

- კი მაგრამ, სირაქლემა ხომ ფრინველია, - მიუგო დიკ სენდმა, - და ორი ფეხი აქვს!

- დიახ, - მიუგო ჰერისმა, - მე კარგად დავინახე, რომ ეს ცხოველები, რომელბიც ასე მალე მიიმალნენ, ორფეხანი იყვნენ.

- ორფეხანი? - იკითხა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- მე კი მომეჩვენა, რომ ისინი ოთხფეხა ცხოველები იყვნენ, - თქვა მისის უელდონმა.

- მეც ასევე, - დაუმატა მოხუცმა ტომმა, რომელსაც ბათი, აქტეონი დ ოსტინიც დაეთანხმნენ.

- ოთხფეხა სირაქლემები! - შეჰყვირა ჰერისმა და გადაიხარხარა, - ეს კი მართლა სასაცილოა!

- ამიტომაც ვფიქრობდი, რომ ჟირაფები იყვნენ და არა სირაქლემები, - შეეკამათა დიკ სენდი.

- არა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, არა! - თქვა ჰერისმა, - თქვენ კარგად ვერ გაარჩიეთ. ეს ცხოველთა სწრაფი სირბილის ბრალია, საუკეთესო მონადირეებიც კი ხშირად თქვენსავით ცდებიან ხოლმე.

ამერიკელის ნათქვამი ჭკუასთან ახლო იყო. დიდი ტანის სირაქლემა შორიდან შეიძლება კაცს საშუალო ზომის ჟირაფში აერიოს, რაც შეეხება თავს, ორივეს ისე ეთნაირად აქვთ შეერთებული გრძელ და უკან გადაგდებულ კისერთან, რომ ისიც კი შეიძლება ითქვას: სირაქლემა ნახევრად ჟირაფია, ოღონდ უკანა ფეხები აკლიაო.

როცა ეს ორფეხა ან ოთხფეხა ცხოველები სწრაფად გაგიქროლებენ წინ, შეიძლება ისინი ერთმანეთში აგერიოთ.

ამჯერად მისის უელდონისა და სხვების შეცდომის ყველაზე უტყუარი დამადასტურებელი საბუთი ის იყო, რომ ამერიკაში ჟირაფი არ არის.

- თუ არ ვცდები, არც სირაქლემები იცის ამერიკაში, - შენიშნა დიკ სენდმა.

- სწორია, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში გვხვდება სირაქლემის განსაკუთრებული სახეობა "ნანდუ", რომელიც თქვენ ახლახან დაინახეთ.

ჰერისი მართალს ამბობდა. ნანდუ, გრძელკანკება ფრინველი, საკმაოდ გავრცელებულია სამხრეთ-ამერიკის დაბლობებში. ახალგაზრდა ნანდუს ხორცი ძალზე გემრიელია. ამ დიდი ფრინველის სიმაღლე ზოგჯერ ორ მეტრს ჭარბობს. ნანდუს სწორი ნისკარტი და მოლურჯო ფაფუკი ბუმბულით დაფარული გრძელი ფრთები აქვს. სამთით ფეხები არსებითად განასხვევს მას აფრიკის სირაქლემებისაგან.

ეტყობოდა, ჰერისმ კარგად იცოდა ნანდუზე ყველაფერი, რაკი ასე დაწვრილებით განუმარტა მგზავრებს ბევრი რამ. მისის უელდონი და მისი თანამგზავრები იძულებულნი იყვნენ, ელიარებიანთ შეცდომა.

- ჩვენ შეიძლება კიდევ შეგვხვდეს სირაქლემების გუნდი, - დაუმატა ჰერისმა, - კარგად დააკვირდით და ფრინველი ოთხფეხად არ მიიჩნიოთ. რაც მთავარია, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, გახსოვდეთ ჩემი გაფრთხილება - რა ცხოველიც უნდა გამოჩნდეს, თოფი არ გაისროლოთ! საკვები ჯერჯერობით გვაქვს, ნანადირევი არ გვჭირდება. გიმეორებთ, თოფის ხმამ არ უნდა გაგცეს, რომ ჩვენ ტყეში ვიმყოფებით.

დიკ სენდი ჩაფიქრდა. ეჭვმა კვლავ გაიღვიძა მასში.

მეორე დღეს, 17 აპრილს, გზა განაგრძეს. ჰერისი ირწმუნეოდა, ოცდაოთხი საათიც აღარაა საჭირო, რომ პატარა რაზმი სან-ფელიჩეს ჰაციენდაში მივიდესო.

- აქ, მისის უელდონ, - დაუმატა მან, - თქვენ საჭირო ყურადღება და მზრუნველობა გელით. ისეთი კომფორტი, როგორც სან-ფრანცისკოში გაქვთ, ფერმაში არ დაგხვდებათ, მაგრამ მაინც დარწმუნდებით, რომ ჩვენ არც ისე ველურები ვართ!

- ბატონო ჰერის! - მიუგო მისის უელდონმა, - მართალია, თქვენი ზრუნვის საზღაურად მხოლოდ მადლობა შეგვიძლია გითხრათ, მაგრამ იგი მთელი სულითა და გულითაა მოძღვნილი. დიახ! ვგონებ დროა, დანიშნულების ადგილს მივაღწიოთ!

- ძალიან დაიღალეთ, მისის უელდონ?

- ჩემზე არ ვნაღვლობ, - მიუგო მისის უელდონმა, - ჩემი პატარა ჯგუფი დღითიდღე დნება! თითქმის ყოველდღე აციებს!

- თუმცა აქ ჰავა ძალიან კარგი და ჯანსაღია, მარტა და აპრილში მაინც იცის ხოლმე ციებ-ცხელება.

- როგორც ყველგან და ყოველთვის, - შენიშნა დიკ სენდმა, - ბუნება აქაც წინდახედულია, წამალი და ავადმყოფობა გვერდიგვერდ მოათავსა.

- როგორ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო? - იკითხა ჰერისმა, რომელმაც ეტყობოდა, ვერ გაიგო დიკის ნათქვამი.

- განა აქ ქინაქინის ხეები არ ხარობს? - კითხვითვე გასცა პასუხი დიკ სენდმა.

- თქვენ მართალი ხართ! - მიუგო ამერიკელმა, - აქ ხომ ციების საწინააღმდეგო ძვირფასი ნივთიერების შემცველი ხეების სამშობლოა.

- ძალიან მიკვირს, რომ ამდენ ხანს არც ერთი ქინაქინის ხე არ შეგხვედრია! - დაუმატა დიკ სენდმა.

- ოჰ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, - მიუგო ჰერისმა, - ქინაქინის ხე მაღალი იზრდება, დიდი ფოთლები და ვარდისფერი სურნელოვანი ყვავილები იცის, მაგრამ, რადგან ჯგუფ-ჯგუფად იშვიათად ხარობენ, მათი მიგნება ძნელია. ისინი ტყეში არიან გაბნეულნი და ინდიელები მას მხოლოდ მარადმწვანე ფოთლების სცნობენ.

- ბატონო ჰერის, - თქვა მისის უელდონმა, - თუ ასეთი ხე დაინახოთ, მაჩვენეთ!

- რასაკვირველია, მისის უელდონ, მაგრამ ჰაციენდაში თქვენ ქინაქინის სულფატს გიშოვით და ციებას ის უფრო მოუხდება, ვიდრე ხის უბრალო ქერქი¹.

მოგზაურობის ამ უკანასკნელმა დღემ უხიფათოდ ჩაიარა. შებინდებისას, ჩვეულებრივ, ღამის გასათევად დაბანაკდნენ. ამდენ ხანს წვიმა არ ყოფლა, ახლა კი, ეტყობოდა, ამინდი იცვლებოდა, რადგან მიწიდან ავარდნილმა ცხელმა ორთქლმა სქელი ნისლი წარმოიშვა. წვიმების სეზონი დგებოდა. კიდევ კარგი, ხვალ ეს პატარა რაზმი კეთილმოწყობილ, მყუდრო თავშესაფარში დაისვენებდა. ეს სულ რამდენიმე საათის შემდეგ მოხდებოდა.

თუმცა, როგორც ჰერისმა გამოიანგრიშა, ჰაციენდას სულ რაღაც ექვსიოდე მილიდა აშორებდა მათ, ღამე მაინც ფხიზლად იყვნენ. ტომსა და მის ამხანაგებს უნდა ეფხიზლათ და რიგრიგობით ეყარულათ. დიკ სენდი კატეგორიულად მოითხოვდა, ასი თვლი და ასი ყური გამოეხათ. იგი უწინდელზე მეტად ფრთხილობდა, რადგან საზარელმა ეჭვმა შეიპყრო, რომელსაც ჯერ არავის უმხელდა.

შესასვენებლად ჭალაში, დიდი ხეების ქვეს დაბანაკდნენ. დაქანცულ მისის უელდონსა და მისიანებს უკვე ეძინათ, როცა უეცრად ისინი ხმამაღლა ყვირილმა გამოადგოდა.

- ეი, ვინ არის? - შესძახა დიკ სენდმა, რომელიც პირველი წამოვარდა.

- მე ვარ, მე დავიყვირე! - უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა.

- რა მოგივიდათ? - ჰკითხა მისის უელდონმა.

- რაღაცამ მიკბინა!

- გველმა? - ჰკითხა შეშინებულმა მისის უელდონმა.

- არა, არა! გველი კი არა, რაღაც მწერია, - უპასუხა კუზენმა ბენედიქტმა, - აი, აი, დავიჭირ კიდეც, დავიჭირე!

- კარგი, გეყოფათ, გაჭყლიტეთ ეგ რაღაც მწერია და დაგვაძინეთ, ბატონო ბენედიქტ! - თქვა ჰერისმა.

- გავჭყლიტო? არამც და არამც, - შეჰყვირა კუზენმა ბენედიქტმა, - უნდა ვნახო, რა მწერია...

- ალბათ, რაღაც ქინქლაა, - თქვა მხრების ჩეჩვით ჰერისმა.

- არა, ეს ბუზია, - მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, - თანაც ძალზე საინტერესო ბუზი!

1 ძველად ხმარობდნენ ამ ქერქის ფხვნილს. მას "იფუტებსი ფხვნილი" ეწოდებოდა, რადგან 1649 წელს რომის იეზუიტებმა თავისი ამერიკელი მისიონერებისაგან მიიღეს. ეს ფხვნილი დიდი რაოდენობით. - ავტორის შენიშვნა.

დიკ სენდმა პატარა ჯიბის ფარანი აანთო და კუზენ ბენედიქტს მიუახლოვდა.

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა კუზენმა, - მთელი ჩემი ტანჯვა-წვალება დაფასდა: მე აღმოჩენა მოვახდინე!

კუზენი ბენედიქტი აღტაცებისაგან კინაღამ გაგიჟდა. გამარჯვებული მეომარივით აღფრთოვანებული ათვალეერებდა თავის ბუზს და, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩაჰკოცნიდა კიდეც!

- ჰო, მაგრამ, მაინც რა მწერია? - იკითხა მისის უელდონმა.

- ორფრთიანი მწერი, კუზინა, ცნობილი მწერი, - და კუზენმა ბენედიქტმა ყველას უჩვენა უფერული ბუზი, რომელიც ფუტკარზე უფრო პატრა იყო და მუცელზე ყვითელი ზოლები დაჰყვებოდა.

- ეს ბუზი შხამიანი ხომ არაა? - იკითხა მისის უელდონმა.

- არა, კუზინა, არა! ადამიანს იგი არა ვნებს, მაგრამ ცხოველთათვის, ანტილოპების, კამეჩებისა და თვით სპილოებისათვისაც კი - მეტად საშიშია. ო! რა ლამაზია, რა მშვენიერია!

- ბოლოს და ბოლოს, გვეტყვი, თუ არა ბატონო ბენედიქტ, რა ბუზია ეგ ბუზი? - იკითხა დიკ სენდმა.

- ეს ბუზი? - მიუგო ენტომოლოგმა, - ეს ბუზი ცეცეა. ამ ცნობილი ბუზით ამაყოფს მხოლოდ ერთი ქვეყანა. დღემდე იგი ამერიკაში არავის უპოვია!

დიკ სენდმა ვერ გაბედა ეკითხა კუზენ ბენედიქტისათვის, რომელი იყო ის ქვეყანა, სადაც წყეული ცეცე აქამდე უნახავთ. მომხდარი ამბის შემდეგ ყველამ ისევ ძილს მისცა თავი. მაგრამ დიკ სენდს საშინელი დაღლილობის მიუხედავად, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

თავი XVIII

თავზარდამცემი სიტყვა

მოახლოვდა ჰაციენდა სან-ფელიჩში მისვლის დრო, მაგრამ მისის უელდონი ისე არაათგამოცლილი იყო, გზის გაგრძელება უჭირდათ. საცოდავი სანახავი იყო პატარა ჯეკიც - ალექსი და გავარვარებული ციების შეტევის დროს დ ქაღალდით თეთრი და გამტკნარებული შეტევის შემდეგ.

შემწუნებული დედა კეთილ გადია ნანსაც აღარ ანდობდა ბავშვს. თვითონ ჩაეხუტებინა გულში და აღარ იშორებდა.

მძიმე და დამქანცველი მოგზაურობა უნდა დასრულებულიყო. ამერიკელის თქმით, დღეს, 18 აპრილს, საღამოს, რაზმი უნდა შესულიყო ჰაციენდა სან-ფელიჩეს შემოგარენში.

თორმეტი დღის მძიმე მგზავრობამ, ცის ქვეშ გატარებულმა თორმეტმა ღამემ, ძალა გამოაცალა ისეთ ენერგიულ ქალსაც კი, როგორც მისის უელდონი იყო. რაღა თქმა უნდა, მით უფრო აუტანელი იქნებოდა ეს მგზავრობა ბავშვისათვის.

პატარა, მოუვლელი, ავადმყოფი ჯეკის ყურებამ მისის უელდონს მთლად მოუღო ბოლო.

დიკ სენდი, ნანი, ტომი და მისი თანამგზავრები თავს უკეთ გრძნობდნენ და დაღლილობასაც უფრო იტანდნენ.

თუმცა საკვების მარაგი ილეოდა, ჯერჯერობით არაფერი დაჰკლებიათ, ამიტომ ჯანზე კარგად იყვნენ.

ჰერისი კი ამქვეყნად თითქოს ტყეებში სახეტილოდ დაბადებულიყო,- დაღლილობა სულ არ ემჩნეოდა. ერთი კი იყო, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ჰაციენდას, მით უფრო გულჩათხრობილი და ჩაფიქრებული ხებოდა. დიკ სენდმა ეს კარგად შეამჩნია. პირიქით კი უნდა ყოფილიყო! დიკ სენდი სულ უფრო და უფრო უნდობლად უყურებდა ამერიკელს და ერთი წუთითაც არ აშორებდა თვალს. იგი მაინც ვერ მიმხვდარიყო, რა მიზნით უნდა მოეტყუებინა ამერიკელს ისინი?

ჰერისი დიკს სენდის უნდობლობას კარგად გრძნობდა და როცა თავისი "ახალგაზრდ მეგობრის" გვერდით მოხვდებოდა, უფრო და უფრო სიტყვამუნწი ხდებოდა.

რაზმმა გზა განაგრძო.

ტყე შეთხელდა. ხეები პატარ-პატარა ჯგუფებად შეყრილიყვნენ და გაუვალი კედელივით აღარ იყვნენ აღმართული. იყო თუ არა ეს ის ნამდვილი პამპასები, რაზედაც ჰერისი ლაპარაკობდა?

მოგზაურობის განახლების შემდეგ რამდენიმე საათს არაფერი მომხდარა. დიკ სენდი მშვიდად იყო. მხოლოდ ორი რამ მოეჩვენა საეჭვოდ. სხვა დროს შესაძლოა არაფრად არ ჩაეგდო ეს, მაგრამ ახლა სულ პატარა წვრილმანის უყურდღებოდ დატოვებაც კი არ შეიძლებოდა.

მოულოდნელად დინგო სულ გამოიცვალა. აქამდე თუ ბალახებსა და ბუჩქებს ყნოსავდა, თითქოს ვიღაცის კვალს მისდევსო, ახლა ცხვირს მიწას არ აცილებდა და ისე მიძუნძულებდა. ძალიან ან ჩუმად იყო, ანდა იქაურობას აყრუებდა ყეფით, რომელშიც ტკივილისა და სევდის ხმები მოისმოდა.

ახლა დინგოს ყეფა რისხვით აღსავსე გახდა. სწორედ ისეთი, "პილიგრიმის" გემბანზე ნეგოროს გამოჩენისს რომ იცოდა ხოლმე.

დიკ სენდის გონებაში ეჭვმა გაიელვა. ეს ეჭვი ტომმაც დაუდასტურა:

- რა საოცარია, მისტერ დიკ! დინგო გუშინდელივით მიწას აღარ ყნოსავს! ცხვირი ქარისაკენ მიუშვერია, ბეწვი ყალყზე უდგას და საშინლად აგზნებულია! თითქოს მან შორიდანვე იგრძნო...

- ნეგორო ხომ?... - გააწყვეტინა დიკ სენდმა, თან მოხუც ზანგს ხელი მოუჭირა და ანიშნა, ჩუმად ილაპარაკეო.

- დიახ ნეგორო, ხომ შეიძლება, იგი ჩვენს კვალს მოსდევდეს...

- ჰო, ტომ! თანაც ახლა არც ისე შორს უნდა იყოს ჩვენგან, არა?

- კი მაგრამ, რატომ? - იკითხა ტომმა.

- ან ნეგორო არ იცნობს ამ ქვეყანას, - მიუგო დიკ სენდმა, - და თუ ეს ასეა, მაშინ მას ჩვენი მხედველობიდან დაკარგვა არ უნდა....

- ან?- იკითხა შეშფოთებულმა ტომმა და თვალები მიაპყრო ახალგაზრდა მეზღვაურს.
- ანდა იცნობს, - თქვა დიკ სენდმა, - და მაშინ...
- კი მაგრამ, საიდან უნდა იცნობდეს ნეგორო ამ ქვეყანას, იგი ხომ აქ არასოდეს ყოფილა!
- არასოდეს ყოფილა! - ჩაილაპარაკა დიკ სენდმა, - ის კი ცხადია, რომ დინგო ისე იქცევა, თითქოს მისთვის საძულველი ადამიანი სადღაც აქვე, მის გვერდით იყოს...

დიკ სენდმა ლაპარაკი შეწყვიტა და ძაღლს დაუძახა. დინგო ცოტა შეეყოყმანდა, მერე მაინც გამოიქცა მისკენ.

- ჟს, ჟს, - მიუქსია მან, - ნეგორო! ნეგორო!

პასუხად დინგოს გაბრაზებული ყეფა გაისმა. ამ სახელის გაგონებამ ჩვეულებრივი გავლენა იქონია მასზე. ძაღლი წინ გაქანდა, თითქოს ნეგორო ერთ-ერთი ბუჩქის უკან ყოფილიყო ჩამალული.

ჰერისი მთელი ამ სცენის მოწმე იყო. იგი მიუახლოვდა ახალგაზრდა მეზღვაურს და კბილებში გამოცრა:

- რა უთხარით დინგოს?

- ისეთი არაფერი, მისტერ ჰერის, - მიუგო მოხუცმა ტომმა, - ჩვენ ვკითხეთ დინგოს, ხომ არაფერი იცის ჩვენს ერთ-ერთ მგზავრზე, რომელიც დაგვარგეთ.

- აა, - თქვა ამერიკელმა, - თქვენ რომ მიაშბეთ, იმ პორტუგალიელ გემის მზარეულზე ამბობთ, არა?

- დიახ, - მიუგო ტომმა, - დინგო ისე ყეფს, ნეგორო სადღაც ახლომახლო უნდა იყოს...

- აქამდე როგორ მოვიდოდა? - თქვა ჰერისმა, - თუ არა ვცდები, თქვენ მითხარით, ამ მხარეში არასოდეს ყოფილაო!

- თუ მართალი გვითხრა... - უპასუხა ტომმა.

- საკვირველია, - თქვა ჰერისმა, - თუ გნებავთ, მოვნახოთ ბუჩქნარში. იქნებ საცოდავი რაიმე ხიფათს გადააწყდა და დახმარება სჭირდება?

- ნუ წუხდებით, საჭირო არაა, მისტერ ჰერის, - მიუგო დიკ სენდმა, - თუ ნეგორომ აქამდე მოახერხა მოსვლა, გზის გაგრძელებასაც შეძლებს. ის ისეთი ვინმეა, არავის დახმარება არ სჭირდება.

- თქვენი ნებაა! - უპასუხა ჰერისმა.

- გაჩუმდი, დინგო! - გაუჯავრდა დიკ სენდი ძაღლს, რათა ეს საუბარი შეეწყვიტა.

მეორე, რამაც ახალგაზრდა მეზღვაური გააკვირვა, ამერიკელის ცხენი იყო. იგი არც ნაბიჯს აჩქარებდა, არც ნესტოებს ბერავდა და ჰაერს ყნოსავდა, არც ჭიხვინებდა, როგორც ეს ცხენებმა იციან ხოლმე ნაცნობ ადგილებთან მიახლოებისა და მგზავრობის დასასრულს. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ ცხენი მშვიდად იყო. თითქოს ჰაციენდა, სადაც იგი ხშირად იმყოფებოდა ხოლმე, და მაშასადამე, კარგადაც უნდა სცოდნოდა, ჯერ კიდევ ასეული მილით იყო დაშორებული აქედან. როგორც იტყვიან, "ცხენს თავლის სუნი არ სცემდა".

"ამ ცხენს არაფერზე ეტყობოდა, რომ ჩვენი მგზავრობა მთავრდებოდა",- ფიქრობდა გულში ახალგაზრდა მეზღვაური.

ჰერისი წინა დღეს ირწმუნებოდა, მხოლოდ ექვსი მილი დაგვრჩაო. საღამოს ხუთი საათისათვის ოთხი მილი მაინც ჰქონდათ გავლილი. საკვირველი ის იყო, რომ ცხენი ნაცნობი ადგილების მიახლოებისას არაფერს ამჟღავნებდა და არც ჰაციენდა სანფელიჩეს პლანტაციების ნიშანწყალი ჩანდა სადმე.

მისის უელდონიც კი, რომელიც აქამდე ჯგუჯის გარდა ყველაფერს გულგრილად უყურებდა, განცვიფრებული იყო აქაურობის უკაცრიელობით.

ჰაციენდასთან ასე ახლოს იყვნენ და არ ჩანდა არც ერთი ადგილობრივი მკვიდრი, არც ერთი მსხური. ნუთუ ჰერისს გზა დაეზნა? არა! ქალმა ეს ფიქრი თავიდან მოიშორა. ყოელი წუთის დაგვიანება პატარა ჯგუჯს სიკვდილს უქადდა. როგორც ყოველთვის, ჰერისი წინ მიდიოდა. იგი აკვირდებოდა ტყეს და იმ ადამიანით იყურებოდა აქეთ-იქით, რომელიც მთლად დარწმუნებული არაა თავის თავსა და გზის სისწორეში.

მისის უელდონმა თვალეზი დახუჭა, რომ ეს არ დაენახა. ჯერ გადაიარეს მდელო, რომლის სიგრძე დაახლოებით ერთ მილს უდრიდა, შემდეგ ისევ ტყე გამოჩნდა. იგი არ იყო ისე დაბურული, როგორც დასავლეთით. პატარა რაზმი ისევ ვეება ხეების ჩრდილში შევიდა.

სადამოს ექვსი საათისათვის ბუჩქნარს მიუახლოვდნენ. ეტყობოდა, სულ ცოტა ხნის წინ ბუჩქნარი უზარმაზარ ცხოველებს გადაეექლათ.

დიკ სენდმა ყურადღებით შეათვალიერა იქაურობა. ბალახი მთლად გაქეილი იყო, ადამიანის სიმაღლეზე ბევრად უფრო მაღალი კი - ტოტები დაღეწილი. ჭაობიან ნიადაგზე დატოვებულ ნაკვალევს ეტყობოდა, რომ ისინი იაგუარების ან კუგუარებისა არ იყო.

ნეტავ რის ნაკვალევი აჩნდა მიწას? რას უნდა დაემტვრია ასე მაღლა ეს ტოტები?

ექვი არ იყო, ასეთი კვალის დატოვება და ბუჩქნარის გადაქელვა ასე მხოლოდ სპილოებს შეეძლო, მაგრამ სპილოები რომ არ არია ამერიკაში?! ეს ვეება ცხოველები ამერიკაში არ ბინადრობენ, არც არასოდეს უცდიათ მათი მოშენება აქ, ე.ი. შეუძლებელი იყო, ეს კვალი სპილოებს დაეტოვებინა.

ასე იყო თუ ისე, დიკ სენდს თავისი მოსზრება არავისათვის გაუნდვია. ამერიკელსაც კი აღარაფერი ჰკითხა. რაღა უნდა ერწმუნა იმ ადამიანისა, რომელიც ჟირაფებს სირაქლემებად ასალებდა?! ჰერისი ახლაც რაღაც მოიგონებდა, რაც სინამდვილეს ვერ შეცვლიდა.

დიკ სენდს ექვიც აღარ ეპარებოდა, რომ ჰერისი მოღალატე იყო! იგი მხოლოდ საბაბს ეძებდა, რომ ნიღაბი ჩამოეგლიჯა მისთვის. ჩანდა, საბაბიც მალე მიეცემოდა.

მაინც რა ჰქონდა განზრახული ჰერისს? რა მოელოდათ "პილიგრიმის" მგზავრებს? დიკ სენდმა კარგად იცოდა, რომ მას პასუხისმგებლობა ხმელეთზეც ეკისრებოდა. იგი მოვალე იყო, ნაპირზე გამორიყული უბედურები განსაცდელისგან ეხსნა...

პატარა ბავშვის, ზანგების, უბედურებაში შეძენილი ამ ამხანაგების გადარჩენა მხოლოდ დიკ სენდს შეეძლო! როგორც მეზღვაურს, შეეძლო ყველაფერი ელონა გემზე, მაგრამ აქ რა ექნა ამ საზარელ განსაცდელის ჟამს, რომელსაც ახალგაზრდა მეზღვაური უკვე თვალნათლივ ხედავდა?

დიკ სენდს არ უნდოდა თვალი დაეხუჭა იმ შემზარავ სინამდვილეზე, რომელიც ყოველ წუთს უახლოვდებოდა. "პილიგრიმის" თხუთმეტი წლის კაპიტანს აქაც მეთაურობა უნდა ეკისრა, მაგრამ სანამ საამისო დრო არ დადგებოდა, არაფრის თქმას არ აპირებდა. არ უნდოდა საბრალო დედის შეწუხება.

დის სენდმა მაშინაც არაფერი თქვა, როცა მდინარის პირას მიმავალ პატარა რაზმს ას ნაბიჯზე ჩაუარეს უზარმაზარმა ცხოველებმა და მაღალ ბალახებში მიიმალნენ.

- ჰიპოპოტამები! ჰიპოპოტამები! - უნდოდა ეყვირა მას, მაგრამ თავი შეიკავა.

ისინი მართლაც, სქელტყავიანი და დიდთავა ცხოველები იყვნენ. ამობერილი, დიდი დინგი და ერთ ფუტზე უფრო გრძელი ეშვები, მოკლე ფეხები და უბეწვო მუქი-ყავისფერი ტყავი ჰქონდათ. ჰიპოპოტამები ამერიკაში?!

მთელ დღს შეუმჩნევლად მიდიოდნენ და ისე დაიქანცნენ, ფეხზე ძლივსღა იდგნენ. დაღლილობა ახლა უკვე ყველაზე გამძლეებსაც ეტყობოდათ. ან ადგილზე უნდა მისულიყვნენ, ან შეესვენათ.

მისის უელდონს მხოლოდ თავისი ჯეკი ახსოვდა, დაღლილობას ვეღარც კი გრძნობდა, მთლად გამოფიტული იყო. ყველა მეტნაკლებად იყო მოქანცული. მხოლოდ დიკ სენდი ცდილობდა, დაღლილობა არ შეემჩნია. მოვალეობის უდიდესი გრძნობა აიძულებდა მას, გამძლეობა გამოეჩინა.

იქნებოდა სადამოს ოთხი საათი, როცა მოხუცი ტომი ბალახებში რაღაც საგანს წააწყდა. იგი დანის მსგავს უცნაური მოყვანილობის მრუდე და ბრტყელპირიანი იარაღი აღმოჩნდა. სპლოს ძვლის სახელური უხეზად გამოჩორკნილი ორნამენტებით იყო შემკული.

ტომმა დანა დიკ სენდს მიუტანა. მან დაკვირვებით დაათვალიერა, შემდეგ ამერიკელს უჩვენა და თქვა:

- ეტყობა, ადგილობრივი მკვიდრნი შორს აღარ არიან!
- სწორია, - მიუგო ჰერისმა, - მაგრამ...

- მაგრამ? ... - გაიმეორა დიკ სენდმა და თვალი თვალში გაუყარა ჰერისს.

- ჩვენ სულ ახლოს უნდა ვიყოთ ჰაციენდასთან, - თქვა ყოყმანით ჰერისმა, - მაგრამ ამ ადგილს რაღაც ვერ ვცნობ...

- მაშ თქვენ გზა აგებნათ? - სწრაფად ჩაჰკითხა დიკ სენდმა.

- არა, გზა არ დამზნევიან... ჰაციენდა ახლა სამიოდე მილზე უნდა იყოს, უფრო შორს არა! მე ტყეზე გავლით გზის მოკლედ მოჭრა მინდოდა, შესაძლოა, შევცდი!

- შესაძლოა! - მიუგო დიკ სენდმა.

- მოდი, დავწინაურდები, ასე აჯობებს! - თქვა ჰერისმა.

- არა, მისტერ ჰერის, ჩვენ ერთმანეთს არ უნდა დავცილდეთ! - მტკიცე ხმით მიუგო დიკ სენდმა.

- თქვენი ნებაა, - თქვა ამერიკელმა, - მაგრამ იცოდეთ, სიბნელეში გზის გაგნება გამიჭირდება.

- მაგას არა უშავს რა, - მიუგო დიკ სენდმა, - ჩვენ აქ დავბანაკდებით, მისის უელდონი ხეებქვეშ ამ ერთი ღამის გათევაზეც არ იტყვის უარს. ხვალ კი გათენებისას გზას გავუდგებით! ორი-სამ მილს ერთ საათში გავივლით!

- კარგი, აგრე იყოს! - მიუგო ჰერისმა.

ამ დროს დინგოს მრისხან ყეფა გაისმა.

- აქეთ, დინგო, აქეთ! - დაუმახა დიკ სენდმა. - ძალიან კარგად იცი, რომ მანდ არავინაა, რომ უდაბნოში ვართ!

გადაწყდა, უკანასკნელად დაბანაკებულიყვნენ. მისის უელდონი არ ჩარეულა რაზმის საქმიანობაში. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ციებისაგან დასუსტებულ ჯგუფს მის კალთაში ეძინა.

დაიწყეს ღამის გასათევად მოხერხებული ადგილის ძებნა. დიკ სენდს ჯგუფა მდგარი ხეების ქვეშ უნდოდა ღამის გათევა, მაგრამ უცბად იქვე მყოფი ტომი შედგა და შეჰყვირა:

- მისტერ დიკ! შეხედეთ! შეხედეთ!

- რა მოხდა, ჩემო მოხუცო? - მშვიდად იკითხა დიკ სენდმა იმ ადამიანით, რომელიც ყოველგვარი საოცრების მოლოდინშია.

- იქ.. იქ.. - ლულულუღებდა ტომი, - ხეებზე... სისხლის კვალია! ხოლო... მიწაზე... მოკვეთილი ხელები.

დიკ სენდი სწრაფად გაეშურა იქით. მალევე მობრუნდა და ტომს მიმართა:

- ჩუმად, ტომ, ხმა არ ამოიღო!

მიწაზე მართლაც ეყარა მოკვეთილი ხელები. ადამიანის სხუელის ამ ნაფლეთებთან გაწყვეტილი გაწყვეტილი ჯაჭვი და გატეხილი ხუნდი ეგდო.

კიდევ კარგი, მისის უელდონს ეს საზარელი სურათი არ შეუმჩნევია.

ჰერისი მოშორებით იდგა. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა ის დიდი ცვლილება, რომელიც მასში მოხდა. ამერიკელს სახე მკაცრი და ულმობელი გაუხდა.

დინგო მიუახლოვდა დიკ სენდს და სისხლიანი კვალის წინ გაშმაგებული ყეფა ატეხა. ახალგაზრდა მეზღვაურმა ძლივძლივობით მოაცილა ძალი იქაურობას.

მოხუცი ტომი ხუნდებისა და გატეხილი ჯაჭვების დანახვაზე გაქვავებული იდგა, თითქოს ფეხები მიწაში ღრმად ჩაფლობოდა, ადგილიდან ვერ იძროდა. გაოგნებული, ფართოდ გახელილი თვალებით ჩაჰყურებდა იქაურობას, თითებს იმტვრევდა და რაღაცას უაზროდ ლულულუღებდა:

- მე მინახავს... მინახავს... ეს ხუნდები.. ბავშვობაში მინახავს. მე მინახავს...

ჩანდა, მასში ბუნდოვნად ამოტვივტივდა ადრეული ბავშვობის მოგონებები! იგი ცდილობდა ყველაფერი კარგად გაეხსენებინა და შეუჩერებლივ ელაპარაკა...

- ჩუმად, ტომ, - უმეორებდა დიკ სენდი, - მისის უელდონის ხათრით, ჩვენი ხათრით, ჩუმად, ხმა არ ამოიღო!

ახალგაზრდა მეზღვაურმა ზანგი იქაურობას მოაცილა.

ღამის გასათევად სხვა ადგილი აირჩიეს, იქიდან ცოტა მოშორებით, ვახშამი მზად იყო, მაგრამ დაღლილობისაგან საჭმელს პირი ვერავინ დააკარა. ყველანი შეშფოთებულნი და თითქოს შეშინებულნიც იყვნენ.

ბინდი ნელ-ნელა ჩამოწვა. მალე იქაურობა უკუნმა სიბნელემ მოიცვა. ცა ჭექა-ქუხილის მაუწყებელი ლეგა ღრუბლებით დაფარულიყო, ხეებს შორის, დასავლეთით, დროდადრო ელვა იკლავებოდა. ქარი ჩადგა. ფოთოლიც კი არ იძვროდა. დღის ჟრიაშული სამარისებურმა სიჩუმემ შეცვალა. ჰაერი ისე დამძიმდა, რომ კაცს ეგონებოდა, ელექტრობითაა დამუხტული და ბგერეს ვეღარ ატარებსო.

დიკ სენდი, ოსტინი და ბათი ერთად მორიგეობდნენ. მათ ასი თვალი და ასი ყური გამოიბეს, რომ უკუნ ღამეში სინათლე დაენახათ, ან შრიალი გაეგონათ, მაგრამ ამაოდ! ტყის სამარისებურ დუმილსა და უკუნ სიბნელეს არაფერი არღვევდა!

არ ეძინა ტომსაც. იგი თავჩაქინდრული იჯდა და მოგონებებში ჩაძირულიყო, თითქოს უეცარი დარტყმისგან ჯერაც გონს ვერ მოსულაო.

მისის უელდონი მკერზე მიყრდნობილ ბავშვს არწევდა, მხოლოდ ის იყო მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი.

ეძინა მხოლოდ კუზენ ბენედიქტს. იგი საერთოდ დაუკვირვებელი იყო და არც ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ რიმეს მიმხვდარიყო.

იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი, რომ საშინელი ღრიალი გაისმა, მალე ეს ღრიალი შორს, გამყინავ ყმუილს შეერთო.

ტომი წამოვარდა და ხელი გაუვალა ჭალისაკენ გაიშვირა, რომელიც რაღაც ერთი მილით თუ იყო დაშორებული ბანაკიდან.

დიკ სენდმა ხელი სტაცა, მაგრამ ტომმა მაინც იყვირა:

- ლომი! ლომი!

მოხუცმა ზანგმა იცნო ლომის ღრიალი, რომელიც ბავშვობაში ხშირად გაუგონია.

- ლომი! - კვლავ გაიმეორა მან.

დიკ სენდმა თავი ვეღარ შეიკავა და დანით ხელში ჰერისისაკენ გაქანდა....

მაგრამ ჰერისი და მისი ცხენი სადღაც გამქრალიყო...

დიკ სენდის გონებაში ყველაფერი აყირავდა... ისინი იქ არ იმყოფებიან, სადაც ეგონათ!

"პილიგრიმის" კატასტროფა ამერიკის სანაპიროზე არ მომხდარა! არც ის ყოფილა აღდგომის კუნძული! რაღაც სხვა კუნძული იყო, რომელიც ისევე დასავლეთით მდებარეობს ამ კონტინენტიდან, როგორც აღდგომის კუნძული - ამერიკიდან.

კომპასმა იგი სწორ გზას ააცდინა! (მკითხელმა კარგად იცის, რატომ მოხდა ასე). ქარიშხლისაგან მოტაცებულმა გემმა ჰორნის კონცხს შემოლუარა და წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში გადავიდნენ! გემის სისწრაფე, რომლის განსაზღვრა მას დაახლოებით შეეძლო, გრიგალმა გააორკვეცა!

აი რატომ არ იყო აქ ქინაქინისა და კაუჩუკის ხეები - სამხრეთ ამერიკის ბინადარნი! ეს ადგილი არც ატაკამის უდაბნო იყო და არც ბოლივიის პამპასები. ახლა აღარ ეჭვობდნენ, რომ დიკმა ჟირაფები დაინახა და არა სირაქლემები, როცა მათ მდელო გადაირბინეს! სწორეს სპილოებმა გაკვალეს გაუვალა ბუჩქნარი! მაღალ ბალახებში რომ მყუდროება დაურღვია დიკ სენდმა - ის ცხოველები, ჰიპოპოტამები იყვნენ! ის ბუზიც ცეცე იყო, კუზენმა ბენედიქტმა რომ დაიჭირა, მისი ნაკბენი ხომ ცხოველთა მთელ ქარავანს ჟლეტს!

და ეს საშინელი ღრიალი, მთელი ტყე რომ შეაზანზარა, ლომისა იყო!

ეს ხუნდები, ჯაჭვები, უცნაური მოყვანილობის დანა - მონებით ვაჭრების იარაღი იყო, ხოლო მოჭრილი ხელები - ტყვეთა ხელები!

პორტუგალიელი ნეგორო და ამერიკელი ჰერესი შეთქმულები იყვნენ!

დიკ სენდი ყველაფერს მიხვდა! თავზარდამცემი სიტყვები უნებურად მოსწყდა მის ბაგეს:

- აფრიკა! ეკვატორული აფრიკა! მონათვაჭრებისა და მონების აფრიკა!

ნაწილი მეორე

თავი I

მონათვაჭრობა

მონათვაჭრობა! მნიშვნელობა ამ სიტყვისა, რომელსაც ადამიანთა ენაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ყველამ იცის! ამ სამარცხვინო ვაჭრობას ევროპის ის ქვეყნები მისდევდნენ, რომელთაც კოლონიები ჰქონდათ ოკეანის გადაღმა, და დიდი მოგებაც რჩებოდათ.

ეს უსირცხვილო ვაჭრობა, თუმცა კარგა ხანია ოფიციალურად აიკრძალა, მაინც ძალზე ფეხმოკიდებულია ცენტრალურ აფრიკაში.

XIX საუკუნეში მონებით ვაჭრობის აკრძალვის აქტზე ზოგიერთ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰქონოდა ხელი მოწერილი, თუმცა მათ თავი ქრისტიანულ ქვეყნებად მიაჩნდათ!

შეიძლება ზოგიერთს ჰგონია, რომ მონებით ვაჭრობა მოისპო, შეწყდა ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა! არა, ეს სწორი არ არის! აუცილებელია მკითხველმა ეს კარგად იცოდეს, რათა უფრო დაინტერესდეს ჩვენი გმირების ბედით. მან უნდა გაიგოს, თუ რა საშინელებაა ადამიანებზე ნადირობა, უნდა გაიგოს, რომ იგი ამოწყვეტას უქადის მთელ კონტინენტს და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მუქთი მუშახელი მიაწოდოს ზოგიერთ კოლონიას. მკითხველმა უნდა იცოდეს, სად და როგორ ხდება ეს ბარბაროსული თავდასხმები და თარესი, ძარცვა-გლეჯა, სისხლისღვრა, ხანძრები! საკითხავია, ვისთვისაა ყოველივე ეს ხელსაყრელი და სასარგებლო?!

მონათვაჭრობა პირველად XV საუკუნეში გაჩნდა. აი, როგორ წარმოიშვა იგი:

ესპანეთიდან განდევნის შემდეგ მუსლიმანები გიბრალტარის სრუტის გადაღმა, აფრიკის სანაპიროზე დასახლდნენ. პორტუგალიელები, რომელთაც მაშინ სანაპიროს ეს ნაწილი დაიპყრეს, მუსლიმანებს ატყვევებდნენ და პორტუგალიაში ჩაჰყავდათ. ესენი იყვნენ პირველი აფრიკელი მონები დასავლეთ ევროპაში. დატყვევებული მაჰმადიანები მეტწილად მდიდარი ოჯახებიდან იყვნენ და ამ ოჯახებმა დიდძალი ოქრო შეაძლიეს პორტუგალიელებს მონების გამოსასყიდად, მაგრამ პორტუგალიელებმა უარი თქვეს შეთავაზებულ საფასურზე. მათ ოქრო არ აკლდათ, მუშა ხელი კი ძალზე სჭირდებოდათ კოლონიებისათვის, რომლებიც ის-ის იყო იქმნებოდა. პორტუგალიას მონები უჭირდა!

მუსლიმანთა ოჯახებმა, როცა ოქროთი ვერ მოახერხეს თავიანთი ნათესავების გამოსყიდვა, პორტუგალიელებს ზანგები შესთავაზეს. პორტუგალიელებმა ეს წინადადება სარფიანად მიიჩნიეს და მიიღეს კიდევ. ასე წარმოიშვა მონებით ვაჭრობა ევროპაში.

XVI საუკუნეში ამ სამარცხვინო ვაჭრობამ ძალზე მოიკიდა ფეხი და ფართოდ გავრცელდა. ევროპის ყველა სახელმწიფო მონებით ვაჭრობას მხარს უჭერდა, რათა უფრო ადვილად და სწრაფად ჩაეტარებინა ამერიკის კუნძულების კოლონიზაცია. მაშინდელი ბარბაროსული მორალი არ კიცხავდა ამ უმსგავსოებას.

მართლაც, ზანგი მონები მშვენივრად იტანდნენ ტროპიკულ სიცხეს, თეთრები კი მილიონობით იღუპებოდნენ. ზანგები რეგულარულად გადაჰყავდათ სპეციალური გემებით. შეიქმნა დიდი ტრანსატლანტური სავაჭრო სააგენტოები აფრიკის სანაპიროების სხვადასხვა ნაწილში.

ადგილობრივ, სამშობლოში, "საქონელი" იაფი ჯდებოდა, მოგება კი დიდი იყო. მაგრამ განა შეიძლებოდა, ადამიანის თავისუფლება შეწირვოდა კოლონიების დაფუძნებას? მართლაც, მალე აღიმალღეს ხმა კეთილშობილმა ადამიანებმა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ ზანგებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ, ევროპის სახელმწიფოებს ჰუმანიზმის სახელით აეკრძალათ ადამიანებით ვაჭრობა!

ჩრდილოეთ ამერიკაში, 1751 წელს, კვაკერები სათავეში ცაუდგნენ აბოლიციონისტურ მოძრაობას. ასი წლის შემდეგ ჩრდ. ამერიკაში იფეთქა ომმა, რომლის მიზანი იყო ჩრდილოეთის გამოყოფა სამხრეთისაგან. აქვე დაისვა მონობის გაუქმების საკითხიც. ჩრდილოეთის შტატებმა - ვირჯინიამ, კონექტიკუტმა, მასაუსეტმა, პენსილვანიამ ვაჭრობა აკრძალეს და მონები გაათავისუფლეს, თუმცა მათი ჩაყვანა ამერიკაში ერთ დროს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ.

კვაკერების მიერ დაწყებული ბრძოლა ჩრდილო პროვინციების საზღვრებს გასცდა მონებით ვაჭრობას ბრძოლა დაუწყეს ატლანტის ოკეანის გადაღმაც. განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისში გამოუჩნდა მრავალი მომხრე ამ კეთილშობილურ საქმეს. მთელ ევროპასი გაისმა ჰუმანურ ლოზუნგი: "პრინციპის დაღუპვას კოლონიების დაღუპვა სჯობს!" მიუხედავად დიდი კომერციული და პოლიტიკურ ინტერესებისა, ეს ლოზუნგი მთელ ევროპას მოედო. ყინული დაიდრა! 1807 წელს ინგლისმა გააუქმა ზანგებით ვაჭრობა თავის კოლონიებში, 1814 წელს მას საფრანგეთმაც მიბაძა. ორმა მძლავრმა სახელმწიფომ ამ საკითხზე ხელშეკრულება დადო. იგი ნაპოლეონმა დაამტკიცა ასი დღის მეფობისას.

მაგრამ ჯერჯერობით ეს მაინც მარტო თეორიული დეკლარაცია იყო. მონობით დატვირთული გემები ზღვებსა და ოკეანეებს ისევ სერავდნენ და ნავსადგურებში ცლიდნენ თავიანთ "შავ ტვირთს", ამ საშინელი ვაჭრობის აღსაკვეთად საჭირო იყო უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. შეერთებულმა შტატებმა 1820 წელს ინგლისმა 1824 წელს მონებით ვაჭრობა მეკობრეობად გამოაცხადა, მეკობრეებს კი, ჩვეულებრივ, სიკვდილით სჯიდნენ ხოლმე. ამის შემდეგ მონათვაჭრებს სასტიკი დევნა დაუწყეს. საფრანგეთმა მაშინვე დაუჭირა მხარი ამ შეთანხმებას. მაგრამ სამხრეთ ამერიკის შტატებმა და ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებმა ძველი გზით სვლა არჩიეს. ეს ქვეყნები ისევე ახერხებდნენ ზანგების გადაყვანას, თუმცა ექვმიტანილი გემები სისტემატურად იჩხრიკებოდა.

მონობის გაუქმების კანონი არ ვრცელდებოდა ძველ მონებზე. ახლა ზანგებს მონებად აღარ ჰყიდდნენ, მაგრამ ძველი მონები მაინც არ გაათავისუფლეს.

პირველი ნაბიჯი ინგლისმა გადადგა. 1833 წელს 14 მაისს ზოგადი დეკლარაციით გაათავისუფლეს დიდი ბრიტანეთის კოლონიების ყველა ზანგი და 1838 წლის აგისტოში ექვსას სამოცდაათი ათასი მონა თავისუფალ ადამიანად გამოაცხადა.

ათი წლის შემდეგ, 1848 წელს, საფრანგეთმა ორას სამოცი ათასი ზანგი გაათავისუფლა, რომლებიც კოლონიების მონები იყვნენ.

1859 წელს შეერთებული შტატების ფედერალისტებსა და კონფედერალისტებს შორის ამტყდარმა ომმა ემანსიპაციის საქმე ბოლომდე მიიყვანა და ამასთან მთელ ჩრდილოეთ ამერიკაშიც გაავრცელა.

ასე დაასრულა ეს კეთილშობილური საქმე სამმა დიდმა სახელმწიფომ. ამჟამად აღმოსავლეთის ხალხების, თურქების და არაბების, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მონათავაჭრობა მხოლოდ ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებშია შემორჩენილი. მართალია, არც ბრაზილიამ გაათავისუფლა თავისი ძველი მონები, მაგრამ ახალი მონები აღარ შემოჰყავთ და მონა-ზანგების შვილები თავისუფალ ადამიანებად იბადებიან.

აფრიკაში კი ადგილობრივი ტომების მეთაურები აწარმოებენ სისხლისმღვრელ ომებს, ნადირობენ ადამიანებზე და მთელ ტომებს მონობის უღელში აბამენ.

მონათვაჭრობის ქარავნები ორი საპირისპირო მიმართულებით მიემგზავრებიან: ერთი დასავლეთით - პორტუგალიის კოლონია ანგოლასაკენ, ხოლო მეორე - აღმოსავლეთით, მოზამბიკისაკენ. ამ უბედურთაგან დანიშნულების ადგილზე მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს. ზოგს კუბაში გზავნიან, ზოგს მაგადასკარზე, ნაწილს არაბებისა და თურქების აზიურ კოლონიებში, მექაში, მასკატში. საფრანგეთის ან ინგლისის კრეისერებს ამის აღკვეთა არ ძალუძთ, რადგან ვეებერთელა მანძილზე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ფხიზლად თვალთვალი და დარაჯობა არ ეხერხება.

ჯერ კიდევ დიდია ეს საზიზღარი ექსპორტი?

ძალზე დიდია! სანაპიროზე ყოველწლიურად დაახლოებით ოთხმოცი ათასი მონა ჩამოჰყავთ ხოლმე. ეს კი სამინელ ტანჯვა-წამებას და ცემა-გვემას გადარჩენილ ადამიანთა მეთაედი ნაწილია. უღმობელ სასაკლაოზე რჩება განადგურებული და უკაცრიელი მინდვრები, გადახრუკული და დაცლილი სოფლები. მდინარეებს მოაქვს დახოცილ ადამიანთა გვამები, დანგრეულ, გაპარტახებულ ნასოფლარებში კი მხეცები დათარეშობენ. ლივინგსტონმა ადამიანთა ამ ნადირობის ნაკვალევზე გავლისას ვეღარ იცნო რამდენიმე თვით ადრე ნანახი პროვინციები. სხვა მოგზაურებიც - გრანტი, სპივი, ბერტონი, კამერონი, სტენლი - არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალური აფრიკის ტყიანი პლატო ადგილობრივ ტომების მეთაურთა ომების ძირითადი ასპარეზიაო.

დიდი ტბების რაიონში, მთელ იმ ვრცელ მხარში, რომელიც ამარაგებს ზანზიბარის ბაზარს, ბორნუში, ფეცანში, უფრო სამხრეთით, ნიასისა და ზამბეზის სანაპიროებზე, დასავლეთით - ზაირის სათავის რაიონში, რომელიც გადასერა მამაცმა სტენლიმ - ყველგან ერთნაირი სურათია, ნანგრევები, რბევა, ნასახლარები, ხალხის ჟლეტა.

ნუთუ მონებით ვაჭრობა აფრიკაში მხოლოდ შავი რასის ამოწყვეტის შემდეგ მოისპობა? ნუთუ ამ რასას ავსტრალიის ადგილობრივ მკვიდრთა ბედი მოეღოს?

არა! ერთ მშვენიერ დღეს დაიხურება ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიების ბაზრები! შეწყდება მონებით ვაჭრობა. ცივილიზებული ხალხები ხელს აიღებენ ამ სამარცხვინო საქმეზე!

დიახ! ეჭვი არ არის, რომ ახლა, 1878 წელს, ჩვენ მოწმენი უნდა გავხდეთ იმ მონათა განთავისუფლებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არიან ქრისტიანულ სახელმწიფოებში.

მუსლიმანური ქვეყნები კი, ალბათ, ჯერჯერობით თავს არ დაანებებენ ამ ვაჭრობას, აფრიკის კონტინენტს ამოწყვეტით რომ ემუქრება. სწორედ მუსლიმანურ ქვეყნებში გადაჰყავთ ყველაზე მეტი ზანგი. თავის ქვეყნას მოწყვეტილ და აღმოსავლეთ სანაპიროზე წაყვანილი ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი ყოველწლიურად ორმოც ათასს აღემატება.

ეგვიპტის ექსპედიციამდე კარგა ხნით ადრე სენაარის ზანგებს ათასობით ყიდულობდნენ დარფურის ზანგები და პირიქით.

გენერალმა ბონაპარტემაც კი იყიდა მრავალი ზანგი და მამლუკებივით ჯარისკაცებად აქცია. მას აქეთ ჩვენი საუკუნის ოთხი მეხუთედი გადის, აფრიკაში მონათვაჭრობა კი არ შემცირებულა. პირიქით!

ისლამი მონებით ვაჭრობას ხელს უწყობს. მუსულმანური პროვინციებში თეთრი მონები შავებით შეცვლა იყო საჭირო. ამიტომ ყველა ჯურის მონებით მოვაჭრენი ძალზე ეტანებიან ამ ბინძურ საქმიანობას. ამ გზით ისინი ახალ-ახალი მოსახლეობით ავსებენ იმ რასებს, ამოწყვეტის გზას რომ ადგანან და ამოწყდებიან კიდეც, რადგან შრომით საქმიანობაში არ არიან ჩაბმულნი. ეს მონები ხშირად ჯარისკაცები ხდებიან. როგროც ეს ბონაპარტეს დროს მოხდა. ზემო ნიგერიის ზოგიერთ ხალხთან ერთად ისინი აფრიკელი ტომების მეთაურთა არმიის ნახევარს შეადგენენ და არც ისე ცუდ პირობებში არიან თავისუფალ ადამიანებთან შედარებით. თუკი მონა ჯარისკაცად არ იქცევა, იგი მიმოქცევაში მონეტასა და თვით ეგვიპტესა და ბორნუმიც ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს ამ მონეტიტ უნაზღაურებენ შრომას. გიომ ლეჟანმა ეს საკუთარი თვალთ იხილა!

ასეთ მდგომარეობაშია მონათვაჭრობა ამჟამად. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ევროპის ზოგიერთი დიდი სახელმწიფომ სამარცხვინო ვაჭრობას შემწყნარებლური თვალთ უყურებს, როდესაც კრეისრები აფრიკის, ინდოეთის ოკეანისპირა და ატლანტის სანაპიროებს ზედამხედველობენ, ქვეყნის გაცხოველებული ვაჭრობაა გამართული. დროდადრო არბევენ ზანგებს. ათი უნდა მოკვდეს, რომ ერთი მონად აქციონ.

ახლა კი ცხადია, რატომ წამოიძახა თავზარდაცემულმა დიკ სენდმა ეს სიტყვები.

- აფრიკა! ეკვატორული აფრიკა! მონათვაჭრობისა და მონების აფრიკა!

იგი არც შემცდარა. ეს მართლაც აფრიკა იყო, რომელიც ათასგვარ სფრთხეს უქადდა მათ.

მაგრამ აფრიკის კონტინენტის ნეტავ რომელ ნაწილში გადმოისროლა ისინი ულმოზელმა ბედისწერამ? უთუოდ დასავლეთ სანაპიროზე. ეს კი საქმეს უფრო ამწელებდა. ახალგაზრდა მეზღვაურის აზრით, "პილიგრიმი" სწორედ ანგოლის სანაპიროზე გაირიყა. აფრიკის ამ ნაწილს კი მონების მთელი ქარავნები სერავენ ხოლმე.

მართლაც, ეს ის ქვეყანა იყო, რომელიც დიდი გაჭირვებით გადასერა სამხრეთით კამერონმა, ხოლო ჩრდილოეთით - სტენლიმ. ეს თვალუწვდენელი ტერიტორია სამი პროვინციისგან - ბენგელას, კონგოსა და ანგოლასაგან შედგება. ამათგან მხოლოდ სანაპირო ზოლია გამოკვლეული. იგი სამხრეთით ნურსიდან ჩრდილოეთით ზაირამდეა გადაჭიმული. ორი მთავარი ქალაქი იმავე დროს ნავსადგურებიცაა: ბენგელა და სან-პაოლო-დე-ლუანდა, კოლონიის დედაქალაქი. იგი პორტუგალიის სამეფოს ეკუთვნის.

ქვეყნის შიდა მხარე თითქმის შეუსწავლელი იყო. მოგზაურთაგან მხოლოდ ზოგიერთმა თუ გაბედა ქვეყნის სიღრმეში შესვლა. საშინელი, მომაკვდინებელი ჰავა, ცხელი და ნოტიო ნიადაგი, ციება, ველური ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ კაციჭამიაა, განუწყვეტელი ომები ადგილობრივ ტომებს შორის, მონათვაჭრების უნდობლობა ყოველი უცხოელისადმი (რომ არ გაიგოს მათი სამარცხვინო საქმიანობის საიდუმლოება) - აი, ის უამრავი სიძნელე, რომლის გადალახვაა საჭირო, საფრთხე, რომელსაც უნდა გაუმკლავდე ანგოლის ამ პროვინციაში - ეკვატორული აფრიკის ყველაზე უფრო სშიშ მხარეში!

1816 წ. ტიუკვი აჰყვა კონგოს დინებას და იელალას ჩანჩქერებსაც გასცდა, მაგრამ მხოლოდ ორასი მილის გავლა მოახერხა. ასეთ პატარა ექსპედიციას ქვეყნის საფუძვლიანი შესწავლა არ შეეძლო. ეს ორასი მილიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ექსპედიციის მეცნიერთა და ოფიცერთა უმრავლესობას.

ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ დოქტორმა ლივინგსტონმა გაიარა კონტინენტი კეთილი იმედის კონცხიდან ზამბეზის სათავეებამდე. იქიდან 1853 წლის ნოემბერში სწორუპოვარი სიმამაცით გადასერა აფრიკა სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გადავიდა მდინარე კონგოს ერთ-ერთ შესართავ კუანგოზე და 1854 წლის 31 მაისს ჩავიდა სან-პაოლო-დე-ლუანდაში. ის იყო პორტუგალიის დიდი კოლონიის გაუვალი ადგილების პირველი მეკვლე.

თვრამეტი წლის შემდეგ ორმა მამაცმა მოგზაურმა გადაჭრა აფრიკა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და გაუგონარი სიძნელების დაძლევის შემდეგ ერთი ანგოლას სამხრეთით გავიდა, ხოლო მეორე - ჩრდილოეთით.

პირველი იყო ინგლისის ფლოტის ლეიტენანტი ვერნი-ლოვეტ კამერონი. 1872 წელს გავრცელდა ხმა, რომ ამერიკელი სტენლის ექსპედიცია, რომელიც დიდი ტბების რაიონში იყო გაგზავნილი ლივინგსტონის მოსაძებნად, მძიმე მდგომარეობაშიაო. ლეიტენანტმა კამერონმა გამოთქვა სურვილი, მის ნაკვალევზე წასულიყო. ეს წინადადება მიღებულ იქნა! კამერონს თან ახლდნენ დოქტორი დილონი, ლეიტენანტი სესილ მერფი და რობერტ მოფა - ლივინგსტონის ნათესავი. მათ მოგზაურობა ზანზიბარიდან დაიწყეს. უგოგოს გადალახვის შემდეგ კამერონმა იხილა სამგლოვიარო ქარავანი - ერთგული მსახურნი ლივინგსტონის ნემტს აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ მოასვენებდნენ. კამერონმა მაინც განაგრძო გზა დასავლეთისაკენ. გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, ოკეანემდე მიეღწია, მან გაიარა უნიანემბე, უგუნდა და მივიდა კაჰუელემდე (აქ მან ნახა დიდი მოგზაურის დღიურები), გადალახა ტბა ტანგანიკა, ზამბარეს მთები, მდინარე ლუალაბა, მაგრამ ვეღარ შეძლო ჩაჰყოლოდა მის დინებას. შემდეგ გაიარა ომების ნახანძრალი ადგილები და მონათვაჰრების დარბევის შემდეგ გაუჰკაცირიელებული და გადაბუგული პროვინციები: კილემბა, ურუა, მდინარე ლომანეს სათავე, ულუდუ, ლოვალე, გადალახა ქვანზის უსიერი, ვეებერთელა ტყეები, სადაც ჰერისმა შეიყვანა დიკ სენდი და მისი თანამგზავრები. ენერგიულმა კამერონმა, როგორც იყო, იხილა ატლანტის ოკეანე და ჩავიდა ბენგელის ქალაქ სან-ფელიპეში. ამ მოგზაურობამ სამ წელიწადსა და ოთხ თვეს გასტანა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა მის ორ თანამგზავრს - დილონსა და რობერტ მოფას.

ინგლისელ კამერონს მალე ამერიკელი ჰენრი სტენლი მიჰყვა. იგი გაიგზავნა ლივინგსტონის მოსაძებნად. "ნიუ-იორკ ჰერალდის" ამ უშიშარმა და მამაცმა კორსპონდენტმა იპოვა ლივინგსტონი 1871 წლის 30 ოქტომბერს უჯიჯში, ტბა ტანგანიკის ნაპირზე. ჰენრის ამ ჰუმანური საქციელით არ დაკმაყოფილდა. გადაწყვიტა გაეგრძელებინა მოგზაურობა და შეესწავლა ლუალაბა, რომლის საფუძვლიანად დათვალიერება მან ვერ მოასწრო.

კამერონი ჯერ კიდევ ცენტრალური აფრიკის პროვინციებში იმყოფებოდა, როდესაც სტენლიმ 1874 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ სანაპიროზე დატოვა ბაგამოიო, ხოლო 21 თვის შემდეგ, 1876 წლის 24 აგვისტოს - ყვავილის ეპიდემიისაგან დაცლილი უჯიჯი. 74 დღე დასჭირდა ტბიდან ნიანგვემდე - მონების დიდ ბაზრამდე გადასვლას. ეს ბაზარი ლივინგსტონსა და კამერონს ნანახი ჰქონდა. აქ იგი უნებური მოწმე გახდა იმ საშინელი თარეშისა, რომელიც ზანზიბარის სულთნის ოფიცრებმა მოაწყვეს მარუნგუს და მანიუმას ქვეყნებზე.

სტენლიმ ლუალაბას შესწავლა გადაწყვიტა. უნდოდა ჩაჰყოლოდა მის დინებას ქვევით, შესართავამდე. მისი ექსპედიცია შედგებოდა ნიანგვეში დაქირავებული ას ორმოცი საჭურველმტვირთველისაგან. ჰქონდათ ცრამეტი ნავი. ექსპედიციას ხშირად შეტაკება უხდებოდა უგუსუს კაციჰამიებთან. ნავებს ხელით ატარებდნენ, რომ გვერდი აექციათ გაუვალი ჩანჩქერებისათვის.

იქ, სადაც ლუალაბა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უხვევს, სტენლის პატარა ფლოტილის თავს დაესხა რამდენიმე ასეული ადგილობრივი მცხოვრებლებით დატვირთული ორმოცდათოთხმეტი ნავი.

სტენლიმ უკუაქცია ისინი. მამაცმა ამერიკელმა მიარწია ჩრდილო განედის მეორე გრადუსამდე და დაადგინა, რომ ლუალაბა ზაირის ანუ კონგოს სათავე იყო. თუ მის დინებას გაყვებით, პირდაპირ ოკეანეში გავალთ. მან ეს გზა ირჩია. სტენლის თითქმის ყოველდღე უხდებოდა შეტაკება მდინარის პირას მოსახლე ტომებთან.

1877 წლის 3 ივნისს, მასასას ჩანჩქერებზე გადასვლისას სტენლიმ დაკარგა ერთ-ერთი თანამგზავრი - ფრენსის პოკოკი, - ხოლო 18 ივლისს დინებით მოტაცებული ნავი მბელოს ჩანჩქერისაკენ დაცურდა და სტენლი მხოლოდ რაღაც სასწაულით გადაურცა სიკვდილს.

6 აგვისტოს ჰენრი სტენლი სოფელ ნი-სანდაში ჩავიდა. აქედან სანაპირომდე ოთხი დღის სავალია რჩებოდა. ორი დღის შემდეგ ბანცა-მბუკაში მას დახვდა ემბომის ორი ვაჰრისაგან

გამოგზავნილი სურსათი. სტენლიმ ბოლოს და ბოლოს სანაპიროს ამ პატრა ქალაქში ძლივს მოახერხა დასვენება.

საშინელმა დაღლილობამ, გადატანილმა გაჭირვებამ უცბად დააბერა ეს ოცდათხუთმეტი წლის მოგზაური. მოგზაურობას სტენლიმ ორი წელი და ცხრა თვე მოანდომა და შეისწავლა ლუალაბას დინება ატლანტის ოკეანემდე. თუ ნილოსი ჩრდილოეთის არტერიად ითვლებოდა, ხოლო ზამბეზი - აღმოსავლეთისა, ამ მოგზაურობის შემდეგ დადგინდა, რომ აფრიკას დასავლეთითაც ჩაუდის მესამე - ერთ-ერთი უდიდესი მდინარეთაგანი მსოფლიოში, გადაჭიმული ორი ათას ცხრაას მილზე. მდინარე დინების სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელითაა ცნობილი - ლულაბა, ზაირი და კონგო. იგი ტბების რაიონს ატლანტის ოკეანესთან აერთებს.

სტენლისა და კამერონის ექსპედიციებმა გაიარეს ანგოლას ჩრდილო და სამხრეთ საზღვრებზე. თვით ანგოლას პროვინცია კი 1873 წელს ნაკლებად იყო შესწავლილი. "პილიგრიმის" კატასტროფა სწორედ ამ დროს მოხდა აფრიკის სანაპიროზე. ამ სანაპიროზე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ იგი აღმოსავლეთის მონათვაჭრის ცენტრს წარმოადგენდა და რომ მას მთავარი ბაზრები ბიჰეში, კასონგოსა და კაზონდეში ჰქონდა. სწორედ აქ, სანაპიროდან ასეული მილის დაშორებით აღმოჩნდნენ. დიკ სენდი და მისი თანამგზავრები: დაღლილობისა და მწუხარებისაგან სასომიხდილი ქალი, მომაკვდავი ბავშვი და ზანგები - მეტად ხელსაყრელი ნადავლი ხარბი მონათვაჭრებისათვის!

ღიახ, ეს იყო აფრიკა და არა სამხრეთ ამერიკა, სადაც არც ადგილობრივი მკვიდრნი, არც ცხოველები და არც ჰავა არავითარ საფრთხეს არ უქმნის მოგზაურს. ეს არ იყო კორდილიერებსა და სანაპიროს შუა მდებარე მაღლიანი მხარე, სადაც უხვადაა დასახლებული ადგილები და მისიონერთა სტუმართმოყვარული სახლის კარი მუდამ ღია ყოველი მოგზაურისათვის!

რა შორს დარცა პერუ და ბოლივია! "პილიგრიმი" უეჭველად მიიყვანდა მათ ამ ქვეყნებში, ბოროტ ხელს რომ არ შეეცვალა მისი კურსი! იქიდან ხომ კატასტროფაში მოყოლილნი სულ ადვილად მოახერხებდნენ სამშობლოში დაბრუნებას!

ეს იყო საზარელი ანგოლა! თანაც სანაპიროს ის ნაწილი კი არა, რომელსაც უშუალოდ მეთვალყურეობას უწევენ პორტუგალიელი ხელისუფალნი! არა! სწორედ კოლონიის შიდა ნაწილი, სადაც ზედამხედველნი მათრახით მიერეკებიან მონათა ქარავნებს!

რა იცოდა დიკ სენდმა ამ ქვეყანაზე, სადაც იგი ღალატით მოხვდა? ძალიან ცოტა რამ! მხოლოდ ის, რაც XVI და XVII საუკუნეების მისიონერებს დაუწერიათ. ზოგი რამ იმ ვაჭრებს უამბნიათ, რომელთაც სან-პაოლო-დე-ლუანდადან ზაირამდე უმოგზაურიათ სან-სალვადორის გავლით. ზოგი კი დოქტორმა ლივინგსტონმა მოგვითხრო თავისი 1853 წლის მოგზაურობის შემდეგ.

ესეც საკმარისი იყო, რომ შიშის ზარს მოეცვა დიკ სენდზე უფრო ძლიერი ადამიანებიც კი! მდგომარეობა მართლაც თავზარდამცემი იყო!

თავი II

ჰერისი და ნეგორო

როგორც მკითხველმა უკვე იცის, დიკ სენდი და მისი თანამგზავრები ტყეში უკანასკნელად დაბანაკდნენ.

მეორე დღეს, სამიოდე მილის დაშორებით, პირობის თანახმად, ერთმანეთს ორი ადამიანი შეხვდა.

ესენი ჰერისი და ნეგორო იყვნენ. მონათვაჭრობის საქმეების გამო ჰერისი ხშირად მოგზაურობდა აფრიკის ამ სანაპიროზე. თუ რა მოჰყვა ახალი ზელანდიიდან წამოსული პორტუგალიელისა და ამერიკელის შემთხვევით შეხვედრას ანგოლას სანაპიროზე, ამას მკითხველი შემდეგში გაიგებს.

გაუვალ პაპირუსებში ჩქარ მდინარეს გაეკვლია გზა, ნაპირზე, უზარმაზარი ლეღვის ძირში, ჰერისი და ნეგორო ჩამომსხდარიყვნენ და საუბრობდნენ.

ამერიკელი და პორტუგალიელი ის-ის იყო ერთმანეთს შეხვდნენ და, რა თქმა უნდა უკანასკნელ საათებში მომხდარ ამბებზე საუბრობდნენ.

- ჰერის, ვერ მოახერხე ანგოლოს სიღრმესი, უფრო შორს შეგეყვანა კაპიტან სენდის რაზმი? - ჰკითხა ნეგორომ, თან დამცინავად და ზიზღით დაუმატა: - ასე ემახიან ამ თხუთმეტი წლის ახალბედას!

- ვერა, მეგობარო, - მიუგო ჰერისმა, - ისიც საოცარია. ასი მილით როგორ მოვაშორე ისინი ნაპირს. რამდენიმე დღეა, დიკ სენდი უნდობლად მიყურებდა და ეჭვებში თანდათან დარწმუნდა, მე კი...

- კიდევ ასი მილიც და ისინი ნამდვილა ჩვენს ხელთ იქნებოდნენ! მაგრამ რაც ახლა უნდა დაგვისხტდნენ!

- ოჰ! როგორ დაგვისხტებიან? - თქვა ჰერისმა და მხრები აიჩეჩა, - ღმერთმანი, ნეგორო, სწორედ რომ დროზე გამოვიპარე! "ჩემ ახალგაზრდა მეგობარს" თვალელებში ეტყობოდა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, ტყვია პირდაპირ გულში დაეხალა ჩემთვის. მოგეხსენება, მე მიჭირს იმ "ქლიავის" მონელება, რომელიც იარაღების სავაჭროებში დუჟინი ერთ ფუნტად ფასობს.

- გასაგებია! - თქვა ნეგორომ, - მეც ჩემი ანგარიში მაქვს მაგ ლლაპთან...

- მერე, სამაგიერს გადახდასაც მოახერხებ და სარგებლის აღებასაც? პირველ დღეებში შევძელი ეს მხარე ატაკამის უდაბნოდ გამესაღებინა. იქ ერთხელ ვყოფილვარ კიდევ, მაგრამ ლაწირაკმა "კაუჩუკის ხე" და ფრინველ-ბუზები მოითხოვა, დედამისს ქინაქინის ხე მოესურვა, კუზენი კი მანათობელ ხოჭოებს ეძებდა! მთელი ჩემი ფანტაზია მოვიშველიე, რომ ჟირაფები სირაქლეძებად გამესაღებინა. (ნეგორო! ეს განსაცვივრებელი აღმოჩენა იყო!). მაგრამ შემდეგ უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა! ვგრძნობდი ახალგაზრდა კაპიტანს ჩემი აღარაფერი სწამდა! მალე სპილოების ნაკვალევს წავაწყდით! შემდეგ ჰიპოპოტამებიც კი გამოჩნდნენ. შენ მაინც იცი, ნეგორო, ჰიპოპოტამები და სპილოები ისევე წარმოუდგენელია ამერიკაში, როგორც ბენგელას საკატორლო საპატიმროსი პატიოსანი ადამიანი! ბოლოს მოხუცი ზანგმა ხის ძირას ხუნდები და ჯაჭვები იპოვა. ისინი უთუოდ, რომელიმე მონამ მოიხსნა და გაიქცა! სწორედ ამ დროს ლომის საშინელი ღრიალი მოისმა და მოგეხსენება, ძალიან ძნელია ეს საშინელი ღრიალი უწყინარი კატის კნავილად გასალო. ისლა დამრჩენოდა, ცხენს მოხვტომოდი და გამომექუსლა!

- მესმის, - მიუგო ნეგორომ, - მაგრამ მაინც კარგი იყო, ერთი ასიოდე მილი კიდევ გაევილოთ და უფრო ღრმად შესულიყვნენ ტყეში.

- თავს ზევით ძალა არ არის, - უპასუხა ჰერისმა, - კიდევ კარგი, რომ ჩვენს ქარავანს კარგა მოშორებით მოჰყვებოდი. ისინი გრძნობდნენ, რომ შენ სადღაც იქვე იყავი. იმათ ძალს, დინგოს, ეტყობა საშინლად სძულხარ, რა დაუშავე იმ ცხოველს?

- არაფერი, - მიუგო ნეგორომ, - მალე ჩემგან კეფაში ტყვიას მიიღებს.

- შენც მიიღებდი დიკ სენდისაგან ტყვიას, ორასიოდე ფუტის მანძილზე რომ გამოჩენილიყავი! ოჰ! ის შესანიშნავი მსროლელია! ჩვენს შორის დარჩეს და, ძალიან ყოჩადი ბიჭია!

- იყოს ყოჩადი, ჰერის, მაგრამ თავხედობას არ შევარჩენ, - მიუგო ნეგორომ და სახეზე დაუნდობელი სისასტიკე გამოეხატა.

- ოჰჰ! - ჩაილაპარაკა ჰერისმა, - ჩემი მეგობარი მოგზაურობას არ შეუცვლია ისეთივე დარჩენილა, როგორც ყოველთვის იყო!

წუთიერი სიჩუმის შემდეგ დასძინა:

- ჰო, მართლა, ნეგორო, მდინარე ლონგის შესართავთან, გემის კატასტროფის ადგილას მოულოდნელად რომ შეგხვდი, შენ მხოლოდ იმის თქმა მოასწარი, ეს ხალხი ტყეში რაც შეიძლება ღრმად შეიყვანე, ვითომ ბოლივიის მხარეში იმყოფებიანო! ის კი ვეღარ მითხარი, როგორ ცხოვრობდი და რას აკეთებდი ამ ორი წლის მანძილზე! ორი წელი ჩვენს მშოფთვარე ცხოვრებაში ცოტას არ ნიშნავს. მე მონების ერთ-ერთი ქარავნის მეთაურობა დამავალა მოხუცმა

ალვეცმა, ჩვენ ხომ მისი აგენტები ვიყავით, შენი კი, რაც კასანგე დატოვე, ველარაფერი გავიგე! ვფიქრობდი კიდეც, რაიმე ხიფათი ხომ არ შეემთხვა და გემის ანძაზე ხომ არ ჩამოახრჩეს-მეთქი!.

- კინალამ ასეც მოხდა, ჰერის!
- ოდესმე ეგ არ აგცდებია, ნეგორო!
- გმადლობთ!

- რას იზამ! - მიუგო ჰერისმა მშვიდი ფილოსოფიური ტონით, - ჩვენი ხელობის კაცის ბოლო ესაა! შეუძლებელია მონათმოვაჭრობას ეწეოდე აფრიკის სანაპიროზე და საკუთარ ლოგინში სიკვდილის იმედი გქონდეს! მერე, დაგიჭირეს?

- ჰო!
- ინგლისელებმა?
- არა, პორტუგალიელებმა.
- ტვირთის ჩაბარებამდე, თუ შემდეგ? - ჰკითხა ჰერისმა.

- შემდეგ... - მცირე ყოყმანის შემდეგ მიუგო ნეგორომ, - ეს ოხერი პორტუგალიელები ახლა საქმეს აჭირებენ! ამდენი ხანია მონათვაჭრობას მისდევდნენ, ასეთი სარგებლობა ნახეს და ახლა აღარ უნდათ! თვალყურს მადევნებდნენ, დამაბეზღეს და დამიჭირეს...

- მოგისაჯეს?
- ჰო! სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს სან-პაოლო-დე-ლუანდას კატორღაში.
- დასწყევლოს ეშმაკმა, - შეჰყვირა ჰერისმა. - კატორღა? კატორღას ისევ ჩამოხრჩობას ვამჯობინებდი! კატორღას როგორ შეეგუება ჩვენსავით სუფთა ჰერს მიჩვეული კაცი?
- სახრჩობელას თავს ვერ დააღწევ, - მიუგო ნეგორომ, - კატორღას კი...

- შესძელი გაქცევა?
- თხუთმეტი დღის შემდეგ მოვახერხე გაქცევა და ინგლისური გემის ტრიუმში დავიმაღე.

გემი ოკლენდში, ახალ ზელანდიაში მიდიოდა. წყლიანი კასრი და კონსერვებით სავსე ყუთი, რომლთა შორის ვიყავი ჩაჩხერილი, სიცოცხლის მინარჩუნებდა. საშინლად დავიტანჯე, მაგრამ სანამ შუა ზღვაში ვიმყოფებოდით, გამოჩენა მაინც არ მინდოდა. ასეთი სისულელე თუნდაც რომ ჩამედინა, სულ ერთი იყო, მაინც ტრიუმში ჩამაგდებდნენ. ძალაუნებურად ისევ ისეთივე წამება მელოდა! ესეც არ იყოს, ოკლენდში ჩასვლისთანავე ისევ ინგლისელ ხელისუფალთ გადამცემდნენ. ისინი კი, შენი თქმისა არ იყოს, ან ლუანდის საპატიმროში დამაბრუნებდნენ, ან ჩამომახრჩობდნენ. აი, ამიტომ ვარჩიე, ჩუმად მემგზავრა...

- თანაც უფასოდ! - დასძინა ჰერისმა სიცილით, - ოო! ეს კი სირცხვილია, მეგობარო! მუქთა სმა-ჭამა და მგზავრობა!

- ჰო, - მიუგო ნეგორომ, - მაგრამ ოცდაათი დღე ტრიუმში ყოფნაც არაა ადვილი...

- კიდეც კარგი, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ნეგორო! მაშასადამე, შენ ახალ ზელანდიაში, მაორის ქვეყანაში გაემგზავრე? მაგრამ იქ ხომ არ დარჩენილხარ? უკან დაბრუნებისას ისევ ტრიუმით მგზავრობა მოგიხდა?

- არა, ჰერის! შენ კარგად გამიგებ, მე იქ მხოლოდ ერთადერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი. ეს სურვილი სულსა და გულს მიღრღნიდა: მინდოდა დავბრუნებულიყავი ანგოლაში და ისევ ჩემს ხელობას, მონათვაჭრობას, შევდგომოდი.

- მართალი ხარ! - მიუგო ჰერისმა, - ჩვენ ჩვენს ხელობას ვერ ვუმტყუნებთ ხომ გაგიგონია, "ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო".

- წელიწად-ნახევარს...

ნეგორომ უცბად საუბარი შეწყვიტა, ჰერისს ხელი სტაცა და სმენად იქცა.

- ჰერის, - თქვა მან ხმადაბლა, - გაიგონე შრიალი პაპირუსებში?
- გავიგონე, - მიუგო ჰერისმა და თოფს ხელი სტაცა.

ორივენი წამოდგნენ. თვალი მოავლეს იქაურობას და მიაყურადეს.

- არაფერი არ ისმის, - თქვა ჰერისმა, - ნაავდრალზე მდინარე ადიდებულა და ხმაურობს ამ ორ წელიწადში შენ. ალბათ ტყის ხმაურს გადაეჩვიე. მაგრამ არა უშავს, ისევ მალე მიეჩვევი. განაგრძე შენი თავგადასავალი, შემდეგ კი მომავალზე ვისაუბროთ.

ნეგორო და ჰერისი ისევ ლედვის ძირას ჩამოსხდნენ.

- წელიწად-ნახევარი დავეხეტებოდი ოკლენდში, - განაგრძო პორტუგალიელმა, - გემის ტრიუმიდან შეუმჩნევლად ამოვედი, მაგრამ ჯიბეში არც ერთი დოლარი, არც ერთი პიასტრი არ მიჭყაოდა! შიშით რომ არ მოვმკვდარიყავი, ყოველგვარ საქმეს ვკიდებდი ხელს.

- პატოსანი ადამიანით მუშაობდი?

- ჰო, პატოსანი დამინივით, ჰერის!

- შე, საწყალო!

- სულ იმას ვფიქრობდი, იქაურობა როგორმე დამეტოვებინა, მაგრამ შემთხვევა არ მეძლეოდა, სანამ ვეშაპზე მონადირე გემი "პილიგრამი" არ მოადგა ოკლენდის ნავსადგურს.

- ის გემი, ანგოლას სანაპიროზე რომ დაიმსხვრა?

- ჰო, სწორედ ის გემი, რომლითაც მისის უელდონმა და მისმა კუზენმაც გადაწყვიტეს მგზავრობა. მე ხომ ძველი მეზღვაური ვარ, ერთ დროს მონებით მოვაჭრე გემზე კაპიტნის მოადგილედაც კი მიმუშავებია. ამიტომ არ მეუხერხულა სამუშაოს თხოვნა....

მივედი "პილიგრამის" კაპიტანთან და სამუშაო ვთხოვე, მაგრამ ეკიპაჟი უკვე შევსებული იყო. ჩემს იღბლად გაიქცა შხუნა-ბრიგის მზარეული. საქმლის კეთება ყველა მეზღვაურმა უნდა იცოდეს. კაპიტანს ვუთხარი, გამოცდილი მზარეული ვარ-მეთქი. რადგან არჩევანის საშუალება არ ჰქონოდათ, მე ამიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ახალი ზელანდიის მიწა თვალს მიეფარა.

- ჰო, მაგრამ, - ჩაურთო ჰერისმა, - როგორც ჩემმა "ახალგაზრდა მეგობარმა" მითხრა, "პილიგრამი" სულაც არ აპირებდა აფრიკისაკენ წამოსვლასო. აქ როგორ მოხვდა?

- დიკ სენდს ახლა ამის გაგება არ ძალუძს და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებს. მე აგიხსნი, ჰერის, როგორც მოხდა ყველაფერი და თუ გინდა, შეგიძლია უამბო შენ ახალგაზრდა მეგობარს.

- უთუოდ, უთუოდ, - ხარხარით მიუგო ჰერისმა, - მითხარი, მეგობარო, მომიყევი!

- "პილიგრამი", - დაიწყო ნეგორომ, - ვალპარაისოში მიდიოდა. როცა გემზე მოვეწყვე, მხოლოდ ჩილიმდე მისვლას ვაპირებდი. ჩილი ხომ ახალზელანდიისა და ანოლას შუა გზაზეა, და მე რამდენიმე ათასი მილით მივუახლოვდებოდი აფრიკის ნაპირს. მაგრამ ოკლენდიდან სულ სამიოდე კვირის გამოსული ვიყავი, რომ კაპიტანი ჰული და მისი ეკიპაჟი ვეშაპზე ნადირობის დროს დაილუპნენ. გემზე მხოლოდ ორი მეზღვაური დარჩა - დიკ სენდი და მზარეული ნეგორო.

- და შენ გემის კაპიტანი გახდი? - იკითხა ჰერისმა.

- თავდაპირველად მეც მაგას ვფიქრობდი, მაგრამ შევატყვე, რომ არ მენდობოდნენ. გემზე ხუთი ღონიერი ზანგი იყო, თავისუფალი ადამიანები! მე გემის ბატონ-პატრონი ვერ გავხდებოდი. ეს ყველაფერი ავწონ-დავწონე და ვამჯობინე, გემის მზარეულად დავრჩენილიყავი.

- მას გემი აფრიკის ნაპირზე შემთხვევით მოხვდა?

- არა, ჰერის! - მიუგო ნეგორომ, - მთელ ჩემს თავგადასავალში შემთხვევითი მარტო შენთან შეხვედრაა. შენ შენი სავაჭრო საქმეების გამო სანაპიროზე სწორედ იმ ადგილას მოხვედი, "პილიგრამი" რომ დაილუპა. გემი კი ანგოლას ნაპირზე ჩემი სურვილით მოხვდა. შენი "ახალგაზრდა მეგობარი" ნავიგაციაში ჯერჯერობით სრულიად გამოუცდელია. გემის ადგილსამყოფელის გარკვევა მხოლოდ ლაგითა და კომპასით შეუძლია. ერთ მშვენიერ დღეს ლაგი ზღვის ფსკერისაკენ ჩაემვა, ხოლო ერთ მშვენიერ ღამეს კომპასმა მცდარი მიმართულების ჩვენება დაიწყო და ძლიერმა ქარიშხალმა "პილიგრამი" სულ სხვა გზით გააქანა. ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიზეზი დიკ სენდს ვერაფრით ვერ აეხსნა, ამას, ალბათ, ძალზე გამოცდილი მეზღვაურიც ვერ მიხვდებოდა. ახალგაზრდა მეზღვაურს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჩვენ ჰორნის კონცხს შემოვუარეთ. მე კი, ჰერის, სქელ ნისლში გახვეულიც კი, მაშინვე ვიცანი! კომპასის ისარმა ჩემივე მეოხებით ისევ სწორი მიმართულება მიიღო. საშინელმა ქარიშხალმა გემი ჩრდილო-აღმოსავლეთით გააქანა და აფრიკის სანაპიროზე, ანგოლას მიწა-წყალზე დაამსხვრია, სწორედ იქ, სადაც მე მინდოდა მოვხვედრილიყავი!

- სწორედ ამ დროს, ნეგორო, - თქვა ჰერისმა, - შემთხვევამ მეც აქ მომიყვანა, რომ შენ შეგხვედროდი და შენი "სიმპათიური" მგზავრები წამომეყვანა. მათ ეგონათ, რომ ამერიკაში მოხვდნენ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ამან მე გამიადვილა, ეს მხარე ქვედა ბოლივიად გამესაღებინა. იგი ხომ რაღაცით მართლაც ჰგავს იქაურობას.

- ჰო, მათ მართლაც ასე ეგონათ. იმ შენმა "ახალგაზრდა მეგობარმა" კუნძული ტრისტან-და-კუნია აღდგომის კუნძულად მიიჩნია.

- ეს ყველას შეეშლებოდა, ნეგორო!

- ვიცი, ვიცი, ჰერის, და მეც სწორედ ეს შეცდომა გამოვიყენე! ამის წყალობითაა, რომ მისი უელდონი და მისი მგზავრები დღეს ღია ცის ქვეშ ათევებენ ღამეს აფრიკის სანაპიროდან ასი მილის დაშორებით.

- სამაგიეროდ, ახლა მათ იციან, სადაც იმყოფებიან, - თქვა ჰერისმა.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს? - გაიკვირვა ნეგორომ.

- ახლა რას აპირებ? - ჰკითხა ჰერისმა.

- რასაც ვაპირებ, ჩემი საქმეა, - თქვა ნეგორომ, - შენ ერთი ეს მითხარი, ჰერის, რა იცი ახალი ჩვენს ბატონზე, მონებით მოვაჭრე ალვეცზე. ორი წელია, აღარ მინახავს.

- ო, ის ბებერი გველაძუა, თავს მშვენივრად გრძნობს! - მიუგო ჰერისმა, - შენი ნახვა ძალიან გაუხარდება.

- ისევ ბიჰეშია? - იკითხა ნეგორომ.

- არა, მეგობარო, უკვე წელიწადია, რაც თავისი "დაწესებულება" კაზონდესი გადაიტანა.

- საქმეები კარგად მიდის?

- ო, კარგად, დალახვროს ეშმაკმა! - წამოიძახა ჰერისმა, - თუმცა მონებით ვაჭრობა უფრო და უფრო გამძნელდა, განსაკუთრებით ამ სანაპიროზე. პორტუგალიელი ხელისუფალნი და ინგლისის მოდარაჯე გემები მონების ექსპორტს აფერხებენ. უფრო ადვილია გემების ზანგებით დატვირთვა მოსამედესის მიდამოებში, ანგოლას სამხრეთით. ამჟამად გემების მოლოდინში ბარაკები მონებითაა სავსე. მალე ისინიც მოვლენ და მონებს ესპანეთის კოლონიებში წაიყვანენ. მათი გაგზავნა ბენგელას ან სან-პაოლო-დე-ლუანდას გავლით ყოვლად შეუძლებელია. გუბერნატორს ამის გაგონებაც არ სურს, ჩინოვნიკებს - მით უმეტეს. მოხუცი ალვეცი აფრიკის შუაგულში გადასახლებას ფიქრობს. ნიანგვესა და ტანანიკას ნაპირებზე მას სურს, ქსოვილები სპილოს ძვალსა და მონებში გაცვალოს. ახლა გაცხოველებული ვაჭრობაა გამართული ზემო ეგვიპტესა და მოზამბიკთან, რომელიც მთელ მადაგასკარს მონებით ამარაგებენ. მაგრამ ვშიშობ, მალე მონებით ვაჭრობა შეუძლებელი გახდება. ინგლისელები შიდა აფრიკაში სულ უფრო და უფრო იკიდებენ ფეხს. მისიონერები წინ მიიწევენ და ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ! ლივინგსტონმა, დასწყევლოს ღმერთმა, ტბების გამოკვლევა დაამთავრა და ამბობენ, ახლა ანგოლასაკენ გაემართებაო.

ახლა კიდევ ვიღაც ლეიტენანტ კამერონზე დაიწყეს ლაპარაკი. იგი თურმე ფიქრობს, მთელი კონტინენტი გადასეროს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე.

შიშობენ, რომ ამერიკელმა სტენლიმაც იგივე არ მოინდომოს. ეს მოგზაურები დიდ ზიანს აყენებენ ჩვენ საქმეს. ამიტომ ვერც ერთმა ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა ევროპაში დაბრუნება და აფრიკაში ნანახის მოყოლა ვერ უნდა შეძლოს!

ამ ორი გაიძვერასათვის რომ მოგესმინათ, პატიოსანი კომერსანტები გეგონებოდათ, რომელთა საქმიანობა კომერციული კრიზისის გამო დროებით შეფერხდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ყავის ტომრებისა და შაქრის ყუთების ნაცვლად ისინი ცოცხალ ადამიანებს გულისხმობდნენ?! მონათვაჭრებს ხომ სინდისი და სამართალიანობის იოტისოდენა გრძნობაც არ გააჩნიათ! არავითარი მორალი! თუკი ჰქონდათ იგი ოდესმე, მონათვაჭრობის საზარელმა საქმიანობამ მალე დააკარგვინათ.

ჰერისი მართალი იყო. ცივილიზაცია თანდათან გზას იკაფავდა ამ ველურ ქვეყნებში. იმ მამაც მოგზაურთა წყალობით, რომლებმაც მრავალი აღმოჩენა მოახდინეს ეკვატორულ აფრიკაში, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ დევიდ ლივინგსტონი, შემდეგ გრანტი, სპიკი,

ბერტონი, კამერონი, სტენლი. მათი, როგორც კაცობრიობის კეთილისმყოფელთა სახელი წარუშლელი იქნება ისტორიაში.

ნეგოროსთან საუბარში ჰერისმა გაიგოთ, თუ როგორ ცხოვრობდა იგი ორი წლის მანძილზე. ლუნდას საპატიმროდან გამოქცეული, მონებით მოვაჭრე ალვეცის ყოფილი აგენტი, ოდნავადაც არ შეცვლილიყო - იგი ისევ ძველებურად მზად იყო, ყოველგვარი უმსგავსოება ჩაედინა. მაგრამ ჰერისმა ჰერ კიდევ არ იცოდა, რას უპირებდა ნეგორო "პილიგრიმის" მგზავრებს და ამიტომ ჰკითხა:

- ერთი ეს მითხარი, იმ ხალხს რას უპირებ?

- მათ ორ ნაწილად გავყოფ, - მიუგო ნეგორომ ისეთნაირად, რომ ეტყობოდა, ეს დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა, - ნაწილს მონებად გავყიდი, ნაწილს კი...

პორტუგალიელმა სიტყვა არ დაასრულა, მაგრამ რა სიტყვა შეედრებოდა მის გამომეტყველებას!...

- რომლებს გაჰყიდი! - იკითხა ჰერისმა.

- ზანგებს, მისის უელდონს რომ ახლავს, - მიუგო ნეგორომ. - მოხუც ტომს, ალბათ, დიდი ფასი არ ექნება, მაგრამ დანარჩენი ოთხი ბრგე ვაჟკაცები არიან და კაზონდეს ბაზარზე ძვირადაც გაიყიდებიან.

- მეც ასე მგონია, ნეგორო, - მიუგო ჰერისმა, - ოთხი ღონიერი, შრომაში გამოწრთობილი ზანგი იმ მხეცებს როდი გვანან, შიდა აფრიკიდან რომ მოგვეყვავს ხოლმე. მართლაც, მათ კარგი ფასი ექნებათ! ამერიკაში დაბადებული ზანგები ანგოლას ბაზარზე იშვიათი საქონელია! ნეგორო, - დასძინა ამერიკელმა, - "პილიგრიმზე" იყო თუ არა რაიმე თანხა?

- კი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარი, მთლად მოპარვა ვერ მოვახერხე. კიდევ კარგი, რაღაცის იმედი კიდევ რომ მაქვს...

- რისი იმედი გაქვს, მეგობარო? - იკითხა დაინტერესებულმა ჰერისმა.

- არა, არაფერი, ისე ვთქვი, - მიუგო ნეგორომ და ტუჩი მოიკვნიტა, თითქოს ნაწილობა ზედმეტი რატომ წამოვროშეო.

- ახლა ისღა დაგვრჩენია, ეს ძვირფასი საქონელი ხელში მოვიგდოთ, - თქვა ჰერისმა.

- განა ეს ასე ძნელია? - იკითხა ნეგორომ.

- არა! აქედან ათიოდე მილზე, ქვანახზე დაბანაკებულია მონების ქარავანი. იგი არაბ იბნ-ჰამისს მიჰყავს და ჩემს დაბრუნებას ელოდება, რომ კაზონდესაკენ გაუდგეს გზას. ქარავანს თან ბევრი ადგილობრივი ჯარისკაცი ახლავს. ისინი ადვილად შეძლებენ დიკ სენდისა და მისი თანამგზავრების დატყვევებას. საკმარისია, ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა ქვანახისაკენ წასვლა გადაწყვიტოს...

- გადაწყვეტს კი? - იკითხა ნეგორომ.

- უეჭველად, - მიუგო ჰერისმა, - იგი გონიერია და ფიქრადაც არა აქვს ის საფრთხე, რომელი იქ ელის. აზრად არ მოუვა, იმავე გზით გაბრუნდეს უკან, რომელი ჩვენ გამოვიარეთ. მას აუცილებლად გზა აებნევა ამ უსიერ ტყეში. დარწმუნებული ვარ, შეეცდება მიაღწიოს რომელიმე მდინარეს, რომელიც სანაპიროსაკენ მიედინება. შემდეგ კი, ალბათ, ტივით ჩაჰყვება მის დინებას. სხვა გამოსავალი არა აქვს. აუცილებლად ასე მოიქცევა.

- ჰო, შესაძლოა! - მიუგო ნეგორომ მცირე ფიქრის შემდეგ.

- შესაძლო კი არა, სწორედ ასე იქნება, - მიუგო ჰერისმა, - მე ეს ისე ღრმად მწამს, თითქოს ჩემს "ახალგაზრდა მეგობართან" წინასწარ ვიყო შეთანხმებული და ქვანახის სანაპიროზე პაემანიც მქონდეს დანიშნული.

- ახლა კი გზას გავუდგეთ, - თქვა ნეგორომ, - მე დიკ სენდს კარგად ვინცობ, იგი წუთსაც არ დაკარგავს ტყუილუბრალოდ. უნდა დავასწროთ!

- წავიდეთ, მეგობარო!

ჰერისი და ნეგორო წამოდგნენ. უცბად მათ ისევ ისეთი ხმაური მოესმათ, ადრეც რომ მიიპყრო პორტუგალიელის ყურადღება. ეს პაპირუსების შრიალი იყო. ნეგორომ ხელი სტაცა

ჰერესს და გაირინდა. მოულოდნელად ყრუ ყეფა გაისმა. მთის ფერდობზე ხახადაღებული ძალი დაეშვა, რომელიც მზად იყო მათ სცემოდა.

- დინგო! - შეჰყვირა ჰერისმა.

- აა! ახლა კი ვეღარ გამექცევი! - თქვა ნეგორომ და სწორედ იმ დროს, დინგო რომ უნდა სცემოდა, ნეგორომ გამოსტაცა ჰერისს თოფი მხარზე სწრაფად მიიღო და ესროლა.

დინგომ საცოდავი ყმუილი გააბა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

ნეგორო მამინვე ჩაჰყვა ნაპირს მდინარემდე.

პაპირუსის რამდენიმე ღეროს სისხლის წვეთები აჩნდა და მდინარის პირას დაყრილ ქვებსაც სისხლი წითელ ზოლად გასდევდა.

- როგორც იქნა, ამ წყეულმა ცხოველმა თავისი საკადრისი პასუხი მიიღო! - წამოიყვირა ნეგორომ.

ჰერისი უხმოდ ადევნებდა თვალს მთელ ამ ამბავს.

- ნეგორო, ეს ძალი დიდი ხანია კბილებს ილესავდა შენზე, - უთხრა ჰერისმა.

- ჰოდა, ახლა მომეშვება!

- კი მაგრამ, რატომ სძულხარ ამ ძალს ასე ძალიან?

- ოჰ, ჩვენ ძველი ანგარიშები გვაქვს!

- ძველი ანგარიშები? - იკითხა ჰერისმა.

ნეგორომ აღარაფერი უპასუხა... ჰერისი მიხვდა, რომ პორტუგალიელმა თავისი წარსულის რომელიღაც ამბავი დაუძალა... ჰერისიც აღარ ჩაეძია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი მდინარის ნაპირს დაჰყვნენ, ტყეში შევიდნენ და გეზი ქვანახისაკენ აიღეს.

თავი III

გზაში

აფრიკა! ეს საზარელი სიტყვა დიკ სენდს ტვინს უბურღავდა! იგი იგონებდა უკანაკსნელ რამდენიმე კვირაში მომხდარ ამბებს და ვერა და ვერ გაერკვია, თუ როგორ მოადგა "პილიგრიმი" ამ სხიფათო ნაპირს. როგორ შემოუარა გემმა ჰორნის კონცხს და ერთი ოკეანიდან მეორეში როგორ გადავიდა! ახალაა ხვდებოდა, თუ რატომ გამოჩნდა ხმელეთი ასე გვიან, მიუხედავად იმისა, რომ "პილიგრიმი" ძალიან სწრაფად მიდიოდა. მანძილი ხომ ორჯერ მეტი იყო იმაზე, რაც გემს ამერიკის ნაპირებთან მისასვლელად უნდა გაეგლო.

- აფრიკა! აფრიკა! - იმეორებდა დიკ სენდი.

იგი გონების თვალს ავლებდა გადატანილ ამბებს, იგონებდა მოგზაურობის ყველა წვრილმანს, უეცრად ეჭვმა გაჰკრა, რომ კომპასი განზრახ იყო დაზიანებული. გაახსენდა ისიც, რომ პირველი კომპასი გატყდა, ლაგის თოკი გაწყდა და მას აღარ შეეძლო "პილიგრიმის" სისწრაფის შემოწმება.

"ჰო, ასე იყო, - ფიქრობდა იგი, - გემზე ერთი კომპასილა დარჩა, ერთადერთი! მისი ჩვენების შემოწმება მე აღარ შემიძლო. ერთ ღამეს მოხუცი ტომის ყვირილმა გამაღვიძა! ნეგორო იქ იყო, გემის კიჩოზე! იგი ნაკტოვუზე დაეცა. ნეტავ მაშინ ხომ არ დააზიანა კომპასი?"

დიკ სენდისათვის ბევრი რამ ნათელი გახდა. იგი ჭეშმარიტების ზღურბლთან იდგა. მისთვის გასაგები იყო ნეგოროს საეჭვო საქციელი და კარგად ხვდებოდა, რომ "პილიგრიმის" დაღუპვასა და მგზავრების ასეთ საზარელ ყოფაში ნეგოროს ბოროტი ხელი ერია.

ვინ იყო ეს არამზადა? მეზღვაური ხომ არ იყო? თუმცა იგი ამას გულმოდგინედ მალავდა! მხოლოდ გამოცდილ მეზღვაურს შეეძლო, ეს ხრიკი მოეწყო და გემი აფრიკის ნაპირზე გამოერიყა.

ასე იყო თუ ისე, ზოგი რამ წარსულიდან გაურკვეველი და ბურუსით მოცული რჩებოდა, მაგრამ აწმყოში ყველაფერი ნათელი იყო. ახალგაზრდა მეზღვაურმა კარგად იცოდა, რომ იგი აფრიკაშია, თანაც ყველაზე საშიშ პროვინციაში - ანგოლაში, ნაპირიდან ასი მილის დაშორებით. ჰერისი აშკარად მოღალატე აღმოჩნდა. ამაში საეჭვო აღარაფერი იყო და არც ის იყო ძნელი მისახვედრი, რომ ამერიკელი და პორტუგალიელი დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს, რომ ისინი შემთხვევამ შეახვედრა ამ სანაპიროზე და ერთად შეიმუშავეს ის გეგმა "პილიგრიმის" მგზავრებს დალუპვას რომ უქადდა.

ნეტავ ახლა რას მოასწავებს ნეგროს საზიზღარი საქციელი? აშკარაა, მას ტომისა და მისი მგზავრების ხელში ჩაგდება და მონებად გაყიდვა უნდა. ეს ცხადზე უცხადესია! ცხადია ისიც, რომ ნეგრო ყველანაირად ეცდება, დიკ სენდზე ჯავრი იყაროს. მაგრამ რას უპირებდა ეს გაიძვერა მისის უელდონსა და პატარა ჯეკს, დიკ სენდი ვერ მიმხვდარიყო.

დიკ სენდს რომ ყური მოეკრა ნეგროსა და ჰერისის საუბრისათვის, ეცოდინებოდა, რა საფრთხეც ელოდათ მას, მისის უელდონსა და ზანგებს, ეცოდინებოდა, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ დიკ სენდს ეს საუბარი არ მოუსმენია და რა უნდა ექნა. ჩვენი მოგზაურები ნამდვილად სავალალო, შემზარავ მდგომარეობაში იყვნენ. გემის კაპიტანი ამას მაინც არ შეუშინდა. მას ხმელეთზეც კაპიტნად მიაჩნდა თავი. იგი მოვალედ რაცხდა თავის თავს, გადაერჩინა მისის უელდონი, პატარა ჯეკი და ყველა დანარჩენი, ვისი ხსნაც მას განგებამ დააკისრა! დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა!

ორ-სამ საათში დიკ სენდმა აწონ -დაწონა ყველაფერი, კარგიც და ცუდიც (საუბედუროდ, ცუდი ჭარბობდა), რასაც აწმყო და მომავალი უქადდა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და დამშვიდებული წამოდგა.

ირიჟრაჟა. მზის პირველმა სხივებმა ხეთა კენწეროებს ნათელი მოჰფინა. ყველას ეძინა ახალგაზრდა მეზღვაურისა და ტომის გარდა.

დიკ სენდი მოხუცი ზანგს მიუახლოვდა.

- ტომ, - ჩურჩულით უთხრა მან, - ხომ იცანით ლომის ღრიალი, საკუთარი თვალთ ნახეთ მონათვაჭრების იარაღები, ალბათ, იცით, რომ ჩვენ აფრიკაში ვართ!

- დიახ, კაპიტანო დიკ, ვიცი!

- არც ერთი სიტყვა არ წამოგვცდეთ ამაზე მისის უელდონსა და თქვენს თანამგზავრებთან. ეს მხოლოდ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სხვები არ უნდა შევაშინოთ....

- მხოლოდ ჩვენ... მართალია... რა საჭიროა! ... - ჩურჩულითვე მიუგო ტომმა.

- ტომ, - განაგრძო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ჩვენ ახლა ბევრად უფრო მეტი სიფხიზლე გვმართებს, ვიდრე ოდესმე. ჩვენ მტრების სამფლობელოში ვართ და მერე როგორი მტრების? მგზავრებს ვუთხარით, ჰერისმა გვიღალატა-თქო და ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ისინი უფრო ფხიზლად იყვნენ. მათ ეგონათ, რომ ადგილობრივ მომთაბარე ტომთა თავდასხმა მოგველის. ეს საკმარისია!

- კაპიტანო დიკ, შეგიძლიათ ჩემი ამხანაგების სიმამაცისა და ერთგულების სრული იმედი იქონიოთ.

- ვიცი, ისიც ვიცი, რომ თქვენი ჭკუისა და გამოცდილების იმედი უნდა მქონდეს, ხომ დამეხმარებით, ჩემო მოხუცო?

- ყველგან და ყველაფერში, კაპიტანო დიკ!

მოხუცმა ტომმა დიკ სენდის გადაწყვეტილება მოიწონა ჰერისის მოღალატეობა დროზე გამომჟღავნდა, - ვიდრე იგი რიმეს დააშავებდა, ამიტომ რაზმს ამ წუთებში საფრთხე არ ელოდა.

ლომის მოულოდნელმა ღრილმა და ბორკილების ნამტვრევებმა აიძულა ჰერისი, უეცრად გამქრალიყო. მან იგრძნო, რომ ყველაფერს მიუხვდნენ და მანამ გაიქცა, სანამ რაზმის უფრო სახიფათო ადგილზე მიყვანას მოასწრებდა.

ნეგრო კი, რომლის სიახლოვეს დინგო უკანასკნელ დღეებში აშკარად გრძნობდა, ალბათ, უკვე შეხვედა ჰერისს და მოელაპარაკა კიდევ მას. დიკ სენდსა და მის მგზავრებს რამდენიმე საათი კიდევ ჰქონდათ და საჭირო იყო ყოველი წუთის გონივრულად გამოყენება.

ერთადერთი სწორი გეგმა იყო ის, რომ სწრაფად მიეღწიათ სანაპირომდე (ეს ანგოლას სანაპირო უნდა ყოფილიყო), შემდგომ უნდა წასულიყვნენ ჩრდილოეთით ან სამხრეთით და მიეღწიათ პორტუგალიის რომელიმე ფაქტორიისათვის. აქ ისინი მშვიდად დაელოდებოდნენ გემს, რომელიც მათ სამშობლოში წაიყვანდა.

ნუთუ ისევ იმ გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან? დიკ სენდი უკან დაბრუნებას არ ფიქრობდა. ჰერისმა კარგად განჭვრიტა, რომ ახალგაზრდა მეზღვაური იძულებული გახდებოდა, მოკლე გზით წასულიყო. ისევ იმ გრძელი გზით უკან გაბრუნება ძნელი და სახიფათო იყო. ეს გზა მათ ისევ იქ მიიყვანდა, საიდანაც წამოვიდნენ. ნეგროსა და ჰერისს კი საშუალება ექნებოდათ, გაკვალული გზით მათ უკან გამოსდგომოდნენ. თუ უნდოდათ შეუმჩნეველად განეგრძოთ გზა, მდინარის დინებას უნდა ჩაჰყოლოდნენ. აქ ნაკლებ მოსალოდნელი იყო მხეცების თავდასხმა (კიდევ კარგი, ჯერჯერობით ისინი არ ჩანდნენ), ადგილობრივ მკვიდრებსაც უფრო ადვილად გაუმკლავდებოდნენ. გამძლე, კარგად შეკრულ ტივზე შეიარაღებული მგზავრები თავს უკეთ დაიცავდნენ. თანაც მისის უელდონისა და პატარა ჯეკისათვის ყველაზე მოხერხებული სწორედ ტივი გახლდათ. მართალია, ავადმყოფი ბავშვის წამყვანის შოვნა არ გაჭირდებოდა. შეიძლებოდა ტოტებისგან საკაცის შეკვრა და დედა-შვილის ისე წაყვანა (რადგან ჰერისის ცხენი აღარ ჰყავდათ), მაგრამ ამას ორი ზანგი მაინც დასჭირდებოდა; დიკ სენდს კი უნდოდა, რომ ყველა მის მგზავრს ხელები თავისუფალი ჰქონოდა, თუკი ვინმე დაესხმოდათ თავს. ამასთან, მდინარეზე ახალგაზრდა მეზღვაური თავის სტიქიაში აღმოჩნდებოდა.

ისღა რჩებოდა, ახლომახლო შესაფერი მდინარე მოეძებნათ. დიკ სენდი დარწმუნებული იყო, რომ მას აუცილებლად იპოვნიდნენ. მდინარეს, რომელიც ატლანტის ოკეანეს უერთდებოდა "პილიგრიმის" დამსხვრევის ადგილას, აუცილებლად ექნებოდათ სათავე მთებში. იმ მთებში, რომელიც მათ კორდილიერებად მიიღეს. ეს მთაგრეხილი კედელივით აღმართულიყო. ის მდინარეც უთუოდ ამ ფერდობებიდან მოედინებოდა, აქ იღებდა სათავეს. დიკ სენდს მისი დინებისათვის უნდა მიეგნო. ან შეიძლება რომელიმე მისი შენაკადს მაინც წაწყდომოდნენ. პატარა რაზმს ისიც გამოადგებოდა. ასე იყო თუ ისე, რომელიმე მდინარე შორს არ უნდა ყოფილიყო.

მართლაც, უკანასკნელი რამდენიმე მილის გავლისას, ნიადაგი საკმაოდ შეიცვალა. მთის ფერდობები დადაბლდა და ჭაობიანი გახდა. დაბლობზე უთვალავი რუ მოწანწკარებდა. ეტყობა, ეს მხარე მიწისქვეშა წყლებით იყო მდიდარი. უკანასკნელ დღეს რაზმი ერთხანს სწორედ ასეთ ნაკადულს მიჰყვებოდა. წყალსაც და ჩამორეცხვილ კალაპოტსაც მოწითალო ფერი დაჰკრავდა, ჩანდა რკინის ჟანგის გავლენით. მდინარის პოვნა ძნელი არ იყო, არც შორს წასვლა დასჭირდებოდათ. ნაკადულის დინება ძალიან სწრაფი იყო. მისი გამოყენება არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ნაკადული უთუოდ მიიყვანდა მათ რომელიმე დიდ მდინარესთან, ის კი აუცილებლად გამოადგებოდათ სანაოსნოდ.

მოხუც ტომთან მოლაპარაკების შემდეგ დიკ სენდმა ეს გზა აირჩია.

ირიჟრაჟა თუ არა, მგზავრებმა გაიღვიძეს. მისის უელდონმა მდინარე ბავშვი ნანს ჩაუწვინა კალთაში. ბავშვს მიტკლისფერი ედო, მისი დანახვა კაცს გულს მოუკლავდა.

მისის უელდონი დიკ სენდს მიუახლოვდა.

- დიკ! ჰერისი სად არის? - იკითხა მან და მიმოიხედა, - რაღაც არა ჩანს.

ახალგაზრდა მეზღვაურს იმის გამხელა არ უნდოდა, რომ ბოლივიის მიწაზე არ იმყოფებოდნენ, მაგრამ ამერიკელის ღალატის დამალვას როდი აპირებდა, ამიტომ უყოყმანოდ თქვა:

- ჰერისი წავიდა!

- დაწინაურდა? - იკითხა მისის უელდონმა.

- არა, გაიქცა, მისის უელდონ! - მიუგო დიკ სენდმა. - ჰერისი მოღალატეა. მან აქამდე შემოგვიტყუა, ნეგროსთანაა შეთქმული.

- კი, მაგრამ რატომ? რა უნდა? - იკითხა ადელვებულმა მისის უელდონმა.

- არ ვიცი, - მიუგო დიკ სენდმა, - ეს კია, რომ სასწრაფოდ უნდა დავბრუნდეთ ოკეანის ნაპირზე.

- იგი... მოლალატეა! - გაიმეორა მისის უელდონმა. - მე ამას ვგრძნობდი! შენ გგონია, რომ იგი ნეგოროსთანაა მოლაპარაკებული?

- ასე მგონია, ის გარეწარი კვალდაკვალ მოგვდევდა. შემთხვევამ შეახვედრა ეს ორი ნაძირალა ერთმანეთს და...

- ისინი, ალბათ, ერთად არიან. როგორც კი ვნახავ, მათ ერთმანეთს ისე შევახლი, თავებს გავუჩქჩქავ! - დაუმატა გოლიათმა და ორივე ვეებერთელა მუშით შემართა.

- ჩემი ბიჭუნა! - შეჰყვირა მისის უელდონმა, - როგორი იმედი მქონდა, რომ სან-ფელეჩის ჰციენდაში რამეს ვუშველიდი!

- ჯეკი მოიკეთებს, - მიუგო მოხუცმა ტომმა, - როგორც კი სანაპიროს საღ ჰაერს ჩაისუნთქავს.

- დიკ, ისევ წამოიწყო მისის უელდონმა, - დარწმუნებული ხარ, რომ ჰერისმა ნამდვილად გვილალატა?

- დიახ, მისის უელდონ, - მიუგო დიკ სენდმა და შეეცადა ახსნა-განმარტებისათვის თავი აერიდებინა. - წუხელ მე და ტომი ყველაფერს მივხვდით და, გაქცევა რომ არ მოესწრო, ცოცხალს არ გავუშვებდით!

- ის ფერმა?..

- ახლომახლო არც ფერმაა, არც სოფელი, პაწაწა დასახლებული პუნქტიც კი არ ჩანს, - მიუგო დიკ სენდმა, - მისის უელდონ, აუცილებელია ნაპირზე დაბრუნება...

- ისევ იმ გზით, დიკ?...

- არა, მისის უელდონ, ჩვენ ტივით ჩავეყვებით მდინარეს და ზღვამდე მივალთ. ეს ნაკლებდამღლეელი და უფათერაკო გზაა. კიდევ რამდენიმე მილს ფეხით გავივლით და ეჭვი არ მეპარება...

- ო, მე ძალიან მხნედ ვარ, დიკ! - მიუგო მისის უელდონმა, თითქოს საკუთარი სისუსტის წინააღმდეგ გაიბრძოლაო, - მე ვივლი! ჩემს ბიჭუნას ხელით მე თვითონ ვატარებ!

- ჩვენ რაღას ვაკეთებთ, მისის უელდონ, - უთხრა ბათმა, - ჩვენ ხელში აგიყვანთ ორივეს და ისე ვატარებთ.

- ჰო, ჰო! - დაუმატა ოსტინმა, - ხის ორი ტოტი და ფოთლები ამისთვის სავესებით საკმარისია...

- გმადლობთ, ჩემო მეგობრებო, - მიუგო მისის უელდონმა, - მაგრამ მე მინდა ფეხით ვიარო. მე თვითონ წამოვალ, გავუდგეთ გზას!

- აბა, დავიძრათ! - შესძახა ახალგაზრდა მეზღვაურმა.

- მოიყვა ჯეკი! - თქვა ჰერკულესმა და ნანას ბავშვი გამოართვა, - მე მაშინ ვიღლები, როცა არაფერს ვატარებ.

კეთილმა ზანგმა ისე ნაზად და სათუთად გადაიწვინა თავის ღონიერ მკლავებზე პატარა მძინარე ბიჭუნა, რომ მას არაფერი გაუგია.

იარალი გულმოდგინედ შეამოწმეს. სურსათის მთელი ნარჩენი ერთ ფუთაში ჩააწყეს. იგი ერთი ადამიანის ტვირთი იყო. აქტეონმა ზურგზე მოიგდო ფუთა. დანარჩენები თავისფალნი იყვნენ. კუხენი ბენედიქტი, რომლის გრძელი ფოლადის ფეხები არავითარ დაღლილობას არ გრძნობდნენ, მზად იყო წასასვლელად. შეამჩნია თუ არა მან ჰერისის გაქრობა? ამის თქმა ძნელი იყო, კუხენ ბენედიქტს საშინელი უბედურება დაატყდა თავს და სხვისთვის არ ეცალა. მან გამადიდებელი შუშა და სათვალე დაკარგა. კიდევ კარგი, რომ ბათმა იპოვა ორივე ნივთი მაღალ ბალახებში. დიკ სენდის რჩევით, მან ეს ნივთები აღარ გამოაჩინა. ახლა იმედი ჰქონდათ, ეს დიდი ბავშვი გზაში წყნარად იქნებოდა, რადგან უსათვალოდ ცხვირწინაც კი ვერაფერს ხედავდა.

მეცნიერი აქტონს და ოსტინს შუა ჩააყენეს და მკაცრად უბრძანეს, ერთი ნაბიჯიც კი არ გადაედგა გვერდზე. საცოდავი უსიტყვოდ დამორჩილდა ბრძანებას და ისე აედევნა მწკრივს, როგორც უსინათლო მიჰყვება ხოლმე თავის მეგზურს.

ორმოცდაათი ნაბიჯიც არ გაევილოთ, რომ ტომმა რაზმი შეაჩერა.

- დინგო სად არის?

- მართლა, რა იქნა დინგო? - გაიოცა ჰერკულესმა და თავისი ბოხი ხმით რამდენჯერმე მოუხმო ძაღლს.

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

დიკ სენდი ხმას არ იღებდა. ძაღლის დაკარგვა ძაღზე საწყენი იყო. იგი პატარა რაზმის მცველი და დამხმარე იქნებოდა ყოველგვარ გასაჭირში.

- ნეტავ ჰერისს ხომ არ გამოუდგა? - იკითხა ტომმა.

- ჰერისს არა... და ნეგოროს კვალს კი შეიძლება მიაგნო. ძაღლი სულ გრძნობდა იმ გაიძვერას სიახლოვეს, - თქვა დიკ სენდმა.

- წყეული მზარეული მაშინვე ტყვიით გაუმასპინძლდება! - გაბრაზდა ჰერკულესი.

- თუ დინგომ არ დაასწრო და ნაკუწ-ნაკუწ არ დაფლითა, - შეეპასუხა ბათი.

- შეიძლება! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა. - ჩვენ დინგოს ვერ დავუცდით. თუ ცოცხალია, ჭკვიანი ძაღლია და მოგვნახავს. აბა, გზს გავუდგეთ!

ხვატი ჩამოწვა. დილიდანვე ზეცა ლეგა ღრუბელს დაეფარა. ჰაერში ავდრის სუნი ტრიალდა. ჭექა-ქუხილის გარეშე ეს დღე ალბათ არ ჩაივლიდა. კიდევ კარგი, ტყეში ცოტა სიგრილე მაინც იქნებოდა, აქა-იქ მაღალი ხეებით ალყაშემორტყმული მდელოები ხვდებოდათ. ბალახი უხეში და საკმაოდ მაღალი იყო. ზოგან ხის უზარმაზარი, გაქვავებული ტოტები ეყარა. ეს იყო ქვანახშირის რომაციის ნიშანი. ასეთი ადგილები ხშირია აფრიკაში ამწვანებული ხალიჩა ათასნაირი ჭრელა-ჭრელი ყვავილებით იყო მოფენილი: ყვითელი და ლურჯი კოჭა, ღია ფერის ლობელიები და წითელი ჯადვარები ერთმანეთს ცვლიდა. ყვავილებს უამრავი მწერი ეხვეოდა და გაუთავებელი ზუზუნ-ბზუილი იდგა.

ტყე შეთხელდა, მაგრამ აქ გაცილებით მრავალფეროვანი ჯიშის ხეები შეგხვდებოდათ - აქ იყო ზეთისხილის ხეები, პამის ის ჯიში, რომელიც საუცხოო ზეთს იძლევა. ეს ზეთი საკმაოდ ძვირად ფასობს. აქვე ნახავდით ბამბის მაღალ ბუჩქებს, რომლის გრძელი ბოჭკოვანი ღეროებიდან აბრეშუმისნაირი ბამბას ამზადებდნენ. იგი ძალიან მოგვაგონებს ფერნამბუკის ბამბას. კოპალიდან, რომელზედაც მწერებს ნაჩვრეტები გაეკეთებინათ, სურნელოვანი ხის წებო ჟონავდა და მიწაზე გროვდებოდა. ამ წებოს ადგილობრივი მცხოვრებნი იყენებდნენ. ტყეში მრავლად იყო ლიმონის, ველური ბროწეულის, ბაობაბის, მიმოზისა და აკაციის ხეები. ეს ყველაფერი ცენტრალური აფრიკის ზეგანის საოცარ ნაყოფიერებაზე ლაპარაკობდა. ირგვლივ ვანილის სასიამოვნო სურნელება ტრიალდა. ძნელი იყო იმის გაგება, თუ რომელი ხე გამოსცემდა მას. ყველაფერს ხასხასა მწვანე ფერი ედო, თუმცა საშინელი გვალვა იდგა. ჭექა-ქუხილს იშვიათად გაიგონებდით, წვიმა ხომ ათასში ერთხელაც არ მოდიოდა და არაფერი რწყავდა ამ ნოყიერ ნიადაგს.

ციების ჟამი იდგა. დიდი მოგზაური ლივინგსტონი ამბობდა, ციებისაგან განკურნება ციებიანი ადგილის დატოვებით შეიძლებაო. დიკ სენდმა იცოდა მოგზაურის ეს მითითება და თავისი აზრი მისის უელდონსაც გაუზიარა. ბიჭუნას მშვიდად ეძინა ჰერკულესის მკლავებზე. ბავშვისათვის აღარ გაუციებია.

ოსინი ფრთხილად და სწრაფად მიიწევდნენ წინ. აქა-იქ ადამიანის ან ცხოველის კვალს აწყდებოდნენ. ბუჩქნარების გადაწეული და გადატეხილი ტოტები სიარულს უადვილებდა მათ. მაგრამ უფრო ხშირად ათასნაირი წინააღმდეგობა ხვდებოდათ. პატარა რამზს წინსვა უჭირდა და დიკ სენდს ეს ძალიან აწუხებდა.

მოგზაურებს ერთმანეთში გადახლართული, ეკლიანი ლიანები აფერხებდა, რომელთაგან ზოგი ანძებს ჰგავდა, ზოგი მოხრილ დამასკურ დაშნას. ეს ორმოცი, სამოცი ფუტის სიგრძის გველივით დაკლავნილი ტოტები გადმობრუნდებიან და უმოწყალოდ ჩხვეტენ ხოლმე

გამვლელს. ზანგები ცულობით კავადნენ მათ, მაგრამ, ლიანები კვლავ და კვლავ ხვდებოდათ. ისინი ხეს აჰყოლოდნენ და კენწეროებიდან ძირს გირლიანდებივით ეშვებოდნენ.

აქ ცხოველთა და ფრინველთა სამეფოც განსაკუთრებული იყო. უამრავი ფრინველი დაფრთხილობდა ფოთლების მწვანე თაღქვეშ. ისინი სულ არ უფრთხოდნენ ადამიანებს, რას არ შეხვდებოდით აქ: ციცარების დიდ გუნდს, გნოლქათმებს (რომლებთანაც მიახლოება ჭირს) და "ვიპ-პურ-ვილის". როგორ მას ჩრდილო ამერიკაში უწოდებენ, რადგან ეს სამი მარცვალი ზუსტად გამოხატავს მათ ყვირილს. დიკ სენდსა და ტომს შეეძლოთ ისიც კი ეფიქრათ, ამერიკის რომელიღაც კუთხეში ვიმყოფებითო, მაგრამ ვაი, რომ იცოდნენ, სადაც იყვნენ...

აფრიკის საშიში მხეცები რაზმს აქამდე არ მიახლოვებოდნენ. შეხვდათ ჟირაფები (რომელთაც ჰერესი, აქ რომ ყოფილიყო, ალბათ სირაქლემებად გაასაღებდა. თუმცა ახლა ეს აღარ გაუვიდოდა), დამფრთხალი ცხოველები სწრაფად გაქრნენ, უთუოდ ადამიანთა დანახვამ შეაშინა. მათ ხომ ძალზე იშვიათად ხვდებოდათ ადამიანები...

შორს, ცის დასალიერზე, დროდადრო საშინელი კორიანტელი ავარდებოდა ხოლმე, ეს ხარების ჯოგი იყო, ისეთი ხმაურით რომ გადაიშლივინებდა, თითქოს მძიმედ დატვირთულმა ფორნებმა გაიარესო.

პატარა მდინარის გასწვრივ ორი მილი გაიარეს. დიკ სენდს ეჩქარებოდა, რომ ამ პატარა მდინარეს მალე მიეყვანა ისინი დიდ მდინარესთან. ის კი სანაპირომდე ჩაიყვანდა მათ. აქ საფრთხეც ნაკლები იქნებოდა და არც თუ ძალიან დაიღლებოდნენ.

მოშუადღევდა. რაზმმა სამი მილი გაიარა, არავითარ ხიფათს არ გადაწყდომიან. ჰერისისა და ნეგოროს კვალი არსად იყო. დინგოც არ ჩანდა.

საუზმისა და შესვენებისათვის რაზმი ბამბუკების ჭალაში დაბანაკდა. მგზავრები დუმდნენ. მისის უელდონმა თავისი ბიჭუნა ხელში აიყვანა და თვალს არ აცილებდა მას. ქალს ჭამის თავი არ ჰქონდა.

- რამე უნდა შეეჭამოთ, მისის უელდონ, - რამდენჯერმე გაუმეორა დიკ სენდმა, - თავს ძალა დაატანეთ, ღონე მოიკრიბეთ. ჩვენ ისევ უნდა გავუდგეთ გზას. მდინარე, ალბათ, მალე ჩაგვიყვანს ზღვამდე.

მისის უელდონმა დიკ სენდს თვალი გაუსწორა. მეზღვაურის ანთებულ თვალებში შეუდრეკელობა და ერთგულება იხატებოდა. მისის უელდონმა თვალი მოავლო თავდადებულ და გაუტეხელ ზანგებს და გადარჩენის იმედი მოეცა. მართლაც, რატომ უნდა ჩაექნია ხელი და ყოველგვარი იმედი რატომ უნდა გადაწვეტყოდა ქალსა და დედას?! ის ხომ ამერიკის სტუმართმოყვარე მიწაზე იმყოფებოდა? ჰერისის ღალატს განა რა ისეთი დიდი უბედურება უნდა მოჰყოლოდა! დიკ სენდი მიუხვდა ქალს და დიდი თავშეკავება დასჭირდა, რომ მისი მზერისათვის გაემლო და თვალები არ დაეხარა.

თავი IV

ანგოლას ავბედით გზებზე

პატარა ჯეკმაც გაიღვიძა და დედას მკლავზე ხელები შემოაჭდო. ბავშვს თვალები დასწმენდოდა, რადგან აღარ გაუციებია.

- უკეთესად ხარ, ჩემო კარგო? - ჰკითხა მისის უელდონმა და დასუსტებული ბიჭუნა გულში ჩაიხუტა.

- ჰო, დედა, - მიუგო ჯეკმა, - ოღონდ ცოტა მწყრია.

ბავშვს ცივი წყალი მიაწოდეს. მან სიამოვნებით მოსვა რამდენიმე ყლუპი.

- სად არის ჩემი მეგობარი დიკი? - იკითხა მან.

- აქა ვარ, ჯე, - მიუგო დიკ სენდმა და ბავშვს ხელზე მოჰკიდა ხელი.

- ჩემი მეგობარი ჰერკულესი სადღაა?

- ჰერკულესიც აქ არის, მისტერ ჯეკ, - მიუგო გოლიათმა და უზარმაზარი ტანით მისკენ გადაიხარა.

- ცხენი?

- ცხენი? გაიქცა, მისტერ ჯეკ, - მიუგო ჰერკულესმა, - მე ვიქნები შენი ცხენი! ახლა მე წაგიყვან. ხომ არ გგონია, რომ ცუდი ჭენება ვიცი?

- არა, - მიუგო პატარა ჯეკმა, - მაგრამ მაშინ აღვირი აღარ მექნება?

- ო! თუ გინდა, ლაგამი ამომდე და ღონივრადაც მომწიე, - თქვა ჰერკულესმა და ვეება პირი დაალო.

- შენ გგონია, ძალიან მოგწევ?

- მომწიე, მე მაგარი პირი მაქვს!

- ბატონი ჰერისის ფერმა სადაა? - იკითხა პატარა ბიჭმა.

- მალე მივალთ, ჩემო ჯეკ, - მიუგო მისის უელდონმა, - მალე!

- გზას ხომ არ გავუდგეთ? - იკითხა დიკ სენდმა, რომელსაც ამ საუბრის შეწყვეტა სურდა.

- კეთილი, დიკ, წავიდეთ! - მიუგო მისის უელდონმა.

ბანაკი აიშალა და გზას გაუდგა. მიდიოდნენ იმავე თანმიმდევრობით. მდინარეს რომ არ ასცდენოდნენ, ტყის ბარდნარი უნდა გაევლოთ. ოდესღაც აქ ბილიკები იყო, მაგრამ ამჟამად, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი იტყოდნენ, "მოკვდნენ" - ბარდნართა და ლიანებით დაიფარნენ. სიარული საშინლად უმძიმდათ. ერთი მილის გავლას სამ საათს მოუწოდნენ. ზანგები სულმოუთქმელად მუშაობდნენ. ჰერკულესმა პატარა ჯეკი ნანს გადასცა და მუშაობას შეუდგა, მერე რა მუშაობას! ხარბად ჩაისუნთქავდა ხოლმე ჰაერს, მოიქნევდა ცულს და ადგილი მის წინ ელვის სისწრაფით ტიტვლდებოდა, გეგონებოდათ, ცეცხლმა მოსწვაო.

კიდევ კარგი, ასეთი მძიმე სამუშაო მალე მოთავდა. ერთი მილის გავლის შემდეგ გამოჩნდა განიერი გასასვლელი, რომელიც ბუჩქნარს კვეთდა, პატარა მდინარეზე ჩადიოდა და ნაპირს გასდევდა. ეს სპილოების გასასვლელი იყო. ეტყობოდა, ასობით სპილო ამ გზით ჩადიოდა მდინარეზე. სპილოების ნაკვალევს გზაზე დიდი ღრმულები დაეტოვებინა. სველ, ფხვიერ მიწას კარგად ეტყობოდა მათი ნაფხურები.

მალე აშკარა გახდა, რომ ეს გასასვლელი მარტო სპილოებისა როდი იყო. ჩანდა, აქ ადამიანებსაც ხშირად ევლოთ. მათაც ცხოველების ფარასავით ერეკებოდნენ და საზარელ სასაკლაოზე მიჰყავდათ. მიწა მოფენილი იყო ცხოველთაგან გამოხრული ადამიანის ძვლებით, ზოგიერთ მათგანს კიდევ შერჩენოდა ხუნდები.

ცენტრალური აფრიკის გრძელ გზაზე ნიშანსვეტებად დარჩენილა ადამიანთა ნეშტები. ასობით მილი გაუვლია მონათა ქარავნებს და ვინ იცის, რამდენი უბედური დაცემულა გზაზე ზედამხედველთა მათრახქვეშ, სული დაუღვია დალილობისა და შიმშილისაგან, მომკვდარა ავადმყოფობით! რამდენი დაუხოცავთ თვითონ მონათვაჭრებს, როდესაც საკვები შემოჰკლებიათ! დიახ! როდესაც მონათა გამოკვება აღარ ძალუბთ, მეპატრონეები ხოცავენ მათ თოფით, დანით, კუწავენ ხმლით!

დიახ! ასეთი ამბავი ძალიან ხშირად ხდება აფრიკაში!

ამ გზაზე მონების ქარავნები დადიოდა! დიკ სენდი და მისი მგზავრები ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ გაფანტულ ძვლებს, აფრთხობდნენ უზარმაზარ თხაწოვებს, ადამიანთა მიახლოებისას მძიმედ რომ აფრინდებოდნენ ხოლმე და ფრთების ტყლამუნით ცაში ტრიალებდნენ.

მისის უელდონი უაზროდ ათვალთქვებდა გარემოს. დიკ სენდი შიშით ცახცახებდა. მას ეგონა, ზღვის პირას ისე ჩაიყვანდა ქალს, რომ არ ტყოდა, აფრიკაში ვართო. ახლ ეშინოდა, ქალს გამოკითხვა არ დაეწყო. კიდევ კარგი, მისის უელდონი არაფერს კითხულობდა, არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. მთელი მისის ფიქრი და საზრუნავი პატარა, მძინარე ჯეკი იყო. ნანიც გვერდით მისდგდა და არც მას მიუცია საზარელი შეკითხვები.

მოხუცი ტომი კი თავჩაქინდრული მიდიოდა და შესანიშნავად იცოდა, რატომაც იყო აქაურობა ადამიანის ძვლებით მოფენილი.

მგზავრები გაცემულნი ათვალისწინებდნენ მიდამოს. ასე ეგონათ, უკიდევანო სასაფლაოზე მიდიან და საშინელ მიწისძვრას საფლავები გულადმა ამოუბრუნებიაო. ისინი მდუმარედ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და კრინტს არ ძრვდნენ!

ამასობაში მდინარე გაფართოვდა და გაღრმავდა. შემცირდა დინების სისწრაფეც. დიკ სენდს იმედი მიეცა, რომ მალე სანაოსნოდან ან თვით ეს მდინარე გამოდგებოდა, ანდა უფრო დიდ მდინარეს შეუერთდებოდა და ის კი ატლანტის ოკეანეში ჩაიყვანდა მგზავრებს.

"რადაც უნდა დამიჯდეს, მდინარის დინებას უნდა გავყვე", - მტკიცედ გადაწყვიტა ახალგაზრდა მეზღვაურმა. ამიტომ როგორც კი ბილიკმა სხვა მხრისაკენ შეუხვია, რაზმმა დატოვა იგი და სხვა გზას გაუყვა.

რაზმს ერთხელ კიდევ მოუხდა გადახლართულ ბუჩქნარებში სიარული, ტოტებისა და ლიანები ცუდით კაფვა. მართალია, მიწა უხეში მცენარეებით იყო დაფარული, მაგრამ, სამაგიეროდ, ტყე უწინდელივით გაუვალა აღარ იყო. ხეებს იშვიათად ნახავდით. მოჩანდა ჯგუფად შეყრილი ბამბუკები. ბალახი იმსიმაღლე იყო, ჰერკულესაც კი ფარავდა. რაზმის სიარულს ბალახების რხევაზე თუ მიხვდებოდით. სამი საათისათვის ადგილმდებარეობა მთლად შეიცვალა. ისინი გავიდნენ დიდ გრძელ დაბლობზე, რომელიც ალბათ, წვიმების სეზონის დროს მთლიანად იტბორებოდა. ჭაობიანი ნიადაგი სქელ ხავსს დაეფარა. აქა-იქ ლამაზი გვიმრები ამოჩენილიყო. ზოგან მიწა ამოზურცულიყო და დამრეცი ფერდობები წარმოექმნა. მოჩანდა მუქი ყავისფერი ჰემატიტის შრეები, ალბათ, რომელიმე მდიდარი საბადო თუ იყო გაშიშვლებული.

დიკ სენდს სწორედ დროზე მოაგონდა ლივინგსტონის მოგზაურობის ამბები. მამაცი მკვლევარი რამდენჯერმე ჩაეფლო ამ ჭაობებში. იგი სახიფათო და მაცდურია. ფეხქვეშ არც კი იგრძნობა.

- ყურადღება, მეგობრებო, - თქვა მან და რაზმს სათავეში ჩაუდგა. - მიწა მოსინჯეთ, ფეხი ისე დაადგით.

- მართლაც, მიწა წვიმისაგან მთლად დამბალია, თუმცა ამ ბოლო დღეებში სულ არ უწვიმია, - შენიშნა ტომმა.

- არ უწვიმია, მაგრამ მალე იწვიმებს! - მიუგო ბათმა.

- მით უმეტეს, - ჩაურთო დიკ სენდმა, - უნდა ვიჩქაროთ და დროზე გავცდეტ ამ ჭაობებს, ვიდრე გაავდრდებოდეს. ჰერკულეს, აიყვანეთ ხელში ბავშვი. ბათ და ოსტინ, მისის უელდონს ამოუდექით მხარში. თუ საჭირო გახდება, მიეხმარებით! თქვენ, მისტერ ბენედიქტ... კი მაგრამ, რას შვრებით, მისტერ ბენედიქტ?

- ვიძირები! - მშვიდად მიუგო კუზენმა ბენედიქტმა.

იგი ისე სწრაფად ჩაეშვა ძირს, გეგონებოდათ, უცბად ფეხქვეშ მიწა გაუსკდაო.

საცოდავი რბილ ტალახში წელამდე ჩაეფლო. იგი ამოიყვანეს. ლაფში ჩურჩხელასავით ამოვლებულიყო, მაგრამ მეტად კმაყოფილი გახლდათ, მწერებით სავსე ძვირფასი ყუთი რომ გადაურცა დაზიანებას.

აქტონი წინ გაუშვეს და დაავალეს, ამ საცოდავისთვის თვალყური ედევნებინა, რომ კიდევ არ წაქცეულიყო. კუზენმა ბენედიქტმა ძალიან ცუდი ადგილი შეარჩია. როგორც კი ჭაობიდან ამოიყვანეს, ტალახიანი მიწიდან ამოხეთქილი ბუშტები დასკდა და საშინელი, სულისშემხუთველი გაზის სუნი დააყენა. ლივინგსტონი რამდენჯერმე წელამდე ჩაეფლო ასეთ ჭაობში. მან დასვრეტილი შავი მიწა დიდ ღრუბელს შეადარა, აქ ყოველი ფეხის გადადგმაზე ამოჩქეფს წყლის მაღალი სვეტი. ეს ჭაობები ძალზე სახიფათოა.

მთელი ნახევარი მილი იარს ამ ჭაობებში. მიწა ისე დარბილდა, რომ მისის უელდონი მუხლებამდე ჩაეფლო შიგ და იძულებული გახდა, შეჩერებულიყო.

ჰერკულესმა, ბათმა და ოსტინმა, ქალი ცოტა მაინც რომ დაესვენებინათ და მისთვის საფრთხე აეცილებინათ, ბამბუკის საკაცე გააკეთეს. მისის უელდონი საკაცეზე დასვეს, ჯეკი გვერდზე მოუსვეს და რაზმმა ნაბიჯს აუჩქარა, რომ სწრაფად გაევიდნენ ეს დამყაყებული ჭაობი.

სიარული ძალიან ჭირდა. აქტეონს კუზენი ბენედიქტი ჩაებლუჯა. ტომი ეხმარებოდა ნანს. ისიც რამდენჯერმე კინაღამ ჩაეფლო ჭაობში. დანარჩენ სამ ზანგს საკაცე მოჰქონდა.

წინ მიმავალი დიკ სენდი წინასწარ ფეხით სინჯავდა მიწას, ფეხის დასადგამი ადგილის პოვნა ადვილი არ იყო. ჯობდა ხშირი და უხეში ბალახით დაფარული ჭაობის კიდეზე ევლოთ. მაგრამ საიმედო არც ის იყო. ნიადაგი რბილი იყო და მუხლამდე ტალახში ეფლობოდნენ.

როგორ იქნა, სადამოს ხუთი საათისათვის ჭაობი უკან მოიტოვეს. მიწა გამაგრდა, თიხნარმა იმატა, თუმცა ქვეშ ჭაობი მაინც იგრძნობოდა. ეტყობოდა, ეს ადგილი მდინრის დონეზე დაბლა იყო და დასვრეტილ მიწაში წყალი იპარებოდა.

საშინლად ჩამოცხა. ეს სიცხე აუტანელი იქნებოდა, ზეცაზე სქელი ღრუბლები რომ არ გაწოლილიყვნენ და მზის სხივები არ დაეფარათ. შორს ღრუბელს ელვა ხევდა. ქუხილის ყრუ გრუხუნის მოისმოდა. საცაა შემზარავი ჭექა-ქუხილი ატყდებოდა.

აფრიკაში ეს სტიქიური უბედურება მეტისმეტად სახიფათოა. ელავს, ქუხს, იწყება კოკისპირული წვიმები, მას მოსდევს საშინელი გრიგალი, რომელიც ძირფესვიანად გლეჯს უზარმაზარ ხეებს.

დიკ სენდმა ეს კარგად იცოდა და ძალზე შეშფოთებული იყო. ღამის გათევა ღია ცის ქვეს არ შეიძლებოდა. მოსალოდნელი იყო, დაბლობი წყალს დაეფარა. ირგვლივ პატარა ბორცვიც კი არ ჩანდა, თავშესაფარი რომ ეძიათ. რა უნდა ექნათ ამ უკაცრიელ დაბლობზე? არც ერთი ხე, არც ერთი პატარა ბუჩქიც კი არ იყო ირგვლივ, მიწის გათხრა და იქ თავშესაფრის მოწყობაც არ შეიძლებოდა - ორი ფუტის სიღრმეზე წყალი დახვდებოდათ.

ჭაობიან დაბლობს ჩრდილოეთ მხარეს მწკრივად ჩასდგომოდა გორაკები. შორს, ჰორიზონტსა და ღრუბლებს შუა, რამდენიმე ხის სილუეტი ილანდებოდა. იქ რაიმე თავშესაფარიც რომ ვერ ეპოვათ, მგზავრებს წყლით წალეკვა მაინც არ დაემუქრებოდათ.

- ვიჩქაროთ, ჩემო მეგობრებო, წინ! - იმეორებდა დიკ სენდი. - სამიოდე მილიც და ჩვენ უფრო საიმედო ადგილზე გავალთ.

- აბა, თამამად, წინ! - შესძახა ჰერკულესმა.

ეს კეთილი ზანგი მზად იყო, ყველა ხელში აეყვანა, ოღონდ კი გადაერჩინა ისინი.

ამ სიტყვებმა გაამხნევა ეს მამაცი ადამიანები და, საშინელი დაღლილობის მიუხედავად, ნაბიჯს აუჩქარეს.

ჭექა-ქუხილი დაიწყო. რაზმს ორიოდე მილი კიდევ ჰქონდა გასავლელი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ელვას წვიმა არ მოჰყოლია. საშინლად ჩამოხნელდა. მიუხედავად იმისა, რომ მზე ჯერ არ ჩასულიყო, ცის თაღმა ისე დაიწია ძირს, რომ კაცი იფიქრებდა, ზეცა ჩამოქცევას აპირებსო. ეს კოკისპირულ წვიმებს მოასწავებდა. ელვის წითელი და ლურჯი ზოლები ზეცას სერავდა. გეგონებოდათ, მთელი დაბლობი ცეცხლის ალშია გახვეულიყო.

დიკსა და მის მგზავრებს ყოველ წუთს ელოდათ მეხის დაცემა. რადგან ამ ტრიალ მინდორზე არც ერთი ხე არ ჩანდა და ადამიანებს ელექტრული მუხტი შეეძლოთ მიეზიდათ.

ჯეკი ქუხილის ხმამ გააღვიძა და შეშინებული ჰერკულესს გულში ჩაეხუტა. საცოდავი ბიჭუნა ცდილობდა, დედისთვის შიში არ შეემჩნევიინებინა და მისთვის გული არ ეტკინა. ჰერკულესი ვეება ნაბიჯებით მიაღაჯებდა და ცდილობდა, ჯეკი დაეწყნარებინა.

- ნუ გეშინია, პატარავ, მე ღონიერი ვარ და ქუხილს ცალი ხელით მოვგუდავ!

პატარა ჯეკს სჯეროდა გოლიათის ღონისა და მშვიდდებოდა, საცაა კოკისპირული წვიმა წამოვიდოდა და ნიაღვრებად იქცეოდა. რა უნდა ექნათ მისის უელდონსა და მის მგზავრებს უთავშესაფროდ?

დიკ სენდი ერთი წუთით მოხუც ტომთან შეჩერდა.

- რა ვქნათ? - ჰკითხა მან.

- ვიაროთ, მისტერ დიკ, - მიუგო ტომმა, - ამ დაბლობებზე დარჩენა შეუძლებელია, წვიმა მას ჭაობად აქცევს.

- რა თქმა უნდა, ტომ, რა თქმა უნდა, მაგრამ თავშესაფარი მაინც უნდა მოვძებნოთ. ქობი მაინც იყოს ახლომახლო!

დიკ სენდს სიტყვა შუაზე გაუწყდა. იქაურობა თვალისმომჭრელმა ელვამ გაანათა.

- რა არის აგე იქ, მოეთხედი მილის მანძილზე რომ მოჩანს? - წამოიძახა დიკმა.

- მეც დავინახე! - თავის ქნევით დაუდასტურა ტომმა.

- ბანაკია, არა?

- დიახ... ბატონო დიკ... ეს ბანაკი უნდა იყოს... მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა ბანაკი!...

ელვა ხელახლა გაიკლაკნა. ახლა მათ კარგად შეათვალიერეს ბანაკი, ამ უზარმაზარი დაბლობის ერთი ნაწილი რომ ეჭირა.

იქ მართლაც მოჩანდა თორმეტი თხუთმეტი ფუტის სიმაღლე კარვები, რომლებიც სიმეტრიულად ჩამწკრივებულიყვნენ. გრეთ ერთი ჯარისკაციც კი არ ჩანდა. ნეტავ კრვებში სხედან და ჭექა-ქუხილის შეწყვეტას ელიან, თუ მიტოვებული ბანაკია?

თუ იქ ჯარისკაცები იყვნენ, რაზმი სასწრაფოდ უნდ გაცლოდა აქაურობას, როგორც დიდი საფრთხის წინაშე არ უნდა მდგარიყვნენ წვიმის გამო. ხოლო თუ იქ არავინ იყო, მაშინ ეს თავშესაფარი, სწორედ მათთვის იყო ზედგამოჭრილი.

- მე ყველაფერს გავიგებ, - გაიფიქრა დიკმა და მოხუც ტომს მიუახლოვდა.

- აქ დარჩით, არავინ გამოძევეს, მე ბანაკის დასაზვერვად მივდივარ.

- ნება მოგვეცით, ერთ-ერთი მაინც გამოგვეყვით!

- არა, ტომ! მე მარტო წავალ! შეუმჩნეველად მივუახლოვდები. დარჩით.

პატარა რაზმი, რომელსაც დიკი და ტომი მიუძღოდნენ. შედგა. ახალგაზრდა მეზღვაური სიბნელეში გაუჩინარდა. თუ ელვა არ ანათებდა იქაურობას, ამ უკუნეთში თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდი.

მიწაზე წვიმის პირველი მსხვილი წვეთები დაეცა.

- რა მოხდა? - იკითხა ქალმა და მოხუც ზანგს მიუახლოვდა.

- რაღაც ბანაკი გამოჩნდა, მისის უელდონ - მიუგო ტომმა, - შესაძლოა, სოფელიც კია. კაპიტანი დასაზვერვად წავიდა.

მისის უელდონი ამ პასუხით დაკმაყოფიდა. სამიოდე წუთის შემდეგ დიკ სენდი დაბრუნდა.

- წამოდით! წამოდით! - შესძახა მან აღტაცებული ხმით.

- მიტოვებული ბანაკია? - იკითხა ტომმა.

- არა, ეს ბანაკი არ არის! - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - ჭიანჭველების ბუდეებია!

- ჭიანჭველების ბუდეები! - შესძახა ამ სიტყვებით გამოცოცხლებულმა კუზენმა ბენედიქტმა.

- დიახ, მისტერ ბენედიქტ, მაგრამ ამ ბუდეების სიმაღლე თორმეტი ფუტი მაინც იქნება. ჩვენ იქ უნდა შევაფაროთ თავი!

- ესენი, ალბათ, მეომარი ღორმუცელა ტერმიტების ბუდეებია! ისინი ისეთ შენობებს აგებენ, რომ ბევრ ხუროთმოძღვარს შეშურდება კიდეც.

- ტერმიტები არიან ისინი თუ არა, მისტერ ბენედიქტ, - მიუგო დიკ სენდმა, - სულ ერთია, უნდა გამოვასახლოთ და ჩვენ ჩავსახლდეთ.

- ისინი შეგვჭამენ და ვერც გავამტყუნებთ!

- გავწიოთ, წავიდეთ!

- მოიცათ, მოიცათ! - დაუმატა კუზენმა ბენედიქტმა, - მე მეგონა ჭიანჭველების ასეთი ბუდეები მხოლოდ აფრიკაში იყო!...

- წავიდეთ! - გაბრაზებით შესძახა დიკ სენდმა. მას ეშინოდა, მისის უელდონს ყური არ მოეკრა ენტომოლოგის უკანასკნელი სიტყვისათვის.

ყველანი ფეხდაფეხ მიჰყვნენ დიკ სენდს. საშინელი ქარი ამოიჭრა. წვიმის მსხვილი წვეთები ტყაპა-ტყუპით ეცემოდა მიწაზე. რამდენიმე წუთიც და გრიგალთან გამკლავება შეუძლებელი გახდებოდა.

მალე ერთ ამოზურცულ კონუსს მიაღიწეს. როგორი საშიშიც უნდა ყოფილიყო ტერმიტები, ჭოჭმანი აღარ შეიძლებოდა. ან უნდა გამოედევნათ ტერმიტები, ან დალუპულიყვნენ.

კონუსი მოწითალო თიხისაგან იყო აგებული. ტერმიტებს ქვემოთ პატარა ხვრელი დაეტოვებინათ. ჰერკულესმა ხვრელი დანით ისე გაადიდა, რომ მისი ზომის ადამიანი თავისუფლად შეეტეოდა.

კუზენი ბენედიქტი იმან გააოცა, რომ არც ერთი ტერმიტი იქ არ ჩანდა. ნუთუ კონუსი მიეტოვებინათ ჭიანჭველებს?

დიკ სენდი და მისი მგზავრები ხვრელში შეძვრნენ. სულ ბოლოს ჰერკულესი შებობდა. წვიმამ ისეთი ძალით დასცხო, გეგონებოდათ, ელვის ჩაქრობა განუზრახავსო.

გრიგალისა უკვე აღარ ეშინოდათ. ბედნიერმა შემთხვევამ პატარა რაზმს საიმედო თავშესაფარი აპოვნინა. ეს კონუსი ყველა კარავსა და ადგილობრივი მცხოვრებლების ყველა ქობს ჯობდა.

პატარა მწერების მიერ აგებული კონუსი, ლეიტენანტ კამერონის თქმით, ეგვიპტის პირამიდებზე უფრო განსაცვიფრებელი იყო.

- ეს იგივეა, ადამანს რომ ჰიმალაის მთაგრეხილის ყველაზე მაღალი მწვერვალი - ევერესტი აეგო.

თავი V

ტერმიტების ბუდეში წაკითხული ლექცია

მალე გამყრუებელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ამ თავსხმაში თავშესაფრის პოვნა ცით მოვლენილი ხსნა იყო. საშინელი თქეში დაიწყო. წვიმა წვეთ-წვეთობით კი არ მოდიოდა, ზეციდან ნიაგარის ჩანჩქერივით იღვრებოდა. კაცს ეგონებოდა, ცაში წყლით სავსე აუზია და უეცრად გადმოყირავდაო. ასეთი წვიმის დროს მიწა ღრანტეებად იქცევა, დაბლობები - ტბებად, რუები - ნიაღვრებად, მდინარეები კი კალაპოტში ვედარ ეტევიან და მთელ ახლო-მახლო მიდამოს წყლით ფარავენ.

ზომიერ სარტყელში, რაც უფრო ძლიერია ჭექა-ქუხილი, მით უფრო ხანმოკლეა იგი, აფრიკაში კი შეიძლება ჭექა-ქუხილმა რამდენიმე დღეს გასტანოს, თუნდაც ძალზე ძლიერი იყოს. საკვირველია საიდან ჩანდა ამდენი ორთქლი, ამდენი ელექტრობა ღრუბლებში? ძნელია ამის გაგება. ასეთი რამ მხოლოდ დილუვიური პერიოდის საოცარ ეპოქაში ხდებოდა.

კიდევ კარგი, ჭიანჭველების ბუდის სქელ კედლებში, წვიმა ვერ ატანდა. თახვის ქობიც კი არ იქნებოდა ამაზე უფრო საიმედო. მთელი ნიაღვარი რომ მხოლოდ ამ კონუსს დატყდომოდა თავს, მის ნაჩვრეტებში ერთი წვეთიც ვერ ჩაატანდა. დიკ სენდმა და მისმა თანამგზავრებმა თავშესაფარში შესვლისთანავე ფარნები აანტეს და იქაურობა მიათვალაიერ-მოათვალაიერეს. კონუსის სიმაღლე თორმეტ ფუტს უდრიდა, ფართობი თეთრმეტს. ზედა ნაწილი თანდათან ვიწროვდებოდა და შაქრის თავივით მრგვალდებოდა. კედლის სისქე ერთი ფუტი მაინც იქნებოდა. კონუსი შიგნიდან ჭიანჭველებს დაესერათ და თაროებს შორის ადგილები დარჩენილიყო.

მწერების ოსტატური ფალანგებით შექმნილი ასეთი განსაცვიფრებელი ნაგებობანი აფრიკაში იშვიათი როდია. გასული საუკუნის ერთი ჰოლანდიელი მოგზაური სმიტმენი თავისი ოთხი თანამგზავრით ერთ-ერთი ასეთი კონუსის წვერზე მოთავსდა. ლივინგსტონმა ლუნდეში რამდენიმე ასეთი ბუდე ნახა. ბუდეები წითელი თიხისაგან იყო ნაგები და მათი სიმაღლე

თხუთმეტ და ზოგჯერ ოც ფუტსაც კი აღწევდა. ნიანგვეში კამერონს რამდენჯერმე კონუსების წყება, რომლითაც მთელი მინდორი იყო მოფენილი, სამხედრო ბანაკები ეგონა. როცა იგი ამ ბუდეებთან ახლოს მივიდა, აღმოჩნდა, რომ ესენი ოცი ფუტის კი არა, ორმოცი და ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის უზარმაზარი მომრგვალებული კონუსები იყო. გვერდით მათ ტაძრის სამრეკლოებივით პატარა ნაგებობები ჰქონდათ მიშენებული.

ნეტავ რომელი ჭიანჭველები აგებენ ასეთ საოცარ ბუდეებს?

- მეომარი ტერმიტები, - უყოყმანოდ მიუგო კუზენ ბენედიქტმა, როგორც კი ნაგებობა შეათვალიერა და წითელი თიხა დაინახა.

ეს ბუდეები რომ ნაცრისფერი ან შავი ნაყარი მიწისაგან იყოს გაკეთებული, მაშინ "კბენია ტერმიტების" ანდა "საშინელი ტერმიტების" ბუდეები იქნებოდა. ეს სახლები მარტო კუზენ ბენედიქტისნაირ მგზნებარე ენტომოლოგს თუ მოეწონებოდა. კონუსის შუაგულში ყველა ვერ მოთავსდა. ზევით განიერი ფოსოები იყო, რომლებიც საშუალო ტანის ადამიანს დაიტევდა. წარმოდგინეთ თანმიმდევრულად მოწყობილი ღია უჯრები, უჯრების შიგნით მილიონობით ფოსოები, რომლებიც ერთ დროს ტერმიტებს ეჭირათ. ეს უჯრები ისე იყო ერთმანეთზე სართულებად დადგმული, როგორც საწოლები გემის კაიუტაში - ასეთი იყო კონუსის შიგნითა ნაწილი.

ზედა სართულში მისის უელდონი, პატარა ჯეკი, ნანი და კუზენი ბენედიქტი მოკალათდნენ, უფრო ქვევით - ოსტინი, ბათი და აქტონი, ხოლო დიკ სენდი. ტომი და ჰერკულესი ძირს დარჩნენ.

- ჩემო მეგობრებო, - უთხრა ახალგაზრდა მეზღვაურმა ორ ზანგს, - მიწა წყლითაა გაჟღენთილი, მას კედლების ძირიან მონგრეული თიხა უნდა დავაყაროთ, ოღონდ ფრთხილად, ხვრელი არ ამოქოლოთ, ჰაერი შემოვიდეს, რომ სული არ შეგვხუთოს!

- აქ ხომ სულ ერთი ღამე უნდა გავათიოთ, - თქვა მოხუცმა ტომმა.

- მერე რა, ვეცადოთ კარგად დავისვენოთ. ამ ათ დღეში პირველადა, ღია ცის ქვეშ რომ არ ვათევთ ღამეს.

- ათი დღე! - გაიმეორა ტომმა.

- ესეც არ იყოს, - დაუმატა დიკ სენდმა, - რადგან ეს კონუსი ასე საიმედო ჩანს, იქნებ დავრჩეთ კიდევ ერთ-ორ დღეს. ამასობაში მე წავალ და მდინარეს მოვნახავ, მგონი, შორს აღარ უნდა იყოს. სანამ ტივს ავაგებდეთ, ამ თავშესაფრის მიტოვება არ ღირს. წვიმა და ჭექა-ქუხილი ვერაფერს დაგვაკლებს. მოდი, დავაყაროთ თიხა, რომ ნიადაგი უფრო გამაგრდეს.

დიკ სენდის ბრძანება მაშინვე შესრულდა. ჰერკულესმა ცულით ჩამოანგრია უჯრების პირველი წყება და ფხვიერი თიხით ერთი ფუტით მაინც აამალა ჭაობიანი მიწა. დიკ სენდმა შეათვალიერა იქაურობა და დარწმუნდა, რომ დატოვებული ხვრელიდან საკმაო ჰაერი შემოდოდა.

კიდევ კარგი, ტერმიტებს ბუდე მიეტოვებინათ. აქ რომ ათასობით ჭიანჭველა ყოფილიყო, ბუდე თავშესაფრად აღარ ივარგებდა. ნეტავი დიდი ხნის წასულები იყვნენ ეს გაუმადლარი ბადეფრთიანი მწერები?

ეს მართლაც საკითხავი იყო. კითხვა პირველად კუზენ ბენედიქტს დაებადა. იგი ძალზე გაოცებული იყო ჭიანჭველების საქციელით. მეცნიერი მალე დარწმუნდა, რომ მათი წასვლა სულ ახლახან უნდა მომხდარიყო. კუზენი ბენედიქტი ძირს ჩამოვიდა და ფარნით დაიწყო კუნჭულების თვალიერება და ჩხრეკა. მან აღმოაჩინა ტერმიტების "მთავარი საწყობი", სადაც შრომისმოყვარე მწერები მთელი კოლონიის საკვებს აგროვებდნენ. ეს "სამეფო" უჯრის მახლობლად, კედელში დატანებული ღრმული იყო. (იგი ჰერკულესის ცულმა ისევე აღგავა პირისაგან მიწისა, როგორც პატარა ჭუპრის უჯრები).

საწყობში კუზენმა ბენედიქტმა აღმოაჩინა გაუმადრებელი ხის წებო და მცენარეთა წვენი იგი ახლახან მოეტანათ ტერმიტებს.

- არა! არა! - ისე წამოიძახა მან, თითქოს ვიღაცას ეკამათებო. - არა! ტერმიტებს ეს ბუდე სულ ახლახან მიუტოვებიათ.

- კი, მაგრამ, ვინ გედავებთ, მისტერ ბენედიქტ? - გამოეპასუხა სენდი, - როდის მოხდა. ეს ჩვენთვის სულ ერთია, მთავარია, რომ ტერმიტებმა დატოვეს ბუდე და ჩვენ იგი დავიკავებთ!

- არ არის სულ ერთი, - შეეკამათა კუზენი ბენედიქტი, - ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რატომ მიატოვეს ეს ბუდე! გუშინ და დღეს დილით ეს ჭკვიანი ბადეფრთიანები ჯერ კიდევ აქ იყვნენ. აი გაუმაგრებელი, სველი ხის წებო. სალამოს კი..

- ამით რა გინდათ თქვით, მისტერ ბენედიქტ! - იკითხა დიკ სენმა.

- ის, რომ რაღაც წინათგრძნობამ მიატოვებინა ამ მწერებს ბუდე. მარტო თვითონ კი არა, მატლებიც არ დატოვეს და თან წაიყვანეს. ერთ ჭუპრს ვერ მივაგენი! ჰოდა, ნამდვილად რაღაც მიზეზი ჰქონდათ, ნამდვილად საფრთხის მოახლოება იგრძნეს!

- შეიძლება, იგრძნეს, რომ ჩვენ მათ საცხოვრებელს დავიპრყობდით! - სიცილით თქვა ჰერკულესმა.

- ოჰო! - წამოიძახა კუზენმა ბენედიქტმა, რომელსაც კეთილი ზანგის პასუხი არ ექაშნიკა, - თქვენ გგონიათ, ამ მამაც მწერებს თქვენი შეეშინდებოდათ? რამდენიმე ათას ბადეფრთიანს გზაზე მკვდარი რომ ენახეთ, უცბად ჩონჩხად გაქცევდათ.

- მკვდარი რომ ვენახე, კი! - მიუგო ჰერკულესმა, - მაგრამ ცოცხალს ბევრი შემომეჭყლიტებოდა.

- შემოგეჭყლიტებოდა ასი ათასი, ხუთასი ათასი, მილიონი! - მკვირცხლად მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, - მაგრამ მილიარდი თქვენ ცოცხალსაც და მკვდარსაც ისე შეგსანსლავდათ, რომ ნამცეციც აღარ დარჩებოდათ!

- ამ კამათმა დიკ სენდი ჩააფიქრა. კუზენი ბენედიქტის სიტყვებმა იგი დაარწმუნა, რომ მეცნიერმა კარგად იცოდა ტერმიტების ზნე-ჩვეულება. ეტყობოდა, ენტომოლოგი არ ცდებოდა. ალბათ, ფარულმა ინსტინქტმა დაატოვებინა ტერმიტებს ეს ბუდე. იქნებ მართლაც საშიში იყო აქ დარჩენა...

ამაზე ახლა ფიქრიც არ შეიძლებოდა. კოკისპირულად წვიმდა და ჭექა-ქუხილი იქაურობას აზანზარებდა. დიკ სენდი აღარ ცდილა მიზეზის გამოძიებას.

- მისტერ ბენედიქტ, ტერმიტებმა, მართალია, თავისი საკვები დატოვეს ამ ბუდეში, მაგრამ ჩვენც ხომ საკუთარი მოვიტანეთ. მოდით, ვივახშმოთ. ხვალ, როცა წვიმა გადაიღებს, მოვიფიქრებთ, როგორ მოვიქცეთ.

მაშინვე შეუდგნენ ვახშმის მზადებას. დაღლილობის მიხუედავად, მადა მშვენიერი ჰქონდათ. კონსერვები ორ დღეს კიდევ ეყოფოდათ. ორცხოზილებიც არ დანესტიანებულყო. სიჩუმეში ხრამუნი ისმოდა. ჰერკულესის ძლიერი ყბები ორცხოზილებს წისქვილის დოლაბებივით ფქვავდა.

მისის უელდონმა ძლივს დააკარა პირი, ისიც იმიტომ, რომ დიკ სენდმა ძალიან სთხოვა, ივახშმეთო. პატარა ჯეკი უკეთ იყო. მისთვის აღარ გაუციებია. ბიჭუნას ერთ-ერთ ნიშაში ტანისამოსი დაუგეს და რბილად დააწვინეს. მიუხედავად ამისა, მისის უელდონი უფრო შეწუხებული და სევდიანი ჩანდა, ვიდრე აქამდე იყო. დიკ სენდმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. კუზენი ბენედიქტი პატივით მოეკიდა ვახშამს, რადგან საბაბი მიეცა, ლექცია წაეკითხა ტერმიტებზე. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საჭმლის რაოდენობას და ხარისხს, სულმოუთქმელად სანსლავდა ყველაფერს.

ოჰ, რა იქნებოდა, ერთი ტერმითი მაინც ეპოვა ამ მიტოვებულ ბუდეში! ერთადერთი...

- ეს საოცარი მწერები, - დაიწყო მან. იგი სულ არ ნაღვლობდა, უსმენდა ვინმე თუ არა, - ბადეფრთიანთა კლასში შედიან. მათ ულვაშები თავზე უფრო გრძელია, ქვედა ყბა ძლიერი და განვითარებული აქვთ, ქვედა ფრთები ზედას უტოლდება. ამ კლასში ხუთი ჯგუფი გამოიყოფა: მორიელისებური ბუზი, ლომჭიანჭველა, ოქროსთვალა, მეგაზაფხულე და ტერმითი.

მგონი, თქმა აღარ სჭირდება იმას, რომ მწერების საცხოვრებელი, რომელიც ჩვენ უკანონოდ დავიკავებთ, ტერმიტების ბუდეა!

დიკ სენდი გულისყურით უსმენდა სწავლულს. იგი შეშფოთებით ფიქრობდა: ტერმიტების ნახვამ ხომ არ მიახვედრა კუზენი ბენედიქტი, რომ აფრიკაშია? შესაძლებელია, მაგრამ იმას ვერაფრით ვერ მიხვდება, როგორ აღმოჩნდა აქ!

ექსტაზში შესული მეცნიერი გატაცებით განაგრძობდა:

- ტერმიტებს თათებზე ოთხი სახსარი და ძლიერი, რქოვანი ყბები აქვთ. არის ჯიშები: მანტისპი, რაფიდი, ტერმიტი. მათ ხშირად "თეთრ ჭიანჭველებსაც" უწოდებენ. მათვე ეკუთვნის საბედისწერო ტერმიტი, ყვითელფრთიანი ტერმიტი, სინათლის მოშიში, კბენია, მნგრეველი...

- ეს ბუდე მათ ააშენეს? - ჩაურთო დიკ სენდმა.

- არა, ეს ბუდე მეომარმა ტერმიტებმა ააგეს! - ისეთი ტონით მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, თითქოს ესენი მაკედონელები ან ანტიკური ხანის სხვა რომელიმე მეომარი ხალხი ყოფილიყო. - დიახ! მეომარი ტერმიტები! ყოველგვარი ზომის მეომარი ტერმიტები! ჰერკულესსა და ჯუჯას შორის განსხვავება უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ამ მწერების უდიდესსა და უმცირეს წარმომადგენელს შორის. მათ შორის არიან ხუთი მილიმეტრის სიგრძის მუშა ტერმიტები, ჯარისკაცები - ათი მილიმეტრი სიგრძისა, ოციმილიმეტრიანი მამალი და დედალი ტერმიტები. არის კიდევ უცნაური "სირაფუ". მისი სიგრძე ნახევარი დიუმიანია. მათ ყბების ნაცვლად მარწუხები აქვთ, თავი კი ტანზე დიდი, ზვიგენივით. ისინი მწერების ზვიგენები არიან. სირაფუ და ზვიგენი რომ ერთმანეთს შებმოდნენ, მე სირადფუს სასარგებლოდ დავდებდი სანადღოს.

- სირაფუ სად გვხვდება? - იკითხა დიკ სენდმა.

- აფრიკაში, - მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, - ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში. აფრიკა ჭიანჭველების ქვეყანაა. ყურადსაღებია ლივენგსტონის უკანასკნელი შენიშვნები, სტენლიმ რომ ჩამოიტანა! დოქტორ ლივენგსტონს წილად ხვდა ბედნიერება (გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე მე), ენახა შავი და წითელი ჭიანჭველების არმიათა სისხლისმღვრელი ბრძოლა. გაიმარჯვეს "დრაივერსის" ჯიშის ჭიანჭველებმა. ადგილობრივი მცხოვრებლები მათ "სირაფუს" ეძახიან. შავები, "ჩუნგუს" ჯიშის ჭიანჭველები კი გაიქცნენ და თან წაიღეს თავიანთი კვერცხები და ჭუპრები. ისინი მეტად ვაჟკაცურად იცავდნენ თავს! შეუძლებელია ცხოველებთან და თუნდაც ადამიანებთან ასეთი მეომრული ალტყინების ნახვა! ძლიერი ყბებით სირაფუს შეუძლია ხორცი ამოგლიჯოს მსხვერპლს. მას ყველაზე გულადი კაციც უფრთხის. ლომები და სპილოებიც კი გაურბიან. ამ ჭიანჭველებს არაფერი არ აბრკოლებს. მათ შეუძლიათ აცოცდნენ ხის კენწეროზე, გადალახონ მდინარე: ისინი სხეულით ეკვრიან ერთმანეთს და საოცარ ხიდს ჰქმნიან! მერედა რა ურიცხვნი არიან! მოგზაურმა დიუ-შელიუმ თავისი თვალით ნახა ამ ჭიანჭველების მრავალრიცხოვანი კოლონიის მსვლელობა, რომლებმაც თორმეტ საათს გასტანა! არ არის გასაკვირი, რომ ისინი მილიარდობით არსებობენ. მწერები საოცარ ნაყოფიერებას იჩენენ. ჩვენი მეომარი ტერმიტების დედალი დღეში სამოცი ათასამდე კვერცხს დებს! ეს ბადეფრთიანები ადგილობრივ მცხოვრებთა საყვარელი საკვებია. იგი მეტად ნოყიერი და გემრიელია. შემწვარ ჭიანჭველაზე გემრიელი არაფერია ამ ქვეყნად!

- გიჟამიათ, მისტერ ბენედიქტ? - ჰკითხა ჰერკულესმა.

- არასოდეს! - მიუგო პროფესორმა. - მაგრამ მე მათ შევქამ!

- სად?

- აქ.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ აფრიკაში არა ვართ! - მკვირცხლად ჩაურთო ტომმა.

- არა... არა! - მიუგო კუზენმა ბენედიქტმა, - აქამდე ასე იცოდნენ, რომ ეს მეომარი ტერმიტები და მათი ნაგებობანი მხოლოდ აფრიკაში გვხვდებოდა. ოჰ, ეს მოგზაურები! მათ არაფრის შემჩნევა არ იციან! მე ამერიკაში აღმოვაჩინე ბუზი ცეცე! ამ დიდებას მეომარი ტერმიტების აღმოჩენაც მიემატება! რა სამემუარო მასალაა! იგი სენსაციას მოახდენს ევროპის მეცნიერებაში! წიგნის დაწერაც შეიძლება, რომელსაც ცხრილებსა და ილუსტრაციებსაც დავურთავ!

აშკარა იყო, კუზენი ბენედიქტი მწარე სინამდვილეს ჯერ ვერ მიმხვდარიყო! ამ საცოდავ კაცს და დანარჩენებსაც, დიკ სენდისა და ტომის გარდა, თავი სულ სხვაგან ეგონათ! ეტყობა, უფრო მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარიყო, რომ გაეგოთ, სადაც იყვნენ!

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა. კუზენმა ბენედიქტმა ძალიან დიდხანს ილაპარაკა. მსმენელები თავ-თავის ღრმულებს მიყრდნობოდნენ და ენტომოლოგის ლექციის დროს ჩასძინებოდნენ. შეამჩნია თუ არა ეს მეცნიერმა? ცხადია, არა! იგი თავისთვის ლაპარაკობდა. დიკ სენდი აღარაფერს ეკითხებოდა, გარინდებულებოდა. ახალგაზრდა მეზღვაურს არ ეძინა. ჰერკულესიც ყველაზე დიდხანს ფხიზლობდა, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა და ძილმა თვალები მოსტაცა.

კუზენი ბენედიქტი ერთხანს კიდევ განაგრძობდა ლაპარაკს. ბოლოს ძილი მასაც მოერია და აძვრა კონუსის მაღალ ღრმულში, რომელიც ადრევე აერჩია საწოლად.

ტერმიტების ბუდეში საოცარმა სიჩუმემ დაისადგურა. გარეთ გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი იდგა, ელვა და გრუხუნი არ ცხრებოდა. ეტყობოდა, ის ჯერ კიდევ დიდხანს გასტანდა.

ფარანი ჩააქრეს. სადგომი სამარისებურმა უკუნმა შთანთქა.

ყველას ეძინა. მხოლოდ დიკ სენდი ფხიზლობდა და მისთვის საჭიროა და აუცილებელ დასვენებას თავს არიდებდა. ფიქრებმა ძილი გაუფრთხო ახალგაზრდა კაპიტანს. იგი ფიქრობდა თავის მგზავრებზე რომლებიც, რაღაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გადაერჩინა. "პილიგრიმის" დაღუპვამ მათ საშინელი განსაცდელი შეამთხვია. კიდევ უფრო მეტი ტანჯვა მოელოდათ მომავალში, თუ ადგილობრივ მკვიდრთ ჩაუვარდებოდნენ ხელში.

როგორ უნდა აარიდონ ამ საზარელ საფრთხეს თავი? ცხადია, ასე ღრმად ანგოლას პროვინციაში ჰერისმა და ნეგორომ შეიყვანეს ისინი! ალბათ მათი ხელში ჩაგდება უნდოდათ, მაგრამ რა უნდა ამ გარეწარ პორტუგალიელს? ვისი სიძულვილი ამოქმედებს მას? ახალგაზრდა მეზღვაური გრძნობდა, რომ ეს სიძულვილი მისდამი იყო მიმართული.

მის თვალწინ წარსულის სურათები გაცოცხლდა: შეხვედრა კატასტროფაში მოყოლილ გემთან და ზანგებთან, ვეშაპის გამოდევნება, კაპიტან ჰულისა და მისი ეკიპაჟის დაღუპვა! მაშინ დიკ სენდს, თხუთმეტი წლის ახალგაზრდას, გემის მეთაურობა დაეკისრა. გემზე კომპასი და ლაგი ბოროტმოქმედ ნეგოროს წყალობით მალე გაფუჭდა. მას ისიც მოაგონდა, ბორკილების დადებით და ტყვიით რომ დაემუქრა თავხედ მზარეულს და ისე დაიმორჩილა იგი! რატომ მაშინვე არ შეასრულა თავისი მუქარა! ნეგოროს გვამს ზღვაში გადაუმახებდნენ და ეს უბედურებაც ასცდებოდათ! შემდეგ მოაგონდა მგზავრობის საშინელი დასასრული.... მოღალატე ჰერისის გამოჩენა... შემდეგ სამხრეთ ამერიკის ეს პროვინცია თანდათან როგორ შეიცვალა და ბოლივია საზარელ ანგოლად გადაიქცა - ციებიანი ჰავის, საშიში მხეცებისა და უფრო საშიში ადგილობრივი მცხოვრებლების ანგოლად! მოახერხებს თუ არა პატარა რაზმი, ასცდეს ამ საშიშ მცხოვრებლებს? მიიყვანს თუ არა მდინარე ოკეანის სანაპირომდე? დიკ სენდს არ უნდოდა ამაში დაეჭვებულიყო. ასი მილის ისევ ფეხით გავლა ამ მტრულ ქვეყანაში არამცდარამც აღარ შეიძლებოდა!

- კიდევ კარგი, - ფიქრობდა იგი, - მისის უელდონმა და სხვებმა ყველაფერი არ იციან! მხოლოდ მე და მოხუცმა ტომმა ვიცით, ნეგორომ აფრიკის ნაპირზე რომ გამოგვაგდო და ჰერისმა კი ანგოლას სიღრმეში შეგვიყვანა.

შავ ფიქრებში წასულმა დიკ სენდმა უცბად შუბლთან სუნთქვა იგრძნო, ვიღაცის ხელი შეეხო მის მხარს და ალელვებულმა ხმამ ჩურჩულით წარმოთქვა: - მე ყველაფერი ვიცი, ჩემო საბრალო დიკ, მაგრამ ღმერთია მოწყალე! ჩვენი გადარჩენა მას კიდევ ძალუმს! აღსრულდეს ღვთის ნება!

თავი VI

საყვინთი ზარხუფი

ეს აღიარება დიკ სენდისათვის ისეთი მოულოდნელი იყო, რომ დაბნეულმა ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა. მისის უელდონი პატარა ჯეკის გვერდით მოკლათდა. ჩანდა, მეტი აღარაფრის თქმას არ აპირებდა და ახალგაზრდა მეზღვაურს აღარ ცდილა, გამოლაპარაკებოდა.

მაშ, მისის უელდონმა ყველაფერი იცის. გზაში მომხდარმა ამბებმა იგი ყველაფერს მიახვედრა. კუზენი ბენედიქტის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ "აფრიკამ" კი საბოლოოდ დააარწმუნა საზარელ სინამდვილეში. "მისის უელდონმა ყველაფერი იცის, - თავისთვის იმეორებდა დიკ სენდი. - ეჰ! იქნებ ასე სჯობს კიდევ! იგი გულს არ იტეხს, მით უმეტეს, მე უფრო მეტი მხნეობა მმართვეს".

დიკ სენდი მოუთმენლად ელოდა გათენებას, რომ კარგად დაეთვალიერებინა შემოგარენი. უნდა ეპოვნა მდინარე, რომელიც ოკეანეს ერთვოდა. ღრმად სწამდა, რომ ასეთი მდინარე შორს აღარ იყო. მდინარის სწრაფი დინებით აპირებდა იგი თავის პატარა რაზმის გადარჩენას. ახლა როგორმე ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრისათვის უნდა აერიდებინა თავი. ისინი, ალბათ, ჰერისისა და ნეგროს მეთაურობით. უკვე გამოჰყვინენ მათ ნაკვალევს.

გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. კონუსში ხვრელიდან სინათლე არ შემოდის, ქუხილის ხმაც ყრუდ ატანდა თიხის სქელ კედლებში. დიკ სენდმა ყური მიუგდო. წვიმა მთელი ძალით უშხაპუნებდა კედლებს და ახლა მსხვილი წვეთები მიწაზე კი აღარ ეცემოდა, არამედ წყლის ზედაპირზე. დიკ სენდი მიხვდა, რომ მთელი დაბლობი წყლით იყო დაფარული.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მან საშინელი დადლილობა იგრძნო. დიკ სენდი მოეშვა, ჩასთვლიდა და ის-ის იყო უნდა ჩასძინებოდა, რომ უეცრად თავში გაუელვა: "ხომ შეიძლება სველმა თიხის მიწაყრილმა ხვრელი ამოხერგოს, მაშინ ჰაერის შემოსასვლელი შეიკეტება და სუნთქვა შეუძლებელი გახდებაო". დიკ სენდი მიწაყრილზე ჩამოხტა. თიხა ჯერ მთლად მშრალი იყო, ხვრელი კი - ღია, აქედან ჰაერთან ერთად ქუხილის ხმაც თავისუფლად შემოდის. მას კოკისპირული წვიმის ხმაურიც კი ვერ ახშობდა.

დიკ სენდმა ნახა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და, ადამიანებს, ბადეფრთიანთა კოლონიის ადგილი რომ დაიკავეს, საფრთხე არ ელოდა. ახალგაზრდა მეზღვაურმა გადაწყვიტა ცოტა მაინც დაესვენა, რადგან ძილს უკვე თავს ვეღარ ართმევდა.

სიფრთხილისათვის იგი კონუსის ძირში, ხვრელის წინ, თიხის მიწაყრილზე დაწვა. გარედა ისე ვერაფერი შემოიჭრებოდა, რომ პირველად მას არ გაეგო. გათენებისას დღის სინათლე გააღვიძებდა და მაშინვე დაბლობის გამოკვლევას შეუდგებოდა. დიკ სენდი კედელს თავით მიეყრდნო, ხელში თოფი დაიჭირა და მიწვა. ძილმა იმწამსვე მოსტაცა თვალები. რამდენხანს ეძინა, ვერც კი გაიგო. უეცრად ღარაცა ცივის შეხებამ გამოაღვიძა და შემინებული წამოვარდა. წყალი თქრიალით შემოდის კონუსში და რამდენიმე წამში უკვე ტომისა და ჰერკულესის სართულამდე მიაღწია. დიკ სენდმა სასწრაფოდ გააღვიძა ისინი.

ფარანი აანთეს და იქაურობა განათდა. წყალმა ხუთიოდე ფუტის დონეზე აიწია და შეჩერდა.

- რა მოხდა? - იკითხა მისის უელდონმა.

- არაფერი, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - კონუსის ძირი წყალმა დაფარა. ალბათ, ამ თავსხმაში რომელიმე მდინარემ თუ გადმოლახა ნაპირები.

- კარგია! - ჩაურთო ჰერკულესმა, - მამასადამე, მდინარე ახლოა!

- რაღა თქმა უნდა, მიუგო დიკ სენდმა, - სწორედ ამ მდინარით დავეშვებით ოკეანისაკენ. ნუ ღელავთ, მისის უელდონი, წყალი ვერც თქვენ, ვერც პატარა ჯეკსა და კუზენ ბენედიქტს ვერ ამოგწვდებათ.

მისის უელდონს პასუხი არ გაუცია. კუზენ ბენედიქტს ტერმითვით ღრმად ეძინა. წყალი ფარნის შუქს ირეკლავდა. ზანგები წყალს ჩასცქეროდნენ და დიკ სენდის ბრძანებას ელოდნენ. დიკ სენდმა სურსათი და იარაღი მალა დააწყო, რომ წყალი ვერ მიწვდომოდა. კაპიტანი ჯერჯერობით ჩუმი იყო.

- წყალი ხვრელიდან შემოვიდა? - იკითხა ტომმა

- ჰო, - მიუგო დიკ სენდმა, - იგი ჰაერის მოძრაობას აბრკოლებს.

- წყლის ზემოთ კედელი ხომ არ გახვრიტოთ? - იკითხა მოხუცმა ზანგმა.

- მგონი არა ღირს. ტომ! აქ წყალი ხელით ფუტის სიმაღლეზეა. გარეთ, ალბათ, ექვსი ან შვიდი და შეიძლება მეტიც იყოს!

- თქვენ ასე გგონიათ, მისტერ დიკ?

- მე მგონია, ტომ, კონუსში შემოჭრილმა წყალმა ჰაერი შეკუმშა და ეს შეკუმშული ჰაერი მას მაღლა აწევს საშუალებას არ აძლევს. თუ კედელი გავზურღვით და ჰაერი გარეთ გავიდა, მაშინ ან წყალი აიწვევს გარეთა დონემდე, ან თუ იგი ხვრელს გასცდა, ავა იმ სიმაღლემდე, სახამ შეკუმშული ჰაერი ისევ არ შეაჩერებს მას. ჩვენ აქ ისე ვართ, როგორც მუშები საყვინთავ ზარფუხში.

- რა უნდა ვქნათ? - იკითხა ტომმა.

- კარგად უნდა მოვიფიქროთ, სახამ რამეს ვიღონებთ. მცირე გაუფრთხილებლობაც კი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს, - მიუგო დიკ სენდმა.

ახალგაზრდა მეზღვაური არ ცდებოდა, როცა კონუსის წყალში ჩაძირულ ზარხუფს ადარებდა. განსხვავება ის იყო, რომ ზარხუფში ჰაერი ტუმბოებით განუწყვეტლივ იცვლება და მყვინთავები თავისუფლად სუნთქავენ. მათ მხოლოდ შეკუმშულ ჰაერში ხანგრძლივი ყოფნა და არანორმალური წნევა თუ აწუხებთ. აქ მას ისიც დაერთო, რომ შემოვარდინლმა წყალმა ჰაერი ერთი მესამედით შეამცირა. მისი მომატება მხოლოდ კედლის გამოხვრეტით შეიძლებოდა.

მაგრამ შეძლებდნენ კი იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რაზედაც წელან დიკ სენდი ლაპარაკობდა? უარეს დღეში ხომ არ ჩაცვივდებოდნენ?

წყალი ერთ დონეზე იდგა. თუ მისი დონე გარეთ უფრო მაღალი იყო, კედლის გაზურღვის შემდეგ კონუსში წყლის დონე მოიმატებდა. წყალი აიწვედა მაშინაც, თუ გარეთ წყალდიდობა კიდევ უფრო იმძლავრებდა. ორივე შემთხვევაში ჰაერი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა და შეიკუმშებოდა.

თუ წყალი ტერმიტების ბუდეს მოგლეჯდა და დაანგრევდა, მაშინ გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ! კიდევ კარგი, თახვების ქობივით ეს ბუდეც მაგრამ მიჰკვროდა მიწას.

ყველაზე საშიში წყალდიდობა იყო. თუ წყალი დაბლობზე ოცდაათ ფუტს მიაღწევს, მაშინ კონუსი დაიფარება თვრამეტი ფუტი სიმაღლის წყლით, ხოლო ჰაერი კონუსიდან ერთი ატმოსფეროს წნევის ძალით გამოიდევენება.

დიკ სენდი არ ცდებოდა. მას ყველაზე მეტად წყალდიდობის ეშინოდა. იგი მარტო ამ კოკისპირულ წვიმაზე არ იყო დამოკიდებული. უფორ საფიქრებელი იყო, რომ ახლომახლო რომელიღაც მდინარე ადიდდა, გადმოლახა ნაპირი და დაბლობი დაფარა. საჭირო იყო კონუსის წვერის გამონგრევა. ამით გაიგებდნენ, მთლიანად წყლით იყო დაფარული ბუდე თუ არა.

დიკ სენდი უსაზღვროდ შემფოთებული იყო. არ იცოდა, რა ექნა, მოეცადა, თუ საქმეს შესდგომოდა.

დილის სამი საათი იქნებოდა. ყველა სმენად გადაქცეულიყო და ჩუმად, გაქვავებულნი იდნენ. ჩაკეტილი ხვრელიდან ხმაური ყრუდ ისმოდა. განუწყვეტლივ გრუხუნზე ეტყობოდა, რომ სტიქია ჯერ არ დამცხრალიყო.

უცხად მოხუცმა ტომმა შენიშნა, რომ წყლის დონემ მატება დაიწყო.

- ჰო, - თქვა დიკ სენდმა, - წყალი მაღლა იწევს. ჰაერი არსაიდან არ გადის გარეთ. მაშასადამე, გარეთ წყალი სულ უფრო და უფრო მატულობს!

- ჯერჯერობით მაინცდამაინც ძალიან არ მატულობს, - თქვა ტომმა.

- სწორია, მაგრამ სადამდე ავა, ვინ იცის, - მიუგო დიკ სენდმა.

- მისტერ დიკ, - თქვა ბათმა, - გინდათ, კონუსიდან გავა, ჩავყვინთავ და ხვრელში გაძრომას ვცდი...

- მე თვითონ ვცდი, - თქვა დიკ სენდმა.

- არა, არა, მისტერ დიკ! - სწრაფად მიუგო მოხუცმა ტომმა, - სჯობს ჩემმა ვაჟმა სცადოს. იგი მარჯვე და მოხერხებულია. თუ ჩემი ვაჟი უკან ვერ დაბრუნდება... ჩვენ კიდევ რაიმეს მოვიფიქრებთ. თქვანი აქ ყოფნა კი აუცილებელია, - თქვა მან და თან ჩურჩულით დასძინა:

- მისის უელდონი და პატარა ჯეკი ნუ გავიწყდებათ!

- კარგი, წადით, ბათ! თუ ბუდე წყალშია ჩამირული, უკან ნუღარ მობრუნდებით. ჩვენც შევეცდებით, თქვენს გზას დავადგეთ. თუ კონუსი წყლით ჯერ კიდევ არაა დაფარული, მაშინ ცული დაარტყით წვეს. ეს ნიშანი იქნება და დავიწყებთ კედლის გამომტვრევას. გასაგებია? - უთხრა დიკ სენდმა.

- დიახ, მისტერ დიკ! - მიუგო ბათმა.

- მაშ წადი, ჩემო ბიჭო, - დაუმატა მოხუცმა ტომმა და თავის ვაჟს ხელი ჩამოართვა.

ბათმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ჩაყვინთა. წყლის სიმაღლე ხუთ ფუტს აღემატებოდა. ბათს ჯერ ხვრელი უნდა მოეძებნა, გამძვრალიყო შიგ და შემდეგ ასულიყო წყლის ზედაპირზე. ეს ძალზე ძნელი იყო. მას თვალის დახამხამებაში უნდა შეესრულებინა ყველაფერი.

გავიდა ნახევარი წუთი. დიკ სენდმა ის იყო გაიფიქრა, ბათი ახლა უკვე გარეთ იქნებოდა, რომ ზანგმა ისევ ამოჰყო თავი წყლიდან.

- რა მოხდა? - შეეკითხა დიკ სენდი.

ბათმა სული ძლივს მოითქვა და მიუგო:

- ხვრელი ღორღითაა ამოქოლილი!

- ამოქოლილი? - გაიმეორა ტომმა.

- დიახ! - მიუგო ბათმა, - ეტყობა, წყალმა თიხა გახსნა... მე კედელი ხელით მოვსინჯე... ხვრელი ამოქოლილია!

დიკ სენდმა თავი გადააქნია. ისინი ჰერმენტულად იყვნენ გამოკეტილნი. შეიძლება კონუსი წყლითაც კი იყო დაფარული.

- ახალი ხვრელი უნდა გაკეთდეს! - თქვა ჰერკულესმა.

- მოიცათ, - თქვა ახალგაზრდა მეზღვაურმა და ჰერკულესი შეაჩერა, რომელსაც ხელში ცული ეჭირა და ჩაყვინთვას აპირებდა.

დიკ სენდი წუთით ჩაფიქრდა.

- არა! სხვა რამე უნდა ვიღონოთ, - თქვა მან, - კონუსის წვერი ოდნავ გავხვრიტოთ და გავიგებთ, ფარავს თუ არა ბუდეს წყალი. თუ ფარავს, მაშინ აქაურობა აივსება და დავიხრჩობით. დიდი სიფრთხილე გვმართებს.

- უნდა ვიჩქაროთ! - თქვა ტომმა.

წყლის დონე მართლაც ნელ-ნელა მატულობდა. იგი ახლა უკვე ექვს ფუტს აღწევდა. მისის უელდონის, ჯეკის, ნანის და კუზენი ბენედიქტის გარდა, რომლებიც ზედა ღრმულებს შეფარებოდნენ, ყველანი წელამდე წყალში იდგნენ.

საჭირო იყო სწრაფად ემოქმედათ.

დიკ სენდმა გადაწყვიტა, გამოეთხარა ხვრელი თიხის კედელში წყლის დონიდან ერთი ფუტით ზევით, ე.ი. შვიდი ფუტის სიმაღლეზე მიწიდან.

თუ ამ ხვრელიდან ჰაერი შემოიჭრებოდა, მაშასადამე, კონუსი მთლიანად არ იქნებოდა წყლით დაფარული. თუ პირიქით მოხდებოდა, მაშინ ჰაერი განიდევნებოდა და ხვრელის სწრაფად ამოქოლვა გახდებოდა საჭირო, თორემ წყალი შიგნით მაღლა აიწევდა და გარეთა დონეს გაუთანაბრდებოდა. მერე ხვრელს გახვრეტდნენ კიდევ ერთი ფუტით მაღლა, მერე კიდევ ერთი ფუტით მაღლა და ასე შემდეგ, თუ ყველაზე მაღლიდან - კონუსის წვერიდანაც აღარ შემოიჭრებოდა ჰაერი, გარეთ წყლის დონე თხუთმეტ ფუტზე მეტი იქნებოდა და ტერმიტების მთელი დასახლებაც წყლით იქნებოდა დაფარული. მაშინ ტერმიტების ბუდის ტყვეები ყველაზე საზარელ სიკვდილს, ნელ გაგუდვას თავს ვერ დააღწევდნენ!

დიკ სენდმა ყოველივე ეს კარგად გაიაზრა, მაგრამ სიმშვიდე წუთითაც არ დუკარგავს. მან გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები. მოცდა აღარ შეიძლებოდა. ჰაერი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა და სული ეხუთებოდათ!

კედლის გასახვრეტად დიკ სენდს თოფის ზუმბის დახრახნილი ბოლოს გამოყენება შეეძლო. იგი ნელ-ნელა ჩახრახნიდა ზუმბას კედელში. მართალია, ხვრელი ვიწრო გამოვიდოდა, მაგრამ ჰაერის შემოსასვლელად საკმარისი იქნებოდა.

ჰერკულესს ფარანი მალა აეწია და დიკ სენდს კედელს უნათებდა. რამდენიმე ცალი სანთელი კიდევ ჰქონდათ, ასე რომ, ჯერჯერობით სიბნელისა არ ეშინოდათ.

წუთიც და კედელში ზუმბა თავისუფლად გავიდა. მოისმა ყრუ ბუყბუყი, ისეთი, როგორც ჰაერის ბუმბუტების წყალში გასვლისას წარმოიშობა ხოლმე. წყალმა მაშინვე აიწია და ხვრელის სიმაღლეზე გაჩერდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კედლის გახვრეტა დაბლა მოუვიდოდა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა თიხის პატარა გუნდით ხვრელი მაშინვე ამოქოლა და მშვიდად წარმოთქვა:

- კიდევ უნდა გავხვრიტოთ!

მართალია, წყალი ერთ დონეზე გაჩერდა, მაგრამ დარჩენილი სივრცე მაინც რვა დიუმით შემცირდა. სუნთქვა გაჭირდა. ჟანგბადის შემცირების გამო ფარნის შუქი გაწითლდა და სინათლე დაკარგა.

დიკ სენდმა მაშინვე დაწყო ერთი ფუტით ზევით მეორე ხვრელის გამოთხრა. თუ ეს ცდაც მარცხით დამთავრდებოდა, წყალი კიდევ უფრო მოიმატებდა, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. დიკ სენდი რომ კედელს ბურღავდა, ზემოდან კუზენი ბენედიქტის ხმა მოისმა:

- დალახვროს ეშმაკმა! აი... აი, თურმე რატომ!

ჰერკულესმა ფარანი ასწია და კუზენ ბენედიქტს მიანათა მას კმაყოფილებით სავსე გამომეტყველება ჰქონდა.

- დიახ, - გაიმეორა მან, - აი, თურმე რატომ დატოვეს ტერმიტებმა ეს ბუდე! მათ იგრძნეს მოსალოდნელი წყალდიდობა! ოოო! ინსტინქტი, ჩემო მეგობრებო, ინსტინქტი! ტერმიტები ჩვენზე ეშმაკები არიან! გაცილებით უფრო ეშმაკები!

ეს იყო ერთადერთი დასკვნა, რომლის გამოტანა შეძლო კუზენმა ბენედიქტმა შექმნილი მძიმე ვითარებიდან.

დიკ სენდმა გახვრეტილი კედლიდან ზუმბა ამოსწია. გაისმა სტვენა. წყლის დონემ ბუდეში კიდევ ერთი ფუტით ზევით აიწია... ხვრელიდან ჰაერი არ შემოვიდა.

მდგომარეობა შემზარავი იყო. მისის უელდონმა, რომელსაც თითქმის უკვე სწვდებოდა წყალი, პატარა ჯეკი ხელში აიყვანა. ამ სივიწროვეში ყველას სული ეხუთებოდა. ყურებს შუილი გაჰქონდა, ფარანი ოდნავლა ბუუტავდა.

- ნუთუ კონუსი მთლიანად წყლითაა დაფარული? - თავისთვის ჩაილაპარაკა დიკ სენდმა.

ამის გაგება უცილებელი იყო. საჭირო გახდა მესამე ხვრელის გამოთხრა კონუსის წვერში. ამ უკანასკნელმა ცდამაც თუ უნაყოფოდ ჩაიარა, სიკვდილი არ ასცდებოდა. დარჩენილი ჰერი გარეთ გავარდება და ბუდე წყლით აივსება!

- მისის უელდონ! - თქვა დიკ სენდმა, - თქვენ იცით, რა დღეში ვართ? თუ შევავიწყებთ, ჰაერი აღარ გვეყოფა. ხოლო ამ ცდამაც უნაყოფოდ რომ ჩაიაროს, მაშინ კონუსი წყლით აივსება. კონუსის წვერი თუ წყლის ზემოთაა, გადარჩენილები ვართ. უნდა ვცადოთ, რას იტყვიო?

- სცადე, დიკ! - მიუგო მისის უელდონმა.

ფარანი ჩქარა. ეტყობოდა ჰაერში ჟანგბადი გამოილია. იქაურობა უკუნმა სიბნელემ მოიცვა.

ჰერკულესი ერთ-ერთ ღრმულს ჩაეჭიდა, მას წყლიდან მხოლოდ თავი ჰქონდა ამოყოფილი. დიკ სენდი ჰერკულესს მხრებზე ააცოცდა. მისის უელდონი, ჯეკი და კუზენი ბენედიქტი ღრმულების უკანასკნელ სართულზე მიიყუვნენ.

დიკ სენდმა სწრაფად ჩაარჭო ზუმბა ოთახში და დაიწყო ბურღვა. ამ ადგილზე კედელი უფრო სქელი იყო. გაბურღვა ჭირდა. შეშფოთებული დიკ სენდი საშინლად ჩქარობდა. ამ პატარა ნახვრეტიდან ან ჰაერი და სიცოცხლე უნდა შემოჭრილიყო, ან წყალი და სიკვდილი!

უცებ გამკვირვანი სტვენა გაისმა. შეკუმშული ჰაერი გარეთ გავარდა... ნახვრეტიდან დღის სინათლემ შემოაშუქა. წყალმა რვა დიუმით აიწია და გაჩერდა. დიკ სენდს ხვრელის ამოქოლვა აღარ დასჭირვებია. წყალი შიგნით დ გარეთ გაწონასწორდა. კონუსის მწვერვალი წყლის დონეზე მალა აღმოჩნდა. მისის უელდონი და მისი მეზღვაურები გადარჩნენ!

გაისმა მქუხარე ვაშა. მასში ჰერკულესის მჭექარე ხმა გამოირჩეოდა. დანები სწრაფად ამუშავდნენ. კონუსის წვერი ნელ-ნელა იფხვნებოდა. ნახვრეტი გაგანიერდა. კონუსში სუფთა ჰაერი შემოიჭრა. გაიელვა ამომავალმა მზის სხივმა. წვერის ჩამონგრევის შემდეგ გაადვილდებოდა კედელზე აცოცება, გარემოს დათვალიერება და მოიფიქრება, როგორ მიეღწიათ რაიმე ამაღლებული ადგილისათვის, რომ წალეკვას გადარჩენოდნენ.

პირველად დიკ სენდი ავიდა კონუსის წვერზე... მას საზარელი ყვირილი აღმოხდა, რასაც მაშინვე მოჰყვა სტვენის ხმა. ეს აფრიკაში მოგზაურთათვის გასროლილი ისრის კარგად ნაცნობი ხმა იყო! დიკ სენდმა ბუდიდან ას მეტრზე ბანაკი შენიშნა. იქვე ახლოს, ასიოდე ნაბიჯზე კი, წყლით დაფარულ დაბლობებზე, ადგილობრივი მცხოვრებლებით სავსე გრძელი ნაგები დაცურავდა. ახალგაზრდა მეზღვაურის გამოჩენისთანავე ერთ-ერთი ნავიდან ნიაღვარივით წამოვიდა ისრების სეტყვა.

დიკ სენდმა ორიოდე სიტყვით ყველაფერი აუხსნა თავის თანამგზავრებს. დიკმა, ჰერკულესმა, აქტეონმა და ბათმა ხელი სტაცეს თოფებს და ერთ-ერთ ნავს ცეცხლი დაუშინეს.

რამდენიმე მეომარი დაეცა. გაისმა ყვირილი და თოფების ხმა. რას გახდებოდნენ დიკ სენდი და მისი მგზავრები ასამდე აფრიკელის წინააღმდეგ. ისინი ალყაშემორტყმულნი იყვნენ.

ტერმიტების ბუდე იერიშით აიღეს. მისის უელდონი, მისი ბავშვი და კუზენი ბენედიქტი ისე უცხად მოაცილეს დანარჩენებს, რომ ხელის ჩამორთმევა და ერთმანეთისათვის სიტყვის თქმაც ვერ მათხროს. აშკარა იყო, აფრიკელები მიღებულ ბრძანებას ასრულებდნენ.

პირველმა ნავმა მისის უელდონი, პატარა ჯეკი და კუზენი ბენედიქტი წაიყვანა. დიკ სენდმა დაინახა, როგორ გაემართა ეს ნავი ბანაკისაკენ და როგორ მიეფარა თვალს. დანარჩენები მეორე ნავში ჩაყარს და სხვა მხრისაკენ წაიყვანეს. ამ ნავში ოცი აფრიკელი მაინც იჯდა. უკან ხუთი ნავი მიჰყვებოდა. წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო. დიკ სენდი და მისი თანამგზავრები ცდილობდნენ უბრძოლველად არ დამორჩილებოდნენ, რამდენიმე მეომარი კიდევ დაჭრეს. ეს, ალბათ, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდათ მათ, მაგრამ ეტყობოდა, ნაბრძანები ჰქონდათ მათი ცოცხლად შეპყრობა.

გადასვლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სწორედ მაშინ, როცა ნავი ნაპირს მიადგა, ჰერკულესი ელვის სისწრაფით გადახტა ნაპირზე. მას ორი აფრიკელი გამოუდგა, მაგრამ გოლიათმა თოფი კომბალივით მოიქნია და თავგახეთქილი აფრიკელები ძირს დასცა. ჰერკულესი ტყვიების სეტყვასაც სასწაულებრივად გადაურჩა და ტყეში მიიმალა. დიკ სენდი და მისი თანამგზავრები ნაპირზე გადაათრიეს და ბორკილები დაადეს.

თავი VII

ბანაკი ქვანზის ნაპირას

წყალდიდობას დაბლობი ტბად ექცია. ტერმიტების დასახლება მთლიანად შეცვლილიყო. ამ ფართო და ღრმა აუზში მხოლოდ ოციოდე ბუდის წვერილა მოჩანდა. ადიდებული შენაკადებისაგან მდინარე ქვანზე კალაპოტსი ვედარ დატეულყო, ნაპირზე გადმოეხეთქა და იქაურობა წყლით დაეფარა.

ქვანზა ანგოლას ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა. იგი ატლანტის ოკეანეს ერთვის. მისი შესართავი იმ ადგილიდან, სადაც "პილიგრიმმა" კატასტროფა განიცადა, ასი მილითაა დაშორებული. რამდენიმე წლის შემდეგ ბენგელასაკენ მიმავალმა ლეიტენანტმა კამერონმა გადალახა ეს მდინარე. ქვანზა, თავისი მდებარეობის წყალობით, პორტუგალიის კოლონიის ამ მხარეში შიდა ნაოსნობისათვისაა გამოყენებული. გემები უკვე მის შუა წელამდე ადიან და ათიოდე წელიც აღარ იქნება საჭირო, რომ სათავესაც მიაღწიონ.

დიკ სენდი არ შემცდარა, ჩრდილოეთისაკენ რომ დაუწყო სანაოსნო მდინარეზე ძებნა. პატარა მდინარე, რომლის დინებასაც მისი რაზმი მიჰყვებოდა, ქვანზის შენაკადი იყო. ტერმიტების სამფლობელოდან იგი ერთი მილით იყო დაშორებული დ რომ ეს მოულოდნელი თავდასხმა არა (რისი წინასწარ გათვალისწინებაც მას არაფრით არ შეეძლო), ახალგაზრდა

მეზღვაური იმ მდინარეს აუცილებლად მიაგნებდა. შემდეგ მგზავრები ტყვით (მისი შეკვრა ძნელი არ იყო) პორტუგალიელთა დასახლებას მიაღწევდნენ. იქ გემები ხშირად შედიან და რაზმი გადარჩებოდა.

მაგრამ ამ გეგმას აღსრულება არ ეწერა...

ბანაკი, რომელი დიკ სენდმა შეამჩნია, ტერმიტების ბუდეების მეზობლად მდებარე გორაკზე გაშლილიყო. გორაკის თავზე ვებერთელა ლელვის ხე იდგა. მის ტოტებქვეშ ხუთასამდე კაცს შეძლო შეეფარებინა თავი. ცენტრალური აფრიკის ეს გიგანტური ხეები შენი თვალთ უნდა ნახო, თორემ ისე ვერც კი წარმოიდგენ. ხეები გაშლილი ტოტები ისეთ დაბურულსა და გაუვალ ტყეს ქმნიან, რომ ადამიანი გზასაც ვერ გაიგნებს. ამ უკიდევანო გარემოს თითქოს ავსებდნენ უწყალო ბანიანები.

ქარავანი, რომელზედაც ჰერისი ელაპარაკებოდა ნეგროს, სწორედ ამ ლელვის ქვეშ დაბანაკდა.

მონათვაჭრები ალვეციის აგენტების მიერ საკუთარი კარ-მიდამოდან აყრილ მცხოვრებლებს კაზონდეს ბაზრებისაკენ მიერეკებოდნენ. იქიდან კი მონები საჭიროებისამებრ იგზავნებოდნენ დასავლეთ სანაპიროს ბარაკებში ან ნიანგვეში, დიდი ტბების რაიონში, რომ შემდეგ ისინი ზემო ეგვიპტეში ან ზანზიბარის ფაქტორებში გაენაწილებინათ.

დიკ სენდი და მისი მგზავრები ბანაკში მისვლისთანავე მონებად აქციეს. ზანგებს, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკელები არ იყვნენ, ადგილობრივ ტყვე მცხოვრებლებით ექცეოდნენ.

ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი დააწყვილეს და ყელზე ექვსი-შვიდი ფუტის სიგრძის ხარისა ჩამოაცვეს. ხარიხების გაორებული ბოლოები რკინის კავით იყო შეკრული. მონებს მწკრივად ერთიმეორის მიყოლებით უნდა ევლოთ. სიფრხილისათვის ტყვეებს წელზე მძიმე ჯაჭვები მიაბეს. მათ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლოთ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ. ხელები თვისუფალი ჰქონდათ სიმძიმის ასაწევად, ფეხები - სასიარულოდ. გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ასე უნდა გაევლოთ ასობით მილი. ამას ზედ ისიც ერთვოდა. რომ ჰავილდარები მათრახებით უმოწყალოდ სცემდნენ. ერთმანეთს მოწყვეტილი არაქათგამოცლილი დიკ სენდი და მისი მგზავრები მათ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ.

ნეტავ ჰერკულესით გაქცევა მაინც მოეხერხებინათ! ან კი, რისი იმედი უნდა ჰქონოდა გაქცეულს? რას უშველიდა მას თავისი ძლიერი მკლავი ამ მტრულ ქვეყანაში. აქ ხომ შიმშილი, მარტოობა, მხეცები, ადგილობრივი მოსახლეობა - ყველა მისი მტერი იყო. იქნებ კიდევ ენანა, რომ თანამგზავრების ბედი არ ერგო!

ქარავნის მეთაურები უცნობ ენაზე ლაპარაკობდნენ, მონებისათვის მხოლოდ მრისხანე გამოხედვას იმეტებდნენ - რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ჩვენს მგზავრებს!

დიკ სენდი არავისთან არ დაუწყვილებიათ. როგორც თეთრკანიანს, ვერ შებედეს. განაიარაღეს, მაგრამ ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა. საგანგებოდ მეთვალყურედ ერთი ჰავილდარი მიუჩინეს. დიკ სენდი ბანაკს გაფაციცებით ათვალთვლებდა და ყოველ წუთს ნეგროსა და ჰერისის გამოჩენას ელოდა... მაგრამ ამაოდ. მას ღრმად სწამდა, რომ ტერმიტების ბუდის წინააღმდეგ იერიში ამ ორმა ნაძირალამ მოაწყო. მისის უელდონი, პატარა ჯეკი და კუზენი ბენედიქტი მათ ამერიკელის ან პორტუგალიელის ბრძანებით დააშორეს. რადგან არც ერთი გარეწარი აქ არ ჩანდა, დიკ სენდმა იფიქრა, უთუოდ ორივე იმათ გაჰყვაო.

სად წაიყვანეს, რას უპირებენ მათ? ეს ფიქრი დიკ სენდს საშინლად სტანჯავდა.

მას თავისი თავი დავიწყებოდა და ახლობლებზე ფიქრსა და ზრუნვას შეეპყრო. გიგანტური ლელვის ქვეშ დაბანაკებული ქარავანი რვაასამდე კაცს ითვლიდა. ამათგან ხუთასი მონა იყო, ორასამდე ჯარისკაცი, დანარჩენები კი მებარგულები, ჰავილდარები, აგენტები და ზედამხედველები იყვნენ.

ზედამხედველები პორტუგალიელები ან არაბები იყვნენ. ისინი მეტად ულმობლად ექცეოდნენ ტყვეებს, დაუნდობლად სცემდნენ, არაქათგამოცლილებს, ძალმიხდილებსა და გასაყიდად უვარგისებს ტყვით ან დანით ხოცავდნენ. ასეთი საშინელი, სასტიკი მოპყრობით

ტყვეები მორჩილებაში ჰყავდათ. მაგრამ ამავე სისასტიკის გამო ზოგი გარბოდა, ზოგი იხოცებოდა და ნახევარიც კი ვერ აღწევდა ბაზრამდე. აფრიკის გრძელი გზები მათი ძვლებით იყო მოკირწყლული. ევროპელი აგენტები მეტწილად პორტუგალიელები, სამშობლოდან გაძევებული ნადირალები, მსჯავრდებულნი, გაქცეული, კატორღელები, სახრჩობელას გადარჩენილი მონათვაჭრები იყვნენ. ასეთებს მიეკუთვნებოდნენ ნეგრო და ჰერისიც. ისინი შუა აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონათვაჭარს, ხოზეანტონიო ალვეცს ემსახურებოდნენ. ალვეცი წვრილ ვაჭართათვის კარგად ნაცნობი პიროვნება იყო. ლეინტენანტმა კამერონმა მასზე საინტერესო ცნობები მოგვაწოდა.

ტყვე მონების თანხმლები ჯარისკაცები უმეტესად მონათვაჭრების მიერ დაქირავებული ადგილობრივი მცხოვრებლები არიან. მარტო მონათვაჭრები როდი არბევენ მოსახლეობას. ზანგი მეფეები სისხლისმღვრელ ომებში დამარცხებულებს მონებად აქცევენ და მერე მონათვაჭრებს უცვლიან რამდენიმე იარდ კოლენკორზე, თოფის წამალზე, თოფებზე, წითელ და ვარდისფერ მძივებზე და შიმშილობისას ერთ მუჭა მანიოკას ფქვილზე, როგორც ამას ლეინგსტონი წერს.

ალვეცის ქარავნის თანხმლები ჯარისკაცები აფრიკული არმიის ნიმუშად გამოდგებოდა. ეს არმია შიშველ-ტიტველი ზანგი ბანდიტების ხროვა იყო. ისინი გრძელ, კაჟიან, სპილენძის რგოლებით ლულეებშიმოჭედილ თოფებს იქნევდნენ. ასეთი ესკორტის დამორჩილება, რომელთაც გზადაგზა ათასი ჯურის ნადირალები შეუერთდებოდნენ ხოლმე, აგენტებს ძალიან უჭირდათ: ისინი ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ, თვითონ ნიშნავდნენ დაბანაკების ადგილსა და დროს, გაქცევის მუქარით აიძულებდნენ აგენტებს, ჯარისკაცების მოთხოვნებისათვის ანგარიში გაეწიათ.

ქარავნის ტვირთი მონებს მიაქვთ ხოლმე, მაგრამ ტვირთმზიდავებს მაინც ქირაობენ. მათ "პაგაზისებს" ეძახიან. "პაგაზისებს" აჰკიდებენ ხოლმე სპილოს ძვლითა და ძვირფასი ნივთებით სავსე ფუთებს და ქარავანს აყოლებენ. ზოგჯერ სპილოს ეშვები იმდენად დიდია, რომ თითოეული მათგანის სიმძიმე ას სამოც გირვანქას აღწევს. ფაქტორიებამდე მათ გადაზიდვას ორი პაგაზისი მაინც სჭირდება. იქიდან ეს ძვირფასი საქონელი ხართუმის, ზანზიბარისა და ნატალის ბაზრებზე იგზავნება. პაგაზისებს შრომას უნაზღაურებენ ოც იარდამდე ქსოვილით, რომელსა "მერკანს" უწოდებენ, აძლევენ ცოტა თოფის წამალს, ერთ მუჭა კარუს¹, მძივების აცმას, ზოგჯერ კი მონასაც, თუ მფლობელს მისი გასაღების იმედი არა აქვს, ან სხვა რამ საფასური არ გააჩნია.

ხუთასმონიან ქარავანში მოხუცები ძალიან ცოტანი იყვნენ. ჩვეულებრივ, დარბევისა და სოფლის გადაწვის შემდეგ ორმოც წელზე მეტი ხნის მცხოვრებლებს შეუბრალებლად ხოცავდნენ და ხეებზე ახრჩობდნენ, მხოლოდ მოზრდილები და ბავშვები მიჰყავდათ გასაყიდად. ამ საშინელი ნადირობის შემდეგ ცოცხალი მხოლოდ მოსახლეობის ერთი მეათედი რჩებოდა. ასე ამოწყდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და უდაბნოდ იქცა ეკვატორული აფრიკის თვალუწვდენელი ოლქები.

¹ კური ამ ქვეყანაში მეტად გავრცელებული ნიჟარაა, რომელიც მონეტად გამოიყენება.

ბავშვებსა და მოზრდილებს შიშველ კანს ძლივს უფარავდა ხის მერქნისაგან გაკეთებული ქსოვილის ნაფლეთები. ამ ქსოვილს იქაურები "მზუზუს" უწოდებენ.

ადამიანთა ეს ფარა შესაბრალისი სანახავი იყო. ჰავილდარების მათრახით ქალებს ტანი მთლად დაწყლულებული ჰქონდათ, მშიერი, ქანცამოცლილი, ფეხებდასისხლიანებული, გამხდარი ბავშვები, მძიმე ტვირთის მიუხედავად, დედებს ხელით მიჰყავდათ. კატორღელის ბორკილებზე უფრო აუტანელი იყო უღელი, მამაკაცებს რომ ადგამდნენ.

მხეცსაც კი გულს მოუღობოდა ამ საცოდავების ხილვა. "შავი ხის ჩონჩხები" (როგორც მათ ლეინგსტონმა უწოდა) ძლივს მილასლასებდნენ. ადამიანები კი... ადამიანები უგრნობნი და გულცივნი იყვნენ მათ მიმართ. არაბები და განსაკუთრებით პორტუგალიელი ზედამხედველები, ლეიტენანტ კამერონის თქმით, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ¹.

ქარავნის მსვლელობისა და დაბანაკების დროს ტყვეებს ფხიზლად და სასტიკად ადევნებდნენ თვალს. დიკ სენდი მიხვდა, რომ გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მაშ როგორ უნდა იპოვოს მისის უელდონი? უეჭველი იყო, მისის უელდონი და ჯეკი ნეგოროს ბრძანებით მოიტაცეს. პორტუგალიელმა ისინი სხვა მგზავრებს ჩამოაცილა. თუ რატომ მოიქცნენ ასე, დიკ სენდისათვის ჯერჯერობით გაუგებარი იყო. ნეგოროს ხელი რომ ერია ამ საქმეში, მისთვის ცხადი იყო. გული ეკუმშებოდა ტკივილისაგან, როცა იმ საფრთხეს წარმოიდგენდა, რომელიც მისის უელდონს ემუქრებოდა.

"ოჰ! - მერამდენედ იმეორებდა იგი თავისთვის, - როგორ არ ჩავაძალღე ორივე გაიძვერა, როცა ჩემ ხელთ იყვნენ; როგორ არ მივახვრიტე ორივე!"

ეს აზრი აეკვიტა და აღარ სცილდებოდა. რამდენ უბედურებას ასცდებოდნენ ჰერისისა და ნეგოროს მოკვლით! რამდენ ტანჯვას აცდენდნენ იმათ, ვისაც ადამიანის ხორციტ მოვაჭრენი მონებივით ექცეოდნენ!

დიკ სენდს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა საშინელ დღეში ჩავარდებოდნენ მისის უელდონი და პატარა ჯეკი, რა იმედი უნდა ჰქონოდათ მათ კუზენ ბენედიქტისა? საბრალოს ნეტა თავისი თავის მოვლა მაინც შესძლებოდა! ალბათ, სამივენი ანგოლას პროვინციის რომელიმე ყრუ მხარეს გაგზავნეს. ნეტავ ავადმყოფი ბავშვი ვის მიჰყავს?

"დედამისი, ოჰ, დედამისი! იგი უკანასკნელ ძალებს მოიკრებს! იმ უბედურ მონა ქალებივით, ისიც თავს გასწირავს შვილისათვის და, ალბათ, მათსავით დაეცემა გზაში! ოჰ! ნეტავ ღმერთმა ამ ჯალათებივით შემახვედროს, მე.." - ფიქრობდა დიკ სენდი.

მაგრამ იგი ხომ ტყვე იყო! ერთ-ერთი წევრი იმ ფარისა, რომელსაც პავილდარები აფრიკის გულისაკენ მიერეკებოდნენ! ისიც კი არ იცოდა, მონების ამ ჯგუფს ჰერისი და ნეგორო მეთაურობდნენ თუ არა! დინგო აქ აღარ იყო, რომ პორტუგალიელის გეში

1 აი, რას წერს კამერონი თავის წიგნში "დედამიწის გრემო": "ორმოცდაათი ქალის ხელში ჩასაგდებად, რომელთაც ალვეცი თხოულობდა, ათი სოფელი დაარბიეს. თითოეულ მათგანში ასი, ორასი სული მაინც ცხოვრობდა, ესე იგი სულ ათას ხუთასი მცხოვრები. ზოგმა გაქცევა მოასწარო. უმეტესობა ცეცხლში ჩაიწვა. ნაწილი ამოჟლიტეს თავისი ოჯახების დაცვისას. ვინც გადარჩა და ჯუნგლებს შეაფარა თავი, ან შიმშილით ამოწყდა ან მათ ტანჯვას გარეულმა მხეცებმა მოუღეს ბოლო...."

... ეს ბოროტმოქმედება ცენტრალურ აფრიკაში პორტუგალიელებმა ჩაიდინეს და თანაც თავის ქრისტიანებად მოაქვთ!

განათლებული ქვეყნების მცხოვრებთ ეს ამბავი დაუჯერებლად მოეჩვენებათ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ლისაბონის მთავრობამ მის დროშას ამოფარებული ადამიანების ბარბაროსულ საქციელზე არაფერი იცოდეს, რომელთაც თავი ამ ქვეყნის ქვეშევრდომებად მიაჩნდათ".

აელო და მისი მოახლოება ენიშნებინა. მისის უელდონის ხსნა მხოლოდ ჰერკულესს შეუძლია. მაგრამ განა შეიძლება კაცს ასეთი სასწაულის იმედი ჰქონდეს?

დიკ სენდი ამ აზრს წყალწალბულივით ეჭიდებოდა. იმითღა სულდგმულობდა, რომ ღონიერი ზანგი თავისუფალი იყო. მის ერთგულებასა და თავდადებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. იგი ყველაფერს გააკეთებდა მისის უელდონის გადასარჩენად. დიახ! ჰერკულესი მისის უელდონისა და ჯეკის კვალს დაუწყებს ძებნას და შეეცდება მიაგნოს მათ. ხოლო თუ ვერ მოახერხა, მაშინ როგორმე დიკ სენდს დაუკავშირდება და გაათავისუფლებს! ღამით, როცა ისინი დაბანაკდებიან, ჰერკულესი სხვა შავ მონებს შეუმჩნეველად შეერევა, მივა დიკთან, დაამსხვრევს ბორკლებს და მას ტყეში წაიყვანს. შემდეგ, განთავისუფლებულნი, რას არ იღონებენ მისის უელდონის დასახსნელად. ოკეანემდე მდინარის დინებას ჩაჰყვებიან, - ახლა უფრო მოახერხებენ თავისი განზრახვის ასრულებას, საუბედუროდ, ადგილობრივ მცხოვრებთა თავდასხმამ რომ ჩაშალა!

შიშს იმედი სცვლიდა, იმედს შიში. ენერგიული და გულგატეხილი დიკი პაწაწინა რწმენის სხვისაც კი იმედიანად შეჰყურებდა.

უპირველესად საჭირო იყო იმის გაგება, რომელი ბაზრისაკენ მიემართებოდა მონათა ქარავანი. თუ ანგოლას რომელიმე ფაქტორიაში მიდიოდნენ, მაშინ სულ რამდენიმე დღე

სჭირდებოდათ, თუ არა, - მაშინ ცენტრალური აფრიკისაკენ ქარავანს ასობით მილი უნდა გაეწეო. იქ მონათვაჭრობის მთავარი ბაზარი ნიანგვესა და მანიემში იყო. ნიანგვე მერიდიანზე მდებარეობდა, რომელიც აფრიკას ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. ეს სწორედ ის დიდი ტბათა მხარა, სადაც ლივინგსტონმა იმოგზაურა. ის დასახლებული პუნქტი ძალიან შორს იყო ქვანახის ბანაკიდან და იქამდე მისვლას რამდენიმე თვეს მოუწოდებდნენ.

ყველაზე დიდი საფიქრალი დიკ სენდისათვის ახლა ეს იყო. ნიანგვეში ტყვეობისათვის კიდევაც რომ დაეღწიათ თავი მისის უელდონს, ზანგებს და მას, მაინც ძალიან ძნელი იქნებოდა და იქნებ შეუძლებელიც კი, ოკეანის ნაპირზე დაბრუნებულიყვნენ. ამ გრძელ გზაზე მათ მრავალი ხიფათი ელოდათ.

ახალგაზრდა მეზღვაურს მექარავნეთა ენა არ ესმოდა. ისინი არაბული ენისა და აფრიკული დიალექტის რომელიმე ნარევი ლაპარაკობდნენ. დიკ სენდი მაინც მიხვდა, საბოლოოდ სად უნდა ჩასულიყვნენ. ისინი ხშირად ახსენებდნენ კაზონდეს, რომელიც ამ მხარის ერთ-ერთი მთავარი ბაზარია. დიკ სენდი ფიქრობდა, რომ ტყვეთა ზედი იქ გადაწყდებოდა: მათ ან ადგილობრივი მეფე შეისყიდდა, ან რომელიმე მდიდარი ვაჭარი. დიკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არ ცდებოდა.

დიკ სენდმა კარგად იცოდა გეოგრაფია და ისიც, რომ მანძილი სან-პაოლო-დე-ლუანდადან კაზონდემდე ოთხას მილს არ აღემატებოდა. მაშასადამე, ქვანახის ნაპირზე დაბანაკებულთ ორას ორმოცდაათ მილზე მეტი აშორებდა. დიკ სენდმა ეს მიახლოებით გამოიანგარიშა, რაშიც თავიანთი პატარა რაზმის მიერ ჰერესთან ერთად განვილი გზის გათვალისწინება გამოადგა. ამ მანძილს დაახლოებით ათი-თორმეტი დღე მოუწოდებოდა. ასეთ არაქათგამოცლილ ქარავანს კი - ორჯერ მეტი. დიკ სენდი ფიქრობდა, რომ ქვანახიდან კაზონდემდე მისვლას სამი კვირა მაინც დასჭირდებოდა. ახლა აუცილებელი იყო, როგორმე ეს ტომისა და მისი თანამგზავრებისათვის ეცნობებინა. დიკ სენდს უნდა დაემშვიდებინა ისინი და გაეგებინებინა, რომ დამლუპველ ცენტრალურ აფრიკაში როდი მიჰყავდთ ტყვეები. ორიოდ სიტყვაც რომ ეთქვა, მათთვის ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ მოახერხებდა კი ამ ორიოდ სიტყვის თქმას?

ტომი და ბათი ერთად გადაებათ. აქტეონი და ოსტინიც დაეწყვილებინათ. ისინი ბანაკის განაპირას იყვნენ. მათ ერთი ჰავილდარი და თორმეტამდე ჯარისკაცი დარაჯობდა.

დიკ სენდს მათგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯი აშორებდა. ახალგაზრდა მეზღვაურმა გადაწყვიტა, ნელ-ნელა მიახლოებოდა მათ და ფეხს აუჩქარა. ეტყობოდა, მოხუცი ტომი მიუხვდა და რაღაც გადაუჭურჩულა გვერდში მყოფთ. ხელფეხმეკრულნი კი იყვნენ, მაგრამ ყველაფრის დანახვა და გაგონება შეეძლოთ.

მალე დიკ სენდი ტომს იმდენად მიუახლოვდა, რომ შეეძლო დაეყვირა "კაზონდე" და ეთქვა, თუ რამდენი ხანი დასჭირდებოდათ იქ მისასვლელად. ახალგაზრდა მეზღვაურმა ამჯობინა ისე მიახლოებოდა მას, მგზავრების მოქმედების გეგმაზე შეთანხმებოდა. დიკ სენდმა კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს... გულს ისეთი ბაგა-ბუგი გაუდიოდა, ეგონა, საცაა ბუდიდან ამოვარდებო... სულ რამდენიმე ნაბიჯილა დარჩენოდა, რომ ჰავილდარი, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, ყვირილით გამოიქცა მისკენ. მის ყვირილზე ათიოდე ჯარისკაცმაც მოირბინა, დიკ სენდს უხეშად ჰკრეს ხელი და უკან დახევინეს. ტომი და მისიანები კი ბანაკის მეორე ბოლოში გადაიყვანეს.

გაცოფებული დიკ სენდი ჰავილდარს ეცა, თოფი გუტეხა და ნატეხი ხელიდან გამოსტაცა. შვიდი-რვა ჯარისკაცი ერთად მიესია და ნაფლეთებად აქცევდნენ კიდევ, რომ საქმეში მკაცრი გამომეტყველების მაღალი არაბი არ ჩარეულიყო. ეს ის იბნ ჰამისი იყო, რომელზედაც ჰერისი ლაპარაკობდა. მან რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა დიკ სენდისათვის გაუგებარ ენაზე და ჯარისკაცებმაც წესრიგის დამრღვევს თავი ანებეს.

ცხადი იყო, ახალგაზრდა მეზღვაურს თავის მგზავრებთან ურთიერთობა ეკრძალებოდა. ისიც აშკარად ჩანდა, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფა არავის შეეძლო. ასეთი ბრძანების გაძება ჰერისისა და ნეგოროს მეტს ვის უნდა შესძლებოდა?

19 აპრილს დილის 9 საათზე გაისმა საყვირის – "კულუს" რქის -ხმა, რასაც დოლის ძლიერი ბრაგაბრუგი მოჰყვა. შესვენება დამთავრდა. ყველანი - უფროსები, ჯარისკაცები, ტვირთმზიდავები და მონები ფეხზე წამოცვივდნენ. გამოჩნდა ფუთააკიდებული მონების რამდენიმე ჯგუფი ჰავილდარის მეთაურობით. მან ჭრელი დროშა გაშალა გამგზარების ნიშანი მისცეს.

ჭერში დაირხა ნაღვლიანი სიმღერის ხმა. მღეროდნენ დამარცხებულნი. ამ გაბმულ გოდებაში მოისმოდა გულუბრყვილო რწმენა და მუქარა ჯარლათებისა და მჩაგვრელებისადმი: "თქვენ მე გამგზავნით ოკეანის ნაპირზე, მაგრამ სიკვდილის შემდეგ აღარ მექნება უღელი და მე დავბრუნდები შურის საძიებლად!" - გოდებდა სიმღერა.

თავი VIII

დიკ სენდის ზოგიერთი ჩანაწერი

ჭექა-ქუხილი შეწყდა, მაგრამ ამინდი მაინც არეული იყო. იწყებოდა "მაზიკა", წვიმების სეზონის მეორე პერიოდი. ორი-სამი კვირის განმავლობაში ღამღამობით გადაუღებელივ წვიმდა. ეს ქარავნის ტანჯვას აორკეცებდა.

მოდუშული ამინდი იდგა. ქარავანმა დილაადრიან დატოვა ქვანზის ნაპირი და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო

ქარავანს წინ ორმოცდაათამდე ჯარისკაცი მიუძღოდა, ორივე მხარეს კი ას-ასი, დანარჩენები უკან მოჰყვებოდნენ. ასე რომ, ტყვეები, შებორკილები რომ არ ყოფილიყვნენ, მაინც ვერ შეძლებდნენ გაქცევას. ქალები, ბავშვები და მამაკაცები ერთმანეთში არეულიყვნენ. ჰავილდარები მათრახებით აჩქარებდნენ მათ. აქ იყვნენ უბედური მეძუძური დედები, რომლებსაც ერთ ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირათ და აწოვებდნენ, მეორეში კი იმ ძუძუთაზე ოდნავ უფრო ტიტველი და ფეხშიშველი ბავშვი, ძლივს რომ მიაბიჯებდნენ ეკლიანი ბალახით დაფარულ მიწაზე.

ქარავნის უფროსი, მრისხანე იბნ-ჰამისი, ჰავილდარისა და დიკ სენდის ჩხუბში რომ ჩაერია, მთელ ქარავანს ადევნებდა თვალყურს და განუწყვეტლივ დადიოდა წინ და უკან კოლონის თავიდანა ბოლომდე. მას და მის აგენტებს ტყვეების ტანჯვა სულაც არ აწუხებდათ, მაგრამ ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, ანგარიში გაეწიათ ჯარისკაცებისათვის, რომლებიც ულუფის მომატებას თხოულობდნენ, და ჰაგაზისებისათვის, რომლებსაც დასვენება სურდათ.

ამის გამო ხშირად კამათობდნენ და ამ კამათს მეტწილად ლანძღვა-გინება მოჰყვებოდა ხოლმე. გაბრაზებული ჰავილდარბი ჯავრს მონებზე იყრიდნენ. ისმოდა მუქარა და საშინელი ტკივილისგან გამწარებული ადამიანის ყვირლი, ბოლოში მომავალნი წინმავალთა სისხლით მორწყულ მიწაზე მიაბიჯებდნენ.

დიკ სენდის თანამგზავრები ქარავნის წინა რიგებში იყვნენ. კისერზე მძიმე უღელჩამოცმულნი მწკრივად მიდიოდნენ, თავის მობრუნებაც კი არ შეეძლოთ. მათრახს მათაც ისევე ურტყამდნენ, როგორც მათსავე მდგომარეობაში მყოფ სხვა უბედურთ. დიკ სენდთან რაიმე კავშირის დამყარება შეუძლებელი იყო.

ბათი მამამისთან დაეწყვილებინათ. იგი წინ მიდიოდა და ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, ნაკლება შეერხია უღელი. ფეხით სინჯავდა მიწას და დასადგმელად მოხერხებულ ადგილს ეძებდა, რომ მოხუც ტომს ადვილად გაევილო მის ნაკვალევზე. დროდადრო, როცა ჰავილდარი ოდნავ ჩამორჩებოდა მწკრივს (იგი ამხნევებდა მამას, ტომამდე მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა თუ აღწევდა. ხანდახან ნაბიჯის შენელებასაც ცდილობდა, რომ მამა ოდნავ მაინც შეესვენებინა. ვაჟკაცისათვის ეს საშინელი ტანჯვა იყო. საყვარელი მამისაკენ თავის მობრუნებაც კი არ შეეძლო. ტომი კი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ თავის ვაჟს ხედავდა, თუმცა ეს ძვირად უჯდებოდა. მსხვილი ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა თვალთაგან, როცა ჰავილდარი ბათს მათრახით სცემდა ხოლმე და მის ტანზე სისხლიან ნაკვალევს სტოვებდა. ეს მამისთვის მძიმე სატანჯველი იყო - თითქოს მის ზურგზე გადადიოდა მათრახის ყოველი დარტყმა.

ოსტინი და აქტონი რამდენიმე ნაბიჯით უკან მიდიოდნენ. მათ ყოველ წუთს აბუჩად იგდებდნენ. ოჰ, როგორ შენატროდნენ ჰერკულესის ბედს! რა საფრთხესაც უნდა გადაყროდა იგი ამ ველურ მხარეში, თავისი ძალის გამოყენება და საკუთარი სიცოცხლის დაცვა ხომ მაინც შეეძლო!

დატყვევებისას მოხუცმა ტომმა თავის მგზავრებს სიმართლე გაუმხილა. უთხრა, რომ ნეგროსა და მოლალატე ჰერისის წყალობით შუაგულ აფრიკაში ვართ და არავითარი დანდობის იმედი აღარ უნდა გვექონდესო, ამ ამბის გაგონებაზე ყველანი სახტად დარჩნენ.

უკეთესად არც ნანს ექცეოდნენ. იგი ქარავნის შუაგულში მიმავალ ქალთა ჯგუფში იყო. ნანი ორშვილიან ახალგაზრდა დედასთან გადაებათ. მას ერთი ძუძუთა ბავშვი ჰყავდა, მეორე კი სამიოდე წლისა. ბავშვი ძლივს მიდიოდა. კეთილ ნანს შეებრაღა იგი და ამ პატარა, უსუსურ არსებაზე მზრუნველობა იკისრა. საცოდავმა მონა ქალმა მადლობა მხოლოდ ცხარე ცრემლით გადაუხადა. ნანმა ბავშვი ხელში აიყვანა, რომ იგი დაღლილობისა და ჰავილდარის მათრახისაგან დაეცვა. ეს ძალიან მძიმე ტვირთი იყო მოხუცი ნანისათვის. ნატრობდა, რომ ძალა მალე არ გამოსცლოდა. ასეთ წუთებში მას პატარა ჯეკი აგონდებოდა. თვალწინ ედგა მისის უელდონი, რომელსაც ბავშვი აყვანა ხელში. მართალია, ბიჭუნა ავადმყოფობისაგან გახდა, მაგრამ მაინც მძიმე იქნებოდა მისის უელდონის დასუსტებული მკლავებისათვის! ნეტავ სად არიან? რა მოუვიდათ? ეღირსება კი მოხუც გადიას ოდესმე მათი ნახვა?

დიკ სენდი თითქმის ქარავნის ბოლოს მოჰყავდათ. იგი ტომს და მის მგზავრებს სულ ვერ ხედავდა, ვერც - ნანს. გრძელი ქარავნის თავს მხოლოდ მაშინ დაინახავდა ხოლმე, როცა გაივაკებდნენ. იგი ღრმად ჩაფლულიყო მწუხარე ფიქრებში და მხოლოდ ხანდახან თუ გამოაფხიზლებდა მეთვალყურეების ყვირილი. თავის თავზე და დაღლილობაზე არ ფიქრობდა, არც იმ წუთების მოლოდინი აწუხებდა, რომელსაც ალბათ, გარეწარი ნეგრო უმზადებდა მას. მისი საფიქრალი და სადარდებელი მხოლოდ მისის უელდონი იყო. იგი ამაოდ ეძებდა მის ნაკვალევს მიწაზე, ეკლიან ბილიკებზე, მოტეხილი ხის მიწაზე გართხმულ ტოტებზე. შეუძლებელი იყო, მისის უელდონი სხვა გზით წაეყვანათ. ეჭვი არ იყო, ისიც კაზონდებში მიჰყავდათ. ოღონდ კი გაეგო, საით წაიყვანეს მისის უელდონი და რას არ მისცემდა დიკ სენდი.

ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ახალგაზრდა მეზღვაური და მისი თანამგზავრები. განუზომელი იყო მათი ტანჯვა და შიში, მაგრამ უფრო მეტი იყო ის სიბრაღული და აღშფოთება, რასაც ისინი განიცდიდნენ, როცა ხედავდნენ ტყვეთა ტანჯვასა და მეთვალყურეთა საშინელ უხეშობას. სამწუხაროდ, ამ უბედურთა დასაცავად მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, ჯარისკაცებისათვის წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო.

ქვანზის აღმოსავლეთით ოციოდე მილზე ტყე გადაჭიმულიყო. აქ ხეები უფრო მეჩხერად იდგა, ვიდრე სანაპიროს გაყოლებით. შეიძლება, აქაური უამრავი მწერი ახმობს ამ ხეებს, ან ჯერ კიდევ ნორჩებს სპილოების ჯოგი გადათელავს ხოლმე. ასეთ ტყეში სიარული არ ჭირდა. რადგან სვლას ბუჩქნარი უფრო აფერხებდა, ვიდრე ხეები. მრავლად იყო შვიდი-რვა ფუტის სიმაღლის ბამბის ბუჩქები, რომლის ბოჭკოებიდან თეთრი და შავზოლებიანი ქსოვილს ამზადებდნენ და აქაურები ტანსაცმლად ხმარობენ. ზოგან ნამდვილ ჯუნგლებში ხვდებოდნენ. იგი მთელ ქარავანს ფარავდა. ცხოველთაგან ჟირაფისა და სპილოს თავი თუ გამოჩნდებოდ ხოლმე ხანდახან ლერწმებში. ეს ლერწმები ბამბუკს ჰგავდა. მისი დიამეტრი ერთი დუიმი მაინც იქნებოდა. აგენტებს შესანიშნავად უნდა სცოდნოდათ ეს მხარე, რომ გზა არ აბნეოდათ.

ქარავანი ყოველდღე დილაადრინ დაადგებოდა ხოლმე გზას. შუადღისას მხოლოდ ერთი საათს ისვენებდნენ. ხსნიდნენ მანიოკას ფუთებს და მომჭირნედ უნაწილებდნენ მონებს. ამას ემატებოდა, ბატატები და ხბოს ან თხის ხორცი. მას ჯარისკაცები სოფლების გავლისას მარცვა-გლეჯით შოულობდნენ.

საშინლად დაღლილ-დაქანცულებს ერთი საათი დაასვენებლად არ ჰყოფნიდათ. წვიმიანი ღამეები ხეირიანი ძილისა და მოსვენების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ ისე დასუსტებულნი იყვნენ, რომ ჭამას ძლივსღა ახერხებდნენ. იმ რვა დღის განმავლობაში, რაც ქვანზიდან წამოვიდნენ, ოცამდე მონა მაინც დაეცა გზაში. ისინი იმ მხეცების ლუკმა გახდნენ,

რომლებიც ქარავანს უკან მოსდევდნენ. პანტერები და ლეოპარდები მსხვერვლთ ელოდნენ. მათ ლუკმას, აბა, რა გამოუღევდათ. ყოველ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ისე ახლო ისმოდა მათი ღრიალი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა.

მხეცების ღრიალი ღამის სიბნელეში კიდევ უფრო საზარელი ხდებოდა. მის გაგონებაზე დიკ სენდს ჰერკულესი ედგა თვალწინ და შიშით ფიქრობდა იმ ათასნაირ ფათერაკზე, რომელსაც ჰერკულესი ყოველ წუთს შეიძლებოდა გადაჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, მას რომ გაქცევის შემთხვევა მისცემოდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრებოდა.

აქ მოგვყავს დიკ სენდის ჩანაწერები. ამ სტრიქონებსაც გზაში, ქვანზიდან კაზონდემდე წერდა. ორასორმოცდაათი მილის გავლას ოცდახუთი "გადასვლა" დასჭირდა. "გადასვლა" მონათვაჭრების ენაზე ნიშნავს დღე-ღამის განმავლობაში შესვენებითურთ ათი მილის გავლას.

25-დან 26 აპრილამდე. გავიარეთ სოფელი. მას რვა-ათი ფუტის სიმაღლის ლერწმის კედელი არტყია. მინდორში თესია სიმინდი, ლობიო, სორგო და მიწის თხილი. ორი ზანგი დაიჭირეს და მონად აქციეს. თხუთმეტი მოკლეს. მცხოვრებნი გაიქცნენ.

27 აპრილი. გავედით ჩქარ მდინარეზე. მისი სიგანე ას ორმოცდაათ იარდს უდრის. ბონდი ლიანებით გადაბმული ხის ტოტებისაგანაა გაკეთებული და საშინლად ქანაობს. ბონდს ზოგან ხიმინჯი აკლია. ერთ უღელქვემ მყოფი ორი ქალი წყალში ჩავარდა. ერთს პატარა ბავშვი ეჭირა. წყალი აქაფდა და სისხლით შეიღება. ხიდქვემ ნიანგებია, ფეხი შეიძლება პირდაპირ მის ღია ხახაში ჩაუვარდეს კაცს...

28 აპრილი. მივდივართ ტყეში, სადაც ბაუჰინიეი ხარობენ. მაღალი ხეებია, რომლებსაც პორტუგალიელები "რკინის ხეს" უწოდებენ. კოკისპირულად წვიმს. მიწა დალბა. სიარული უფრო გაჭირდა. ქარავნის შუაგულში ვხედავ საცოდავ ნანს. მას პატარა ზანგი ბავშვი უჭირავს. ძლივს მილასლასებს. მასთან შემბმული მონა ქალი კოჭლობს და მათრახით გახეთქილი მხრიდან სისხლი მოსდის. საღამოს ვბანაკდებით უზარმაზარი ბაობაბის ქვეშ. ხეს თეთრი ყვავილები და ნაზი მწვანე ფოთლები აქვს. ღამით ისმის ლომებისა და ლეოპარდების ღრიალი. ერთმა ჯარისკაცმა პანტერას ესროლა. ნეტავ ჩვენი ჰერკულესი როგორაა?

29 და 30 აპრილი. დაიწყო სიცივეები. ამას აფრიკის ზამთარი ეწოდება. ირგვლივ ყველაფერი დაცვარულია. წვიმების სეზონი აქ ნოემბერში იწყება და აპრილში მთავრდება. დაბლობები ჯერ კიდევ წყლითაა დაფარული. აღმოსავლეთიდან ისეთი ძლიერი ქარი გვცემს, რომ სუნთქვა გვეკრება. ქარს თან ჭაობის ციება მოაქვს.

მისის უელდონისა და მისტერ ბენედიქტის არავითარი კვალი არ ჩანს. კაზონდეს გარდა სად უნდა წაიყვანონ ისინი? ამ ქარავანს თუ მოჰყვებიან, ალბათ ჩვენზე, წინ არიან. საშინლად ვღელავ. უთუოდ პატარა ჯეკს ამ ჭაობიან ადგილებში ისევ დააწყებინა ციება. ნეტავ ცოცხალი კია?

1-დან 6 მაისამდე. რამდენიმე დღე გრძლად გადაჭიმულ დაბლობზე მივდივართ. იგი ჯერ კიდევ არ გაუშრია მზის სხივებს. ზოგჯერ წყალი წალამდე გვწვდება, მაგრამ გზა მაინც უნდა განაგრძო. ათასობით წრუბელა ტანზე გეკრობა. აქა-იქ წყალში პატარა ამალღებულები ადგილები მოჩანს. მასზე ლოტოსი და პაპირუსი ხარობს, მიწაზე, წყლის ქვეშ, სხვა მცენარეებიც გვხვდება. ზოგი კომბოსტოსავით დიდფოთლებიანია, ბევრი მას ფეხს წამოჰკრავს და ეცემა ხოლმე. წყალსი ბევრია ლოქოს ჯიშის პატარა თევზი. ადგილობრივი მცხოვრებნი მათ წნულებით იჭერენ და მექარავნეებზე ჰყიდნიან. ღამის გასათევი ადგილის პოვნა შეუძლებელია. ამ წყლით დაფარულ დაბლობს დასასრული არ უჩანს. სიარული ღამითაც გვხვდება. დილით ქარავანს ბევრი მონა აკლია სათვალავში! რა უბედურებაა! ეცემიან და აღარც ცდილობენ ადგომას, რაღა საჭიროა! რამდენიმე წუთი წყალში და ყველაფერი დამთავრდება! ჰავილდარის მათრახი სიბნელეში ვეღარ მოგვაგნებს!

დიახ! მაგრამ მისის უელდონი და მისი ბიჭუნა? მე ხომ მათი მიტოვების უფლება არა მაქვს! ბოლომდე გავძლებ! მე მოვალე ვარ!

ლამის სიბნელეში შემზარავი ყვირილი გაისმა!

ოცამდე ჯარისკაცმა წყლიდან თავამოყოფილ ფისიან ხეებს ტოტები შეატყბა.

მბჟუტავმა სინათლემ იქაურობა ოდნავ გაანათა.

ნიანგების თავდასხმა! აი, ამ საზარელი ყვირილის მიზეზი! თორმეტი თუ თხუთმეტი ნიანგი სიბნელეში ქარავანს ეცა, ბავშვებსა და ქალებს პირი სტაცეს და "საწყობში" წაათრიეს. ასე უწოდებს ლივინგსტონი იმ ღრმა ორმოებს, სადაც ეს ურჩხული თავის ნადავლს ინახავს. იგი ჯერ წყალში ახრჩობს მსხვერპლს, ჭამას კი მხოლოდ გახრჩონის შემდეგ შეუდგება ხოლმე.

მე ერთმა ნიანგმა ქერცხლი გამკრა. ერთი ჩემს გვერდით მყოფი მონა ბიჭი კი უღრლიდან ამოგლიჯა. უღელი გადატყდა. სასოწარკვეთილი ბიჭი ყვიროდა. რა საშინელი ტკივილი მოისმოდა მის ყვირილში! ახლაც ყურებში მიწივისი მისი შემზარავი ხმა.

7 და 8 მაისი. მეორე დღეს დაკარგულები დათვალეს. ოცი მონა გაქრა. როგორც კი გათენდა, მე ტომი და მისი მგზავრები მოვძებნე! მადლობა ღმერთს! ცოცხლები არიან! თუმა, რისი მადლობა, განა უფრო ბედნიერები არ იქნებოდნენ, რომ მათ ტანჯვას ბოლო მოღებოდა?

ტომი ქარავნის თავშია. იმ დროს, როცა მისმა ვაჟმა, ბათმა, მოუხვია, უღელი ცოტა დაიხარა და ტომმა დამინახა!

მე ვეძებ მოხუც ნანს! ქარავნის შუაგულს შეერია იგი, თუ ამ საზარელ ღამეს დაიღუპა?

ოცდაოთხი საათი წყალში სიარულის შემდეგ, როგორც იყო, დატბორილ დაბლობს გავცდით. მადლობზე დავიბანაკეთ. მზემ ცოტათი შეგვაშრო. ვჭამთ, მაგრამ რა უბედურუკი ულუფაა! ცოტა მანიოკა და ერთ მუჭამდე სიმინდის ფაფა. სასმელად მღვრიე წყალი. ტყვეები მიწაზე გაშლხართულან. ვინ იცის, რამდენი ვეღარ ადგება!

არა! შეუძლებელია მისის უელდონსა და მის ვაჟს ასეთი ტანჯვა აეტანათ! ალბათ, ღმერთმა დაიფარა ისინი და კაზონდებში სხვა გზით წაიყვანეს! საცოდავი დედა ამ ტანჯვა-წვალებას ვერ გაუძლებდა.

ქარავანში რამდენიმე ტყვეს ყვავილი დაემართა, "ნდუე" - როგორც მას აქ უწოდებენ. ავადმყოფებს სიარული არ შეუძლიათ. ნუთუ მათ მიატოვებენ?

9 მაისი. განთიადისას გავუდექით გზას. არვინ ჩამოგვრჩენია. ჰავილდარის მათრახმა დადლილობისა და ავადმყოფობისაგან გამოფიტულნიც კი ფეხზე წამოყარა. მონებს ფასი ადევთ! ჰავილდარები არ დატოვებენ, ვიდრე მათ სიარულის უნარი შერჩენიათ!

მე გარშემორტყმული ვარ ცოცხალი ჩონჩხებით. მათ კვნესის ძალაც აღარ შესწევთ.

ბოლოს და ბოლოს მოხუცი ნანიც დავინახე! საცოდავი სანახავია; ხელში რომ ბავშვი ეჭირა აღარ ჩანს! აღარც მისი მეზობელია. მარტოა! ასე უფრო ნაკლებად დაიტანჯება. მაგრამ წელზე ჯაჭვი მაინც არტყია. მისი ერთი ბოლო მხარზე გადაუგდია.

ნაბიჯს ავუჩქარე და მასთან მიახლოება მოვახერხე. თითქოს ვეღარც კი მცნობს. ნუთუ ასე გამოვიცვალე?

- ნან! - დავუძახე მე.

- თქვენა, მისტერ დიკ! მე... მე... მალე მოვკვდები!

- არა, არა! გამხნევდი, - ვუპასუხე მე და თვალები დავხარე, რომ ამ საცოდავი აჩრდილის გატეტკილი სახე არ დამენახა.

- მოვკვდები... - გაიმეორა მან, - ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ საყვარელ ქალბატონს, პატარა ჯეკს! ღმერთო ჩემო, ღმერთო, შემიბრალე!

მინდოდა, მხარში ამოვდგომოდი საცოდავ მოხუცს. მას დაფლეთილ ძონძებქვეშ მთელი სხეული უთრთოდა. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ მასთან ერთად უღელში შევები. ჯაჭვის მეორე ნახევარს მაინც წავიღებდი. მისი მეწყვილეს სიკვდილის შემდეგ, ჯაჭვის მთელი სიმძიმე მოხუც ნანს დააწვა. მაგრამ მე ღონივრად მკრეს ხელი, უბედური ნანი კი მათრახის ცემით

ქარავნის შუაგულში შეაგდეს. მინდოდა ვცემოდი ამ ხეპრეს, მაგრამ... გამოჩნდა არაბი შეფი, ხელი ჩამავლო მკლავში და შემაჩერა, სანამ ქარავნის ბოლოს ჩემ ადგილზე არ აღმოვჩნდი. შემდეგ არაბმა წარმოთქვა:

- ნეგორო!

ნეგორო! მაშ იგი პორტუგალიელის ბრძანებას ასრულებს და სხვა მგზავრებივით იმიტომაც არ მექცევა? რას მიპირებს ის ნაპირალა!

10 მაისი. დღეს გავიარეთ ცეცხლის ალში გახვეული ორი სოფელი. ქოხებს ყველგან ცეცხლი უკიდია. ცხედრები ხეებზე კონწიალობენ. ხანძარს გადარჩენილნი გაქცეულან. მინდვრები დაცლილია. აქაურობა დაურბევიათ. ორასამდე კაცი მოკლულია, მაგრამ ადიოდე მონა ხელთ იგდეს.

მოსალამოვდა. ღამის გასათევად დიდი ხეების ქვეშ დავბანაკდით. ტყის განაპირას მაღალი ბალახი ბუჩქნარივითაა მოდებული. რამდენიმე ტყვემ წუხელ უღელი გატეხა და გაიქცა. ყველანი დაიჭირეს და სასტიკად დასაჯეს. ჯარისკაცებმა და ჰავილდარებმა მეთვალყურეობა გააორკეცეს.

დაღამდა. ირგვლივ ლომებისა და ჰიენების ღრიალი ისმის. შორიდან ჰიპოპოტამების ხმები მოდის. აქ, სადაც შორიახლო, ტბა ან მდინარე უნდა იყოს.

საშინელი დაღლილობის მიუხედავად ძილი არ მეკარება! ათასნაირი ფიქრი მიტრიალებს თავში! მაღალ ბალახებში თითქოს რაღაცა დამკრება. ალბათ რომელიმე მხეცია. ნეტავ თუ შემობედავს ბანაკში?

ყურს ვუგდებ.. არაფერია! ჩუ! რაღაც ცხოველია ბუჩქნარში. უიარალოდ ვარ, მაგრამ თავს მაინც დავიცავ! დავიყვირებ! ჩემი სიცოცხლე სჭირდება მისის უელდონსა და ჩემს მგზავრებს!

ვუყურებ უკუნ სიბნელეს. უმთვარეო ღამეა. საოცრად ბნელა.

აი, სიბნელეში, პაპირუსებს შორის თვალებმა გაიკვესა, ჰიენის ან ლეოპარდის თვალეზია! გაქრნენ... ისევ გამოჩნდნენ... ბალახის შრიალი ისმის.... რაღაც ცხოველი მეცა!... მინდა ვიყვირო, მინდა განგაში ავტეხო... კიდევ კარგი, თავი შევიკავე! თვალებს არ ვუჯერებ! ეს ხომ დინგოა... დინგო.. აა, საყვარელო დინგო!... როგორ მიპოვა? ოჰ! ინსტიქტი! მარტო ინსტიქტით შეუძლებელია ასეთი სასწაულებრივი ერთგულების ახსნა. იგი ხელებს მილოკავს! ოჰ! ჩემო საყვარელო ბომბორა! ერთადერთო მეგობარო! მაშ შენ ცოცხალი ხარ, არ მოგკლეს?

მე ვეფერები ძაღლს. იგი თითქოს ყველაფერს ხვდება, უნდა დაიყეფოს... ძლივს ვაწყნარებ. არ უნდა გაიგონ მისი მოსვლა! ეს რა არის? იგი ჯიუტად მიხახუნებს კისერს ხელებზე, თითქოს მეუბნება, "ნახე", "ნახეო". მე ვეძებ და ხელში რაღაც მხვდება. საყელოში, რომელზედაც ამოკვეთილია ჩემთვის დღემდე აუხსნელი ორი ასო "ს" "ვ", ლერწმის ღერო მოჩანს.

გამოვადვერი ღერო... და გავტეხე! შიგ ბართია... მაგრამ... წაკითხვა არ შემძლია! გათენებას უნდა დაველოდო. მინდა, დინგოს დავაცდევინო, მაგრამ ჰკვიანი ცხოველი ხელებს მილოკავს, ეტყობა, წასვლას ჩქარობს. მიხვდა, რომ დავალება შეასრულა, გვერდზე ისკუპა და უხმაუროდ გაუჩინარდა ბალახებში! ღმერთმა ამოროს მას ლომის ან ჰიენას კბილები!

დინგო ნამდვილად დაბრუნდა იმასთან, ვინც ჩემთან გამოგზავნა!

ბარათი ხელებს მწვავს! მისი წაკითხვა ჯერ არ შემძლია! ნეტავ ვინ გამომიგზავნა? რ წერია შიგ? მისის უელდონისაგანაა თუ ჰერკულესისაგან? როგორ შეხვდა ეს ერთგული ცხოველი, რომელიც ჩვენ მკვდარი გვეგონა, ან ერთს ან მეორეს? რას მეტყვის ეს ბარათი? ნეტავ გაქცევის გეგმაა, თუ ჩემი საყვარელი ადამიანების ამბავი. რა უნდა ყოფილიყო, ამ შემთხვევამ ძალზე ამაღელვა და ჩემი საწუხარი დროებით დამავიწყა.

ოჰ! რა გვიან თენდება!

თვალის მოხუჭვა არ შემძლია, მოუთმენლად ველი ცისკრის ამოსვლას და სინათლის პაწაწა სხივს. მხეცების ღრიალი მესმის, ჩემო საწყალო დინგო! შეძლებ კი გაუსხლტე მათ? ღმერთო, იხსენი!

იციალა... თენდება, როგორც ტროპიკულ განედებზე იცის, ურიჟრაჟოდ. მე ისე მოგვკალათდი, რომ ვერ დამინახონ!

ვცდილობ წაკითხვას! ჯერ კიდევ ვერ შევძელი!...

როგორც იქნა, წავიკითხე. ბარათი ქალაქის ნაგლეჯზე ფანქრითაა ნაწერი. ჰერკულესის ხელია.

"მისის უელდონი და პატარა ჯეკი კიტანდაში ჩასვეს და წაიყვანეს. თან ახლავს ნეგრო და ჰერისი. კუზენი ბენედიქტიც მათთანაა. ქარავანს მათ სამი-ოთხი დღის სვალი გზით გაუსწრეს. მათთან დაკავშირება ვერ შევძელი. დინგო ვიპოვე. ტყვიით იყო დაჭრილი... მაგრამ გადარჩა. მხნედ იყავით, დიკ. ყველა თქვენგანზე ვფიქრობ. გავიქეცი, რომ უფრო გამოგადგეთ.

ჰერკულესი".

ოჰ, მადლობა ღმერთს! მისის უელდონი და მისი ვაჟი ცოცხლები არიან! კიდევ კარგი ამ საშინელ მგზავრობას და დაღლას ასცდნენ. კიტანდა - ხმელი ბალახისაგან გაკეთებული საკაცე, ჩამოკიდებულია გრძელ ბამბუკის ჯოხზე და ორ კაცს მხრებით მიაქვს. ზემოდან ჩამოფაებული აქვს ქსოვილის ფარდა. მისის უელდონი და პატარა ჯეკი ასეთ კიტანდაში სხედა. რა ზრახვა უდევთ გულში ჰერისსა და ნეგროს? ამ გარეწრებს! ცხადია, ისინიც კაზონდებში მიჰყავთ! დიახ! ... დიახ! .. მე მათ იქ მოვძებნი! ოჰ! ასეთ ტანჯვაში ეს რა სასიხარულო ამბავი მომიტანა დინგომ!

11-დან 15 მაისამდე. ქარავანი გზას განაგრძობს. ტყვეები სულ უფრო და უფრო იტანჯებიან უმრავლესობა გზაზე სისხლიან ნაკვალევს ტოვებს. ჩემი გამოთვლით, კაზონდებში ჩასვლას კიდევ ათი დღე დასჭირდება. მანამდე კიდევ რამდენის ტანჯვას მოეღება ბოლო! მაგრამ მე? მე უნდა ჩავაღწიო! მე უნდა ჩავიდე! მე ჩავალ!

საშინელებაა! ქარავანში არიან ისეთი უბედურები, რომელთა სხეული მთლად ჭრილობებითაა დასერილი. თოკები, რომლითაც ისინი დაბმულნი არიან, ხორცში ღრმად ჩასჭედვიათ.

გუშინდელს აქეთ ერთ დედას შიმშილისგან მკვდარი ბავშვი უსვენია მკლავზე და ვერ განშორებია.

ყვავილმა ხელახლა იფეთქა, ახლა უფრო ძლიერად. მთელი გზა გვამებითაა მოფენილი.

ერთ ხეს ჩავუარეთ... ხის ქვეს გვამები ეყარა, მონები დაუსჯიათ. კისრით ხეზე მიუბამთ და ისევ დაუტოვებიათ, რომ შიმშილით დახოცილიყვნენ.

16-დან 24 მაისამდე. ძალა გამომელია. დასუსტების უფლება არ მაქვს. წვიმები შეწყდა. საშინელი "მძიმე გადასვლები" გვიხდება. მონათვაჭრები ამას "ტირკუზას" ანუ შუადღის შემდეგ სიარულს უწოდებენ. გზა მკვეთრად მაღლდება, საჭიროა, უფრო სწრაფად სიარული.

საკმაოდ უხეშსა და მაღალ ბალახებში მივდივართ. ეს "ნოასია" მისმა ღეროებმა სახე დამიკაწრეს, ეკლიანი მარცვლები კი დაფლეთილ ტანსაცმელში შემიდვრნენ და კანს მფხაჭნიან. კიდევ კარგი, ჩემი მაგარი ფეხსაცმელები ჯერ ისევ მთელია!

ჰავილდარები ცდილობენ იმ მონათა მოცილებას, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვეღარ მოგვდევენ. შეიძლება საკვები არ გვეყოს. ჯარისკაცებსა და პაგაზისებს აჯანყების შიშით ულუფას ვერ შეუმცირებენ... მით უარესი ტყვეებისათვის!

- შეჭამონ ერთმანეთი! - თქვა უფროსმა.

ახალგაზრდა, შესახედავად ჯანმრთელი მონები ისე კვდებიან, რომ ავადმყოფობის ნიშანწყალი არ ეტყობათ. მათზე დოქტორმა ლივინგსტონმა თქვა: "ეს უბედურები გულს უჩივიან. მიიდევენ ხელს მკერდზე და უეცრად ძირს ცვივიან. მათ მართლაც გული უსკდებათ! განსაკუთრებით ეს თავისუფალ ადამიანებს მოსდით, რომლებიც უეცრად მონებად აქციეს!" დღეს ოც ტყვეს, რომელთაც ლასლასის ძალაც კი აღარ შესწევდათ, ჰავილდარებმა ცულით თავები გაუხეთქეს! არაბი მეთაური ამ სისხლისღვრას წინ არ აღდგომია.

შემადრწუნებელი სანახაობა იყო.

საწყალი მოხუცი ნანი ამ საზარელ სასაკლაოზე დაეცა. მას დანა ჩასცეს და ისე მოჰკლეს. მე წავაწყდი მის გვამს და დამარხვაც კი ვერ შევძელი...

ეს პირველია "პილიგრიმის" მგზავრთაგან, რომელიც უფალმა მიიბარა.

საწყალი, კეთილი არსება! საცოდავი ნანი!

მთელ ღამეებს დინგოს ლოდინში ვატარებ. იგი აღარ გამოჩენილა. ნეტავ მას შეემთხვა უბედურება თუ ჰერკულესს? არა, არა! არ მინდა ეს ვირწმუნო! სიჩუმე, რომელიც ახლა ასე ხანგრძლივი მეჩვენება, მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ჰერკულესმა ახალი არაფერი იცის. სიფრთხილეა საჭირო, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს!"

თავი IX

კ ა ზ ო ნ დ ე

26 მაისს მონების ქარავანი კაზონდემი ჩავიდა. ტყვეების ნახევარი გზაში დაიხოცა. მონათვაჭრებს მაინც საკმაო მოგება რჩებოდათ. მონებზე მოთხოვნილება დიდი იყო და მათი ფასიც აფრიკის ბაზრებზე სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ამ დროს ანგოლა ზანგებით გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა. სან-პაოლო-დე-ლუანდასა და ბენგელაში ხელისუფალნი ხელის შეშლას ვერ ახერხებდნენ, რადგან ქარავნები ქვეყნის სიღრმეში შეჰყავდათ. სანაპიროს ბარაკები გაჭედილი იყო ტყვეებით. მონებით დატვირთული რამდენიმე გემი ძლივს ახერხებდა, სანაპიროს მოთვალთვალე გემებს გასხლტომოდა. მონები იმდენი იყვნენ, რომ ეს გემები საკმარისი არ იყო ესპანეთის კოლონიებში მათ გადასაყვანად.

კაზონდე ქვანახის შესართავიდან სამას მილზე მდებარეობს. იგია მთავარი "ლაკონი", ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზარ. ვაჭრობა მის მოედანზე. "ჩიტოკაზე" წარმოებს. აქ ხდება მონების გამოფენა და გაყიდვა. აქედან ქარავნები დიდი ტბების რაიონში მიემართებიან ხოლმე.

კაზონდეც, ცენტრალური აფრიკის ყველა დიდი ქალაქით, ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილში არაბ, პორტუგალიელ და ადგილობრივ ვაჭართა უბნებია ბარაკებითურთ, მეორეში - ზანგი მეფის რეზიდენცია. ზანგი გვირგვინოსანი, ჩვეულებრივ, ლოთი და მრიხანეა, იგი შიშით იმორჩილებს მოსახლეობას და იმ შემოსავლით ცხოვრობს, რომელსაც მონათვაჭრები მისთვის იმეტებენ.

სავაჭრო უბანი კაზონდემი ხოზე-ანტონიო ალვეცს ეკუთვნოდა. ეს ის ალვეცი იყო, ჰერისის დ ნეგორო რომ ახსენებდნენ. ისინი ალვეცის დაქირავებული აგენტები იყვნენ. კაზონდემი მონათვალჭრის პირველი, ძირითადი კანტორა იყო, მეორე - ბიჰეში, მესამე - კასანგეში, ხოლო მეოთხე ბენგელაში, (ლეიტენანტი კამერონი ალვეცს, ამ ამბებიდან რამდენიმე წელი რომ გვიდა, მაშინ შეხვდა).

სავაჭრო კვარტალის მთავარი ქუჩის ორივე მხარს ჯგუფ-ჯგუფად ჩარიგებულიყო სახლები - "ტემბე" - რომელთაც ბრტყელი სახურავი და თიხის კედლები ჰქონდათ. ოთხუთხა ეზოებს ცხოველების დასამწყვდევად იყენებდნენ. ქუჩის ბოლოს ბარაკებით გარშემორტყმული ფართო "ჩიტოკა" იყო. სახლებს შორის თავი ამოეყოთ უზარმაზარ, ტოტეგამლილ ბანიანებს. ქუჩის გასწვრივ ხარობდა მარაოსებრი პალმები, რომლებიც თავაწიულ ცოცხებს მიაგავდა. ქუჩაში ოცამდე მტაცებელი ფრინველი იგანგლებოდა მტვერში - ასეთი იყო კაზონდეს სავაჭრო უბანი.

შორიახლო მდინარე ლუჰი მიედინება. მისი მიმართულება ჯერაც არაა გარკვეული. იგი კონგოს ერთ-ერთი შენაკადი უნდა იყოს, რომელიც თავის მხრივ ზაირს ერთვის.

კაზონდეს მეფის რეზიდენცია სავაჭრო უბანს ესაზღვრება. ამ უბადრუკი ქოხების გროვას ერთი კვადრატული მილი ფართობი უჭირავს. ზოგ ქოხს ეზო ლერწამით აქვს შემოღობილი, ზოგსაც ნორჩი ლელვის ხეები აკრავს.

პაპირუსების მესრით შემოვლებულ მიწის ნაკვეთზე მანიოკას პლანტაციებს შორის, მეფის მონების საცხოვრებელი ოცდაათამდე ხუბულა და მეფის ცოლებისათვის განკუთვნილი რამდენიმე ქოხმახი იყო. აქვე იდგ სამეფო "ტემბე" - სხვა ქოხებზე უფრო ფართო და მაღალი. აი, ასეთია კაზონდეს მეფის რეზიდენცია.

გალატაკებული ზანგი მეფე მუანი-ლუნგა ორმოცდათიოდე წლის კაცია. მისი არმია ოთხიათასამდე ჯარისკაცს ძლივს ითვლის, როცა პორტუგალიელ მონათვაწრებს ოცი ათასამდე ჯარისკაცი ჰყავთ. მეფეს აღარ ძალუძს ყოველდღე ოცდახუთი-ოცდაათი მონის შეწირვა ღმერთებისათვის, როგორც ამას ზანგი მეფენი ძველად, ნეტარ დროს ჩადიოდნენ.

მეფე ნაადრევად გაეტეხა გარყვნილ ცხოვრებას. მაგარი სასმელებისაგან გამოთაყვანებული სისხლისმსმელი მანიაკი ასახიჩრებდა ადამიანებს. თავის ოფიცრებს და მინისტრებს სულ უბრალო მიზეზის გამო აჭრიდა ცხვირს, ყურებს, ფეხს და ხელს. მეფის სიკვდილს ყველა მოუთმენლად ელოდა და, ალბათ, დიდი სიხარულითაც შეხვდებოდნენ.

მთელ კაზონდეში ერთადერთი ადამიანი დაზარალდებოდა მუანი-ლუნგას სიკვდილით - მონათვაჭარი ხოზე-ანტონიო-ალვეცი. იგი მშვენივრად შეეთვისა ლოთ მეფეს. ალვეცის წონასა და გავლენას მთელი პროვინცია კარგად გრძნობდა. მას მეფის სიკვდილი ძალზე აშინებდა, რადგან დედოფალ მუანის ტახტზე ასვლა შეიძლება სადაო გამხდარიყო. ვინ იცის, იქნებ მუანი-ლუნგას სამეფო მეზობელი ქვეყნის ოკუსუს მეფეს ჩაეგდო ხელთ. იგი უფრო მეტბოლო და ახალგაზრდა იყო. მან უკვე იგდო ხელთ კაზონდეს მეფის კუთვნილი რამდენიმე სოფელი. ამასთან, ოკუსუს მეფე სხვა მონათმოვაჭრებს მფარველობდა, მაგალითად, ალვეცის მეტოქეს ტიპო-ტიპოს, რომელიც წმინდა რასის შავი არაბი იყო (ამ ტიპო-ტიპოს კამერონი ესტუმრა ნიანგეში).

ალვეცი ამ ქვეყნის ჭეშმარიტი გამგებელი იყო. მან დაიმორჩილა გამოთაყვანებული მეფე იმიტომ, რომ აქეზებდა და ხელს უწყობდა ათასგვარი ბიწიერების ჩადენაში.

ხოზე-ანტონიო ალვეცი უკვე ხანშიშესული იყო. იგი "მსუნგუ"¹ არ გახლდათ, როგორც შეიძლებოდა კაცს ეფიქრა. პორტუგალიური მას მხოლოდ სახელი ჰქონდა. ისიც, ალბათ, ვაჭრობისათვის შეირქვა. ალვეცი ზანგი იყო, სახელად კენდელე. მას მონათვაჭრების სამყაროში კარგად იცნობდნენ. დაიბადა დონდოში, ქვანზის ნაპირას. თავდაპირველად მონათვაჭრის უბრალო აგენტი იყო და ბოლოს სახელგანთქმულ მონათვაჭრად იქცა. ამ ძველ თაღლითსა და გაიძვერას მსოფლიოში უპატიოსნეს ადამიანად მიაჩნდა თავი.

ეს ალვეცი იყო, კასონგოს დედაქალაქ კოლემბაში რომ შეხვდა კამერონს 1874 წელს და მის ქარავანთან ერთად ბიჰემდე იმგზავრა. მათ ერთად შვიდასი მილი გაიარეს.

26 მაისს, კაზონდეში ჩასვლისას, მონების ქარავანი დიდ მოედანზე მიიყვანეს. დიკ სენდის ანგარიში სწორი გამოდგა: ქვანზის ნაპირიდან გამოსვლის შემდეგ ოცდათვრამეტი დღე გავიდა.

ხუთ კვირას გაგრძელდა ეს საზარელი ტანჯვა!

კაზონდეში შუადღისას შევიდნენ. დასცხეს დოლებს, გაისმა საყვირების ხმა და თოფების გრიალი. ქარავნის მცველი ჯარისკაცები თოფებს ისროდნენ და ხოზე-ანტონიო ალვეცის მსახურნიც თოფის სროლით პასუხობდნენ. ამ ბანდიტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ოთხი თვის განშორების შემდეგ ერთმანეთი კვლავ რომ იხილეს. ახლა დაისვენებენ და გარყვნილებითა და ლოთობით აინაზღაურებენ დაკარგულ დროს.

სასომიხდილი ტყვეების რიცხვი ორას ორმოცდაათამდე აღწევდა. ისინი წინ ფარასავით გაირეკეს და ბარაკებში ჩამწყვდიდეს. ამერიკელი ფერმერები ამ ბარაკებს გომურებადაც არ იკადრებდნენ. იქ მათ დახვდათ ათას ხუთასამდე მონა, რომლებიც ორი დღის შემდეგ კაზონდეს დიდ ბაზრობაზე უნდა გამოეყვანათ. ბარაკები მთლად აივსო. მონებს მძიმე უღელი მოხსნეს, მაგრამ

ჯაჭვები დაუტოვეს. პაგაზისები მოედანზე გაჩერდნენ და ტვირთი მოიხსნეს - ეს იყო კაზონდეს ვაჭრობისათვის განკუთვნილი სპილოს ძვალი. საფსურის მიღების შემდეგ (ეს იქნება კალიკოს ან სხვა ქსოვილის რამდენიმე იარაღი) ისინი წავიდოდნენ, რათა ახლა სხვა ქარავანი შეერთებოდნენ.

მოხუცი ტომი და მისი მგზავრები, როგორც იქნა, განთავისუფლდნენ იმ მძიმე უღლისაგან, რომელიც ხუთი კვირის განმავლობაში ატარეს. ბათი და მამამისი ერთმანეთს გადაეხვივნენ. მონებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ძლივძლივობით წარმოთქვეს რამდენიმე სიტყვა. ანდა რა უნდა ეთქვათ! რა საიმედო სიტყვა მოეძებნათ! ბათმა, აქტონმა და ოსტინმა, ფიზიკურ შრომა შეჩვეულმა ძლიერმა ზანგებმა, კარგად გადაიტანეს დაღლილობა. მოხუცი ტომი კი ტანჯვისაგან ისე იყო დასუსტებული, ფეხზე ძლივს იდგა. კიდევ რამდენიმე დღე და მის გვამს ისევ დატოვებდნენ მხეცების შესაჭმელად, როგორც მოხუცი ნანის გვამი დატოვეს.

მისვლისთანავე ოთხივე ვიწრო ბარაკში შეყარეს და კარები ჩაუკეტეს. იქ მათ ცოტა საკვები დახვდათ. ზანგები მონათვაჭრის მოსვლას ელოდნენ: უნდოდათ ემცნოთ მისთვის, რომ ისინი ამერიკელი მოქალაქენი არიან.

დიკ სენდი მოედანზე დატოვეს და ერთი ჰავილდარი მიუჩინეს მეთვალყურედ.

როგორც იქნა, იგი კაზონდებში იყო. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისის უელდონი, პატარა ჯეკი და კუზენ ბენედიქტიც აქ იყვნენ. იგი გულდასმით ათვალიერებდა იქაურობას. დაზვერვა ქუჩის ნაპირას მდგომი ტემბები და თითქმის დაცარიელებული ჩიტოკა.

მისის უელდონი არსად ჩანდა!

- ნუთუ აქ არ მოიყვანეს? - ეკითხებოდა იგი თავის თავს, - მაშ სად უნდა წაეყვანათ? არა! ჰერკულესი არ შეცდებოდა. ვინ იცის, ჰერისსა და ნეგოროს რა საიდუმლო ზრახვები აქვთ... მაგრამ ან ისინი სადღა არიან, არც ერთი რომ არ ჩანს! მისის უელდონი რომ არ ჩანდა, არ უკვირდა, მაგრამ ნეგორო და ჰერისი?! მით უმეტეს! ნეგორო! რატომ არ ჩქარობდნენ ახალგაზრდა მეზღვაურის ნახვას. ახლა ხომ იგი მათ ხელში იყო. რატომ არ ჩქარობდნენ მის აბუჩად აგდებასა და წამებას, სამაგიეროს გადახდას, გამარჯვებით დატკობას რატომ აგვიანებდნენ?!

სხვაგან ხომ არ წავიდნენ და მისის უელდონი ცენტრალური აფრიკის სხვა პუნქტში ხომ არ ჩაიყვანეს? ამერიკელისა და პორტუგალიელის გამოჩენას მისი ტანჯვა რომ მოჰყოლოდა, დიკ სენდი მაინც მოუთმენლად დაუცდიდა მათ. ჰერისისა და ნეგოროს აქ ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ მისის უელდონი და ბავშვიც კაზონდებში იყვნენ.

მას შემდეგ, რაც დინგომ მას ჰერკულესის ბარათი მოუტანა, ძალი აღარ გამოჩენილა. მომზადებული პასუხი მან ვერ გაგზავნა. წერილში იგი ჰერკულესს მისის უელდონის თვალყურის დევნებას ავალუბდა. სწერდა, მხოლოდ ქალზე ეფიქრა, როგორმე ხმა მიეწვდინა მისთვის.

რატომ აღარ სცადა ჰერკულესმა, ხელახლა გამოეგზავნა ძალი? ნეტავ ხომ არ დაიღუპა ერთგული ცხოველი რომელიმე დავალების შესრულების დროს? ან იქნება ჰერკულესი მისის უელდონის კვალს მიჰყვება, როგორც ამას დიკ სენდი გააკეთებდა? ვინ იცის, იქნებ დინგოსთან ერთად ღრმად შევიდა აფრიკის ამ ტყიან ზეგანში იმ იმედით, რომ რომელიმე შიდა ფაქტორიას მიაღწევდა?

"როგორ მოვიქცე, თუ მისის უელდონი და მისი მომტაცებლები არ აღმოჩნდებიან კაზონდებში?" - ფიქრობდა დიკი.

შესაძლოა ცდებოდა, მაგრამ მას ღრმად სწამდა, რომ მათ კაზონდებში ნახავდა. ახლა კი, ამ იმედის გაცრუებამ წონასწორობა დააკარგვინა. იგი ისეთმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რომ თავშეკავება ვეღარ შეძლო. რაღა ფასი ჰქონდა მის სიცოცხლეს, თუ საყვარელ ადამიანებს აღარ გამოადგებოდა? ამას განა სიკვდილი არა სჯობდა?! დიკ სენდი ცდებოდა, მძიმე განსაცდელმა ბიჭი დაავაჟკაცა და ეს გულგატეხილობა ადამიანური ბუნებისადმი შემთხვევითი ხრიკი იყო.

ამ დროს დაფდაფების ხმა და გამყივანი ყვირილი გაისმა. ჩიტოკას მტვერში ჩამჯდარი დიკ სენდი წამოვარდა. ვინ იცის, იქნებ ყოველი ახალი ამბავი მისის უელდონის პოვნაში დახმარებოდა! სასოწარკვეთილების ნასახიც კი აღარ იყო მასში.

- ალვეცი, ალვეცი! - იმეორებდა უამრავი ადგილობრივი მკვიდრი და ჯარისკაცი, რომლები მოედანს მოაწყდნენ.

ბოლოს და ბოლოს უნდა გამოჩენილიყო ადამიანი, რომლის ხელში იყო ამდენ უბედურთა ბედი. შეიძლება მისი აგენტებიც, ნეგორო და ჰერისიც მასთან იყვნენ. დიკ სენდი ნესტოებდაბერილი და თვალეზგაფართოებული იდგა. თხუთმეტი წლის კაპიტანი მკერდშემართული და უდრეკი, მოღალატეებს თვალს თვალში გაუყრის! "პილიგრიმის" კაპიტანი გემის ყოფილი მზარეულის წინაშე არ აცახცახდება, არ შედრკება!

მთავარი ქუჩის ბოლოს გამოჩნდა კიტანდას მსგავსი საკაცი. მას გახუნებული და დაკრებული მიჩიგდანი ჰქონდა გადაფარებული, რომელსაც ფოჩებივით ეკიდა ძონძები. საკაციდან მოხუცი ზანგი გადმოვიდა. ეს იყო მონათვაჭარი ხოზე-ანტონიო ალვეცი. მას თან რამდენიმე მსახური ახლდა, ისინი მდაბლად ხრიდნენ თავს. ალვეცს გვერდით მისი მეგობარი, ბიჰეს მმართველის ვაჟი კოიმბრა ედგა. ლეიტენანტ კამერონის თქმით, იგი ამ ქვეყნის ყველაზე დიდი არმზადა იყო. ჩაბინძურებული, თვალეზგადმოკარკლულ, ყვითელსახიან კაცს, უხეში ხუჭუჭი თმა რომ ჰქონოდა, ტანთ ძონძებადქცეული პერანგი და ბალახებისაგან მოქსოვილი ქვედატანი ეცვა. თავზე ჩალის დაგლეჯილი განიერი ქუდი ეხურა. იგი ნამდვილად კუდიან ქალს ჰგავდა. კოიმბრა, ალვეცის უერთგულესი და ნდობით აღჭურვილი პირი, დარბევათა ორგანიზატორი და მონათვაჭრის ბანდიტების ღირსეული ხელმძღვანელი იყო.

ალვეცი უფრო ნაკლებად შეეზიზღებოდა ადამიანს, ვიდრე მისი თანაშემწე. ალვეცს მოხუცი თურქის ტანსაცმელი ეცვა, რომელიც უფრო საკარნავალო სამოსს მიაგავდა. ასე იყო თუ ისე, მისი მნახველი დიდი წარმოდგენისა არ დარჩებოდა ფაქტორიების იმ ხელმძღვანელებზე, მონათვაჭრობას რომ მისდევდნენ.

დიკ სენდს საშინლად ეწყინა, რომ ჰერისი და ნეგორო ალვეცის ამაღაში არ აღმოჩნდნენ. ნუთუ აღარავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ მათ კაზონდაში ნახავდა?

ქარავნის ხელმძღვანელმა, არაბმა იბნ-ჰამისმა ალვეცს და კოიმბრას ხელი ჩამოართვა. მან მილოცა და მადლობა მიიღო. მაგრამ ალვეცს სახე უსიამოვნოდ შეექმუნა, როცა გაიგო, ქარავნის ნახევარი გზაში ამოწყდაო. თუმცა საქმე არც ისე ცუდად იყო. ბარაკებში მყოფი საქონელით იგი შინაგანი ბაზრის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და სანაცვოდ, სპილოს ძვალსა და სპილენძის "ჰანაშს" მიიღებდა, რომელიც გარეგნულად წმინდა ანდრიას ჯვარს ჰგავდა. ამ სახით შეჰქონდათ ეს ლითონი აფრიკის შუაგულში.

ქება არც ჰავილდარებისათვის დაიშურს, ხოლო ტვითმზიდავებს მაშინვე გადაუხადეს ფული.

ხოზე-ანტონიო ალვეცი და კოიმბრა ლაპარაკობდნენ პორტუგალიურისა და ადგილობრივი დიალექტის ნარევ ენაზე. ლისაბონელს მისი გაგება ძალიან გაუჭირდებოდა. დიკ სენდს არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს ეს "ვაჭრები". ნეტა მას და მის მგზავრებს ხომ არ შეეხებოდა ეს საუბარი? რა ვერაგულად შეუერთეს ისინი ქარავანს! ახალგაზრდა მეზღვაური ამაში დარწმუნდა, როცა არაბ იბნ-ჰამისის მითითებით ერთი ჰავილდარი იმ ბარაკისაკენ გაემართა, სადაც ტომი, ოსტინი, ბათი და აქტეონი იყვნენ ჩაკეტილნი.

ოთხივე ამერიკელი ალვეცს მაშინვე წარუდგინეს. დიკ სენდი ნელა მიუახლოვდა მათ. უნდოდა, არაფერი გამოპარვოდა.

ხოზე-ანტონიო ალვეცს ღონიერი ზანგების დანახვაზე სახე გაუბრწყინდა. კარგი კვება და დასვენება მალე მოალონიერებდა მათ. მოხუც ტომს ვაჭარმა აღმაცერი მზერა შეავლო. ასაკი მას ფასს დააკლებდა. სამაგიეროდ, დანარჩენი სამი ზანგი ძვირად გაიყიდებოდა კაზონდეს უახლოეს ბაზრობაზე.

ალვეცმა გაიხსენა ის რამდენიმე ინგლისური სიტყვა, რომელიც ჰერისისნაირმა აგენტებმა ასწავლეს. ეს ბებერი, დაპრნჭული მაიმუნი შეეცადა ირონიულად მისალმებოდა თავის ახალ მონებს.

ტომი მიუხდა. მან წინ წადგა ნაბიჯი, თავის მგზავრებზე და თავის თავზე მიუთითა და თქვა:

- ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ! ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი!
- დიახ, დიხ! ამერიკელები! კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება, კეთილი იყოს!
- კეთილი იყოს! - დაუმატა კოიმბრამ.

ბიჭეს მმართველის ვაჟი ოსტინისაკენ გაემართა და საქონელივით დაუწყო შემოწმება. გაუსინჯა მკერდი, მხრები და კბილების სანახვად პირის გაღება მოუნდომა.

სწორედ ამ დროს სენიორ კოიმბრამ ისეთი მუშტი იგემა, როგორც მანმდე არც ერთ მმართველის შვილს არ უგემია.

ალვეცის თანაშემწე ათ ნაბიჯზე მაინც გადავარდა. რამდენიმე ჯარისკაცი ოსტინს ეცა და მას უსათუოდ ძვირად დაუჯდებოდა ეს გაბრაზება, რომ ალვეცს ჯარისკაცები ხელით არ შეეჩერებინა. ალვეცმა გადაიხარხარა. კოიმბრას ექვსიდან ორი კბილია შერჩენოდა.

ხოზე-ანტონიო-ალვეცს "საქონლის" დაზიანება არ სურდა ამასთან იგი ბუნებით მხიარული იყო და კარგა ხანია, ასე გულიანად არ უცინია.

მან გაოგნებული თანაშემწე დაამშვიდა. კოიმბრა ფეხზე წამოდგა, მონათვაჭრის გვერდით დადგა და მუშტით დაემუქრა მამაც ოსტინს.

ამ დროს ჰავილდარმა დიკ სენდს ხელი ჰკრა და ალვეცთან მიიყვანა. ეტყობოდა ალვეცმა იცოდა, ვინც იყო იგი, საიდან გაჩნდა აქ და როგორ ჩაიგდეს ტყვედ ქვანზის ნაპირას ბანაკში.

მან მრისხანედ შეხედა დიკს და დამტვრეული ინგლისურით ჩაილაპარაკა:

- პატარა იანკი!
- დიახ, იანკი! - მიუგო დიკ სენდმა. - რას გვიპირებთ მე და ჩეს მგზავრებს?
- იანკი, იანკი! პატარა იანკი! - იმეორებდა ალვეცი.

ვერ გაეგო, თუ არ სურდა გაეგო ის შეკითხვა, რომელიც მას მისცეს.

დიკ სენდმა შეკითხვა ისევ გაუმეორა. შემდეგ კოიმბრას მიმართა. ამ ალკოჰოლით გადაგვრებულ ადამიანში დიკ სენდმა ევროპელი ამოიცნო. კოიმბრამ წედანდელივით რაღაც მუქარა გამოხატა და არაფერი უპასუხა.

ალვეცი გაცხარებით ელაპარაკებოდა რაღაცას არაბ იბნ-ჰამისს. ჩანდა, საუბარი დიკ სენდსა და მის მეგობრებს შეეხებოდა. მათ უთუოდ ისევ დააშორებენ ერთმანეთს და ვინ იცის, შეიძლებენ ოდესმე ერთმანეთისათვის ორიოდე სიტყვის თქმას?

- ჩემო მეგობრებო, - ხმადაბლა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებო, ისე წარმოთქვა დიკ სენდმა, - დინგომ ჰერკულესის ბარათი მომიტანა. იგი ქარავანს მოსდევდა. ჰერისმა და ნეგორომ წაიყვანეს მისი უელდონი, ჯეკი და მისტერ ბენედიქტი. თუ ისინი აქ, კაზონდეში არ არიან, მაშინ აღარ ვიცი, სად უნდა იყვნენ. სიმშვიდე და მხნეობა გმართებს. ყოველი შემთხვევისათვის მზად იყავით. ღმერთია ჩვენი შემწე და მფარველი.

- ნანი? - იკითხა მოხუცმა ტომმა.
- ნანი მოკვდა...
- პირველი!

- და უკანასკნელიც! - მიუგო დიკ სენდმა, - ჩვენ კარგად ვიქნებით!

უეცრად მას ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. დიკ სენდს მოესმა კარგად ნაცნობი ხმით თავაზიანად ნათქვამი სიტყვები:

- ოჰ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, თუ არ ვცდები, მგონი, თქვენა ხართ! მოხარული ვარ, რომ გნახეთ!

დიკ სენდი მაშინვე შემობრუნდა.

მის წინ ჰერისი იდგა.

- სად არის მისი უელდონი? - შეჰყვირა მან.

- ოჰ! - ამოიოხრა ჰერისმა და სახეზე ყალბი სიბრაღული გამოეხატა, - საწყალი დედა!

როგორ გაუძლებდა იგი...

- მოკვდა?! - შეჰყვირა დიკ სენდმა. - ბავშვი? მისი ბავშვი?...

- საწყალი ბიჭუნა! - მიუგო ჰერისმა იმავე ტონით, - ასეთი დაღლილობა როგორ არ

მოკლავდა...

მაშ დიკ სენდის უსაყვარლესი ადამიანები ცოცხლები აღარ არიან! რა უნდა განეცადა ამ წუთებში მას? დაუოკებელი სიბრაზე, შურისძიების წყურვილი, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა, რადაც უნდა დაჯდომოდა.

დიკ სენდი ეცა ჰერისს, სწრაფად ამოსტაცა ქამარში გაჩრილი დანა და ამერიკელს გულში ჩასცა.

- ეშმაკმა დალახვროს! - შეჰყვირა ჰერისმა და დაეცა.

იგი მკვდარი იყო.

თავი X

დიდი ბაზრობა

დიკ სენდმა ეს ისე სწრაფად ჩაიდინა, რომ მისი შეჩერება ვერავინ მოასწრო, რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი ეცა მას და ნაკუწ-ნაკუწ აჩეხავდნენ კიდეც, ნეგორო რომ არ გამოჩენილიყო.

პორტუგალიელმა ანიშნა, თავი დაენებებინათ ახალგაზრდა მეზღვაურისათვის. დიკს ხელი უშვეს და გასცილდნენ. შემდეგ ჰერისის გვამი აიღეს და იქაურობას მოაშორეს. ალვეცი და კოიმბრა მოითხოვდნენ, დიკ სენდი დაუყოვნებლივ დაესაჯათ სიკვდილით, მაგრამ ნეგორომ წასჩურჩულა, თუ დავიცდით, არ წავაგებთო. გაიცა ბრძანება, რომ ახალგაზრდა მეზღვაური წაეყვანათ და მისთვის მკაცრად ედევნებინათ თვალყური.

სანაპიროს დატოვების შემდეგ დიკ სენდმა, როგორც იქნა, პირველად ნახა ნეგორო. ახალგაზრდა მეზღვაურმა კარგად იცოდა, რომ ამ არამზადამ დაღუპა "პილიგრიმი".

იგი უფრო უნდა სძულებოდა დიკ სენდს, ვიდრე მისი თანამზრახველი. მიუხედავად ამისა, ამერიკელის მოკვლის შემდეგ ნეგოროს ზიზლით ზურგი შეაქცია და მისთვის ერთი სიტყვის თქმაც კი არ ისურვა.

ჰერისმა თქვა, მისის უელდონი და მისი ბავშვი დაიხოცნენო!... დიკს აღარაფერი არ აინტერესებდა, არც ის, თუ რას უზამდნენ თვითონ მას... იგი წაათრიეს... სად? დიკ სენდისთვის ესეც სულერთი იყო.

შეზოჭილი ახალგაზრდა მეზღვაური ერთ უფანჯრო ბარაკში ჩააგდეს. ეს კარცერი იყო. მონათვაჭარი ალვეცი აქ სიკვდილმისჯილ მონებს აგდებდა, ვისაც ამბოხების ან სხვა დანაშაულის გამო სჯიდა ხოლმე. გარე სამყაროსთან აქედან არავითარი კავშირის დამყარება არ შეიძლებოდა. დიკ სენდი ამაზე სულაც არ დარდობდა. მან თავისი საყვარელი ადამიანების სისხლი აიღო. ახლა ყველაფერი სულერთი იყო, რაც უნდა მოსვლოდა, ყველაფრისათვის მზად იყო!

გასაგებია, რატომაც შეაჩერა ნეგორომ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელთაც ჰერისის მკვლელის დასჯა უნდოდათ. ცხადია, იგი ახალგაზრდა მეზღვაურს იმ საზარელ წამებას უმზადებდა, რომლის საიდუმლოება მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იციან. თხუთმეტი წლის კაპიტანი გემის მზარეულმა ხელთ იყო. "პილიგრიმის" მეზავრებს მხოლოდ ჰერკულესი აკლდა, რომ ნეგოროს სრულად ეძია შური.

ორი დღის შემდეგ, 28 მაისს, გაიხსნა ბაზრობა. - დიდი "ლაკონი". აქ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ქვეყნის შიდა ოლქების მთავარი ფაქტორების მონათვაჭრები და ანგოლას მეზობელი პროვინციების ადგილობრივი მცხოვრებნი. მონების ყიდვა-გაყიდვის გარდა, აქ გაცხოველებული ვაჭრობა იყო გამართული. იყიდებოდა ბარაქიანი აფრიკის ყოველგვარი პროდუქტი.

კაზონდეს ფართო ჩიტოკაზე დილიდანვე დიდი გამოცოცხლება იყო. რა აღწერს ამ სურათს! აქ ხოზე-ანტონიო ალვეცის მონების ჩათვლით ოთხი-ხუთი ათასი ადამიანი მოგროვილიყო. მათ შორის იყვნენ ტომი და მისი მეგობრები. ამ საცოდავებს იმიტომ, რომ უცხოელები იყვნენ, ალბათ, განსაკუთრებული ფასი ექნებოდათ!

აქ იყო ალვეციც, ბაზრობის ყველაზე უფლებამოსილი ადამიანი. კოიმბრაც თან ახლდა. შიდა ოლქების მონათვაჭრებს იგი ჯგუფ-ჯგუფად სთავაზობდა მონებს. ამ მონათაგან მათ ქარავნები უნდა შეედგინათ.

მონათვაჭართაგან ზოგი უჯიჯელი მეტისი იყო (მათი მთავარი ბაზარი ტბა ტანგანიკაზეა), ზოგიც არაბი, ისინი მეტისებს სჯაბნიდნენ ასეთ ვაჭრობაში.

ბევრი იყო ადგილობრივი მკვიდრიც: ბავშვები, ქალები, კაცები. ზოგი ისეთი აზარტული მოვაჭრე იყო, რომ კომერციული ნიჭით ბევრად სჯობნიდნენ თეთრკანიან ვაჭრებს.

ევროპის უდიდეს ქალაქებში, დიდი ბაზრობის დღეებშიც კი, არაა ამდენი ყაყანი და ამდენი ალემ-მიცემობა.

ცივილიზებულ ხალხებში გაყიდვის სურვილი მეტია ყიდვისაზე, აფრიკელი ველოურები კი ყიდვა-გაყიდვას ერთნაირი აზარტით ეკიდებიან.

ყველა ადგილობრივი მკვიდრისთვის, როგორც ქალების, ისე კაცებისათვის, ლაკონი დღესასწაულია: მართალია, ისინი თავიანთ საუკეთესო ტანსაცმელს არ იცვამენ (ამას თავისი მიზეზი აქვს), მაგრამ, სამაგიეროდ, ულამაზესი სამკაულებით ირთვებიან ხოლმე. ოთხად გაყოფილი და დაწნული თმა ხან შინიონივით კეფაზე აქვთ დაწყობილი, ხან სუფრის ფოჩებივით შუბლზე ჩამოყრილი. კეფაზე წითელი ფრთების ჯილა აქვთ დამაგრებული. მოგრეხილი რქებივით დაწნულ თმაზე ზეთში აზელილი წითელი თიხა უსვიათ. ნამდვილი თუ ხელოვნური თმის გროვაში ათასნაირ სამკაულს ირჭობენ: გულის ქინძისთავეებს, რკინის, სპილენძისა თუ ძვლის სარჭებს, სატატუირო დანებს, შუმის მძივებს - "სოფის". ამგვარად ირთვებიან მამაკაცები.

ქალები კი, პატარა, ბლისოდენ კოკრებად იყოფენ თმას. იხვევენ. იკეთებენ კულულებს და ერთმანეთში ხლართავენ. ზოგიერთი უფრო სადად, ინგლისურ ყაიდაზე უშვებს თმს მხრებამდე, ზოგი ფრანგულად, შუბლზე იჭრის. გაბურძულ თმაზე ყველას ცხიმში აზელილი თიხა აქვს წასმული, ან სანდალოზის ხის წითელი სითხე, მბრწყინავი "ნკოლა". ასე რომ, გეგონებათ ამ კეკლუც ქალებს თავზე კრამიტის ნატეხი დაუდიათო.

არ იფიქროთ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ასე ბრწყინვალედ მხოლოდ თმას იმკობენ. რატომ აქვს ადამიანს ყურები, თუ შიგ ძვირფასი ხიდან გამოთლილ ჩხირებს, მოჩუქურთმებულ სპილენძის რგოლებს, ჩალისაგან გაკეთებულ ჯაჭვებს, პატარა, ყელიან საბურუნთე გოგრებს არ გაიყრიან? ამ ნივთებით დამძიმებული ბიბილოები ზოგჯერ მხრებამდე სწვდებათ. ამასთან, აფრიკელ ველოურებს ჯიბეები არა აქვთ და რა უნდა ქნან? სადმე ხომ უნდა შეინახონ დანები, მუნდმტუკები და სხვა საჭირო ნივთები? მათი ფიქრით, კისერი, მკლავები, მაჯები, წვივები, კოჭებიც კი სწრედ იმისათვის მოუცია ღმერთს, რომ რქისა და სპილენძის სამაჯურები, გაჭრილი და ბრწყვიალა ღილებით მორთული რქები და მოდური სამე-სამე - წითელი მძივები ყელსაბამი, სხვანაირად რომ "ტალაკას" უმახიან, ატარონ. ამ ნაირნაირი და ძვირფასი სამკაულებით უხვად მორთული აქაური მდიდრები, მოსიარულე, მოჭედნილ ხატებს ჩამოჰკავდნენ.

კბილები? კბილებიც ხომ იმიტომ ებოძათ ბუნებისაგან, რომ ზევითაც და ქვევითაც რამდენიმე ამოიძრონ, გახეხონ, წააწვეტონ, ან ჩხრიალა გველის კაუჭებივით მოღუნონ. თითებიც იმიტომ შეუმკო ბუნებამ ფრჩხილებით, რომ გრძლად გაიზარდონ, ისე გრძლად, რომ ხელის ხმარება თითქმის შეუძლებელი გახდეს! შავი ან ყავისფერი კანი განა იმისთვის არა აქვთ, რომ "ტემბოთი" - სვირინგით აიჭრელონ? დაიხატონ ზედ ხეები, სავსე და ნახევარი მთვარეები, მრუდე ხაზები, ლივინგსტონმა ძველ ეგვიპტურ ნახატებს რომ მიაძგავსა.

ლურჯი საღებავით მოსვირინგებული მამების მოხატულობანი, შვილებს ზუსტად გადააქვთ სხეულზე და ამით მათი ტომისა და გვარის გამოცნობა იოლდება. ღერბი საკუთარ მკერდზე უნდა მოიკვეთო, თუკი მისი დახატვა კარეტის კარზე არ ძალგდის!

ასეთი ადგილი უჭირავს მორთულობას ადგილობრივ მცხოვრებთა მოდაში. კაცების ჩაცმულობა კი მხოლოდ ანტილოპის ტყავის წინსაფარია, რომელიც მუხლამდე სწვდებათ. ან ბალახებისაგან მოქსოვილი ჭრელი ქვედატანი. ქალებს წელზე შემორტყმული აქვთ მძივების ქამარი. მასზე დამაგრებულია მწვანე ქვედატანი. იგი შემკულია შუმის მძივებით. ზოგს

ქვედატანის ნაცვლად ლურჯი, შავი და ყვითელი წინსაფარი "ლამბა" მოსავს. იგი ბალახისაა და ზანზიბარლებში ძვირად ფასობს. ასე მხოლოდ მაღალი წრის ზანგები იცვამენ. დანარჩენები, ტვირთმზიდრები და მონები, თითქმის შიშველნი არიან. ტვირთს ქალები ეზიდებიან. ზურგზე აკიდებული აქვთ უზარმაზარი კალათი, რომელსაც შუბლზე ჩამოცმული თასმა უმაგრებთ.

სავაჭრო ადგილის დაკავების შემდეგ ისინი საქონელს ამოაწყობენ და თვითონ ცარიელ კალათაში ჩაცუცქდებიან ხოლმე.

ამ ქვეყნის ბარაქა "ლაკონზე" ჩანს. საკვები პროდუქტები საუკეთესო ხარისხისაა. ბევრია ბრინჯი, მისი მოსავალი ძალზე უხვია, მაისა რვა თვეში სამჯერ შემოდის, ერთი მარცვალი ორასად იქცევა. აქ მოდის ქუნჯუთი, ურუას ოლქის წიწკა, რომელიც უფრო მწარეა, ვიდრე კეინის ჭოტოსანი წიწკა, სორგო, მანიოკა, მუსკატი, პალმის ზეთი. დიდ მოედანზე მოერეკათ ასეულობით თხა, ღორი, განსაკუთრებული ჯისიმ უმატყლო ცხვრები, თათრული წარმოშობისა, ყაპოიანები. ფრინველი და თევზიც უთვალავია. ჩამწკრივებული ქოთნეულობა ნარიფეროვნებით თვალს იტაცებს, პატარა ბიჭები გამყინავი ხმით სხვადასხვაგვარ სასმელს სთავაზობენ მყდიველებს. ისინი ყიდვიან მაგარ ნაყენს "პომბეს", ბანანისაგან დამზადებულ ტკბილ ლუდს "მალოფუს", გამჭირვალე თაფლიან წყალს, რომელიც ალაოსაგან დუღს ხოლმე.

კაზონდეს ბაზარზე ყველაზე მთავარი მაინც ქსოვილები და სპილოს ძვალია.

ქსოვილებიდან ძირითადად არის "ჩუკა", "მერიკანი" - მასაჩუსეტის სალემის ფაბრიკებიდან მოტანილი გაუთეთრებელი მიტკალი, "კანიკი - განიერი, ცისფერი ბამბის ქსოვილი. მისი სიგანე ოცდაათობმეტ დუიმს უდრის. თეთრ და ლურჯუჯრებიანი "სოჰარი", მას კიდევ პატარა ლურჯი ხაზებით შერეული წითელი ზოლი გასდევს. იგი უფრო იაფია, ვიდრე სურატის მწვანე, წითელი და ყვითელი აბრეშუმის. "დიული" - მისი სამი იარდი შვიდი დოლარი ღირს, ხოლო თუ ოქროს ძაფი აქვს დატანებული - ოთხმოცი დოლარი.

სპილოს ძვალი აქ ცენტრალური აფრიკის ყველა ფაქტორიდან შემოპქონდათ და აქედან ხართუმში, ზანზიბარსა და ნატალში იგზავნებოდა. ბევრი ვაჭარი მხოლოდ სპილოს ძვლით ვაჭრობას მისდევდა.

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენი სპილო უნდა მოეკლათ, რომ ყოველწლიურად ევროპის ბაზარზე და განსაკუთრებით ინგლისში ხუთასი ათასი კილოგრამი სპილოს ძვალი გაეტანათ.¹

მარტო ინგლისისათვის ორმოცი ათასი სპილოს მოკვლა იყო საჭირო. ამ ძვირფასი მასალის ას ორმოც ტონას მხოლოდ აფრიკის დასავლეთ სანაპირო აწარმოებს. სპილოს ერთი წყვილი ეშვი საშუალოდ ოცდარვა გირვანქას იწონის და 1874 წლის ფასებით თითქმის ას ორმოცდაათი ფრანკი ჯდება. არის ისეთებიც, ას სამოც გირვანქას რომ იწონის. კაზონდეს ბაზარში მოყვარულებს შესანიშნავი სპილოს ძვლის ნახვა შეეძლოთ. ესაა მკვრივი და ნახევრადგამჭირვალე, დასამუშავებლად ადვილი, ყავისფერი ქერქით დაფარული ძვალი. ეს ქერქი მის სითეთრეს დიდხანს ინახავს და გაყვითლებისგან იცავს. რასაც სხვა ჯიშის სპილოს ძვალი მოკლებულია.

როგორ წარმოებდა ყიდვა-გაყიდვა? რა ასრულებდა ფულის როლს? ცნობილია, რომ აფრიკელი მონათვაჭრებისათვის მონა მონეტის მაგივრად გამოიყენება.

ადგილობრივი მცხოვრებისათვის ფული ვენეციური ნაკეთობის შუშის მძივია. თეთრს "კაჩოკოლო" ჰქვია, "ბუბულუ" - შავს. ხოლო ვარდისფერს - "სიკუნდერეჩე". "ხეთეს", ყელზე ორჯერ შემოხვეულ, ათფად ასხმულ მძივებს _ "ფუნდოს" ეძახიან. იგი ძალიან ძვირია.

ამ მძივების ჩვეულებრივი ზომაა "ფრაზილაჰი", იგი სამოცდაათ გირვანქას იწონის. ასეთ მძივებს ყოველთვის ბლომად იმარაგებდნენ ხოლმე ლივინგსტონი, კამერონი და სტენლი.

ამ მძივების ნაკლებობის გამო აფრიკის ბაზარზე გასავალი აქვს "ვიუნგას", აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირიდან მოტანილ განსაკუთრებულ ნიჟარებს, და "პიესს", ზანზიბარულ მონეტას, რომლის ღირებულება ოთხი სანტიმია.

¹ შევილდის (ინგლისი) დანების ფაბრიკა 170 000 კგ. სპილოს ძვალს ამუშავებს. - ავტორის შენიშვნა.

კაციჭამია ტომებისათვის კი განსაკუთრებული ღირებულება აქვს ადამიანის კბილებს. ლაკონზე ადგილობრივ მცხოვრებთა ყელზე ნახავდით ადამიანთა კბილებისაგან გაკეთებულ დიდ ასხმულას. მან, ალბათ, თვითონვე შეჭამა ამ კბილების პატრონი. ეს მონეტა უკვე გამოდის ხმარებიდან.

ასეთი ყო დიდი ბაზრობა. შუადღისას ვაჭრობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ირგვლივ გამაყრუებელი, აუტანელი ხმაური იდგა. შეუძლებელია იმ სიფიცხის და აზარტის აღწერა, რომელსაც მყიდველებიცა და გამყიდველებიც ერთნაირად შეეპყრო. ჩხუბი ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში გადადიოდა. ამ მყვირალა ბრბოს დასაშოშმინებლად, ეტყობოდა, ქვეყანას ძალიან ცოტა მცველი ჰყავდა.

შუადღისას ალვეცმა ბრძანა, მოედანზე გასაყიდი მონები გამოეყვანათ. ბრბოს სხვადასხვა ასაკის ორი ათასი უბედური შეემატა. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში ბარაკებში ჰყავდათ დამწყვდეული. ხანგრძლივმა დასვენებამ და საკმარისმა კვებამ "საქონლის" ფასი ასწია. მათი შედარება ახლადმიღებულებთან არც კი შეიძლებოდა. ერთი თვის შემდეგ ალვეცი მათ ალბათ უფრო უკეთ გაჰყიდდა და მეტ მოგებასაც ნახავდა, მაგრამ მონებზე მოთხოვნილება ისე დიდი იყო, რომ მონათვაჭარმა გადაწყვიტა, ისინიც გამოეყვანა ბაზრობაზე.

ტომისა და მისი მგზავრებისათვის ეს დიდი უბედურება იყო. ჰავილდარებმა ისინი გარეთ გამოყარეს და იმ ფარას შეურიეს, რომელმაც ჩიტოკა აავსო. ჯაჭვებით მაგრად შეკრულებს გამოხედვაზე ეტყობოდათ, თუ რა ბოღმა და აღშფოთება უდუღდათ გულში.

- მისტერ დიკი აქ არ არის! - თქვა ბათმა, როგორც კი თვალი მოავლო კაზონდის ვრცელ მოდანს.

- ეს გასაგებიცაა! - მიუგო აქტონმა, - მას ვერ გაყიდია!

- აუცილებლად მოკლავენ, თუ ჯერ არ მოუკლავთ! - დაუმატა მოხუცმა ზანგმა. - ერთადერთი ნუგეში ჩვენი ისღაა, რომ რომელიმე მონათვაჭარამ ყველა გვიყიდოს და ერთმანეთს არ დაგვაშორონ.

- ოჰ, მამა! ნუთუ უნდა მოგშორდე და შენ მონასავით იმუშაო? ჩემო საწყალო მოხუცო მამა!

- ამოიკვნესა ბათმა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

- არა... - თქვა ტომმა, - არა! ჩვენ არ დაგვაშორებენ და იქნებ შევძლოთ კიდევაც...

- ჰერკულესიც რომ ჩვენთან იყოს! - თქვა ოსტინმა!

... მაგრამ გოლიათი იმის შემდეგ აღარ გამოჩენილა. ალაფერი გაუგიათ მასზე და არც დინგოზე. ჰერკულესის ბედი სანატრელი იყო, რადგან თუ კიდევაც დაილუპება, დაილუპება ისე, რომ მონის ხუნდები არ უტარებია!

ვაჭრობა გაჩაღდა. ალვეცის აგენტებს ბაზრის შუაგულში მიჰყავდათ კაცები, ქალები, ბავშვები და სულაც არ აწუხებდათ დედისა და შვილის განშორება. ამ უბედურებს, როგორც ცხოველებს, ისე ექცეოდნენ! ტომი და მისი თანამგზავრები ერთი მყიდველიდან მეორესთან მიჰყავდათ. წინ აგენტი მიუძღოდათ და ხმამაღლა გაჰყვიროდა მათ ფასს. არაბი და ცენტრალური პროვინციებიდა მოსული მეტისი ვაჭრები გულდასმით ათვალთვრებდნენ ჩვენს მგზავრებს. აფრიკელის რასის ნიშნებს მათში ვერ პოულობდნენ. მეორე თაობის შემდეგ ამერიკელებთან ეს ნიშნები სულ შეიცვალა. ამ ჩასხმულ და ღონიერ ზანგებს, რომლებიც ძალიან განსხვავდებოდნენ ზამბეზისა და ლუალაბის ნაპირებიდან მოყვანილი ზანგებისაგან, მათ თვალში დიდი ფასი ედოთ. ისინი ზანგებს ხელით სინჯავდნენ, წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ, კბილებს უმოწმებდნენ - სწორედ ისე, როგორც ცხენების ყიდვისას იციან ხოლმე. შემდეგ შორს გადაისროდნენ ჯოხს და უბრძანებდნენ, მოიტანეო. ამით უნდოდათ გაეგოთ, ზანტები ხომ არ არიანო.

ამგვარად ამოწმებდნენ ყველას. ყველა აბარებდა ამ შეურაცხმყოფელ გამოცდას. მონები ძალიან განიცდიდნენ ასეთ მოპყრობას. ყველანი, გარდა ბავშვებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არაფერი არ ესმოდათ, დამცირებულნი და განადგურებულნი იყვნენ. მათ ცემასა და ლანძღვას არ აკლებდნენ. მთვრალი კოიშბრა და ალვეცის აგენტები საშინლად ეპყრობოდნენ მათ და არც ახალი პატრონების იმედი უნდა ჰქონოდათ. ისინი ალბათ სულ მალე მათ სპილოს ძვალში,

ქსოვილში ან მძივებში გაცვლიდნენ. მყიდველები ძალით აშორებდნენ ერთმანეთს დედას და შვილს, დასა და ძმას, ცოლსა და ქმარს და უკანასკნელი გამოთხოვებისა და მიაღერების ნებასაც კი არ აძლევდნენ.

ამ ბაზრობაზე ისინი უკანასკნელად ხედავდნენ ერთმანეთს. მონათვაჭრები სხვადასხვა სქესის მონებს სხვადასხვა მხარეს გზავნიან. კაცების მყიდველი ვაჭრები ქალებს არ ყიდულობენ. ქალებს მუსულმანთა შორის გავრცელებული მრავალცოლიანობის გამო, არაბულ ქვეყნებში გზავნიან და სპილოს ძვალებზე ცვლიან. კაცებს კი მძიმე სამუშაოზე იყენებენ. მათ ორივე ნაპირის ფაქტორიებში გზავნიან. იქიდან კი ესპანეთის კოლონიების ან მასკატისა და მადაგასკარის ბაზრებზე გაჰყავთ. ეს განაწილება განშორების გულისმომკველ სცენებს იწვევს, განშორებულნი ისე იხოცებიან, ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარ იხილავენ ხოლმე.

ტომი და მისი მგზავრები ამ დღეში იყვნენ. ეს მათ არ აშინებდათ. უჯობდათ კიდეც, რომ მონების ერთსა და იმავე კოლონიაში მოხვედრილიყვნენ - თავისი უფლების აღდგენის რაღაც იმედი მაინც ექნებოდათ. ხოლო თუ აფრიკის ცენტრალურ პროვინციაში მოხვდებოდნენ, თავისუფლების დაბრუნების ყოველგვარ იმედზე უნდა აეღოთ ხელი. სწორედ ისე მოხდა, როგორც მათ უნდოდათ. მცირე იმედის სხივი ჩაესახათ გულში, რომ ერთმანეთს არ დაშორებოდნენ. მათ გამო უჯიჯის არმდენიმე მონათვაჭარი წაიკიდნენ კიდეც. ანტონიო-ხოზე ალვეცი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნიტდა. ფასი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ერთმანეთს აღარც აცლიდნენ ამ მონების ნახვას. კაზონდეს ბაზარს ასეთი მონები არ ახსოვდა. ალვეცმა დამალა, თუ როგორ იშოვა ისინი. ტომი და მისმა მგზავრებმა კი ენა არ იცოდნენ და პროტესტის გამოთქმა არ შეეძლოთ.

ისინი არაბმა ვაჭარმა იყიდა. ეს ვაჭარი ახალშემენილებს რამდენიმე დღეში ტანგანიკას ტბასთან გადაიყვანდა, სადაც მონების დიდი ქარავანები დადიოდნენ, იქიდან კი ზანზიბარის ფაქტორიებისაკენ გაემართებოდა.

მაგრამ ჩააღწევდნენ კი მონები იქ? მათ ხომ ცენტრალური აფრიკის ყველაზე საშიში და მავნე ადგილები უნდა გაეველოთ. წინ ათას ხუთასი მილი ედოთ. ამ გძელ გზაზე ხშირი იყო ომები სხვადასხვა ტომის ბელადებს შორის, ჰავა, საშინელი და მომაკვდინებელი. ექნება კი საამისო ძალა მოხუც ტომს? ნანივით ხომ არ დაეცემა გზაში?

ეს უბედური ადამიანები ერთმანეთს არ დააშორეს! ეს მათთვის დიდი ნუგეში იყო! ჯაჭვიც კი, რომლითაც ყველა ერთად იყო შეკრული, მსუბუქი ეჩვენებოდათ. არაბმა ვაჭარმა ისინი ცალკე ბარაკში შერევა. ეტყობოდა "საქონელს" ძალიან უფრთხილდებოდა. ზანზიბარის ბაზარზე მას დიდი მოგების იმედი ჰქონდა.

ტომმა, ბათმა, აქტეონმა და ოსტინმა დატოვეს მოედანი და ამიტომ ვერც დაინახეს და ვერც გაიგეს, თუ რით დამთავრდა კაზონდეს დიდი ბაზრობა.

თავი XI

სამეფო პუნში

დღის ოთხი საათი იქნეოდა, როცა მთავარი ქუჩის ბოლოს დოღების ბაგა-ბუგი გაისმა. ამას მოჰყვა ციმბალების და სხვა აფრიკული საკრავების არეული ხმები, ატყდა საშინელი ხმაური.

ბაზრის ყოველი კუთხე კიდეც უფრო გამოცოცხლდა. ნახევარი დღის ყვირილმა და ბრძოლამ გაშმაგებული ვაჭრები ვერ მოღალა. მონათა დიდი ნაწილი ჯერ კიდეც გასაყიდი იყო. მონათვაჭრები ერთმანეთს ისე გაცხარებით ეცილებოდნენ მონათა ჯგუფების ყიდვას, რომ ამას ლონდონის ბირჟაზე ფასების დიდი აწევის დღესაც კი ვერ ნახავდით.

არეულ-დარეული კონცერტი გრძელდებოდა. შემდეგ სავაჭრო საქმიანობა ცოტა შენედა, მყვირალეებმა სული მოითქვეს.

კაზონდეს მეფემ, მუანი ლუნგამ, პატივი დასდო და ესტუმრა ამ დიდ ბაზრობას. მას თან მრავალრიცხოვანი ამაღა ახლდა. ეს ამაღა ქალების, მონების, ჯარისკაცებისა და "მოხელეებისაგან" შედგებოდა. ალვეცი და მონათვაჭრების მეფის შესახვედრად გაემურნენ. უზომო ქება-დიდება შეასხეს ლოთსა და ჩერჩეტ მეფეს, რომელსაც ეტყობოდა, ეს ხოტბა დიდად მოსწონდა.

მუანი ლუნგა ძველი ტახტრევანით მოაბრზანეს. ერთგულმა მსახურებმა იგი დიდი მოედნის შუაგულში გადმოსვეს. მეფე ორმოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ კაცს ოთხმოცისა ეგონებოდა. იგი დაჩაჩანაკებულ ბებერ გორილას ჩამოჰგავდა. თავზე წითლად შეღებილი ლეოპარდის ბრჭყალებითა და ბლუჯა-ბლუჯა თეთრი ბუმბულით მოკაზმული ტიარას მსგავსი რაღაც ედგა. ეს კაზონდეს მეფეების საგვარეულო გვირგვინი იყო. წელზე მარგალიტებით მორთული ნატილოპის ტყავის ორი ქვედატანი ემოსო, რომელიც უფრო ხეშემა იყო, ვიდრე მჭედლის წინსაფარი. მკერდი ათასნაირად მოეხატა, რაც მისი გვარის სიძველეს ამტკიცებდა. თუ მას დავუჯერებდით, მუანი ლუნგას გენეალოგია დროთა წყვდიადში იკარგებოდა. მის უდიდებულესობას კოჭებზე, მაჯაზე და მკლავებზე მძივებით მოოჭვილი სპილენძის სამაჯურები ჰქონდა ასხმული. ფეხზე მსახურის ყვითელი გადასაკეცი ჩექმები ეცვა. იგი ალვეცმა ოციოდე წლის წინ აჩუქა. მარცხენა ხელში ვერცხლის ბუნიკიანი დიდი ჯოხი ეპყრა, მარჯვენაში ბუზების საკლავი, რომელსაც მარგალიტებით მოოჭვილი ტარი ჰქონდა. მეფის თავზე ნაირ-ნაირი ფერის ნაჭრებით დაკერებული, არლეკინის შარვლის მსგავსი, ძველი ქოლგა ირხეოდა. ცხვირზე სათვალე ეკეთა და მკერდზე გამადიდებელი შუშა ჩამოეკიდა. ორივე ნივთი ბათს უპოვეს ჯიბეში და ალვეცმა იგი მისი უდიდებულესობა მუანი ლუნგას მიართვა. (ოჰ, როგორ აკლდა ეს ნივთები კუზუნ ბენედიქტს!) ასეთი იყო მისი უდიდებულესობა, ზანგი მეფე, რომელიც ასი მილის მანძილზე შიშის ზარს სცემდა ქვეყანას.

მუანი ლუნგას, რადგან სამეფო ტახტი ეპყრა, თავი ღმერთის ჩამომავლად მიაჩნდა და ვინც ოდნავ მაინც ეჭვს შეიტანდა ამაში, დასარწმუნებლად საიქიოში გზავნიდა. მისი აზრით, ეს ღვთიური წარმოშობის მეფე მიწიერ მოთხოვნილებებს არ უნდა დამორჩილებოდა. ჭამდა და სვამდა მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველივე ეს სიამოვნებას გვრიდა. მისი ლოთი მინისტრები და მოხელეები მასთან შედარებით ზომიერ მსმელებად ითვლებოდნენ. მეფეს სხეულის ყველა უჯრედი ალკოჰოლით ჰქონდა გაჟღენთილი. იგი განუწყვეტლივ იჭყიპებოდა მაგარი ლუდით - "პომბეთი". განსაკუთრებით უყვარდა რომი, რომლითაც ალვეცი უხვად ამარაგებდა.

მუანი ლუნგას ნაირნაირი ასაკის ცოლები ჰყავდა ჰარამხანაში, უმრავლესობა ახლა მეფეს თან ახლდა ბაზრობაზე. მუანის, პირველ ცოლს, დედოფალს უწოდებდნენ. ეს ორმოცი წლის როკაპი, როგორც სხვა ცოლები, მეფური წარმოშობისა იყო. მხარზე ძალზე ჭრელი წამოსასხამი ეხურა და ბალახებისაგან მოქსოვილი და მძივებით ამოქარგული ქვედატანი ეცვა. ათასნაირი მძივები ეკიდა ყველგან, სადაც კი მოეხერხებინა მათი ჩამოკონწიალება. მრავალსართულიანი უზარმაზარი ვარცხნილობა ჩარჩოსავით შემოვლებოდა მუჭისოდენა თავს. ნამდვილ ურჩხულს ჰგავდა.

სხვა უფრო ახალგაზრდა ცოლებს, რომლებიც მეფის დები ან დეიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ, შედარებით სადად ეცვათ. ისინი უკან მისდევდნენ მეფეს და მზად იყვნენ უფროსი უმნიშვნელო ნება-სურვილიც კი უსიტყვოდ აესრულებინათ. ეს უბედურები ცოცხალ ავეჯად ქცეულიყვნენ. როცა მეფეს დაჯდომა მოესურვებოდა, ამ ქალთაგან ორი მოიხრებოდა და მეფისათვის დასაჯდომს აკეთებდნენ. ფეხებს მეფე სხვა ქალებს აყრდნობდა, თითქოს ადამიანთა სხეულები შავი ხალიცა ყოფილიყო.

მუანი ლუნგას უკან მოჰყვებოდნენ მოხელეები, მხედართმთავრები და მისნები. ამ ბარბაცით მოტორტმანე ველურთა ბრბოში კაცი არ იყო, რომ სხეულის რომელიმე ნაწილი: ზოგს ყური, ზოგს ცხვირი, ზოგსაც მკლავი არა კლებოდა. საერთოდ, კაზონდეში ორგვარი დასჯა არსებობდა: დასახიჩრება ან სიკვდილი, ორივე მეფის ახირებულ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. პაწაწინა დანაშაულისთვისაც კი სასჯელად შემოდებული იყო სხეულის

რომელიმე ნაწილის მოკვეთა. ყველაზე მეტად უყურო იჩაგრებოდა, რადგან საყურეების ტარება ადარ შეეძლო.

"კილოლოს" ხელმძღვანელებს ანუ ოლქის მმართველებს, რომლებიც ამ თანამდებობას ან მემკვიდრეობით იღებდნენ, ანდა ოთხი წლის საარჩევნო ვადით, თავზე ზებრის ტყავის ჩაჩხი ეხურათ და წითელი მოკლე მოსაცმელი ეცვათ. ისინი წამდაუწუმ იქნევდნენ მაგიურ წამალში წვერამოვლებულ გრძელ ბაბუკის კვერთხებს.

ჯარისკაცების იარაღი მშვილდი იყო. მისი ტარი ფოჩებით მოერთოთ და ზედ სათადარიგო ლარი შემოეხვიათ. ჰქონდათ აგრეთვე ბასრი დანები, ფართო და გრძელი შუბები და უცნაურად მოჩუქურთმებული ფარები. ჯარისკაცთა სამოსი კი მისი უდიდებულესობის ხაზინას არაფერი უჯდებოდა. მეფის სამხედრო ამაღას უკან კარის ჯადოქრები და მუსიკოსები მოსდევდნენ.

ჯადოქრები, რომლებიც მგანგას ეძახდნენ, ამავე დროს მკურნალებიც იყვნენ. ამ ველურებს ბრმად სწამდათ შელოცვა და მკითხაობა, აგრეთვე კერპები - ხის კაცის, ქალის ან ფანტასტიკური ცხოველების თიხის ფიგურები რომლები თეთრი ანდა წითელ წინწკლებიანი იყო. ჯადოქრები კარიკაციებით იყვნენ დასახიჩრებულნი. ეტყობოდა მეფე მაშინ სჯიდა მისნებს, როცა მათი წამლობა უშედეგო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მუსიკოსები - ქალები და კაცები - იქნევდნენ ტკაცუნებს, რომლებიც საშინელ ხმას გამოსცემდა, უბრაგუნებდნენ დოლებს ანდა კაუჩუკის ბურთწამოცმულ ჯოხებით ურტყამდნენ "მარიმებას" - ეს იყო ტიმპანი სახეობა. იგი სხვადასხვა ზომის რამდენიმე ყელიანი გოგრისგან იყო გაკეთებული. გამაყრუებელი ხმაური იდგა, ეს მითუმეტეს მათთვის იყო აუტანელი, ვინც აფრიკული საკრავების ხმაურს არ იყო შეჩვეული.

მეფის სამხედრო ამალის თავზე დროშები და პატრა აღმები ფრიალებდა. ირხეოდა გრძელ შუბლზე წამოცმული მუანი-ლუნგას მიერ დამარცხებული მეტოქე მეფეების გათეთრებული თავის ქალები.

როცა მეფე ტახტრევანიდან ჩამოვიდა, ყოველი მხრიდან მისასალმებელი შემახილები გაისმა, კარისკაცებმა თავიანთი ძველი თოფები დაცალეს. მათი სუსტი ხმა ბრბოს საშინელმა ღრიანცელმა შთანთქა. ჰავილდარებმა შავი ცხვირ-პირზე სინგურის ფხვნილი წაისვეს და მეფის წინაშე დაემხნენ. ალვეცი წინ წადგა და მეფეს ნედლი თამბაქოს დიდი შეკვრა გადასცა, რომელსაც აქმ ქვეყანაში "დამამშვიდებელ ბალახს" ეძახიან. მუანი ლუნგას კი მართლაც ძალიან ესაჭიროებოდა დამშვიდება. მეფე მეტისმეტად ცუდ გუნებაზე იყო, მიზეზი კი არავინ იცოდა.

ალვეცის შემდეგ კოიმბრა, იბნ-ჰამისი, არაბი და მეტისი მონათვაჭრები ეახლნენ კაზონდეს ყოვლისშემძლე მბრძანებელს და ერთგულება შეჰფიცეს. "მარჰაბა!" - ამბობდნენ არაბები, რაც ცენტრალური აფრიკის მცხოვრებთა ენაზე მისალმებას ნიშნავს. სხვები ტამისცემით თავს მიწამდე უხრიდნენ მეფეს. ზოგიერთი სახეს ტალახით ითხუპნიდა და ამით გამოხატავდა მორჩილებასა და ქედის მოხრას ბილწი მბრძანებლის წინაშე.

მუანი-ლანგა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ და გაჩაჩხული, რწევით და ტორტმანით მიდიოდა, გეგონებოდათ, მის ფეხქვეშ მიწა ირყევიაო. სე გაისერინა მან და მონების გროვაში შეალაჯა. მონათვაჭრებს ეშინოდათ, მეფეს რომელიმე ტყვე არ მიეთვისებინა, მონებიც საშინლად დაფრთხნენ - ამ ცხოველის ხელში არ მოვხვდეთო.

ნეგორო ერთი წუთითაც არ სცილდებოდა ალვეცს და მეფისადმი უმდაბლეს პატივს გამოხატავდა. ორივენი ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე საუბრობდნენ. თუ შეიძლება "საუბარი" ეწოდოს ამ ლაპარაკს. მთვრალი მეფე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა გაუგებარ ცალკეულ ბგერებსა და შორისდებულებს. მეფე ალვეცს არყის მარაგის შევსება სთხოვა. დიდმა ღრეობებმა ეს მარაგი სულ გააჩანაგა.

- კეთილი იყოს მეფე ლუნგას მობრძანება კაზონდეს ბაზრობაზე, - თქვა მონათვაჭარმა.
- მწყურია, - მიუგო მონარქმა.
- მეფე თავის წილს მიიღებს დიდი ლაკონის მოგებიდან, - დაურთო ალვეცმა.
- სასმელი! - მიუგო მუანი ლუნგამ

- ჩემი მეგობარი ნეგორო ასეთი ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბედნიერია კაზონდეს მეფის ხილვით.

- ხახა მიშრება, სასმელი! - გაიმეორა ლოტმა, რომელიც არყის სუნით ყარდა.

- მოართვით პომბე, ანდა თაფლიანი წყალი! - შეჰყვირა ანტონიო ხოზე ალვეცმა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, მუანი-ლუნგას რაც სურდა.

- არა! არა! ...- უპასუხა მეფემ, - მე მინდა, ჩემო მეგობარო, ცეცხლოვანი წყალიდა მის თითოეულ წვეთში მე გავიღებ...

- თეთრი ადამიანის სისხლის თითოეულ წვეთს!- შეჰყვირა ნეგორომ, რომლემაც ალვეცს რაღაც ანიშნა და მისგან თანხმობა მიიღო.

- თეთრი ადამიანის სისხლი! მოკვდეს თეთრი ადამიანი! - მიუგო მუანი-ლუნგამ. პორტუგალიელის წინადადებას მასში მხეცური ინსტიქტი გააღვიძა.

- ამ თეთრმა, ალვეცის ერთი აგენტი მოკლა! - ჩაურთო ნეგორომ. - მან ჰეისი მოკლა, - თქვა ალვეცმა. - შური უნდა ვიძიოთ.

- გავუგზავნოთ ეს თეთრი მეფე მასონგოს, ზაირის სათავეში მცხოვრებ ასუას ტომს!... ისინი მას ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯენ, ცოცხლად შეჭამენ! მათ ადამიანის ხორცის გემო ჯერ არ დავიწყებიათ! - წამოიძახა მუანი-ლუნგამ.

მასონგო მართლაც კაციჭამია ტომის მეფე იყო. ისიც მართალი იყო, რომ ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ პროვინციაში ჯერ კიდევ იყო გავრცელებული კანიბალიზმი. ლივინგსტონიც წერდა ამას თავის დღიურსი. ლულალაბას ნაპირას მცხოვრები ტომი მანიემა მარტო ომში დახოცილ ადამიანებს როდი ჭამს. ისინი საგანგებოდ ყიდულობენ მონებს შესაჭმელად. "ადამიანის ხორცი ოდნავ მლაშეა და ცოტა საკმაზს საჭიროებსო", - ამბობენ ისინი. კაციჭამიები კამერონმა ნახა მენე ბუგას ტომსი. ისინი გვამებს რამდენიმე დღეს მდინარის წყალში აგდებდნენ და მხოლოდ შემდეგ ჭამდნენ. სტენლიმ კი კაციჭამიობა ოუკუს მცხოვრებლებშიც ნახა. ეტყობა კანიბალიზმი ცენტრალური აფრიკის ტომებში ძალზე გავრცელებულია.

მაგრამ უფრო მკაცრი სასჯელიც რომ შეეთავაზებინა მეფეს, ნეგოროს თავისი მსხვერპლის, დიკ სენდის, ხელიდან გაშვება მაინც არ უნდოდა.

- ჩვენი მეგობარი ჰერისი აქ მოკლა, იმ თეთრმა - თქვა მან.

- ისიც აქვე უნდა მოკვდეს! - დაურთო ალვეცმა.

- სადაც ალვეცს სურს, - მიუგო მუანი-ლუნგამ, - ოღონდ სისხლის ყოველი წვეთზე წვეთი ცეცხლოვანი წყალი უნდა მივიღო!

- დიახ! - მიუგო მონათვაჭარმა, - ცეცხლოვანი წყალი. დღეს თქვენი თვალთ ნახავთ, რომ იგი ამ სახელს იმსახურებს! ჩვენ ავანთებთ ამ წყალს! ხოზე-ანტონიო-ალვეც მეფე მუანი ლუნგას პუნშს მიაერთმევს!

ლოთმა და მისმა მეგობარმა ალვეცმა ხელი ხელს დაჰკრს. მეფე სიხარულს ძლივს ფარავდა! ცოლები და თანხმლები პირები მის აღტაცებას აღტაცებითვე პასუხობდნენ. მათ ანთებული ცეცხლოვანი წყალი არასოდეს ენახათ და ეგონათ, აღმოდებული წყლის დაღვევა შეიძლებაო. ალკოჰოლთან ერთად ისინი სისხლის წყურვილსაც მოიკლავდნენ, რომელიც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ამ ველურებს.

საწყალი დიკ სენდი! რა საზარელი ტანვა მოელოდა მას! თუ წარმოვიდგენთ, ლოთობის შედეგად როგორ კაგავენ ადამიანურ სახეს ცივილიზებული ადამიანები, გასაგები გახდება, სადამდე მიიყვანს ლოდობა ველურებს.

თეთრი ადამიანის წამების იდეა ვის არ მოეწონებოდა! ადგილობრივ მცხოვრებთ? ხოზე-ანტონიო ალვეცს? - ყველანი ხომ ზანგები იყვნენ! მეტისი კოიმბრა და ნეგოროც, რომელსაც საშინელი სიძულვილი ჰქონდა თავისი ფერის ადამიანთა მიმართ, ცხადია, გახარებულნი იყვნენ. მოსაღამოვდა. აქ უცებ ღამდება ხოლმე. ალკოჰოლის ასაალებლად სოწრედ შესაფერისი დრო დადგა.

მართლაც, ბრწყინვალე გადაწყვეტილება იყო, რომ ალვეცს მისი უდიდებულესობისათვის პუნში, ანუ ცეცხლოვანი წყალი მიერთმია. ამ ბოლო ხანებში მუანი-ლუნგა ფიქრობდა, რომ ცეცხლოვანი წყალი თავის სახელს არ ამართლებდა. შესაძლოა აღმოდებული სასმელი უფრო მოსწონდა მეფეს და სასიამოვნოდ შეეღიბებინა მისი მგრძობიანობას მოკლებული ენისათვის.

ამგვარად, ალვეცს სადამოს ჯერ პუნში უნდა მიერთმია, შემდეგ კი თეთრი ადამიანის წამება დაიწყებოდა.

ბნელ საკანში ჩაკეტილ დიკ სენდი დღის სინათლეს მხოლოდ მაშინ იხილავდა, როცა დასასჯელად წაიყვანდნენ. გაყიდული და გასაყიდი მონები ისევ ბარაკებში შეყარეს. ჩიტოკაზე მხოლოდ მონათვაჭრები, ჰავილდარები და ჯარისკაცები დარჩნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ დალევდნენ პუნშს, თუკი მეფესა და კარისკაცებს რაიმე გადარჩებოდათ.

ნეგოროს რჩევით, ხოზე-ანტონიო ალვეცმა ყველაფერი კარგად მოამზადა. მოატანინა და შუა მოედანზე დაადგმევინა დიდი სპილენძის ქვაბი, რომელიც დაახლოებით ორას პინტს მაინც იტევდა. ქვაბში ჩაცალეს სპირტიანი კასრები. სპირტი თუმცა ცუდი ხარისხისა იყო, მაგრამ სიმაგრეს ვერ დაუწუნებდით. დარიჩინი, წიწაკა და სხვა სანელებლები არ დაიშურეს, უხვად ჩაყარეს, რომ პუნშისათვის მეტი სიმაგრე მიეცათ.

მეფეს წრედ შემოერთებენ. მუანი-ლუნგა რწევით უახლოვდებოდა ქვაბს, გეგონებოდათ ცეცხლოვანი წყალი მაგნიტივით იზიდავსო.

ალვეცმა მეფე მოწიწებით შეაჩერა და ანთებული ჩირაღდანი მიაწოდა.

- ცეცხლი! - ეშმაკური გამომეტყველებით შეჰყვირა მან.

- ცეცხლი! - გაიმეორა მუანი-ლუნგამ და ჩირაღდანი სითხეში სტუცა.

ალმა მთელი ძალით იფეთქა. ქვაბის ზედაპირზე მოლურჯო ცეცხლის ენები აცეკვდნენ! სასმელი რომ უფრო ცხარე გამხდარიყო, ალვეცმა ქვაბში ერთი მუჭა ზღვის მარილი ჩაყარა. იქ მყოფთ სახეზე ლურჯი ალი სცემდათ და მოჩვენებებს ჰგავდნენ. ალკოჰოლის სუნით მთვრალმა ზანგებმა დაიწყეს ყვირილი, ხელების ქნევა, შემდეგ ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელები და კაზონდეს მეფეს წრე შემოართყეს. ალვეცი რკინის უზარმაზრი კოვზით ურევდა სითხეს. ამ გამხიარულებულ მაიმუნებს მიმქრალი შუქი ანათებდა. მუანი-ლუნგა მიუახლოვდა ალვეცს. ხელიდან გამოგლიჯა კოვზი, ჩაყო ქვაბში, აავსო ცეცხლიანი პუნშით და ტუჩებთან მიიტანა.

კაზონდეს მეფემ შემზარავად დაიღრიალა. მეფეს ნავთიანი ბოთლივით მოედო ცეცხლი, რომელიც დიდ ალს არ გამოსცემდა, მაგრამ ძალიან კი სწვავდა.

ამის დანახვაზე ველურტა როკვა შეწყდა. მუანი-ლუნგას ერთი მინისტრი თავისი მბრძანებლისკენ გაემურა, რომ ცეცხლი ჩაექრო, მაგრამ ალკოჰოლით ბატონზე არანაკლებ გაჟღენთილი მინისტრიც ააღდა.

ყველა კარისკაცს იგივე მოელოდა!

ალვეცმა და ნეგორომ აღარ იცოდნენ, როგორ ეხსნათ მეფე. ცოლბი გაიქცნენ. კოიმბრაც სწრაფად გაშორდა იქაურობას, რადგან კარგად იცოდა, რომ მასაც იგივე მოელოდა. მეფე და მინისტრები მიწაზე დაეცნენ. ისინი საშინელი ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდნენ. ალკოჰოლით ასე გაჟღენთილი სხეული სუსტი მოლურჯო ალით იწვსის ხოლმე. წყლით მისი ჩაქრობა შეუძლებელია. ეს კიდევ რომ მოხერხდეს, შიგნით წვა მაინც გრძელდება. სპირტით გაჟღენთილ ქსოვილში ვერავითარი საშუალებით ვერ შეაჩერებთ წვას.

რამდენიმე წუთის შემდეგ მუანი-ლუნგამ და მისმა მინისტრებმა სული დალიეს, მაგრამ წვას მაინც განაგრძობდნენ.

სულ მალე იქ, სადაც მეფე და მინისტრი დაეცა, მხოლოდ ცოტა ნახშირი, ხერხემლის რამდენიმე მალა და თითის სახსრები ეყარა.

აი, რა დარჩა კაზონდეს მეფისა და მისი მინისტრებისაგან!.

მეფის დაკრძალვა

უჩვეულო სანახავი იყო ქალაქი კაზონდე მეორე დღეს, 29 მაისს. თავზარდაცემული მოსახლეობა ქოხებში შეკეტილიყო. ღვთის ჩამომავალი მეფისა და მისი მინისტრის ასეთი შემზარავი სიკვდილი მათ არასოდეს ენახათ. მიწიერ არსებათა ცეცხლზე შეწვა და კაციქამიობასთან დაკავშირებული კულინარული სამზადისი მოხუცებს კარგად ახსოვდათ. იცოდნენ, რა ძნელად იწვის ადამიანის სხეული და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რატომ დაიწვინენ ასე სწრაფად მეფე და მისი მინისტრი.

ხოზე-ანტონიო-ალვეცი თავის სახლში ჩაიკეტა. ემინოდა, მომხდარი ამბების გამო პასუხისმგებლობა მისთვის არ დაეკისრებინათ. ნეგორომ აუხსნა, თუ რატომ მოხდა ყველაფერი ეს და ურჩია, თვითონაც ფრთხილად ყოფილიყო. მუანი-ლუნგას სიკვდილი რომ მას დაბრალებოდა, ალვეცი ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებოდა და დიდი ზარალიც მოუვიდოდა. მაგრამ იგი ნეგორომ იხსნა. მისი რჩევით, ალვეცმა ხმა დაარხია, კაზონდეს მეფის ასეთი სიკვდილი ღვთის ნება იყო. მანიტუმ თავისი რჩეული, მუანი-ლუნგა, ასეთი სიკვდილით რომ მოკლა, მოწყალება მოიღო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომელთაც ღვთაებრივი ძალა სწამდათ, დაიჯერეს ეს მოჩამახული ამბავი. ახლა მათ ისლა დარჩენოდათ, რომ საკადრისი პატივი ეცათ მუანი-ლუნგასათვის და ისე დაესაფლავებინათ, როგორც ღვთის სწორ კაცს შეეფერებოდა.

დაკრძალვა თავისი ცერემონიით კარგი საბაზი იყო ნეგოროსათვის, რომ დიკ სენდზე ჯავრი ეყარა. თუ რა უზომო სისხლი უნდა დაღვრილიყო მუანი-ლუნგას სიკვდილის გამო, ამის წარმოდგენაც კი ძნელია. ცენტრალური აფრიკის მოგზაურთ, მათ შორის კამერონს, ასეთ ამბებზე ცნობები რომ არ მოეწოდებინა, მათი დაჯერება შეუძლებელი იქნებოდა.

კაზონდეს მეფის მემკვიდრე დედოფალი მუანა იყო. იგი მაშინვე შეუდგა დაკრძალვის ცერემონიისათვის სამზადისს. თავი მბრძანებლად გამოაცხადა და მეფის ტახტის პრეტენდენტები ჩამოიცილას. მათ შორის იყო ოუკუსუს მეფე, რომელიც ცდილობდა კაზონდეს მბრძანებელი გამხდარიყო. ამასთან, მუანას, როგორც დედოფალს, ასცდა ის მწარე ხვედრი, რომელიც გარდაცვლილი მეფის სხვა ცოლებს ელოდათ. ამ გზით იგი თავიდან მოიცილებდა ახალგაზრდა ცოლებს. მათ ხომ ბევრი უსიამოვნება მიაყენეს ასაკით უფროს დედოფალს!

ეს ნაბიჯი ამ როკაპისათვის სავსებით შესაფერი იყო! მან ბრძანა ბუკისა და მარიმების დაკვრა და გამოაცხადებინა: გარდაცვლილი მეფის დაკრძალვა შედგება მეორე დღეს, საღამოს, ყველა ადათ-წესის აღსრულებით.

არც სამეფო კარს და არც მოსახლეობას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს. ალვეცსა და სხვა მონათვაჭრებს დედოფალი მუანას ტახტზე ასვლა არ აშინებდათ. კარგად იცოდნენ, რომ საჩუქრებითა და პირფერობით ადვილად შეძლებდნენ დედოფლის გულის მონადირებას და თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას. მეფის მემკვიდრის საკითხი ასე იოლად გადაწყდა. შიშის ზარი მხოლოდ ჰარამხანაში სუფევდა, რაც უსაფუძვლო როდი იყო.

დაკრძალვისათვის სამზადისი იმავე დღეს დაიწყო. კაზონდეს დიდ ქუჩას ჩამოუდიოდა მჩქეფარე მდინარე, კუანგოს შესართავი. მისთვის კალაპოტი უნდა ეცვალათ და მეფისათვის საფლავი მდინარის ძირში გაეთხარათ. მოსახლეობა შეუდგა კაშხალის აგებას, რომელიც მდინარეს კაზონდეს დაბლობისაკენ გააკვლევინებდა გზას. დაკრძალვის შემდეგ კაშხალი უნდა დაწვრიულიყო, მდინარე კი ძველ კალაპოტს დაუბრუნდებოდა.

ნეგორომ გადაწყვიტა, მეფის საფლავზე შესაწირავ მსხვერპლთა რიცხვი დიკ სენდით შეეცხო. ამ ნამირალამ თავისი თვალთ ნახა ახალგაზრდა მეზღვაურის რისხვა, როცა მას ჰერისმა მისის უელდონისა და პატარა ჯეკის სიკვდილი აცნობა. მშიშარა გარეწარს, ნეგოროს, ჰერისის ხვედრის გაზიარება არ უნდოდა. ამჟამად ხელ-ფეხშეკრული ტყვე საშიში არ იყო და გადაწყვიტა მოენახულებინა იგი. ნეგორო იმ გარეწართა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მსხვერპლის წამებით ტკბებიან.

შუადღისას იგი მივიდა იმ ბარაკში, სადაც დიკ სენდს ჰავილდარი ყარაულობდა.

გაკოჭილი ახალგაზრდა მეზღვაური მიწაზე ეგდო. თოკები პირდაპირ ხორცში ჩასჭდეოდა. მთელი დღე-ღამის უჭმელს და ამდენი უბედურებისა და გაჭირვებისაგან დასუსტებულს გვერდზე გადაბრუნების ძალაც კი აღარ ჰქონდა. იგი მოუთმენლად ელოდა სიკვდილს. მზად იყო უსასტიკესი სიკვდილის შესახვედრადაც კი, ოღონდ ამ საშინელ ტანჯვა-წამებას ბოლო მოღებოდა.

ნეგოროს დანხვაზე დიკ სენდი გამოცოცხლდა, ინსტინქტურად გაიბრძოლა და სცადა ხელების განთავისუფლება, რომ ამ ნაძირალას სცემოდა. მაგრამ თვით ჰერკულესსაც კი გაუჭირდებოდა ამ თოკების დაწყვეტა. იგი მიხვდა, რომ მათ შორის სულ სხვაგვარი ბრძოლა იწყებოდა, სხვაგვარი სულიერი ჭიდილი. დიკ სენდმა ძალა მოიკრიბა, თვალი თვალში გაუყრა და მშვიდად დაუწყო ლოდინი. მან მტკიცედ გადაწყვიტა, ნეგოროსათვის არფერზე არ გაეცა პასუხი.

- მე თავი მოვალედ ჩავთვალე, - დაიწყო ნეგორომ, - უკანასკნელად მომენახულებინა ჩემი ახალგაზრდა კაპიტანი და თანაგრძნობა გამომეცხადებინა მისთვის, რომ იგი დღეს ისე ვეღარ მბრძანებლობს, როგორც ერთ დროს "პილიგრიმზე" მბრძანებლობდა.

დიკ სენდს არაფერი უთქვამს. ნეგორო კი ისევ განაგრძობდა:

- როგორ, კაპიტანო, ნუთუ თქვენ ყოფილ მზარეულს ვერა ცნობთ? იგი ხომ იმისათვის მოვიდა, რომ გვითხოთ რას ინებებთ საუზმედ და თქვენი ბრძანება აღასრულოს, - თან უხეშად წაჰკრა ფეხი მიწაზე გართხმულ ახალგაზრდა მეზღვაურს.

- სხვათა შორის ერთი შეკითხვაც უნდა მოგცეთ, ჩემო ახალგაზრდა კაპიტანო! შეგიძლიათ თუ არა ამიხსნათ, სანუკვარი ამერიკის ნაპირების ნაცვლად ანგოლას როგორ მიაღებეთ?

დიკ სენდი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ "პილიგრიმის" კომპასი ამ გარეწარის მიერ იყო გაფუჭებული. მისი შეკითხვა აღიარება იყო! ახალგაზრდა მეზღვაურმა ნეგოროს ნათქვამს სიმულვილით სავსე დუმილით გასცა პასუხი.

- გამოტყდით, კაპიტანო, - განაგრძობდა ის, - რომ გემზე ნამდვილი მეზღვაური აღმოგაჩნდათ. ეს თქვენთვის დიდი ბედნიერება იყო. კიდევ კარგი, თორემ ღმერთო ჩემო, ვინ იცის, სად აღმოვჩნდებოდით! ქარიშხალი ალბათ, რომელიმე წყალქვეშა კლდეზე მიგამსხვრევდა. ამ მეზღვაურის წყალობით კი მეგობრულად განწყობილ ნავსაყუდელში აღმოჩნდით, თქვენ პირადად კი - საიმედო თავშესაფარში. ასე რომ, თქვენ შეცდომას სჩადიოდით, ამ მეზღვაურს აბუჩად რომ იგდებდით!

ლაპარაკისას ნეგორო დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ ეს უდიდესი თავშეკავების შედეგი იყო. იგი მიუახლოვდა დიკ სენდს, დაიხარა და თვალეში ჩახედა. ნეგოროს სახე ისე გაუმძვინვარდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, გვეგონებოდათ დიკ სენდს შეჭმას უპირებსო:

- ყველას ჯერი მოვა! - შეჰყვირა ნეგორომ თავის მსხვერპლს, მისი სიმშვიდით გაცოფებულმა, - დღეს მე ვარ მბრძანებელი, მე ვარ კაპიტანი! შენი სიცოცხლე, უბადრუკო იუნგავ, ჩემს ხელთაა!

- მიიღე იგი, - მიუგო დიკ სენდმა ისე, რომ არც კი განძრეულა, მაგრამ იცოდე, ცაშია ღმერთი, რომელიც ყოველ ბოროტებას სჯის. ასე რომ, შენი რიგიც არ არის შორს!

- თუ ღმერთი ადამიანებზე ზრუნავს დროა შენზეც იზრუნოს!

- მე უფლის წინაშე წარსადგომად მზადა ვარ, სიკვდილი არ მაშინებს ცივად მიუგო დიკ სენდმა.

- მაგასაც ვნახავთ! - შეუღრინა ნეგორომ, - დახმარების იმედი ხომ არა გაქვს კაზონდებში, სადაც მე და ალვეცი ყოველისშემძლენი ვართ? ალბათ, გაგიჟდი! ან ხომ არ გგონია, რომ ტომი და მისი მგზავრები აქ არიან! ცდები! ისინი დიდი ხანია გაყიდეს და ზანზიბარის გზას გაუყენეს! ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე ფეხი არ გაფშვიკონ!

- ღმერთი მოწყალეა და ყოველისშემძლე, - მიუგო დიკ სენდმა, - ჰერკულესი ხომ თავისუფალია!

- ჰერკულესი? - შეჰყვირა ნეგორომ და მიწას ფეხი დაჰკრა, - კარგა ხანია, რაც იგი ლომებმა და პანტერებმა დაფლითეს. ვწუხვარ, ამ მხეცებმა შურისძიების საშუალება მომისპეს!

- თუ ჰერკულესი მოკვდა, დინგო ხომ ცოცხალია, იგი შენაირ ლაჩარს ადვილად გაუსწორდება. კარგად გიცნობ, შენ მხდალი ხარ, დინგო დაგემებს, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად გიპოვის, კბილებს ყელში გაგიყრის და მზეს დაგიბნელებს, - მიუგო დიკ სენდმა.

- ნამირალავ! - შეჰყვირა გაცოფებულმა პორტუგალიელმა. - ნამირალავ! დინგო ჩემი ტყვიით მოკვდა. იგი მკვდარია ისევე, როგორც მისის უელდონი და მისი ვაჟი, როგორც ჩამალდება "პილიგრიმის" ყველა მგზავრი!

- მათ შორის შენც, ოღონდ სხვებზე ცოტა უფრო ადრე! - მიუგო დიკ სენდმა. მისმა მშვიდმა გამოხედვამ პორტუგალიელი წონასწორობიდან გამოიყვანა, იგი ცოფებს ყრიდა. მზად იყო საკუთარი ხელით მოეხრჩო უიარალო ტყვე, ეცა კიდევ და ჯანჯლარი დაუწყო, მაგრამ უეცარმა აზრმა შეაჩერა.

მსხვერპლის მოკვლით ყველაფერი დამთავრდებოდა. დიკ სენდი გადაურჩებოდა ოცდაოთხსაათიან წამებს. ნეგორო გასწორდა. რამდენიმე სიტყვა გადაუგდო ჰავილდარს, უბრძანა მკაცრად ედევნებინა ტყვისათვის თვალყური და ბარაკიდან გავიდა.

ამ სცენამ სასოწარკვეთის ნაცვლად მხნეობა შემატა დიკ სენდს. იგი თითქოს გამოცოცხლდა, ძალები მოემატა. ნეტავ, ნეგოროს ნჯღრვამ თოკები ხომ არ მოუშვა? რა საშინლად იყო გაკოჭილი, იოტისოდენა შერხევაც კი შეუძლებელი იყო! უთუოდ! ალბათ, ესაა მიზეზი, რომ დიკ სენდმა ხელ-ფეხში რაღაც შვება იგრძნო. იქნებ დიდი ძალდატანება არც კია საჭირო ხელების გასათავისუფლებლად? ამ დახშულ საპყრობილეში ტვისათვის ეს ხომ წამების ოდნავ შემსუბუქება იქნებოდა. ხომ არის ცხოვრებაში ისეთი წუთები, როცა პაწაწინა შვებაც კი დიდი ბედნიერებაა!

აშკარა იყო, დიკ სენდს აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ხსნა გარედან უნდა მოვლენოდა, მაგრამ ან იქიდან რისი იმედიღა უნდა ჰქონოდა?! იგი თავის ბედს შეურთგდა და დამორჩილდა! კაცმა რომ თქვას, სიცოცხლე აღარც კი უნდოდა. მას თვალწინ ედგა ისინი, ვინც სიკვდილი დაასწრო! ახლა მისი ოცნება იმ ხალხთან შეერთება იყო!

ნეგორომ ჰერისის ნათქვამი დაადასტურა: მისის უელდონი და პატარა ჯეკი ცოცხლები აღარ არიან! ეტყობა ისიც მართალია, რომ ჰერკულესს საშინელი სიკვდილი ხვდა წილად! ტომი და მისი თანამგზავრებიც შორს არიან და მისთვის სამუდამოდ დაიკარგნენ. ამ ტანჯვას სიკვდილით უნდა მოღებოდა ბოლო. სიკვდილი კი ამ საზარელ სიცოცხლეზე უფრო მძიმე არ იქნებოდა! სისულელე იყო, რისამე იმედი ჰქონოდა! იგი მოემზადა სიკვდილთან პირისპირ შესაყრელად! ღმერთს შესთხოვდა, ძალა და მხნეობა მიეცა მისთვის, რომ ბოლომდე გაეძლო სატანჯველისათვის! ღმერთზე ფიქრი ადამიანს კეთილშობილებასა და გამძლეობას მატებს! დიკ სენდი მზად იყო სიკვდილთან შესახვედრად! მაგრამ მან იგრძნო, რომ გულის სიღრმეში იმედის სხივმა იელვა! ამ სხივს თუ ყოვლისშემზლე ძალა დაეხმარებოდა, თვალისმომჭრელ სინათლედ გადაიქცეოდა!

საათი საათს მისდევდა, დაღამდა. დღის სინათლე, რომელიც ბარაკის სახურავში ოდნავ ატანდა, ნელ-ნელა გაქრა. მიწყდა ჩიტოვას ხმაური, რომელიც წინადღის საზარელ ხმაურთან შედარებით, კაცს სიჩუმედ მოეჩვენებოდა. სიბნელე ჩამოწვა. ვიწრო საკანი უკუნეთმა მოიცვა. ქალაქი კაზონდუ მოსვენებას მიეცა.

დიკ სენდს ღრმად ჩაეძინა. მას თითქმის ორი საათი ეძინა. როცა გაიღვიძა, დასვენებული იყო და თავს მხნედ გრძნობდა. ერთი ხელი თოკებიდან გამოაძრო. იგი ოდნავ დამცხრალიყო. მისი გაჭიმვა და მოხრა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. შუალამე გადავიდა. ჰავილდარს არყიანი ბოთლი მაგრად ჩაებლუჯა და ღრმად ეძინა. ველურს უკანასკნელ წვეთამდე გამოეწრუპა სასმელი. დიკ სენდს აზრმა გაუელვა, ყარაულისათვის იარაღი წაერთმია. იგი ძალიან გამოადგებოდა, თუ გაქცევას მოახერხებდა. უცბად ბაკის კართან რაღაც ფხაჭუნი მოესმა. დიკი ძლივძლივობით მიხობდა ზღურბლამდე. ჰავილდარს ისევ ღრმად ეძინა. დიკ სენდი რა შემცდარა, ფხაჭუნი ახლა უფრო გარკვევით გაისმა. თითქოს კარის ქვეშ ვიღაცა მიწას თხრიდა. ნეტა ცხოველია თუ ადამიანი?

"ჰერკულესი! ნუთუ ჰერკულესია!" - გაიფიქრა ახალგაზრდა მეზღვაურმა და ყარაულს გადახედა. იგი უძრავად იწვა და ღრმად ეძინა. დიკ სენდმა ტუჩები კარს მიადო და ჰერკულესის სახელი დაიჩურჩულა. პასუხად ყრუ ყეფის მსგავსი წკმუტუნის მოესმა.

"არა! ჰერკულესი არ არის, დინგოა! ამ ბარაკშიც კი მომაგნო. ნეტავ ჰერკულესის ბარათი ხომ არ მომიტანა? თუ დინგო ცოცხალია, ესე იგი, ნეგორომ იცრუა... შესაძლოა..."

კარს ქვემოთ თათი გამოჩნდა. დიკ სენდმა ხელი სტაცა. მან იცნო დინგოს თათი. თუ ბარათი მოიტანა, ყელზე ექნება შებმული. ნატავ თუ შეიძლება ხვრელის გაფართოება ისე, რომ დინგომ თავი შემოეყოს? უნდა სცადოს!

როგორც კი დიკ სენდი ფრჩხილებით მიწის ფხოქნას შეუდგა, მოედანზე მაშინვე ძაღლების ყეფა გაისმა. იქაურმა ძაღლებმა გეში აიღეს. გაისმა რამდენიმე გასროლა. ჰავილდარი ხმაურზე გამოფხიზლდა. დიკ სენდი იძულებული გახდა თავის კუთხეში მიხობებულიყო. რამდენიმე საათის შემდეგ (რომელიც დიკ სენდს უსასრულოდ ხანგრძლივი მოეჩვენა), დიკ სენდმა დაინახა, რომ გათენდა. დადგა დღე! უკანასკნელი დღე მის ცხოვრებაში.

მთელი დღის განმავლობაში მესაფლავეები გამალებით მუშაობდნენ. მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც დედოფალ მუანას პირველი მინისტრის ხელმძღვანელობით, დათქმული დროისათვის ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დასახიჩრებით იმუქრებოდნენ. ახალმა მბრძანებელმა გადაწყვიტა, ყველაფერში გარდაცვლილი მეფისათვის მიეხამა.

მდინარეს მიმართულება შეუცვალეს. მშრალ კალაპოტში ათი ფუტის სიღრმის, ორმოცდაათი ფუტის სიგრძისა და ათი ფუტის სიგანის სამარე გათხარეს.

საღამოს დაიწყეს სამარის ამოვსება მუანი ლუნგას მონებიდან შერჩეული ქალებით, ჩვეულებრივ, ამ უბედურებს ცოცხლად ასაფლავებენ ხოლმე, მაგრამ მუანი-ლუნგას უცნაური და სასწაულებრივი სიკვდილის გამო გადაწყდა, წყალში დაეხრჩოთ მბრძანებლის სხეულის ახლოს.

ჩვეულების მიხედვით, გარდაცვლილი მეფე სამარეში ჩაწვენამდე უძვირფასესი სამოსით უნდა შეემოსათ, მაგრამ, რადგან მეფისაგან მხოლოდ ორიოდე დახრუკული ძვალია იყო დარჩენილი, გადაწყვიტეს სხვაგვარად მოქცეულიყვნენ. ტირიფის ტოტებისაგან მოწნეს ფიტული, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეფეზე უკეთესიც იყო. ჩააწყვეს შიგ მეფის ნარჩენები, შემოსეს მეფის ტანსაცმლით. ხომ გახსოვთ, რა ძვირფასიც იყო ეს ძველმანები! არც კუზენი ბენედიქტის სათვალე დავიწყებიათ. იყო რაღაც საზარელი და თანაც სასაცილო ამ რიტუალში.

მეფის დაკრძალვა ღამით, ჩირაღდნების შუქზე უნდა მომხდარიყო. ყველა, ადგილობრივი მცხოვრებიცა და ამ დროს კაზონდეში მყოფნიც, ამ ცერემონიალს აუცილებლად უნდა დასწრებოდა.

საღამოს ჩიტოკადან გრძელი პროცესია გაემართა მეფის დასაკრძალავი ადგილისაკენ. პროცესია მთავარი ქუჩით მიდიოდა. დაიწყო სამგლოვიარო ცეკვები. გაისმა მისნების ღმუილი, საკრავების ბრახაბრუხი და ძველი მუშკეტების სროლა.

ხოზე-ანტონიო ალვეცი, კოიმბრა, ნეგორო, არაბი მონათვაჭრები და ჰავილდარები მოსახლეობის გრძელ რიგებს შეუერთდნენ. დედოფალმა მუანამ მათ უბრძანა, ბაზრობის დამთავრებამდე კაზონდედან ფეხი არ გაედგათ, და ვაჭრებისაგან დიდი გაუფრთხილებლობა იქნებოდა, ამ ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ.

მეფის ფიტულს ტახტრევანით მიასვენებდნენ პროცესიის ბოლო რიგებში. იგი გარშემორტყმული იყო მეორე რანგის ცოლებით, რომელთაგან ზოგი იმ ქვეყნადაც თან უნდა ხლებოდა მეფეს. საგანგებოდ გამოწყობილი დედოფალი მუანა უკან მიჰყვებოდა სამგლოვიარო ტახტრევანს. უკვე დაღამდა, როცა ხალხი მდინარის ნაპირს მიადგა. მეჩირაღდნეები ფისიან ცეცხლმოდებულ ჩირაღდნებს იქნევდნენ, რათა იქაურობა გაენათებინათ. სინათლეზე კარგად ჩანდა სამარე, რომელიც შავი, ჯერ კიდევ ცოცხალი სხეულებით ამოევსოთ. ისინი ინძრეოდნენ და ჯაჭვებს არხევდნენ, რომლითაც მიწაზე იყვნენ მიბმულნი. ორმოცდაათი ახალგაზრდა მონა ქალი სიკვდილს ელოდა. მათგან ზოგი უხმოდ დამორჩილებოდა ხვედრს, ზოგი კი საცოდავად

კვნესოდა და ტიროდა. მსხვერპლად შესწირნი დედოფალმა საზეიმოდ გამოწყობილ ცოლთაგან შეარჩია. ერთ-ერთი მათგანი, მეორე ცოლი, დააჩოქეს და ხელებით მიწას დააყრდნეს. მას სავარძლის როლი უნდა შეესრულებინა ისევე, როგორც ამას მეფის სიცოცხლეში ასრულებდა. მესამე ცოლს უნდა დაეკავებინა ფიტული, ხოლო მეოთხეს მის ფეხებთან ბალიშის მაგივრობა გაეწია. ფიტულის წინ, საფლავსი მეორე ბოლოში მიწიდან ამოშვერილი იყო წითელი ბოძი, რომელსაც თოკებით მიაკრეს თეთრი ადამიანი. იგი ამ სისხლიანი ცერემონიალის ერთ-ერთი მსხვერპლი იყო.

ეს იყო დიკ სენდი. იგი წელამდე გაეშიშვლებინათ. დიკ სენდი ნეგოროს ბრძანებით აწამეს. მას სხეულზე ეტყობოდა ამ წამების დაღი. ბოძზე გაკრული სიკვდილს იმ ადამიანივით ელოდა, რომელსაც იმქვეყნიური სიცოცხლის გარდა აღარა დარჩენია რა!...

მაგრამ კაშხალის დანგრევის ჟამი ჯერ არ დამდგარიყო.

დედოფლის ნიშანზე მეოთხე ცოლს, რომელიც მეფის ფეხებთან იწვა, ჯალათმა ყელი გამოსჭრა და სისხლი საფლავში ჩაღვარა. დაიწყო შემზარავი ხოცვა-ჟლეტა. ორმოცდაათ მონა ქალს შეუბრალებლად გამოჭრეს ყელი.

ნახევარი საათის განმავლობაში ისმოდა განწირულთა ყვირილი. იგი დამსწრეთა ღრინანცელს ერთვოდა. მაგრამ ამ ღრინანცელში ამაოდ დაუწყებდით ძებნას სიბრაულს, ზიზღის გამომხატველ შეძახილებს.

დედოფალმა კვლავ მისცა ნიშანი და კაშხალი ნელ-ნელა გაიხსნა. ეს იყო უმკაცრესი წამების სურათი. იმის ნაცვლად, რომ მთლიანად გაერღვიათ ჯებირები და მდინარეს ერთბაშად გადმოეხეთქა, ისინი ნელ-ნელა უშვებდნენ წყალს. ეს იყო საზარელი ნელი სიკვდილი.

ნიაღვარმა ჯერ საფლავის ძირში გართხმულ მონათა სხეულები დაფარა. ცოცხლები შემზარავად იკრუნჩხებოდნენ და წყალს ებრძოდნენ. მოჩანდა დიკ სენდიც. მას წყალი მუხლამდე ჰფარავდა. იგი უკანასკნელ ძალას იკრებდა თა თოკების დაწყვეტას ცდილობდა. წყლის დონე თანდათან მატულობდა. აი, მან მსხვერპლთა თავებიც დაფარა. მდინარემ თავისი ძველი კალაპოტი მონახა და ახლა აღარაფერი მიგვანიშნებდა იმას, რომ მის ფსკერზე გათხრილ სამარესთან კაზონდეს მეფეს ათასობით მსხვერპლი შესწირეს.

კალამსაც კი გაუჭირდებოდა ამ საზარელი სურათების აღწერა, ჭეშმარიტება რომ არ გვაიძულებდეს სიმართლის თქმას!

რას იზამ! ამ შავბნელ ქვეყნებში ადამიანი ჯერ კიდევ ასეთ დონეზეა. ამის უფულებელყოფა არ შეიძლება.

თავი XIII

ფ ა ქ ტ ო რ ი ა შ ი

ჰერისიცა და ნეგორიც ტყუოდნენ, როცა ამბობდნენ, მისის უელდონი და პატარა ჯეკი დაიხოცნენო. დედა-შვილი და კუზენი ბენედიქტი, საღ-სალამათნი, კაზონდემი იყვნენ. '

ტერმიტები ბუდის ალების შემდეგ ჰერისმა და ნეგორომ ისინი ქვანზის ნაპირებიდან კაზონდემი წაიყვანეს. მათ თან თორმეტიოდე ადგილობრივი ჯარისკაცი ახლდათ.

მისის უელდონი და პატარა ჯეკი ტახტრევანში ანუ "კიტანდაში" ჩასვეს. მისის უელდონს ვერაფრით აეხსნა, რატომ ზრუნავდა მათზე ასე ძალიან გარეწარი ნეგორო.

გზა ქვანზიდან კაზონდემდე სწრაფად და დაუღლეოდ გალიეს. კუზენი ბენედიქტი მხნედ მიაბიჯებდა. იგი ბედს არ უჩიოდა. რადგან არავინ უშლიდა აქეთ-იქით სირბილს. პატარა ჯგუფი კაზონდემი იბნ ჰამისის ქარავანზე რვა დღით ადრე ჩავიდა. მისის უელდონი ჯეკთან და კუზენ ბენედიქტთან ერთად ალვეცის ფაქტორიაში მოათავსეს.

პატარა ჯეკი ახლა გაცილებით უკეთ იყო. რაც ჭაობიან ადგილებს გამოცდნენ, მისთვის აღარ გაუციებია, თანდათან მომჯობინდა და თავს კარგად გრძნობდა. რა თქმა უნდა, მონათა ქარავანში მგზავრობას ისინი ვერ გადაიტანდნენ.

მისის უელდონმა თავის თანამგზავრებზე არაფერი იცოდა. ის კი დაინახა, ჰერკულესი ნავიდან რომ გადახტა და ტყეს შეაფარა თავი. რა დაემართა მას შემდეგში, მისის უელდონს აღარ გაუგია. არაფერი იცოდა არც დიკ სენდზე. ჰერისი და ნეგორო მს ახლდნენ, ამიტომ მისის უელდონს იმედი ჰქონდა, ადგილობრივი მცხოვრებნი დიკს, როგორც თეთრკანიანს, წამებას ვერ შეხედავდნენ.

დანარჩენებს კი - ნანს, ტომს, ბათს, ოსტინს და აქტონს - უთუოდ მონებად გაყიდდნენ, რადგან ზანგები იყვნენ. საცოდავები! მათ ამ მიწაზე ფეხს არასოდეს არ უნდა დედგათ!

იბნ ჰამისის ქარავნის ჩასვლა კაზონდემში მისის უელდონს არ გაუგია, რადგან გარე სამყაროსთან კავშირი არ ჰქონდა. დიდი ბაზრობის ხმაურმაც ვერაფერი აუხსნა მას. არ იცოდა, რომ ტომი და მისი მგზავრები უჯიჯელ მონათვაჭარს მიჰყიდეს, რომ ისინი მალე გაემგზავრებოდნენ აქედან. არ იცოდა არც ჰერისისა და არც მუანი ლუნგას სიკვდილი, არც მეფის დაკრძალვა, რომლის მრავალრიცხოვან მსხვერპლს დიკ სენდიც შეუერთეს.

უბედური ქალი მარტოდმარტო იყო ჩავარდნილი მონათვაჭრებისა და ნეგოროს ხელში. მათგან მხოლოდ სიკვდილით თუ დაიხსნიდა თავს, მაგრამ ამაზე ფიქრის უფლებაც კი არ ჰქონდა, რადგან დედა იყო! ვერც მიმხვდარიყო, რას უპირებდნენ. ჰერისსა და ნეგოროს ქვანზიდან კაზონდემდე ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მისთვის. რაც აქ ჩამოვიდნენ, მათთვის თვალის კი არ მოუკრავს. თვითონ კი მონათვაჭრის სამფლობელოზე გარშემორტყმული ღობის იქით, ერთ ნაბიჯის გადადგმის უფლებაც არ ჰქონდა. იმს ხომ თქმა აღარ უნდა, რომ მისის უელდონს კუზენი ბენედიქტის დახმარების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა.

დიდად პატივცემული მეცნიერი არც კი დაინტერესებულა იმით, თუ როგორ მოხვდნენ ისინი ამერიკის ნაცვლად აფრიკაში. როცა ეს გაიგო, სახეზე საშინელი სინანული გამოეხატა. მწერები, ცეცე და სხვები, რომელნიც მისი ფიქრით პირველმა აღმოაჩინა "ამერიკაში", ჩვეულებრივი აფრიკული ექვსფეხიანები იყვნენ. ისინი ხომ მრავალ ნატურალისტს უნახავს მანამდე თავისსავე სამშობლოში - აფრიკაში. იგი უნდა გამოსთხოვებოდა დიდებას და სახელს! მართლაც, რაღა იყო საოცარი იმაში, რომ კუზენ ბენედიქტს აფრიკული მწერები აფრიკაშიც მოეგროვებინა!

როცა პირველმა სინანულმა გაუარა, კუზენმა ბენედიქტმა იფიქრა: "ფარაონტა მიწაზე" (როგორც იგი უწოდებდა აფრიკას). უდიდესი ენტომოლოგიური სიმდიდრეა და თუ "ინკების მიწაზე" ვერ მოვხვდი, არაფერი დამიკარგავსო!

- ოჰ! - ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა იგი და უხსნიდა მისის უელდონს, რომელიც მას სრულებით არ უსმენდა, - ეს ხომ ბზუალი მანტიკორების სამშობლოა. ამ ხეშემფრთიანებს ბუსუსებიანი გრძელი თათები, შეზრდილი და წაწვეტებული ზედა ფრთები და ვეება ყბები აქვთ. მათ შორის ყველაზე ღირშესანიშნავი ბზუალების, გვინეისა და გაბონის გოლიათი ხოჭოების სამეფო. მათ თათები ეკლების აქვთ შეიარაღებული! ესაა ლაქებიანი ანთიდების ქვეყანა, რომლებიც კვერცხებს ლოკოკინას ცარიელ ნიჟარებში დებენ. ქვეყანა წმინდა სკარაბეებისა, რომელთაც ზემო ეგვიპტის მცხოვრებნი ღვთაებრივ თაყვანს სცემენ! აქ გაჩნდნენ პეპელა-სფინქსები, ანუ მკვდართავიანი სფინქსები, რომლებიც ახლა მთელ ევროპაშია გავრცელებული და რომლის კბენისაც ძალზე ეშინიათ სენეგალელებს! დიახ! აქ ბრწყინვალე აღმოჩენები შეიძლება! კიდევაც შევძლებ ამას. თუ ეს კეთილი ადამიანები ამის სამუალებას მომცემენ!

მკითხველმა კარგად იცის, ვინც იყვნენ ეს "კეთილი ადამიანები". კუზენი ბენედიქტი მათ სრულიად არ უჩიოდა. ენტომოლოგი ნეგოროსა და ჰერისთან თავს უფრო თავისუფლად გრძნობდა. დიკ სენდმა კი იგი ქვანზიდემ მოგზაურობისას ძალიან შეზღუდა. გულუბრყვილო მეცნიერს ასეთმა ლმობიერებამ გული აუჩუყა.

კუზენი ბენედიქტი თავს ბედნიერადაც კი ჩათვლიდა, სათვალე და ლუპა რომ არ დაეკარგა. აღარ მოჩანდა მის ცხვირზე ჩამოცმული სათვალე, კისერზე ჩამოკონწიალებული ლუპა! თუნუქის ყუთი კი განუშორებლად ზურგზე ჰქოდა მოგდებული. სწავლული ენტომოლოგი სათვალისა და ლუპის გარეშე, აბა, რას წარმოადგენს! ვაი, რომ კუზენი

ბენედიქტი ამ ორ ოპტიკურ აპარატს ვერასოდეს ველრა იხილავდა! ისინი მეფის ფიტულასთან ერთად სამუდამოდ ჩაიმარხნენ მდინარის ფსკერზე გათხრილ საფლავში. კუზენი ბენედიქტი იძულებული იყო, ნაპოვნი მწერი ძალიან ახლოს მიეტანა თვალებთან, რომ უმცირესი თავისებურებანი არ გამოპარვოდა! ოჰ! ეს უდიდესი უბედურება იყო კუზენი ბენედიქტისათვის. იგი მზად იყო, აურაცხელი საფასური გადაეხადა და სათვალე და ლუპა ეყიდა, მაგრამ მსგავსი რამ კაზონდეს ბაზარზე არ მოიძიებოდა. ასე იყო თუ ისე, კუზენი ბენედიქტი ხოზე-ანტონიო ალვეცის სამფლობელოში თავისუფლად მიმოდიოდა. დარაჯებმა იცოდნენ, რომ იგი გამქცევი არ იყო. ამასთან, მაღალი მესერი ფაქტორიას ქალაქის სხვა უბნებისაგან გამოჰყოფდა და მასზე გადახტომა არც ისე ადვილი იყო. ამ ნაკვეთის ფარტობი ერთი მილი იქნებოდა და გულდაგულ იყო შემოღობილი. ხეები, ნაირ-ნაირი ბუჩქნარი, მაღალი ბალახი, რუები, კარვები და ქოხები ათასნაირ მწერს გამოადგებოდა თავშესაფრად. ისინი დიდებას თუ არა, სიხარულს მაინც მოუტანდნენ კუზენ ბენედიქტს.

მან მართლაც აღმოაჩინა რამდენიმე მწერი და კინაღამ თვალები დაითხარა, იმდენხანს ათვალაიერა. მეცნიერმა, როგორც იქნა, თავისი კოლექცია შეავსო და აფრიკის ენტომოლოგიის საკითხებზე დასამუშავებელი შრომის გეგმა მოხაზა. ახლა მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, ერთი ახალი მწერი მაინც აღმოეჩინა, რომ მისთვის აღმომჩენის სახელი მიეცა. მაშინ ხომ ამქვეყნად იგი უბედნიერესი ადამიანი იქნებოდა.

ალვეცის სამფლობელო კუზენი ბენედიქტის მეცნიერული გასეირნებისათვის საკმაოდ ფართო იყო. პატარა ჯეკს კი აქაურობა უზარმაზარი ეჩვენებოდა. შეეძლო თავისუფლად ერბინა, მაგრამ სხვა თავისტოლა ბიჭების მსგავსად როდი ერთობოდა. იგი იშვიათად შორდებოდა დედას. მისის უელდონს ბავშვის მარტო დატოვება ეშინოდა, რადგან მუდამ რაღაც საფრთხის მოლოდინში იყო.

პატარა ჯეკი ხშირად იგონებდა თავის მამას, რომელიც ამდენი ხანია არ ენახა და მონატრებოდა. იგი გამუდმებით თხოვდა დედას, მამასთან დავბრუნდეთო. ბავშვი კითხულობდა მოხუც ნანს, თავის მეგობარ ჰერკულესს, ბათს, ოსტინს, აქტეონს და დინგოს, რომელმაც იგი მიატოვა. ძალიან უნდოდა თავისი მეგობრის, დიკ სენდის ნახვა. მის ათასნაირ კითხვებზე მისის უელდონმა აღარ იცოდა, რა ეპასუხა, ჩაიკვრავდა ხოლმე გულში და კოცნიდა, თან თავს ძლივს იკავებდა, რომ ბავშვთან არა ატირებულყო.

ქვანზიდან კაზონდემდე გადასვლისას მისის უელდონს ცუდად როდი ექცეოდნენ. როგორც ატყობდა, მისდამი დამოკიდებულება არც ალვეცის სამფლობელოში შეიცვლებოდა. ფაქტორიაში მხოლოდ ის მონები იყვნენ, რომლებიც მონათვაჭარს ემსახურებოდნენ. გასაყიდი მონები კი ჩიტოკას ბარაკებში ჰყავდათ ჩამწყვდეული და იქიდანვე ყიდულობდნენ მათ ვაჭრები. სამფლობელოს საწყობები ამჟამად გამოქედილი იყო სპილოს ძვლითა და ქსოვილებით. ქსოვილები ცენტრალურ პროვინციებში უნდა გაეგზავნათ გადასაცვლელად, ხოლო სპილოს ძვალი - კონტინენტის მთავარ ბაზრებზე - გასაყიდად. ფაქტორიაში ხალხი ცოტა იყო.

მისის უელდონსა და ჯეკს ცალკე ქოხი მიუჩინეს, კუზენ ბენედიქტს ცალკე, სადილობით კი ერთად სადილობდნენ. მათი საკვები იყო ცხვრის ან თხის ხორცი, ბოსტნეული, მანიოკა, სორგო, აქაური ხილი. საჭმელი სავსებით საკმარისი იყო. მისის უელდონს ახალგაზრდა მონა ქალი, ჰალიმა ემსახურებოდა. იგი თავისებური გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა ქალს. ტყვეებს მონათვაჭრის მსახურებთან მცირეოდენი ურთიერთობაც კი ეკრძალებოდათ.

ფაქტორიის მთავარი შენობა ხოზე-ანტონიო ალვეცს ეჭირა. მისის უელდონი იშვიათად ხედავდა მას. ნეგორო კი სხვაგან ცხოვრობდა და მისის უელდონს იგი სულ არ უნახავს. მისი გაუჩინარება ქალს აოცებდა და აშინებდა კიდევ.

"რას აპირებს? რას ელოდება? რატომ მოგვიყვანა კაზონდემი?" - ეკითხებოდა იგი თავის თავს.

ასე გავიდა რვა დღე იბნ-ჰამისის ქარავნის ჩამოსვლამდე. ორი დღე დაკრძალვის ცერემონიალს დასჭირდა. შემდეგ კიდევ ექვსი დღე გავიდა.

ასეთი მღელვარების მიუხედავად, მისის უელდონი სულ თავის ქმარზე ფიქრობდა. წარმოდგენილი ჰქონდა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მისი მეუღლე, ცოლ-შვილი სან-ფრანცისკოში რომ არ ჩაუვიდოდა. მისტერ უელდონს, რა თქმა უნდა, არ ეცოდინებოდა, რომ მისმა ცოლმა "პილიგრიმით" მგზავრობა გადაწყვიტა და, ალბათ ეგონა "ტრანსოკეანური კომპანიის" ერთ-ერთი გემით მოდისო. ეს გემები რეგულარულად ჩადიოდნენ სან-ფრანცისკოში, მაგრამ ვერც ერთ მათგანზე მისის უელდონს, ჯეკსა და კუზენ ბენედიქტს ვერ იპოვიდა. "პილიგრიმიც" უკვე უნდა დაბრუნებულიყო პორტში. ჯეიმს ვ. უელდონი მას, ალბათ, უკვალოდ დაკარგულად ჩათვლიდა. რა ელდა ეცემოდა, როცა ოკლენდის კოპრესონდენტისაგან ერთ მშვენიერ დღეს გაიგებდა, მისის უელდონი "პილიგრიმით" გამოემგზავრაო. რას იზამს? დაიჯერებს, რომ მისი ცოლ-შვილი ზღვაში დაიღუპა თუ არა? სად დაუწყებს მათ ძებნას? ალბათ, წყნარი ოკეანის კუნძულებზე ან ამერიკის სანაპიროზე. აზრადაც არ მოუვა, რომ ისინი აფრიკაში არიან.

ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში მისის უელდონს, მაგრამ რა უნდა ეღონა! გაქცეულიყო? როგორ? მას ფხიზლად დარაჯობდნენ. უნდა გაქცეულიყო ათასნაირი საფრთხით სავსე უღრან ტყეში, უნდა გაევიღო ორასი მილი მაინც, რომ ნაპირისათვის მიეღწია! მიუხედავად ასეთი გამოუვალი მდგომარეობისა, მისის უელდონს მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა გაქცევა, თუ ხსნის სხვა გზა არ გამოჩნდებოდა, მაგრამ, ვიდრე გაიქცეოდა, ნეგოროს განზრახვის გაგება სურდა.

ეს დღეც დადგა.

6 ივნისს, კაზონდეს მეფის დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ, ნეგორო ფაქტორიაში შევიდა, სადაც მას ფეხი არ შეუდგამს დაბრუნების შემდეგ. იგი პირდაპირ ტყვე ქალის ქოხისაკენ გაემართა.

მისის უელდონი მარტო იყო. კუზენი ბენედიქტი მორიგ მეცნიერულ გასეირნებაზე წაბრძანებულიყო, პატარა ჯეკი მონა ქალს, ჰალიმას ჰყავდა წყვანილი ფაქტორიის შემოგარენში სასეირნოდ.

ნეგორომ უხეშად ჰკრა კარს ხელი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაიწყო:

- მისის უელდონ! ტომი და მისი მგზავრები უიჯიჯელმა მონათვაჭარმა იყიდა.
- ღმერთო, შენ იყავ მათი მფარველი! - თქვა მისის უელდონმა და ცრემლი მოიწმინდა.
- ნანი გზაში მოკვდა, დიკ სენდი დაიღუპა...
- ნანი მოკვდა! დიკიც?- შეჰყვირა მისის უელდონმა.
- დიახ, თხუთმეტი წლის კაპიტანს ჰერესის მოკვლისათვის სიცოცხლით უნდა ეგო პასუხი,
- მიუგო ნეგორომ. - კაზონდეში თქვენ "პილიგრიმის" ყოფილი მზარეულის ხელთა ხართ.

ნეგორო მართალს ამბობდა. მოხუცი ტომი, მისი ვაჟი ბათი, აქტეონი და ოსტინი წინა დღეს გაემგზავრნენ უჯიჯელი მონათვაჭრის ქარავანთან ერთად დიდი ტბებისაკენ. მათ არც კი იცოდნენ, რომ მისის უელდონი, მათი ჭირის მოზიარე, კაზონდეში იყო, ალვეცის სამფლობელოში. მათ ასობით მილი უნდა გაევიღოთ. ძალიან ცოტას მიულწევია იქამდე და კიდევ უფრო ცოტა დარუნებულა უკან.

- რაღა გაეწყობა! - თავისთვის ჩაიჩურჩულა მისის უელდონმა ისე, რომ არც კი შეუხედავს ნეგოროსათვის.

- მისის უელდონ! - დაიწყო პორტუგალიელმა დაგუბული ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, - მე შემიძლია შური მეძია თქვენზე იმის გამო, რომ თქვენ ისე აბუჩად მიგდებდით "პილიგრიმზე". მაგრამ შურისძიებისათვის დიკ სენდის სიკვდილიც მეყოფა! ახლა მე ისევ ვაჭარი ვარ! აი რა გეგმები მაქვს!

მისის უელდონი მდუმარედ შეჰყურებდა მას.

- თქვენ, - განაგრძო ნეგორომ, - თქვენს ბავშვსა და იმ ჰკუათხელს, ბუზებს რომ დასდევს, საკმაო ფასი გაქვთ, ამიტომ უნდა გაგყიდოთ!

- მე თავისუფალი რასის წარმომადგენელი ვარ! - მტკიცედ მიუგო მისის უელდონმა.
- თუ მე მოვისურვებ, მონად იქცევით!
- მერედა, ვინ იყიდის თეთრკანიანს!
- არის ადამიანი, რომელიც გადაიხდის იმ საფასურს, რასაც მე მოვითხოვ!

მისის უელდონმა თავი ჩაქინდრა, მან იცოდა, რომ ამ საზრელ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

- გაიგეთ, რა გითხარით?
- ვინ არის იგი, ვისაც უნდა, რომ მე მიყიდოს? - იკითხა მისის უელდონმა.

- თქვენ გიყიდიან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხელახლა გიყიდიან! ... ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვგულისხმობ! - დაუმატა პორტუგალიელმა, თან ამაზრზენად და გულისამრევად ჩაიციანა.

- ვინაა, რა ჰქვია? - იკითხა მისის უელდონმა.
- მას ჯეიმს ვ. უელდონს ეძახიან. თქვენი ქმარია!
- ჩემი ქმარი! - შეჰყვირა მისის უელდონმა, რომელიც ყურებს არ უჯერებდა.

დიახ, სწორედ თქვენი ქმარი! მას კი არ უნდა დავუბრუნო, არამედ უნდა მივყიდო საკუთარი ცოლ-შვილი! სულელი კუზენი ბენედიქტი კი უფასოდ დავუმატო!

მისის უელდონს ჯერ ეგონა, ნეგორო რაღაც მახეს მიგებსო, მაგრამ შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ნამირალა არ ხუმრობდა. ამ არამზადისტვის ფული ყველაფერი იყო და, როცა საქმე გამორჩენას ეხებოდა, იგი არასდროს ტყუოდა. ეს საქმე კი მართლაც დიდ მოგებას ჰპირდებოდა.

- როდის აპირებთ ამას? - ჰკითხა მისის უელდონმა.
- რაც შეიძლება მალე!
- სად?

- აჰ! ჯეიმს უელდონი თავის ცოლ-შვილის მოსამებნად ხომ უყოყმანოდ ჩამოვა კაზონდეში?

- დიახ, უყოყმანოდ! მაგრამ ვინ შეატყობინებს?
- მე! მე წავალ სან-ფრანცისკოში! საამისო ფული მაქვს!
- "პილიგრიმზე" რომ მოიპარეთ?

- ჰო, ისიც... და სხვაც, - ურცხვად და უტიფრად მიუგო მან. - მაგრამ თქვენ მარტო სწრაფად კი არა, ძვირადაც უნდა გაგყიდოთ. ჯეიმს უელდონი ასი ათას დოლარს არ დაინანებს!

- არ დაინანებს, თუკი გადახდას შეძლებს! - ცივად მიუგო მისის უელდონმა, - თქვენ ეტყვით ჩემს ქმარს, რომ მე ტყვედ ვარ კაზონდეში, ცენტრალურ აფრიკაში...

- რა თქმა უნდა!
- ჩემი ქმარი უსაბუთოდ არ დაგიჯერებთ და თქვენი თქმისთანავე მოუფიქრებლად კაცონდეში არ გამოიქცევა.

- ჩამოვა, - მიუგო ნეგორომ, - თუ მივუტან თქვენს წერილს, სადაც აღწერილი იქნება თქვენი მდგომარეობა. ჩემზე კი მისწერო, რომ ვარ თქვენი ერთგული მსახური, საბედნიეროდ, ველურებს რომ დავუსხლტი ხელიდან...

- მე ასეთ წერილს არასოდეს არ დავწერ! - ცივად მიუგო ქალმა.
- უარს ამბობთ? - შეჰყვირა ნეგორომ.
- უარს ვამბობ!

მისის უელდონმა წარმოიდგინა, თუ რა საფრთხე მოელოდა მის მეუღლეს კაზონდეში. მან იფიქრა, როგორც კი პორტუგალიელი გამოსასყიდ თანხას მიიღებს, შეუძლია ჯეიმს უელდონი დააკავოს, და მტკიცედ გადაწყვიტა, უარი ეთქვა ნეგოროსათვის ერთბაშად. ისიც კი დაავიწყდა, რომ ბავშვი ახლდა...

- თქვენ ამ წერილს დაწერთ! - უთხრა ნეგორომ.
- არა! - მიუგო მისის უელდონმა.
- ააა! ფრთხილად! თქვენ მარტო არა ხართ, ჩემს ხელთაა თქვენი ბავშვი, მე ეს კარგად ვიცი!...

მისის უელდონს გული ისე უცემდა, ეგონა, ეს-ესაა გამისკდებაო, ხმა ჩაუწყდა, ყელში რაღაც გაეჩხირა და პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა.

- მისის უელდონ! - თქვა ნეგორომ. - დაუფიქრდით ჩემს წინადადებას. რვა დღეს გაძლევთ, ან მომცემთ წერილს, ან არა და ინანებთ!

პორტუგალიელი სწრაფად გავიდა, რომ თავისი რისხვა არ გამოემჟღავნებინა. ეტყობოდა, ყველა ღონეს იხმარდა, რომ მისის უელდონი დაემორჩილებინა.

თავი XIV

ზოგიერთი ცნობა დოქტორ ლივინგსტონზე

მარტოდმარტო დარჩენილ მისის უელდონის სადარდებელი მხოლოდ ის რვა დღე იყო, რომელიც ნეგორომ მოსაფიქრებლად მისცა.

პორტუგალიელის პატიოსნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა - აქ საქმე მოგებას ეხებოდა! "მვირფას საქონელს", როგორც ნეგოროსთვის მისის უელდონი იყო, იგი გაუფრთხილდებოდა და მცირე ხანს მაინც დაიცავდა ყოველგვარი საფრთხისაგან.

"ნეტავ ვერაფერს ვიღონებ, რომ ჯეიმსის ჩამოუსვლელად დავბრუნდე ოჯახში?" - ფიქრობდა ქალი.

იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მეუღლის წერილზე ჯეიმს ვ. უელდონი მაშინვე უყოყმანოდ გამოემშურებოდა აფრიკის ამ საშინელ მხრეში.

მაგრამ უნდა ჰქონოდა კი იმის იმედი, რომ ჯეიმს უელდონი, მისი მეუღლე, პატარა ჯეკი და კუზენი ბენედიქტი შეიძლებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას, როცა ნეგორო ხელთ ასი ათას დოლარს იგდებდა?

საკმარისია, დედოფალ მუანას უმიზეზო ახირება, რომ აღარ გაუშვან. განა არ აჯობებდა, "საქონლის" გადაცემა და გამოსასყიდის მიღება სანაპიროს რომელიმე პუნქტის მომხდარიყო? ეს ჯეიმს უელდონს მოგზაურობასთან დაკავშირებულ ათასგვარ ხიფათს ააცდენდა.

ეს ფიქრი უტრიალედა მისის უელდონს თავში, როცა ნეგოროს წინადადება უარყო. მან კარგად იცოდა, რომ ნეგოროს ის რვა დღე გამგზავრებისათვის მოსამზადებლად სჭირდებოდა. ეს რომ არა, ამდენ დროს არ მისცემდა ქალს და აიძულებდა მეუღლისათვის დაუყოვნებლივ მიეწერა წერილი.

- ნუთუ მართლა აქვს განზრახული ბავშვის წართმევა? - დაიჩურჩულა ქალმა.

სწორედ ამ დროს ჯეკი ქბოში შემოვარდა, დედამ ინსტიქტურად ისე მაგრად ჩაიხუტა იგი გულში, თითქოს ნეგორო იქვე იდგა და ბავშვის წართმევას აპირებდა.

- დედა, რამე ხომ არ გაწუხეს? - ჰკითხა ბიჭუნამ?

- არა, ჩემო ჯეკ, არა! - მიუგო მისის უელდონმა, - მამაშენზე ვფიქრობდი. მოგენატრა?

- ჰო! ჰო! ძალიან, დედა! ჩამოვა?

- არა... არა! აქ მისი ჩამოსვლა არ შეიძლება!

- აბა, ჩვენ წავალთ?

- ჰო, ჩემო ჯეკ!

- ჩემ მეგობარ დიკთან, ჰერკულესთან და მოხუც ტომთან ერთად?

- ჰო!... ჰო!... - მიუგო მისის უელდონმა და თავი ჩაღუნა, რომ ბიჭუნას მისი ცრემლები არ შეემჩნია.

- მამამ წერილი მოიწერა? - იკითხა პატარა ჯეკმა.

- არა, ჩემო კარგო.

- მაშ, შენ უნდა მისწერო, დედა?

- კი... შეიძლება მივწერო! - მიუგო მისის უელდონმა.

პატარა ჯეკი უნებურად დედას გულის ყველაზე მტკივნეულ კუნჭულს შეეხო და, პასუხისათვის რომ თავი დაეღწია, მისის უელდონმა მხურვალედ დაუკოცნა ბიჭუნას სახე.

მისის უელდონმა უარი უთხრა ნეგოროს კიდევ ერთი მიზეზის გამო. მას რაღაც იმედი კიდევ ჰქონდა, რომ ქმრის ჩაურევლად მოახერხებდა გათავისუფლებას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს იმედის სხივი ჯერ მხოლოდ ოდნავ ბჟუტავდა მის გულში.

რამდენიმე დღის წინ მისის უელდონმა შემთხვევით მოისმინა საუბარი, რომელმაც მის გულში იმედის სხივი ააკიაფა. ამ საქმეში თითქოს განგების ხელი ერია.

ალვეცი და უჯიჯელი მეტისი ვაჭარი მისის უელდონის ქოხის შორიახლო საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, ეს საუბარი მონათვაჭრობას ეხებოდა. ადამიანის სხეულით მოვაჭრეები თავის საქმეებზე მსჯელობდნენ. ისინი შემფოთებულნი იყვნენ ინგლისელთა მოქმედებით. ინგლისელი ხელისუფალნი ცდილობდნენ მონათვაჭრობის ჩახშობას არა მარტო ქვეყნის გარეთ, სანაპიროზე კრეისერების მეთვალყურეობის შემოდებით, არამედ კონტინენტის შიგნითაც - მისიონერებისა და მოგზაურების შეგზავნით.

ხოზე-ანტონიო ალვეცის აზრით, ამ გაბედულ მგზავრთა გამოკვლევები შეაფერხებდა მათ სავაჭრო საქმიანობას. მისი თანამოსაუბრეც ასე ფიქრობდა. მათი თვალსაზრისით, მეცნიერებისა და რელიგიის ყველა წარმომადგენელს თოფით უნდა გამასპინძლებოდნენ. ეს ზოგჯერ მართლაც ასე ხდებოდა, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ერთ ცნობისმოყვარეს მეორე ცვლიდა, მეორეს მესამე... სამშობლოში დაბრუნებისას ისინი აზვიადებდნენ მონათვაჭრობის საშინელებებს, როგორც ალვეცი, ამბობდა და, ისედაც შერყეულ და ძირმომპალ მონათვაჭრობას კიდევ უფრო აფერხებდნენ.

მეტისი ვაჭარიც სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ნიანგვეში, უჯიჯში, ზანზიბარსა და დიდი ტბების მთელ მხარეში ვაჭრობა საკმაოდ ფერხდებოდა. აქ ზედიზედ იყვნენ სპიკი, გრანტი, ლინგისტონი, სტენლი და სხვები. ეს ნამდვილი შემოსევა იყო! მალე ალბათ, მთელი ინგლისი და ამერიკა დაიძრება და დაიპყრობს ამ ქვეყანას.

ალვეცმა შენიშნა, რომ დასავლეთ აფრიკის პროვინციებში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. იქ იშვიათად ჩადიან ხოლმე მოგზაურები, თუმცა ეს ეპიდემია თანდათან აქაც იკიდებდა ფეხს. კაზონდე ჯერჯერობით გადარჩა, მაგრამ კასანგესა და ბიჰეზე იგივე როდი ითქმოდა. აქ ალვეცის ფაქტორიები ჰოქნდა. მკითხველს, ალბათ ახსოვს, რომ ჰერისიც უყვებოდა ნეგოროს ვინმე ლეიტენანტ კამერონე. ამ "თავხედმა" მოგზაურმა აფრიკა ერთი ნაპირიდან მეორემდე გადასერა...

მონათვაჭრის შიში არ იყო უსაფუძვლო. ჩვენს მიერ აღწერილი ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კამერონმა აფრიკის სამხრეთით, ხოლო სტენლიმ აფრიკის ჩრდილოეთით, ჯერ კიდევ შეუსწავლელ პროვინციებში შეადწინეს, ფარდა ახადეს უცხოელი ჩინოვნიკებისა და მონათვაჭრების საზარელ საქმიანობას და პასუხისმგებლობა ნამდვილ დამნაშავეებს დააკისრეს.

კამერონისა და სტენლის ამ გამოკვლევებზე ალვეცმა და მეტისმა ვაჭარმა, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არაფერი იცოდნენ. მაგრამ რაც მათ თქვეს და რაც მისის უელდონმა გაიგონა, ისიც კმაროდა იმისათვის, რომ იგი ნეგოროს მოთხოვნებს არ დამორჩილებოდა.

შეიძლებოდა დოქტორი ლივინგსტონი კაზონდეში ჩამოსულიყო. იგი აქ თავისი ამალით ჩამოვიდოდა. მას დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მთელ აფრიკაში. ანგოლას პორტუგალიელი ხელისუფალნი ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს ამ ცნობილ მოგზაურს. ყოველივე ამას კი ვინ იცის, იქნებ თავისუფლება მოეტანა მისის უელდონისათვის.

შეიძლება მოკლე ხანში მათ მოეხერხებინათ სამშობლოში დაბრუნება, იქნებ ჯეიმს ვ. უელდონსაც ასცდენოდა ასეთი სახიფათო მოგზაურობა! მოგზაურობა, რომელიც ემუქრება მის სიცოცხლესა და რომელსაც მხოლოდ სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვეს!

მართალი კი იყო ის ამბავი, რომ დოქტორი ლივინგსტონი უახლოეს დროში ინახულებდა კონტინენტის ამ მხარეს? დიახ! მართალი იყო. აქ ჩამოსვლით იგი დაასრულებდა ცენტრალური აფრიკის გამოკვლევას.

ცნობილია, თუ როგორი გმირული ცხოვრების გზა განვლო ინგლისის ლენარკის საგრაფოს, სოფელ ბლენტაირში მცხოვრებმა, ჩაით მოვაჭრე წვრილი ვაჭრის ვაჟმა დევიდ ლივინგსტონმა. იგი დაიბადა 1813 წლის 13 მატს. ვაჭარს ექვსი შვილიდან ორი ვაჟი ჰყავდა. დევიდი რიგით

მეორე იყო. მან თეოლოგიური და სამედიცინო განათლება მიიღო. ერთხანს ლონდონს მისიონერთა საზოგადოებაში იყო, 1840 წელს კეიპტაუნში ჩავიდა, რომ მისიონერ მოფატუს შეერთებოდა, რომელიც სამხრეთ აფრიკის მისიონერებს უდგა სათავეში.

კეიპტაუნიდან იგი ბეჩუანების ქვეყანაში წავიდა და პირველმა შეისწავლა ეს მხარე. კურუმანში დაბრუნების შემდეგ ცოლად შეირთო მოფატუს ქალიშვილი. ეს მამაცი ქალი დიდი მოგზაურის ღირსეული მეუღლე გამოდგა. 1843 წელს ლივინგსტონმა დაარსა მისია მახოტსას ხეობაში. ოთხი წლის შემდეგ იგი გადასახლდა კოლობენგში, ბეჩუანების ქვეყანაში, რომელიც კურუმანიდან ჩრდილოეთით, ორას ორმოცდაათ მილზე მდებარეობს.

1849 წელს ლივინგსტონმა დატოვა კოლობენგი და თან წამოიყვანა მეუღლე, სამი ბავშვი და თავისი ორი მეგობარი - ოსუელი და მერეი. იმავე წლის პირველ აგვისტოს მან აღმოაჩინა ტბა ნგამი, ჩამოყვა მდინარე ცუგას დინებას და ისევ კოლობენგში დაბრუნდა. ტბის გაღმა მხარის გამოკვლევა მან ვერ შეძლო ადგილობრივ მცხოვრებთა მტრული დამოკიდებულების გამო. უშედეგო იყო მისი მეორე ცდაც. წარმატება მხოლოდ მესამე ცდას მოჰყვა. დევიდ ლივინგსტონი ოჯახთან და ოსუელთან ერთად გაუდგა გზას ჩრდილოეთისაკენ. მოგზაურებმა საშინელი გაჭირვება გადაიტანეს. მალე სასმელ-საჭმელი შემოეღიათ და ლივინგსტონის შვილები კინაღამ შიმშილით დაიხოცნენ. ლივინგსტონის რამზი აჰყვა ზამბეზის შენაკადს, ხობეს, და მაკოლოლოს ტომის ქვეყანას მიაღწია.

1851 წლის ივნისის ბოლოს მან აღმოაჩინა ზამბეზი. ამის შემდეგ დოქტორი ლივინგსტონი დაბრუნდა კეიპტაუნში, რომ თავისი ოჯახი ინგლისში გაეგზავნა.

დაუცხრომელი ლივინგსტონი ახალ სახიფათო მოგზაურობას აპირებდა და არ უნდოდა საფრთხეში ჩაეგდო შვილების სიცოცხლე.

იგი ფიქრობდა, გადაესერა აფრიკა სამხრეთიდან დასავლეთისაკენ და კეიპტაუნიდან სან-პაოლო-დე-ლუანდაში ჩასულიყო.

რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრების თანხლებით დოქტორი ლივინგსტონი 1852 წლის 3 ივნისს გაემგზავრა. იგი ჩავიდა კურუმანში და კალაჰარის უდაბნოს გაუყვა. 31 დეკემბერს ლიტუბარუბაში შევიდა და ბურების¹ მიერ აოხრებული ბეჩუანის ქვეყანა დაათვალიერა.

ლიტუბარუბა ლივინგსტონმა 1853 წლის 15 იანვარს დატოვა, ბამანგუატების ქვეყნის შუაგულში შევიდა და 23 მაისს ლინიანტს მიაღწია. აქ მას დიდი პატივით შეხვდა მაკაბოლოოს ტომის ახალგაზრდა ბელადი სეკელეტუ.

დოქტორი საშინელმა ციებამ შეიპყრო. იგი მაინც განაგრძობდა იქაური ზნე-ჩვეულებისა და ადათ-წესების შესწავლას და დაადგინა, რომ მონათვაჭრობა აფრიკას საშინლად ანადგურებდა.

ერთი თვის შემდეგ ლივინგსტონი ხობეს დინებას ჩამოჰყვა, მიაღწია ზამბეზს, შევიდა ნალიელში, კატონგასა და ლიბონტეში და ზამბეზის შენაკადი ლიბას მიაღწია. მან გადაწყვიტა აჰყოლოდა ამ მდინარის დინებას პორტუგალიის დასავლეთ სამფლობელოებამდე და ცხრა კვირის შემდეგ ლინიანტიში დაბრუნდა, რომ ამ ექსპედიციისათვის ყველაფერი მოემზადებინა.

1853 წლის 11 ნოემბერს დოქტორმა, რომელსაც თან ოდაშვიდი მაკოლოლო ახლდა, დატოვა ლინიანტი, 27 დეკემბერს მან მდინარე ლიბას სათავეს მიაღწია. იგი ბალუნდას ტომის დასახლებამდე აჰყვა მდინარის დინებას. აქ ლიბას ერთვის მდინარე მაკონდო, რომელიც აღმოსავლეთიდან მოედინება.

ამ მხარეში პირველად შევიდა თეთრი ადამიანი.

14 იანვარს ლივინგსტონი ბალუნდას ტომის ყველაზე ძლიერი ბელადის, შინტეს რეზიდენციაში შევიდა. შინტე მას ძალიან კარგად შეხვდა. 26 იანვარს ლივინგსტონმა გადასერა მდინარე ლიბა და იმავე დღეს მეფე კატემეს ეახლა. ლივინგსტონი აქაც დიდი პატივით მიიღეს. 20 თებერვალს მოგზაური თავისი პატარა რაზმით ტბა დილოლოს ნაპირას დაბანაკდა.

აქ ათასგვარი სიმნელე წამოიჭრა: ადგილობრივ მკვიდრთა თავდასხმები, თანამგზავრთა ამბოხება, სიკვდილის საშიშროება - თითქოს ყველაფერმა ერთმა შეკრა პირი მის წინააღმდეგო. სხვა ამდენ გასაჭირს ვერ გაუძლებდა, დოქტორი ლივინგსტონი კი ვერაფერმა გატეხა. 4 აპრილს

მან მდინარე კვანგოს მიაღწია. ეს დიდი მდინარე, რომელიც პორტუგალიელთა სამფლობელოს აღმოსავლეთ საზღვარზე ჩაუდის და ჩრდილოეთიდან მდინარე ზარის ერთვის.

ექვსი დღის შემდეგ ლივინგსტონი კასანგეში მივიდა. აქ ის მონათვაჭარ ალვეცს შეხვდა, ხოლო 31 მაისს სან-პაოლო-ლუანდაში ჩავიდა.

1 ჰოლანდიელთა ძველი კოლონიები. მათ ეპყრათ კვიპტაუნი, სანამ ინგლისი მას ხელში ჩაიგდებდა. ორი წლის მოგზაურობის შემდეგ ისტორიაში პირველად აფრიკა სამხრეთიდან დასავლეთისაკენ გადაისერა.

იმავე წლის 24 სექტემბერს დევიდ ლივინგსტონმა დატოვა ლუანდა, აჰყვა ქვანზას მარჯვენა ნაპირს, რომელიც ასე დამლუპველი გამოდგა დიკ სენდისა და მისი მგზავრებისათვის, და ლომბეს შესართავამდე მივიდა. გზაში იგი მონათა მრავალრიცხოვან ქარავნებს შეხვდა და მეორეჯერ დაბრუნდა კასანგეში. აქედან ლივინგსტონი 20 თებერვალს გავიდა, გადალახა მდინარე კვანგო და კავავაში მიაღწია ზამბეზის ნაპირს. 8 ივნისს იგი ისევ მივიდა ტბა დილოლოს ნაპირზე, კვლავ ნახა შინტე, ჩამოჰყვა ზამბეზის დინებას და ჩავიდა ლინიანტიში, საიდანაც იგი ხელახლა გავიდა 1855 წლის 3 ნოემბერს. ამგვარად, ეს დიდი მოგზაური გავიდა აღმოსავლეთ ნაპირზე და გადასერა აფრიკა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

სახელგანთქმული ჩანჩქერის, "მოგუგუნე ბოლის" - ვიქტორიას - აღმოჩენის შემდეგ დევიდ ლივინგსტონმა ზამბეზი დატოვა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაემართა. ამ მოგზაურობის ძირითადი მიმართულება ასეთი იყო: ბატოკას ტომის დასახლება (ადამიანები აქ გონების მიხედვით ისუთქავენ ჰაშიშის ორთქლს), ამ მხარის ძლიერ მეფესთან ან სემალეზუსთან მისვლა, მდ. კაფუეზე გადასვლა, ისევ ზამბეზი, ვიზიტი მეფე მბურუმასთან, ზუმბოს, პორტუგალიელთა ძველი ქალაქის ნანგრევების ნახვა, 1856 წლის 17 იანვარს მეფე მპენდეს ნახვა, რომელიც მაშინ ომს აწარმოებდა პორტუგალიელებთან, ბოლოს, 2 მარტს ტეტესი, ზამბეზის ნაპირზე მისვლა.

22 აპრილს ლივინგსტონმა დატოვა ეს ოდესღაც მდიდარი დასახლება, ჩავიდა ზამბეზის დელტამდე და 20 მაისს მივიდა კელიმანეში. ეს მოხდა კვიპტაუნიდან გასვლის ოთხი წლის შემდეგ. 12 ივლისს იგი გემით გაემგზავრა მავრიკიაში და 22 დეკემბერს, თექვსმეტი წლის შემდეგ, ინგლისში დაბრუნდა.

სახელმძღვანელო მოგზაურს აქ ელოდა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების პრემია და ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოების დიდი მედალი. მას არც ბრწყინვალე მიღება დაკლებია.

სხვა მის ადგილზე დაისვენებდა. მაგრამ ლივინგსტონს არც კი უფიქრია ეს და 1858 წლის 1 მარტს კვლავ აფრიკაში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ მისი ძმა ჩარლზი, კაპიტანი ბედინდფილდი, დოქტორები კირკი და მელესი, ტორნტონი, ბენსი, მაისში იგი მოზამბიკის ნაპირზე დაბანაკდა და მიზნად ზამბეზის აუზის გამოკვლევა დაისახა.

მოგზაურთაგან ყველას არ ეწერა უკან დაბრუნება.

ისინი პატარა გემით "მა-რობერტი" აჰყვნენ დიდ მდინარეს შესართავიდან კვანგომდე და 8 სექტემბერს ტეტეში ჩავიდნენ. 1859 წლის იანვარში ზამბეზის ქვედა დინება და მისი მარცხენა შენაკადი, შირე გამოიკვლევს, აპრილში - ტბა შირვა ნახეს, სემდეგ მანგანიას ტერიტორია გამოიკვლიეს, ტბა ნიასა აღმოაჩინეს, 1860 წლის 9 აგვისტოს ხელმეორედ მივიდნენ ჩანჩქერ ვიქტორიასთან, 1861 წლის 31 იანვარს ეპიკსოპოსი მაკენზე და მისი მისიონერები ჩავიდნენ ზამბეზის შესართავთან, მარტში გემ "პიონერი" გაემგზავრნენ და რუგუმა შეისწავლა, 1861 წლის სექტემბერში ტბა ნიასაზე დაბრუნდნენ და იქ ოქტომბრის ბოლომდე დარჩნენ. 1862 წლის 30 იანვარს მეორე გემი "ლედი ნიასა" ჩამოვიდა (ამ გემს ჩამოჰყვა მისის ლივინგსტონი). აი ფაქტები, რომლითაც აღინიშნა ახალი ექსპედიციის პირველი წლები.

ამ პერიოდში გარდაიცვალა ეპიკსოპოსი მაკენზი და ერთ-ერთი მისიონერი. მათ აქაური ჰავა ვერ აიტანეს. 27 აპრილს კი მისის ლივინგსტონმა თავისი ქმრის ხელში დალია სული.

მაისში დოქტორი შეეცადა მეორედ გამოეკვლია როგუმა, შემდეგ, ნოემბრის ბოლოს, იგი დაბრუნდა ზამბეზეს და ავიდა შირემდე. 1863 წლის აპრილში დაკარგა თანამგზავრი

ტორნტონი, ხოლო ავადმყოფობისაგან სასომიხდელი თავისი ძმა ჩარლზი და დოქტორი კირკი ევროპაში გაგზავნა.

10 ნოემბერს ლივინგტონმა მესამედ ინახულა ნიასა და დაასრულა კიდევ მისი ჰიდროგრაფია. სამი თვის შემდეგ იგი დაბრუნდა ზამბეზის შესართავთან, ჩავიდა ზანზიბარში და 1864 წლის 20 ივლისს, ხუთი წლის მოგზაურობის შემდეგ ლონდონს ეწვია. აქ მან გამოაქვეყნა ნაშრომი: "ზამბეზისა და მისი შენაკადების გამოკვლევა".

1866 წლის 28 იანვარს ლივინგტონი ისევ ჩავიდა ზანზიბარში იწყებოდა მისი მეოთხე მოგზაურობა.

8 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალთ ნახა მონათვაჭრობით გამოწვეული საზარელი შედეგები, დოქტორი მოკალაოზეში, ნიასას ნაპირს ჩავიდა. მას ამჯერად თან ახლდა მხოლოდ რამდენიმე სიპაი¹ და ზანგი. ექვსი კვირის შემდეგ მისი ამალის უმეტესობა გაიქა. ისინი ზანზიბარში ჩავიდნენ და იქ გაავრცელეს ხმებლი, ლივინგტონი გარდაიცვალაო.

ლივინგტონი არ შემდრკალა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეკვლია ნიასასა და ტბა ტანგანიკას შორის მდებარე ტერიტორია. 10 დეკემბერს რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრის თანხლებით იგი გადავიდა მდინარე ლოანგვაზე და 1867 წლის 2 აპრილს აღმოაჩინა ტბა ლეა. აქ იგი ერთ თვეს ისე მძიმედ იყო ავად, თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა - შემდეგ ცოტათი მოიკეთა. 30 აგვისტოს მიაღწია ტბა მვერუს, გამოიკვლია მისი ჩრდილოეთი ნაპირი და 21 ნოემბერს ჩავიდა ქალაქ კაზემბეში. აქ მან ორმოც დღეს დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ გამოიკვლია ტბა მვერუ.

კაზემბედან ლივინგტონი ჩრდილოეთით გაემართა, ტბა ტანგანიკის ნაპირას, რომ დიდ ქალაქ უჯიჯში ჩასულიყო. იგი ჯერ წყალდიდობამ შეაფერხა, შემდეგ გამყოლები გაექცნენ და იძულებული გახდა, კაზემბეში დაბრუნებულიყო. აქედან 6 ივნისს სამხრეთით გაემართა და ექვსი კვირის შემდეგ დიდ ტბას ბანგვეოლოს მიაღწია. აქ იგი ორ თვეს დარჩა. 10 აგვისტოს ერთხელ კიდევ სცადა ტანგანიკამდე ასვლა.

რა მძიმე მოგზაურობა იყო! 1869 წლის 7 იანვრიდან მამაცი მოგზაური ისე დასუსტდა, რომ სიარული აღარ შეეძლო და ხელით მიჰყავდათ. თებერვალში, როგორც იქნა, მიაღწია ამ ტბას და უჯიჯში ჩავიდა. აქ მას ამანათი დახვდა. იგი კალკუტის აღმოსავლეთის საზოგადოებას გამოეგზავნა. ლივინგტონს ახლა მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა - ასულიყო ტანგანიკას ზევით და მოემეზნა ნილოსის სათავეები.

21 სექტემბერს იგი ჩავიდა ბამბარეში, მანიუმში, კაციჭამიების ქვეყანაში და ლუალაბას მიაღწია. შემდეგში სტენლიმ დაადგინა, რომ ეს იყო ზაირის ანუ კონგოს ზედა წელი. მამოჰელაში დოქტორი ავად გახდა. ოთხმოც დღეს იავადმყოფა. მას სამი მსახურიღა შერჩა. 1871 წლის 21 ივლისს იგი გამობრუნდა ტანგანიკაკენ და მხოლოდ 23 ოქტომბერს ჩონჩხადქცეული ჩავიდა უჯიჯში.

ევროპაში ლივინგტონი დაღუპული ეგონათ, რადგან კარგა ხანია, არავითარი ცნობა აღარ მიეღოთ მისგან. დოქტორმა ყოველგვარი დახმარების იმედი დაკარგა.

უჯიჯში ჩასვლიდან თერთმეტი დღე იყო გასული. 3 ნოემბერს ტბიდან

1 სიპაი - ინდოეთის ადგილობრივი მოსხლეობისაგან შედგენილი კოლონიური ჯარი, რომელიც ინგლისელებს ემსახურებოდა.

მეოთხედი მილის მანძილზე თოფის ხმა გაისმა.

ლივინგტონი კარვიდან გამოვიდა. მას თეთრი ადამიანი მიუახლოვდა.

- თქვენ, მგონი, დოქტორი ლივინგტონი ბრძანდებით არა?

- დიახ, - მიუგო გახარებულმა და ქუდი მოიხადა.

ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს.

- მადლობა ღმერთს, რომ შეგხვდით, - თქვა თეთრკანიანმა.

- მეც მოხარული გახლავართ, რომ თქვენ შეგხვდით! - უთხრა ლივინგტონმა.

თეთრკანიანი გაზეთ "ნიუ-იორკ ჰერალდის" რეპორტიორი სტენილი იყო. იგი რედაქტორ მისტერ ბენეტს გამოეგზავნა დევიდ ლივინგტონის მოსაძებნად.

1870 წლის ოქტომბერში სტენილი, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, უბრალოდ, როგორც ეს ნამდვილ გმირს შეჰქვრის, ბომბეის ნავსადგურში გემში ჩაჯდა და ზანზიბარში ჩამოვიდა. იგი დაახლოებით სპიკისა და ბერტონის მარშუტს გაჰყვა. ათასგვარი განსაცდელი გამოიარა, ათასჯერ ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, ბოლოს, როგორც იქნა, უჯიჯში ჩავიდა.

ორი მოგზაური დამეგობრდა. ისინი გაემგზავრნენ ტანგანიკის ჩრდილოეთით. მაგალას კონცხამდე მიაღწიეს, გულდასმით გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ლუალას ერთ-ერთი შენაკადი ამ დიდი ტბის წყალსადენი იყო. ეს სავსებით დაადასტურეს რამდენიმე წლის შემდეგ კამერონმა და თვითონ სტენლიმ.

12 დეკემბერს ლივინგტონი და სტენელი უჯიჯში დაბრუნდნენ. სტენლიმ გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. რვა დღის ნაოსნობის შემდეგ, 27 დეკემბერს, სტენილი და დოქტორი ურიმბაში ჩავიდნენ, ხოლო 23 თებერვალს კუიჰარას მიაღწიეს.

დადგა განშორების დღე, 12 მარტი.

- თქვენ გააკეთეთ ის, - უთხრა დოქტორმა სტენლიმ, - რაც ძალიან ცოტას გაუკეთებია და თანაც ზოგიერთ დიდ მოგზაურზე გაცილებით უკეთ. თქვენი დიდი მადლობელი ვარ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი! ვიმედოვნებ, ძვირფასო დოქტორო, მალე ჩვენთან გიხილავთ ჯანმრთელსა და უვნებელს, - უთხრა სტენლიმ, ხელი მაგრად ჩამოართვა და გადაეხვია. შემდეგ უცბად გამოსტაცა ხელი და მიბრუნდა, რომ ცრემლი დაემალა.

- ნახვამდის, დოქტორო! - ყრუ ხმით წარმოთქვა მან.

- ნახვამდის! - ძლივს მიუგო დასუსტებულმა ლივინგტონმა.

სტენლი გემგზავრა. 1872 წლის 12 ივლისს მარსელში ჩავიდა. ლივინგტონმა განაგრძო გამოკვლევა. მან ხუთ თვეს კიდევ დაჰყო კუიჰარაში და 25 აგვისტოს ტანგანიკის სამხრეთ ნაპირისაკენ გაემართა.

მას თან ახლდა სამი ზანგი მსახური: სუზი, შუმა, ამოდა, ორი სხვა მსახური, ჯეკობ კერნაიტი და სტენლის მიერ გამოგზავნილი ორმოცდათქვსმეტი კაცი.

ერთი თვის შემდეგ ქარავანმა მურას მიაღწია. გზაში მათ გვალვით გამოწვეულმა საშინელმა ჭექა-ქუხილმა მოუსწრო.

ამას მოჰყვა წვიმები, ადგილობრივი მოსახლეობის თავდასხმები. ბუზ ცეცეს ნაკბენისაგან გზაზე ცხოველები ეხოცებოდათ. 1873 წლის 24 იანვარს პატარა ჯგუფი ჩიტუნკუეში ჩავიდა. 27 აპრილს აღმოსავლეთიდან შემოუარეს ტბა ბანგვეოლოს და სოფელ ჩიტამბოსაკენ გაემართნენ.

აქ ლივინგტონი რამდენიმე მონათვაჰარმა ნახა. მათ ეს ამბავი აღვეცსა და მის ღირსეულ უჯიჯელ ამხანაგს შეატყობინეს. ფიქრობდნენ, რომ დოქტორი ტბის სამხრეთ ნაწილის გამოკვლევის შემდეგ დასავლეთის უცნობ ტერიტორიას შეისწავლიდა, იქიდან ანგოლაში ავიდოდა და ბოლოს კაზონდეს ესტუმრებოდა.

ეს მარშუტი ისე გამოკვეთილად ისახებოდა, რომ ადვილი მოსალოდნელი იყო, ლივინგტონი მართლა მას გაჰყოლოდა.

მისის უელდონს დიდი მოგზაურის ჩამოსვლის იმედი ჰქონდა. თვე სრულდებოდა, რაც მას ბანგვეოლოს სამხრეთ ნაპირზე მოელოდნენ.

ნეგოროს მოსვლის ჟამი დადგა. მეორე დღეს იგი იმ წერილისათვის უნდა გამოცხადებულიყო, რომელიც მას ასი ათას დოლარ მოგებას პირდებოდა. სწორედ წინა დღეს, 13 ივნისს, გავრცელდა სამწუხარო ცნობა, 1873 წლის 1 მაისს, განთიადისას, დოქტორი დევიდ ლივინგტონი გარდაიცვალაო.

ამ ცნობამ აღვეცი და სხვა მონათვაჰარები ძლიერ გაახარა.

29 აპრილს პატარა ქარავანმა ტბის სამხრეთით მდებარე სოფელ ჩიტამბოს მიაღწია. დოქტორი აქ საკაცით მოიყვანეს.

30 აპრილს იგი საშინელმა ტკივილებმა შეიპყრო. მან სუსტად ამოიკვნესა და დაიჩურჩულა: "ოჰ! ღმერთო, ჩემო! ღმერთო ჩემო!" - და ისევ ბურანში წავიდა.

ერთი საათის შემდეგ დოქტორმა თავის მსახურს, სუზის მოუხმო, და წამლების მოტანა თხოვა.

- კარგით! ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ! - სუსტი ხმით წარმოთქვა მან. დილის ოთხი საათისათვის სუნი და ამალის ხუთი წევრი დოქტორის კარავში შევიდნენ. დევიდ ლივინგტონს საწოლთან ჩაემუხლა და თავი ხელეზზე დაეყრდნო, გეგონებოდათ ლოცულობსო.

სუნი ფრთხილად შეეხო დოქტორის ლოყას: იგი საოცრად ცივი იყო. დევიდ ლივინგტონი გათავებულყო.

ერთგულმა მსახურებმა მისი ნეშტი წაიღეს და 9 თვის შემდეგ, დიდი ტანჯვა-წვალებით ზანზიბარში ჩაასვენეს.

1874 წლის 12 აპრილს მისი ნეშტი ვესტმინსტერის სააბატოში, იმ დიდ ადამიანთა შორის დაკარძალეს, რომელთაც ინგლისი მეფურ პატივს სცემს.

თავი XV

სად წაიყვანს კაცს მანტიკორა...

წყალწაღებული ხავსს ეჭიდება. რა მიმქრალი და მბჟუტავიც უნდა იყოს იმედის სხივი, სიკვდილმისჯილს იგი თვალისმომქრელ კაშკაშა სინათლედ ეჩვენება.

მისის უელდონიც ასე იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა, როცა ალვეცის ნათქვამიდან გაიგო, დოქტორ ლივინგტონი ბანგველოს ნაპირას მდებარე პატარა სოფელში გარდაიცვალაო. ახლა მას თავი მთლად განწირულად მოეჩვენა. ის უკანასკნელი იმედის ძაფიც გაწყდა, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა იგი მოგზაურთან და მთელ განათლებულ სამყაროსთან. ეს მცირე იმედიც მის თვალწინ ჩაიფერფლა. ტომი და მისი მგზავრები ტბების რაიონებისაკენ გაგზავნეს. ჰერკულესისაგან აღარაფერი ისმოდა. რის იმედად უნდა ყოფილიყო მისის უელდონი... სხვა გზა არ ჰქონდა: ნეგოროს წინადადება უნდა მიეღო. ახლა იმასლა ფიქრობდა, რომ ცოტა რამ მაინც დაეთმობინებინა ამ ნაძირალასათვის და მორიგება როგორმე კეთილად დაეგვირგვინებინა. დანიშნულ დღეს, 14 ივნისს, ნეგორო მისის უელდონის ქოხში გამოცხადდა.

პორტუგალიელი საქმოსანი კაცის როლში იყო. თუმცა ტყვე ქალს არაფერი უთქვამს, ნეგორომ მაინც განაცხადა, რომ არც ერთ გროშს არ მოაკლებდ ადრე მოთხოვნილ თანხას. მისის უელდონიც გარიგებას საქმიანად მიუდგა.

- თუ გინდათ მოვრიგდეთ, შეუძლებელ პირობებს ნუ მთავაზობთ. იმ თანხის საფასურად, რომელსაც თქვენ თხოულობთ, ჩვენ თავისუფლება უნდა მოგვცეთ ჩემი ქმრის აქ ჩამოუსვლელად. ძალიან კარგად მოგეხსენებათ, როგორ ექცევიან აქ თეთრკანიანებს. ჩემი მეუღლე ამ ქვეყანაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვიდეს!

ნეგორო მცირე ყოყმანის შემდეგ ქალის წინადადებას დათანხმდა. ჯეიმს ვ. უელდონ კაზონდემში კი არ ჩამოვიდოდა, არამედ მოსამედესში, ანგოლას სამხრეთით მდებარე პატარა პორტში, სადაც ხშირად შედიან მონებით მოვაჭრე გემები. ამ პორტს ნეგორო კარგად იცნობდა. პორტუგალიელს იქ უნდა ჩამოეყვანა ჯეიმს უელდონი. დათქმულ დროზე ალვეცის აგენტები იქ ჩაიყვანდნენ მისის უელდონს, ჯეკსა და კუზენ ბენედიქტს. თანხა გადაეცემოდა ამ აგენტებს და ტყვეები გათავისუფლდებოდნენ. ნეგორო, რომელიც მეგობრისა და კეთილმოსურნის როლს ითამაშებდა, გემის მოსვლის შემდეგ მიიმალეობდა.

მისის უელდონმა მეტად მნიშვნელოვანი რამ დაათმობინა ნეგოროს. მან ააცდინა თავის მეუღლეს კაზონდემდე მოგზაურობის საფრთხე. შეიძლება გამოსასყიდის გადახდის შემდეგ იგი მაინც დაეკავებინათ, ათასგვარი სიძნელე იყო მოსალოდნელი უკან დაბრუნების დროსაც.

ის ექვსი მილი კი რომელიც კაზონდეს და მოსამედესს შორის იყო, მისის უელდონისათვის არ იქნებოდა ძნელი გასავლელი, თუ იმავე პირობებში იმგზავრებდნენ, როგორც ქვანზიდან კაზონდემდე იმგზავრეს. მისის უელდონი მაინცდამაინც არ დაიღლებოდა. ამასთან, ალვეციც დაინტერესებული იქნებოდა, ტყვეები ჯანმთელი და უვნებელი ჩაეზარებინა პატრონისათვის. ამ შეთანხმების შემდეგ მისის უელდონმა თავის ქმარს ბარათი მისწერა. ნეგორო უნდა

წარმდგარიყო ჯეიმს უელდონის წინაშე, როგორც ერთგული მსახური, რომელიც, ვითომდა, დიდი წვალებით დაუსხლტა ხელიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს. ნეგორომ მისი უელდონის წერილი წაიღო და მეორე დღეს ოცი ზანგისაგან შემდგარი ამალით ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი. რატომ მაინცდამაინც ჩრდილოეთისაკენ? რომელიმე გემით წასვლა ხომ არ განიზრახა, რომლებიც ხშირად შემოდიან კონგოს შესართავთან, თუ იმიტომ, რომ თავი აერიდებინა პორტუგალიელთა ფაქტორიებისა და საკატორლო ციხეებისათვის? იგი ხომ არაერთხელ ყოფილა ამ ციხეების სტუმარი! ასე იყო თუ ისე, ალვეცს ნეგორომ სწორედ ასე აუხსნა თვისი მარშუტი.

თუ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდება, ჩემს მოგზაურობას იქეთ და აქეთ სამი ან ოთხი თვე დასჭირდებაო, დაუბარა ნეგორომ თავის თყვეს. ამიტომ მისის უელდონს ისე უნდა მეოწყო საქმე, რომ ამ ხნის განმავლობაში რაც შეიძლება უკეთ ეგრძნო თავი ალვეცის სამფლობელოში. მან ფაქტორიის დატოვების ფიქრზე ხელი აიღო. ჯეკი, კუზენი ბენედიქტი და მისის უელდონი აქ უფრო უშიშრად იყვნენ. ჰალიმას მზრუნველობა მას მკაცრ ტყვეობას ოდნავ უმსუბუქებდა, საექვოც იყო, რომ მონათვაჭარს ფაქტორიის დატოვების უფლება მიეცა მათთვის. ის დიდი მოგება, რასაც მისის უელდონის საფასურად მიიღებდნენ, ღირდა იმად, რომ ტყვისათვის ფხიზლად ედევნებინათ თვალიყური. ეს ალვეცისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი კაზონდებში დარჩა და აღარ წავიდა სხვა ფაქტორიებში, რომლებიც ბიჭვში და კაზონდებში ჰქონდა. სოფლების დარბევის საქმე კოიმბრამ ითავა. ამ ლოთის გამგზავრება, რაღა თქმა უნდა, არავის სწყენია.

წასვლამდე ნეგორომ დაწვრილებით მითითებები მისცა ალვეცს მისის უელდონზე. არავინ იცისო, ჰერკულესი ცოხცალია თუ მკვდარი; თუ იგი არ დაიპულა კაზონდეს ამ საზარელ შემოგარენში, მაშინვე შეეცდება, ტყვე ქალი დაიხსნას ალვენცის კლანჭებისაგან. მონათვაჭარი სწრაფად გაერკვა ყველაფერში. იგი შეჰპირდა ნეგოროს, რომ მისის უელდონს თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა.

ტყვე ქალის ერთფეროვანი ცხოვრება ფაქტორიაში ისევე გრძელდებოდა, როგორც ეს მისი ჩამოსვლის პირველ დღეებში დაიწყო.

ფაქტორიის ცოვრება არაფრით განსხვავდებოდა კაზონდეს მკვიდრთა ცხოვრებისაგან. ალვეცი იცავდა კაზონდის მოსახლეობის ადათ-ჩვევებს. ფაქტორიაში ქალები ისევე მუშაობდნენ ბატონებისა და ქმრების საამებლად, როგორც ქალაქის სხვა ქალები. ნაყავდნენ ბრინჯს ხის სანაყებში, ანიავედნენ და არჩევდნენ სიმინდს, ფქვავდნენ ღერლილს შეჭამანდისათვის, რომელსაც "მტიელეს" უწოდებენ. იღებდნენ სორგოს - მსხვილ ფეტვს (რომლის შემოსვლა ის იყო საზემოდ გამოუცხადეს მოსახლეობას), გამოჰყავდათ სურნელოვანი ზეთი "მპაფუს" კურკებიდან (იგი ზეთისხილს წააგავს), მისი ნაყენისაგან ამზადებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების საყვარელ სუნამოს; ართავდნენ ბამბის ფუტნახევიარი სიგრძის თითისტარზე, რომელიც საოცარი სისწრაფით ბრუნავს; ხის მერქანისაგან ხის ჩაქუჩით გამოჰყავდათ ქსოვილი, თხრიდნენ მანიოკის ფესვებს, ამუშავებდნენ და ამზადებდნენ ნიადაგს სხვადასხვაგვარი მცენარისათვის; კრეფდნენ ლობიოს, რომლის თხუთმეტი დუიმი სიგრძის ჭოტები, ე.წ. "მოზიტზანო" იზდება ოცი ფუტის სიმაღლის ხეებზე; მოჰყავთ არახისი, რისგანაც ხდიან ზეთს, აგრეთვე მრავალწლიანი ღიაცისფერი ბარდა "ჩილოზე" (მისი ყვავილები ცოტაოდენ სიცხარეს აძლევს სორგოს მტკნარ და უგემურ ფაფას), ადგილობრივი ყავა, შაქრის ლერწამი (მისი წვენიდან ბადაგს ხარშავენ), ხახვი, ქუნჯუთი, კიტრი, რომლის მარცვლებს წაბლივით ხალავენ; ამზადებენ მათრობელა სასმელებს; ბანანისაგან "მალოფუს", "ჰომბეს" და სხვა ნაყენებს.

უვლიან შინაურ ცხოველებს: ძროხებს, მათი მოწველა მხოლოდ მაშინ რომ შეიძლება, თუ ძროხა ხბოს ან ხბოს ფიტულს ხედავს, უვლიან მომცრო დეკეულებს, რომელთაც პატარა რქები, ხოლო ზოგიერთს კუზიც კი აქვს; თხებს. მათი ხორცი იკვებებიან და ამ ქვეყანაში თხები გაცვლა-გამოცვლის ისეთივე მნიშვნელოვანი საგანია, როგორც მოსიარულე მონეტა - მონა; ზრდიან ფრინველებს, ღორებს, ცხვრებს და სხვ. ეს გრძელი სია კარგად გვიჩვენებს, თუ რა მძიმე სამუშაო აწევს ამ ველურ მხარეში ქალის სუსტ მხრებს.

მამაკაცები კი ამ დროს ეწევიან თუთუნს, ჰაშიშს, ნადირობენ სპილოებზე ან კამეჩებზე, მიექირავებიან ხოლმე მონათვაჭრებს სოფლების დასარბევად. სიმინდის მოსავლის აღებასაც და მონათა მოპოვებასაც თავისი სეზონი აქვს.

ამ მრავალგვარი საქმიანობიდან მისის უელდონი მხოლოდ იმას იცნობდა, რომელსაც ქალები ალვეცის ფაქტორიასი ეწოდნენ. ფაქტორიაში სეირნობის დროს იგი ხანდახან შედგებოდა და უყურებდა მათ. მონები მტრულად უმზერდნენ ქალს. რასობრივი ინსტიქტი ამ უბედურებს სიძულვილით აღავსებდათ თეთრი ადამიანის მიმართ. მათში ტყვე ქალისადმი სიბრაღის ნატამალიც არ იყო. მონათაგან მხოლოდ ჰალმას ებრალებოდა თეთრი ქალბატონი. მისის უელდონმა ადგილობრივ მცხოვრებთა ენიდან ისწავლა რამდენიმე სიტყვა და გაჭირვებით ახერხებდა ახალგაზრდა მნა ქალთან გამოსაუბრებას.

სეირნობისას პატრა ჯეკი მუდამ თან ახლდა დედას. ბიჭუნას გულით უნდოდა ფაქტორიიდან გასვლა. მართალია, ბაღში ძალიან ბევრი რამ იყო საინტერესო: უზარმაზარ ბაობაზე ხმელი ტოტებისაგან გაკეთებინათ ბუდეები მარბუს, ტოტებზე ისხდნენ პატარა ყელწითელა ჩიტები, რომელთაც ზურგი მოყვითალო-მოყავისფრო ჰქონდათ - მათ ამარანდას ფეიქრებს უწოდებენ, რადგან ბუდეებს ქსოვენ; ბალახზე დახტოდნენ აგრეთვე პატარ ჩიტები "ქვრივები", რომელიც თავთავს მარცვლებს აცლიან და ზამთრის სარჩოდ იმარაგებენ; აქ ნახავდით მომღერალ "კალაოს", წითელკუდიან, ღია ნაცრისფერ თუთიყუშებს. თუთიყუშებს მანემას მცხოვრებნი "როუს" უწოდებენ და მის სახელს ტომის ბელადებს არქმევენ. დიდი, წითელნისკარტიანი მწერიჭამია "დრუგო", რომელიც ნაცრისფერ ჭვინტას ჰგავს; ათასგვარი სახეობის პეპლები, რომელთაც ფაქტორიის რუების ნაპირებზე დაფრინავდნენ. ეს პეპლები კუზენ ბენედიქტს უფრო აინტერესებდა, ვიდრე პატარა ჯეკს. ბიჭს ძალიან ძალიან მოეზრდა ყველაფერი ეს და ნატრობდა, რატომ უფრო დიდი არ იყო, რომ ღობის გადაღმა გადახედვა შესძლებოდა.

ოჰ, რატომ არ იყო აქ მისი მეგობარი დიკ სენდი! რა მალა აჰყავდა იგი დიკ სენდს "პილიგრიმის" ანძებზე! ზედ კენწეროზე მოექცეოდნენ ამ ასი ფუტის სიმაღლე ხეებს! რა დროს გაატარებდნენ!

თუკი მწერები ბლომად იყო, კუზენი ბენედიქტი თავს ყველგან კარგად გრძნობდა. კიდეც კარგი ფაქტორიაში აღმოაცინა და შეისწავლა, რამდენადაც ეს მოახერხა გამადიდებელი შუშისა და სათვალის გარშე, ძალიან პატარა ფუტკარი. ეს ფუტკარი ფორბს აკეთებს ხის ჭიანჭამ ქერქში. შეისწავლა აგრეთვე კრაზანა... იგი თავის კვერცხებს გუგულივით სხვის ფოსოებში დებს. ძალიან ბევრი იყო მანტიკორებიც, განსაკუთრებით, რუების ნაპირზე. ამ მანტიკორებმა ერთხელ მეცნიერი სიე დაკბინეს, რომ კაცი ძლივსღა იცნობდა. მისის უელდონის საყვედურზე კუზენმა ბენედიქტმა მშვიდად მიუგო:

- ეს მათი ინსტიქტია, კუზინა უელდონ, ვერ გაამტყუნებთ! - თან ისე იფხანდა მთელ სხეულს, რომ ნაკბენიდან სისხლი სდიოდა.

ერთ დღეს, ეს მოხდა 17 ივნისს. კუზენი ბენედიქტი კინლამ უბედნიერესი ენტომოლოგი გახდა ამქვეყნად. ეს ამბავი, რომელსაც სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვა, მკითხველს დაწვრილებით უნდა მოვუთხროთ.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. საშინელმა ხვატმა ფაქტორიის მცხოვრებნი აიძულა, ქობში შეყუყულიყვნენ. კაზონდეს ქუჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მძინარე ჯეკის გვერდით მჯდომი მისის უელდონიც თვლემდა. აუტანელმა სიცხემ კუზენი ბენედიქტიც შეაწუხა და საყვარელ ნადირობაზე ხელი ააღებინა. ამას ძალზე წუხდა. ამ თაკარა სიცხეში მზის სხივებზე უამრავი მწერი ირეოდა და ბზუოდა. მეცნიერი იძულებული გახდა, თავი ქობისათვის შეეფარებინა; იგი მიწვა და ჩათვლიდა. უცებ რაღაც ბზუილი მოესმა. ეს იყო აუტანელი ზუზუნი, რასაც მწერების ფრთების ხახუნი იწვევს. ზოგი მათგანი წუთში თხუთმეტ-თექვსმეტ ათასჯერ ირხევა და ეხახუნება ერთმანეთს. ზუზუნზე კუზენმა ბენედიქტმა მილულული თვალები გაახილა და შესძახა:

- მწერი! - იგი უცებ გამოფხიზლდა და ფეხზე წამოხტა.

ეს რომ მართლაც მწერი იყო, ამაში ეჭვიც არ შეპარვია. მართალია, კუზენი ბენედიქტი ახლომხედველი იყო, მაგრამ იმდენად ფაქიზი სმენა ჰქონდა, რომ შეეძლო ერთი მწერი მეორისაგან ბზუილის სიხშირით გაერჩია. კუზენ ბენედიქტს მოეჩვენა, რომ ეს ბზუილი მისთვის უცნობი იყო.

- ნეტა რა მწერია? - ჰკითხა თავის თავს კუზენმა, თან ცდილობდა გამოეცნო. უსათვალოდ კი ეს ძალიან უჭირდა. ამიტომ იგი ბზუილს გაფაციცებით უსმენდა.

ენტომოლოგის ინსტიქტით გრძნობდა, განგების მიერ წარმოგზავნილი ეს მწერი, ჩვეულებრივი არ უნდა ყოფილიყო.

საწოლზე წამომჯდარი, სმენადქცეული მეცნიერი გაქვავებულიყო. ქოხში მზის სხივები შემოიჭრა და მან შეამჩნია დიდი შავი წერტილი, რომელიც ბზუილით დაფრინავდა, მაგრამ ისე ახლო არ მოდიოდა, რომ კუზენ ბენედიქტს გაერჩია. მას სუნთქვა შეკრა. მწერს რომ ეკბინა კიდევ, ალბათ, არც გაინძრეოდა, რომ იგი არ დაერთხო. კარგახანს ბზუილის შემდეგ, მწერი თავზე დააჯდა. კუზენ ბენედიქტს ბედნიერებისაგან სახე გაუბრწყინდა და გაიღიმა! მერე როგორ გაიღიმა! იგი გრძნობდა როგორ დაფუთფუთებდა ეს მსუბუქი არსება მის მეჩხერ თმაში. მეცნიერი დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო, უნდოდა ოდნავ მაინც შეხებოდა მწერს... მაგრამ თავს მოერია და კარგიც ქნა!

"არა, არა! - გაიფიქრა მან. - ხომ შეიძლება ხელი ამიციდეს, ანდა დავაზიანო. ეს უარესია. უნდ დავეცადო. იქნებ ცოტა ქვევით ჩამოვიდეს! როგორ დარბის! ჩამოდის! ო, როგორ ვგრძნობ მის პაწაწა თათებს! კარგა მოზრდილი მწერი ჩანს! ღმერთო ჩემო! როგორმე ცხვირის წვერზე რომ ჩამომაცოცდებოდეს! თვალებს ოდნავ დავიელმებ და მორჩა! ადვილად მივხვდები რომელი რაზმის, გვარის ან სახეობისაა".

ასე ფიქრობდა კუზენი ბენედიქტი, მაგრამ მისი წვეტიანი თავის ქალიდან ცხვირის წვერამდე, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო, მწერს კარგა დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი! ესეც არ იყოს, ამ თავნება მწერს ხომ შეეძლო სხვა გზა აერჩია, ვთქვათ, წასულიყო ყურებისაკენ ან კეფისაკენ. იმაზე აღარფერს ვამბობთ, რომ სულაც შეიძლება გაფრენილიყო, გაუჩინარებულიყო მზის სხივებში, შეერთებოდა თავის მოგვარეებს, გამომწვევად რომ ბზუოდნენ გარეთ. აი, ეს ფიქრები უტრიალებდა თავში კუზენ ბენედიქტს. ასეთი მღელვარე წუთები არასოდეს განუცდია. ახალი ოჯახის თუ სახეობის აფრიკული მწერი, მეცნიერს თავზე ეჯდა და მისი ამოცნობა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მწერი კუზენ ბენედიქტის თვალებთან ერთი დუიმის მანძილზე ჩამობრძანეას მოისურვებდა.

ეტყობოდა განგებამ კუზენ ბენედიქტის ვედრება შეისმინა. მწერმა კარგახანს იარა გავერანებულ ბუჩქნარივით გაბურძმნულ თმაზე და ნელ-ნელა დაიწყო ჩამოსვლა შუბლისაკენ. ენტომოლოგს იმედი უნდა ჰქონოდა, რომ მწერი მწვერვალიდან დაბლა დაეშვებოდა.

- მე რომ მის ადგილას ვიყო, ჩამოვიდოდი, - ფიქრობდა ღირსეული სწავლული.

კუზენ ბენედიქტის ადგილას სხვა ძლიერად იტკეცდა ხელს შუბლზე, რომ გაეჭყლიტა ან გაექცია ეს აბეზარი მწერი. ექვსი თათის ფათური კანზე, ყოველ წუთს კბენის მოლოდინი და მაინც გაუნძრევლად ჯდომა ნამდვილი გმირობა იყო, არა მგონია, კუზენ ბენედიქტზე მტკიცე ნებისყოფა ჰქონოდა იმ სპარტანელს, თავის გულმკერდს რომ აგლეჯინებდა მელიას; ან რომაელს, რომელსაც ხელთ ეპყრა გავარვარებული მუგუზალები. იგი უთუოდ ამ გმირების შთამომავალი იყო. მწერმა ოციოდეჯერ შემოხაზა წრე და ცხვირის კეხს მიუახლოვდა. კუზენ ბენედიქტს სისხლი აუჩქროლდა; ზევით წავა თუ ქვევით, ცხვირისკენ ჩამოვა?

მწერი ჩამოვიდა.

კუზენი ბენედიქტი გრძნობდა, მწერი ბუსიანი თათებით ცხვირის წვერისაკენ როგორ ჩამოდიოდა. იგი წამით ცხვირის იმ ჩაღრმავებულ ადგილზე შეჩერდა, რომელიც ოპტიკური ინსტრუმენტის განუწყვეტელი ტარებით ჰქონდა წარმოქმნილი, მერე გზა განაგრძო და სწორედ ცხვირის წვერთან შედგა. მწერმა საუკეთესო მდგომარობა აირჩია. კუზენმა ბენედიქტმა თვალეზი დააეღმა და მწერი ისე გამოჩნდა, როგორც გამადიდებელ შუშაში ჩანს ხოლმე.

- ღმერთო ძლიერო! - აღმოხდა კუზენ ბენედიქტს, რომელმაც ვერასგზით ვერ შეიოკა გულიდა ამოხეთქილი სიხარულის ამოძახილი, - ხორკლიანი მანტიკორა!

მეცნიერი შეცდა, სათქმელი მხოლოდ უნდა გაეფიქრა და არ ეყვირა, თუმცა ეს მეტიმსეტი მოთხოვნა იქნებოდა ასეთი ენთუზიასტი ენტომოლოგის მიმართ!

ცხვირის წვერზე გეჯდეთ ბზუილების რაზმის წარმომადგენელი, ხორკლიანი მანტიკორა, რომელსაც ფართო, ფარფარა ზედაფრთები აქვს; კოლექციების ეს უიშვიეთესი ნიმუში, მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში რომ გვხვდება და აღტაების შეძახილი არ აღმოგზდეთ, შეუძლებელია. ეს ადამიანის ყოველგვარ ძალას აღემატება!

საუბედუროდ, მანტიკორამ ეს შეძახილი გაიგონა. თანაც კუზენმა ბენედიქტმა შეძახილის მაგარი დაცემინებაც მიაყოლა. დაცემინებამ შეარხია ცხვირის წვერი, სადაც მანტიკორა დასკუპებულიყო. კუზენმა ბენედიქტმა მისი ხელში ჩაგდება მოისურვა, ასწია ხელი, მოკუმმა ძლიერად, მაგრამ მუჭში მხოლოდ საკუთარი ცხვირის წვერი შერჩა.

- დასწყევლოს ღმერთმა! - წამოიძახა მან, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი, მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ ხორკლიანი მანტიკორა გადაფრთხილდება ხოლმე, იგი უფრო დადის, ვიდრე დაფრინავს. კუზენმა ბენედიქტმა დაიჩოქა და ათიოდე დუიმის მანძილზე, მზის სხივზე შავი წერტილი შეამჩნია, რომელიც სწრაფად ცოცავდა.

კუზენმა ბენედიქტმა გადაწყვიტა, მწერი ბუნებრივ პირობებში შეესწავლა, ოღონდ მხედველობიდან არ უნდა დაეკარგა.

- ხომ შეიძლება დაჭერისას უცხად შემოგეჭყლიტოს ხელში, - გაიფიქრა მან. - არა! უკან გავეყვები! შორიდა მივესიყვარულები! დაჭერას ყოველთვის მოვესწრები!

ცდებოდა იგი? ასე იყო თუ ისე, კუზენი ბენედიქტი გახობდა. ნადირის კვალზე დამდგარი ძალივით ცხვირს მიწას არ აცილებდა. მწერისაგან მას შვიდი-რვა დიუმი ამორებდა. ერთი წუთის შემდეგ ისინი ქობს გასცდნენ. შუადრის თაკარა მზე იქაურობას სწვავდა. კიდევ რამდენიმე წუთი და მეცნიერი და მანტიკორა ალვეცის ფაქტორიის მესირს ძირში აღმოჩნდნენ.

ნუთუ მანტიკორა გადაფრინდება და მისით მოხიბლულ ადამიანსა და მას შორის მესერი აღიმართება? არა, კუზენმა ბენედიქტმა კარგად იცოდა, რომ მანტიკორა ამას არ იზამდა. მან განაგრძო ანკარასავით ხობვა, ახლა მთავარი იყო ეს დიდი, მოძრავი წრეტილი მხედველობიდან არ დაეკარგა.

მესერთან მისული მანტიკორა თხუნელას დიდ ხვრელს წააწყდა. ხვრელს პირი ფართოდ დაეღო. მწერი უყოყმანოდ გაემართა ამ მიწისქვეშა ღრმულისაკენ, რადგან მას ძალიან უყვარს ბნელი გზები. კუზენ ბენედიქტს ეგონა, მწერი დავეკარგეო. უნდა გენახათ მისი გაოცება, როცა ხვრელს წააწყდა. ხვერელის სიგანე ორი ფუტი მაინც იქნებოდა. თაღში თავისუფლად შეეტია მეცნიერის გრძელი და გამხდარი სხეული. ისე გატაცებით მიხობავდა, ვერც კი შეამჩნია ნახევარი წუთის შემდეგ ფაქტორიის გარეთ რომ აღმოჩნდა. ენტომოლოგი მთლა მოეხიბლა მწერის მშვენებას. მწერს ეტყობოდა, ამდენი სიარული მობეზრდა, ზედა ფრთები გაშალა და შეისწორა. კუზენმა ბენედიქტმა საფრთხე იგრძნო, შეეცადა მანტიკორასათვის ხელი დაეფარებინა და დაეჭირა, მაგრამ...

ფრრ!... მანტიკორა გაფრინდა.

უნდა გენახათ ენტომოლოგის მწუხარება! კიდევ კარგი, მანტიკორას შორს წასვლა არ შეეძლო. კუზენი ბენედიქტი ადგა, მიმოიხედა და ხელებგაწვდილი უკან დაედევნა...

მწერი ბენედიქტის თავს ზემოთ დაფრინავდა. მეცნიერი მხოლოდ უფრო დიდ შავ წერტილს ხედავდა. ნეტავ, როცა რამდენიმეჯერმე შემოუფრენს კუზენი ბენედიქტის გაბუებულ თმას, ხომ არ მოესურვება ისევ მიწაზე დაფრინდეს? ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მწერი ასე მოიქცეოდა.

უიღბლო მეცნიერის ბედად, ალვეცის ფაქტორიის ამ ჩრდილო განაპირა ნაწილს, დიდი ტყე ეკრა. ტყე რამდენიმე მილზე გადაჭიმულიყო. თუკი მანტიკორ თავს ტყეს შეაფარებს და ტოტიდან ტოტზე დაიწყებს ფრთხილს, მაშინ აღარავითრი იმედი არ უნდა იქონიოს, რომ

მწერი კოლექციის უპვირფასესი ნიმუშის ადგილს დაიკავებს მეცნიერის სახელგანთქმულ თუნუქის ყუთში.

ასეც მოხდა. მანტიკორა ჯერ მიწაზე დაჯდა. კუზენმა მისი ნახვის ყოველგვარი იმედი დაკარგა. იგი სწრაფად გაეშურა მწერისაკენ და მიწაზე გაიშხლართა. მანტიკორა სკუპ-სკუპით მიხტოდა და გზას განაგრძობდა. არაქათგამოცლილი კუზენ ბენედიქტს მხულები და ფრჩხილები სისხლში მოსვროდა. იგი ხან მარჯვნივ აწყდებოდა, ხან მარცხნივ. ისე ხტოდა, გეგონებოდათ, მიწას ცეცხლი უკიდაო. ხელებს მოცურავესავით იქნევდა და ძალიან ცდილობდა, როგორმე მიეკვლია იმ შავი წერტილისათვის. მაგრამ ამაოდ! მუჟა მუდამ ცარიელი ჰქონდა... მწერი კეკლუცად უსხლტებოდა ხელიდან. ბოლოს, მიაღწია რა ხეების მწვანე სამოსელს, მანტიკორა აფრინდა, გამაღიზიანებელად გაჰკრა ფრთა კუზენ ბენედიქტს ყურზე და ძლიერი, დამცინავი ბზუილით გაუჩინარდა.

- დასწყევლოს ღმერთმა! - მეორედ შეჰყვირა კუზენმა ბენედიქტმა. - როგორ გამისხლტა! უმადურო! ჩემს კოლექციაში შენთვის ყველაზე საპატიო ადგილის დათმობა მინდოდა! არა! არ მოგეშვები, სანამ ხელში არ ჩაგიგდებ!

შეწუხებულ მეცნიერს სულ გადაავიწყდა, რომ იგი ახლომხედველი იყო და მწვანე ფოთლებში მანტიკორას ვერ შეამჩნევდა. იგი თავს ვეღარ იოკებდა. სიბრაზემ და წყენამ მთლად გამოიყვანა წონასწორობიდან. ამ უბედურების მიზეზი კი მხოლოდ თვითონ იყო. მაშინვე რომ ეტაცა ხელი მწერისათვის, ეს არ მოხდებოდა. არ უნდა გამოდევენებოდა და არ უნდა დაეწყო დაკვირვება "ბუნებრივ პირობებში". ახლა ხელთ ექნებათ აფრიკული მანტიკორას შესანიშნავი ნიმუში. მას ხომ ზღაპრული ცხოველი უწოდეს, რადგან თავი ადამიანს მიუგავს და ტანი ლომს. კუზენმა ბენედიქტმა ისე დაკარგა წონასწორობა, რომ ვერც კი გრძნობდა, ამ მოულოდნელმა შემთხვევამ მას თავისუფლება რომ დაუბრუნა. ვერც იმას მიმხვდარიყო, თხუნელას ხვრელმა ალვეცის ფაქტორიდან რომ გამოიყვანა. მის წინ ხშირი ტყე ატეხილიყო, ხეებქვეს კი მანტიკორა დაფარვატებდა და როგორმე უნდა ეპოვნა!

კუზენი ბენედიქტი გიჟივიტ დარბოდა დაბურულ ტყეში. აღარაფერი გაეგებოდა, რას ჩადიოდა. ყველგან დაკარგული ძვირფასი მწერი ელანდებოდა. ვეება ობობასავით იქნევდა ხელებს. სად მიდიოდა, როგორ უნდა მობრუნებულიყო უკან, აზრადაც არ მოსდიოდა. ასე გაიარა მან ერთი მილი. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებს გადაჰყროდა, ან რომელიმე მხეცის მსხვერპლი გამხდარიყო. უეცრად, ერთ-ერთი ბუჩქნარიდან ვეება არსება გადმოხტა და ეცა. მან ერთი ხელი ქეჩოში წაავლო, მეორე ზურგში და გაოგნებული მეცნიერი ტყეში შეათრია. სწორედ ისე, როგორც ამას თვითონ იზამდა, მანტიკორა ხელთ რომ ეგდო. ამ დღეს საცოდავმა კუზენმა ბენედიქტმა ბედნიერი შემთხვევა დაკარგა - მას შეეძლო სახელი გაეთქვა ქვეყნის ხუთივე ნაწილის ენტომოლოგთა შორის.

თავი XVI

მ გ ა ნ გ ა

იმ დღეს, 17 ივნისს, როცა კუზენი ბენედიქტი ჩვეულ დროს, სადილობისას, ქოხში არ დაბრუნდა, მისის უელდონი ძალზე შეშფოთდა.

- რა უნდა მოსვლოდა ამ დიდ ბავშვს? - ფიქრობდა ქალი. - წარმოუდგენელია, რომ იგი გაქცეულიყო ფაქტორიდან, რადგან იმ მაღალი ლობის გადალახვა, რომელიც გარს ერტყა ალვეცის სამფლობელოს, კუზენ ბენედიქტს არ შეეძლო. გარდა ამისა, მისის უელდონმა ძალიან კარგად იცოდა კუზენის ხასიათი. თავისი თუნუქის ყუთის გარეშე, რომელშიც აფრიკული მწერების კოლექცია ჰქონდა, კუზენ ბენედიქტისათვის გაქცევა კიდევაც რომ შეეთავაზებინათ,

უყოყმანოდ იტყოდა უარს. ყუთი ქოხში იყო ხელუხლებელი და უვნებელი, აფრიკაში შეგროვებული კოლექციით სავსე. ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ ამ ენტომოლოგიურ საუნჯეს მეცნიერი თავისი ნებით განშორებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, კუზენი ბენედიქტი ხოზე-ანტონიო ალვეცის ფაქტორიაში აღარ იყო!

მისის უელდონი, პატარა ჯეკი და მონა ქალი ჰალიმა მთელი დღე გულმოდგინედ ეძებდნენ კუზენ ბენედიქტს, მაგრამ ამაოდ.

მისის უელდონს საზარელმა ეჭვმა გაჰკრა, ხომ არ წაიყვანეს იგი მონათვაჭრის ბრძანებით? ასეთი საქციელი ქალისათვის სრულიად გაუგებარი იყო! რატომ უნდა მოქცეულიყო ალვეცი ასე? სად წაიყვანა ტყვე? დიდი მოედნის რომელიმე ბარაკში ხომ არ ჩააგდო? რატომ უნდა ჩაედინა ასეთი რამ იმ შეთანხმების შემდეგ, რაც მისის უელდონსა და ნეგოროს შორის დაიდო. კუზენი ბენედიქტი ხომ იმ ტყვეთა რიცხვში შედიოდა, მონათვაჭარს მოსამედესში რომ უნდა ჩაეყვანა, გადაეცა ჯეიმს ვ. უელდონისათვის და მისგან გამოსასყიდი მიეღო.

მისის უელდონს ალვეცის რისხვა რომ ენახა, როცა კუზენ ბენედიქტის ამბავი გაიგო, მიხვდებოდა, რომ მეცნიერის გაუჩინარებაში მონათვაჭრის ხელი არ ერია. თუკი კუზენი ბენედიქტი თავისი ნება-სურვილით გაიქცა, რატომ არ გაუმხილა ქალს ეს განზრახვა.

გულმოდგინე ძებნის შემდეგ ალვეცი და მისი მსახურები წააწყდნენ თხუნელას სოროს, რომელიც ფაქტორიას მეზობლად მდებარე ტყესთან აკავშირებდა. აღარავისათვის საეჭვო აღარ იყო, რომ ეს "ზუზების მდევარი" ამ ვიწრო ხვრელით გაიპარა. მკითველი ადვილად წარმოიდგენს, როგორ გაცოფდებოდა ალვეცი, როცა მიხვდა, რომ ამ გაქცევაში ბრალი მას დაედებოდა და მოგების წილიც შეუმცირდებოდა.

"ეს ბრიყვი არაფრად არა ღირს, მე კი ძვირად დამისვამენ! ოჰ, თუ ხელში ჩამივარდა!" - ფიქრობდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ კუზენი ბენედიქტი გულმოდგინედ ეძებეს როგორც ფაქტორიაში, ისე ტყეში, მაინც ვერ იპოვნეს. სხვა გზა არ იყო - მისის უელდონი კუზენის დაკარგვას უნდა შერიგებოდა, ხოლო ალვეცს - გამოეგლოვა იგი. ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ მან ფაქტორიის გარეთ ვინმესთან კავშირი დაამყარა. ამჟამად ჩანდა, კუზენმა ბენედიქტმა შემთხვევით აღმოაჩინა თხუნელას სორო და ფაქტორიაში დარჩენილებზე არც უფიქრია. ისე გაიქცა. მისის უელდონს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ეს ასე იყო, მაგრამ იმ საცოდავზე მაინც არ გაჯავრბულა. იგი ხომ თავის საქციელზე პასუხს არ აგებდა!

"საწყალი, ნეტავ რა მოელის?" - თავის თავს ეკითხებოდა ქალი.

თხუნელას სორო იმ დღესვე ამოქოლეს და ფაქტორიაზე და მის შემოგარენზე სასტიკი მეთვალყურეობა დააწესეს.

მისის უელდონისა და მისი ბავშვის ერთფეროვანი ცხოვრება ძველებურად წარიმართა.

19 ივნისს გადაუღებელი წვიმა დაიწყო. ასეთი ატმოსფერული ნალექები ივნისის თვეში იშვიათია - "მაზიკა" აპრილში მთავრდება. ცა ტყვიისფერი ღრუბლებით დამძიმდა. კოკისპირული წვიმა წალეკით ემუქრებოდა მთელ კაზონდეს ტერიტორიას.

მისის უელდონს აღარ შეეძლო ფაქტორიაში სეირნობა. მოსახლეობას საშინელი უბედურება ეწვია. შემოსული, მოსავლით სავსე დაბლობები წყლით დაიფარა. ხალხმა მთელი წლის სარჩო-საბადებელი დაკარგა. წყალში ჩაიყარა მთელი შრომა. დედოფალმა მუანამ და მისმა მინისტრებმა აღარ იცოდნენ, როგორ აეცდინათ მოსალოდნელი შიმშილობა.

მათ ჯადოქრებს მიმართეს. ჩვეულებრივი მკითხავეები, მისნები და შემლოცველები არ გამოადგებოდათ. თავს დატეხილი უბედურება ისეთი დიდი იყო, რომ მხოლოდ საუკეთესო "მგანგებს" შეეძლოთ წვიმების გამოწვევა. ან შეჩერება. ხსნა მაინც არ ჩანდა. მათი ერთფეროვანი სიმღერა, ზანზალაკებისა და ზარების რეკავც უშედეგო გამოდგა. უძვირფასესი ავგაროზები, ტალახითა და ხის მერქნით ამოვსებული ბუკი, რომელიც სამი პატარა განშტოებული რქით ბოლოვდებოდა, უძლური აღმოჩნდა. არც ნაკელის ბურთულების სროლას და არც ყველაზე

პატივსაცემი პირის სახეში მიფურთხებას მოჰყოლია შედეგი. ვერაფრით ვერ განდევნეს ღრუბლების მომხმობი ბოროტი სულები.

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა. დედოფალ მუანას აზრად მოუვიდა, მოეხმო განთქმული მგანგა. იგი ანგოლას ჩრდილოეთით ცხოვრებდა და კაზონდეს არასოდეს არ სტუმრებოდა. ამ განსაცვიფრებულ ჯადოქარზე სასწაულებს ყვებოდნენ. განსაკუთრებით "მაზიკას" შელოცვისას აღწევდა იგი წარმატებებს.

25 ივნისს, დილით, ახალმა მგინგამ დიდი ზეიმითა და ზარების რეკვით კაზონდეს თავისი მოსვლა აუწყა. იგი პირდაპირ ჩიტოკაზე მოვიდა. ჯადოქარს დიდი ბრბო დაედო. ცამ ღრუბლები გადაიყარა. ქარი თითქოს მიმართულებას იცვლიდა, გამოდარების ნიშნები გაჩნდა. ყოველივე ამან ხალხში ნდობა და რწმენა გამოიწვია.

მგამგა ექვსი ფუტის სიმაღლის ჩასხმული, მხარბეჭიანი ძალზე ღონიერი ზანგი იყო. მისმა გარეგნობამ ბრბოზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ჩვეულებრივ, სამი, ოთხი ან ხუთი ჯადოქარი შეერთდება ხოლმე და ისე დადიან სოფელ-სოფელ. მათ თან უამრავი დამხმარეები და მსახურები ახლავთ. ეს მგანგა კი მარტო იყო. მკერდი თეთრი თიხის ზოლებით ჰქონდა აჭრელებული. ბალახებისაგან მოქსოვილი ფართო ქვედატანის გრძელ ბოლოზე არც ერთი მოდის მიმდევარი ქალი უარს არ იტყოდა. ყელზე ჩიტის თავის ქალების ყელსაბამი ეკეთა, თავზე მძივებით მოოჭვილი, ფრთებიანი ტყავის ჩაჩი ეხურა. თემოებზე ტყავის ქამარი შემოეკრა, რომელზედაც ასობით პატარა ზარი კონწიალობდა დ უფრო მეტად ხმაურობდა, ვიდრე ესპანური ჯორის აღკაზმულობა. აი როგორ იყო მორთული აფრიკელი ჯადოქრების ეს შესანიშნავი წარმომადგენელი. მის მორთულობას აგვირგვინებდა პატარა მრგვალძირიანი კალათა, რომელიც სავსე იყო ნიჟარებით, ავგაროზებით, პატარა ხის კერპებითა და ნაკელის ბურთულებით.

ხალხმა შეამჩნია, რომ მგანგა მუნჯი იყო. ამ ნაკლმა კიდევ უფრო აამაღლა იგი ხალხის თვალში. იგი მხოლოდ გაურკვეველ ხორხისმიერ, დაბალ, გრძელ ბეგრებს გამოსცემდა.

მგანგამ როკვით შემოუარა მთელ მოედანს. ქამარზე ასხმული ზარბი და ზანზალაკები გამაყრუებლად უჟღარუნობდა. ბრბო ფეხდაფეხ დასდევდა და მის მოძრაობებს იმეორებდა. გეგონებოდათ, მაიმუნების ჯოგი თავის გიგანტ ბელადს ასდევნებიაო.

მლოცველი უეცრად დაადგა კაზონდეს მთავარ ქუჩას და მეფის რეზიდენციისაკენ გაემართა.

დედოფალ მუანას ახალი მისნის მოსვლა ამცნეს. ისიც თავისი კარისკაცებით გამოეგება ჯადოქარს.

მგანგამ თავი მიწამდე დახარა. შემდეგ აიწია, თავის ჩასხმული ტანი აღმართა და ხელები ზეცისაკენ აღაპყრო. იქ სწრაფად მიცურავდნენ ღრუბლების ნაფლეთები. მისანმა მათზე მიუთითა. სხეულის ძლიერი მოძრაობით გამოხატა მათი წასვლა დასავლეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ ისევ მობრუნება. ამით მიახვედრა, რომ ღრუბლების შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია! შემდეგ უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად ხელი სტაცა კაზონდეს მრისხანე მბრძანებელ ქალს. ამ საქციელმა მთელი ხალხი და სამეფო კარი დიდად განაცვიფრა. კარისკაცებმა სცადეს, წინააღმდეგობა გაეწიათ ამ უღირსი საქციელისათვის, მაგრამ ღონიერმა მგანგამ ყველაზე ახლო მდგომს ქეჩოში ჩაავლო ხელი და თხუთმეტ ნაბიჯზე მოისროლა.

დედოფალს ეს საქციელი თითქოს მოეწონა, დაიჯღანა, გეგონებოდათ, მისანს უღიმისო. შემდეგ მგანგა სწრაფი ნაბიჯით დაიძრა და თან გაიყოლა დედოფალი. მთელი ბრბო მათ უკან დაედო.

მისანი ალვეცის ფაქტორისაკენ გაემართა, დაკეტილ კარს მიადგა და მსუბუქად ჰკრა მხარი. კარი მიწაზე ჩამოვარდა. მისანი დამორჩილებულ დედოფალთან ერთად ფაქტორიაში შევიდა.

მონათვაჭარი, ჯარისკაცები და მონები ეცნენ ამ თავხედს, რომელმაც არც კი დაუცადა კარის გაღებას და ჩამოაგდო იგი, მაგრამ დაინახეს თუ არა დედოფალი, მოწიწებით შედგნენ. მათი მბრძანებელი არავითარ აღშფოთებას არ გამოხატავდა მისნის საქციელის გამო.

ალვეცს უნდოდა ეკითხა დედოფლისათვის, თუ რით დაიმსახურა ასეთი პატივი, მბრძანებელმა მასთან მოსლვა რომ ინება. მაგრამ მისანმა სიტყვის თქმა არ დააცადა, გაფანტა ხალხის გროვა და მოცარიელებულ ადგილზე დაიწყო მანჭვა-გრეხვა. მან ხელები ღრუბლებისაკენ აღაპყრო, თითქოს მათ დაემუქრაო, შემდეგ თავისი ვეებერთელა ლოყები გაბერა და მთელი ძალით ღრუბლების გროვას შეუბერა, თითქოს მათი გაფანტვის უნარი ჰქონდა. ბოლოს მთელი ტანით აღიმართა და ხელების ქნევა დაიწყო, გეგონებოდათ ღრუბლების შეჩერება უნდაო. ისე ბრგე და ახოვანი იყო, რომ კაცი იფიქრებდა, ამასაც თავისუფლად შეძლებსო.

ცრუმორწმუნე მუანა აღტაცებას ვერ ფარავდა, როცა ამ დიდი მსახიობის თამაშს უყურებდა. თავს ვერ იკავებდა, დროდადრო რაღაცას წარმოიყვირებდა ხოლმე და მისანის მსგავსად ისიც იმანჭებოდა და იგრიხებოდა. ასევე იქცეოდნენ კარისკაცები და ხალხი. დედოფლისა და მუნჯის ხორხისმიერი ბგერები ხალხის სიმღებში, ყვირილსა და ღრიანცელში ინთქმებოდა.

შეწყდა ღრუბლების სვლა ჰორიზონტზე? გამოჩნდა ტროპიკული მზე? გადაიწმინდა ზეცა? არა! სწორედ მაშინ, როცა დედოფალს და მთელ ხალხს ეგონა, რომ ბოროტი სულები განდევნეს, ოდნავ განათებული ცა საშინლად მოიკუპრა, ატყა ჭექა-ქუხილი და წვიმის მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით დაეცა მიწაზე.

ხალხი განრისხდა, ისინი უნდობლად უცქეროდნენ მისანს. დედოფლის წარბების შეყრა კი იმაზე მიუთითებდა, რომ მისანი სხვა თუ არა, თავის ყურებს მაინც უნდა გამოთხოვებოდა. მგანგას ალყა შემოარტყეს, მუქარით აღიმართნენ მუმტები და მას ცუდი დღე მოელოდა, რომ უეცარ შემთვევას მტრული დამოკიდებულება სხვა მიმართულებით არ წარემართა.

მგანგამ, რომელიც მთელი თავით მაღალი იყო ამ მოღრიალე ბრბოზე, უეცრად ხელი გაიშვირა და რაღაცაზე მიუთითა. ეს შესტი ისეთ კატეგორიულ ბრძანებას გამოხატავდა, რომ ყველა იქით მიბრუნდა.

ბრბოს ღრიანცელზე მისის უელდონი და პატარა ჯეკი ქოხიდან გამოსულიყვნენ. მრისხანე მისანი მარცხენა ხელით სწორედ მათზე მიუთითებდა, მარჯვენა კი ზეცისკენ აღეპყრო.

აი ვინ იყვნენ ამდენი უბედურების მომტანნი! ეს თეთრი ქალი და მისი ბავშვი! აი ბოროტების წყარო! მათ მოუხმეს ღმერთებს თავისი წვმიანი ქვეყნიდან, რომ წყლით დაეფარა კაზონდე!

ბრბო მიუხვდა მგანგას. დედოფალმა მუანამ მუქარით შეხედა მისის უელდონს და მრისხანედ გაიშვირა ხელი მათკენ. აღრიალებული ბრბო ქალისაკენ გაემურა.

მისის უელდონი იხვდა, რომ აღსასრულის ჟამი დადგა. მან მაგრად ჩაიხუტა შვლი და აგზნებული ბრბოს წინაშე ქანდაკებასავით გაქვავდა.

მგანგაც გაემართა მათკენ. ბრბომ გზა უტია მისანს.

მონათვაჭარი ალვეცის მიუახლოვდა ქალს, რომლის სიცოცხლე მას ძვირად უღირდა. იგი კარგად ვერ ხვდებოდა, რა უნდოდა მგანგას. მგანგამ ხელი წაავლო პატარა ჯეკს, გამოგლიჯა დედას და ცისკენ გაიწვდინა, თითქოს მიწაზე უნდა დაანარცხოსო და ღმერთების საამებლად თავი გაუხეთქოსო.

მისის უელდონმა საზარლად შეჰკვივლა და გულწასული დაეცა.

მგანგამ რაღაც ანიშნა დედოფალს. ჩანდა, დედოფალიც დაეთანხმა მას. მისანმა აიყვანა უბედური დედა და თავის ბავშვთან ერთად წაიყვანა. აღელვებულმა ბრბომ უკან დაიხია და გზა უტია მათ.

ალვეცის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მან დაკარგა ერთი ტყვე. ახლა კი ხელიდან ეცლება ეს ორი მძევალი, მათი მოვლა-პატრონობა ხომ ალვეცმა იკისრა. ამ მძევლებთან ერთად იკარგებოდა მოგების დიდი წილი, ნეგორო რომ შეჰპირდა. არა! არავითარ შემთხვევაში არ დათმობს ტყვეებს, თუნდაც მთელი კაზონდე წარღვნამ წალებკოს!

მან სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ბრბომ მრისხანება ახლა ალვეცზე გადმოანთხია. დედოფალმა ბრძანა, დაეჭირათ იგი. ალვეცი მიხვდა, რომ ძვირად დაუჯდებოდა

წინააღმდეგობა და გაჩერება არჩია. მონათვაჭრები გუნებაში წყევლა-კრულვის იკლებდნენ დედოფალ მუანას და მის ბრიყვ ქვეშევრდომებს. ამ ველურ, უვიც ბრბოს მართლაც სჯეროდა, რომ ღრუბლები გაქრებოდნენ მათი გამომწვევი ადამიანების სიკვდილთან ერთად. ექვიც არ ეპარებოდათ, რომ მისანი უცხოელთა სისხლით შეაჩერებდა წვიმას, რომელმაც ამდენი ტანჯვა და ზარალი მოუტანა მათ.

მგანგას თავისი მსხვერპლი - შიშისაგან დამფრთხალი ჯეკი და გულწასული მისის უელდონი ისე მსუბუქად აეტაცებინა და მიჰყავდა, როგორც ლომს მიაქვს ხოლმე პირით წყვილი თიკანი.

ველურთა ბრბო უკან ღრიანცელით მისდევდა მათ. მგანგა გაცდა ფაქტორიას, გადაჭრა კაზონდე და ტყეში შევიდა. ისე გაიარა სამი მილი, ნაბიჯი ოდნავადაც არ შეუნელებია. ველურები მიხვდნენ, რომ მისანს აღარ სურდა გამოდევნება. მგანგამ მიაღწია მდინარეს, რომელიც ჩქარი დინებით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა.

იქ, ვიწრო პატარა ნავსაყუდელში, რომელსც მაღალი ბალახი ფარავდა, იდგა თივით გადახურული ნავი. მან ნავში ჩაუშვა თავისი ტვირთი, შემდეგ ფეხი ჰკრა მას და სწრაფმა მდინარემ ნავი წარიტაცა.

- ჩემო კაპიტანო, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ მისის უელდონი და პატარა ჯეკი! ახლა კი გზას გავუდგეთ, კაზონდელ ბრიყვებს კი, დაე, მთელი ცა ჩამოექცეთ თავზე.

თავი XVII

მდინარეს მინდობილნი...

ეს სიტყვები ჰერკულესმა წარმოთქვა, რომლის ცნობა მისნის სამოსელში ძნელი იყო. ხოლო ვისაც მიმართა, დიკ სენდი გახლდათ. იგი ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს და კუზენ ბენედიქტს ეყრდნობოდა... შორიახლო დინგო წამოწოლილიყო.

გონს მოსულმა მისის უელდონმა მხოლოდ ამის თქმა შეძლო:

- შენ, დიკ! შენ?!

ახალგაზრდა მეზღვაური წამოდგა, მაგრამ მისის უელდონმა აღარ დააცადა და გულში ჩაიკრა. ჯეკმა კი გულიანად დაკოცნა თავისი მეგობარი.

- დიკი, ჩემი მეგობარი, დიკი! - იმეორებდა ბიჭუნა. შემდეგ ჰერკულესს მიუბრუნდა:

- როგორ ვერ გიცანი!

- რა მასკარადი იყო! - მიუგო ჰერკულესმა და აჭრელეებულ მკერდზე ხელი მოისვა, რომ საღებავი მოეცილებინა.

- რა საზიზღარი იყავი! - თქვა პატარა ჯეკმა.

- მე ხომ ეშმაკი ვიყავი! განა ეშმაკი შეიძლება ლამაზი იყოს?

- ჰერკულეს! - თქვა მისის უელდონმა და ზანგს ხელი გაუწოდა.

- თქვენ ხომ გაგათავისუფლათ, - დაუმატა დიკ სენდმა, - მეც მაგან გადამარჩინა, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ სურს.

- გადაგვარჩინა, გადაგვარჩინა! გადარჩენილები ჯერ სულაც არ ვართ! - მიუგო ჰერკულესმა. - მისტერ ბენედიქტი რომ არა, მისის უელდონ, ჩვენ ვერაფერის გაკეთებას ვერ შევძლებდით! მან მითხრა, სადაც იყავით...

ეს ჰერკულესი იყო, ხუთი დღის წინ თავს რომ დაესხა ძვირფას მანტიკორას დადევნებულ მეცნიერს. ეს შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, არც დიკ სენდს და არც ჰერკულესს მისის უელდონის ადგილსამყოფელი არ ეცოდინებოდა და მისნის ძონძებში გახვეული ჰერკულესიც კაზონდეში ვერ მივიდოდა.

სანამ ნავი სწრაფად მიცურავდა მდინარის ვიწრო კაპალოტში ჰერკულესმა მოუთხრო მათ, თუ რა გადახდა ქვანახის ბანაკიდან გაქცევის შემდეგ, როგორ მიჰყვებოდა შეუმჩნევლად მისის უელდონისა და ჯეკის კიტანდას, როგორ იპოვა დაჭრილი დინგო, როგორ მივიდნენ ორივენი კაზონდეს შემოგარენში, როგორ გაატანა ძალს ბარათი და ამცნო დიკ სენდს მისის უელდონის

ამბავი. კუზენი ბენედიქტის მოულოდნელი გამოჩენის შემდეგ როგორ ამაოდ ცდილობდა ფაქტორიაში შეღწევას და როგორ მოახერხა ხოზე-ანტონიო ალვეცის ტყვეობიდან ეხსნა ქალი. ეს შემთხვევა იმ დღეს მიეცა, როცა ცნობილმა მგანგამ, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ, ტყეში გაიარა. ჰერკულესი იქვე დაბორიალობდა, ყველაფერს ფხიზლად ადევნებდა თვალს და მზად იყო სამოქმედოდ. სულ რამდენიმე საათი დასჭირდა მგანგას დაჭერას, სამოსელის გაძრობას და მისნის მიკვრას ხეზე ლიანებით ისე მაგრად, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო ჯადოქრის იქიდან ახსნა. შემდეგ მგანგას მსგავსად აიჭრელა ტანი და წვიმის ჯადოქრის როლი იტვირთა.

ჰერკულესს დიდად დაეხმარა ველურების საოცარი გულუბრყვილობა.

ამ სწრაფად მონაყოლ ამბავში დიკ სენდზე არაფერი თქმულა.

- შენა, დიკ? - იკითხა მისის უელდონმა.

- მე, მისის უელდონ, - მიუგო ახალგაზრდა მეზღვაურმა, - არაფერის თქმა არ შემიძლია.

ჩემი უკანასკნელი ფიქრი თქვენ და ჯეკი იყავით. ამაოდ ვცადე გამეწყვიტა ლიანები, რომლითაც ბოძზე მიმაკრეს... წყალმა მთლად დამგარა და მერე აღარაფერი მახსოვს, როცა გონს მოვედი, ნაპირზე, პაპირუსებში ვიწექი და ჰერკულესი მზრუნველობით მევლებოდა თავს.

- რა თქმა უნდა, ახლა მე ვარ მისანი, ჯადოქარი და წინასწარმეტყველი!...

- ჰერკულეს, - მიმართა მისის უელდონმა, - როგორ გადაარჩინეთ დიკ სენდი?

- ეს განა მე ვიყავი, მისის უელდონ? - მიუგო ჰერკულესმა, - ძლიერ წყლის ნაკადსაც შეეძლო წაექცია ბოძი, რომელზედაც მიკრული იყო ჩვენი კაპიტანი და თან წაელო, რომ შემდეგ შუალამისას წყლიდან ცოცხალმკვდარი ამომეყვანა!

ან კიდევ განა ძნელი იყო, სიბნელეში მსხვერპლით ავსებულ სამარეში ჩახტომა? დაცდა, ვიდრე გაანგრევდნენ ჯებირს, შემდეგ წყალში გაცურვა, მცირე ძალდატანება და ბოძის ამოგდება. საოცარი აქ არაფერია! ამას ყველა გააკეთებდა, თვით მისტერ ბენედიქტიც კი, ან დინგო! მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა ეს დინგო ყოფილიყო?

დინგომ დაიწკმუტუნა. ჯეკმა ძალს დიდ თავზე ხელები წაავლო, გადაუქანა-გადმოუქნია, შემდეგ მეგობრულად წაუტყაპუნა ხელი და ჰკითხა:

- შენ გადაარჩინე ჩვენი მეგობარი, დინგო?

- დინგო ამბობს არაო, ჰერკულეს. - თქვა ჯეკმა, - ხომ ხედავ, ეს არ ყოფილა. დინგო, ჰერკულესმა გადაარჩინა ჩვენი კაპიტანი?

პატარა ბიჭუნამ დინგოს თავი რამდენჯერმე დააქნევინა.

- ჰოო, ჰერკულეს! დინგომ თქვა, ჰოო! - თქვა ბიჭუნამ. - ხომ ხედავ, შენ გადაგირჩინია!

- არა გრცხენია, დინგო? - თქვა ჰერკულესმა და ძალს მოეფერა, - ხომ მითხარი, რომ არ გამცემდი?

დიახ! სწორედ ჰერკულესი გახლდათ ის კაცი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და დიკ სენდი გადაარჩინა.

ზანგი თავმდაბლობისა და მორიდების გამო ამ ამავზე არაფერს ყვებოდა და დაჟინებით იმეორებდა, ყველა თქვენგანი ამასვე იზამდა. მისის უელდონმა გაიხსენა მოხუცი ტომი, მისი ვაჟი, აქტეონი, ოსტინი - თავისი უბედური მგზავრები!

ისინი ტბების რაიონში გაგზავნეს. ჰერკულესმა დაინახა, როგორ მიჰყავდათ საცოდავები მონების ქარავანთან ერთად. ჰერკულესი უკან დაედევნა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა მათთან დაკავშირება... წაიყვანეს საწყლები! ისინი დაიღუპნენ!

ჰერკულესს მსხვილი ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან, რომელთა დამალვა მას არ უცდია.

- ნუ ტირი, ჩემო მეგობარო, - უთხრა მისის უელდონმა, - ვინ იცის, იქნებ ღმერთმა გადგმოგვხედოს და კიდევაც შევხვდეთ მათ.

ქალმა მოკლედ უამბო დიკ სენდს ყველაფერი, რაც ალვეცის ფაქტორიაში მოხდა.

- იქნებ ჩვენთვის კაზონდეში დარჩენა უმჯობესი იყო, - თქვა მისის უელდონმა.

- ეს რა ჩავიდინე! - შეჰყვირა ჰერკულესმა.

- არა, ჰერკულეს, არა! - მიუგო დიკ სენდმა, - ეს არამზადები ხაფანგში გააბამდნენ მისტერ უელდონს! ყველანი დაუყოვნებლივ ერთად უნდა გავიქცეთ! უნდა ჩავიდეთ ნაპირზე მანამ, სანამ ნეგორო მოსამედესში დაბრუნდება! იქ, პორტუგალიელი ხელისუფალნი აღმოგვიჩენენ მფარველობას და დაგვეხმარება, როცა ალვეცი თავისი ასი ათასი დოლარის მისაღებად...

- ასე ათასი ჯოხი ამ ბებერ არამზადას! - შეჰყვირა მრისხანედ ჰერკულესმა, - მე მას ანგარიშს გავუსწორებ!

მისის უელდონის კაზონდში დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ნეგოროსათვის უნდა დაესწროთ. დიკ სენდის ყველა გეგმა ამ მიზანს ემსახურებოდა. მას დიდი ხნის წინ მოფიქრებული გეგმის განხორციელების საშუალება ეძლეოდა: მიეღწია ოკეანის ნაპირისათვის მდინარის დინების ჩაყოლებით. ეს მდინარე ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და სავსებით შესაძლებელი იყო, ზაირს ერთვოდა. თუ ეს ასე იყო, სან-პაოლო-დე-ლუანდას ნაცვლად მისის უელდონი და მისი მგზავრები კონგოს შესართავს მიაღწევდნენ. ეს საქმის ვითარებას არ ცვლიდა, რადგან მათ ქვემო გვინეის კოლონიებშიც დაეხმარებოდნენ და საფრთხე არ მოელოდათ.

დიკ სენდს აზრად არ მოუვიდა მდინარის დინებას ჩაყოლოდა ბალახებით დაფარული მცურავი კუნძულით¹. ასეთი კუნძულები ბევრია აფრიკის მდინარეებში.

ჰერკულესი ნაპირზე ხეტიალისას შემთხვევით წააწყდა ნავს. იგი მდინარეს მოჰქონდა. უკეთესი რამ დიკ სენდს აღარც კი შეეძლო ენატრა. ამ ნავმა სწორედ სულზე მოუსწრო. იგი ისეთი ვიწრო როდი იყო, ადგილობრივი მკვიდრნი რომ იყენებდნენ ხოლმე. ნაპოვნი ნავის სიგრძე ოცდაათ ფუტს აღემატებოდა, სიგანე - ოთხს. მისის უელდონი და მისი მგზავრები ნავში თავისუფლად ჩაეტიენ. მის წასაყვანად ერთი უკანა ნიჩაბიც კი კმაროდა. ნავი სწრაფად მიჰყვებოდა მდინარეს.

დიკ სენდმა ჯერ იფიქრა, მხოლოდ ღამ-ღამობით ვიმგზავროთო, მაგრამ ეს ძალიან გაახანგრძლივებდა მგზავრობას, რომელსაც ისედაც, ვინ იცის, რამდენი დრო დასჭირდებოდა. შემდეგ მოისაზრა, ნავი გრძელი ბალახების ჩარდახით გადაეხურა. ჩარდახი წყალმდე ეშვებოდა და გრძელ ნიჩაბსაც კი ფარავდა. შორიდან იგი ბალახის გროვას ჰგავდა, რომელიც მოცურავე კუნძულებს შორის მოჰქონდა მდინარეს. ჩარდახი ისე იყო გაკეთებული, რომ ჩიტებსაც კი მართლა ბალახის გროვა ეგონათ, და წითელნიკარტა თოლიები, შავბუმბულიანი "არჰინგები", ნაცრისფერი და თეთრი ქაროლები ზედ საკენკად სხდებოდნენ.

ამასთანავე, ეს მწვანე სახურავი მცხუნვარე მზის სხივებსაგან იფარავდა მგზავრებს. მგზავრობით არ დიდლებოდნენ, მაგრამ საფრთხე მანც მოსალოდნელი იყო.

ეტყობოდა, ჩვენს მგზავრებს წინ გრძელი გზა ედოთ. აუცილებელი იყო, ყოველდღე ეზრუნათ საკვებზე. თუ თევზი საკმარისი არ იქნებოდა, უნდა ენადირათ. დიკ სენდს მხოლოდ თოფი ჰქონდა. ეს თოფი ჰერკულესმა გაქცევისას თან გაიყოლა. ტყვია-წამალი ძალზე ცოტა იყო. ტყუილბურალოდ ერთი ტყვიაც არ უნდა დაეხარჯათ. ისიც შესაძლებელი იყო, რომ ჩარდახიდან უფრო მოარტყამდნენ მიზანში. ნავი ისე მიექანებოდა, რომ მისი სიჩქარე საათში ორ მილზე ნაკლები არ იქნებოდა. დიკს იმედი ჰქონდა, დღე-ღამეში მისი ნავი ორმოცდაათამდე მილს მაინც _____

¹ კამერონი ხშირად ახსენებს ამ მცურავ კუნძულებს (ავტორის შენიშვნა).

გაივლიდა. აუცილებელი იყო დიდი სიფრთხილე, რომ გვერდი აქეციათ კლდეების, მორევეებისა და მეჩეჩებისათვის. საშიში იყო აგრეთვე ჭორომები და ჩანჩქერები, რომლებიც ასე ხშირია აფრიკის მდინარეებზე.

დიკ სენდს ძალა შემატა მისის უელდონისა და ჯეკის ნახვით გამოწვეულმა სიხარულმა. იგი ნავის ცხვირთან იდგა, ბალახების ჩარდახიდან აკვირდებოდა მდინარეს და ჰერკულესს ანიშნებდა, როგორ მოესვა ნიჩაბი, რომ სწორი გეზი სჭეროდა. ჰერკულესს ძლიერი ხელი ნიჩბისათვის ჩაევლო და გულმოდგინედ უსვამდა.

ფიქრებში ჩადირული მისის უელდონი ნავის შუაგულში დაგებულ ხმელ ფოთლებზე იწვა. იქვე იყო კუზენი ბენედიქტიც. ჰერკულესის ყოველ დანახვაზე მეცნიერს სახე ეღრუბლებოდა

(ვერ ეპატიებინა ჰერკულესისათვის.. მანტიკორას დაჭერაში ხელი რომ შეუშალა). მეცნიერი ფიქრობდა დაკარგულ კოლექციაზე, ენტომოლოგიურ ჩანაწერებზე. რას მიხვდებოდნენ კაზონდეს ველურები, რა ძვირფასი საგანძური ხვდათ წილად. კუზენი ბენედიქტი გაჩაჩხული იჯდა, ხელები მკერდზე გადაეჯვარედინებინა და დროდადრო ინსტიქტურად ცხვირზე ისე მიიდებდა ხოლმე ხელს, თითქოს სათვალის შუბლზე აწევა უნდაო, თუმცა, კარგა ხანია, მის ცხვირზე სათვალე ღარავის ენახა. ჯეკი მიხვდა, რომ ხმაური არ შეიძლებოდა. რადგან მოძრაობა ნებადართული ჰქონდა, დინგოსავით ნავის ერთი ბოლოდან მეორესაკენ ოთხით დაფოფხავდა.

პირველ ორ დღეს მისის უელდონი და მისი მგზავრები იმით იკვებებოდნენ, რაც ჰერკულესმა მოიმარაგა გამგზავრებამდე. დიკ სენდი ნავს მხოლოდ ღამით აჩერებდა ხოლმე რამდენიმე საათით, მაგრამ თუ საკვების შოვნა არ სჭირდებოდა, ნაპირზე არ გადადიოდა. პირველ დღეებში ღირშესანშნავი არაფარი მომხდარა. მდინარის სიგანე ას ორმოცდათი ფუტი იქნებოდა. რამდენიმე მცურავი კუნძული იმავე სიჩქარით მიჰყვებოდა ნავს. მათთან შეჯახება საშიში არ იყო.

მდინარის ნაპირები უკაცრიელი ჩანდა. აქაურობას ალბათ, იშვიათად თუ ეწვეოდნენ ხოლმე კაზონდეს მკვიდრნი.

მდინარის ორივე მხარეზე ათასგვარი ველური მცენარე ხარობდა და საოცრად აფერადებდა იქაურობას - ხმალა, შროშანი, კატაბარდა, გვიმრა. სურნელოვანი ბუჩქნარები განსაცვიფრებელი სილამაზის ქობად შემოვლებოდნენ ნაპირებს. ზოგჯერ ტყე ნაპირთან ისე ახლოს იყო, რომ მდინარის წყალი ასველებდა კიდეც ხეებს.

აქ მრავალი იყო კოპალისა და უხეშფოთლიანი აკაციის ხეები, რკინის ხეები - "ბაუჭინიები", რომელთა ტანს ცივი ქარების მხრიდან ხავსი ავლიათ, ლედვის ხეების მსგავსად მაღალფესვიებიანი მანგოს ხეები, რომელთაც ხიმინჯის მოყვანლობა აქვთ. ხეები მდინარეზე გადმოხრილიყვნენ, კენწეროებით ერთმანეთს გადაჰდობოდნენ და თაღად გადმომხობოდნენ წყალს. მზის სხივები შიგ ვერ ატანდა, ხშირად ერთი ნაპირიდან მეორეზე ლიანების ხიდი გადებულყო. 27 ივნისს აღტაცებულმა პატარა ჯეკმა შენიშნა მაიმუნების ჯოგი, ლიანების ხიდზე რომ გადადიოდა. ისინი კუდებით გადაბმოდნენ ერთმანეთს - ყოველი შემთხვევისათვის, თუკი ხიდი ჩაწყდებოდა და ვერ გაუძლებდა მათ სიმძიმეს. ეს პატარა მაიმუნები შიმპანზეს სახეობს მიეკუთვნებიან. მათ ცენტრალურ აფრიკაში "სოკოს" უწოდებენ. ისინი მაიმუნთა საზიზღარი მოდგმაა: დაბალი შუბლი აქვთ, ღია ყვითელი ფერის სახე და აცქვეტილი ყურები. შიმპანზეები ჯგუფურად ცხოვრობენ და ძალღებვით ყეფენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს მათი ძალიან ეშინათ, რადგან მაიმუნები ხშირად იტაცებენ ბავშვებს, ფხაჭნიან და კბენენ მათ. ლიანების ხიდზე გადასვლისას მათ ეჭვიც არ შეეპარვიათ, რომ ბალახების გროვის ქვეშ პატარა ბიჭი იყო და შეეძლოთ კარგად გართობილიყვნენ.

დიკ სენდის მიერ მოფიქრებული საფარი ისე კარგად იყო გაკეთებული, რომ ამ გამჭრიახი ცხოველების მოტყუებაც შეძლო.

ოცი მილის გავლის შემდეგ ნავი უცბად გაჩერდა.

- რა მოხდა? - იკითხა ჰერკულესმა, რომელიც შემცვლელად იდგან ნიჩაბთან.
- საგუბარია, - მიუგო დიკ სენდმა, - მაგრამ ბუნებრივი საგუბარი.
- საჭიროა მისი დაშლა, მისტერ დიკ!
- ჰო, ჰერკულეს, ცულით დავშალოთ! ამ საგუბარმა რამდენიმე მცურავ კუნძულს გაუძლო.
- საქმეს შევუდგეთ, საქმეს, კაპიტანო! - მიუგო ჰერკულესმა, რომელმაც ნავის ცხვირთან გადმოინაცვლა.

პრიალაფოთლებიანი წებოვანი ბალახი გადახლართულიყო, შეწებებულიყო და ძალზე გამძლე თექა წარმოექმნა. მას "ტიკატკას" უწოდებენ. ამ ტიკატკათი შეიძლება მდინარე გადალახო, თუ არ მოერიდები იმას, რომ მუხლებამდე ჩაეფლობი ბალახებში. ლოტოსის მშვენიერი ყვავილები ფარავდა საგუბრის ზედაპირს.

ჩამოხნელდა. ჰერკულესმა ისე გულდაგულ და ბარაქიანად იმუშავა, რომ ორი საათის შემდეგ საგუბარი გაჩეხილი იყო. მდინარემ ნაპირისაკენ წაიღო მისი ნაწილები და ნავი ისევ

მდინარის დინებას გაჰყვა. დიდ ბავშვს, კუზენ ბენედიქტს, ერთხანს გულში იმედმა გაჰკრა, რომ მეტს აღარ წავიდოდნენ. ასეთი მოგზაურობა მეცნიერს მომაბეზრებლად ეჩვენებოდა; იგი დანაწებით იგონებდა ხოზე-ანტონიო ალვეცის ფაქტორიას და იმ ქობს, სადაც თავისი ძვირფასი ენტომოლოგიური ყუთი დარჩა. მისი მწუხარება ისე დიდი იყო, რომ შეგებრალებოდათ. არც ერთი მწერი! არც ერთი!

უნდა გენახათ მისი სიხარული, როცა ჰერკულესმა, "მისმა მოწაფემ", საძაგელი პატარა მწერი მოუტანა. ზანგმა ეს მწირი ტიკატკას ღეროზე იპოვა. კეთილი ჰეკულესი თითქოს დამორხცვებული იყო, როდესაც ნაპოვნს კუზენს აძლევდა. ვერ წარმოიდგენთ, რა საოცარი ბგერები აღმოხდა კუზენ ბენედიქტს, როცა ეს მწერი, რომელიც სალოკი თითითა და ცერით ეჭირა, ბეც თვალეზთან მიიტანა (სათვალე და ლუპა ამჯერადაც ვერ მიეხმარებოდნენ).

- ჰერკულეს! - შესძახა მან. - ჰერკულეს! შენ შენი დანაშაული გამოისყიდე! კუზინა უელდონ! დიკ! ექვსფეხა, ერთადერთი თავის გვარში, თანაც აფრიკული წარმოშობის! ამის უარყოფა არავის ძალუმს! მას მხოლოდ სიცოცხლის ფასად დავთმობ!

- მართლა ასე ძვირფასია? - იკითხა მისის უელდონმა.

- ძვირფასიაო! - შეჰყვირა კუზენმა ბენედიქტმა. - ეს მწერი არც ხემემფრთიანია, არც ბადეფრთიანი, არც სიფრიფანაფრთიანი. მეცნიერებისათვის ცნობილი ათი რაზმიდან არც ერთს არ მიეკუთვნება. უფრო ობობასნაირთა მსგავსია! ობობა იქნებოდა, რვა ფეხი რომ ჰქონდეს! მას კი ექვსი აქვს! ექვსფეხა! ოჰ! ჩემო მეგობრებო! ეს სიხარული ღმერთმა მომივლინა! ბოლოსდაბოლოს შევძლებ ჩემი სახელის მეცნიერულ აღმოჩენასთან დაკავშირებას! ამ მწერს დაერქმევა...

მგზნებარე მეცნიერი ისე ბედნიერი იყო, რომ სულ გადაავიწყდა გადატანილი გასაჭირიც და მომავალში მოსალოდნელი საფრთხეც. მისის უელდონი და დიკ სენდი მხურვალედ ულოცავდნენ მას.

ნავი კი მიცურვდა. ღამის მყუდროებას ნიანგების ქერცლის ხმაური და ჰიპოპოტამების ქშენა არღვევდა. ისინი ნაპირზე ანცობდნენ.

მთვარე ხის კენწროებს ჩამოეკიდა. მისმა ნაზმა შუქმა ჩარდახის ჭუჭრუტანებში შეატანა და მთელი ნავი გაანათა.

უცრად მარჯვენა ნაპირზე შორეული, ყრუ ხმაური გაისმა, თითქოს სიბნელეში გიგანტური ტუმბოები ამუშავდნენო.

დღისით მცენარეთა ფესვებით გამძლარი ასეულობით სპილო წყურვილის მოსაკლავად აქ მოსულიყო. კაცს ეგონებოდა, ეს ხორთუმები, რომლებიც ჯერ ძირს ეშვებოდნენ და შემდეგ მაღლა იწევდნენ, მთელ მდინარეს დააშრობენო.

თავი XVIII

ფ ა თ ე რ ა კ ე ბ ი

რვა დღის განმავლობაში ნავი ას მიცურავდა მდინარეზე და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. რამდენიმე მილზე მდინარის ნაპირს საუცხოო ტყე მიუყვებოდა. შემდეგ ტყე შეცვალა ჯუნგლებმა, რომელიც თვალსაწიერამდე გადაჭიმულიყო. ეს მხარეც უკაცრიელი ჩანდა. დიკს ეს სულაც არ სწყინდა, რადგან ცხოველები მრავლად იყო. მდინარის ნაპირზე ზებრები, ცხენ-ირმები და "კამები", კუნტრუშობდნენ, ეს ნაზი ანტილოპები ღამით მიიმალებოდნენ ხოლმე, რომ ლეოპარდებისათვის დაეთმოთ სარბიელი. ლეოპარდები იქაურობას ღრიალით აყრუებდნენ. მაღალ ბალახებში ლომები ნავარდობდნენ. ლტოლვილები ამდენ ხანს არც ტყის და არც მდინარის ცხოველებს არ გადაჰყრიან.

ყოველ დღე, ნაშუადღევს, დიკ სენდი გადადიოდა ნაპირზე და იქაურობას იკვლევდა. აუცილებელი იყო ყოველდღიურ საკვებზე ზრუნვა. ამ უდაბურ მხარეში მანიოკას, სორგოს, სიმინდის და ადგილობრივი მცენარეული საკვების შოვნაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს

მცენარეები აქ გაველურებულიყვნენ. სხვა გზა არ იყო, დიკ სენდს უნდა ენადირა, თუმცა იმის შიშით კონდა, რომ თოფის ხმა ადგილობრივ მკვიდრთა ყურადღებას მიიპყრობდა.

ცეცხლს ლეღვის ხის გამოღრუტულ ტოტში ჯოხის სწრაფი ტრიალით აჩენდნენ. ისევე, როგორ ამას ადილობრივი მკვიდრნი ან ზოგიერთი ჯიშის მაიმუნიც აკეთებდა. როგორც ირწმუნებიან, გორილა სწორედ ასე აჩენს ცეცხლს.

ცეცხლზე ცხენ-ირმები და ანტილოპებს წვავდნენ და რამდენიმე დღის მარაგს ინახავდნენ. 4 ივლისს კი დიკ სენდმა ერთი გასროლით მოკლა "კამა" და ხორცი ბლომად მოიმარაგა. ამ ხუთი ფუტის სიგრძის ცხოველს დიდი მოკაუჭებული რქები, თეთრი მუცელი და მბრწყინავი წერტილებით მოწინწკლული მოწითალო ბეწვი ამშვენებდა. მისი ხორცი ყველას ძალზე გემრიელი ეჩვენა.

ხმელეთზე ყოველდღე გადასვლამ და ღამ-ღამობით დასვენებამ დიდი დრო წაიღო, ასე რომ, 8 ივლისისათვის მათ მხოლოდ ასიოდე მილი ჰქონდათ გავლილი, ეს მაინც არ იყო ცოტა. ნეტავ სად წაგვიყვანს ეს უსასრულო მდინარე? ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა დიკ სენდი თავის თავს. მდინარეს რამდენიმე შენაკადი უკვე შეუერთდა და საგრძნობლად გაგანიერდა. აქამდე იგი ჩრდილოეთით მიედინებოდა, ახლა ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოუხვია. ეს მდინარეც თავისი წილი საკვებით ამარაგებდა მგზავრებს. გრძელი ლიანებით, რომელსაც ანკესის ნაცვლად ეკალი ჰქონდა დამაგრებული, იჭერდნენ გემრიელ "სანჯიკას" (იგი შებოლვის შემდეგ კარგად ინახება), შავ "უზაკას", ბრტყელთავა "მონდესებს" (მათ ღრძილებზე კბილების ნაცვლად უხეში ჯაგარი ეზრდებათ), გამდინრე წყლების მოყვარული პატარა "დაგალას" - იგი მიეკუთვნება სალაკას ჯგუფს და ტემზის "თალოთს" წააგავს.

9 ივლისს დიკ სენდმა კიდევ ერთხე დაამტკიცა თავისი ვაჟკაცობა. იგი ხმელეთზე მარტო იყო და უთვალთვალეობდა კამას, რომლის რქები ბუჩქნარიდან ამოჩრილიყო. გასროლისთანავე მისგან ოციოდე ნაბიჯზე უზარმაზარმა მონადირემ ისკუპა, რომელსაც მსხვერპლის ხელში ჩაგდება ეწადა და ჩანდა, მას აღარაფრის გულისათვის არ დათმობდა.

ეს იყო ვეება ლომი. ადგილობრივი მკვიდრნი მას "კარამოს" უწოდებენ. მას ფაფარი არა აქვს და სრულიად არა ჰგავს ე.წ. "ნიასის ლომებს". მისი სიმაღლე ხუთ ფუტს აღწევდა - უზარმაზარი მხეცი იყო.

ერთი ნახტომით ლომი დააცხრა დიკ სენდის დაჭრილ კამას. იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და შესაბრალისად ფართხალებდა საზარელი მხეცის ტორებქვეშ.

დიკ სენდს თოფში მეორე ტყვიის ჩასადებად დრო აღარ რჩებოდა.

ლომმა მაშინვე შეამჩნია იგი, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ შეხედვა იკმარა.

დიკ სენდმა თავი შეიკავა და არ განძრეულა. მან იცოდა, რომ ამით შეიძლებოდა თავი გადაერჩინა. იგი არც კი ცდილა თოფის გატენას და გაქცევას.

ლომი კატისებური წითელი, ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა მას და ვერ გადაეწყვიტა, რომელი მსხვერპლი აერჩია, ის, რომელიც მის ბრჭყალებქვეშ ფართხალებდა, თუ ის, გაქცავებული რომ იდგა.

კამას რომ ფართხალი შეეწყვიტა, დიკ სენდი უეჭველად დაიღუპებოდა.

გავიდა ორიოდე წუთი. ლომი და დიკ სენდი ერთმანეთს თვალს არ ამორებდნენ, დიკ სენდს თვალის კი არ დაუხამხამბია.

შემდეგ ლომმა პირი დაავლო მოფართხალე კამას, ასწია და ისე წაიღო, როგორც მონადირე ძალი წაიღებს ხოლმე ნანადირევ კურდღელს. იგი ღონივრად უტყლამუნებდა თავის ძლიერ კუდს ბუჩქებს და მალე ნადავლითურთ მაღალ ბუჩქნარში გაუჩინარდა.

დიკ სენდი ერთხანს ასე უძრავად იდგა, შემდეგ დატოვა იქაურობა და შეუერთდა თავის მგზავრებს, მომხდარ ამბავზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

დიკი მხოლოდ იმას ფიქრობდა, მდინარის ნაცვლად ლტოლვილებს ტყეებსა და ველებზე რომ ევლოთ, ალბათ "პილიგრიმის" მგზავრთაგან არც ერთი აღარ იქნებოდა ცოცხალი.

ეს მხარე უკაცრიელი და დაუსახლებელი იყო, მაგრამ აქა-იქ დაბლობებში მაინც ჩანდა ძველი ნასოფლარები. ის გამოცდილი მოგზაურები, რომლებიც არაერთხელ სწვევიან აფრიკის

ამ ადგილებს, როგორც დევიდ ლივინგსტონი, ადვილად მიხვდებოდნენ ეს რომ ენახათ. მაღალი ცოცხალი ღობეები, რომელიც თივის ქობებზე მეტ ხანს ძლებს და ეზოს შუაგულში განცალკევებულად მდგომი წმინდა ლეღვის ხე ამტკიცებდა, რომ აქ ნასოფლარი იყო. ადგილობრივ მკვიდრთა ჩვეულების მიხედვით, ბელადის სიკვდილის შემდეგ, მოსახლეობა აიყარება და სხვაგან სახლდება ხოლმე.

ვინ იცის, იქნებ აქ ისეთი ტომები სახლობდნენ, რომლებიც მიწაში ცხოვრობენ - ეს ცენტრალური აფრიკის სხვა ქვეყნებშიც გვხვდება. კაცობრიობის განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ეს ველურები ბუნაგებიდან მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიან ცხოველებით და მათთან შეხვედრა ისევე საშიშია, როგორც მხეცებთან. დიკ სენდი იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ამ კუთხეში კაციჭამიები ცხოვრობდნენ. სამჯერ თუ ოთხჯერ მდელიოზე, ცხელ ნაცარში იპოვა დამიანის ნახევრად დამწვარი ძვლები, საზარელი ნადიმის უტყუარი საბუთი.

ზემო კაზონდეს ეს კაციჭამიები, შემთხვევით შეიძლებოდა, ნაპირთან სწორედ მაშინ მოსულიყვნენ, როცა დიკ სენდი იქ იმყოფებოდა. ამიტომ იგი ფრთხილობდა და მხოლოდ გარდაუვალი საჭიროების დროს გადადიოდა ნაპირზე. თანაც ჰერკულესი გაფრთხილებული ჰყავდა, მცირეოდენი განგამის დროსაც კი არ დალოდებოდა დიკის დაბრუნებას და ნავი შუა მდინარესი შეეყვანა... მამაცი ზანგი დაპირებას კი აძლევდა დიკ სენდს, მაგრამ კაპიტნის ნაპირზე გადასვლისთანავე, საშინელი შიში და ძრწოლა დაეუფლებოდა ხოლმე. იგი ძლივს უმაღავდა მისის უელდონს, თუ როგორ მოუთმენლად ელოდა დიკ სენდის დაბრუნებას.

10 ივლისს, საღამოს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გამოჩნდა ხიმინჯიანი შენობები. მდინარე აქ ფართოვდებოდა და პატარა უბეს ქმნიდა. ნაპირზე ოცდაათიდე ხიმინჯიანი შენობა მოჩანდა. წყლის დინებას ნავი შენობებისაკენ მიჰქონდა, რადგან მარცხნივ ლოდებს ამოეყოთ თავი და იქით წასვლა შეუძლებელი იყო.

სოფელი დასახლებული ჩანდა. ქობებში აქა-იქ ცეცხლი ენთო. ისმოდა ყმუილისებური სიმღერა. თუ ველურებს ხიმიჯებს შუა ბადე ექნებოდათ გაჭიმული, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მაშინ ნავი ბადეში გაეხვეოდა და სანამ მას თავს დააღწევდა, განგაში ატყდებოდა.

ნავის ცხვირთან მდგარი დიკ სენდი ხმადაბლა იძლეოდა მითითებებს, რომ გვერდი აექციათ და ამ დაფოტრილ ნაგებობებს არ დასჯახებოდნენ. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. ყველაფერი კარგა ჩანდა და ნავის მართვაც არ ჭირდა, მაგრამ ლტოლვილნიც ხომ კარგად გამოჩნდებოდნენ...

დადგა საზარელი წამი. ფიცარნაგზე ორი ადგილობრივი მკვიდრი ჩაცუცქულიყო და ჩუმად საუბრობდნენ. მდინარეს ფიცარნაგებს შორის მიჰქონდა ნავი. გასასვლელი მეტად ვიწრო იყო და ნავის სხვა მხარეზე წყვანა არ შეიძლებოდა. ნეტავ დაინახავენ? მათ ყვირილზე ალბათ მთელი სოფელი ფეხზე დადგება!

ასიოდე ფუტილა იყო გასასვლელი, რომ დიკ სენდმა გაიგონა, თუ როგორ გაცხარებით და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ველურები. ერთი მეორეს ბალახების გროვაზე უთითებდნენ, რომელსაც მდინარე მათი ბადისაკენ მოაქანებდა. იგი უთუოდ დაგლეჯდა ლიანებისაგან გაკეთებულ ბადეს, რომელსაც ისინი ახლა ჭიმავდნენ. ველურებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს ბადის ამოწევა და დასახმარებლად სხვებსაც მოუხმეს.

ხუთმა თუ ექვსმა ზანგმა სასწრაფოდ ჩაირბინა ფიცარნაგზე, განივ კოჭებზე გაჩერდნენ და საშინელი ყვირილი ატეხეს. ამ ღრიანცელიდან რაიმეს გაგება შეუძლებელი იყო.

ნავში სამარისებური სიჩუმე იდგა. ისმოდა მხოლოდ დიკ სენდის ჩურჩულით გაცემული ბრძანება, ყველა გაქვავებულიყო. არავინ იძროდა, მხოლოდ ჰერკულესი უსვამდა მარჯვენა ხელით ნიჩაბს, დროდადრო დინგოს ყრუ ღრენა გაისმოდა. პატარა ჯეკი ძალღს ყბებზე ხელს უჭერდა, რომ გაეჩუმებინა. გარეთ ფიცარნაგზე მიხეთქებული მდინარის ხმაური და კაციჭამიების ყიჟინა ისმოდა.

ველურები ბადეებს ექაჩებოდნენ. თუ დროზე ამოწევდნენ მას, ნავი გაივლიდა, თუ არა და, ბადეში გაეხლართებოდნენ ნავიცა და მისი მგზავრები. ნავის სისწრაფის შენელება ან

მიმართულების შეცვლა არ შეიძლებოდა, რადგან შევიწროვებული მდინარე აჩქარებული დინებით სწრაფად მიაქანებდა მას.

წამიც და ნავი ფიცარნაგებს შორის მოექცა. ველურებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და ღონივრად ამოსწიეს ბადეები.

გავლისას ნავს მარჯვენა მხარეზე ბალახების საფარი მოძვრა. დიკ სენდს სწორედ ამისი ეშინოდა.

ერთ-ერთმა ველურმა დაიყვირა, მან დაინახა ნავში მყოფნი და ალბათ ამხანაგებს თუ უხმო.

დიკ სენდი და მისიანები უკვე საკმაოდ შორს იყვნენ. მათ სწრაფად მიაქანებდა მდინარე, რომელიც ახლა უკვე ჩქერად ქცეულიყო. წუთიც და, ხიმიწიანი სოფელი თვალს მიეფარა.

- მარცხენა ნაპირისაკენ! - უბრძანა დიკ სენდმა. ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილე აუცილებელი იყო. ახლა ეს ნაპირი უკვე სანაოსნოდ აღარ ვარგოდა.

- არის მარცხენა ნაპირისაკენ! - მიუგო ჰერკულესმა და ღონივრად მოუსვა ნიჩაბი.

დიკ სენდი წამოდგა და ყურადღებით დააკვირდა მთვარით განათებულ წყლის ზედაპირს. საექვო არაფერი ჩანდა. არავინ არ გამოდევნებია მათ. ვინ იცის, იქნებ ველურებს არც კი ჰქონდათ ნავი. დილასაც არავინ გამოჩენილა. ჩვენი მგზავრები სულ მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდნენ. ოთხი დღის განმავლობაში, 11-დან 14 ივლისამდე, მგზავრებმა შენიშნეს, რომ სანაპირო ძალზე შეიცვალა. ეს ახლა უდაბური და უკაცრიელი მხარე კი აღარ იყო, არამედ ნამდვილი უდაბნო - კალაჰარი მსგავსი უდაბნო, რომელი დევიდ ლივინგსტონმა გამოიკვლია პირველი მოგზაურობისა დროს. ეს უნაყოფო მიწა არაფრით არ ჰგავდა ზემო მხარის ხვავიან ველებს.

მდინარეს ბოლო არ უჩანდა, ალბათ, ატლანტის ოკეანეს თუ ერთვოდა.

საკვების შოვნა ძალზე გაჭირდა. მარაგი სულ გაუთავდათ. თევზაობით ვერაფერს შოულობდნენ. ნადირობაც აღარაფერს იძლეოდა. აღარც ცხენ-ირემთა რემა, ანტილოპი, ჰოკუ და სხვა ცხოველები იყვნენ ამ უდაბნოში, მათთან ერთად გაქრნენ მტაცებელი ცხოველებიც.

ღამდამობით აღარ ისმოდა ლომების ჩვეული ღრიალი. სიჩუმეს მხოლოდ ბაყაყების ყიყინი არღვევდა, რომელსაც კამერონი დამოქლონებისა და ბურღვის იმ ხმებს ადარებდა, გემსაშენზე რომ გაისმის ხოლმე.

მდინარის ორივე ნაპირზე ბრტყელი, შიშველი დაბლობები გადაჭიმულიყო, რომელთაც აღმოსავლეთით და დასავლეთით ბორცვები ესაზღვრებოდა. დაბლობზე უხვად ხარობდა რძიანა, რომელიც საჭმელად გამოუსადეგარი ზეთს იძლევა. იმ ჯიშის რძიანა კი, რომლისგანაც კასავას - მანიოკას ფქილს იღებენ, არსად ჩანდა.

საკვების მომარაგება აუცილებელი იყო. დიკ სენდმა აღარ იცოდა, რა ეღონა. ჰერკულესმა მოაგონა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად ჭამენ გვიმრის ნორჩ ყლორტებს და პაპირუსის ღეროს რბილ ნაწილს, თვითონ მას, ვინ იცის, რამდენჯერ უჭამია ეს, როცა იბნ ჰამისის ქარავანს ტყე-ტყე მისდევდა. კიდევ კარგი, პაპირუსიც და გვიმრაც ბლომად იყო ნაპირების გასწვრივ. პაპირუსის ტკბილწვნიანი გული ყველას ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით პატარა ჯეკს, მაგრამ ეს ყუათიანი საკვები არ იყო. მეორე დღეს კი კუზენ ბენედიქტის წყალობით უკეთესი საჭმელი იშოვეს.

"Hexapodes Benedictus"-ის აღმოჩენის შემდეგ, რომელსაც მისი სახელი უნდა უკვდავეყო, კუზენი ბენედიქტი გამოცოცხლდა, გამხნევდა, მწერი საიმედოდ შეინახა - კარგად ჩაიმაგრა ქუდის სარჩულში და გულმოდგინედ განაგრძო კვლევა-ძიება ხმელეთზე. ერთ დღეს ბალახეში ფათურისას რომელიღაც ფრინელი წამოაფრინა. მისი ყურადღება ფრინველის ბუმბულმა მიიქცია.

ის იყო დიკ სენდმა თოფი დაუმიზნა, რომ მეცნიერმა უცბად დაიყვირა:

- არ ესროლოთ, დიკ, არ ესროლოთ! ეს ერთი ჩიტი ხუთივეს მაინც არ გვეყოფა!

- ჯეკს ხომ ეყოფა - მიუგო დიკ სენდმა და მეორედ დაუმიზნა თოფი ფრინველს, რომელიც აფრნას არ ჩქარობდა.

- არა, არ ესროლოთ! ეგ "მემიზნეა" და ბევრ თაფლს მიგვაკვლევიანებს! - ყვიროდა კუზენი ბენედიქტი.

დიკ სენდმა თოფი დაუშვა. ერთ ფრინველს რამდენიმე ფუტი თაფლი ჯობდა. ორივენი "მემიზნეს" გამოუდგნენ, რომელიც ხან აფრინდებოდა, ხან დაჯდებოდა, თითქოს მათ გასაყოლად იწვევსო.

შორს წასვლა არ დასჭირვებიათ. სულ რამდენიმე წუთში გამოჩნდა გვიმრებში ჩამალული გამხმარი კუნძი, რომელსაც ბზუილით ეხვეოდნენ ფუტკრები.

კუზენ ბენედიქტს ოსტატ ბადეფრთიანთათვის თავიანთი "შრომის ნაყოფის" წართმევა არ უნდოდა, მაგრამ დიკ სენდი სულ სხვა აზრისა იყო. მან ცეცხლი მოუკიდა ხმელ ბალახს, კვამლით გაყარა ფუტკრები და საკმაოდ ბევრი თაფლი ამოიღო კუნძიდან. მემიზნეს თავისი წილი ფიჭები დაუტოვეს და ნავში დაბრუნდნენ. თაფლის შოვნა ყველას გაუხარდა, მაგრამ იგი მაინც არ იყო საკმარისი. ყველანი საშინლად იტანჯებოდნენ შიმშილისაგან, სანამ ნავი ნაპირს არ მიადგა. აქ, პატარა უბის მახლობლად, კალიები ირეოდნენ. ეს იყო 12 ივლისს. მილიარდობით კალია მოგროვილიყო და ორ-სამ ფენად დაგებულყო მიწას და ბუჩქნარზე. კუზენმა ბენედიქტმა თქვა, ადგილობრივი მოსახლეობა ამ ორთოპერტებით ხშირად იკვებებაო. ეს მართლაც ასე იყო. ლტოლვილებმა ეს "ცის მანანა" ბლომად მოაგროვეს. კალია იმდენი იყო, რომ ათი ნავის ავსება შეიძლებოდა. ნელ ცეცხლზე შემწვარი კალიები ძალიან გემრიელი მოეჩვენებოდა მათზე მამდარსაც კი. კუზენმა ბენედიქტმაც ბევრი შეჭამა, თუმცა საშინლად წუხდა და ოხრავდა.

უკვე დრო იყო, მათ ფიზიკურსა და მორალურ ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. მართალია, ამ ჩქარი მდინარით მგზავრობა ისე დამღლეული არ იყო, როგორც სანაპირო ტყეში სიარული, მაგრამ საშინელმა სიცხეებმა დღისით, ხოლო ტენიანმა ნისლეებმა ღამით და მოსტიკების დაუსრულებელმა იერიშებმა, მეტისმეტად შეაწუხეს მოგზაურები. დრო იყო, მიზნისათვის მიედწიათ, მაგრამ გზას რომ დასასრული არ უჩანდა?

დიკ სენდმა აღარ იცოდა, რამდენხანს გასტანდა ეს - კიდევ რვა დღეს თუ მთელ თვეს? პასუხის გამცემი არავინ იყო. მდინარეს რომ დასავლეთისაკენ ედინა, ახლა ლტოლვილნი უკვე ანგოლას ჩრდილოეთ სანაპიროზე იქნებოდნენ. მაგრამ მდინარე უფრო ჩრდილოეთისაკენ მიედინებოდა და მოგზაურობა, ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა. სანამ სანაპიროს მიაღწევდნენ.

14 ივლისს, დილით მდინარემ უცებ იცვალა მიმართულება. დიკ სენდი ძალიან შეშფოთდა.

პატარა ჯეკი ნავის ცხვირთან იჯდა და ბალახებს შორის დაინახა თვალსაწიერამდე მოლივლივე წყალი.

- ზღვა! - შესძახა მან.

ამ სიტყვებზე დიკ სენდი შეკრთა და პატარა ჯეკთან მივიდა.

- ზღვა? არა, ეს ზღვა არ არის, მაგრამ დიდი მდინარე კია. იგი დასავლეთისაკენ მიედინება! ჩვენი მდინარე მისი შესართავია. იქნებ ეს ზაირია!

- ღმერთმა ქნას, დიკ! - მიუგო მისის უელდონმა.

თუ ეს ზაირი ანუ კონგო იყო, რომელიც სტენლიმ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინა, მოგზაურები მდინარეს ჩაყვებოდნენ და მივიდოდნენ პორტუგალიურ დასახლებასთან, რომელიც მდინარის შესართავთან მდებარეობდა. დიკ სენდი იმედოვნებდა, რომ ეს ასე იქნებოდა და საფუძველიც ჰქონდა, ასე ეფიქრა.

15, 16, 17 და 18 ივლისს ნავი მდინარის ვერცხლისფერ ზედაპირზე მიცურავდა. აქაურობა ნაკლებ უდაბური იყო. ყოველი შემთხვევისათვის, ნავს ბალახების გროვა ისევ ეფარა. რამდენიმე დღეც და "პილიგრიმის" მგზავრების ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. თითოეულმა მათგანმა დიდი თავგანწირვა გამოამჟღავნა. ახალგაზრდა მეზღვაურის აზრს, რომ მისი წვლილი ამ საქმეში ძალიან ცოტა იყო, მისის უელდონი არ იზიარებდა.

18 ივლისს ღამით, უეცარმა ფათერაკმა კინაღამ ყველანი იმსხვერპლა.

დილის სამი საათი იქნებოდა, როცა შორიდან რაღაც ხმაური მოისმა. ხმაური დასავლეთის მხრიდან მოდიოდა და ჯერ ყრუდ ისმოდა. დიკ სენდი შეშფოთდა. იგი ძალზე დაინტერესდა და

უნდოდა გაერკვია, რა ხმაურობდა. მისის უელდონს, კუზენ ბენედიქტსა და ჯეკს ნავის ბოლოში ეძინათ. დიკ სენდმა ჰერკულესს დაუძახა და სთხოვა ყური მიუგდეო.

წყნარი ღამე იყო. ნიავიც კი არ იძვროდა.

- ეს ზღვის ხმაა! - თქვა ჰერკულესმა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

- არა, - მიუგო დიკ სენდმა და თავი გააქნია.

- მაშ რა არის?

- გათენებამდე უნდა მოვიცადოთ და ვიფხიზლოთ.

ჰერკულესი თავის ადგილზე დაბრუნდა.

სმენადქცეული დიკ სენდი ნავის ცხვართან დარჩა. ხმაური თანდათან გაძლიერდა და შორეულ ღრიალს დაემსგავსა.

თითქმის უგარიჟრაჟოდ გათენდა. დინების გაყოლებაზე ნახევარი მილის მანძილზე, ჰაერში რაღაც ღრულბლის მსგავსი გამოჩნდა. როცა მას მზის სხივები მოხვდა, ერთი ნაპირიდან მეორემდე ულამაზესი ცისარტყელა გადაიჭიმა.

- ნაპირისაკენ! - შეჰყვირა დიკ სენდმა. მისის უელდონი ამ ხმამ გააღვიძა. - წინ ჩანჩქერია! ეს ღრუბელი წყლის შხეფებია, ნაპირისაკენ, ჰერკულეს, ნაპირისაკენ!

დიკ სენდი არ შემცდარა. ასი ფუტის სიმაღლიდან ეშვებოდა დიდებული და მძვინვარე ჩანჩქერი. ნახევარ მილიც და ნავი უფსკრულში გადაიჩეხებოდა!

თავი XIX

"ს. ვ."

ჰერკულესმა ნიჩაბი მძლავრად მოუსვა და ნავი მარცხენა ნაპირისაკენ წაიყვანა. იქ დინება ჩქარი არ იყო.

მარცხენა ნაპირზე უზარმაზარი უღრანი ტყე ატეხილიყო. დაბურულ ტოტებში შუქის ნატამალი ვერ ატანდა. შემკრთალი დიკ სენდი გულდასმით ათვალიერებდა ქვემო კონოგოელი კაციჭამიებით დასახლებულ ადგილს, რომელიც მათ ფეხით უნდა გაევილოთ, რადგან მდინარით მგზავრობა აღარ შეიძლებოდა. ნავის ხელით გადატანაზე ფიქრიც კი ზემდეტი იყო. საშინელი უბედურება დაატყდა თავს საცოდავ ხალხს. როცა ის-ის იყო პორტუგალიელებით დასახლებულ ადგილთან უნდა მისულყვნენ. ამდენხანს მათი შემწე და მფარველი ზეცა ყო. ახლა როგორღა გაიკვლიონ გზა, რისი იმედიღა უნდა ჰქონდეთ? რაც უფრო უახლოვდებოდა ნავი მდინარის მარცხენა ნაპირს, დინგო მით უფრო მეტ მოუსვენრობას ამჟღავნებდა.

დიკ სენდს დინგოს საქციელი ძალიან აშინებდა. ყოველ წუთს რაღაც საფრთხე იყო მოსალოდნელი. ნატავ ამ მაღალი პაპირუსებით შემოსილ ციცაბო ნაპირზე ნადირი ან ველური ხომ არ ეგულებაო, - ფიქრობდა იგი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ დინგო სულაც არ იყო განრისხებული.

- შეხედეთ, თითქოს ტირის! - წამოიძახა პატარა ჯეკმა და ორივე ხელი ძაღლს კისერზე შემოაჭდო.

დინგო გაუსხლტა მას, გადახტა წყალში, გაცურა დარჩენილი ოციოდე ფუტი და ბალახებში მიიმალა.

მისის უელდონმა, დიკ სენდმა და ჰერკულესმა აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ. ცოტა ხნის შემდეგ ნავის ცხვირი რბილად შეიჭრა წყალმცენარეებში. ნაპირზე გამყინავი წივიით მაშინვე აფრინდა რამდენიმე ჭარლი და თოვლივით თეთრი ყანჩა.

ჰერკულესმა მაგრად მიაბა ნავი პალმაზე და ყველანი მაღალ ნაპირზე აფოფხდნენ.

ტყეში ბილიკის ნიშანწყალიც არსად ჩანდა, მაგრამ გათელილი ხავსი აშკარად მოწმობდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ აქ ცხოველებს თუ ადგილობრივ ველურებს გაევილოთ.

დიკ სენდს თოფი ფეხზე შეეყენებინა. ჰერკულესს ხელში ცული ეჭირა და ისე მიიწევდა წინ. ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ დინგო შემოეყარათ. ძაღლს ცხვირი

მიწაში წაეყო და განუწყვეტლივ ყეფითა და წმუტუნით რაღაცის კვალს მისდევდა. ძალი რაღაც აუხსნელმა წინათგრძნობამ მიიზიდა ამ ნაპირზე და ახლა ტყის სიღრმეში მიისწრაფოდა.

ეს ყველასათვის ცხადი იყო.

- ყურადღება! - თქვა დიკ სენდმა, - მისის უელდონ, ჯეკს ხელი მოჰკიდეთ! მისტერ ბენედიქტ, არ ჩამოგვრჩეთ! ჰერკულეს, ყურადღებით იყავ!

დინგომ თავი ასწია და მოკლე-მოკლე ნახტომებით მგზავრებს ანიშნა, უკან გამომყევითო. მისის უელდონი და მისი მგზავრები ბებერ ლეღვის ხესთან წამოეწივნენ მას. ხის ქვეშ ფიცარ-ფიცარ დაშლილი, ნახევრად დანგრეული ქოხი იდგა. დინგომ საცოდავი ყმული გააბა.

- ვინ არის მანდ? - დაიძახა დიკ სენდმა და ქოხში შევიდა. მისი მიწის იატაკი წვიმისა და ქარისაგან გამოთეთრებული ადამიანების ძვლებით იყო მოფენილი.

- აქ კაცი მომკვდარა! - თქვა მისის უელდონმა.

- ამ კაცს დინგო იცნობდა! - უპასუხა დიკ სენდმა, - ეტყობა, მისი პატრონი იყო! უყურეთ! - დიკ სენდმა შუა ქოხში, ლეღვის ხის ქერქგაცლილ ტოტზე მიუთითა. ორი დიდი წითელი ასო იყო მასზე გამოყვანილი. ისინი თითქოს გადაშლილიყვნენ, მაგრამ, ამოკითხვა მაინც შეიძლებოდა.

დინგომ მარჯვენა თათი მიადო ხეს, თითქოს მგზავრებს რაღაცას უჩვენებდო...

- "ს. ვ.!" ასოები, რომელსაც დინგო სცნობს, ინიციალები, რომელიც საყელოზე აწერია მას! - შესძახა დიკ სენდმა... სიტყვა არ დაუმთავრებია, დაიხარა და პატარა, თითქმის მთლად დაჟანგებული ყუთი აიღო, რომელიც ქოხის კუთხეში ეგდო.

ყუთი გასნა და იქიდან ქალღმერთის ნაგლეჯი გადმოვარდა... დიკ სენდმა დიდი გაჭირვებით რამდენიმე სიტყვა ამოიკითხა.

"... დაჭრილი... გამარცხული ჩემი გამყოლის, ნეგოროს, მიერ... 3 დეკემბერს 1871 წ.. 120 მილზე ნაპირდან... დინგო!... ჩემკენ!"

ს. ვერნონი.

ბარათმა ყველაფერი აუხსნა მათ. სამუელ ვერნონი მოდიოდა თავისი ძალით, დინგოთი, ცენტრალური აფრიკის გამოსაკვლევად. გამყოლდ ნეგორო ჰყავდა. მოგზაურის ფულმა ნეგოროს ბოროტი ზრახვები აღუძრა. ფრანგი მოგზაური კონგოს ნაპირს ამოჰყოლია და აქ დაბანაკებულა. აქ იგი სასიკვდილოდ დაუჭრია, გუმარცვავს და მიუტოვებია ნეგოროს.. შემდეგ ნეგორო, რა თქმა უნდა, გაიქცა და სწორედ მაშინ ჩაუვარდა ხელში პორტუგალიელებს. მათი იგი მონათვაქარ ალვეციის აგენტად მიიჩნიეს და სან-პაოლო-დე ლუანდაში გაგზავნეს, სადაც სიკვდილამდე პატიმრობა მიესაჯა და კოლონიის ერთ-ერთ სატუსალოში ჩასვეს. როგორც მკითხველმა უკვე იცის, იქიდან მან გაქცევა მოახერხა, მიაღწია ახალ ზელანდიას და, საუბედუროდ, "პილიგრიმზე" მზარეულად მოეწყო.

თუ რა მოხდა ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ, ადვილი დასადგენი იყო! უბედურმა ვერნონმა, სანამ მოკვდებოდა, მოახერხა ბარათის დაწერა, სადაც მკვლელობის მიზეზი და მკვლელი აღნიშნა. ეს ბარათი ყუთში ჩადო. იქ, ალბათ, ადრე ფულს ინახავდა, და სისხლიანი თითით ხეზე ეპიტაფიასავით თავისი ინიციალები გამოიყვანა.

დინგომ, ალბათ, მრავალი დღე გაატარა ამ ორი ასოს ყურებაში, დაისწავლა და აღარ დავიწყებია ისინი! შემდეგ იგი დაბრუნდა სანაპიროზე, სადაც "ვალდეკის" კაპიტანმა იპოვა, შემდეგ, "პილიგრიმზე" აღმოჩნდა, ხოლო აქ ისევ შეხვდა ნეგოროს.

ამასობაში მოგზაურის გვამი ცენტრალური აფრიკის მიკარგულ უღრან ტყეში იხრწნებოდა. იგი აღარავის ახსოვდა თავის ძალის გარდა. დიკი და ჰერკულესი ის იყო შეუდგნენ სამოელ ვერნონის ნეშტის სამარისათვის მიბარებას, რომ დინგო საშინელი ღენით გავარდა ქოხიდან. თითქმის მაშინვე იქვე ახლოს გაისმა საზარელი ყვირილი. ეტყობოდა, ვიღაც გაეზა მღიერი მხეცის კლანჭებში. ჰერკულესი ქოხიდან გავარდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ დიკ სენდი, მისის

უელდონი, ჯეკი და კუზენი ბენედიქტი. მიწაზე გორავდა ვიღაც კაცი, რომლისთვისაც დინგოს ბასრი კბილები ყელში გაეყარა.

ეს ნეგორო იყო!

ამერიკაში მიმავალმა არამზადამ უკან ჩამოიტოვა თავისი გამყოლი და მარტო მოვიდა აქ, სადაც მან ფრანგი მოგზაური მოკლა.

ეს ტყუილუბრალოდ არ მოხდებოდა. მალე ყველა მიხვდა ამის მიზეზს. ლელვის ხის ძირას, ახალგათხრილ ორმოში, მათ რამდენიმე მუჭა ფრანგული ოქროს მონეტა დაინახეს. ცხადი იყო, ნეგორომ სანამ პორტუგალიელს ჩაუვარდებოდა ხელთ, უკან მობრუნების იმედით, ნაქურდალი დამალა. ახლა კი ამ ნადავლის წაღებას აპირებდა, მაგრამ დინგო მას ყელში სწვდა.

განწირულმა არამზადამ დანა იძრო და ძალს სწორედ მაშინ ჩასცა, როცა ჰერკულესი მოვარდა:

- აჰ, შე არამზადავ! ახლა კი ვეღარ გადამირჩები, ჩემი ხელით მიგახრჩობ!

მაგრამ ეს უკვე საჭირო აღარ იყო. პორტუგალიელს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. თითქოს განგების ძალამ დასაჯაო, იგი სწორედ იქ მოკვდა, სადაც ბოროტმოქმედებაჰქონდა ჩადენილი! ერთგული ძალდი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. მან ძლივს მიათრია წელი ქოხამდე და სწორედ იმ ადგილზე დალია სული, სადაც იმ გარეწარმა სამეუფელ ვერნონი მოკლა.

ჰერკულესმა ღრმად ჩაფლა მოგზაურის ძვლები მიწაში. ყველამ გულისტკივილით გამოიტირა დინგო და ისიც თავისი პატრონის გვერდით დამარხეს.

ნეგორო ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ კაზონდედან გამოყოლილები შორს არ იქნებოდნენ. ისინი ცხადია, დაუწყებდნენ ძებნას ნეგოროს, როცა იგი მდინარის ნაპირზე აღარ დაბრუნდებოდა. ეს მგზავრებისათვის ძალზე სახიფათო იყო.

დიკ სენდმა და მისის უელდონმა მოითათბირეს, თუ რა უნდა ექნათ; დაყოვნება ერთი წუთითაც აღარ შეიძლებოდა. მათ ახლა უკვე იცოდნენ, რომ ეს მდინარე კონგო იყო (ადგილობრივი მცხოვრებნი მას კოანგოს ან იკუტ-იაკონგოს ეძახიან). ერთ გრძელზე იგი ზაირია, ხოლო მეორეზე - ლუალაბა. ცენტრალური აფრიკის ამ დიდ არტერიას სტენლიმ ცნობილი "ლივინგსტონის" სახელი უწოდა, მაგრამ უფრო სამართლიანი იქნებოდა, გეოგრაფებს სტენლის სახელი ეწოდებინათ. ეს მდინარე რომ კონგო იყო, ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ფრანგი მოგზაურის წერილიდან ისიც ჩანდა, რომ მისი შესართავი აქედან ას ოც მილზე იყო. სამწუხაროდ, მდინარე აქ სანაოსნოდ აღარ ვარგოდა. უზარმაზარი ჩანჩქერი (შესაძლებელია, ეს იყო ნგამოს ჩანჩქერი) გზას უკეტავდა მათ. აუცილებლად უნდა გაჰყოლოდნენ მარცხენა ან მარჯვენა ნაპირს, შემოევლოთ მისთვის ერთ-ორ მილზე, შემდეგ შეეკრათ ტივი და ისევ მდინარეს ჩაჰყოლოდნენ.

- გადასაწყვეტია მხოლოდ ის, თუ რომელი ნაპირს გავყვით - მარცხენას თუ მარჯვენას, - თქვა დიკ სენდმა. - ორივე სახიფათოა, მისის უელდონ! აქ ველურებია, თან შეიძლება ნეგოროს გამოვლენა გადავეყაროთ.

- გადავიდეთ მეორე ნაპირზე, - თქვა მისის უელდონმა.

- მაგრამ არის კი იქ გზა? - შენიშნა დიკ სენდმა, - გზა კონგოს შესართავისკენ უფრო მარცხენა ნაპირზეა, რადგან ნეგორო ტყუილუბრალოდ ამ გზას არ გაჰყვებოდა. ასე რომ, ყოყმანი არ ღირს! ოღონდ სანამ მდინარეზე გადავიდოდეთ, უნდა გავიგოთ, ჩანჩქერი ხომ არ ჩავვითრევს.

დიკ სენდს მაშინვე უნდოდა იქაურობა დაეზვერა, რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა.

მდინარე ამ ადგილას სამასი ან ოთხასი ფუტის სიგანისა თუ იქნებოდა. მისი გადაცურვა ახალგაზრდა მეზღვაურს არ გაუჭირდებოდა, რადგან ნიჩბების მოსმას ჩვეული იყო.

მისის უელდონი, ჯეკი და კუზენი ბენედიქტი ჰერკულესის მეთვალყურეობით აქეთა ნაპირზე უნდა დარჩენილიყვნენ.

დიკ სენდი ჩაჯდა ნავში და ის-ის იყო უნდა გამგზავრებულიყო, რომ მისის უელდონმა უთხრა:

- არ გეშინია, წყალმა რომ ჩანჩქერისაკენ გაგიტაცოს?
- არა, მისის უელდონ, მე მასზე ოთხასი ფუტით ზევით ვარ!
- იქითა ნაპირზე?...
- არ გადავალ, თუ იოტისოდენა საფრთხე მაინც შევნიშნე.
- თოფი წაიღე!
- კეთილი, მაგრამ ჩემზე არ იდარდო!

- იქნებ, არ დავშორებულყავით დიკ, - დაუმატა მისის უელდონმა ისე, თითქოს წინათგრძნობამ ათქმევინაო.

- არა... მარტო წავალ... - მიუგო დიკ სენდმა, - ეს აუცილებელია ყველას უშიშროებისათვის! ერთ საათში დავბრუნდები. ფხიზლად იყავი, ჰერკულეს!

ნავმა დიკ სენდი ზაირის მეორე ნაპირისაკენ წაიყვანა. პაპირუსებში ჩამალული მისის უელდონი და ჰერკულესი მას თვალს არ აშორებდნენ.

ნავმა მალე მიაღწია მდინარის შუაგულს. თუმცა დინება აქ ძლიერი არ ჩანდა, მაგრამ ჩანჩქერის გამო ცოტა აჩქარებული მაინც იყო. წყლის ზვიადი ღრიალი იქაურობას აყურებდა და დასავლეთის ქარის მოტანილი შხეფები ახალგაზრდა მეზღვაურამდე აღწევდა. მას შიშის ზარი იპყრობდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ გადაურჩნენ წინა ღამით ამ საშინელ ჩანჩქერს! კიდევ კარგი, არ ეძინათ, თორემ ნაპირზე მათი გვამებიდა გამოირიყებოდა! ახლა ამის შიში აღარ იყო. საკმარისი იყო სიფხიზლე და ოსტატურად მოსმული ნიჩაბი, რომ ნავი დამრეცად გაცურეულიყო!

თხუთმეტი წუთის შემდეგ დიკ სენდმა ნაპირს მიაღწია და ის იყო გადასახტომად მოემზადა, რომ... გაისმა საზარელი ყვირილი და ათამდე ადგილობრივი მკვიდრი ბალახების გროვისაკენ გაეშურა, რომელიც ჯერ კიდევ ფარავდა ნავს.

ესენი იმ ხიმინჯიანი სოფლის კაციჭამიები იყვნენ. თურმე რვა დღეს მოსდევდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირს. ველურებს იმედი ჰქონდათ, რომ ნადავლს ხელში აუცილებლად ჩაიგდებდნენ. კარგად იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ჩანჩქერი მგზავრებს აიძულებდა, რომელიმე ნაპირზე გადასულიყვნენ. დიკ სენდი მიხვდა, რომ ხსნა არსად იყო, მაგრამ იმ წუთს თავში გაუელვა ფიქრმა: საკუთარი სიცოცხლის განწირვით სხვების გადარჩენა ნეტავ ხომ არ შეიძლებაო. იგი წარბშეუხრელად დადგან ნავის ცხივრთან, თოფი მხარზე შეიგდო და კაციჭამიები ახლოს არ მიუშვა.

ამასობაში ველურებმა ნავს საფარი ჩამოგლიჯეს. აქ მათ სხვებიც ეგულეობდათ, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ახალგაზრდა მეზღვაური მარტოდმარტო ჩაუვარდათ ხელში და მხოლოდ თხუთმეტი წლის ბიჭი მოდიოდა ათ კაცზე, საშინელი ღმუილი და ყვირილი ატეხეს. ერთმა ველურმა ხელი მეორე ნაპირისაკენ გაიშვირა და მისის უელდონი და მისი მგზავრები დაანახვა, რომელთაც ყველაფერი კარგად შეამჩნიეს და აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

დიკ სენდს აღარ ახსოვდა საკუთარი თავი, ღმერთს ევედრებოდა, რაიმე შთაეგონებინა მისთვის, რომ ის უბედურები გადაერჩინა. ნავი ღრმად შეცურდა მდინარეში. კაციჭამიებს თოფისა ეშინოდათ და ადგილიდან არ იძვროდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ნიჩაბს ჩაავლო ხელი და წყალი მოუსვა. ეტყობოდა, ნიჩბის გამოყენება იცოდა. ნავი დამრეცად გაცურდა წყალზე და სულ მალე ასიოდე ფუტითლა იყო დაცილებული მარცხენა ნაპირს.

- გაიქეცით! - დაუყვირა დიკ სენდმა მისის უელდონს. - გაიქეცით!

მაგრამ ისინი არც კი განძრეულან, თითქოს ფეხებით მიწას მიაჯაჭვესო.

გაიქცნენ? რა აზრი აქვს! ერთი საათის შემდეგ ისევ კაციჭამიების ხელში ჩაცვივიან!

დიკ სენდი მიხვდა ამას და უცებ გაუელვა აზრმა, როგორაც უნდა გადაერჩინა მისთვის საყვარელი ადამიანები, საკუთარი სიცოცხლის განწირვა იყო საჭირო და იგი წამითაც არ შეყოყმანებულა.

- ღმერთო, დაიფარე ისინი და მოწყალეობა მოიღე ჩემზე! - დაიხურჩულა მან.

დიკ სენდმა თოფი დაუმიზნა ველურს, რომელსაც ნავი მიჰყავდა და ნიჩაბი ნამსხვრევებად აქცია.

კაციჭამიებმა საზარლად შეჰყვირეს.

ნავი მდინარის დინებამ გაიტაცა. იგი სწრაფად მიცურავდა და სულ მალე ასი ფუტით იყო დაშორებული ჩანჩქრიდან. მისის უელდონი და ჰერკულესი ყველაფერს მიხვდნენ - დიკ სენდმა გასწირა თავი და ველურებიც თან გაიყოლა!

პატარა ჯგუი და დედამისი მუხლმოდრეკილი იდგნენ ნაპირზე და უკანასკნელ შენდობას უთვლიდნენ. ჰერკულესმა უსასოოდ გაიწვდინა მისკენ ხელი!

ველურები ამოხტნენ ნავიდან, ალბათ იფიქრეს, მარცხენა ნაპირამდე ცურვით მივალთო. ნავი გადაბრუნდა.

დიკ სენდი ცდილობდა, მშვიდად შეხვედროდა სიკვდილს. უეცრად თავში გაუელვა, რომ გადაბრუნებულ ნავს შეიძლებოდა გადაერჩინა იგი. ჩანჩქერში ჩავარდნისას ორი რამ იყო საშიში: დახრჩობა, ან ჰაერით გაგუდვა. გადაბრუნებული ნავი კი ყუთივით დაიცავდა მას წყლისა და ჰარისაგან. ასე ნიაგარას ჩანჩქერშიაც კი შეიძლებოდა თავის დაცვა.

ამ აზრმა საოცარი სისწრაფით გაიელვა მის გონებაში. დიკი ინსტიქტურად ჩაეჭიდა სკამს, თავი შეეცო ნავის ქვეშ და იმწამსვე იგრძნო, როგორ აიტაცა წყლის ძლიერმა ნაკადმა და შვეულად გადაისროლა უფსკრულში... ნავი აქაფებულ წყალში გაეხვია; დატრიალდა ჩანჩქერის ღრმა ფსკერზე და შემდეგ ზედაპირზე ამოტივტივდა. დიკ სენდი მიხვდა, რომ გადარჩა, და სწრაფად მოუსვა მკლავები.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მან მარცხენა ნაპირს მიაღწია და იპოვა მისის უელდონი, ჯგუი და კუზენი ბენედიქტი, რომელნიც ჰერკულესს წამოეყვანა.

კაციჭამიები აქაფებულ წყალში აღარ ჩანდნენ. ისინი ალბათ მანამდე დაიხოცნენ, სანამ უფსკრულამდე ჩამოაღწევდნენ. ახლა კი მათი სხეულები იმ წვეტიანმა ქვებმა დაფლითა, რომელზედაც ჩანჩქერის წყალი იმსხვრეოდა.

თავი XX

დასასრული

ორი დღის შემდეგ, 20 ივლისს, მისის უელდონი და მისი თანამგზავრები შეხვდნენ ემბომაში, კონგოს შესართავში მიმავალ ქარავანს! ესენი პატიოსანი, სპილოს ძვლით მოვაჭრე პორტუგალიელები იყვნენ. მათ ძალიან კარგად მიიღეს ლტოლვილნი, ასე რომ, მგზავრებმა დარჩენილი გზა გაცილებით უკეთეს პირობებში განვლეს. ამ ქარავანთან შეხვედრა სწორედ რომ ცით მოვლენილი ხსნა იყო. ზაირიდან ტივით დაშვებას დიკ სენდი ველარ შეძლებდა, რადგან ნგამოს ჩანჩქერიდან იელალამდე მდინარე უამრავი ჭორომით და ჩანჩქერით იყო დასერილი. სტენილმ აქ 62 ჩაჩქერი აღრიცხა, რომელზედაც დაშვება არ შეიძლებოდა. ოთხი წლის შემდეგ კონგოს შესართავში ამ მამაცმა მოგზაურმა თავისი უკანასკნელი, ოცდამეთორმეტე ბრძოლა გადაიხადა ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ცოტა უფრო ქვევით კი, მბელოს ჩანჩქერში, ის რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს.

11 აგვისტოს მისის უელდონი, დიკ სენდი, ჯგუი, ჰერკულესი და კუზენი ბენედიქტი ჩავიდნენ ემბომში, სადაც მოტა ვიეგამ და მისტერ ჰარისონმა ისინი ძალიან გულთბილად და სტუმართმოყვრულად მიიღეს. აქ იდგა გემი, რომელიც პანამის ყელისაკენ უნდა წასულიყო. მისის უელდონი და მისი მგზავრები მოეწყვნენ მასზე და მშვიდობიანად მიაღწიეს ამერიკის სანაპიროს.

სან-ფრანცისკოში გაგზავნილმა დეპეშამ ჯეიმს ვ. უელდონს აუწყა ცოლ-შვილის მოულოდნელი დაბრუნება, რომელთა კვალს იგი ამაოდ ეძებდა ყველგან, სადაც კი, მისი აზრით, შეიძლებოდა "პილიგრიმი" გარიყულიყო.

25 აგვისტოს გადარჩენილები, როგორც იქნა, რკინიგზით მივიდნენ კალიფორნიის მთავარ ქალაქში!

ოჰ, მოხუცი ტომიც და მისი თანამგზავრებიც რომ მათთან ყოფილიყვნენ!

როგორ წარიმართა დიკ სენდისა და ჰერკულესის ცხოვრება? ერთი გახდა ამ ოჯახის ვაჟი, მეორე კი - უახლოესი მეგობარი. ჯეიმს ვ. უელდონმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი ვალი ედო ორივესი. იგი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ნეგორომ ვერ მიაღწია მასთან. რასაკვირველია, ჯეიმს ვ. უელდონი თავისი ცოლ-შვილის გამოსასყიდად მთელ ქონებას გაჰყიდდა, წავიდოდა აფრიკის სანაპიროზე და, ვინ იცის, რა ხიფათისა და ვერაგობის მსხვერპლი შეიქმნებოდა.

სულ ცოტა რამ კუზენ ბენედიქტზედაც უნდა ითქვას. ჩამოსვლის დღესვე, ჩამოართვა თუ არა ხელი ჯეიმს ვ. უელდონს, პატივცემული სწავლული ჩაიკეტა თავის კაბინეტში და მუშობას შეუდგა, გეგონებოდათ იმ წინადადების დამთავრება სურს, რომელიც წინა დღეს შეწყვიტაო. განზრახული ჰქონდა უზარმაზარი გამოკვლევა მიემღვნა "ბენედიქტის ექვსფეხისათვის", რითაც ენტომოლოგიურ მეცნიერებაში გადატრიალებას მოახდენდა.

თავის მწერებით მოფენილ კაბინეტში კუზენმა ბენედიქტმა ლუპა და სათვალე მონახა და... ოი, ზეციურნო ძალნო! საშინელი გმინვა აღმოხდა, როცა იმ ერთადერთი უნიკალური ნიმუშის შესწავლა დაიწყო, რომელიც აფრიკის ენტომოლოგიამ მისთვის გამოიმეტა.

"ბენედიქტის ექვსფეხა" ექვსფეხა არ აღმოჩნდა! ეს იყო ჩვეულებრივი ობობა! და თუ მას მხოლოდ ექვსი ფეხი ჰქონდა რვის ნაცვლად, ეს მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორი წინა ფეხი აკლდა! ორი წინა ფეხი კი მხოლოდ იმიტომ აკლდა, რომ ჰერკულესმა, გაუფრთხილებლობა გამოიჩინა მისი შეპყრობისას და წააწყვიტა ისინი! ამგვარად, ამ დასახიჩრების შემდეგ ცრუ "ბენედიქტის ექვსფეხა" ინვალიდ ობობად იქცა. კუზენი ბენედიქტის ახლომხედველობა იყო იმის მიზეზი, რომ მან ეს უფრო ადრე ვერ შეამჩნია! ამ ამბის გამო კუზენი ბენედიქტი ლოგინად ჩავარდა, მაგრამ, კიდევ კარგი, მალე გამოძჯობინდა.

სამი წლის შემდეგ პატარა ჯეკი რვა წლისა გახდა. დიკ სენდი მას ამეცადინებდა და თვითონაც გულმოდგინედ სწავლობდა. დიკი დაბრუნებისთანავე შეუდგა სწავლას. სინდისის ქენჯნიდა, რომ ბევრი რამეს უცოდინარობის გამო ვერ აღასრულა თავისი ვალი გემზე!

- დიახ! - იმეორბდა იგი ხშირად, - "პილიგრიმზე" ყოფნისას რომ მე ყველაფერი მცოდნოდა, რამდენ უბედურებას ავიცდენდი თავიდან.

თვრამეტი წლის იყო დიკი, როცა წარმატებით დაამთავრა ჰიდროგრაფიული კურსები, მიიღო დიპლომი და ჯეიმს ვ. უელდონის ერთ-ერთი გემის კაპიტანი გადა. აი, მუყაითობითა და გულმოდგინებით რას მიაღწია სენდი-ჰუკის ქვიშიან ნახევარკუნძულზე ნაპოვნმა პატარა, ობოლმა ბიჭუნამ! მიუხედავად იმისა, რომ დიკი ძალზე ახალგაზრდა იყო, უსაზღვრო პატივისცემით სარგებლობდა, თუმცა თავისი მოკრძალებულობისა და თავმდაბლობის გამო ამას არც კი იმჩნევდა. სიმამაცეს, სიმტკიცეს, შეუდრეკელობას, რომელიც მან უმძიმეს განსაცდელის ჟამს გამოიჩინა, იგი ყველას თვალში გმირად ექცია.

ერთი განუშორებელი ფიქრი მუდამ თან სდევდა დიკს. აწუხებდა მოხუცი ტომის, ბათის, აქტეონისა და ოსტინის ბედი. მათ უბედურებაში იგი თავის თავს სდებდა ბრალს!

მისის უელდონიც ძალიან დარდობდა მათზე - როგორ იყვნენ და სად იყვნენ ახლა? მისი უმძიმესი განსაცდელის თანაზიარნი? ჯეიმს ვ. უელდონიც, დიკ სენდიც და ჰერკულესიც მზად იყვნენ შეემრათ ცა და ხმელეთი, ოღონდ მათი კვალისათვის მიეგნოთ. ბოლოს და ბოლოს, ეს კიდევაც მოახერხეს მდიდარ გემთმფლობელებთან ურთიერთობის წყალობით. ტომი და მისი თანამგზავრები მადაგასკარზე გაეყიდათ, სადაც სხვათა შორის, მონობა მალე გაუქმდა.

დიკ სენდს უნდოდა თავისი მცირე დანაზოგით გამოესყიდა ისინი, მაგრამ ჯეიმს უელდონს არც კი სურდა ამის გაგონება. ეს საქმე მან თავის ერთ აგენტს დაავალა და 1877 წლის 15 ნოემბერს ოთხმა ზანგმა უელდონის სახლის კარზე დააკაკუნა.

ესენი იყვნენ მოხუცი ტომი, ბათი, აქტეონი და ოსტინი. მრავალჭირგამოვლილი მამაცი ადამიანები ახლაც კინალამ გაიგუდნენ (მაგრამ ახლა უკვე მეგობრების ხვევნა-ალერსისაგან). ჯგუფს, რომელიც "პილიგრიმმა" აფრიკის იმ დამლუპველ ნაპირზე გარეყა, მხოლოდ საბრალო ნანი აკლდა... მაგრამ ნანისათვის სიცოცხლის დაბუნება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც დინგოსათვის. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ამდენი ფათერაკის შემდეგ მათ მხოლოდ ეს ორნი გამოაკლდნენ!

რა თქმა უნდა, იმ დღეს დიდი ზეიმი იყო კალიფორნიელი გემთმფლობელის სახლში. ყველაზე უკეთესი სადღეგრძელო, რომელიც მისის უელდონმა წარმოსთქვა და ყველანი აღტაცებით შეხვდნენ, დიკ სენდის "თხუთმეტი წლის კაპიტანის", სადღეგრძელო გახლდათ.

"თხუთმეტი წლის კაპიტანი"

"თხუთმეტი წლის კაპიტანი" ჟიულ ვერნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. იგი პირველად 1878 წელს გამოქვეყნდა. "გართობისა და აღზრდის ჟურნალში" და იმავე წელს წალკე წიგნადაც გამოვიდა. მასში, მართალია, მოთხრობილია ხომალდ "პილიგრიმის" მგზავრების ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი, მაგრამ ავტორის მთავარი მიზანი მაინც ისაა, რომ გააცნოს მკითხველს "შავი ამერიკის" მკვიდრი მოსახლეობის ტრაგიკული ხვედრი. ამიტომ ყველაზე მძაფრი ადგილები ნაწარმოებში მონათვაჭრობის მხილებას ეძღვნება.

პორტუგალიის კოლონიები: ანგოლა და მოზამბიკი მონათვაჭრობის მთავარი ცენტრები იყო. ისინი აწვდიდნენ ზანგ მონებს უპირატესად ჩრდილოეთსა და სამხრეთ ამერიკას, აგრევე აზიისა და აღმოსავლეთ ქვეყნებს.

"თხუთმეტი წლის კაპიტანი" დაიწერა იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი ერთმანეთს ექიშპებოდნენ ქვეყნის ამ ვრცელ ნაწილში გაბატონებისათვის. მონათვაჭრობის - პორტუგალიელი ნეგროსა და კოიმბრას, ამერიკული ჰერისის, არაბი იბნ-ჰამისისა და ვერაგი ზანგის, ალვეცის საზარელი სახეები მხოლოდ ავტორის ფანტაზიის ნაყოფი არ არის. მაგალითად, მონათვაჭარი ალვეცი რეალური პიროვნება იყო, მან მონებად გაყიდა ათიათასობით თავისი თანამემამულე.

"თხუთმეტი წლის კაპიტანის" გმირების საოცარი თავგადასავალი აღსავსეა ხიფათებითა და ფათერაკებით. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში (მოქმედება ხდება 1873 წლის თებერვლიდან ივლისის ბოლომდე) გმირებს თავს ატყდება ათასგვარი განსაცდელი ღია ზღვასა თუ ტროპიკულ აფრიკაში.

ჟიულ ვერნის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ყმაწვილი ან ჭაბუკი, რომელიც მოულოდნელად შექმნილ რთულ სიტუაციაში თავისი ასაკისათვის შეუფერებელ მძიმე მოვალეობას იკისრებს ხოლმე. თვითონ ავტორი წერდა ამის შესახებ: "თხუთმეტი წლის კაპიტანში" მე შევეცადე, მეჩვენებინა, თუ რა ძალა შესწვს მოზარდის ჭკუასა და სიმამაცეს იმ სიმწელებთან და საფრთხესთან ბრძოლაში, რამაც ისინი აიძულა ეკისრათ თავისი ასაკისათვის შეუფერებელი პასუხისმგებლობა".

საფრთხე და დაბრკოლებები აწრობენ დიკ სენდის ნებისყოფას და აყალიბებენ მის ხასიათს.

დიკ სენდის ხასიათის საუკეთესო თვისებებმა - ენერგიამ და ნებისყოფამ, სიმამაცემ და შეუპოვრობამ, სამართლიანობამ და კეთილშობილებამ იგი მკითხველის ერთ-ერთ უსაყვარლეს და პოპულარულ გმირად აქცია.

ი. კოტეტიშვილი, ლ. ჭეიშვილი